

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გრ. იმნაიშვილი

გურული დიალექტი

შესწავლის ისტორია, გრამატიკული მიმოხილვა,
ტექსტები ლექსიკონითურთ

თბილისი

2006

შრომა 17 წლის წინ არის გამოსაცემად მომზადებული; მასში გაანალიზებულია გურული დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი ადგილობრივ ჩაწერილი მასალებისა და ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვების საფუძველზე. გათვალისწინებულია აგრეთვე გამოქვეყნებული ტექსტები და მხატვრულ ლიტერატურაში ასახული გურულიზმები.

წიგნში გარკვეული ადგილი ეთმობა ამ დიალექტის შესწავლის ისტორიის, გამოქვეყნებული გამოკვლევებისა და ტექსტების კრიტიკულ განხილვას.

მიმოხილვას თან ერთვის ადგილზე ჩაწერილი ტექსტები (ლექსიკონითურთ), რომლებიც ინტერესს იწვევენ თავიანთი ფორმითა და მრავალფეროვანი შინაარსითაც.

რედაქტორები: ფილოლ. მეცნ. დოქტ. თ.უთურგაიძე
ფილოლ მეცნ. დოქტ. ლ.კვანტალიანი

ტექ. რედაქცია – ლ.ვაშაკიძე

© არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

© გრ. იმნაიშვილი, 2006

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006

თბილისი, 0128, ი. ზავსავაძის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-61-74-7

პირველი ნაწილი

შესწავლის ისტორია

შესავალი

ქართული ეროვნული ენის განვითარების სრულყოფისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის განშტოებებს ანუ დიალექტებს, მათს მეცნიერულ შესწავლასა და გაანალიზებას.

ქართული ენის დიალექტთა შორის ერთ-ერთი საყურადღებო ადგილი უჭირავს გურულს.

გურული დიალექტის შესახებ ცნობები მეთერამეტე საუკუნიდან მოგვებოვება კანტიუენტად.

გურულების მეტყველების თაობაზე ქართველ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს (1696-1757) უწერია: „ენა-ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხჳა“¹.

გერმანელი მეცნიერის იოჰან გიულდენშტედტის (1745-1781) „მოგზაურობაში“ ნათქვამია, რომ გურიაში „ლაპარაკობენ ქართულ კილოზე, რომელშიც ბევრი უცხო სიტყვაა შესული, განსაკუთრებით თათრული“².

ფრანგი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსეს მიერ (1802-1880) გურული მოხსენებულია კახურის, იმერულისა და ქართლურის გვერდით³.

გერმანელი მეცნიერი გეორგ როზენი მიუთითებს გურულისა და აჭარულის სიახლოვეზე⁴.

გურულს გაეკრით (იმერულთან ერთად) ეხება პრუსიელი მკვლევარი რიხარდ ერკერტიც⁵ (1830-1900).

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ - ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1973, გვ. 793.

² „გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში“. ტ. I, გერმანული ტექსტი თარგმანითურთ გამოცემა და გამოკლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., 1962, გვ. 311.

³ M. Brosset, De la langue géorgienne. – Nouven journal Asiatique, XIV, Paris, 1834, გვ. 373-371.

⁴ Osstische Spachlehre nebst einer Abhadlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische von Dr. Georg R o s e n, Berlin, 1846, გვ. 45-46 (სულ 84 გვ.).

⁵ Die Sprache des kaukasischen Stammes, Wien, 1895, გვ. 285-311, 311-390.

ქართველი ფილოლოგი და ისტორიკოსი ალექსანდრე ცაგარელი (1834-1929), როცა ლაპარაკობდა ქართული კილოების შესწავლის დიდ მნიშვნელობაზე ქართული ენის ნათესაობისა და განვითარების გასარკვევად, სხვებთან ერთად, ასახელებდა გურულსაც¹.

გურულის მასალებს უხვად იყენებდა ნიკო მარი თავის მეცნიერულ შრომებში. ამ კილოს იგი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ზოგადი ენათმეცნიერებისათვის².

გურული დიალექტის მონაცემებს არც თუ იშვიათად მიმართავდა აკაკი შანიძე ქართული ენის რთული საკითხების კვლევის დროს. ეს კარგად ჩანს მის ფუნდამენტურ ნაშრომში — „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (თბ., 1953; მეორე გამოცემა, 1973) და სხვა შრომებშიც.

გურულის ფონეტიკური მოვლენებით კარგად სარგებლობდა სერგი ელენტი მონოგრაფიაში „ქართული ენის ფონეტიკა“ (თბ., 1956) და სხვა ნაშრომებში.

გურული დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკულ მოვლენებს ამა თუ იმ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით ეხებიან ვარლამ თოფურია³, გიორგი ახვლედიანი⁴, ალექსანდრე ონიანი⁵, იზაბელა ქობალავა⁶ და სხვ.

¹ Мингрельские этюды, второй выпуск, Опыт фонетики мингрельского языка, С.-Пб., 1880, გვ. 111.

² ЗВО, т. XVI, вып. I, 1904, გვ. 166: მ ი ს ი ვ ე, Из Пиринейской Грузии (К вопросу о методике). — ИКИАИ (Изд. Кавказского историко-археологического института), т. V, Тифл., 1927 (или: Избр. раб., т. IV, Л., 1937, გვ. 3-52); მ ი ს ი ვ ე, Яфетические названия деревьев и растений (Pluralia tantum). — Известия Императорской Академии наук, VI серия, №№ 8, 9, 10, 1915, გვ. 769-780, 821-852, 937-950.

³ გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. — იყვ, VI, თბ., 1954, გვ. 445-456 და სხვა შრომები.

⁴ ზოგადი და ქართული ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1938; მ ი ს ი ვ ე, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949 და სხვ.

⁵ ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბ., 1978 და სხვ.

⁶ აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში. — იყვ, IX-X, თბ., 1958, გვ. 57-97.

მონოგრაფია გურული დიალექტის შესახებ

გურულ დიალექტს მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ იგი ჭერჭერობით მაინც არ არის სრულყოფილად შესწავლილი.

პირველი მონოგრაფიული გამოკლევა გურული კილოს შესახებ მოგვცა სერგი ჟღენტმა¹. იგი შეეცადა ეს დიალექტი შეესწავლა ყოველმხრივ, სახელდობრ: 1) გაერკვია, თუ რა ადგილი უჭირავს გურულს ქართული ენის სხვა დიალექტთა შორის და რა მიმართებაშია მათთან; 2) ეჩვენებინა გურულში არსებული მეგრულ-ქანური ფენა; 3) კრიტიკულად შეეფასებინა გამოკვეყნებული გურული ტექსტები; 4) წარმოედგინა გურული კილო განვითარების მაშინდელ ეტაპზე თავისი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებებით.

მონოგრაფია არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, მაგრამ ავტორს ძირითადად მიუღწევია თავის მიზნისათვის. არსებითი საკითხები სწორად არის გაშუქებული.

წიგნში შესულია 1934 წელს ავტორის მიერ ადგილობრივ ჩაწერილი მეცნიერულად სანდო ტექსტები, რომლებიც სხვადასხვა ხასიათისაა. შეიცავს ზღაპრებს, ლექსებს, პოემებს, საუბრებს, შელოცვებს და სხვ. ეს ტექსტები, რომელთა რაოდენობა 106 გვერდს შეადგენს (გვ. 95-200), ენათმეცნიერებს გარდა, გამოადგება ფოლკლორისტებსაც და სხვ.

დართულ ლექსიკონში (გვ. 207-262) შეინიშნება ისეთი სიტყვებიც, რომლებიც არ ასახულან ტექსტებში, მაგრამ ავტორს ჩაუწერია გურიის სხვადასხვა კუთხეში.

მონოგრაფიაში მოცემული გურული კილოს დაყოფა ზემოგურულად და ქვემოგურულად ძირითადად მისაღებია.

პირველის გაერკვლების ტერიტორიად დაახლოებით იგულისხმება ჩოხატაურის რაიონი და ოზურგეთის რაიონის სამხრეთი მთიანი ნაწილი, ხოლო მეორისა — ლანჩხუთის რაიონი და ოზურგეთის რაიონი, გარდა სამხრეთი მთიანი ნაწილისა.

ამ დაყოფას საფუძვლად უდევს მათ შორის არსებული ლექსიკური და მორფოლოგიურ-ფონეტიკური სხვაობა. მხედველობაშია მიღებული აგრეთვე მეტყველების ტონი, რიტმი, მახვილი და სხვ. (გვ. 42).

¹ გურული კილო (გამოკლევა. ტექსტები, ლექსიკონი). ტფ., 1936, 279 გვ.

ასევე ორ კილოკავად — აღმოსავლურ და დასავლურ გურულად — ყოფს ამ კილოს ალექსანდრე ლლონტიც. ძირითად განმასხვავებელ ნიშნად მას მიაჩნია ა-ზე დასრულებული ერთზე მეტი მარცვლის მქონე მხოლოობითი რიცხვის სიტყვების დაბოლოება სახელობითში (ბაღანა-ი და ბაღანე) და აგრეთვე ნათესაობითსა და მოქმედებითში ბაღანა-ის, ბაღანა-ით და ბაღანე-ს(ის), ბაღანე-თ(ით) და სხვ.¹

აღმოსავლური გურული ანუ ზემოგურული მკიდრო ურთიერთობაშია ქვემოიმერულთან, ხოლო დასავლური გურული ანუ ქვემოგურული — აჭარულთან. ძირითადად ამით არის შეპირობებული გურულის ორ კილოკავად დაყოფა. შეინიშნება გარდამავალი ზოლებიც.

ს. ჟღენტის ამ მონოგრაფიაში სათანადოდ არის გაკრიტიკებული კ. კალანდაძისა და რობერტ ბლაიხშტაინერის მიერ არასწორად ჩაწერილი და გამოქვეყნებული ტექსტები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამოწვევას, სადაც ს. ჟღენტი არ არის მართალი. მაგალითად, რ. ბლაიხშტაინერს აღნიშნული აქვს სამართლიანად, რომ „მისა = lit. მისცა“, ხოლო არ არის სწორი ს. ჟღენტი, როდესაც ის წერს: გურულში მისა არ იხმარება (გვ. 37). ქვემოგურულში (განსაკუთრებით ლანჩხუთის რაიონის სოფლებში) ფართოდაა გავრცელებული მისა. ხოლო ზემოგურულში უფრო ფეხმოკიდებულია მისცა.

ამ წიგნში კარგად არის დახასიათებული გურული კილოს ურთიერთობა სხვა ქართველურ კილოებთან, განსაკუთრებით კი მეგრულ-ჭანურთან (მაგალითად, მეგრული ჭა „ხე“ სახელის გურულის მთელ რიგ სიტყვებთან დაკავშირება და სხვ., გვ. 19-20). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს ზოგიერთ ისეთ სიტყვაში მოუხდენია სრული იგივეობის გატარება, რომლებშიც იგივეობას არა აქვს ადგილი. მაგალითად, ის წერს: „მეგრულ-ჭანური დუდი ნიშნავს თავს, ბიბილოს. გურულშიც ამასვე ნიშნავს დუდი“ (გვ. 23). გურულად დუდი ნიშნავს მეგრულ თიკ-ს (ბიბილოს) და არა — მეგრულ დუდს (თავს), რომელსაც გურულები პირდაპირ თავს ეძახიან. თიკი გურულად აღნიშნავს ხის ტანზე (ან სხვა რამეზეც ზოგჯერ) დატოვებულ რიკს.

ს. ჟღენტს დაკვირვებითა და სიფრთხილით აქვს ჩაწერილი ტექსტები და მათი ანალიზიც არსებითად სრული სახითაა მოცემული გამოკვლევაში. მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას გურულ კი-

¹ ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის გურულში. — თსუ შრ., V, ტფ., 1936, გვ. 314.

ლოზე. ამის საშუალებას, როგორც ჩანს, ავტორს არ აძლევდა თავისი მასალა. მონოგრაფიაში შესული ყველა ტექსტი ფიქსირებულია ჩოხატაურისა და ოზურგეთის რაიონის სოფლებში და ყურადღების გარეშეა დატოვებული ლანჩხუთის რაიონის სოფლების მეტყველება, რომელიც სხვა ორი რაიონის სოფლების მეტყველებასთან შედარებით, უფროა ტიპური გურული.

სადავოა ზოგიერთი მოვლენის ავტორისეული ახსნა.

შ იქცევა ბ-დ არა მარტო მედერი სიბილანტების ზ-სა და ჟ-ს წინ, როგორც ეს წიგნშია აღნიშნული (გვ. 48), არამედ — მთელ რიგ სხვა შემთხვევებშიც (ქალაზანი, ბარგვა, ბღერის, ბრუნდი, ბრაეალი და სხვ.).

ავტორის თქმით, „სახტარში“ მომხდარია ყ-ს ასიმილაცია“ დ-ს გამკვეთების შემდეგ (გვ. 49). გაუგებარია, „საყტარში“ არსებულ ბგერათაგან რომელს შეეძლო მიემსგავსებინა ყ, რომ ზ მიგველო?

მონოგრაფიაში მოცემული მტკიცება, თითქოს გურულში ადგილი არ ჰქონდეს სახელის ფუძის კვეცასა და კუმშვას, სინამდვილეს მოკლებულია (გვ. 58-59). ხშირია პარალელური ფორმების ხმარების შემთხვევები (სკაის||სკის ბუკი, ხეის||ხის სახლი, საპონით||საპნით, ურემით||ურმით). თვით ავტორის მიერ გამოკვეყნებულ ტექსტებშიც არცთუ იშვიათად გვხვდება შეკვეცილი და შეკუმშული ფორმებიც (ძროხის 102,6; ხენწიფის 103,22; ღამის 110,14; საქონლის 134,1; წყლის 105,36; წყლით 108,36; საშინლათ 139,28; გლები 135,31 და სხვ.).

არა ჩანს სწორი ავტორი არც მაშინ, როცა ამბობს: მესამე ობიექტური პირის პრეფიქსი ჰ იმსგავსებას ყ-ს და ვლბულობთ ხ-სო (გვ. 63). სინამდვილეში უნდა ხდებოდეს ყ-ს გავლენით ჰ-ს ქცევა ზ-დ და შემდეგ ყ-ს დაკარგვა (ჰყავს — ხყავს — ხავს).

— თან თანდებულის თ ბგერა (გვ. 66) ჩვეულებრივ მაშინ იკარგება, როცა ეს თანდებული დაერთვის ფუძეხმოვნთან სახელს (ხესან, მიწასან). ფუძე-თანხმოვნთან კი უჩინარდება მიცემითი ბრუნვის ნიშანი ს და თანდებულისეული ი რჩება უცვლელად (საცივთან, ცეხთან — ცეცხლთან, სახთან¹ და სხვ.).

სინტაქსის (ისევე, როგორც მორფოლოგიის) შესახებ ცოტაა ნათქვამი. შენიშნავს ეს ნაწილიც იწვევს.

¹ და არა „სახლსან“ (გვ. 66).

ნათესაობითში დასმულ მსაზღვრელ სიტყვას ბრუნვის ნიშნისეული ს გურულში ეკვეცება ჩვეულებრივ მაშინ, როცა მომდევნო საზღვრული იწყება სანით (ჭურის სარეცხათ, მიწის სახნავათ). ამ კილოში არ არის მოსალოდნელი ს-ს მოწყვეტა ისეთ მაგალითებში, როგორცაა „ხარი იარაღი“ და მისთ. (გვ. 58) და სხვ.

უზუსტობა ჩანს ლექსიკონშიც.

ბუძუ (გვ. 214) მხოლოდ ჩაღდაყზე მიჰედებულ ხის ნაჭერს არ ნიშნავს. **ბუძუს** ეძახდნენ აგრეთვე ხის ძველებური სახლის კარების ბოძებზე დატოვებულ გამობურთულს, რომელიც გახვეტილი იყო და კეტი (ურდული) იყრებოდა შიგნიდან კარების ჩასაკეტად.

გაშა (გვ. 217), **გაშობა** ნიშნავს არა მხოლოდ მოსხლეტით გაქცევას, არამედ — ხელიდან მოსხლეტით რისამე გავარდნასაც („ბოთლი გამიშა ხელიდან“) და წელი ხისათვის ტყავის გაძრობასაც. იხმარება გადატანით კაცზედაც: „იმღონს ქცემ, თლა ტყავს გაგაშპოფ“.

დამაშვა (გვ. 220) არ არის მხოლოდ დაბარულის დათონხა. ეს სიტყვა აღნიშნავს მიწის განმეორებით გადაბრუნებას; სულ ერთია, თუ რით შესრულდება ეს მოქმედება (კავით, თოხით, ბარით თუ სხვა რაიმით)¹.

თვალი (გვ. 225) გურულში აღნიშნავს არა რაოდენობას, არამედ — შენობის განყოფილებას საერთოდ („სამთვალი სახლი ავაშენე: ორი ოთახია და ერთი ზალა“).

მორთვა-ს არ იტყვიან „რაიმე საქმის გაკეთების შეუძლებლობაზე“ (გვ. 72-73). მორთვა ნიშნავს: 1) ცემას: „მუურთო და მუურთო იმ ბიჭმა იმ ბაღანას“; 2) მოწყობას: „კარგათ მუურთავს ოთახი“; 3) მოხერხებას: „თუ მორთო, აი საქმე გამიკეთე“; 4) იტყვიან აგრეთვე: „პურის ცომს კარგათ მუურთოე ყველი და კაი ხაჭაპური გამუაცხვე“.

პწყალა-ს (გვ. 239) გურულში ყოველგვარ **კიბეს** არ ეძახიან. ორივე ეს სიტყვა იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით. **პწყალა/ე-ი** აღნიშნავს ორ პარალელურ (წყვილ) წვრილ და გრძელ გათლილ ხეს, შეერთებულს ერთმანეთთან ფეხების დასადგმელი ჯოხებით; მისადგმელია². **კიბე** გურულად არის პატარა მოგრძო ხე, რომელსაც ფეხების დასადგმელი აქვს ამოჭრილი (ან მიკედებული). ესეც მისადგმელია.

¹ „ჩემი ხარები სახნავში ცოდვა, მარა სამაშავში კაი იქნება“.

² ზოგან **პწყალა**-ს ეძახიან აგრეთვე შენობის ზედა სართულზე ასასვლელ უძრავ კიბესაც.

უზუსტობა შეინიშნება სხვა სიტყვების განმარტებაშიც.

გურული დიალექტის შესახებ გამოქვეყნებულ ამ ერთადერთ მონოგრაფიაში, როგორც დავინახეთ, ვერ არის ასახული მთელი გურულის ყველა თავისებურება სრულყოფილად. ავტორის ყურადღების ცენტრშია ძირითადად ზემოგურული ანუ აღმოსავლური გურული და შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი ქვემოგურულისათვის ანუ დასავლური გურულისათვის ნიშანდობლივი მოვლენები. სიზუსტე აკლია ფონეტიკასაც, მორფოლოგიასაც, სინტაქსსაც და ლექსიკასაც. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ დროისთვის, როცა დიალექტის შესახებ მონოგრაფია სანატრელი იყო, დიდი საქმე გაკეთდა. ეს წიგნი ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია.

ყურადღების გამახვილება მთელი გურული დიალექტის ყოველმხრივი შესწავლისათვის

ს. ჟღენტის ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ გურულ კილოს მიეძღვნა (საკუთრად ან სხვასთან ერთად) მრავალი სტატია და მოხსენება. ზოგი ავტორი იხილავს მთელი გურულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ მოვლენებს, ხოლო ზოგიერთი — გურიის ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის მეტყველების თავისებურებებს.

ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე გურულის მიმართებაზე ქართული ენის სხვა დიალექტებთან და ზანური ენის მეგრულ-ქანურ კილოებთან.

ზოგი მკვლევარი გურული კილოსათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ მოვლენას ეხება სხვა საკითხებთან დაკავშირებით და სხვ.

გურულ დიალექტს სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ბესარიონ ჭობენაძის 1989 წელს გამოქვეყნებულ ფუძემდებლურ ნაშრომში „ქართული დიალექტოლოგია“, რომელშიც გაშუქებულია დიალექტოლოგიის ზოგადი პრობლემები და მოცემულია ქართული ენის დიალექტების სისტემური აღწერა. მასში სანიშნოდ არის განხილული გურული დიალექტი ყოველმხრივ (გავრცელების არე, ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენები, ლექსიკური თავისებურებები და სხვა საკითხები კილოკავების მიხედვით). ავტორს კეთილსინდისიერად გამოუყენებია გურული დიალექტის შესახებ არსებული ვრცე-

ლი ლიტერატურა და მოუცია საკუთარი დაკვირვებებიც ამ ენობრვი ერთეულის შესახებ. ყურადღება გაუმახვილებია მრავალფეროვან სპეციფიკურ მოვლენებზე, არქაიზმებზე, ინოვაციებზე, ზანიზმებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე¹.

ს. ჯანაშიას², გ. როგავას³ და სხვათა შრომებსა და საკუთარ დაკვირვებებზე დაყრდნობით ბ. ჯორბენაძე წერს, რომ „გურულის ტოპონიმისა და ანთროპონიმიაში წარმოჩნდება იმ რიგის მოვლენებიც, რომლებსაც ანალოგიები ეძებნება აფხაზურ-ადილეურ ენებთან: სუფსა (— *სურფსა „სურების მდინარე“), აქყვა „აქისხევი“, მალთაყვა „მალთასხევი“ — ტოპონიმიაში, ინგოროყვა, ჭანუყვაძე, თალაკვაძე, ბოლქვაძე (ყვა||კვა||ქვა „შვილი, ძე“) — ანთროპონიმიაში“ (გვ. 514).

დასავლეთ საქართველოდან გამოსულ საბუთებში (XI-XIX სს.) შ. ძიძიგური ადასტურებს გურული დიალექტის ელემენტებსაც იმერულის, რაჭულის, ლეჩხუმურის, აგრეთვე მეგრულის მონაცემებთან ერთად³.

მთელი გურული დიალექტის ზოგიერთი ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურების გამომწვევი მიზეზების თაობაზე მსჯელობა მოცემულია ამ სტრიქონების ავტორის სტატიაშიც „ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ“⁴.

აქვე შენიშვნის სახით მოკლედ უნდა შევეხოთ ამ სტატიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაბეჭდილ წერილს.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ (10.III.1967) ი. მეგრელიძემ გამოაქვეყნა წერილი, მეტი რომ არა ვთქვათ, უცნაური სათაურით: „მეცნიერული მემკვიდრეობის უპატივცემულობის გამო“. ავტორი ბრალს გვდებს: თითქოს ჩვენ უგულვებელყოფდეთ მეცნიერულ მემკვიდრეობას, არ ვასახელებდეთ სა-

¹ ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 514-539.

² ჩერქეზული (ადილეური) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიაში. — შრომები III, თბ., 1959, გვ. 117-123; მ ი ს ი ვ ე, სვანურ-ადილეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები. იქვე, გვ. 81-116; მ ი ს ი ვ ე, ვგნატე ინგოროყვას გენეალოგიისათვის. — ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტფ., 1935, გვ. 65-71 (გადაბეჭდილია: „შრომები“, ტ. II, თბ., 1952, გვ. 482-490).

³ ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადილეურ ენებში. — იქვე, I, თბ., 1946, გვ. 1-17.

⁴ ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები (დასავლური კილოების ელემენტები დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში). — წიგნში „ძივბანი ქართული დიალექტოლოგიიდან“, თბ., 1954, გვ. 34-51.

⁵ „მაცნე“ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო), №8, 1966, გვ. 246-268.

თანადო ლიტერატურას და სხვ. ი. მეგრელიძე წერს: „ავტორი ერთხელაც კი არ ასახელებს სერგი ჟღენტის მონოგრაფიას „გურული კილო“ (თბ., 1936 წ.), იმავე ავტორის 5 წიგნსა და სხვათა გამოკვლევებს, რომელთაგან იგი დავალებულია“.

ჩვენ სტატიის არც ერთი დებულება არ მოითხოვდა საგანგებო მითითებას ს. ჟღენტისა და სხვა იმ ავტორების შრომებზე, რომლებსაც არ ვიხსენიებთ. ზოგადად კი ნათქვამია, რომ გურულის შესახებ არსებობს მნიშვნელოვანი შრომები და მათ შორის — მონოგრაფიებიც (გვ. 247). აქ შემოდის ს. ჟღენტის „გურული კილოც“. ამ უკანასკნელის სპეციალურად დასახელება არ იყო აუცილებელი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ იგი ვრცლად იყო განხილული იმ დროს უკვე სასტამბოდ გამზადებული მონოგრაფიის ერთ-ერთ თავში, რომლის ნაწყვეტსაც სტატია წარმოადგენდა; მეორე, ს. ჟღენტის წიგნში არ არის მსჯელობა იმ საკითხებზე, რომლებსაც ვიხილავდით. ჩვენ სტატიაში ძირითადია არა ამა თუ იმ ენობრივი ფაქტის დადასტურება ან რომელიმე მკვლევრის აზრის უარყოფა ან მიღება, არამედ — სპეციალისტებისათვის ცნობილი და ჩვენ მიერ ათასჯერ გაკონილი და ჩაწერილი მოვლენის გაჩენის მიზეზების ახსნის ცდა, სახელდობრ: 1) რატომაა, რომ გურულში გვაქვს „კარდალაი“ (ქვემოგურულში), „კარდალე“ (ზემოგურულში) და არა გვაქვს „მუხაი“ და „მუხე“? 2) რა არის მიზეზი, რომ გურულში ყველგან დამკვიდრებულია „ტრიესკუდაი“ და არ დასტურდება „ბაბუეჩემი“? (ეს უკანასკნელი მოსალოდნელი იყო ზემოგურულის მიხედვით. ორსავე სიტყვაში საკითხი ეხება კომპოზიციის ბირველ შემადგენელ ნაწილს), 3) რა შეიძლება უწყობდეს ხელს გურულში აფრიკატიზაციასა (სოფელჩი) და დეზაფრიკატიზაციას (სტავლა)? 4) რატომ გვხვდება ისეთი ფორმები, როგორიცაა „ნაგომრიელი“, „სოფლიელი“? 5) რისგან უნდა იყოს მიღებული ი, რომელიც შუალობითი გზის საწარმოებლად იხმარება გურულში და ზოგიერთ სხვა კილოში? 6) რა შემთხვევაში არ ითანხმებს გურულში ქვემდებარე (მესამე პირი) შემასმენელს რიცხვში? და სხვ.

შესაძლებელია, რომ მოვლენის კვალიფიკაცია საექვო და სადავო იყოს, მაგრამ ი. მეგრელიძეს ამის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი.

ი. მეგრელიძეს რომ დაკვირვებით წაეკითხა ეს ნარკვევი და ტენდენციურობა არ გამოეჩინა, არ დაგვწამებდა „მენციერული მემეკვიდრეობის უბატიცემულობას“ და „ცნობილი დებულებების განმეორებას“. იგი დარწმუნდებოდა, რომ სტატია ეხება მხოლოდ რამდენსამე ახალ საკითხს და არა —

გურულს საერთოდ; არ დაუპირისპირებდა ერთმანეთს ჩვენი სტატიისა და ს. ჟღენტის მონოგრაფიების გვერდებს. მათ ერთმანეთთან „დასაპირისპირებელი“ არაფერი აქვთ: არც „დამთხვევაა“ და არც „უარყოფა“.

ი. მეგრელიძემ რომ ზერელედ, თვალის ერთი გადავლებით „გადაწყვიტა“ ჩვენი სტატიის „ბედი“, ეს აშკარად ჩანს ერთ მაგალითზეც. ოპონენტი მოგვაწერს, თითქოს ჩვენ გურულში „ბაბუეჩემ“ ფორმის რეალობას ვამტკიცებდეთ. სინამდვილეში კი სხვას ვწერთ: „მოსალოდნელი იყო ამჟამად ზემო-გურულში არსებული წესის მიხედვით „ბაბუეჩემი“, მაგრამ არა გვაქვს“ (გვ. 258). როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

რაც შეეხება სხვა მაგალითებს, რომელთა არსებობაშიც ეჭვი შეაქვს ი. მეგრელიძეს, ჩვენ მიერ დადასტურებულია ადგილზე და შემოწმებულია რამდენსამე პირთან.

სტატიის ზოგადი ნაწილის შესახებ, სადაც ჩვენ გაკვრით ვებებით გურიის დასახლების საკითხს, ი. მეგრელიძე წერს: „გრ. იმნაიშვილი არაა ზუსტი არც წერილის ზოგად ნაწილში. იმეორებს სხვის აზრს: გურია დასახლებულია მეგრულ-ქანურ მოსახლეობაში ქართლიდან მე-7-8 საუკუნეებში შექრილი ნაკადებით (გვ. 246) და არც კი იცის, რომ ეს აზრი დაზუსტდა, — მესხებთანაც აკავშირებს გურიას ისტორია და რიგი გვარები; იგი არ იხსენიებს ამავე საკითხზე არსებულ ჩვენს სპეციალურ მონოგრაფიას (1938 წ.) და ასახელებს კი არასპეციალურ ნარკვევებს“.

ჩვენი აზრით, საქარველოს ისტორიის საკითხებში ი. ჯავახიშვილს მეტი დაეჭვრება, ვიდრე ი. მეგრელიძეს. ამ უკანასკნელს მხედველობიდან გამო-რჩა, რომ გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში „ქართლში“ მესხეთიც იგულის-ხმებოდა. მაგრამ ჩვენ გვიწერია არა „ქართლიდან“, არამედ — „აღმოსავლეთ საქართველოდან“ (ახლანდელი გაგებით) და მითითებულია სათანადო ლიტერატურაზე.

გურული დიალექტი კუთხეების მიხედვით

გურიის ცალკეული კუთხეები ენობრივად შესწავლილია და დაწერილია სათანადო მიმოხილვები რევიონების მიხედვით რიგი მკვლევრების მიერ.

სურების მიდამოების ენობრივი დახასიათება ოთხი სოფლის (ჩაკიტაურის, თეთრაულას, შუა სურების, დობიროს) მეტყველების მიხედვით მოგვცა ლია ლეჟავამ. მის ნაშრომში „შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე“¹ გაანალიზებულია ამ კუთხის მკვიდრთა ენობრივი თავისებურებები. ყურადღება გამახვილებულია მორფოლოგიურ-სინტაქსურ და ლექსიკურ მოვლენებზე. საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მდიდარი ლექსიკა, რომელშიც შეინიშნება არქაული ქართული სიტყვები და მეგრული და თათრული მასალა. საინტერესოა აგრეთვე სიტყვაწარმოება და სხვა გრამატიკული ხასიათის საკითხები.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში შეკრებილ მასალებზე დაყრდნობით გურული დიალექტი შეისწავლა და წარმოადგინა შრომა „გურულის ფონეტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებანი (სოფელ ხიდისთავში შეკრებილი მასალების მიხედვით)“ მელიტა კობალაძემ². ნაშრომში ასახულია ზემოგურულისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენები და მოცემულია სათანადო დასკვნები.

ოზურგეთის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით გურული დიალექტის ძირითადი თავისებურებანი გაშუქებულია პოლიკარპე ჯაჭანიძის მოხსენების თეზისებში „გურული კილო (მახარაძის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი)“³.

ამავე ავტორმა გურული კილო შეისწავლა ლანჩხუთის რაიონის მკვიდრთა მეტყველების მიხედვითაც და დაბეჭდა მოხსენების თეზისები „გურული კილო (ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით)“⁴.

სუფსის ხეობაში მცხოვრებ გურულთა მეტყველება მიმოხილულია ო.

¹ იეგ. XIV, თბ., 1964, გვ. 197-220.

² თსუ სტულ. სამეცნ. შრომების კრებული, 8, თბ., 1958, გვ. 237-251.

³ ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის XIX სამეცნიერო სესია, თეზისები, ქუთაისი, 1955, გვ. 45-47.

⁴ ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის XXI სამეცნიერო სესია, თეზისები, ქუთაისი, 1957, გვ. 53-54.

რამიშვილის მოხსენების თეზისებში „სუფსის ხეობის მეტყველების თავისებურებანი“¹.

გურულის თემატური მიმოხილვა

სათანადო ყურადღება ეთმობა გურული დიალექტის შესწავლას თემატური თვალსაზრისით, მოვლენების მიხედვით.

ფონეტიკური პროცესები

ხმოვანთა კომპლექსებთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დიალექტებში და მათ შორის გურულშიც შეისწავლა შოთა ძიძიგურმა და დაადგინა გარკვეული კანონზომიერება². ამ შრომაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გურულ კილოს.

მთელი გურული დიალექტის ფონეტიკურ თავისებურებებს ეხებიან ალექსანდრე ღლონტი, იოსებ მეგრელიძე, ბიძინა ფოჩხუა, კლარა კუბლაშვილი, პოლიკარპე ჭაჭანიძე, გიორგი როგავა და სხვ.

ალ. ღლონტი იხილავს ბგერათა მონაცვლეობას (ცალკეულებსაც და კომპლექსებსაც): ე—ო (რამდონი), ვე → ო (ქოყანა), გა → ო (სხოგან), ღ — ხ (ბანში), შ — ზ (უბზირა), ბ — პ (პქობა), ჟ — ჯ (ჩინი), სწ — სტ (სტავლა), თს — ც (ერც), ტს — ც (ხაც), თშ — ჩ (რუსეჩი), ჰ — ხ (დახკიდა) და სხვ.³

ი. მეგრელიძე ფონეტიკურ მოვლენებს იკვლევს მორფოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე სუბიექტური პირის სუფიქსის სახეცვლილება გურულში (ს — ც, ჩ) კომბინაციურად. შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ თან-

¹ თსუ სტუდ. XXIII სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, თბ., 1961, გვ. 170-171.

² ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კილოებსა და ზანურში. — ივე, I, თბ., 1946, გვ. 19-34; ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესები ქართულ დიალექტებში. — ამავე ავტორის წიგნში „ძიძინა ქართული დიალექტოლოგიიდან“, თბ., 1954, გვ. 107-123; შდრ. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 32-33.

³ ძირითადი ფონეტიკური მოვლენებისათვის გურულში. — თსუ შრ., V, ტფ., 1936, გვ. 312-323.

ხმოვანს ერთვის უშუალოდ ს, დასახელებულია ლ, ტ, დ, თ, წ, ჳ და სხვ. (დაბნეულც — დაბნეულს, წველც — წველს, ერც — ერთს, მაწვეც — მაწვეთს, ჩიც — ჩიტს, უწვეც — უწვეტს, ყანც — ყანწს, ფრეც — ფრეწს, ბიჩ — ბიჭს და სხვ.)¹.

იზაბელა ქობალავას შენიშვნით, ასეთ მაგალითებში უნდა ვიგულისხმოდ შერწყმა და არა აფრიკატიზაცია².

გურულის ფონეტიკურ მოვლენებს და მათ შორის სპირანტთა გააფრიკატების შემთხვევებსაც აშუქებს გიორგი როგავა თავის შრომებში საერთოდ ქართული დიალექტების მონაცემებთან თუ ადიღეური ენის მასალასთან დაკავშირებით.

მისი აზრით, -ში — ჩი გურულში (საერთოდ ქართულ დიალექტებში) უნდა აიხსნას -ს აფიქსისა და -ში(ნა) თანდებულის თავკიდური შ ბგერის შერწყმით (მთა-ჩი — მთა-ს-ში, სოფლებ-ჩი — სოფლებ-ს-ში და სხვ.)³. ე. ი. კომბინაციური გზით, უშუალო მეზობლობაში მოხვედრილი სისინა და შიშინა სპირანტების შერწყმით, მიიღება ჩ აფრიკატი.

შოთა გაფრინდაშვილი იზიარებს ასეთ ახსნას და დასძენს, რომ ანალოგიურ შემთხვევაში აფრიკატი შეიძლება „მიღებული იყოს წინამავალი სპირანტის დისიმილაციურად განშუღლმსკდომების ნიადაგზე“⁴.

გიორგი ცოცანიძე ფიქრობს, რომ ქართული ენის დიალექტებში, და მათ შორის გურულშიც, -ში თანდებული გადადის -ჩი-ში ორნაირი გზით: 1) სონორის მომდევნო პოზიციაში (სოფელჩი ← სოფელში) და 2) თ-ს შ-ში შერწყმით (ერ სააჩი ← ერთ საათში, ამინუჩი ← ამ მინუთში ← ამ მინუტში, ფერჩი ← ფერთში ← ფერდში)⁵.

¹ მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში. — თსუ შრ., VI, თბ., 1938, გვ. 348-355.

² აფრიკატიზაციისა და დღეაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში. — ივე, IX-X, თბ., 1958, გვ. 65-67.

³ ყრუ შიშინა სპირანტთა შერწყმის ერთი თავისებური შემთხვევა ქვემოადიღურსა და ქართულში. — ივე, ტ. II, თბ., 1948, გვ. 49-53.

⁴ სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში. — ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI(XII) სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1955, გვ. 31.

⁵ სპირანტის აფრიკატიზაციის ერთი შემთხვევა ქართულ დიალექტში. — ქესს, IV, თბ., 1974, გვ. 114, 116.

ავტორის თქმით, თუშურსა და ფშაურში ჩი თანდებულისა სახელს ხშირ შემთხვევაში ახლავს მრავლობითის გაგება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ერთად აღმოჩნდა სახელის მრავლობითში მიცემითის თ და თანდებულის შ, რომელთა შერთობითაც მივიღეთ ჩ (იქვე, გვ. 115).

ამირან ლომთაძის აზრით, გურულში (აგრეთვე აქარულში, მეგრულში) ს სპირანტი იქცევა ც აფრიკატად, თუ ის მოხვდა ხშულ თანხმოვანთან უშუალო მეზობლობაში. ხშვის ელემენტის (და არა ბგერათა) შერწყმა ნაპრალთან (resp. სპირანტთან) იძლევა აფრიკატს; არაა აუცილებელი ხშულის სონორობა, მას ჩქამიერი ხშულიც იწვევს¹.

შ სპირანტისაგან ხშვისა და ნაპრალის შემცველი ჩ აფრიკატის მიღებასაც ამავე გზით ვარაუდობს ეგვევ მკვლევარი გურულში, ქართული ენის სხვა დიალექტებსა და ქართველურ ენებში საერთოდ². იგი წერს: „მეზობელი ხშული თანხმოვნის არტიკულაციისას ხშვის კომპონენტის ნაწილობრივი შეერთება (შერწყმა) შ სპირანტის ნაპრალთან არტიკულაციისთან იძლევა ჩ აფრიკატს, ანუ ხშულ-ნაპრალთან თანხმოვანს“³.

გ. როგავა ეხება სხვა აფრიკატის კომბინაციური გზით, მაგრამ შერწყმის გარეშე, მიღების საკითხსაც.

სწორად არის შენიშნული, რომ გურულში საკუთარი სახელი ელისაბედი გამოითქმის „ელცაბედი“, რომელშიც **ო** ჩავარდნილია და **ლ** სონორის უშუალო მეზობლობაში მოხვედრილი სისინა სპირანტი ს იქცევა ც აფრიკატად (ელისაბედი → ელსაბედი → ელცაბედი)⁴.

იქვე დასახელებულია სპირანტებისაგან (კომბინაციური გზით, შერწყმის გარეშე) აფრიკატების მიღების სხვა შემთხვევებიც (ტვინ-ც ← ტვინ-ს, საბძელი ← საბწელი, საგძალი ← საგწალი და სხვ.)⁵.

ი. მეგრელიძე ერთ-ერთ შრომაში ადასტურებს ს-ს გააფრიკატების შემთხვევას (ს → ც) ძე-ზე დაბოლოებული გვარების ნათესაობით ბრუნვაში. იგი აღნიშნავს, რომ გურულის (აგრეთვე აქარულისა და ქვემოიმერულის) წარმოთქმაში არცთუ იშვიათად ისმის -ქვის → -ძის ნაცვლად -იც (კილაძე-

¹ მიცემითი ბრუნვის მორფემისათვის მეგრულში. — მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), №1, თბ., 1972, გვ. 106-116.

² შ სპირანტის აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში (სინქრონული ანალიზი). — თსუ შრ., 267, ენათმეცნიერება, 10, თბ., 1986, გვ. 188-212; თსუ შრ., 281, ენათმეცნიერება, 12, თბ., 1989, გვ. 88-106.

³ შ სპირანტის აფრიკატიზაცია ქართველურ ენებში, II. — თსუ შრ., ტ. 281, ენათმეცნიერება, 12, თბ., 1989, გვ. 103.

⁴ დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება ქართულში, იკეწ. ტ. X, თბ., 1983, გვ. 46.

⁵ დისიმილაციური აფრიკატიზაციის ერთი კანონზომიერება ქართულში, იკეწ. ტ. X, თბ., 1983, გვ. 43-49.

ის||კილაძის ||→ კილაის ||→ კილაიც, სიხარულიძის||სიხარულიძის ||→ სიხარულიის ||→ სიხარულიიც და სხვ.)¹.

თანხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციასთან დაკავშირებით გურულის მონაცემებს, სხვა დასავლური დიალექტების მასალასთან ერთად, იხილავს ბიძინა ფოჩხუა. იგი აანალიზებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: კპილი, ყპაი, ტპაი, გამეფთა, მოწყტა, რაცხა, ვინცხა, გუშხამ, შოშვ და სხვ.²

გურულის ძირითად ფონეტიკურ თავისებურებებს, ასევე სხვა დასავლური დიალექტების მონაცემებთან ერთად, იკვლევს კლარა კუბლაშვილიც³. ის უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს ასიმილაციისა და დისიმილაციის შედეგად მომხდარ ხმოვანთა და თანხმოვანთა ცვლილებებზე. ამ მხრივ მას გურული მდიდარ მასალას აძლევს.

გურულში, როგორც ქეთევან ლომთათიძე (აკუსტიკური აღქმის მიხედვით) ადასტურებს, შეინიშნება პოზიციური წარმოების აბრუპტივული სპირანტები ს და შ, რომლებიც მიიღებიან ფშინვიერი ს სპირანტის (ჩვეულებრივ მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნის) ზმნის ძირისეულ აფრიკატებთან შეხვედრისას (შესაბამისად) პრეფიქსული და ძირეული მასალების ურთიერთასიმილაციისა და შერწყმის შედეგად (მი-ს-წერა → მი-სერა, ს-ჭირია → შ-ჭირია, — შირია და სხვ.)⁴.

ავტორის თქმით, ისეთ ზმნებში, როგორიცაა: მისა (← მისცა), მოსონს (← მოსწონს), შე ზღეფს (← შე ზძღებს ← შესძღებს), და შირდა (← და შჭირდა ← დასჭირდა), და ჟერდა (← დაჟერდა ← დაჟერდა ← დაშჯერდა ← დასჯერდა) და მისთანები, გვაქვს „დაყოვნებული სახის სპირანტები“⁵.

როგორც ავტორი აღნიშნავს, აკუსტიკური შთაბეჭდილება და სტრუქტურული ძიება მხოლოდ მაშინ გახდება ნათელი, როცა ჩვენთვის საინტერე-

¹ И. В. М е г р е л и д з е, Родительный падеж фамильных имен на -ძე -ძს в западногрузинском: — Сб. "Язык и мышление", т. X, М.-Л., 1940, стр. 118-128.

² თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში. — თსუ შრ., ტ. X, თბ., 1939, გვ. 185-197.

³ ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში. — აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959, გვ. 217-270.

⁴ პოზიციური წარმოების მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში. — ივეწ, XIII, თბ., 1986, გვ. 66-70.

⁵ პოზიციური წარმოების მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში. — ივეწ, XIII, თბ., 1986, გვ. 68.

სო ბგერა იქნება ექსპერიმენტალურად შესწავლილი (რაგვარობის ბუნება, ხანგრძლიობა და სხვ.) და ფაქტი ობიექტურად დადგენილი¹.

ასიმილაციასთან და სხვა ფონეტიკურ საკითხებთან დაკავშირებით გურულს ეხება ბესარიონ ჯორბენაძეც (სხვა დასავლურ კილოებთან, ზანურსა და სვანურთან ერთად) და ადასტურებს ერთგვაროვან მოვლენებს იმერულ-ლექსუმურსა და გურულში, ზანურსა და სვანურში².

გურულ დიალექტს წლების მანძილზე ადგილობრივ სწავლობდა და მასალებს იწერდა პოლიკარპე ჯაჭანიძე. მან ამ კილოს რამდენიმე შრომა მიუძღვნა. ზოგიერთი მათგანი ეხება მხოლოდ ფონეტიკურ მოვლენებს.

სტატიამი „გურული დიალექტის ფონეტიკის საკითხები“³ ავტორი იხილავს სუბსტიტუციისა და ბგერის დაკარგვის პროცესებს მთელ გურულში; უდარებს აქარულს და ავლენს მსგავსებას მასთან.

გურულის ფონეტიკური მოვლენებია გაანალიზებული აგრეთვე ამავე ავტორის მოხსენებათა თეზისებშიც „გურული დიალექტის ფონეტიკიდან“⁴ და „ფონეტიკური მოვლენები გურულში“⁵. პირველ მათგანში გაშუქებულია ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის ბგერითი შედგენილობა მეგრულთან მიმართებით (გატყიჩინებული — გატყიცინებული, გაჩხიკინება — გაცხიკინება, ჩხოტ — ცხოტ, დაბარძლული — დაბარჯღლული, ძაბუნი — ჯაბუნი, დაწნეხება — დაჭნეხება...), ხოლო მეორეში განხილულია კდ, ცდ, ზდ კომპლექსების მქდერი ელემენტის დაყრუება, სპირანტა წინ რ-ს განვითარება და ასიმილაცია-დისიმილაცია ზმნისწინებში და სხვა აქარულთან შეპირისპირებით.

დისიმილაციური ხასიათის დეზაფრიკატიზაციის შემთხვევებს გურულში (და აგრეთვე ლექსუმურში, აქარულსა და ქვემოიმერულში) ეხება ირინე მელიქიშვილი მოხსენების თეზისებში (ძდ — ზდ, ცს — თს, წთ — სთ, ჯდ — ედ, ჩთ — შთ, ჳტ — შტ, სწ — სტ)⁶.

დეზაფრიკატიზაციის საკითხებს იბერიულ-კავკასიურ ენებში (მათ შო-

¹ იქვე, გვ. 70.

² ერთგვაროვანი ფონეტიკური მოვლენები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ზანურსა და სვანურში. — თსუ სტუდ. XXIV სამეცნ. კონფ., თეზისები, თბ., 1962, გვ. 118-119.

³ ქთ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრ., XXXI, ქუთაისი, 1968, გვ. 57-83.

⁴ ქთ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის XXXI სამეცნ. სესია, თეზისები, ქუთაისი, 1967, გვ. 147-148.

⁵ ქთ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის XXXII სამეცნ. სესია, თეზისები, ქუთაისი, 1968, გვ. 77-78.

⁶ დისიმილაციური დეზაფრიკატიზაცია ქართული ენის დასავლურ დიალექტებში. — თსუ სტუდ. XXV სამეცნ. კონფ., ენათმეცნ. სექცია, თეზისები, თბ., 1983, გვ. 10.

რის ქართველურ ენებსა და მათ დიალექტებში) იხილავს ი. ქობალავა. მაგალითებს ასახელებს გურულიდანაც¹.

მორფოლოგიური მოვლენები

მთელი გურული დიალექტის ყველა ძირითად მორფოლოგიურ თავისებურებას ან რომელიმე მოვლენას მთლიანი მასშტაბით იკვლევდნენ აკაკი შანიძე, პოლიკარპე ჭაჭანიძე, მერი ძიძიშვილი, გედევან კვერენჩილაძე, შოთა ძიძიგური, გიორგი როგავა, ქეთევან ლომთათიძე და სხვ.

სუბიექტური მეორე პირისა და ობიექტური მესამე პირის პრეფიქსებთან დაკავშირებით გურულ კილოს ეხება ა. შანიძე ჭერ კიდე 1920 წელს და აღნიშნავს, რომ ეს პრეფიქსები ამ კილოს დაუქარგავს და გაუშარტივებია უღვლილებ².

გურულის მორფოლოგიურ საკითხებს პ. ჭაჭანიძე აშუქებს რამდენსამე შრომაში. მათ შორის, საკითხის სიმრავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტატია „გურული კილოს მორფოლოგიური საკითხები“³. მასში განხილულია სახელთა ბრუნება, თანდებულები, მრავლობითისა და ხარისხის წარმოება, პირის ნიშნები ზმნაში, ვნებითის ტიპების ურთიერთობა, ზმნის თემის წარმოება, პირველი თურმეობითის ფორმები, შუალობითი კონტაქტი, ვედ (ვიდ) ზმნა, საწყისი, მიმღობა, ზმნისწინები და სხვა ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონების მცხოვრებთა მეტყველებაზე დამყარებით⁴.

მოხსენების თეზისებში „-ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნები ძველ ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში“⁵ პ. ჭაჭანიძე ადასტურებს, რომ გურულ-

¹ აფრიკატიზაციისა და ლეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში. — ივე, IX-X, თბ., 1958, გვ. 83-86.

² სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920, გვ. 144-179, §5 61-76.

³ ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრ., XV, ქუთაისი, 1956, გვ. 295-310.

⁴ ამ შრომაში წერია, რომ ხირეკავს ზმნაში ხ არის პირის ნიშანი, ხანმეტობის გადმონაშთი (გვ. 303-304). რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. გურულში იხმარება ხირეკვა, მოხირეკვა. შესულია გ. შარაშიძის ლექსიკონშიც („ხირეკვა, მოხირეკვა ნარჩენების შეგროვება აჭა-იქ“). შემდეგ ეს სიტყვა პ. ჭაჭანიძესაც შეუტანია გურულ ტექსტებზე დართულ „ლექსიკონის მასალებში“ და აღ. ლლონტას — „სიტყვის კონაში“.

⁵ ქუთ. პედ. ინსტიტუტის XXXV სამეცნ. სესია, თეზისები, ქუთაისი, 1971, გვ. 84-85.

ში -ავ და -ამ თემის ნიშნიან ზმნებში უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში -ვი-დ, -ჰი-დ წარმოება მტკიცედ არის დაცული, მასში ფონეტ-იკური პროცესი ვერ იჭრება.

სტატიაში „-ოვ-ან სუფიქსი ქართულში“¹ პ. ჯაჭანიძე, მართალია, ძირითადად სალიტერატურო ქართულის მიხედვით იხილავს მას, მაგრამ იგი აზუსტებს ამ სუფიქსის ფუნქციებს ზემოგურულშიც (აგრეთვე ქვემოიმერულშიც).

განსაზღვრებითი ნაწევარი გურულში (აგრეთვე აქარულშიც) შესწავლილია ამავე ავტორის მიერ და გაანალიზებული წერილში „ნაწევარი გურულსა და აქარულში“². დადგენილია მსგავსება და განსხვავება ძველი ქართულისა და გურულის განსაზღვრებით ნაწევრებს შორის.

გურულის არქაულ გრამატიკულ მოვლენებზე სპეციალურად მსჯელობს პ. ჯაჭანიძე მოხსენების თეზისებში „არქაული გრამატიკული მოვლენები გურულში“³. მასში ნათქვამია: ამ კილოში ჩანს ისეთი არქაული ფორმები, რომელთა ნაწილი ძველი სალიტერატურო ენის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, ზოგი კი უფრო აღრინდელი ვითარების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდესო. ნაგულისხმევა: საკ. სახელის გაუფორმებლობა სახელობითსა და მოთხრობითში⁴, ფუძემოვნიანი საზოგადო სახელების სახელობითი ბრუნვა, უთანდებულო ნათესაობითი და მოქმედებითი თანდებულიანის ფუნქციით, ზოგიერთ ზმნასთან -ა სუფიქსი (იცნა) -ო-ს ნაცვლად, -ავ და -ამ სუფიქსთან ვნებითებში -ო-ს დაბოლოება (ირტყმის — შამიერტყვმის), უთემისნიშნო ფორმათა ხმარება (თესს, კეტს, რეცხს) და სხვ.

წერილში „ხოლმეობითის გადმონაშთისათვის გურულში“⁵, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ავტორის (პ. ჯაჭანიძის) მიერ ნაგარაუდევია ძველი ქართული ენის ხოლმეობითის ფორმის ნაშთი. მაგრამ იგი ფაქტობრივად არ დასტურდება საერთოდ გურულში და მათ შორის არც ოზურგეთის რაიონის მდ. ბეჟუყის ხეობის მცხოვრებთა მეტყველებაში -ავ და -ამ თემის ნიშნის მქონე

¹ საკ. სსრ პედ. ინსტიტუტების შრ., II, თბ., 1975, გვ. 355-360.

² ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრ., XVIII, ქუთაისი, 1958, გვ. 139-146.

³ ქუთ. პედ. ინსტიტუტის სამეცნ. სესია, XXXII, თეზისები, ქუთაისი, 1969, გვ. 84-85.

⁴ აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ საკუთარ სახელებთან ინდეფინიტური კონსტრუქცია გურულში ჯერ კიდევ 1936 წელს შენიშნა ს. ჯღენტმა („გურული კილო“, გვ. 59). ამას ეხება ივ. გიგინეიშვილიც 1952 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში — „ო. ბ. სტალინის მოძღვრება საერთოსახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები“ (ივე, III, თბ., 1952, გვ. 495).

⁵ აღ. წულუკიძის სახ. ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრ., XIII, ქუთაისი, 1955, გვ. 79-94.

ზმნათა უღვლილების მიხედვით¹. ცხადია, რომ მას ვერ მივიჩნევთ გურულის დამახასიათებელ ნიშნად.

ზმნის მესამე ობიექტური პირის ნიშნის გადმონაშთის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ქეთევან ლომთათიძის ნაშრომი „ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში“². ავტორი მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნის ნაშთს ადასტურებს ისეთ ზმნებში, როგორიცაა: ხავს (— ჰყავს), მიხობა (— მიჰყობა), მოხვა (— მოჰყვა), მიხილენ (— მიჰყილენ), მიხილეთ (— მიჰყილეთ), მიეზილეთ (— მიეჰყილეთ); დაფირდა (— დაჰჰირდა), დაფირებია (— დაჰჰირებია), მოფარა (— მოჰჰარა); ქრა (— ჰქრა), მოქიდა (— მოჰყიდა), ქილია (— ჰყილია) და სხვ.

მერი ძიძიშვილის ნაშრომში „გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში“³ აღნიშნულია, რომ ეს დიალექტი ხასიათდება არქაული წარმოების შემონახვით, ერთი მხრით, და ახალწარმონაქმნთა გაჩენით, მეორე მხრით: ამ ნიადაგზე მასში შეინიშნება არქაიზმები და ნეოლოგიზმები სახელებშიცა და ზმნებშიც. მოხმობილია და გაანალიზებული მორფოლოგიური და აგრეთვე სინტაქსური ხასიათის სათანადო მოვლენების დამადასტურებელი მაგალითები (ყმაფ, იზდა — იზა, ითგან — იღგან, იცნა, იმალვის, ხოცს, კითხვიდა, ვაბმიდი; წინადადების ინდეფინიტური კონსტრუქცია; უქილარიენ, გვაქვენ, გინდებიენ, მიეწონენ და სხვ.). ავტორის თქმით, ეს არქაიზმები და ნეოლოგიზმები ქმნიან ამ კილოს გრამატიკული წყობის სპეციფიკას.

გურულ დიალექტში შემორჩენილი ზოგიერთი არქაული გრამატიკული მოვლენისა და თავისებური ძირითადი ლექსიკური ფონდის შესახებ შენიშნული აქვს ივანე გიგინეიშვილსაც თავის შრომაში, რომელიც ეძღვნება დიალექტებისა და სალიტერატურო ენის საკითხებს⁴.

გურულში კაუზატივის წარმოებას ეხება გედევან კვერენჩილაძე. მისი

¹ ამის შესახებ: მ. ძ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში. — ივე, IX-X, თბ., 1958, გვ. 196.

² ტსუ შრ., VI, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ., 1937, გვ. 123-138. მესამე ობიექტური პირის ნიშნებთან დაკავშირებულ ფონეტიკურ პროცესებს ქ. ლომთათიძე ეხება ფონეტიკური მოვლენებისადმი მიძღვნილ სტატიაშიც — „პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში“ (ივეწ. XIII, თბ., 1986, გვ. 66-70).

³ ივე, IX-X, თბ., 1958, გვ. 193-200.

⁴ ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები. — ივე, III, თბ., 1952, გვ. 452, 495-497.

აზრით, კაუზატივის მაწარმოებელი -ინ და -ივ ფორმანტები გურულში წარმოდგენილია -ი-ს სახით (დააწყებია, გააშლია, დაასხმია, აწვიფეს, შიაწ-ვია). -ივ მიღებულია -ევ სუფიქსისაგან, რომელიც გამოყენებულია ხევსურულში დროთა პირველ სერიაში და შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით უტოლდება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის რთულ -ევ-ინ სუფიქსს¹.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კაუზატივის მაწარმოებლად -ინ ფორმანტი გურულს არ უნდა ჰქონოდა არც ძველად; უნდა ყოფილიყო მხოლოდ ა- — -ივ|| — ა- — -ევ კონფიქსი².

გურული დიალექტის მორფოლოგიური თავისებურებები შეისწავლა ნადია საბაშვილმა მხატვრული პროზის მიხედვით და მთავარი მოვლენების დახასიათება წარმოადგინა მოხსენების თეზისებში „გურულის მორფოლოგიური თავისებურებანი ქართულ პროზაში“³.

მრავლობითი რიცხვის გამომხატველი ფორმანტები (სუფიქსები)

მრავლობითობის მაწარმოებლად არსებით სახელებთან დამაკვიდრებუ-
ლია -ებ, ხოლო ნაცვალსახელებში — -ნ (იგინ-ნ-ი).

1933 წელს კარპეზ დონდუას მიერ გამოქვეყნებულ შრომაში⁴ კარგად არის შენიშნული იმის შესახებ, რომ მრავლობითობის გამომხატველ -ნ-ს დასავლურ დიალექტებში ისევე დაერთვის ბრუნვის ნიშნები, როგორც — ებ-ს (იგენ-ი, იგენ-ს, იგენ-მა, იგენ-ის, იგენ-ით).

იქვე ნათქვამია, რომ ამავე დასავლურ დიალექტებში გვხვდება მრავ-
ლობითი რიცხვის ორმაგი სუფიქსით (-ნ — ებ) წარმოების შემთხვევები: ან-
გელოზ-ნ-ებ-ი, და-ნ-ებ-ი, ძმა-ნ-ებ-ი, ძმა-ნ-ებ-ს, ძმა-ნ-ებ-მა, ძმა-ნ-ებ-ის, ძმა-ნ-

¹ კაუზატივის წარმოება გურულში. — თსუ სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, წიგნი I, თბ., 1941, გვ. 204-210.

² ამის შესახებ დაწვრილებით: გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ. — მაცნე, 6 (33), თბ., 1966, გვ. 263-265.

³ ბათუმის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის XIX სამეცნ. სესია, თეზისები, ბათუმი, 1958, გვ. 37-38.

⁴ О лъух суффиксах множественности в грузинском. — ჩხელი ნაშრომები, I, თბ., 1967, გვ. 139-166.

ებ-ით და მისთ.¹

1936 წელს სპეციალური ნაშრომი გამოაქვეყნა ორმაგი მრავლობითობის შესახებ ალ. ლლონტმა². მასში დასახელებულია ნარიანი ერთმაგი (-ენ|-ნ: ბაღიშ-ენ-ი; მეზობლ-ენ-ი, ყმაწვილ-ენ-ი, ერისთვ-ენ-ი; მეზობლ-ენ-ს, მეზობლ-ენ-ის, მეზობლ-ენ-ით) მრავლობითების გვერდით — ორმაგიც (-ნ-ებ): ბაღიშ-ნ-ებ-ი, სახლიკაც-ნ-ებ-ი, ანგელოზ-ნ-ები და სხვ.³

იქვე ნავარაუდევია იყო მრავლობითობის ორმაგი ნიშნის მქონე სიტყვებზე და ისეთი ფორმებიც, როგორიცაა: ძმანები, დანები, სიძენები, ნაკაშიძენები და მისთანები⁴. მაგრამ შემდეგ, არნ. ჩიქობავამ გაარკვია, რომ ასეთ სახელებში ნ არის დეტერმინანტი სუფიქსი და არა მრავლობითობის ნიშანი⁵. ეს აზრი გაზიარებულ იქნა პ. ჯაჭანიძის⁶, ბ. ჯორბენაძის⁷ და სხვათა მიერ.

პ. ჯაჭანიძის ვარაუდით, სტრუქტურული ანალოგიითაა გამოწვეული -ებ სუფიქსის ნაცვლად -ენ-ის ხმარება (ერისთვენი, მეზობლენი) და მასზე (მრავლობითობის -ენ-ზე) ბრუნვის ნიშნების დართვა (მეზობლენს, მეზობლენის), რომელშიც იგივე ფლექსია გვაქვს, რაც -ებ-იან მრავლობითში⁸.

1980 წელს ალ. ლლონტი კვლავ ეხება მრავლობითი რიცხვის ორმაგ ნიშანს მრავლობითობის სამი სუფიქსის შესახებ მსჯელობის დროს⁹. გურულ დიალექტურ მაგალითებს მასშიც ასახელებს და აღნიშნავს, რომ მრავლობითობის ორმაგი სუფიქსის ხმარება გამოწვეულია მათი ფუნქციის პოზიციურად შესუსტებით და ამ ნიადაგზე ზოგ შემთხვევაში დაბნელებით¹⁰.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებას სამხრულ-დასავლურ დიალექტებში და მათ შორის გურულშიც იხილავს ტარიელ ფუტკარაძე. იგი ყურადღებას ამახვილებს თანხმოვანფუძიან, ხმოვანფუძიან და ნანათესაობითარ

¹ იქვე, გვ. 159-160.

² ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები გურულში (წინასწარი ცნობა). — ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, ბირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, 1936, გვ. 341-346.

³ იქვე, გვ. 342.

⁴ იქვე, გვ. 344.

⁵ არნ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 8-12, 88.

⁶ П. П. Джанджанидзе, Гурийский диалект в отношении к аджарскому (Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук), Тб., 1970, გვ. 20.

⁷ ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 528.

⁸ პ. ჯაჭანიძე, იქვე.

⁹ Л. А. Глonti, К вопросу о трех суффиксах множественности в грузинском языке. — Ж. "Вопросы языкознания", 1980, №5, გვ. 111-119.

¹⁰ იქვე, გვ. 119.

მსაზღვრელ სახელებზე ცალკეული დიალექტების მიხედვით და ადასტურებს მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებას ამ თვალსაზრისით¹.

სინტაქსური თავისებურება

გურული დიალექტის სინტაქსური თავისებურებები (მთელი გურიის მასშტაბით) განხილულია პოლიკარპე ჭაჭანიძის სტატიაში „სინტაქსური მოვლენები გურულში“². მასში გაანალიზებულია მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა, შემასმენლის შეთანხმება ქვემდებარესთან მრავლობით რიცხვში (მიცემით ბრუნვაში დასმულ რეალურ სუბიექტთან -ენ, -ან სუფიქსებით), ქვემდებარის ბრუნვის საკითხი (საკ. სახელი ზოგჯერ ფუძით სახელობითსა და მოთხრობითში, ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნებთან) და სხვ.

ეგვევ საკითხებია ასახული ამავე ავტორის მოხსენების თეზისებში „გურული დიალექტის სინტაქსის საკითხები“³.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჭერ კიდევ 1936 წელს არნ. ჩიქობავა წერდა გრამატიკული ობიექტის მრავლობითობის შესამე პირის სუფიქსით გამოხატვის თაობაზე გურულსა და იმერულში (გაქვენ). იგი ვარაუდობდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო გამოწვეული ზანურის გავლენით⁴.

ქართულში მარტივი წინადადების ევოლუციის ტენდენციებთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „იმერულსა და გურულში ამჟამადაც ებ-იანი სახელობითი ზმნას არ ითანხმებს ისევე, როგორც არ ითანხმებდა ზმნას ძვ. ქართ. ებ-იანი სახელობითი: ძველი ქართულის ნორმა აქ ჭერაც და-ცულია და ამის ანარეკლი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს (...დ ა რ ჩ ა მ გ ზ ა ვ რ ე ბ ი ცის ქვეშ... ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ე ბ ი ქულს ა ფ რ ი ა ლ ე ბ ს... მ ო ხ უ ც ე ბ ი სალამს მ ა ძ ლ ე ვ ს...)“⁵.

ამ სტრიქონების ავტორის სტატიაში აღნიშნულია, რომ ერთგვარშე-

¹ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტებში (აქარულში, გურულში, მესხურ-ჭავჭავურში, იმერხელულში). — აქარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბ., 1987, გვ. 16-29.

² ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრ., XXXIII, ქუთაისი, 1970, გვ. 249-262.

³ ქუთ. პედ. ინსტიტუტის XXXIV სამეცნიერო სესია, თეზისები, ქუთაისი, 1970, გვ. 84.

⁴ ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ., 1936, გვ. 102.

⁵ მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. — ავტორის წიგნში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, I, თბ., 1968, გვ. 273.

მასმენლიან შერწყმულ წინადადებაში მრავლობითი რიცხვის ფორმით მოცემული ქვემდებარე (მესამე სუბ. პირი) ხშირად არ ითანხმებს რიცხვში მის უახლოეს შემასმენელს, რადგანაც შეუთანხმებლობა ამ შემთხვევაში შინაარსზე არ ახდენს გავლენას. დაშორებული შემასმენლის შეუთანხმებლობით კი არ არის გამორიცხული აზრის დამახინჯება. ამიტომ მას სათანადო ანგარიში ეწევა მეტყველის მიერ („ე ს ე ნ ი უ ძ ა ლ დ ე ბ ო და და ნებით ა რ ა ძ ლ ე ვ დ ე ნ“)¹.

ამავე საკითხს ეხება ტარიელ ფუტკარაძის სტატიაც „რიცხვში შეთანხმების საკითხები ქართული ენის გურულ დიალექტში“².

ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობის საკითხი დასავლურ დიალექტებში და მათ შორის გურულშიც განხილულია ანტონ კიზირიას მშრომაში „ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთობა ქართული ენის დასავლური დიალექტების მიხედვით“³; ხოლო მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთმიმართება გურულსა და სხვა დასავლურ კილოებში გაანალიზებულია კლარა კუმლაშვილის მოხსენების თეზისებში „მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართული ენის დასავლურ დიალექტებში“⁴.

კავშირები გურულში, ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან ერთად, განხილული აქვს შოთა ძიძიგურს. სათანადო კონტექსტის მიხედვით გაანალიზებულია მის მიერ გურულში დადასტურებული კავშირები (კ'არა „არამედ“, რომც||რომე||რუმე||რომევე, რომელიცხა, საცხა, რაცხა, ვინცხა, როიცხა, რავარც||რავაც, თუარა||თუარა||თვარა||თვერ და სხვ.) და მოცემულია სათანადო დასკვნები⁵.

გურულის ერთ-ერთი საინტერესო სინტაქსური მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია აქარულისა და სხვა დიალექტებისათვისაც და გამოიხატება დამოკიდებული წინადადების უკანასკნელი წევრის ბოლო ხმოვნის დაგრძელებაში, დადასტურებულია და სათანადოდ გაანალიზებული ქეთევან ლომთათიძის შრომაში „დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება

¹ ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ. — „მაცნე“, №6, 1966, გვ. 266.

² საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 1987, ტ. 125, №3, გვ. 653-655.

³ ქეცს, ტ. IV, თბ., 1974, გვ. 75-91.

⁴ ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტი, პროფესორ-მასწავლებელთა საინსტიტუტთაშორისო სამეცნ. სესია (მასალები), თბ., XLV, თბ., 1979, გვ. 122-123.

⁵ „კავშირები ქართულ დიალექტებში“. — წიგნში „ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიიდან“, თბ., 1954, გვ. 63-106; შესულია წიგნში „კავშირები ქართულ ენაში“, თბ., 1973, გვ. 275.

ზოგ ქართულ დიალექტებში¹. როგორც შემდეგში ამავე მეცნიერმა გაარკვია, ამ მოვლენას აქვს ფუნქციური საფუძველი. იგი გაჩენილია ფაქტის „ცნობილობის“ გახაზვის საჭიროებით (შდრ. იმერ. „ქე რო წევიდა...“; გურ. ქ' არ წევიდა...“)².

გურული დიალექტი მწერლობაში

გურული დიალექტიზმები, როგორც ცნობილია, გვხვდება მწერლობაშიც კოლორიტის დასაცავად, განსაკუთრებით — პერსონაჟთა მეტყველებაში. იყენებდნენ ეგნატე ნინოშვილი, ლალიონი (არსენ მამულაშვილი), ნინო ნაკაშიძე, ჭოლა ლომთათიძე, იაკინთე ლისაშვილი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ნოდარ ღუმბაძე და სხვ.

გურულის ზოგი თავისებურება დადასტურებულია ადრინდელ ქართულ მწერლობაშიც³.

ენათმეცნიერები, რომლებიც მწერლების ენას სწავლობდნენ, საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ დიალექტიზმებს, რომელთა შორის გურულიზმებს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

ეგნატე ნინოშვილის ნაწერების მიხედვით გურული დიალექტი შეისწავლა ივანე ჭავთარაძემ და მოგვცა სათანადო ფონეტიკურ-გრამატიკული ანალიზი შრომაში „ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები“⁴. მასში კვლევის მთავარი ობიექტია მწერლის ნაწერებში დადასტურებული ის გურული დიალექტიზმები, რომლებიც რედაქტორ-გამომცემლების კალამს გადაურჩნენ.

ამავე მწერლის ნაწერებზე დაყრდნობით გურულის თავისებურება ასახულია როგორც ლამბაშიძის მოხსენების თეზისებშიც — „გურული კილო ე. ნინოშვილის ნაწერების მიხედვით“⁵.

ე. ნინოშვილის პერსონაჟების მეტყველების თავისებურებებზე ლაპა-

¹ ივე, I, თბ., 1946, გვ. 337-345.

² ქ. ლომთათიძე, ქართულ დიალექტებში დამოკიდებული წინადადების თავისებური გამოხატვის ფუნქციური საფუძველი. — X რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1988, გვ. 44.

³ ივე, გიგინეიშვილი, „რუსუდარიანი“. — წიგნში „რუსუდარიანი“, ილია აბულაძის სადა ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. XXIV-XXVIII.

⁴ ეურნ. „მნათობი“, 1959, №6, გვ. 159-164; №7, გვ. 133-138; №8, გვ. 130-133.

⁵ ბათუმის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის XI სამეცნ. სესია, თეზისები, ბათუმი, 1950, გვ. 14-15.

რაკია ვ. ხუროძის სტატიაშიც — „ნინოშვილის პერსონაჟების ენის თავისებურებანი და კლასობრივი ელფერი“¹.

ე. ნინოშვილის თხზულებებში გამოყენებულ დიალექტიზმებს ეხებიან ალ. ღლონტი², ზურაბ სარჯველაძე³, კარპეზ დონაძე⁴.

გურულის მიმართება აქართული ენის სხვა დიალექტებთან გურული აჭარულთან მიმართებაში

გურულ კილოს აჭარულთან მიმართებაში სპეციალურად სწავლობდა პოლიკარპე ჯაჭანიძე. მისი სადოქტორო შრომის ავტორეფერატში ასახულია გურული დიალექტის ძირითადი ფონეტიკურ-გრამატიკული საკითხები აჭარულთან მიმართებაში. განხილულია: ბგერითი შედგენილობა, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისი, სუბსტიტუცია, ბგერის დაკარგვა და ჩამატება, ბგერათა შერწყმა, აფრიკატიზაცია, დეზაფრიკატიზაცია, კომპლექსთა მონაცვლეობა, სახელთა ბრუნება, თანდებული, ნაწევარი, ზმნისართი, სიტყვაწარმოება, პირის ნიშნები ზმნაში, ზმნისწინი, თემა, გვარი, დრო, კილო, კონტაქტი, მასდარი, მიძლეობა, მსახლერელის სინტაქსური დამოკიდებულება საზღვრულთან, ზმნისა და ქვემდებარის მართვა-შეთანხმება, პარონომაზია და სხვ.⁵

გურულის აჭარულთან მიმართების შესახებ საუბარია კ. ცინცაძის მოხსენების თეზისებშიც „გურია-აჭარის მოსაზღვრე სოფლების ენობრივი შეხვედრები“⁶.

გურულის ზოგად მიმოხილვაში წერია, რომ „გურულ კილოს ბევრი რამ აქვს საერთო აჭარულთან და ზემოიმერულთან, მაგრამ საერთო ჩანს ზო-

¹ ეურნალი „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1935, №1, გვ. 29-33.

² ეგნატეს ენა. — გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1934, 12 მაისი, №108.

³ ე. ნინოშვილის „პარტახის“ ენის თავისებურებანი. — თსუ სტუდენტთა XXII სამეცნ. კონფერენცია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისადმი, თეზისები, თბ., 1960, გვ. 113-115.

⁴ ეგნატე ნინოშვილის მხატვრული სტილის საკითხისათვის. — სტალინირის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრ., ტ. II, სტალინირი, 1955, გვ. 173-180.

⁵ П. П. Д ж а д ж а н и д з е, Гурийский диалект в отношении к аджарскому (10.661 — Языки народов СССР. Грузинский язык), Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологического наук, Тб., 1970, 44 с.

⁶ საქ. სსრ პედ. ინსტიტუტების სტუდენტთა V რეკპ. სამეცნ. კონფ., თეზისები, სოხუმი, 1953, გვ. 64-65.

გი მოვლენა იმერხეულთან და მესხურ-ჯავახურთანაჲ¹.

აქ სადავო არაფერია, მხოლოდ „ზემოიმერულის“ ნაცვლად უნდა იყოს „ქვემოიმერული“. ჩანს, რომ ეს კორექტურული მიზეზითაა მომხდარი. მაგრამ ზოგს ეს არ მიუჩნევია შეცდომად და დაუწერია: „გურულს თვალსაჩინო შეხვედრები აქვს აჭარულთან და ზემოიმერულთან, ზოგ რამეში საერთოს ავლენს იმერულთან² და მესხურ-ჯავახურთან“³.

გურულის მიმართება იმერულთან

გურულის შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ნათქვამია, რომ „თავისი სტადიალური განვითარებით ზემოგურული უფრო უახლოვდება ქვემოიმერულს, ვიდრე ქვემოგურულს“⁴. „ძალიან ცოტა განსხვავებაა ზემოგურულსა და ქვემოიმერულს შორის“⁵.

ეს მართლდება მხოლოდ გარკვეული რიგის სიტყვების ასიმილაციასთან დაკავშირებით და ლექსიკაშიც ნაწილობრივ.

–ა-ზე დაბოლოებული ერთზემეტმარცვლიანი რიგი სახელები სახელობითს, ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში ისეთივე სახით გვევლინებიან ზემოგურულში, როგორც დამკვიდრებულა ქვემოიმერულში (ჩახანე, კარდალე და მისთ.). ზემოგურულში, ქვემოიმერულის მსგავსად, უ, ჩვეულებრივ, ნაწილობრივ იასიმილირებს წინამავალ ხმოვანს (დოუჭირა, შოუკრა), ხოლო ვნებითის მაწარმოებელი ე სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ა და ო ხმოვნებს და, როგორც წესი, დისიმილაციურ გავლენას ვერ ახდენს (დეეჭირა, მეეტანა). სხვა თვალსაზრისით ზემოგურულსა და ქვემოგურულს ვერ დავაცილებთ ერთმანეთს. მათ შორის არსებული ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური სხვაობა კილოკავის ფარგლებს არ სცილდება. ზემოგურული და ქვემოგურული ერთი მთლიანი კილოა ორი კილოკავისაგან შემდგარი. ეს ორი

¹ ი. გ. გ. ი. ნ. შ. ვ. ი. ლ. ი. გურული. — წიგნში: ი. გ. გ. ი. ნ. შ. ვ. ი. ლ. ი. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ი. ქ. ა. ვ. თ. ა. რ. ა. ძ. ე. ქართული დიალექტოლოგია, I (ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ს. რედაქციით, თბ., 1961, გვ. 414.

² უნდა იყოს „იმერხეულთან“.

³ არ. შ. ა. რ. ტ. ი. რ. ო. ს. ო. ვ. ი., ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 85.

⁴ ს. ე. დ. ე. ნ. ტ. ი., გურული კილო, ტფ., 1936, გვ. 42.

⁵ იქვე, გვ. 76.

კილოკავი ერთმანეთთან უფრო ახლოს არის, ვიდრე რომელსამე სხვასთან¹.

გურული დიალექტის იმერულთან მიმართების საკითხებზე საუბარია კლარა კუმლაშვილის მონოგრაფიაშიც „ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი“ (თბ., 1985, გვ. 47-48) და ამ სტრიქონების ავტორის სტატიაშიც „გურულისა და იმერულის ურთიერთობის საკითხისათვის“²

ზანური ფენა გურულში

ზანიზმებს გურულში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე, არნოლდ ჩიქობავა, სერგი ჟღენტი, იოსებ მეგრელიძე, ზურაბ სარჯველაძე და სხვ.

გურიის ტოპონიმიკურ სახელებში ივანე ჯავახიშვილი ადასტურებდა ზანური ფენის არსებობას და ამ გზით არკვევდა ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებულ რიგ ისტორიულ საკითხებს. იგი მეგრულის საშუალებით ხსნიდა გურიის სოფლებისა და მდინარეების ისეთ სახელებს, როგორცაა: ზიხანჯირი, ჯუმათი, ოჩხამური (მდ.), ოჭილაური, ჭყვიში, ჭყვიშაური, ჭანიეთი, გუმბაზეული (მდ.), კინტარიში (მდ.), ონჭიკეთი, ონჯოხეთი, ოცხენა და სხვ.³

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ნიკო მარმა წამოაყენა დებულება დასავლურ კილოებში, უმთავრესად გურულსა და ქვემოიმერულში, მეგრულ-ჭანური ფენის არსებობის შესახებ. ეს დასტურდება ტოპონიმიკაშიც“⁴. ნ. მარის ნაშრომებში არცთუ იშვიათია სათანადო მაგალითები⁵.

გურიის ტოპონიმებში ზანური ელფერის სახელებს იოსებ ყიფშიძეც ხედავდა (ორაგვე, ხოჯალია და სხვ.)⁶.

¹ გადაჭარბებული ჩანს აგრეთვე ქვემოგრულის ისეთი სიახლოვე აპარულთან, შესხურთან და იმერულთან, როგორც ნაგლისხვეია ამავე წიგნში გაკრით ნათქვამის მიხედვით (გვ. 76).

² ქესს, IV, თბ., 1974, გვ. 92-110.

³ ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, მეხუთე გამოცემა, თბ., 1960, გვ. 428 (პირველად გამოვიდა 1913 წელს).

⁴ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიგბანი ქართული დიალექტოლოგიის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 7.

⁵ Из Пиринско-Яской Грузии (К вопросу о металике): ИКИАИ, т. V, Тиф., 1927, გვ. 16 და სხვ. ანუ Изб. раб., т. IV, л., 1937, გვ. 3-52; მ ი ს ი ვ ე, Яфетические названия деревьев и растений (Pluralia tantum). – Известия Императорской Академии наук, VI серия, 1915, № 8, 9, 10, გვ. 769-780, 821-852, 937-950 და სხვა შრომები: ЗВО. т. XVI, вып. I, 1904, გვ. 166...

⁶ И. А. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского языка с хрестоматией и словарем, С.-Пб., 1914, გვ. XV.

არნოდდ ჩიქობავა აღნიშნავს, რომ „ზანიზმები უხვად არის წარმოდგენილი დღევანდელს გურულში. ამ მხრივ გურული ქვემოიგერულის მდგომარეობაშია“¹.

ამ საკითხს სპეციალური შრომები მიუძღვნეს სერგი ელენტმა, იოსებ მეგრელიძემ და ზურაბ სარჯველაძემ.

ს. ელენტი თავის მონოგრაფიაშიც („გურული კილო“, გვ. 9-28) 1936 წელს შეეხო გურულში არსებულ მეგრულ-ქანურ ფენას და გაანალიზა მთელი რიგი სიტყვები (ჯაფარიკა, ქვიჯა, ჯაშუტა, ჯარგვალი, დინაშხო, ჯინანჯირი, ორჩხუში და სხვ.). იქვე აღნიშნა, რომ საგრძნობია ზანურის გავლენა გურულზე. მისი თქმით, „გურულის გაბგერება ძირითადში შიშინა ჯგუფის ხასიათისა, ე. ი. იმ ჯგუფისა, რა ჯგუფსაც მეგრულ-ქანური ეკუთვნის“².

ამავე აზრს ეგვევ ავტორი უფრო დაბეჭიბებით გადმოსცემს დამატებითი მასალების მოპოვების შემდეგ, 1940 წელს, როცა საგანგებო ნაშრომი გამოაქვეყნა ამ საკითხის შესახებ. იგი ცდილობს გურული ზმნური ფუძეების ერთი წყება (გაჩხოტვა, მოწყობვა, გამოწყობული, გახიკინება, პუტუნა, წიკუნტალი და სხვ.) ახსნას მეგრულ-ქანურის ნიადაგზე. მთელი რიგი ზმნური ფუძეების გაანალიზების შემდეგ წერს: „გურულში შესული მეგრულ-ქანურის შიშინა ფენა იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მას ზოგ შემთხვევაში კიდევ დაუჩრდილავს გურულის ძირითადი ფენა“³.

1938 წელს იოსებ მეგრელიძემ ამ დიალექტის ზანური ფენის შესახებ გამოაქვეყნა ვრცელი ნაშრომი „Лазский и мегрельский слои в гурийском“ (М.-Л., 247 გვ.), რომელიც, მართალია, მეთოდოლოგიურად მიუღებელია, მაგრამ საინტერესო ლექსიკურ მასალასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შეიცავს ზანური ფენის გამოვლენის თვალსაზრისით. გაანალიზებულია ტოპონიმები, ნათესაობის ტერმინები, გვარები, შენობის ნაწილების სახელები, სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის ამსახველი ლექსიკა და სხვ.

ავტორი ამავე მიზნით იხილავს ქალთა გვარების -ფხე დაბოლოებას გურულში (აგრევეთე აქარულსა და იმერულშიც). იგი აღნიშნავს, რომ -ფხე აქაც ისევე გვხვდება, როგორც ზანურ ენაში⁴.

¹ ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ., 1936, გვ. 8.

² გურული კილო, გვ. 76.

³ ზანიზმები გურულ ზმნებში. — ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, თბ., 1940, გვ. 232.

⁴ И. В. М е г р е л и д з е, Жеиские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре. — „Памяти академика Н. Я. Марра“ (1864-1934/), М.-Л., 1938, გვ. 152-181;

„ფხე-ს“ პარალელურად „ხე-საც“ ადასტურებს გურულში პავლე ინგო-როყვა. ის წერს: „ტერმინი „ხე“ დღემდე შენახულა გადმონაშთის სახით ზოგი-ერთ ქართულ კილოში (ასე, კერძოდ, გურულ კილოში), სადაც იგი ჩვენ გვხვდება საგვარეულო სახელწოდებათა აღსანიშნავად; მაგალითად: ნაკაშიძე (ვაჟი), ნაკაში-ხე (ქალი)“¹. იქვე შენიშნავს, რომ „გურულში ეს ტერმინი წარმოდგენილია ორგვარი სახესხვაობით, როგორც „ხე“ და როგორც „ფ-ხე“: ითქმის „ნაკაში-ხე“ და „ნაკაში-ფხე“².

ზანიზმს გურულში ეხება ზურაბ სარჯველაძეც. იგი ზანიზმად მიიჩნევს ზანური წარმოშობის მხოლოდ იმ ლექსიკურ ერთეულებსა და აფიქსებს, რომლებსაც ქართულში დაეძებნება კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვი-სები. მას სადავოდ მიაჩნია ზემოთ დასახელებული ავტორების მიერ ზანიზმად ჩათვლილი სიტყვების დიდი ნაწილი³.

მეგრულ-ქანურთან გურულის (აგრევე სხვა დასავლური დიალექტე-ბის) მიმართების საკითხებზე, როგორც ზემოთ დავინახეთ, საუბარი ჰქონდათ სხვებსაც (პ. ჩაჭანიძესა და სხვ.).

გამოქვეყნებული გურული მასალები

არაენათმეცნიერული (ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და სხვა) მიზნით ჩაწერილი გურული ტექსტები და სხვა მასალები გამოქვეყნებულია ჯერ კიდევ ძველ ქურნალ-გაზეთებსა და კრებულებშიც. მათი რაოდენობა არ არის მცირე, მაგრამ ენათმეცნიერთათვის არსებითად გამოსადეგია მხოლოდ ლექსიკური თვალსაზრისით. ამ მასალებზე დაყრდნობით შეუძლებელია გურული დიალექტის ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებების დადგენა.

1897-1898 წლების ქურნალ „მოამბის“ ნომრებში (4, 10, 1, 2, 4, 6) და-ბეჭდილია თედო სახოკიას (1868-1956) მიერ ჩაწერილი „გურული „ქალვაჟიან-ნი“ და წერილების სერია — „გურია“⁴.

Лазский и мегрельский слон в туринском, გვ. 133-137; მ ი ს ი ვ ე, წიგნი აქარული კილოს შესახებ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებითურთ. — გაზ. „ლიტ. გაზეთი“, 1961, 13 იანვ., №3, გვ. 4.

¹ ძველი ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნეების ძეგლებში. — საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931 და 1932, 1933, ტფ., გვ. 282.

² იქვე, სქოლიო I.

³ ზანიზმები გურულში. — გორის სახელწიფო პედ. ინსტიტუტის შრ., X, თბ., 1965, გვ. 189-199.

⁴ „გურია“ მთლიანი სახით შესულია ავტორის კრებულში „მოგზაურობანი: გურია, აპარა, სამურძაყანო, აფხაზეთი“, თბ., 1950, გვ. 7-107.

1899 წლის „აკაკის თვიურ კრებულში“ (№10) მოთავსებულია ალ. მერკვილაძის მიერ ჩაწერილი „გურული ასახსნელები“.

1901-1902 წლების ჟურნალ „მოგზაურის“ ნომრებში გამოქვეყნებულია კონსტანტინე გვარამაძის ეთნოგრაფიული წერილები — „გურია“ (№1-10) და „სარკე გურულთა ცხოვრებისა ანუ გურულთა დახასიათება-ჩვეულებანი მოკლე ნაწყვეტებით“ (№11-12).

1907-1921 წლებში სისტემატურად იბეჭდებოდა გურული მეტყველების მასალები („გურული სცენისა“ და სხვა სახელწოდებით) იუმორისტულ ჟურნალებში („ემმაკის მათრახი“, „ჩვენი სალამური“, „მათრახი და სალამური“, „ემმაკი“ და სხვ.).

„ძველი საქართველოს“ IV ტომში, რომელიც გამოვიდა 1914-1915 წლებში, დაბეჭდილია კ. კალანდაძის მიერ „გურიაში შეკრებილი ზღაპრები“ (განყ. IV, გვ. 43-60).

გურული ტექსტები გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვედ მყოფი დავით ლომიძისაგან ჩაუწერია ავსტრიელ ენათმეცნიერს რობერტ ბლაიხშტაინერს (1891-1954) და გამოქვეყნებია გერმანული თარგმანითა და ლექსიკონითურთ 1931 წელს ჟურნალში „Caucasica“¹.

ენათმეცნიერული თვალსაზრისით არც ეს არის სანდო.

მეცნიერულად ჩაწერილი და შედარებით სანდო გურული ტექსტები (ფოლკლორული მასალები და სხვ.) გამოსცეს უფრო მოგვიანებით მიხეილ ჩიქოვანმა², იოსებ მეგრელიძემ³, გრიგოლ ჩხიკვაძემ⁴ და სხვ.

ენათმეცნიერული მიზნით ჩაწერილი სანდო გურული დიალექტური ტექსტები სათანადო ლექსიკონებითურთ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, წარმოადგინა ს. ქლენტმა თავის „გურულ კილოში“ (გვ. 95-200). 1937 წელს ალ. ლლონტმა გამოსცა „გურული ფოლკლორი, ტექსტები“ ლექსიკონითურთ

¹ B. B l e i c h s t e i n e r, Beiträge zur Sprach- und Volkskunde des georgischen Stammes der Gurien. — Caucasica, №№ 7, 9, Leipzig, 1931, გვ. 87-110.

² მის. ჩ ი ქ ვ ა ნ ი, ფირალის ეპოსი გურიაში. — კრ. „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, ტფ., 1934, გვ. 109-141.

³ И. В. М е г р е л и д з е, Новые собрания гурийского фольклора [Отчет командировки]. — Советский фольклор, Сборник статей и материалов, № 4-5, М.-Л., 1936, გვ. 432-433; მ ი ს ი ვ ე, Революция в грузинском фольклоре [Материалы, тексты]. — Советский фольклор, Л., 1934, გვ. 156-189.

⁴ გ რ . ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე, ქართული ხალხური სიმღერები, ტ. I, თბ., 1960.

(ნაწ. I, ტფ. 304 გვ.). შემდეგში გამოაქვეყნეს: 1956 წელს შოთა ძიძიგურმა¹, 1961 წელს ივანე გიგინეიშვილმა, ვარლამ თოფურიაშვილმა და ივანე ქავთარაძემ კოლექტიურად დაწერილ წიგნში², 1977 წელს პოლიკარპე ჯაჭანიძემ (ცალკე წიგნად)³ და 1985 წელს ელენე ნიკოლაიშვილმა⁴.

გურული დიალექტის ნიმუშები მოცემულია მთელ რიგს ენათმეცნიერულს, ისტორიულ-ეთნოგრაფიულს თუ სხვა ხასიათის შრომებშიც.

ლექსიკა

გურული მეტყველების ლექსიკის ნიმუშები ჯერ კიდევ 1873 წელს, გურია-აქარაში მოგზაურობის დროს, ჩაუწერია ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს (1830-1900) და ცალკეული დარგების მიხედვით შეუპირისპირებია ქართლ-კახეთის, იმერეთისა და აქარის სათანადო მონაცემებთან; რუსული თარგმანითურთ გამოუცია ხუთი წლის შემდეგ⁵.

გურული მეტყველებისათვის დამახასიათებელი სიტყვები განმარტებულითურთ არცთუ იშვიათად გვხვდება ამავე ავტორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის გამოკვლევაშიც, რომელსაც ეს მოკლე შედარებითი ლექსიკონი ერთვის, და მასში გამოქვეყნებულ დოკუმენტებსა და წარწერებშიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი „გურული“ სიტყვა (მაგ., ბორია „ნიავი“ და სხვ.), ვულგარული ქართულის სახელწოდებით, შეტანილი აქვს 1798 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ქართული ლიტერატურის შესახებ“ ავსტრიელ აღმოსავლეთმცოდნეს, ევრ. ქართველოლოგიის ფუძემდებელს, ფრანც ალტერს (1749-1804)⁶.

უნდა ითქვას ისიც, რომ რიგი დიალექტური სიტყვები თუ ფონე-ტიკური პროცესით შეცვლილი ფორმები, რომლებიც ჩვეულებრივია გურული-

¹ ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1956, გვ. 320-347.

² ქართული დიალექტოლოგია, I, ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 413-417 (ტექსტები), 662-668 (ლექსიკონი).

³ გურული ტექსტები, ლექსიკონის მასალები, თბ., 1977, 158 გვ.

⁴ გურული ტექსტები [ლექსიკონითურთ] (ჩაწერილი ე. ნიკოლაიშვილის მიერ 1962 წელს მახარაძის რაიონში). — იყე, XXIV, თბ., 1985, გვ. 140-167.

⁵ Археологические путешествия по Грузии и Адчаре, С.-Пб., 1878, XX + 370 с. [Приложение I. Краткий сравнительный словарь говоров Карталино-Кახстии, Имеретин, Гурии, Кобулетн (Чурук-су) и Адчарии, с. 162-191].

⁶ Fr. A l t e r, Uber Georgianische Literatur, Wien, 1798, გვ. 131-164.

სათვის, გვხვდება მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1629 წ., 1643 წ.) რომში გამოქვეყნებულ პირველ ქართულ ნაბეჭდ შრომებში — სტეფანო პაოლინის მიერ ნიკიფორე ირბახის დახმარებით შედგენილ ქართულ-იტალიურ ლექსიკონში (ბორია, ბრავალი, გემბრიელი და სხვ.)¹ და ლათინურ ენაზე გამოსულ ფრანცისკ მარია მაჯოს ქართული ენის გრამატიკაში (თებზი, აკეც „აკეთს“, ოზურგეც „ოზურგეთს“ და მისთ.)².

ამ შრომებში, როგორც ცნობილია, არის უხეში შეცდომები, გამოწვეული ქართული ენის უცოდინარობით, მაგრამ დასახელებული მაგალითების შეტანა ამით არ აიხსნება.

გურული დიალექტის თავისებური სიტყვები ცალკე ლექსიკონის სახით გამოაქვეყნეს ვლადიმერ ბზვანელმა 1900 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№172) და კონსტანტინე გვარამაძემ 1901 წლის ჟურნალ „მოგზაურში“ (№10, გვ. 946-952).

1938 წელს დაიბეჭდა დამსახურებული მასწავლებლის — გიგო შარაშიძის (1843-1932) — მიერ შედგენილი „გურული ლექსიკონი“³, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ძველი ყოფა-ცხოვრების ამსახველი სიტყვების გამომწეურებით.

1957 წელს პ. ჭაჭანიძემ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის „შრომების“ მეჩვიდმეტე ტომში დაბეჭდა „მასალები გურული ლექსიკონისათვის“ (გვ. 509-523). იგი შეიცავს იმ სიტყვებს, რომლებიც არ არის შესული დაბეჭდილ ლექსიკონებში. „ლექსიკონის მასალები“ ერთვის ამავე ავტორის მიერ 1977 წელს ცალკე წიგნად გამოცემულ „გურულ ტექსტებს“ (გვ. 63-151). პ. ჭაჭანიძემ სპეციალური მოხსენებაც მიუძღვნა ამ კილოს ლექსიკას და გამოაქვეყნა თეზისები — „გურული დიალექტის ლექსიკონი“⁴.

გურული სიტყვების ლექსიკონი ახლავს: ს. ედენტის „გურულ კილოს“ (გვ. 207-262), ალ. ღლონტის „გურულ ფოლკლორს“ და აგრეთვე ე. ნინოშვილის თხზულებებს, გამოცემულს სიმონ ხუნდაძის რედაქციით (თ. კიკვიძის მიერ შედგენილი ლექსიკონითურთ)⁵; „პარტახს“, რომელიც ხელნაწერის მიხედვით შესწორდა და ცალკე გამოვიდა 1935 წელს ა. შანიძის რედაქციით,

¹ პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, თბ., გამომცემლობა „ხელოვნება“, 1983, გვ. 305, 308.

² იქვე, გვ. 518, 527.

³ ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიქველური და ლეჩხუმური ლექსიკონები, პრაღა. ე. ბ. ე. რ. ი. ძ. ი. ს რედაქციით, თბ., 1938, გვ. 1-96.

⁴ ქუთ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის XXVIII სამეცნ. სესია, თეზისები, ქუთაისი, 1965, გვ. 157.

⁵ ტ. I, ტფ., 1930, გვ. 251-277; ტ. II, ტფ., 1932, გვ. 271-290.

დაერთო ქ. ლომთათიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი (გვ. 85-117).

ეგნატე ნინოშვილის ნაწერებში შესული გურული ლექსიკა და გამო-
ნათქვამები გაანალიზებული აქვს ალ. ლლონტს სტატიის „დიალექტური
ლექსიკა მწერლის თხზულებაში“¹ და წერილში „ეგნატეს ენა“².

ქართულ პროზაში გამოყენებული გურული დიალექტური ლექსიკა
ყოველმხრივ განხილული აქვს ნადია საბაშვილს. მასთან დაკავშირებული ძი-
რითადი საკითხები ასახულია მისი საკანდიდატო შრომის ანოტაციურ ნაწილში³.

გურულ ლექსიკასა და გამონათქვამს ეხება მიხეილ ალავეიძე შრომაში
„ქართული დიალექტური ლექსიკიდან“⁴, წერილში „შორეული ლანდების
ლექსიკა“⁵ და აგრეთვე სხვაშიც იმერულისა და რაჭულ-ლეჩხუმურის გვერ-
დით.

ზოგიერთი გურული სიტყვა (აჭარულთან საზიარო) შეტანილი აქვს
იოსებ მეგრელიძეს აჭარულ „მოკლე ლექსიკონში“, რომელიც ერთვის ჭემალ
ნოლაიძელის ერთ-ერთ კრებულს⁶.

შინამრეწველობასა და ხელოსნობასთან დაკავშირებული გურული
ლექსიკა უზვად არის წარმოდგენილი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით
შეკრებილ მასალებში⁷.

გურიაში გავრცელებული ვაზის ჯიშების სახელწოდებები (ჭუმუტა,
ოფოურა, საკმიელა და სხვ.) მოცემული აქვს მაქსიმე რამიშვილს წიგნში „გუ-
რიის, სამეგრელოს და აჭარის ვაზის ჯიშები“ (თბ., 1948, გვ. 51-115).

გურული დიალექტის დარგობრივ ლექსიკას რამდენიმე შრომა მიუ-
ძღვნა ზინაიდა ტულუშმა. მან საკმაო რაოდენობით გამოავლინა, შეაგროვა
და გაანალიზა გურიაში გავრცელებული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა
დარგთან და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული საინტერესო ლექსიკა.

¹ სტალინის სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრ., VII, თბ.-სტალინური, 1959, გვ. 301-314.

² გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1934, 12 მაისი, №108.

³ Гурийская диалектная лексика в грузинской прозе (Автореферат канд. дисс.), Тб., 1954, 18 с.

⁴ ქულ. სახელმწ. პედ. ინსტიტუტის შრ., XXIV, ქუთაისი, 1962, გვ. 279-291.

⁵ გაზ. „ქუთაისი“, 1961, 15 დეკ., №246 (8066), გვ. 3.

⁶ ნარკვევები და ჩანაწერები, I, კრებული გამოსაცემად მოამზადა, რედაქცია გაუკეთა,
წინასიტყვაობა, კომენტარები და შენიშვნები ლექსიკონითურთ დაურთო პროფ. იოსებ
მეგრელიძემ, ბათუმი, 1971, გვ. 243-262.

⁷ მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ივ.
ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, 5 ტომად. ტ. I, თბ., 1976, გვ. 404-414, 452-453; ტ.
II, ნაწ. I, თბ., 1979, გვ. 247-251; ტ. II, ნაწ. II, თბ., 1982, გვ. 234-237; ტ. III, ნაწ. I, თბ., 1983, გვ.
252-257; ტ. III, ნაწ. II, თბ., 1986, გვ. 217-227; ტ. IV, ნაწ. I, თბ., 1986, გვ. 226-229; ტ. IV, ნაწ. II,
თბ., 1987, გვ. 33-35, 66-68; 148, 241-242; ტ. IV, ნაწ. III, თბ., 1989, გვ. 64-66, 160-166, 227-228.

მის წერილში „მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში“¹ თავმოყრილია ამ დარგის საქმიანობის ამსახველი შესანიშნავი ტერმინები ლანჩხუთის რაიონის ცამეტი სოფლის მეტყველების მიხედვით.

მიწის სამუშაოებთან დაკავშირებული სპეციფიკური გურული სიტყვები განხილულია ამავე რაიონში (აგრეთვე ცამეტ სოფელში) მოპოვებული მასალების მიხედვით სტატიაში „ნიადაგებთან და მიწის საყანედ მომზადებასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში“². დაზუსტებულია თითოეული სიტყვის სემანტიკა, ტერმინების სინონიმური ბარალელები და მათი გავრცელებულობა.

გურულის დარგობრივი ლექსიკის შესახებ ზ. ტულუშმა წაიკითხა არა ერთი და ორი მოხსენება სამეცნიერო სესიებზე და გამოაქვეყნა მათი თეზისები.

თეზისებში — „ოჯახური და ნათესაური ურთიერთობის ამსახველი ლექსიკა გურულში“³ — ჩანს, რომ ამ თვალსაზრისით მას ლანჩხუთის რაიონის მკვიდრთა მეტყველება გულდასმით შეუსწავლია, გამოუვლინებია და გაუანალიზებია ამ დარგთან დაკავშირებული მთელი რიგი ცალკეული ლექსიკური ერთეულები (მესისხლე, სასიკეთო, განაყოფი; ჩხო, სანჩხვე) და გამონათქვამები (ძუძუს ტირილი, ქალის დამწიფება, ქმარზე სიარული) და სხვ.

ასეთივე გულმოდგინებით განხილვის შედეგები ჩანს მის სხვა დაბეჭდილ თეზისებშიც, რომელთა სათაურებია: „ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ლექსიკა გურულში“⁴, „მემინდვრეობასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში“⁵, „შინაურ ცხოველთა ამსახველი ლექსიკა გურულში“⁶, „მოსავლის აღებასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში“⁷, „გურული სალექსიკონო მასალა“⁸, „რთვა-ქსოვის ლექსიკა გურულში“⁹, „შინაური ფრინველ-პირუ-

¹ კრ. „ქართული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, III, თბ., 1981, გვ. 56-62.

² იკვ. XXV, თბ., 1986, გვ. 183-189.

³ ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საინსტიტუტთაშორისო სამეცნიერო სესია, 5, (თეზისები), თბ., 1985, გვ. 87.

⁴ IV რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1982, გვ. 45-46.

⁵ სპკ. სპრ პედ. ინს-ების ახალგ. მეცნ. და ასპირ. IV რესპ. კონფერენცია, თეზისები, თბ., 1983.

⁶ V რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1983, გვ. 24.

⁷ VI რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1984, გვ. 19-20.

⁸ VII რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1985, გვ. 19.

⁹ პროფესორ-მასწავლებელთა საინსტიტუტთაშორისო სამეცნიერო სესია, 52, თეზისები, თბ., 1986, გვ. 94-95.

ტყვის თვისებების ამსახველი ლექსიკა გურულში¹.

გურული დიალექტური ლექსიკის თაობაზე ელენე ნიკოლაიშვილმა მოამზადა რამდენიმე მოხსენება და დაბეჭდა მათი თეზისები: „გურული კილოს ლექსიკონის შედგენისათვის“², „გურული ლექსიკა რევოლუციამდელ ქართულ იუმორისტულ პრესაში“³, „გურული დიალექტის ლექსიკის შესწავლისათვის“⁴, „შინაური ფრინველებისა და ცხოველების ამსახველი ლექსიკა გურულში“⁵, „ქართულთან საზიარო ლექსიკა გურულში“⁶.

ამ თეზისების მიხედვით ირკვევა, რომ ავტორს გურული დიალექტის ლექსიკის შესწავლის მიზნით უმუშავია ადგილზეც და გამოუყენებია წერილობითი წყაროებიც.

გურული ეთნოგრაფიული ტერმინები შესულია მასწავლებელ მამალაძის⁷, კონსტანტინე გვარამაძის⁸, აპოლონ წულაძის⁹, ექვთიმე თაყაიშვილის¹⁰, გიორგი ჩიტაიას¹¹, ალექსი რობაქიძისა¹² და სხვათა ეთნოგრაფიულ ნაწერებში.

ანალოგიური ხასიათის ტერმინები და გურული დიალექტისათვის დამახასიათებელი სხვა სიტყვები წარმოდგენილია აგრეთვე დიმიტრი ბაქრაძისა და თედო სახოკიას შრომებშიც, რომლებსაც ზემოთ შევხვებით.

¹ VIII რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1986, გვ. 47-48.

² II რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1980, გვ. 27.

³ IV რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1982, გვ. 23-24.

⁴ VI რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1984, გვ. 17-18.

⁵ VIII რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1986, გვ. 36.

⁶ IX რესპ. დიალ. სესია, თეზისები, თბ., 1987, გვ. 38.

⁷ Народные обычаи и поверья гуринцев. — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 17, Тифл., 1893, Отд. II, гв. 15-125.

⁸ გურია. — ეურნ. „მოგზაური“, 1901, №№11-10; მისივე, სარკე გურულთა ცხოვრებისა ანუ გურულთა დახასიათება ჩვეულებანი მოკლე ნაწყვეტებით. — იქვე, 1902, №№11-12, გვ. 798-808; მისივე, ანდაზები და სიტყვის მასალები (სამესხეთოსა და გურიაში შეკრებილი კონსტ. გვარამაძის მიერ). — „ძველი საქართველო“, ტ. III, ტფ., 1913-1914; განყ. II, გვ. 290-307.

⁹ გურია (ეთნოგრაფიული აღწერა). — ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1927, №2, გვ. 99-115; მ ი ს ე ვ, ეთნოგრაფიული გურია. — ეურნ. „მნათობი“, 1939, №3, გვ. 176-190.

¹⁰ მოგონებანი (ჩაწერილი გ. ლომთათიძის მიერ). — ეურნ. „მნათობი“, 1958, №№4, 7, 11, 12; 1959, №№1, 5, 7, 9 (სულ — 13 ნაკვეთად).

უფრო სრულად შევიდა ავტორის „რჩეულ ნაშრომებში“, ტ. I, თბ., 1968, გვ. 189-423.

ყურადღებას იქცევს სიტყვები: „თახსნიერი“, „უხსნიერი“ (გვ. 285), „ცულქორა“, „თვალშავი“, „მარჯანი“, „ფორლული“ (გვ. 223-224), „ჩაპურება“ (გვ. 221) და სხვ.

¹¹ მასალები საქართველოს სახენული იარაღის ისტორიისათვის. — საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V, ტფ., 1930, გვ. 262-286.

¹² მიმინოთი ნადირობა გურიაში. — საქ. სსრ მეცნ. აკადემიის აკად. ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმოხილველი, ტ. I, თბ., 1949, გვ. 157-185.

გურული დიალექტის ლექსიკური მასალა შეტანილია ალ. ღლონტის მიერ შედგენილ „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“¹. იგი შეიცავს თვით შემდგენელის მიერ მოპოებულსა და სხვა დიალექტური ლექსიკონებიდან ამოკრებილ სიტყვებსაც სათანადო წყაროებზე მითითებითურთ.

გურული დიალექტური სიტყვები შესულია ვუკოლ ბერიძისა² და ილია ჭყონიას³ ლექსიკონებშიც.

გურული დიალექტის ზოგიერთმა სიტყვამ ადგილი პოვა არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოცემულ რვატომეულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (თბ., 1950-1964).

გურულ ლექსიკას არცთუ იშვიათად იყენებს ბიძინა ფოჩხუა თანამედროვე ქართული ლექსიკის შედგენილობისა და ისტორიის საკითხების შესახებ გამოქვეყნებულ წიგნში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ (თბ., 1974, 402 გვ.).

გურიის ზოგიერთი ტობონიმის შესახებ მსჯელობს ზურაბ ჭუმბურიძე წიგნში „რა გქვია შენ?“ (თბ., 1971)⁴ და სხვ.

ზოგიერთი მცენარის გურული სახელწოდება (ბურჩხილწალაყინი, კურკანტელა||ლიცვი, მაკიდონი||მაკიდო, ცოცხა-ცოცხა||ცახა-ცახა, რძია-რძია, ჭიჭილაყა და სხვ.) შესულია ალექსანდრე მაცაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ (თბ., 1949, 1961).

აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები გურულში

გურულ დიალექტურ მეტყველებაში დამკვიდრებული არაბულ-თურქულ-სპარსული წარმოშობის სიტყვები შეისწავლა და განიხილა ნუნუ გურგენიძემ თავის წიგნში — „აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აქარულსა და გურულში“ (თბ., 1973, 170 გვ.), რომელშიც ცალ-ცალკეა გამოყოფილი სხვადასხვა წარმოშობის ლექსიკური ერთეულები და მოცემუ-

¹ ტ. I, ა-ბ, თბ., 1974, 398 გვ.; ტ. II, ნ-პ, თბ., 1975, 412 გვ.; მეორე გამოცემა, თბ., 1984, 800 გვ.

² სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, პეტერბურგი, 1912, VII — 76 გვ.

³ სიტყვის-კონა (სულხან-საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები), პეტერბურგი, 1910, VII — 74 გვ.

⁴ ამის შესახებ: ა. კ ი რ ც ხ ა ლ ი ა, საინტერესო ნაშრომი. — გაზ. „ლენინის დროსა“ (ოზურგეთი), 1972, 27 იანვ.; მ ი ს ი ვ ე, „რა გქვია შენ?“ — გაზ. „კომუნისმის განთიადი“ (ჩოხატაური), 1972, 3 თებ.

ლია მათი ფონეტიკურ-გრამატიკული ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღე-
ბა ექცევა სიტყვაწარმოებას, არაქართული ფუძისაგან ქართული მორფემე-
ბით სიტყვების გაფორმებასა და სხვ.

ეგვე საკითხი მოკლედ განხილულია მის სხვა შრომებშიც¹.

სპარსული წარმოშობის ლექსიკაზე გურულში (და აგრეთვე იმერულ-
ში, ლეჩხუმურსა და აჭარულში) საუბარია თ. მგალობლიშვილის მოხსენების
თეზისებშიც².

საკვალთფიკაციო ნაშრომები

გურული დიალექტის შესახებ დაიწერა ოთხი საკანდიდატო და ერთი
სადოქტორო ნაშრომი. ესენია: И. В. Мегрелидзе, Мегрельский и лазский
слои в гурийском (Тезисы диссертации на степень кандидата наук), /Л./,
1935, 5 გვ.; С. М. Жгенти, Гурийский говор грузинского языка
(Исследование, тексты, словарь) (Тезисы диссертации на степень
кандидата наук), /Л., 1935/, 3 გვ.; აღ. ღლონტი, გურული ლექსიკა (თეზისე-
ბი მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმო-
დგენილი სადისერტაციო ნაშრომისათვის), ტფ., 1936, 10 გვ.; Н. Л.
Сабашвили, Гурийская диалектная лексика в грузинской прозе (Авторе-
ферат канд. дисс.), Тб., 1954, 18 გვ.; П. П. Джаджанидзе, Гурийский диа-
лект в отношении к аджарскому (Авторсферат диссертации на соискание
ученой степени доктора филологических наук), Тб., 1970, 44 გვ.

¹ თურქული ენობრივი ელემენტების შესახებ აჭარულსა და გურულში. — მაცნე, თბ., 1967, 4
(37), გვ. 298-319; მ ი ს ი ვ ე, თურქული ელემენტები გურულ კილოში. — თსუ სტუდ. XXII
სამეცნ. კონფერენცია, თეზისები, თბ., 1960, გვ. 133-134; მ ი ს ი ვ ე, Турецкие лексические
элементы в юго-западных грузинских диалектах. — Совещание по общим вопросам
диалектологии и истории языка (Тезисы, Баку, 21-24 октября 1975 г.), Москва, 1975, стр.
166.

² თსუ სტუდ. XXV სამეცნ. კონფერენცია, ენათმეცნ. სექცია, თეზისები, თბ., 1963, გვ. 9.

ზოგადი დახასიათებისა და შესწავლის ისტორიის შესახებ

გურული დიალექტის ზოგადი დახასიათება მოკლედ მოცემული აქვს ივ. გიგინეიშვილს¹, ხოლო ვრცელი სისტემური აღწერა — ბ. ჯორბენაძეს². შესწავლის ისტორიის საკითხებს ეხებიან შ. ძიძიგური³ და არ. მარტიროსოვი⁴.

გურული ლექსიკის შესწავლის ისტორია წარმოდგენილია ალ. ღლონტის ქართული ლექსიკოლოგიისადმი მიძღვნილ შრომებში⁵ და ე. ნიკოლაიშვილის სტატიაში „გურული ლექსიკის შესწავლისათვის“⁶. ნაჩვენებია, თუ რა გაკეთდა ამ ხაზით.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

გურულს, ქართული ენის სხვა დიალექტებთან ერთად, ყურადღებას აქცევდნენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები ჭერ კიდევ მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებშიც; იყენებდნენ გურულისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს, აქვეყნებდნენ ამ დიალექტის მეტყველების ნიმუშებს და ცალკე ლექსიკონის სახითაც კი ბეჭდავდნენ გურულ სიტყვებს. მაგრამ მოზრდილი მოცულობის ლექსიკონი და სერიოზული ენობრივი მიმოხილვა არ გვექონია მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა გურულის შესახებ გამოქვეყნდა 1936 წელს, ხოლო მოზრდილი მოცულობის ლექსიკონი — 1938 წელს. პირველი ეკუთვნის ს. ჟღენტს, ასახავს გურულის მთავარ ენობრივ თავისებურებებს, ხოლო მეორე შედგენილია გ. შარაშიძის მიერ, შეიცავს გურული მეტყველების საყურადღებო ლექსიკას. მაგრამ არც ენობრივ მიმოხილვაშია მთელი გურულის ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური მოვლენები სრულყოფილად გაანალიზებული და არც მეორეშია მოცემული ვრცლად გუ-

¹ ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I (ქართული ენის კილოთა მოკლე განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქციით, თბ., 1961, გვ. 413-417.

² ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 514-539.

³ ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის. — ტსუშ, III, პირველი სერია: საზოგადოებრივ-მეცნიერებათა, თბ., 1936, გვ. 310-328 (შესულია წიგნში „ძიძიგური ქართული დიალექტოლოგიიდან“, თბ., 1954, გვ. 25-27).

⁴ ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ., 1972, გვ. 85-92.

⁵ ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 256-257: მ ი ს ი ე ე, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964, გვ. 196 (ამ წიგნში მოცემულია ლექსიკის ნიმუშებიც, გვ. 59).

⁶ ივე, XXVI, თბ., 1987, გვ. 172-180.

რული ლექსიკა.

ამ ორი შრომის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო გურული დიალექტის დაწვრილებით შესწავლა ხეობებისა და სოფლების მიხედვით; დაიბეჭდა საყურადღებო გამოკვლევები და ენათმეცნიერული თვალსაზრისით ჩაწერილი სანდო ტექსტები სათანადო ლექსიკონებითურთ. გურულს მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო მოხსენება და გამოქვეყნდა მათი თეზისები, რომლებშიც ასახულია გურულის ფონეტიკურ-გრამატიკული თუ ლექსი კური თავისებურებები რეგიონების მიხედვით. მოცემულია მიმართება ქართული ენის სხვა დიალექტებთან და ზანური ენის მეგრულ-ქანურ კილოებთან. გამოვლენილია ზანური სუბსტრატი და სხვ.

შესწავლილ იქნა მწერლობაში გამოყენებული გურული ზმნებიც.

გურულის შესახებ დაიწერა რამდენიმე საკვალიფიკაციო ნაშრომიც.

მეორე ნაწილი

გურული დიალექტის მიმოხილვა

შესავალი

გურული დიალექტის შესახებ არსებული ლიტერატურის განხილვიდან ჩანს, რომ ამ ენობრივი ერთეულის თავისებურებებით ბევრი მკვლევარი დაინტერესებულა და დაუწერიათ საყურადღებო გამოკვლევები. მაგრამ გურულის შესწავლა ამით არ დამთავრებულა. მის შესახებ მომავალშიც ბევრი დაიწერება.

გურული არის ქართული ენის ერთ-ერთი რთული დიალექტი, რაც შეპირობებულია მასზე მეტყველი ხალხის ისტორიით, ენის (დიალექტის) განვითარების შინაგანი კანონებითა და აგრეთვე სხვა მიზეზებით, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ უცხოური ენებისა და მეზობელი კუთხეების მეტყველების გავლენა. ექვს არ იწვევს არაბულ-თურქულ-სპარსულ-ბერძნული წარმოშობის სიტყვებისა და ზანური ფენის არსებობა ამ კილოში.

გურული, როგორც ცნობილია, ყურადღებას იქცევს არქაიზმებით, ერთი მხრით, და ნეოლოგიზმებით, მეორე მხრით. ეს შეინიშნება მის ყველა რგოლში: ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც, სინტაქსშიც და ლექსიკაშიც.

ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ კილოკავებისა და თქმების მიხედვით ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ შეუსწავლელია, ან ნაკლებად არის შესწავლილი, ან კიდევ მოითხოვს შესწორებასა და დაზუსტებას. ამის საშუალებას ჩვენ გვაძლევს ადგილობრივ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება, ჩვენ მიერ ჩაწერილი გურული მასალების ანალიზი, ჩვენი თანამედროვე ენათმეცნიერების (ს. ჟღენტის, ალ. ლლონტის, შ. ძიძიგურის, ი. ვ. გიგინეიშვილის, პ. ჭაჭანიძის, ი. მეგრელიძის, ელ. ნიკოლაიშვილისა და სხვათა) მიერ გამოქვეყნებული ტექსტები, „შინამრეწველობის მასალები“ (აკად. ივ. ჭავჭავაძის საერთო რედაქციით), ე. თაყაიშვილის „მოგონებანი“, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში დაცული გურული ტექსტები და სხვ.

გურული მეტყველების მასალები, რომლებიც ადრე დაიბეჭდა ძველ პერიოდულ გამოცემებში და ცალკე კრებულების სახითაც, ფონეტიკურ-გრამატიკური თვალსაზრისით არ არის სანდო.

გურული დიალექტის თავისებურებანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეტ-ნაკლებად ასახულია ეგნატე ნინოშვილის, არსენ მამულაშვილის (ლალიონის), ნინო ნაკაშიძის, პანტელეიმონ ჩხიკვაძის, ნოდარ დუმბაძისა და სხვათა თხზულებებში. მაგრამ ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა საშუალო საუკუნეთა ქართული ლიტერატურის ძეგლი „რუსუდანიანი“. მასში ნათლად ჩანს, რომ მთელი რიგი ფონეტიკურ-გრაამატიკული და ლექსიკური ხასიათის მოვლენები, რომლებსაც ახლაც ცხვდებით გურულში, ჩვეულებრივი ყოფილა საშუალო საუკუნის გურულ მეტყველებაშიც; დიდი ხნის ისტორია ჰქონიათ მათ; მაგ.: ხუმბრობა, ხუმბრა, გემბრიელი, გაამჟავრებს, დღემანდელი, ფხარი, ჭანგი, ლურბელი, შივედრა, წიქცა, ჩეიარა, ეეიყრებით, შამოგვერტყა, თვითან, იმდონი, წახან, ლაბაროკი, ვარესი, სიმაური, დახევა, ახყარა, მიდღეჩი, სამიდღეჩიოდ, წერილა მიწერა, თავდაბლა ეთაყვანა, წავიდა დედოფოლმა, გაჭავრდა დევმა, ქონდენ, მოუნდებოდენ, რეგვენი (= ახალგაზრდა), ვჩივი (= ვამბობ), წააზმანა (= წააზომა, დააზომა), ყორიფელი, რავა, რავალი და სხვ¹.

გურული მდიდარია ენობრივი თავისებურებებით.

ფონეტიკური თავისებურებანი ბგერითი შედგენილობა

ბგერით შედგენილობაში გურული ისეთს არაფერს შეიცავს, რაც სხვა კილოებისათვისაც არ იყოს ჩვეულებრივი. დასტურდება **ღ** (იოტი), წყვილბაგისმიერი **ჟ** და ხშულმსკდომი **ც**. პირველი მიიღება სრულხმოვანი **ძ**-საგან. გვხვდება ზოგიერთი ფუძეხმოვნაინი სახელის სახელობითი ბრუნვის ნიშნად ან (შედარებით იშვიათად) ნათესაობითისა და მოქმედებითის ბრუნვის ნიშნის შემადგენელ ელემენტად ოზურგეთის რაიონის რიგი სოფლების მეტყველებაში (ჭილოფაჲ, ჭილოფაჲთ, ჭილოფაჲს). ძველი ქართულის წყილბაგისმიერი უმარცვლო **ჟ** (ჟ) გვენახება ზოგჯერ (ჩვეულებრივ, თანხმოვნების უშუალო მომდევნოდ არალაბიალური **ა** და **ე** ფართო ხმოვნების წინ) უმთავრესად ჩონატაურის რაიონის ან მისი მეზობელი სოფლების მეტყველებაში

¹ ივ. გიგინეიშვილი, „რუსუდანიანი“. — წიგნში „რუსუდანიანი“, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957, გვ. XXVII-XXVIII.

(თქმა, წაართმა, ჩააცუნენ, დაწუნენ)¹. ასევე ზოგჯერ (ამავე პოზიციაში) რამდენსამე სიტყვაში მთელი გურულის მასშტაბით შეინიშნება კბილბაგისმიერი ვ-ს გაწვილბაგისმიერება (ქტაი — ქვაი, განჭჭარება — განჭვარება — განჭავრება, განჭვარდა — განჭვარდა — განჭავრდა). ა და ე ხმოვნების შემდეგაც ხდება ვ-ს გაწვეილბაგისმიერება აქა-იქ (მთელ გურულში) ზოგიერთ სიტყვაში (გამაჟლობაში — განმავლობაში, ბეტერი — ბეერი). სიტყვაში „შუა“ და ზოგიერთი სხვაშიც უ ხმოვანი შეიძლება იქცეს წყვილბაგისმიერ უმარცვლო ჟ-დ (შტა — შუა, სამშაოზე —|| სამშაოზე, შამშალეა —|| სამშალეა)². **ჟ** ჩნდება მხოლოდ შორისდებულებსა და უარყოფის ნაწილაკებში (**ჟაჰ**, **ჟოჰ**, **ჟუჰ**, **არჟ**)

ფონეტიკური პროცესები

გურულში დასტურდება მრავალნაირი ფონეტიკური მოვლენა. ამ მხრივ ამ კილოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ენის დიალექტთა შორის. ცვლილებას განიცდიან მეტ-ნაკლებად ხმოვნებიცა და თანხმოვნებიც.

გურულში ფონეტიკური პროცესები, მართალია, მრავალფეროვანია, მაგრამ თითქმის ყველა ექვემდებარება გარკვეულ კანონზომიერებას.

ასიმილაცია

გურულის ფონეტიკურ მოვლენათა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ასიმილაცია. იგი მეტ-ნაკლებად დასტურდება გურიის ყველა სოფლის მეტყველებაში. დამსგავსება ხდება რაგვარობისა და წარმოების ადგილის მიხედვით. ასიმილაცია ხდება ხმოვანთა შორისაც და თანხმოვანთა შორისაც. იგი შეიძლება იყოს პროგრესულიცა და რეგრესულიც, კონტაქტურიცა და დისტანციურიც, სრულიცა და ნაწილობრივიც.

¹ არ არის გამოიციხული უ-ს განხმოვნების შემთხვევაც: სუამდენ (ნაბელაევი).

² ვ-ს პარალელურად (მის ნაცვლად) არცთუ იშვიათად გვხვდება პოზიციურად უ (ხმოვანი): გამაჟლობა (განმავლობა) შთამაჟლობა||ჩამაჟლობა (შთამომავლობა), განჭუარება (გაჭავრება) და სხვ.

ხმოვანთა ასიმილაცია

მთელ გურულში გავრცელებულია პრევერბისეულ ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია ფორმანტისეულ მომდევნო ხმოვნებთან.

სასხვისო ქცევის მაჩვენებელი და უარყოფითი მიმღობისეული უ იმსგავსებს წინამავალ პრევერბისეულ ხმოვანს სრულად ან ნაწილობრივ. ქვემოგურულში ბატონობს სრული სახის დამსგავსება, ხოლო ზემოგურულში — ნაწილობრივი.

აუ — ოუ: ოუხსნის (ბუქნარი), გოუშვეს (ვაკიჯვ.), აქანე ვინცხას ყავარი დ ო უ ხ თ ი ა და დ ო უ ბ ე ლ ლ ა ვ ს (ნაბელლაევი), წოუქრია, წოუკიდებია (ზიდისთ.), ჩოუშობდით (ნაბელლაევი, მალ. ეწერი, დვაბზუ), გადოურჩა (დიდი ვანი), გადოურჩენელი (უკანავა), გადოუტანელი და სხვ.

მსგავსი მაგალითები ჩვეულებრივია ზემოგურულში, მაგრამ არ არის უჩვეულო ქვემოგურულისათვისაც. ამ სახის ასიმილაციას პრევერბებში არც თუ იშვიათად ვხვდებით ქვემო გურულში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში (ჩოლაბარგი, ქვიანი, ასკანა, მთისპირი, ნაგომარი, ძიმითი, ქანჭათი და სხვ.).

ეს გარდამავალი საფეხურის ასიმილაცია (აუ — ოუ) ქვემოგურულში ძალიან ხშირად და ზემოგურულში შედარებით ნაკლებად წარმოდგენილია დასრულებული სახით (აუ → ოუ → უუ): უუფუტო უნდა (ქვემო აკეთი), თვალს ვერ უუსტვენდი (შრომა), უუკიდებდით (შემოქმ.), უუჯანყეთ (ქვენობანი, ს. ე.¹, 170, 33), გუუჩენია (ქვემო აკეთი), გუურბოდენ (ასკანა), გუუშუენ (ქალისუბანი), წუუსვამო (ლაშისღელე), ჩუუშოფთ ჭურში (დვაბზუ), დუუდამენ (დობიროსუბანი), გადუუხადა (ზ. ნატ.), თავდუუბანელი (შუხუთი), თავდუუხსნელი (ჩოლაბარგი), დუუწვაკი (გურიანთა) და სხვ.

ანალოგიურ ცვლილებას განიცდის ეუ კომპლექსიც. პრევერბისეული ე ისევე ემსგავსება მომდევნო უ-ს მთელ გურულში, როგორც ა; მაგ.: შოუკრა (ბუქნარი), შოუყერა (დიდი ვანი), შოუყვარდა (ნაბელლაევი), შოუფარებია თავი (საბერიშვილო, შუა სურები), ჩვენ ძველს შ ო უ ჭ რ ი ა ლეკურზე თითი და დოუძახეს თითიეი (შუხუთი); შუუფარებია თავი (დვაბზუ), ჩვენ შუუ-

¹ ს. ე. — ს. ე დ ე ნ ტ ი, გურული კილო. ტფ., 1936.

ყარეთ თავი ნათესავეფს (ქვ. ნატ.), შუუსრულა (ლაშისღელე), შუუნთეფთ ცეხს (ჰყონაგორა), შუუბრალებელი (შუხ.) და სხვ.

ურ სუფიქსის უ ხმოვანი მთელ გურულში იმსგავსებს მხოლოდ ნაწილობრივ წინამავალ ა და ე ხმოვნებს ნაწარმოებ სიტყვებში; მაგ.: აქაური (— აქაური), იქაური (— იქაური), სიღოური (— საღაური), წროულს (— წრეულს — წლეულს), ცოლოური და სხვ.

ეს სიტყვები ჩვეულებრივ ამ ფორმით იხმარება მთელ გურულში. მაგრამ ისეთი სიტყვები, როორიცაა ჩონატოური (— ჩონატაური), ლეხაური (— ლეხაური)... ყალოური (თურქ. „ყარაულ“)... აზნოურიშვილი და მისთანა, ასიმილირებული სახით ჩვეულებრივ იხმარება ზემოგურულში.

ბირთაგან წარმომავლობის ანუ მემკვიდრეობის ქონების აღმნიშვნელი ეულ სუფიქსი მთელ გურულში დამკვიდრებულია -ოულ სახით: ვახტანგისოული ქონება, მამაჩემისოული ქონება, მისოულობა და სხვ.¹

აღსანიშნავია, რომ სიტყვის ძირისეული უ ვერ იმსგავსებს წინამავალ ა და ე ხმოვნებს და უცვლელად რჩება აუ და ეუ კომპლექსები ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: გაურდა, გაუთოვდა, დაუთუებული, საურმე, საულღე, საუკუნე, მეურმე, მეულღე, მეუნაგრე, მეურნე და სხვ.²

აუ და ეუ კომპლექსები უცვლელად შემონახულია აგრეთვე სუფიქსური წარმოების რიგ სიტყვებში, რომლებშიც სუფიქსისეული უ ძირისეული უს ტოლფასია; მაგ.: ხმაური, ხმაურობა, თაური (— თავური), არეული, არეულობა, შერეული, შერჩეული და სხვ.

ასევე უცვლელადაა დაცული აუ და ეუ კომპლექსები გვარებსა და საკუთარ სახელებში (მაუჭაძე, მეუნარგია, ზაური...).

საერთო არის მთელი გურულისათვის მი-პრევერბისეული ი-ს ასიმილაცია მომდევნო -უ-სთან, მაგ.: თათრის ომში მ უ უ ლ ი ა მონაწილეობა (ღვებზუ), მ უ უ ტ ა ნ დ ი თ შინ და ნალიაში ჩუჟყრიდით ბატონს (ქვემო

¹ ეულ სუფიქსის შესახებ: ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 130-131.

² საერთოდ უნდა ითქვას, რომ „ზმნისწინისეულ ხმოვანზე თითქმის ვერ ახდენს გავლენას ფუძისეული ხმოვანი“ (გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, ზმნისწინისეულ ხმოვანთა ცვლასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი დიალექტებში. — სმამ, 1974, ტ. 75, №3, გვ. 741).

აკეთი), ასათიანს ქალი მ უ უ ც ი ა ერისთავიზა (ასკანა), მ უ უ კ ა რ ე ბ ე -
ლი ი კაცია (მუხუთი), მ უ უ დ გ ო მ ე ლ ი ყოფილა (ლაშისღელე)...

მო- პრევერბის ო ხმოვანიც ჩვეულებრივ განიცდის ასიმილაციას მო-
მდევნო უსთან ქვემოგურულშიცა და ზემოგურულშიც, მაგრამ მასობრივად
გავრცელებულია პირველში: მაგ.: მუჟუკტა ქმარი (ბუჟნარი), მუჟყრით თავს
(ზემო სურები), ჯარი მუჟწია (ქვ. ნატ.), მუჟნათლავე (გურიანთა), გამუჟდა-
ხა (კონჟკ.), გამუჟყოლებია (დიდი ვანი), შამუჟარდით სამგელ ცენს (შე-
მოქმ.) და სხვ.

სიტყვა „მოურავი“, როგორც წესი, იხმარება ყველგან ასიმილირებუ-
ლი ფორმით „მუურავი“¹, მაგ.: ბაჟი ეილო მ უ უ რ ა ვ მ ა (კონჟ.), დუჟდა-
ხებდა მ უ უ რ ა ვ ი (ურინთა), მ უ უ რ ა ვ ი იახლა (ხიდმაღალა), მ უ უ -
რ ა ვ ი გალახა (თავსურები), დადგა მ უ უ რ ა ვ ა თ (ასკანა), ხავდა მ უ -
უ რ ა ვ ი (ქვიანი)...

-ობ- სუფიქსისა და სა-ო კონფიქსის ო ჩვეულებრივ იმსგავსებს მთელ
გურულში ფუძისეულ წინამავალ ა ხმოვანს სრულად; მაგ.: მუშოობა, მუშო-
ობენ, ჭიღოობა, ბულთოობა, მოძროობა, თებზოობა, სამუშოოთ და მისთ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ვერც ფუძისეული ო იჩენს აფიქსისეული წინა-
მავალი ა-ს მიმსგავსების უნარს და უცვლელად შემონახულია აო კომპლექსი
სიტყვებში: აოხრეფს, ჩააოხრა, ჩაოხრებული, გაოხრებული, გაოფლიანდა,
გაოფლიანებული, საოჯახო, საოხათ და სხვ.

ობ-ა და სა-ო აფიქსების ო იმსგავსებს მო-ე და მე-ე აფიქსისეულ წინა-
მავალ ე ხმოვანსაც გურიის ყველა კუთხის მეტყველებაში; მაგ.: მორიგობა,
მოსახლობა, მეცადინობა||მაცადინობა, სამორიგოოთ და სხვ.

მე-ე კონფიქსის პირველი ე სიტყვის ძირისეული ო-ს წინ ხშირად
განიცდის ასიმილაციას ან დისიმილაციას. გავლენა ორსავე შემთხვევაში რეგ-
რესულია, მაგ.: მორორე, მოოთხე, მოოჯახე; მიორე, მიოთხე, მიოცე, მიოჯახე
და სხვ. (შდრ. საოჯახო).

უნდა აღინიშნოს, რომ ორი ილენტური ხმოვნის ნაცვლად ხშირად
გვემის ერთი გრძელი ხმოვანი. შედარებით იშვიათად დასტურდება ორი
ილენტური ან გრძელი ხმოვნის ნაცვლად ერთი ჩვეულებრივი ხმოვანი; მაგ.:
გამუჟუმობდა მ უ რ ა ვ ე ვ ს (ლაშისღელე), გამუჟაგზავნა მ უ რ ა ვ ე ბ ი

¹ მ უ რ ა ვ ი ფორმაში ხმოვანთა შორის მორფემური საზღვარი ძვეს: მო-ურავი, შდრ. სა-
ურავი და ურვა. მოურავი „მზრუნველი“ (ვინც ურვას იჩენს)“ (თ. უ თ რ ა ი ძ ე, ქართული
ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976, გვ. 39).

(იქვე)... მერე დევიწყებდით თ ე ბ ზ ო ბ ა ს (ცხემლ.), დ გ ო მ ა რ ო ბ ა გაუმჯობესდა (ჩოლაბარგი), ს ა მ ო რ ი გ ო თ წევინა (შუხ.) და სხვ.

ზემოგურულში ლიტერატურული „ბავშვი“ დადასტურებულია „ბოვში“ (ბავშვი) ფორმითაც¹, რაც, რა თქმა უნდა, ქვემოიმერულის გავლენით უნდა აიხსნას. იმერულში მომხდარა ა-ს გალაბიალება და ო-დ ქცევა მომდევნო ვ-ს გავლენით.

ანალოგიური სახის ასიმილაცია არ უნდა იყოს უცხო ი-სათვის საც. სახელობითი ბრუნვის ი, როცა მას მოსდევს ფუძეზე შეხორცებული -ვე ნაწილაკის ვ, ზოგიერთ რიცხვით სახელთან იძენს ლაბიალობას და იქცევა უკანანისმიერ უ-დ; მაგ.: ორუვე (←||ორივე), ორუვემ (←||ორივემ)ო, ორუვეს (←||ორივეს)...

ასეთ ვითარებაში ხშირად იკარგება ნაწილაკისეული ვ და რჩება ასიმილირებული ბგერა: ორუე, ორუემ, ორუეს, სამუე, ოთხუე, ორუენი² და სხვა³.

დასტურდება მ-ს გავლენით ო-ს დავიწროება (ნაწილობრივი ასიმილაცია): უმბალო (← ომბალო), ტუმარაი/ე (← ტომარი) და სხვ.⁴

ვნებითის ე მთელ გურულში სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ ა და ო ხმოვნებს; მაგ.: ჩეეწერა, გეეკეთებია, ეენტო, ეეფსო, გეეცნო, გეეკიდა, დეეს-რა, დეედევნა, დეემუქრა; მეეწია (მოეწია), მეეველინა, გამეეხმაურა, გამეეგება და სხვ.

ასეთი მაგალითები ხშირად გვხვდება ზემოგურულში, ქვემოგურულში კი მხოლოდ იშვიათად დასტურდება. ამ უკანასკნელში ნაასიმილაციარ ე-ს დისიმილაცია განუცდია (ამის მაგალითები ქვემოთ).

ასიმილაციას ხელს ვერ უშლის პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ე; მაგ.: გეეცანი, გეეცალეთ, გეეკიდეთ, ჩეეწერეთ, დეეესახლე, გამეეეცალეთ, გამეეეკიდეთ და სხვ.

გელ ზმნის ე-ც იმსგავსებს პრეფიქსისეულ ხმოვნებს; მაგ.: ეველით, გეველით, წეველით, ჩეველით, გამეველით, ჩამეველით, ამეველით; იქიდან წამეველი და სახჩი მეველი (ქვიანი) და სხვ.

¹ ბოვში (დიდი ვანი, ს. ე., 106, 17). ბოვშს (დ. ჩოხატ., ს. ე., 124).

² ეს უკანასკნელი (ორუენი) დადასტურებულია შუა სურებში (საბერიშვილოს უბანში).

³ შეიძლება სპორადულად წავაწყდეთ „ორვე“ ფორმასაც; მაგ.: სუფსიელი იყო ო რ ე ე (ჩოჩხათი).

⁴ ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ქათული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 519.

ასეთი სახის ასიმილაცია (ა, ო, ე), როგორც აღვნიშნეთ, ხდება მთელ გურულში. მაგრამ ქვემოგურულში, განსხვავებით ზემოგურულისაგან, ა-სა და ო-საგან სრული სახის ასიმილაციით მიღებული ე კვლავ განიმსგავსება; იქცევა წინაწარმოების ვიწრო ი-დ (ამის შესახებ ქვემოთ).

პირველი და მეორე ობიექტური პირების ნიშნები მ-, გვ- და გ- ასიმილაციას აბრკოლებენ მთელ გურულში, მაგრამ ზემოგურულში უფრო ნაკლებად უშლის ხელს, ვიდრე ქვემოგურულში. ამ უკანასკნელში საამისო მაგალითებს მხოლოდ იშვიათად ვხვდებით; მაგ.: მემეწონა (ქვენობანი, ს. ე., 136, 21), მემეწია (ლაშისღელე), მემეცი (იქვე), გამემექა (იქვე), შენდა აგი და აგი ქალი უნდა მ ე მ ე ყ ვ ა ნ ა ო (იქვე); მეგვერია ძილმა (საჭამიასერი, ს. ე., 96, 8), გამეგველიძა (იქვე), შენც მეგეწონა (ჯაპანა) და სხვ.

ანალოგიური მაგალითები გავრცელებულია მთელ რიგ აღმოსავლურ კილოებში, მაგრამ არ არის უცხო დასავლური კილოებისათვისაც. დასტურდება იმერულშიც. ზემოგურულზე ქვემოიმერულის გავლენა ამ შემთხვევაშიც არ უნდა იყოს გამორიცხული.

დასავლურ კილოებში ამ ფორმების არსებობა ეჭვს არ იწვევს. ამდენად, ვერ დავეთანხმებით კ. კუბლაშვილს იმაში, თითქოს დასავლური კილოებისათვის ასეთი რამ უცხო იყოს¹.

ქცევისა თუ ვნებითის ი ნაწილობრივ იმსგავსებს პრევერბისეულ ა და ო ხმოვნებს. აი და ოი კომპლექსები მთელ გურულში გვადლევის ეი-ს. ამ მხრივ განსხვავება კუთხეების მიხედვით არ შეინიშნება; მაგ.: ეილო, ეიფსო, ეიარა, ეიბარა, გეიყვანა, გეიქა, გეიქრა, დეიწვა, დეიფსო, დეიროხა, წეიყვანა, ჩეირბინა, ჩეიგლო; მეიტანა, მეიწია, მეიზარდა, მეიკარუხა, მეიოხა, თოფს მეიბიჩებდა, უნდა მეიჩალოს, უნდა მეიფოცხოს და სხვ.

გ არც ი-ს უშლის ხელს ა და ო ბგერების მიმსგავსებაში; მაგ.: ვეიღე, ვეიყვანე, ვეიტანე, ვეიცვალე, ვეიყვანეთ, ვევიქვეით, დევიკავეთ, დევიცავით, დევიმალეთ, ჩევირბინეთ, ჩევიწერეთ, წევიქეცი, წევიტხე, წევიქამე... მევიწიე, მევიწონე, ჩამევიწონიე, ჩამევიკიღე და სხვ.

გიღ-ა (— ვეღ-ა) ზმნის ფუძის რედუქციით მიღებული ი-ც იმსგავსებს პრევერბისეულ ა და ო ხმოვნებს გურიის ყველა სოფლის მეტყველებაში მეტ-

¹ კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში. — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, ქუთაისი, 1959, გვ. 233.

ნაკლებად; მაგ.: ევიდა, გევიდა, ჩევიდა, წევიდა, ამევიდა, წამევიდა, ჩამევიდა, შამევიდა, გაღმევიდა და სხვ.

მხოლოდ ერთ სოფელში (ლაშისლელეში, 90 წლის მოხუცის თევდორე კილაბერიას მეტყველებაში) დასტურდება პირველი ობიექტური პირის ნიშნით დაშორებული ო-ს მიერ ო-ს ნაწილობრივი მიმსგავსება; მაგ.: ასი ცალი ვერული ტახი მ ე მ ი კ ლ ა ვ ს ო; იმ ქალს თუ მ ე მ ი ყ ვ ა ნ, გამეცინება მაშეინო; მემიყვანეო...

პრევერბისეულ ა და ო ხმოვნებს სიტყვის ძირისეული ი და ე ვერ იმსგავსებს და უცვლელად გვენახება აი, ოი, აე და ოე კომპლექსები ო-ზე და ე-ზე დაწყებულ სიტყვებთან, როგორცაა: იმედი, ისარი, ინტერესი, იოლი და მისთანა; მაგ.: დაიმედდა, დაიმედებულა, დაიმედებულაია, დაისრულია, დაისრულა (იმის გული), დაინტერესდა, დაინტერესებულაია, დავანიწრუფეთ, გაიოლდა... მოიმედია, მონიტერესია... გაერთიანება, აერთიანეფს, გაერთიანდა, გააერთიანა, გაეაერთიანე... შამოერთება (— შემოერთება), საერთო და სხვ.

ასეთი სიტყვები შედარებით ცოტაა და თანაც მოკლებულია ყოველდღიური ხმარების საჭიროებას. შეიძლება ეს გარემოებაც უწყობდეს ხელს მათ უცვლელად შემონახვას¹.

მრავლობითი რიცხვისა თუ თემის ნიშნის -ებ სუფიქსის ე იმსგავსებს წინამავალ ა ხმოვანს ა ფუძემოვნიან ბოლოუკვეცელ სახელებთან და ისეთ ზმნებთან (აგრევე სახელებთან), რომლებთანაც აე ან აგე კომპლექსი იქმნება²; მაგ.: თხმელები, თელეები, ციციები; მაგისტანეები, ნათესეები (— ნათესაები — ნათესაეები); ვამუშეებდით (— ვამუშაებდით — ვამუშავებდით), ვიმუშეებდით და სხვ.

ანალოგიური სახის ასიმილაცია მეტ-ნაკლებად გავრცელებულია სხვა კილოებშიც.

¹ გარდა ამისა, „ორი ხმოვანი ფონემა არ შეიძლება იყოს ერთმანეთთან უშუალო მეზობლობაში, გამონაკლის შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი განეკუთვნებიან სხვადასხვა მორფემას“ (Г. И. М а ч а в а р ი ა ნ ი, К типологической характеристике общекартвельского языка-основы. — ВЯ, 1966, №1, გვ. 4). „არაძირისეული მორფემის ხმოვისა და ძირისეული მორფემის ხმოვის შესაყარზე ფონეტიკური ცვლილებები თითქმის არ ხდება, ძალიან იშვიათია“ (თ. უ თ უ რ - გ ა ი ძ ე . დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ი შ ე ი ლ ი, ჟ. გ ი უ ნ ა შ ე ი ლ ი, დიალექტის ცვლილებისათვის ისტორიულ ასპექტში. — ქართულურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბ., 1981, გვ. 148).

² ა ფუძემოვნიანი რიგი სახელები, რომლებსაც სალიტერატურო ქართულში ა ვკვეცებათ, გურულში გველინება უკვეცელად.

აი კომპლექსის ეი-დ ქცევას ადგილი აქვს მთელ გურულში ზოგიერთი სიტყვის ძირშიც; მაგ.: სეინი (← საინი), რანეირათ (← რანაირად) და სხვ.¹

იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება სრული სახის დისტანციური ასიმილაციაც ა-სი ასიმილაციით მიღებულ ე-სთან; მაგალითად, რეღეიზა (ზე-და ბახვი, ს. ქ., 100, 6) და სხვ.

ამ სიტყვაში მომდევნო ი-ს მიერ ასიმილირებულ ე-ს სრულად მიუმსგავსებია ლ თანხმონით დაშორებული ა ხმოვანი.

ა-ს მიერ ე-ს მიმსგავსების შემთხვევა უნდა გვქონდეს სიტყვაში „ყვა-ლაი“ (← ყველაი): ყვალაი, ყვალაყაი...

სპორადულად იხმარება ტყამალიც და სხვ.²

ასიმილაცია ხდება გურულში ორ სიტყვას შორისაც და იქმნება კომპოზიტი; მაგ.: რეიქნა (← რა იქნა), რეთი (←|| რეთი, რეერთი ← რა ვრთი) და სხვ.

ანალოგიური სახის ასიმილაციაა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია სხვა კილოებშიც.

აი კომპლექსის ეი-დ ქცევას ადგილი აქვს მთელ გურულში ზოგიერთი სიტყვის ძირშიც; მაგ.: სეინი (← საინი), რანეირათ (← რანაირად) და სხვ.³

იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება სრული სახის დისტანციური ასიმილაციაც ა-სი ასიმილაციით მიღებულ ე-სთან; მაგალითად, რეღეიზა (ზე-და ბახვი, ს. ქ. 100,6) და სხვ.

ამ სიტყვაში მომდევნო ი-ს მიერ ასიმილირებულ ე-ს სრულად მიუმსგავსებია ლ თანხმონით დაშორებული ა ხმოვანი.

ა-ს მიერ ე-ს მიმსგავსების შემთხვევა უნდა გვქონდეს სიტყვაში „ყვა-ლაი“ (← ყველაი): ყვალაი, ყვალაყაი...

¹ დეტერმინანტი აფიქსების ხმოვნებს ვერ იმსგავსებენ სახელის მომდევნო ხმოვნები: საირმე, საიხვე, საიმედო, საიდუმლო; საეზოვე, საექიმო, საეგებიო, საეკლესიო; საურმე, საულლე, საულ-ვაშე, საუნტროსო; საოჯახო, საოხავე, საორხელო; საოფლარი, ნაოჯახარი, ნაოხრალი; მეუღლე, მეურმე, მეოჯახე და სხვ.

აქ, როგორცა ჩანს, დიდ როლს თამაშობს შინაარსის გაბუნდოვანების საშიშროება.

² წინადადებაში: „დააწებდენ ტ ყ ა მ ა ლ ზ ე“ (გონებისკარი).

³ დეტერმინანტი აფიქსების ხმოვნებს ვერ იმსგავსებენ სახელის მომდევნო ხმოვნები: საირმე, საიხვე, საიმედო, საიდუმლო; საეზოვე, საექიმო, საეგებიო, საეკლესიო; საურმე, საულლე, საულ-ვაშე, საუნტროსო; საოჯახო, საოშავე, საორხელო; საოფლარი, ნაოჯახარი, ნაოხრალი; მეუღლე, მეურმე, მეოჯახე და სხვ.

აქ, როგორცა ჩანს, დიდ როლს თამაშობს შინაარსის გაბუნდოვანების საშიშროება.

სპორადულად იხმარება ტყამალიც და სხვ.¹

ასიმილაცია ხდება გურულში ორ სიტყვას შორისაც და იქმნება კომპოზიტი; მაგ.: რეიქნა (← რა იქნა), რეთი (←||რეთი, რვერთი ← რა ერთი) და სხვა.

ეს უკანასკნელი მაგალითი (რეთი) დადასტურებულია სხვაგანაც (მაგალითად, კახურში), მაგრამ იქ ხშირად იხმარება გარდამავალი საფეხურის ფორმებიც (რეთი, რვერთი)².

რთული პრევერბების პირველი ხმოვნის (ა-ს) ასიმილაცია თანხმოვნით დაშორებული ასიმილირებული ე ხმოვნის მიერ არ არის ჩვეულებრივი საერთოდ დასავლური კილოებისათვის. იგი ფუნქციონირებულია მხოლოდ აღმოსავლურ დიალექტებში. ქვემოგურულში მას თითქმის სრულებით არ ვხვდებით, ზემოგურულში დასტურდება იშვიათად; მაგალითად, მეორე დღეს წ ე - მ ე ვ ი ღ ე ფ თ (ბურნათი)...

ფუძისეული ა ხმოვნის ასიმილაციას იწვევს ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნისეული ი-ც მთელ გურულში მეტ-ნაკლებად; მაგ.: რეიზა (←|| რაიზა ← რაიზდა ← რაისდა), სეით (← საით ← *სადით), სეითაც, სეითკენ (← საითკენ ← *სადითკენ)³ და სხვ.

ნათესაობითი ბრუნვის მოშველიებით ნაწარმოები სიტყვები, როგორცაა ქუთაისი, ნიკოლაიშვილი და სხვა, ზემოგურულში ჩვეულებრივ იხმარება ასიმილირებული ფორმით: ქუთეისი, ნიკოლეიშვილი და სხვ.⁴

ორ ე-ს შორის მოქცეული ა (იაი) მორფემათა შესაყარზე წარმოდგენილია ე-ს სახით, სათანადო ასიმილაციური ცვლილებით. ქვემოგურულში დამკვიდრებულია იემ კომპლექსი (ჩერიეი, კერიეი, ჩერიეის, ჩერიეით); ზემოგურულში კი, ქვემოიმერულის გავლენით, ეგვეე კომპლექსი გვევლინება მეორე (ფორმანტისეული, მთავარი მათასიმილირებელი) ე-ს გარეშე (ჩერიე, ჩერიეს, ჩერიეთ).

¹ წინადადებაში: „დააწებდენ ტყამალიც“ (გონებისკარი).

² არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ღ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 36.

³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 610.

⁴ შდრ. გურ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ღ ი, იმერ. ნ ი კ ო ლ ე ი შ ვ ი ღ ი, და კახ. ნ ი კ ო ლ ა - შ ვ ი ღ ი (← ნიკოლაშვილი ← ნიკოლაიშვილი).

ზემოგურულში, იმავე ქვემოიშვრული კილოკავის გავლენით, გაუჩინარებულია აგრეთვე მასიმილირებელი ო ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: კარდალე, ოჯინჯალე (კარდალე, კარდალეს, კარდალეთ) და მისთანები, რომლებსაც ქვემოგურულში საერთოდ არ განუცდიათ ასიმილაცია და შემონახულია პირვანდელი სახით (კარდალაი, ოჯინჯალაი, კარდალაის, კარდალაით).

ყურადღებას იქცევს საკითხი: თუ როდის შეიძლებაოდა ნაწილობრივ მიემსგავსებინა ო-ს ფუძისეული ა და შემდეგ თვითონ დაკარგულიყო? როგორც ჩანს, ასიმილაცია დაწყებულია მას შემდეგ, რაც სხვა ტიპის ფუძეხმოვნიან სახელებს დაეკარგა სახელობითის ო (აგრეთვე ბრუნვის ნიშნისეული სხვა ი). გვექონდა „მუხაი“, „წიფელაი“ და „კერიი“. პირველში დასუსტებულა და დაკარგულა სახელობითის ო, როგორც სალიტერატურო ქართულში, ხოლო მეორესა და მესამეს იგი შეუნარჩუნებია მთელ გურულში, შემდეგ „კერიი“ ფორმას მოუცია „კერიი“ აგრევე მთელ გურულში. ა-ს ე-დ ქცევაში ხელს შეუწყობდა ალბათ წინამავალი ო ხმოვანიც. ა მოექცა ორმაგი გავლენის ქვეშ და მისი ე-დ ქცევა არ იყო მოულოდნელი.

„კერიი“ უფრო ადრე უნდა მიგველო მთელ გურულში, ვიდრე „წიფელი“ ზემოგურულში. ამას მხარს უჭერს ისეთი კომპოზიტების არსებობაც ზემოგურულში, როგორიცაა **ტრიესკულდე** და **ბაბუაჩემი**. უკანასკნელში კომპოზიტის პირველი კომპონენტი (ბაბუა) უცვლელადაა შემონახული. მოსალოდნელი იყო ამჟამად ზემოგურულში არსებული წესის მიხედვით „ბაბუეჩემი“, მაგრამ არა გვაქვს. როგორც ჩანს, როცა ეს კომპოზიტი შეიქმნა, მაშინ ასეთი ფორმა არ იყო ბუნებრივი. „ტრიესკულდე“ კი წარმოდგენილია სათანადო ცვლილებებით. აქ კომპოზიტის პირველ ნახევარში დასრულებულა სათანადო ფონეტიკური პროცესები (ტრიაისკულდაი → ტრიესკულდაი → ტრიესკულდაი)¹. -**იამ**- უფრო ადრე ქცეულა -**იემ**-დ, ვიდრე -**ამ**-**ემ**-დ.

მთელ გურულში უნდა გვექონოდა ა ფუძეხმოვნიანი სახელები ისეთი ფორმებით, როგორიცაა მუხა, წიფელაი და კერიი, რომლებიც გაბატონებულია ამჟამად ქვემოგურულში. ამის შემდეგ ზემოგურულში უნდა დაწყებულიყო ასიმილაცია სიტყვაში „წიფელაი“ (წიფელაი → წიფელეი). ამიტომ, ბუნებრივია, რომ ასიმილაცია არ შეეხო „მუხა-ს“, რადგანაც იმ დროს მას უკ-

¹ ამჟამად ეს ფორმა ბატონობს ქვემოგურულში.

ვე დაკარგული ჰქონდა სახელობითის ი. წინააღმდეგ შემთხვევაში მის ბოლო-კიდურ ხმოვანსაც უნდა განეცადა ნაწილობრივი ასიმილაცია.

შემდეგ უნდა დაწყებულიყო ზემოგურულში სახელობითის *o*-ს დასუსტება და დაკარგვა ჭერ „ჩერიეი“ ტიპის ფორმებში, ხოლო მერე — „წიფელი“ ტიპის სიტყვებში. ამ უკანასკნელში პროცესი მთლიანად ჭერაც არ დასრულებულა. გვევლინება ზოგჯერ სრული *o*-ც.

„წიფელი“ ფორმის მიღებას და სახელობითის *i*-ს დასუსტება-დაკარგვას ზემოგურულში ხელი შეუწყო, როგორც ჩანს, ქვემოიმერულის გავლენამაც¹.

პროგრესული ასიმილაცია ხმოვნებში იშვიათად ხდება. ძნელდება ისეთი მაგალითების მოძებნა, რომლებშიც აშკარად ჩანდეს, რომ საქმე გვაქვს ნამდვილად ასიმილაციასთან; მაგ.: ამბაური (← აპეური, შუხუთი), დღესეც (← დღესაც, შრომა)...

არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვექონდეს უბრალო მონაცვლეობასთან.

„ჩემოდანი“ გურულში იხმარება „ჩამადანი“ ფორმით. იგი სპარსული წარმოშობის სიტყვაა (čāmedān). შეიძლება იქიდან იყოს შეთვისებული გურულში და სრული ასიმილაცია გვექონდეს.

o თემისნიშნის ზმნის ფუძეზე მრავლობით რიცხვში მესამე სუბიექტური პირის ნიშნის -ან-ის დართვის შემთხვევაში გურიის რიგი სოფლების მეტყველებაში ისევე, როგორც რიგ სხვა დასავლურ კილოებში, ვიღებთ **ენ** დაბოლოებას; მაგ.: ტირიენ, ყვირიენ, ჭრიენ, თლიენ, კივიენ და სხვ. მაგრამ აქ გამორიცხული არ არის, რომ საქმე გვექონდეს -ენ სუფიქსის მქონე ზმნების (წერენ, ჭამენ, აკეთებენ...) ანალოგიასთან².

¹ ვრცლად: ვრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავიებური მოვლენის შესახებ. — მაცნე, 1966, №6, გვ. 248-249, 253-262; მ ი ს ი ვ ე, გურულისა და იმერულის ურთიერთობის საკითხისათვის. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, 1974, გვ. 96.

² საენათმეცნიერო ლიტერატურაში სწორად არის აღნიშნული, რომ პროგრესული ასიმილაცია შეზღუდულია მორფოლოგიური მიზეზით. „გარკვეულ მორფოლოგიურ პოზიციებში (ზმნის-წინის ხმოვანი + გვარის ან ქცევის პრეფიქსი ხმოვანი და სახელის ფუძის ბოლო ხმოვანი + -ებ მრავლობითის სუფიქსი)“ (თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ლ. ქ ა ნ თ ა რ ი ა, ლ. კ ო ბ ი ა შ ვ ი ლ ი, ხმოვანთა ასიმილაცია ქართულში. — ივე, ტ. XXXVI, თბ., 1987, გვ. 196).

ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ იქ, სადაც ბატონობს „თლიენ“ ფორმა, არ იხმარება „ყოფილან“, „დგანან“, „ჩანან“ და მისთანა, არამედ გვაქვს: ყოფილარიენ, წასულარიენ, დგანარიენ, ჩანარიენ და მისთანები.

უფრო დამაჯერებელი ჩანს პროგრესული ასიმილაცია ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ეფი (—|| იეფი — იაფი, გაეფება, ეხლება (— იეხლება — იახლება), ტიელი და მისთ.

ეფი ფორმა, რომელიც ჩვეულებრივია გურულისათვის, მიღებული ჩანს საურთიერთო ასიმილაციის შედეგად. ჯერ პროგრესული ასიმილაციით მივიღეთ იეფი (— იაფი), ხოლო შემდეგ ასიმილირებულ ე-ს მოუხდენია პირუკუ გავლენა ი-ზე და მოუცია ეეფი (— იეფი). ამის შემდეგ მომხდარა იდენტურ ბგერათა შერწყმა („ეეფი“)¹.

თანხმოვანთა ასიმილაცია

გურულში საერთოდ გავრცელებულია თანხმოვანთა ასიმილაცია. იგი ყველა სახისაა, მაგრამ უფრო მეტად ფეხმოკიდებულია ნაწილობრივი დამსგავსება. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს პროგრესულიცა და რეგრესულიც.

ასიმილაცია მოსდით უმთავრესად მქლერებს ფშვინვიერებთან და მკვეთრებთან მეზობლობაში.

მქლერი ბგერები: ბაგისმიერი ბ, ცხვირბაგისმიერი შ და კბილბაგისმიერი გ კარგავენ მქლერობას (შ და ვ ნაწილობრივ იცვლის წარმოების ადგილსაც) ფშვინვიერ ხ, თ, ს, ც, ფ და შ ბგერათა მეზობლად (ზოგჯერ შორეულ მეზობლადაც) და იქვევიან ფშვინვიერ ფ-დ.

ბ — ფ: ხფოი, უცფათ, ნაუცფათევი, შეცფა (— შეცბა), თათფირი; ფაფრიკა, შაფათი, მეყაფსე, ფუხარი, გოფს, გოფში, ქვაფში... სუფიქსისეული ბ ფშვინვიერ ბგერებთან მეზობლობაში განიცდის ასიმილაციას: მეზობლედეფში, ბაღნეფთან, ვაცხელეფთ, თამაშოფს, აკეთეფს, ქერეფს და სხვ.

შ — ფ: ლეფსი (— ნემსი), ხეფსი, დახეფსება, ფხარი, ფხარე, ფსხალი, აფხანაგი, ფთაი (— მთაი); თფენა (— თმენა), ითფენს, დათფენა, დაათფენია,

¹ შდრ. ი. ყ ი ფ შ ი ძ ე. ასიმილაცია-დისიმილაციის წესი ქართულსა და მეგრულში. — ტფ. უნივ. მოამბე, №1, 1919, გვ. 7.

მოთფინება (← მოთმინება), მეითფენს, მეითფინა...

გ — ფ: ნაფთი, საფსე, გეიფსო, გაფსებული, დეიფსო...

კბილბაგისმიერი მჟღერი გ, როცა ის გამოყენებულია პირველი სუბიექტური პირის ნიშნად ფშვინევიერებისა და აბრუპტივების მეზობლად, ზოგჯერ განიცდის რეგრესულ ასიმილაციას, კარგავს მჟღერობას, მაგრამ ინარჩუნებს ბაგეპილისმიერობას; მაგ.: წფარცხავ, წფუშავ, წთამაშობ, წთხოვ, წქსოვ, წხნავ, წშობოდით, წქრიდით, წქამდით, წყიდდით და სხვ.

ადგილი აქვს პროგრესული და რეგრესული ასიმილაციის გზით მჟღერი ბ-ს მთლიანად დაყრუებასა და ყრუმკვეთრ პ-დ ქცევას აბრუპტივების (კ, ტ, ქ, წ) მეზობლად, ზოგჯერ შორეულ მეზობლადაც; მაგ.: კბილი, იკბინება, მიკბინა, ტკბილი, ტბაი, ყბაი, ყბაისქცევა... საბჟო (← საფჟო — საბჟო), ბჟყალები (← ფჟყალები — ბჟყალები — ბრჟყალები), ბჟყინავს (← ფჟყინავს — ბჟყინავს — ბრჟყინავს), ბტყელი (← ფტყელი — ბტყელი — ბრტყელი), გაბტყელება, გაბტყელებული... დაბჟენიდა (←|| დაბჟენიდა) საბჟენი ფიცრით (ბუჟენარი)... წებო, წებვა, მოუწებო თავი უნდა...

მჟღერი მ-ც შეიძლება იქცეს აბრუპტივ მ-დ: ბწნილი (← ფწნილი — მწნილი)...¹

ენაკბილისმიერი მჟღერი დ ყრუ ბგერების მეზობლად (უმთავრესად მომდევნოდ) კარგავს მჟღერობას და ყრუვდება. იქცევა ან ფშვინეიერ თ-დ ან აბრუპტივ ტ-დ. ეს ხდება იმის მიხედვით, თუ რომელ ბგერასთან მოხვდება მეზობლობაში. მიმსგავსება ჩვეულებრივ ნაწილობრივია, მაგრამ გვხვდება სრულიც.

ღ — თ: კეთთება, გაკეთთა. ხთალი (← მხდალი), წამხთარი, წახთებოდა, ხთიდა, დამხთა (← დამხვდა)², შემხთა (← შემხვდა), გადახთა, ვიხთიდით, დასახთა (← დასახლდა), გაცოცხთა (← გაცოცხლდა), განთავისუფთა (← განთავისუფლდა), გაჩთა (← გაჩნდა), დაარსთა (← დაარსდა), ფასთება (← ფასდება), მოცთა (← მოცდა), უცთის, ცთაი, ცთილოფს, გამოცთები, გაშეშ-

¹ არ არის გამორიცხული, რომ ამ სიტყვაში („ბწნილი“) ასიმილაციას წინ უძღოდეს სუბტიტუცია: მწნილი — ბწნილი — პწნილი.

² მდრ. „ამ ხალხს დ ა ხ ვ თ ნ ი ა“ (ს. საბერიშვილი).

თა (— გაშეშდა), გაქალაქთა, იქთა (— იქდა)... დათანხმთა, დაფიქრთა... ნა-
ბათში (— ნაბადში), ქუთს (< ქუდს)...

ღ — ტ: გაკუჭტა, გაფუჭტა, მოკტა (— მოკვდა), კტებოდა, კტარი (—||
კტარი — შკვდარი), სიკტილი||სიკვტილი, კტეი (— კლდეი), დააკტა (— და-
აკლდა), გაკტებოდი (— გაკლდებოდი), ატყტა სროლა, აჯანყტა (— აჯანყდა),
გატყტა (— გატყდა; შდრ. ტებ — ტბ — ტყ), მოტყტა, მისტობა (— მისწტობა
← მისწდება ← მისწდება), მისტვა (— მისწტვა ← მისწდება ← მისწდება), და-
ანწყტოვ (— დაამწყვდევ), დანწყტოული (— დამწყვდეული); ავანტყოფი (—
ავანდყოფი — ავადმყოფი), ავანტყოფობა...

საფიქრებელია, რომ ღ ერთბაშად არ გამხდარა ყრუ-შკვეთრი. შესაძ-
ლებელია ის ჭერ ქცეულიყო თ-დ, ხოლო შემდეგ — ტ-დ. ამას მხარს უჭერს
ისეთი მაგალითების არსებობა, როგორიცაა: იავათყოფა, დაავათყოფთა და
მისთანა.

წინა სიტყვის ბოლოკიდური თ შეიძლება მიიმსგავსოს ნაწილობრივ
მომდევნო სიტყვის თავკიდურმა აბრუბტივმა; მაგალითად, წამევიღებდით ერ
ფუტ ჰვირთს (კონქკ.).

უკანა ენისა და რბილსასისმიერი მქედრები სპირანტი ღ და ხშულ-
მსკდომი გ ზოგჯერ კარგავს მქედრობას და იქცევა იდენტური წარმოების
ყრუდ (პირველი სპირანტი ხ-დ, ხოლო მეორე სპირანტი ქ-დ ან აბრუბტივ კ-დ)
პროგრესული ან რეგრესული ასიმილაციის გზით სათანადო ყრუ ბგერების
უშუალო ან შორეულ მეზობლობაში.

ღ — ხ დადასტურებულია ყრუფშვინვიერი ც, თ, შ, ქ და ჩ ბგერების
უშუალო ან შორეულ მეზობლობაში; მაგ.: საცხა (— საცლა — სადაცა-ლა),
საცხაიდან, ვინცხა (← ვინცლა — ვინ-ცა-ლა), რაცხა (← რაცლა — რა-ცა-
ლა), რაცხაიზა (← რა-ცა-ლა-ის-და), როცხა (← როცლა — როს-ცა-ლა), რო-
იცხა (← როიცლა — როდიცლა — როდის-ცა-ლა)¹, რომელცხაი (← რომელ-
ცლაი — რომელი-ცა-ლა)... გუშხამ (შდრ. მეგ. თუთაშხა და ამდლა), ბახში,

¹ წინადადებაში: „მე ბოლოს წივედი რ ი ც ხ ა“ (გვიმბალაური).

პარმანში¹, იარანში, კასნახს (— ყაინალ-ს), ბახჩა, ხეთიშობელი (— ლეთიშობელი — ლმრთის მშობელი)... ქახალდი და სხვ.²

ა — **ქ** გვხვდება ჩვეულებრივ მაშინ, როცა სიტყვის ფუძის ბოლოკიდურ გ-ს მოსდევს აფიქსისეული ფშინვიერი; მაგ.: ძრუქში||ზრუქში (— ზურგში), ზრუქს უკან, რიქში (— რიგში), ალაქს³ (— ალაგს)...

მეორე და პირველი ობიექტური პირის ნიშნები **ა** და **გ** გურულშიც ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა დიალექტებში, ფშინვიერებისა და მკვეთრების მეზობლობაში რეგრესული ასიმილაციით გვაძლევს **ქ**-სა და **ქვ**-ს ან **კ**-სა და **კვ**-ს: ქხთა შენ (— გხვდა შენ), ქხურავს, ქშია, მოქცემო... მოქვცა, ქვჩება... დაქვჭირდება, დაქვპირდა... კყავს (—|| ქყავს — გყავს), შეკვამდა, დაკჭირდება... კყყავდა (—|| ქყყავდა — გყყავდა), კყვოფნიდა, მოკვკლავსო და სხვ.

ა უნდა იყოს დაყრუებული პროგრესული დისტანციური ასიმილაციით სიტყვებში: „კარქი“ (— კარგი), „დაქარქვა“, დაქარქვა“ (— დაქარგვა), „დაქარქავს“, „დეიქარქა“, „დაგვექარქა“, „გადაიქარქა“ და სხვ.

სრული სახის რეგრესული დისტანციური ასიმილაციით ჩანს მიღებული **ჭ** ხ-საგან სიტყვაში დაქუქვა (— დახუქვა): ქუქავს თვალფეს, დაქუქა თვალები, აქუქვიფეს თვალფეს, თვალბდაქუქული...

ნაწილაკისეულმა ც-მ შეიძლება სრულად მიიმსგავსოს ხმოვნით დაშორებული წინამავალი (ბრუნვის ნიშნის) ს: ვიცაც (— ვისაც)...

რეგრესული კონტაქტური ასიმილაციით მედერი **ჟ** დაყრუებულა სიტყვაში „ვაშკაცი“: ვაშკაცია, დავაშკაცთა, ვაშკაცთება, ივაშკაცა...

წყვილბაგისმიერი ფშინვიერი **ფ** იქცევა ზოგჯერ ამავე რიგის მკვეთრ **პ**-დ მკვეთრი **ტ**-ს დისტანციური გავლენით; მაგ.: იპანტება (— იფანტება), დეიპანტა⁴, დაპანტული...

ფარინგალურ ყ-ს შეუძლია სრულად მიიმსგავსოს დისტანციურ მე-

¹ შღრ. პარმალიდან.

² რეგრესული დისტანციური ასიმილაციით უნდა იყოს მიღებული ზ ლ მ ა რ ტ ლ ი ს ა გ ა ნ სხმარტი, რომელიც დაქვიდრებულია გურიასა და იმერეთში.

³ წინადადებაში: „ომ ა ლ ა ქ ს იქით არც დაღუეს ყვერცხს“ (ბუენარი).

⁴ წინადადებაში: „ქფილი არ დ ე ი პ ა ნ ტ ო ს“ (ქვ. აკეთი).

ზობლობაში მყოფი უკანაენისმიერი კ, რომელიც წარმოების ადგილის მიხედვით რამდენადმე განსხვავებულია მისგან; მაგ.: ყმაყოფილი იყო, დაყმაყოფილა, უყმაყოფილო, უყმაყოფილობა და მისთანები, რომლებიც შენიშნულია სხვა დიალექტებშიც.

არ არის უცხო გურულისავეის მკვეთრი ბგერების გაფშვინევიერების შემთხვევებიც.

წყვილბაგისმიერი პ აბრუბტივი განიცდის მომღვენო ბგერის ნაწილობრივ გავლენას რაგვარობის მიხედვით და იქცევა ფ-დ; მაგ.: სხაფს (— სხაპს), სხაფთან, სხაფში, ხაფსავით¹ (— ხაპსავით), ხაფთან, ხაფს და სხვ.

დასტურდება ენაკბილისმიერი წ აბრუბტივის გაფშვინევიერებაც და თავისივე რიგის ც ბგერად ქცევა მომღვენო ფ და თ ფშვინევიერების გავლენით; მაგ.: გულცფელი (— გულწფელი — გულწრფელი), გულცფლობა, აცთო (— აწთო — აწრთო)...

კ იქცევა ქ-დ ამ ნიადაგზე: ჭიშქარი (— ჭიშკარი — ბჰისკარი), ცაქ-ცაკე (— ცაკ-ცაკე — ცალკ-ცალკე)...

ვხედებით ამავე კ აბრუბტივის გამჟღერების შემთხვევასაც ნაწილობრივი სახის რეგრესული ასიმილაციით წინაენისმიერი მჟღერი ძ-ს კონტაქტურ მეზობლობაში; აგძალვა (— აკძალვა — აკრძალვა), გძალავს, აგძალა, უუგძალა, აგძალული, მოგძალება (— მოკძალება — მოკრძალება), მოგძალებით და სხვ.

მ-ს გავლენით უნდა იყოს ეგვეე კ ქცეული მჟღერ გ-დ სიტყვაში მაგრატელი (|| → მარგატელი).

სოფელ ლაშისღელეში (90 წლის თევდორე ივანეს ძე კილაბერიას მეტყველებაში) და სოფელ ვაკიჯვარში (85 წლის მიხაკო ლევანის ძე არომიძის მეტყველებაში) დადასტურებულია „ანწალული“ „აკეწალე“ ფორმები „აკრძალული“ მიმღობისა და „აკკრძალე“ ზმნის ნაცვლად².

ამ სიტყვებში, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს პროგრესულ ასიმილაციასთან. დამსგავსება მომხდარა რაგვარობის მიხედვით. აბრუბტივ კ-ს

¹ წინადადებაში: „ხ ა ფ ს ა ვ ი თ დადობილია მიწაზე“ (ნაბელღავი).

² წინადადებაში: „იმ ტყეში ნალირობა ა ნ წ ა ლ ლ ი მ აქ“ (ლაშისღელი); „ა კ ვ წ ა ლ ე მ აი ანბავი“ (ვაკიჯვარი).

ნაწილობრივ მიუმსგავსებია მჟღერი სპირანტი ძ და უქცევია აბრუბტივ წ-დ. უფრო მოსალოდნელია, რომ ეს მომხდარიყო რ-ს დაკარგვის შემდეგ. პირველ მაგალითში („ანწალული“) თვითონ ასიმილატორი კ დაკარგულა მის მიერ ასიმილირებული ბგერის დისიმილაციური გავლენით და წ-ს წინ განვითარებულია ნაზალი ნ.

ყრუ სპირანტები ს და ც განიცდის ნაწილობრივ ასიმილაციას. ეს მჟღავნდება დ-ს გ-ს წინ უშუალო მეზობლობაში; მაგ.: მიზდა (— მისდა), იმიზა (— იმიზდა — იმისდა), მიზღღემჩი (— მისღღეში), კაციზა (— კაციზდა — კაცისდა), კაციზღონს (— კაცისღონს — კაცისღენს — კაცისოღენს), ვიზგან, მაქუტაძიზგან, ქალაქს ზგავს, მზგავსია, ზღვეს (— სღვეს), მიზღვეს, გაზღვეს, გამოზიდვეს, ზღომებია, მოზღვა, ოზდახუთი (— ოძდახუთი — ოცდახუთი)¹, ოზდარვაი, ოზდაათი და სხვ.

სისინა სპირანტი ს იქცევა შიშინა შ სპირანტად ჭ, შ, და ჯ შიშინების წინ და იშვიათად შემდეგაც კონტაქტური ან დისტანციური ასიმილაციით; მაგ.: დაშქირდა, გაშქრენ... შაშუალება (—|| შაშვალება), შაშვალი... შინჯვიღენ, მოშინჯვა... შოშე...

ასიმილაცია მოსდის ზოგჯერ სონორ ბგერებსაც, თუმცა საამისო მაგალითებს შედარებით იშვიათად ვხვდებით. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელება: ვიწვევი ლოგილზე² გარნეთ (ქალა)... პწყილი (— მწყილი — წყილი — რწყილი), გაბწყილდა...³.

ლიტერატურული საურთიერეთო ნაცვალსახელი ე რ თ მ ა ნ ე თ ი და ზმნისართი მ თ ლ ა დ გურულში დამკვიდრებულია „ერთქამეთი“ და „ქლათ“ (||„თლათ“) ფორმებით. ამ სიტყვებში მჟღერი შ უნდა იყოს გაფშვინვიერებული და ქცეული თავისივე კლასის ფ-დ პროგრესული (პირველში) და რეგრესული (მეორეში) კონტაქტური ასიმილაციით თ-სთან, ხოლო შემდეგ ფ

¹ შდრ. ყიზილ-მოზღოკური: ორმოდათოთხმეტი (ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი. ვ. თ ო ფ უ რ ი ა. ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, დიალექტთა განხილვა. ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 168), ოძდარვა (იქვე).

² ლოგინი — ხის ტახტი (უძრავი).

³ გაჩუმდა.

ქცული ქ-დ: ერთჟამეთი ← ერთჟამეთი ← ერთჟამეთი¹ ← ერთმანეთი ← ერთმანერთი², ქლათ ← ქთლათ ← ფთლათ ← მთლად (შდრ. ეფთვიმე → ექვთიმე).

აქვე უნდა აღინიშნოს: არ არის გამორიცხული, რომ პირველ სიტყვაში (ერთჟამეთი) საქმე გვექონდეს მეგრულის სუბსტრატთან: ართიქართი.

ხორხისმიერი ფშენიერი ჰ გავლენას ახდენს უშუალო მომდევნო პ და კ აბრუპტივებზე, ნაწილობრივ იმსგავსებს მათ და შემდეგ თვითონ იკარგება; მაგ.: მოფარა (← მოჰფარა ← მოჰპარა), დაფირდა (← დაჰფირდა ← დაჰპირდა), დაფაიჯა (← დაჰფაიჯა ← დაჰპატიჯა), ქითხა (← ჰქითხა ← ჰკითხა), დაქრა (← დაჰქრა ← დაჰკრა) და სხვ.

ყ და ჭ ბგერებთან თვით ჰ განიცდის ასიმილაციას, იქცევა ზ-დ, ხოლო შემდეგ ამ უკანასკნელის გავლენით იკარგება თვით მასიმილირებელი ყ და ჭ; მაგ.: გახვა (← გახყვა ← გაჰყვა), ხავს (← ხყავს ← ჰყავს), მოხავს (← მოხყავს ← მოჰყავს)... ხონდა (← ხქონდა ← ჰქონდა), ხონებია (← ხქონებია ← ჰქონებია) და სხვ.

ჰყ — ხყ — ხ გავრცელებულია მთელ გურულში, ხოლო ჰქ — ხქ — ხ დასტურდება მხოლოდ ქობულეთის რაიონის ახლომახლო სოფლებში, ალბათ ამ უკანასკნელში აჭარულის ქობულეთური მეტყველების გავლენასაც მიუძღვის წილი³.

ასიმილაციასთან დაკავშირებით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი: გურულში გვხვდება ასიმილაციის ყველა სახე. თანხმონებში დიდი სხვაობა არ შეინიშნება გავრცელების მხრივ პროგრესულსა და რეგრესულ ასიმილაციას შორის. ორივეს ფართო ასპარეზი აქვს მთელ გურულში. ამ გზით ხდება დაყრუბაც და გამჟღერებაც. ხმონებში გაბატონებულია რეგრესული ასიმილაცია. ასიმილატორად გვევლინება ი, უ, ე და ი, ხოლო ასიმილირებულად

¹ შდრ. იმამ (← იმან), ამამ (← ამან)...

² შდრ. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები. — ქურნ. „მნათობი“, №7, 1959, გვ. 134.

³ დაწერილებით: ქ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭარულში. — თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, VI, პირველი სერია: საზოგ. მეცნიერებანი, თბ., 1937, გვ. 123-138; მ. ს. ი. ვ. ე. პოზიციური წარმოების მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში. — ივეწ. XIII, თბ., 1986, გვ. 66-70.

— ა, ე, ი და ო. ასიმილაცია ხდება პრევერბისეულ ხმოვნებში. ასიმილაციის ძლიერი უნარი გააჩნია სასხვისო ქცევის უ-სა და ვნებითისა თუ სათავისო ქცევის ი-ს. პირველი ჩვეულებრივ სრულად იმსგავსებს წინამავალ პრევერბისეულ ყველა ხმოვანს, ხოლო მეორე — ა-სა და ო-ს ნაწილობრივ. ამ ა, ო ხმოვნებს სრულად იასიმილირებს კონტაქტურ მეზობლობაში მოხვედრილი ვნებითის ე, როგორც ეს ხდება რიგ სხვა კილოებში (განსაკუთრებით აღმოსავლურში). მაგრამ აქ, იმათგან განსხვავებით, ეგვე ე და ძლიერი ასიმილაციის უნარის მქონე ი და უ თითქმის გავლენას ვერ ახდენს ობიექტური პირის ნიშნებითა (მ, გ, გვ) და პრევერბისეული მ თანხმონით დაშორებულ ხმოვნებზე. გარდა ამისა, ი-ს საერთოდ არ შეუძლია, რომ ა სრულად მიიმსგავსოს. ამ მხრივ გურულს უპირისპირდება ქვემოიმერულის ხონ-სამტრედისის ზოლის მეტყველება და აქარული დიალექტი, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან მას (შდრ. სამტ.: დიიწვა — დეიწვა — დაიწვა; აქ.: გიგიკეთა — გეგიკეთა)¹. ხმოვანთა დამსგავსება განსხვავებულია ზემო- და ქვემოგურულს შორისაც. ისინი ემიჯნებიან ერთმანეთს აუ და ეუ კომპლექსებთან დაკავშირებით ასიმილაციის სისრულის საკითხში. ზემოგურულში, ქვემოიმერულის გავლენით, სქარბობს ნაწილობრივი დამსგავსება, ხოლო ქვემოგურულში გაბატონებულია ასიმილაციის სრული სახე.

სუფიქსისეული ე და ო აქაც ისევე ზოგჯერ იმსგავსებენ ფუძისეულ ხმოვნებს, როგორც რიგ სხვა კილოებში.

თანხმოვანთა ასიმილაციის მაგალითებში დაპირისპირება ზემო და ქვემოგურულს შორის არ შეინიშნება. ორსავე კილოცავეში ფართოდ გავრცელებულია თანხმოვანთა კონტაქტური ასიმილაცია, მაგრამ არცთუ იშვიათად დასტურდება დისტანციურიც.

¹ გურულში ანალოგიური ვითარება მხოლოდ ჩანასახის სახით იჩენს თავს. ქვემოიმერეთის ახლო-მახლო სოფლების მეტყველებაში სპორადულად შეინიშნება ასეთი მაგალითები, როგორიცაა: კერიის —|| კერიის (—|| კერიის — კერიის), ჩემი ძამიი || ძამიიი (|| ძამიი — ძამიი), ჩემი დაიი —|| დაიიი (—|| დაიი — დაიი) და მისთ. შდრ. სამტრედისული: დ ი ი ხ ჩ ო — დეიხჩო, წ ი ი ლ ო — წეილო, გ ი ი ქ ნ ი ა — გეიქნია (ქ. ე უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985, გვ. 26, 50); მეგრ. შ ი ი ლ ე ბ ე — შიიძლებე — შეიძლებე; ჰან.: ი ი წ კ ე დ უ — ეიწკედუ „აიხედა“ (ს. ე ლ ე ტ ი, ჰანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, გვ. 54).

დისიმილაცია

დისიმილაციაც გავრცელებულია გურულში. მეტ-ნაკლებად თავს იჩენს ყველა სოფლის მეტყველებაში. ერთმანეთს განემსგავსებიან იდენტური ბგერებიცა და ნაწილობრივ მსგავსნიც.

დისიმილაცია გვხვდება კონტაქტურიცა და დისტანციურიც. ხმოვანთა შორის უფრო გავრცელებულია პირველი, თანხმოვნებში კი — მეორე.

ხმოვანთა დისიმილაცია

ხმოვანთა დისიმილაცია ფართოდაა გავრცელებული ქვემოგურულში, მაგრამ არცთუ იშვიათად გვხვდება ზემოგურულშიც. დამახასიათებელია მთელი გურულისათვის კონტაქტურ მეზობლობაში მყოფ იდენტურ ხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია.

გურიის ყველა კუთხის მეტყველებაში მეტ-ნაკლებად დასტურდება სიტყვის ფუძისეული -ვ-ს განმსგავსება რეგრესული გზით, როცა მას უშუალოდ ერთვის -ებ სუფიქსისეული ე (ეე — იე); მაგ.: ხიები, ტყიები, ღელიები, ღობიები, მერიები¹, კუთხიები, საქმიები; ხიდიები², მეურმიები, მეველიები, მეჭოგიები, მეჭვარიები, მეთალრიები³, მეყანიები, საყანიები, მოხელიები, მებატონიები...

შე-პრევერბის ე ქვემოგურულში ჩვეულებრივ, ხოლო ზემოგურულში შედარებით ნაკლებად განიცდის დისიმილაციას, როცა ის მოექცევა ვნებითის ან ფუძისეული ე-ს წინ; მაგ.: შიეტაკა, შიეძინა, შიეკითხა, შიეხვეწა, შიეჩვია, შიეპარა; შიერთება, შიერთთა, შიექვება, შიექვლა...

შედარებით იშვიათად დასტურდება დისიმილაცია მაშინ, როცა იდენტურ ხმოვანთა შორის მოქცეულია პირველი სუბიექტური პირის ან ფუძისეული ვ; მაგ.: შიევაპარეთ, შიეხვეწეთ, შიეეკითხეთ, შიეელაპარიკეთ, შიეეჩვიეთ, შიეეღით...

შე-პრევერბის ე ხმოვანს კიდევ უფრო იშვიათად მოდის დისიმილაცია

¹ ფუძეა შერე; შდრ.: მ ე რ ე შ ი ხალხი არ იღვა" (ქვემო აკეთი) და „ღავთესეთ მ ე რ ი ე ბ ი" (ბუქნარი).

² ფუძეა ხიდე; „ხ ი დ ე ზ ე გვიდა" (შუხუთი).

³ მეთალრქ|მოთალრე — ყანის მოსაზღვრე.

მაშინ, როცა ის დაშორებულია დისიმილატორს ობიექტური პირის ნიშნებით (შ, გ, გვ.); მაგ.: შიმეძლო, შიმეყვანა, შიმეკითხა... შიგერთო, შიგეშინა, შიგეჩვია... შიგეეცილა, შიგეეცოდვა და სხვ.

ასეთი მაგალითები საძებარია, არაა დამახასიათებელი გურულისავის საერთოდ, განსაკუთრებით უჩვეულოა ზემოგურულისათვის.

გურულში დისიმილაციას მეტად ხშირად განიცდის ასიმილირებული ე, სულ ერთია, იგი ა-საგან იქნება მიღებული თუ ო-საგან, პრევერბისეული იქნება თუ სუფიქსისეული. გზა აქაც რეგრესულია.

პრევერბისეული ასიმილირებული ე, რომელიც მიღებულია ა-საგან ან ო-საგან, ქვემოგურულში თითქმის ყოველთვის, ხოლო ზემოგურულში კი იშვიათად, გვევლინება დისიმილირებულად. აქ ფონეტიკური პროცესი სრული სახის ასიმილაციით არ დამთავრებულა, მიღებული იდენტური ბგერები (ეე) კვლავ განმსგავსებულა (იე). ცვლილება განუტღია პრე ვერბისეულ ხმოვანს, მომხდარა მისი დავიწროება; მაგ.: იეტება (← ეეტება ← აეტება)¹, იელო, იეპრა², იერჩია, იერო³, იელლიტა; გიეშრო, გიეგენ⁴, გეილაპარიკებოდა, გიერეოდა, გიებარგა, გიეთონხა; დიეთქვა, დიეტაკენ, დიეტიებია, დიეთხოვოდა, დიეცა, დიემორჩილა, დიემართა⁵, დიეთესა, დიესია, დიემარცხებიენ⁶; ჩიეწერა, ჩიეტანა, ჩიეპრა, ჩიეგდო, ჩიერბინა; წიელო, წიეყვანა, წიეფარებია, წიეპრა; გადიემტერა, გადიეკიდა, გადიეპრა, გადიეყვანა; მიეტება (← მეეტება ← მოეტება), მიეკლა (← მეეკლა ← მოეკლა), ამიეფარა, გამიეძახა, გამიეკლო, გამიეგდო, გამიერო⁷, გამიერეოდა, გამიეკიდა, შამიელია, შამიეკამა, შამიეხარჯა, ჩამიეგდო, ჩამიეკიდა, ჩამიეყვანა, წამიეწია, წამიელო, წამიეგდო და სხვ.

პირველი სუბიექტური პირისა თუ ფუძისეული გ არც აქ უშლის ხელს; მაგ.: დიეხმარეთ, დიეუფლუ, დიეეთხივე, გივექცევი, გიველაპარიკე, გიველესე⁸, ჩიეეწერე, წიეესიეთ, გადიეეცი, ჩამიეეკიდე, ჩამიეეფარე; იველი, გიველი,

¹ წინადადებაში: „თოფის სროლა უნდა ი ე ტ ე ხ ა“ (შრომა).

² წინადადებაში: „...რომ მკერეს არ ი ე ქ რ ა თუთუნი“ (ბუხნარი).

³ აველო.

⁴ წინადადებაში: „რომ გ ი ე გ ე ნ, მაწამებდენ“ (ს. ლიდი ვანი); „უნდა გ ი ე გ ე ნ“ (შუა სურები).

⁵ წინადადებაში „დ ი ე მ ა რ თ ა ყვაილბატონები“ (ზემო სურები).

⁶ წინადადებაში: „რომ არ მიეშვენ, დ ი ე მ ა რ ც ხ ე ბ ი ე ნ“ (შუა სურები).

⁷ გამოეკლო.

⁸ წინადადებაში: „რალა ცხენის ფოლოს გ ი ე ე ლ ე ს ე...“ (გურიანთა).

ჩივედი, წივედი; მივედი (— მევედი — მოვედი)¹, წამივედი, გამივედი, ჩამივედი, გადმივედი და სხვ.

გურულში ეს მოვლენა (დიეწვა, დიეფსო) მიჩნეულია აჭარიდან შეტანილად². ჩვენ მას ვერ გავიზიარებთ. აჭარიდან შემოტანილად მას ვერ ჩავთვლით. იგი გაჩენილი უნდა იყოს საკუთარ ნიადაგზე. შესაძლებელია აჭარულს ხელი შეეწყო მხოლოდ მის გავრცელებაში.

აჭარასთან ახლომდებარე სოფლების მეტყველებაში ლიტერატურული მოვედი ზმნა ხშირად გვხვდება **მუედი** ფორმით: მე მუედი, წამუედი, გამუედი, ჩამუედით და სხვ.

გურულისათვის არ არის დამახასიათებელი ამ სახით „მოვედი“ ზმნის ხმარება. გურიის სხვა სოფლების მეტყველებაში გაბატონებულია მივედი (— მევედი — მოვედი). გურულში „მუედი“ ფორმის გაჩენა უნდა აიხსნას აჭარულის გავლენით³. მაგრამ გურულში ო-ს დავიწროებით მიღებული ეს უ ისევე, როგორც ო-საგან მომდინარე სხვა უ, ინარჩუნებს ხმოვნობას და, აჭარულისაგან განსხვავებით, არ იქცევა აღმავალი დიფთონგის პირველ კომპონენტად. გურული ამ შემთხვევაში იცავს თავის სპეციფიკას, დიფთონგს აქ არ აჩენს, ინარჩუნებს უე კომპლექსს. გურულისათვის არაა დამახასიათებელი აჭარულის მსგავსი ძლიერი დიფთონგიზაცია.

სუფიქსისეული ე-ს გავლენით ბოლოკიდური პირველადი და ნაასიმილაციარი ე განიცდის დისიმილაციას: ტყიები, ოდიები (— ოდეები — ოდაე-ბი) და სხვ.

გურულშიაც, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა კილოებში, ადგილი აქვს დისიმილაციურ ნიადაგზე ხმოვანთა დავიწროებას. ეს განსაკუთრებით შეეხება ეა, ოა და ოე კომპლექსებს. ვიწროვდება პირველი კომპონენტი, სულ ერთია, აფიქსისეული იქნება იგი თუ ფუძისეული:

ეა → **ეა**: შიატყო (— შეატყო), შიაწუნა, შიაჭამა, შიაჩვია, შიაქო, შიაფარა (თავი), შიაპარა; მიათე, მიასე, მიათედი, მიასედი; იახლება (— ეახლება), იამება (— ეამება), იალერსება (— ეალერსება), იარშიყება; ღამია (—

¹ წინადადებაში: „ჯარიდან რომ მივედი ...“ (ჩოლობარგი).

² კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში. — ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები. XIX, 1959, გვ. 225.

³ აჭარულში ო-ს დავიწროებაში წილი უნდა მიუძღოდეს მ-საც.

ღამეა), ხია (— ხეა), სუყია (— სუყეა); საყანია (— საყანეა), მეჭოგია (— მეჭოგეა)...

ოა — უა: გამუაგლო (— გამოაგლო), ჩამუაგლო, ამუართვა, ჩამუართვა, გამუალო, წამუაველო; ახლუა (— ახლოა), ღვინუა (— ღვინოა), კალუა (— კალოა), ბალუა (— ბალოა), გოგუა (— გოგოა), ძარუა (— ძაროა)...

ოე — უე: ღვირუები (— ღვიროები), ეზუები, მიმინუები, პალუები, გოგუები და სხვ.

დისიმილაცია ხდება მაშინაც, როცა ო დაშორებულია მომდევნო ა და ე ხმოვნებს აფიქსისიეული თუ ფუძისიეული ვ-თი. ეს უკანასკნელი თვითონ უჩინარდება და გზას უთმობს დისიმილაციას; მაგ.: წამუაყენე (— წამოვაყენე), ჩამუაწერე (— ჩამოვაწერე), გამუატანე (— გამოვატანე), გამუარდა (— გამოვარდა), ჩამუარდა, მუა (— მოვა), წამუალ, წამუა, გაათხუა (— გაათხოვა), გასათხუარი (— გასათხოვარი), შეითხუა (— მოითხოვა), ათხუა (— ათხოვა), ღიეთხუა (— ღაეთხოვა), აგრუებდენ (— აგროვებდენ), აწუებდენ (— აწოვებდენ), გაათხუებდა (— გაათხოვებდა), მომთხუეს, სთხუეს და სხვ.

სიტყვა „ძალიანი გურულში იხმარება ძალუანი ფორმით (ძალოვანი — ძალოანი — ძალუანი): ძ ა ლ უ ა ნ ი ყმაყოფილი ვარ (მამათი), ძ ა ლ უ ა ნ ი კარქი იყო (წიფნაგვარა) და სხვ.

შე-პრევერბის ე არცთუ იშვიათად განიცდის ა-ს დისიმილაციურ გავლენას იმ შემთხვევაშიც, როცა ის მისგან დაშორებულია სუბიექტური ან ობიექტური პირის ნიშნებით (ვ, მ, გ, გვ.): შივატყვე, შივახტი, შივაძამთ, შივაწუხე, შიმაწუხა, შიგაწუხა, შიგვაწუხა...

მართალია, დისიმილაცია გურულში შედარებით იშვიათად ხდება მაშინ, როცა ეე ხმოვნებს ერთმანეთისაგან აცალკევებს ობიექტური პირის ნიშნები, მაგრამ მაინც არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს გურულისათვის ასეთი რამ უცხო იყოს¹.

გურულში ეო თუ ასიმილაციას გადაურჩა, განიცდის დისიმილაციას და იქმნება იო კომპლექსი; მაგ.: მიოჯახე (— მეოჯახე), მიორეჯელ, მიორენაი-

¹ შდრ. კ. კ უ ბ ლ ა შ ე ი ლ ი, დასახ. შრ., გვ. 259.

რი, მიორწულიანი, მიოთხე, მიოთხედი, მიოცედი და სხვ.

განემსგავსება ასიმილაციით მიღებული ე-ც; მაგ.: უსტიობა (← უსტე-ობა ← უსტაობა) და სხვ.

მაგრამ ასეთ მაგალითებში უფრო ჩვეულებრივია ასიმილაცია და არა — დისიმილაცია.

ხმოვანთა დისიმილაციის ცალკეული შემთხვევებიდან აღსანიშნავია: ამელამ (← ამალამ), კეკალი (←|| კაკალი), პეტრვან (←|| პეტერვან||პეტარვან ← პატარავან)¹, აღღინძელეზდენ (← აღღენძელეზდენ — აღღეგრძელეზდენ), ოჯინჯალა (← *ოჯენჯალა ← ო-ჯან-ჯალ-ა), თანდითან (←||თანდეთან ←||თანდათან)², სინამდი (← სანამდი), შიშა (←||შეშა)³ და სხვ.

ლიტერატურული „ბროწეული“ გურულში იხმარება „ბრეწოული“ და „ბერწოული“ სახით. აქ ამ სიტყვაში, როგორც ჩანს, უ-ს წარმოების ადგილის მიხედვით: ნაწილობრივ მიუმსგავსებია წინამავალი ე და უქცევია იგი -ო-დ (ბროწოული), ხოლო შემდეგ ასიმილირებულ ო-ს განუმსგავსებია თანხმოვ-ნით დაშორებული წინამავალი ო და მოუცია ე (ბრეწოული). მიღებული ე და სონორი რ ზოგჯერ ადგილებს უცვლიან ერთმანეთს (ბერწოული).

ზემოთ განხილული ყველა მაგალითი ეხებოდა ხმოვანთა რეგრესულ დისიმილაციას. გურულისათვის უცხო არ უნდა იყოს პროგრესული დისიმი-ლაციაც. ზოგიერთ სიტყვაში ამას უნდა ჰქონდეს ადგილი; მაგ.: ლაპარიკი, ულაპარიკია, სალაპარიკო, ნალაპარიკი, ილაპარიკა; მაგიორი, მაგიორში...

თანხმოვანთა დისიმილაცია

გურულში არ არის იშვიათი არც თანხმოვანთა დისიმილაცია. ერთმა-ნეთს განემსგავსებიან არა მარტო იდენტური ბგერები, არამედ ნაწილობრი-ვად მსგავსნიც. მნიშვნელობა აქვს ბგერის რაგვარობასა და წარმოების აღ-

¹ წინადადებაში: „ნაბოლარე გააქეთუფს პ ე ტ რ ვ ა ნ პარკს“ (შუა სურები).

² გვხვდება „ხანდიხან“ ფორმაც. მაგრამ იგი მიღებულია „ხანდისხან“ ფორმისაგან. „თანდითან“ სიტყვაშიც, რომ ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული და კავშირი ყოფილიყო, მაშინ უნდა მიგ-ველო „თანისან“ ფორმაც. მაგრამ ასეთი სიტყვა გურულში არ არსებობს (შდრ. მასთან — მასან, იმისან^{აი}’ე — იმისანაი, ამისან^{აი}’ე და სხვ.).

³ წინადადებაში: „შ ი შ ა ს ე ბ ა ზ ა დ ე ბ ლ ი თ“ (ჩოლობარგი).

გილს. თანხმონებში თითქმის თანაბრად გვხვდება პროგრესული და რეგრესული დისიმილაცია. იგი შეიძლება იყოს კონტაქტურიც და დისტანციურიც.

სონორ ბგერათა განმსგავსება ჩვეულებრივია სხვა კილოებშიც, მაგრამ გურულში მას უფრო ფართო გავრცელება აქვს:

რ—რ → რ—ლ: ბეურჯელ (← ბევრჯერ), ორჯელ, ნახევარჯელ, ოროლი, ქირულგი, ხარხალი; წროულს (← წლეულს)...

ლ—ლ → რ—ლ: პირპილ¹ე, წრომანდელი (← წროვანდელი ← წრევანდელი ← წლევანდელი)...

ლ—ლ → ნ—ლ: სუნთელი (← სულთელი ← სულ მთელი)...

ნ—ნ → ლ—ნ: კალონი...¹

ნ—მ → ნ—გ: რამდენივე, რამოდენივეჯერ...

მ—ნ → მ—ლ: იმდელი||იმდოლი, რამდელი||რამდოლი, რამოდელივე...

მ—ნ—მ → მ—ლ—მ: მალამდი||მალამდე...

ნ—მ → ლ—მ: ლემსი||ლეფსი, ლემსივით, სილამდი (← ||სინამდი)...

მ—ნ → ბ—ნ: ქალაბანი, ქალაბნები, საქალაბნე...

დასტურდება დისიმილაციურ ნიადაგზე თანხმონთანა გამჟღერებაც და დაყრუებაც.

ფხ → მხ: ზამხული...

ფთხ → მთხ: მომთხილება (← მოფთხილება ← მოფრთხილება), უნთხილდება (← უმთხილდება), ანთხილეფს (← ||ამთხილეფს)...

ნძ → ნც: ალანცული...²

ნ—გ → ნ—კ: აფხანაკი, შიაფხანაკდენ...

მღ—გ → მღ—ქ: წინამდექი, ეწინამდექებოდა...

ქ—ც → ჭ—ც: გავეგეცი...¹

¹ გვაქვს „ნამეტარი“, მაგრამ უნდა იყოს ნაწარმოები სიტყვა: ნა-მეტ-არ-ი (შდრ. ნა-ფუძ-არ-ი, ნა-ოფლ-არ-ი)...

² ნახმარი აქვს ლალიონსაც: „მახლობელი ხეები ნახევრად ა ლ ა ნ ც უ ლ ი იყო“ (მოთხრობები, 1920, 144, 26).

კ-კ → ბ-კ: ბურკა.

გვხვდება იდენტურ და ნაწილობრივ მსგავს მჟღერთა განმსგავსება წარმოების ადგილის მიხედვითაც:

ღ-ღ → ნ-ღ: შევბეჭნიდით (ამოსავალია ბეჭედი)...

ჭ-გ → ძ-გ: ძაგარა¹ი/ე...

წ-ღ დისიმილაციური გავლენით უნდა იყოს ძ შეცვლილი ღ-ღ სიტყვაში ღუნწი (— ძუნწი), სადაც ნაწილობრივ მსგავს ბგერათა განმსგავსება მომხდარა გვარონობისა და წარმოების ადგილის მიხედვითაც.

შეინიშნება მჟღერისა და ფშვინვიერის დისიმილაციური გამკვეთრებაც:

სთ → სტ: სტველი (— სთველი||რთველი)...

თ-თ → თ-ტ: ერთქამეტი² (||ერთქამეთი)...

მღ → მტ: ამტოლია (—|| ამთოლია ←|| ამდოლია — ამდენია), რამტენი||რამტონი, იმტონი...³

სქ → სკ: სკელია, სისკე...

ასიმილაციის შემდეგ უნდა იყოს დისიმილაცია მომხდარი ისეთ სიტყვებში, როგორცაა ხტაი და სახტარი: ყდაი → ყტაი → ხტაი, საყდარი → საყტარი → სახტარი.

ადგილი აქვს აბრუბტივების განმსგავსებასაც ფშვინვიერების გავლენით. შენიშნულია წყვილბაგისმიერი ბ-ღ დისიმილაცია წარმოების ადგილის მიხედვით ანალოგიური წარმოების ფ-ღსთან დისტანციურ მუზობლობაში: ეტიფანე (— ებიფანე)...

გურიის ერთ-ერთი მდინარის სახელი მჟუჟი ზოგჯერ იხმარება ბჟუჟის სახითაც. თუ ამ უკანასკნელში ძველი ფორმა არაა შემორჩენილი, როგორც

¹ დადასტურებულია სოფ. მამათში (ლანჩხუთის რ.): „სტრაქნიკეფს გ ე ე ე გ ე ც ი თ“; „გ ე ე ე გ ე ც ი, მარა დამიჟირეს“.

² წინადადებაში: „რომ დაღამდაო, მიხედედთ ე რ თ ქ ა მ ე ტ ს ო, იქ ვიყავითო“ (ზემო აკეთი, ლანჩხუთის რ.); „სელები შუჟურეს ე რ თ ქ ა მ ე ტ ზ ე“ (იქვე).

³ წინადადებაში: „ტუჟმი რამტონი ხეი იყო, ი მ ტ ო ნ ი ვენახი იყო“ (გვიმბალაური, ლანჩხუთის რ.).

ამას ივ. ჭავთარაძე ფიქრობს¹, მაშინ საქმე გვაქვს პროგრესულ დისიმილაციასთან. იდენტური ბგერები (ჟ—ე) განმსგავსებულან და ერთ-ერთისაგან მიგვიღია თავისივე რიგის აფრიკატი; მაგ., ნატანები და ბ ე უ ჯ ი შეერთებული ყოფილა უწინ და აქანე წყალი იღვა (შემოქმედი).

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადი ხდება, რომ გურულში დისიმილაციაც გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა სახის განმსგავსება. თანხმოვანთა შორის ნაკლებად იგრძნობა რომელიმე მათგანის უპირატესობა. მაგრამ ხმოვნებში განსხვავებული ვითარება დასტურდება: გაბატონებულია რეგრესული დისიმილაცია. იგი გვაქვს მთელ გურულში. ყველა კუთხის მეტყველებაში ხშირია სუფიქსისეული ე-ს გავლენით ფუძისეული იდენტური ხმოვნის განმსგავსება კონტაქტურ მეზობლობაში (ეე → იე). ამ შემთხვევაში დისიმილირებული ო ხმოვანი შეიძლება მიღებული იყოს რთული ფონეტიკური პროცესის შედეგადაც (ასიმილაცია + მეტათეზისი + დისიმილაცია). ეა და ია კომპლექსები საერთოდ აფიქსებთან და ოე კი მხოლოდ სუფიქსებთან დაახლოებით ერთნაირად განიცდიან დისიმილაციას ზემო და ქვემოგურულში. მაგრამ ეე კომპლექსის დისიმილაცია პრევერბთან გაბატონებული სახით დამკვიდრებულია მხოლოდ ქვემოგურულში. ზემოგურულში მას არა აქვს სისტემატური ხასიათი და ბევრად სჭარბობს უდისიმილაციო ფორმა.

მეტათეზისი

გურულში მეტათეზისი დაახლოებით ერთნაირად დასტურდება ყველგან. კუთხეების მიხედვით სხვაობა ამ მხრივ ნაკლებად შეინიშნება.

გურულში სონორი ბგერები ადგილს უცვლიან ერთმანეთსაც, ხმოვნებსაც და აგრეთვე სხვა თანხმოვნებსაც. ეს ხდება უშუალო მეზობლებთანაც და სხვა ბგერებით დაშორებულებთანაც.

ლ—რ — რ—ლ: ვერული, ძრავლი (— მძლავრი), ძრიელი, გაძრიელი—და...

¹ ივ. ჭავთარაძე, ეგნატე ნინოშვილის ენის ძირითადი საკითხები. — ჟურნ. „მნათობი“, №6, 1959, გვ. 164.

- რ—ლ → ლ—რ: ყორისფელი (←||ყოლიფერი ← ყველაფერი)¹, ლაქვე-
რი, ფილარი (←||ფირალი), ილაკრე/ი...
- ლ—ნ → ნ—ლ: მენალი...
- ნ—მ → მ—ნ: მინუში...
- ბმ → მბ: ამბამ, დამბვა, დამბული...
- ღვ → ვღ: შავლა (← შალვა)...
- რვ → ვრ: გაჭვივება, გაჭვივებული... (შდრ. ლიტ. თვრამეტი ათ რვა-
მეტი).
- ვრ → რვ: ლარვენტი...
- ღირ → რღ: ღრისი, ღრისება, გვეღრისა, ეღრისა...
- გრი → რგ: გირგოლა, გირგოლეთი...²
- კლი → რკ: კილტე, დაკილტა, ჩაკილტა, დაკილტული...
- ჩულ → რჩ: ჩლუქი (რუს. чулок)...
- ზურ → რზ: ზრუგი (←||ძრუგი), შეიზრუვა მიწა, ოზრუგეთი...
- ღრუ → რღ: ღურბელი, მეიღურბლა...
- შარ → რშ: შრაფი (რუს. шарф)...
- თხმე → მთხ: თხმელ^{აი}/ე (←||თხმელ^{აი}/ე)...
- ცხემ → მცხ: ცხმელ^{აი}/ე (←||ცხმელ^{აი}/ე; შდრ. ც ხ ე მ ლ ი ს -
ქ რ ა, ც ხ ე მ ლ ი ს ხ ი ლ ი...).
- ჟ—ნ → ნ—ჟ: ნოჟავს (← ჟონავს), გამონოჟავს, გამუჟუნოჟავს, გამონო-
ჟილი, გამონანოჟი...
- ჭ—ნ → ნ—ჭ: ანჭაყება, ანჭაყეფს, ანჭაყებული...
- ლიტერატურული „წიხლი“ გურიამი გაბატონებულია „წრიხი“ ფორ-
მით. ლ-ს შეცვლა რ-თი უფრო მოსალოდნელია მეტათეზისის შემდეგ მომხდა-
რიყო (წიხლი → წლიხი → წრიხი).

¹ ასე შეცვლა ი-თი, როგორც ჩანს, გამოწვეულია „ყოველი“ სიტყვის ანალოგიით.

² სოფლის სახელია გრიგოლეთი.

დრ → **რდ**: ახვერდა, ახვერდეს...

ხვედრ → **ხვრედ**: დამახვრედე, დაახვრედა...

დასტურდება ბგერათა გადასმის სხვა შემთხვევებიც:

ჭავ → **ჭვა**: განჭვარება||განჭუარება||გამჭუარება, განჭვარდა||განჭუარდა, განჭვარებული||განჭუარებული||გამჭუარებული...

თხუთ → **თუთხ**: თუთხმეტი (← თხუთმეტი ← ათხუთმეტი)...

ჭლ → **ლჭ**: ღჭაი (←|| ჭლაი)...

ზგ → **გზ**: ენგზავსება||ენგზასვება (← ენგავსება ← ემგავსება), გზავსი (← ზგავსი ← მსგავსი)...

ფქ → **ქფ**: ქფილი (← ქფვილი ← ფქვილი), საქფოვი, დასაქფოვი, დეიქფოვოდა, წისქვილი (← წისქფვილი ← წყლისფქვილი)...

გხ → **სგ**: ფხასვი (← მხასვი ← ხასვი)...

აქა-იქ დასტურდება (უმთავრესად ზემოგურულში) **ხს** → **სხ** (გასხნის) და **სხ** → **ხს** (დაახსამს). მაგრამ ასეთი შენაცვლება გურულისათვის არაა დამახასიათებელი.

ლიტერატურული „ხვლიკი“ გურულში გაბატონებულია „ხლიკვი“ ფორმით. ეს უკანასკნელი მიღებულია **გ**-ს გადასმით ბოლოში (შდრ. ლიტ. სვლა ← სლვა...).

შეინიშნება ბირის ნიშნისეული **ვ**-ს გადასმის შემთხვევებიც: კყავდა (← კყავდა ← ქყავდა ← გყავდა)... გაქყავდა (← გაქყავდა ← გაგყავდა)... შექვონდა (← შექქვონდა ← შექქვონდა ← შეგვქვონდა), გადაქვონდა (← გადაქქვონდა ← გადაქვქვონდა ← გადაგვქვონდა), ქვონდა (← ქქვონდა ← ქვქვონდა ← გვქვონდა)... დაქვთამიდი (← დავექვთამიდი ← დავექვთამავიდი)...

„ავადმყოფი“ და მისგან ნაწარმოები სიტყვები გურულშიც, ისევე, როგორც სხვა მთელ რიგ დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტებში, ხასიათდება მეტათეზისით (და აგრეთვე სხვა ცვლილებებითაც): ავადმყოფი ← ავად-

¹ დადასტურებულია სოფ. ზემო აკეთში: „ფარას ვიხთიდიო, დ ა ქ ე თ ა მ ი დ ი ი ვინსო“.

ნყოფი — ავანდყოფი — ავანთყოფი — ავანტყოფი, ავანტყოფობა, დაავანტყოფდა, იავანტყოფა, საავანტყოფო...

გურულშიც ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა კილოებში, იხმარება: განთავისუფლდეს, განთავითარდეს, განცხადდეს, განხორციელებს, განჯჳარდეს და მისთანა. მაგრამ აქ მეტათეზისი არა გვაქვს, არამედ გან-პრევერბისეული ნ გაგებულია ფუძისეულად (მდრ.: გინცხადედ, გამუანცხადა, ანვითარდეს, ანხორციელდეს და სხვები, რომლებიც ხშირად იხმარება დიალექტებში).

ადგილებს ერთმანეთს უცვლიან ხმოვნებიც: ა—ე → ეა → ია: დგომიარობა (← დგომეარობა ← მდგომარობა), დებიარობა (← დებეარობა ← მდებარეობა).

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ გურულის ფონეტიკურ მოვლენათა შორის მეტათეზისსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ბგერათა დაკარგვა

ბგერათა დაკარგვა მეტად გავრცელებულია მთელ გურულში. იგი მეტნაკლებად შეეხება ყველა ბგერას, მათ შორის ხმოვნებსაც. მაგრამ შედარებით ფართო ასპარეზი აქვს თანხმოვნებში. ზოგიერთი ბგერის დაკარგვა ისე ხშირია, რომ შეიძლება გარკვეული კანონზომიერების დადგენაც კი.

თანხმოვანთა დაკარგვა

თანხმოვანთა დაკარგვა გურულში ძირითადად გამოწვეული ჩანს ფიზიოლოგიური მიზეზით: ხდება სიტყვის წარმოთქმის გაიოლება. რთული კომპლექსების გამარტივებისა და წარმოთქმის გაადვილების ტენდენცია განსაკუთრებით იგრძნობა მთელ გურულში. შეპირობებულია ძირითადად წარმოთქმის სიჩქარით.

თანხმოვანთა დაკარგვა უმთავრესად პოზიციურ ხასიათს ატარებს.

მ იკარგვის ჩვეულებრივ სიტყვის თავში თანხმოვნის წინ, თუ ის პირველი ობიექტური პირის ნიშანი არ არის. დაკარგვის შემთხვევები ხშირად გვხვდება სახელებსა და მიმღეობებშიც; მაგ.: თავრობა, თვარე, თელი, ტერი, დინარე, ძინარე, წოლიარე, დიდარი, გზავრი, შობელი, ყიდველი, კურნალი,

დგური, წერალი, ხთალი, ქედელი და სხვა მრავალი.

გურულში დამკვიდრებულია „მარა“ კავშირი. მას ბოლოკიდური მ არ გააჩნია სალიტერატურო ქართულის შესატყვის ფორმასთან შედარებით. მაგრამ ამ სიტყვაში გურულს მ კი არ დაუკარგავს, არამედ არ გაუჩინია¹.

სიტყვის შიგნით და ბოლოში მ-ს დაკარგვის შემთხვევებს იშვიათად ვხვდებით; შეიძლება მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელება; მაგ.: მამამისი (← მამამისი), ხო (← ხომ)...

ბირველში (მამამისი) მ დაკარგული ჩანს წარმოთქმის სისწრაფისა და დისიმილაციის მიზეზით.

ფორმანტიკული და ფუძისეული მ-ს ერთად შეხვედრის დროს ერთ-ერთი ხშირად უჩინარდება და გვესმის ოდნავ დაყოვნებული მ; მაგ.: დამართია (← დამართია), ლომა (← ლომმა), ჩემა დამა (← ჩემმა დამა) და სხვ.²

ნ-ს დაკარგვის შემთხვევები გვხვდება მხოლოდ რამდენსამე სიტყვაში; მაგ.: კრიმაქული (← კრიმანქული), გრამიტო და სხვ.

სიტყვის თავში ნ საეროდ არ იკარგვის გურულში. იგი აქ თავისი გამძლეობით უპირისპირდება მ-ს (შდრ. ნგრევა, ნდომა, ნჯღრევა, ნძრევა და გელი, კერდი, ქრელი — მქრელი, ცველი და სხვ.).

გურულშიც, ისევე როგორც რიგ სხვა დასავლურ და აღმოსავლურ კილოებში, ლიტერატურული ზმნა „ჩან“-ს ვნებითის დ-ს დართვისას და ფუძის შეკუმშვის შემთხვევაში წარმოდგენილია ნ-ს გარეშე (გაჩთა, გუუჩთა, გავჩთი, გაჩთენ...). მაგრამ ამ სიტყვაში ძირისეულია მხოლოდ ჩ, როგორც ეს მეგრულთან შეპირისპირებით დამტკიცა არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა მ³. მან დაასაბუთა ნ. მ ა რ ი ს შეხედულება ჩას არქაულობის შესახებ⁴ და მიუღებლად ცნო

¹ მაგრამ კავშირის შესახებ: ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 626.

² წინადადებაში: „ბიცოლაჩემა უკივლა და გამეიქცა მამაჩემა“ (ს. ჩოლობარგი); „მამაჩემა და დედაჩემა ამაზლია“ (ს. ჩოჩხათი) და სხვ. მსგავსი მაგალითები ფიქსირებულია და შეტანილია სათანადო წიგნში; მაგ.: ჯეიტანეს ბული იმ საშა შვილმა“ (ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თოფურია, ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს რედაქტობით, თბ., 1961, 422, 13).

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, გარეკახეთი დიალექტოლოგიურად. — არილი, 1925, გვ. 69; მ ი ს ი ვ ე, ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938, გვ. 378-379; მ ი ს ი ვ ე, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 110, 130.

⁴ Н. М а р р, Древнегрузинско-русский словарь к главам I: ванилия Марка, СПб., 1913, გვ. 30.

ა. შ ა ნ ი ძ ი ს აზრი, რომლის მიხედვითაც ჩ ა მიიჩნეოდა ვულგარიზმად¹.

მთელ გურულში ყოველთვის, როგორც წესი, არა გვაქვს კაუზატივის საწარმოებლის თანხმომავანი ელემენტი. შუალობითი გზის **ინ** ფორმანტი ყველა ზმნაში წარმოდგენილია მხოლოდ ი-ს სახით: გავაკეთებთ, გავაშრობთ, დავალევი, დამაწყებია, დამაწერია, დამახატვია, გაალობია, წააღებია, გააღესვია და სხვ.²

გ-ც ჩვეულებრივ გარკვეულ ვითარებაში იკარგვის მთელ გურულში. ზმნებში, რომელთაც ფუძის თავიკიდურ თანხმომავანად აქვთ გ, ქ, კ ბგერათაგან რომელიმე, მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ თითქმის ყოველთვის უჩინარდება; მაგ.: შენ გონია (— გონია), შენ გლიჯავს (— გლეჯს — გგლეჯს)³, შენ ქონდა (— ქქონდა — გქონდა), შენ კლავს (— კკლავს — ქკლავს — გკლავს) და სხვ.

გ მეტად ხშირად იკარგება მხოლოდობითი რიცხვის ფორმით მოცემულ ნაცვალსახელებში ორ ხმოვანს შორის: იგო — იი, აგო — აი, მაგო — მაი, ზოგო — ზოი.

გ არ იშვის აგრეთვე „გზობა“ ზმნისართში ზოგჯერ (გზობა||ზობა); მაგ.: მიქმოვია დღეში ხუთი-ექვსი ზოზა (ნიგოითი); ორი ზოზა იყო (მუხუთი), ერი ზოზა უქმოვია (მამათი).

რა და გგარი სიტყვების შეერთებით სალიტერატურო ქართულში მიღებული კითხვითი ნაცვალსახელი (როგორი — რა გვარი)⁴ და ზმნისართები (როგორ, როგორც, როგორღა, როგორღაც) გურულში დამკვიდრებულია რავაი (—|| რავალი — რავარი — რავგარი), რავა (— რავალ — რავარ — რავგარ), რავაც (—|| რავარც), რავარცხა (— რავგარცლა — რავგარ-ცა-ღა) ფორმებით. გ ყველგან დაკარგულია.

გ დაკარგულია აგრეთვე მარა (— მაგრა — მაგრამ)⁵ კავშირში.

¹ ა. შ ა ნ ი ძ ე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920, გვ. 17, შენიშვნა 1.

² ვრცლად: გრ. ი შ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ. — მაცნე, 1966, №6, გვ. 263-265.

³ შდრ. ზოგან ზოგვან.

⁴ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953, გვ. 24, 28.

⁵ იქვე, გვ. 626.

გ თანხმოვანს ხშირად კარგავს გურულიც, როგორც ეს სწვევია საერთოდ ქართულ კილოებს. მათ შორის საერთოდ ბევრია და სხვაობაც ამ საკითხთან დაკავშირებით. პირველის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ პირველი სუბიექტური პირის ნიშნის გ-ს გაუჩინარება ამავე თანხმოვნითა და უ ხმოვნით დაწყებული სიტყვების წინ, როგორც ეს ძველ ქართულში იყო ნორმად გატარებული. ბაგისმიერი ზ და მ ბგერების წინ პირის ნიშნის გ ბევრ კილოში არ ისმის. ეს ასეა გურულშიც.

შენიშნება გ-ს დაკარგვის სხვა ბევრი შემთხვევაა.

თანხმოვანთა შორის ვ ხშირ შემთხვევაში იკარგვის ან სუსტდება; მაგ.: მოკტა (← მოკეტა — მოკედა), ქრივი, ფხნილი, ეკუთნის, მეიცლიდა (← მოიცვლიდა), გამუჟცლით (← გამოჟუცვლით), გამობრეტილია, შუთულიდა (← შეუთვლიდა), გასლა (← გასვლა), წასლა, მიესლება, მიაკლია, კლევარი (← მკვლევარი)... თ^ვრალი, სინთ^ვრალე, სიკ^ვტილი...

სუსტად ისმის ხშირად თანხმოვანთა შორის მრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშნისეული გ: ქეთიშავს, ქვთხოვს, ქვხურავს და სხვ.

ვ-ს დაკარგვის შემთხვევები დასტურდება სხვა პოზიციებშიც, სახელდობრ: სიტყვის თავში თანხმოვნის წინ, თანხმოვანსა და ხმოვანს შორისაც, ხმოვანსა და თანხმოვანს შორისაც და ხმოვანთა შორისაც; მაგ.: ლადიმერი, ლასოვი... დაცივა, დეიცა (← დაიცვა), ქფილი, მეწია (← მეწვია)... იშონის, თოლი, თამჯდომარე, თადგირიძე (← თავდგირიძე)... ციება (← ცივება), ნეტაი (← ნეტავი), დადეი (← დადევი), ვიყაი და სხვ.

ზევით და ქვევით (და აგრეთვე ამათგან ნაწარმოები) ზმნისართები გურულში შემონახულია გ-ს ჩაურთველად: ზეით, ქვეით, ზეიდან, ქვეიდან.

ლ და რ სონორები თითქმის ერთნაირ პოზიციაში იკარგვის გურულში. ვერც ერთი მათგანი ვერ ძლებს თანხმოვანთა შორის და სიტყვის თავში თანხმოვნის წინ; მაგ.: ხინი (← ლხინი), პება (← ლპება)... კინა, ძალი (← რძალი), ქაი (← რქაი), გვალი (← რგვალი)¹... კტეი (← კდეი — კლდეი), აკტა (←

¹ ჩარგვალ^{აი}/ე კომპოზიტის შემადგენლობაში შესულ რგვალში რ შემონახულია, რადგანაც მას ხმოვანი უსწრებს უშუალოდ წინ.

აკდა — აკლდა), გამოცოცხთა (— გამოცოცხდა — გამოცოცხლდა)... ფთაი (— ფრთაი), გაფთხილება, ბძოლა, ბძენი, გძელი, სიგძე, ღმაი (— ღრმაი), ზდაი (— ზრდაი), იზდება, ზდილობა, ქთამი...

ლ ფუძეთანხმოვნის სიტყვებს აფიქსისეული თანხმოვნის უშუალოდ დართვის შემთხვევაში ლ ეკარგებათ, თუ ეს უკანასკნელი მოექცა თანხმოვანთა შორის, ე. ი., თუ მას წინაც თანხმოვანი უშუალოდ უსწრებს; მაგ.: სახს (— სახლს), სახში, სახთან, სახზე, დასახთა (— დასახლდა), მუხზე, სისხს, ძახს (— ძალს — ძალღს), ცეხს (— ცეცხლს), ცეხზე, ცეხთან, ბოთში, ბოთს, თაფს, თაფზე, ქუს ზეით (— ქუსლს ზეით), ნელმა (— ნელღმა)¹, ვაშს, ვაშზე, ვაშნარი... ყვითებოდა (— ყვითღებოდა — ყვითლღებოდა), წითებოდა და სხვ.

ასევე ხდება კომპოზიტებშიც: სახ-კარი, სისხ-ხორცი და სხვ.

ამ წესს ექვემდებარება რ-ც: ჩაფიქთა (— ჩაფიქდა — ჩაფიქრდა), დაფიქთა, ფიქში ჩავარდა და სხვ.

ლ და რ ბგერების დაკარგვის ცალკეული შემთხვევებიდან აღსანიშნავია: ცაკე (— ცალკე), ცაკ-ცაკე, საპანე, ხემწიფე, ხენძღვანელი, ხენძღვანელობა, სუყვალ'აი'ე (— სულ ყველაი)... დუნჩი (— დრუნჩი), პიჭვარი (— პირჭვარი), არცეთი (— არც ერთი), ელანძე (— ერლანდზე — ერთ ლანდზე), ლუსმანი (— ლურსმანი), ლუსმან'აი'ე, გუბენატორი და სხვ.

ამ მაგალითებში (პირველის გამოკლებით) ლ და რ დაკარგული ჩანს დისიმილაციის ნიადაგზე.

ზედსართავში „კარგი“ რ-სთან ერთად გ-ც დაკარგულია: კაი (— კარგი), კას (— კარგ-ს)...

„ვარგა“ სიტყვაში რ იკარგვის არ და აღარ ნაწილაკებთან ერთად ხმარების დროს: არ ვაგა, აღარ ვაგა².

ამჟარაა ნაწილაკისეული რ-ს დისიმილაციური გავლენა.

აღსანიშნავია, რომ გურულში სიტყვის შიგნით ხმოვნის შემდეგ არსე-

¹ წინადადებაში: „ნ ე ღ შ ა თუთუნმა იცის ზინთი“ (ბუქნარი).

² ივ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 664.

ბული რ-ს დაკარგვას არ იწვევს მომდევნო თანხმოვნების რაოდენობა და რ გვენახება; მაგ.: საბარცხალი, ბოლბორჩხიკ¹აი¹/ე, ბორცვა, ბორკვა, დარგვა, გაზარცვა, დართვა, მერცხალი, წარღვნა, გარყვნა, შერცხვა, შეირცხვინა თავი, დეირცხვინა, ფარცხვა და სხვ.

ამდენად, ვერ გავიზიარებთ ს. ჟღენტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გურულში რ-ს დაკარგვას თითქოს იწვევდეს ორი მომდევნო თანხმოვანი¹.

გურულში ფეხმოკიდებულთა სწ და სც კომპლექსების გამარტივება აფრიკატების ხარჯზე; მაგ.: მისა (← მისცა), მისემდენ, მისემლი, უნდა მისე, დასემია (← დასცემია), მოსილდა (← მოსცილდა), შესთა (← შესცთა ← შე-სცდა), სენა (← სცენა)... ძმისული (← წმისწული), დისული, მოსი (← მოსწი), სრაფი (← სწრაფი), მოსასრაფი, სრაფათ (← სწრაფად), მოგესრობა, მოგასა-რი, მოსრება, გაასრო/ა (← გაასწრო), გავასართ, მუასრობდი, მოგვესრა, მი-ესრობა, მიესრა, შამოგვესრა, დივესართ, მოსრია და სხვ.²

თ-ც ვერ ძლებს ხ-ს გვერდით და ხშირად იკარგვის. ამ მხრივ იგი იზიარებს ც-ს ბედს. ხ-ს მომდევნო თ-ც ისევე უჩინარდება, როგორც ც. ამიტომ ფუძეხმოვნიან სახელებთან -თან თანდებული წარმოდგენილია ჩვეულებრივ -ან სახით გურიის ყველა სოფლის მეტყველებაში; მაგ.: მიმიყვანეს მ ა მ ა ს ა ნ (ს. გურიანთა); წვეიდა დ ე დ ა ს ა ნ (ს. ლაშისლეღე); მივიყვანე ა ლ ა გ ე -ს ა ნ (წიფნაგვარა); ყვერული უნდა დაამბა მ ო ჰ ვ ა ს ა ნ (ბუქნარი); მევი-ტანდით ნ ა ლ ი ა ს ა ნ (მაღალი ეწერი); მუშოობდი ბ ი ძ ა ს ა ნ (ვაკიჭვა-რი); წვეიდენ მ ე ფ ე ს ა ნ (ქვემო ნატანები); მ ა ს ა ნ არ იყვენ (მერია); გე-ვიდა გოგომ და იცეკვა ს ი ს ო ნ ა ს ა ნ (ხიღმაღალა); იზდებოდა ძ ი ძ ა -ს ა ნ (ს. ხიდისთავი); მივიდა ს ა ქ ფ ი ლ ე ს ა ნ (მამათი); იუდა ხ ე ს ა ნ (შუხუთი); მივიდენ დ ე ლ ე ს ა ნ (ორაგვე), მ ე თ ე ბ ზ ე ს ა ნ იყო (ზემო აკეთი) და სხვ.

თ-ს გარეშეა წარმოდგენილი -თან თანდებული მაშინაც, როცა ის ნათესაობის ფორმას დაერთვის და მსგავსებას აღნიშნავს; მაგ.: იმისან¹აი¹/ე, იმ ბ ი ჰ ი ს ა ნ ა კაი სხვაი არ მეგულემა (ლიხაური); ბ ა ტ ი ს ა ნ ე და ი ხ - ვ ი ს ა ნ ე გემბრიელი არცეთი არაა (ბუქნარი) და სხვ.

¹ ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, ტფ., 1936, გვ. 54.

² ლიტერატურული ცეცხლი გურულში გაბატონებულია ცეცხლი ფორმით. აქ ც დაკარგული უნდა იყოს დისტანციური პროგრესული დისიმილაციით.

რიცხვითი სახელი „ერთი“ გურულში ხშირად იხმარება ერთ ფორმით. „ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, ასეთი ფორმა აქვს მხოლოდ მსაზღვრელად გამოყენებისას: *ერი კვირე*“¹.

გურულში ს შედარებით ნაკლებად იკარგვის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის პრეფიქსს და მიცემითის ნიშანს ან ნათესაობითის ს ელემენტს, რომელიც განსაზღვრულ ვითარებაში არ შენახულა არც სალიტერატურო ქართულში. სხვა შემთხვევებიდან შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მაგალითი: კლაში (— კლასში), გამტვენი (— გამსტვენი — გამსწვდენი), გამტვენათ, მაინძელი (— მასპინძელი)...

ს სუფიქსი ვინთან ერთად დაკარგულია „აქვს“ ზმნაში: აქ, გაქ, მაქ...

დ დაკარგულია ორ ხმოვანს შორის „როდის“ ზმნისართსა და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: როის (— როდის), როისმე, როიცხა (— როდისღა — როდისა-ცა-ღა), როინდელი...

დ ხშირად იკარგვის აგრეთვეა ორ ხმოვანს შორის ზოგიერთი ზმნის მეორე პირის ბრძანებითში; მაგ.: მ ო ი ჩემთან! წ ა მ ო ი ახლა ჩემთანო! ჩ ა მ ო ი მალე! წ ა ი თ სახიო! შ ე ი შით! გ ა ი გარეთ! და ყ ე ი (||და-ეე)!..

სალიტერატურო ქართულის მიხედვით მოსალოდნელი ვითარებების დ არ გვხვდება ზოგიერთ ზმნისართსა და ყოლა-ქონების აღმნიშვნელ -იან (— ეან) სუფიქსთან; მაგ.: ს ა იყო? ს ა წვეიდა? მე არ ს ა არ ვიყავი ნამყოფი სხოგან... საქონელი ტყეში იყო ზ ა მ თ რ ი ა ნ - ზ ა ფ ხ უ ლ ი ა ნ ა (ნიგოითი); ქ ა ლ ი ა ნ - კ ა ც ი ა ნ ა (ლიხაური); ჩ ა ლ ი ა ნ ა და ლ ო ბ ი ე ი ა ნ ა უნდა მიეტანა გლეხს (ჩოჩხათი), ხ ო რ ც ი ა ნ ა წამოდულდებდა (ბუჯნარი); ბაღნებიანა, ქალიანა, კაციაანა, ურმიანა, ტყავიანა... თუ გიყვარდე არ დუუთფო ა დ ვ ი ლ ა და მ ვ გ ო ბ რ უ ლ ა (დიდი ვანი, ს. ყ. 162,2) და სხვ.

როგორც ეს აღნიშნულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში, აქ უნდა გვქონდეს შემონახული ვითარებითი ბრუნვა ა დაბოლოებით².

¹ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურიან, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, გვ. 664.

² არნ. ჩიქობავა, მიმართულებითი ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის (ქართველური ენებისა და ხალდურის ურთიერთობისათვის). — ენიშვილ-ს მოამბე, ტ. I, ტფ., 1937, გვ. 18.

აქა-იქ შეინიშნება მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის ბ ელემენტის დაკარგვის შემთხვევებიც, როცა მას უშუალოდ ერთვის მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის მ; მაგ.: კაცემა (— კაცებმა), ქალემა, ბაღნემა, მუშემა, ბიჭემა, ხარემა, ცხენემა, ძაღლემა და სხვ.

აქ ორი ერთნაირი ბგერა, ორივე წყვილბაგისმიერი და მქდერი, ზოგჯერ ვერ ძლებს ერთად და იკარგვის ერთი, სახელდობრ ის, რომელიც მათ შორის უფრო ნაკლები დანიშნულების მქონეა გურულში. ასეთია ბ, რომელიც მრავლობითი რიცხვის საწარმოებლის -ებ ფორმანტის ელემენტს წარმოადგენს.

ბრუნვის ნიშანთან შედარებით რიცხვის საწარმოებელ -ებს გურულში რომ უფრო ნაკლები ფუნქცია აქვს დაკისრებული, ამას ამტკიცებს მისი სინტაქსური მხარეც: თუ წინადადებაში ქვემდებარე მრავლობითი რიცხვის -ებ ფორმანტით არის, გურულშიაც, ისევე, როგორც ძველ ქართულში, სავალდებულო არ არის მასთან შემასმენლის შეთანხმება რიცხვში. ე. ი. გურულში სახელი ვერ ითანხმებს ზმნას რიცხვში, მაგრამ ზმნა ყოველთვის მართავს სახელს ბრუნვაში. მაგალითად, ჩვეულებრივ ამბობენ: „კაცებმა გააკეთა აი საქმე“; „კაცები იყო“... მაგრამ არასოდეს არ იტყვის გურული: „კაცი გააკეთა აი საქმე“, „კაც გააკეთა აი საქმე“, „კაცს იყო“ და მისთ. (უფრო დაწვრილებით იხ. სინტაქსში).

გვხვდება **ჟ, ტ, ჩ, ჰ, ნ** და **ზ** ბგერების დაკარგვის შემთხვევებიც ცალკეულ სიტყვებში; მაგ.: ვაიშვილი (— ვაჟიშვილი), დასურ (— დასტურ)¹, დაფაიჯებდენ (— დაჰპატიუებდენ), დაბაიჯებული, ბუქნარი (— ბუჩქნარი)², მაინძელი (— მასპინძელი), არში-ნახევარი, ხარაბუაი/ე (— ხარაბუზაი), თეფს (— თებს — თებზს — თეფზს)...³

უკანასკნელ მაგალითში დასტურდება სუბსტიტუციაც (თეფზი თებზი), ბგერის დაკარგვაც (თებზს) და ასიმილაციაც (თეფს).

¹ წინადადებაში: „დ ა ს უ რ თუ კამლა, უნდა გიეგო“ (გურიანთა). ხმარობენ მწერლებიც ე. ნინოშვილი, ლალიონი და სხვ.

² წინადადებაში: „ეკლიანი ბ უ ქ ნ ა რ ი იყო“ (ქვემო აკეთი).

³ წინადადებაში: „თ ე ფ ს იჭირაუდენ... დაჭირულ თ ე ფ ს შით ჩააგდებდენ“ (ლაშისლეღე).

ხმოვანთა დაკარგვა და დასუსტება

ხმოვნის დაკარგვა თუ რედუქცია, გამოწვეული ძირითადად მეზობელი ხმოვნის მახვილის გავლენით, შეინიშნება გურულშიც; მაგ.: ყველ (← ყოველ)¹, არაკაცი (← არაკაცი), რეზა (← რეიზა), დატრალეზა (← დატრალეზა|დატრალეზა|დატრალეზა „დატრიალება“)², კ'არ (← კი არ)³, კ'ვერ (← კი ვერ)⁴, ქ'არ (← ქიარ → ქე არ), კ'აფერი (← კი აფერი → კი არაფერი), აფერი (← არაფერი), ვეფერი (← ვერაფერი)... ზეობანი⁵ (← ზენოუბანი → ზენაუბანი), ზედუბნის ეკლესია⁶, პაიჭესოული⁷ (← პაიჭაძესეული)...

გადა- (← გარდა) რთულ პრევერბს ბოლოკიდური ა ყოველთვის ეკარგება მომდევნო ი-სთან, სულ ერთია, ეს ი ქცევის მაჩვენებელი იქნება თუ ვნებითის ნიშანი; მაგ.: გადიკიდა (← გალიიკიდა → გადეიკიდა → გადაიკიდა), გადიწვა (← გალიიწვა → გადეიწვა → გადაიწვა) და სხვ.⁸

ამ პროცესს ხელს არ უშლის პირველი სუბიექტური პირის ნიშანი ვ; მაგ.: გადვიკარქე (← გადივიკარქე → გადევიკარქე → გადავიკარგე), გადვიკარბინე, გადვიხადე, გადვიკეცე, გადვიქნე, გადვიღე და სხვ.

ხშირად იკარგება მაშინაც, როცა მას მოსდევს ძირისეული ვ-თი დაშო-

¹ წინადადებაში: „ყ ვ ე ლ სამ დღეში მოსაკრეფია“ (ზ. ნატანები).

² გ ჩაშატებული უნდა იყოს ი-ს ამოვარდნის შემდეგ. არ არის მოსალოდნელი, რომ აქ გ მიღებული იყოს ი-საგან. კბილაგისმიერი ვ შემდეგ უნდა იყოს გაწვეილაგისმიერებული და განხმოვანებული; მაგ.: ბორბალი ტ რ უ ა ლ ო ფ ს; ვ ა ტ რ უ ა ლ ე ფ თ ფხითი (ქვემო აკეთი); დ ა ტ რ უ ა ლ დ ე ბ ა (იქვე); ტ რ უ ა ლ ე ბ ა უნდა ჩქარ-ჩქარა, თვარა მეიტაცეფს ცეხლი ერ კედრით (გონებისკარი)... ტ რ უ ა ლ ო ბ დ ა (ასკანა); ი ტ რ უ ა ლ ა ამ ტრედმა (ლაშისდღე); დ ა ვ ტ რ უ ა ლ დ ე უნდა შინ-მეთქი (ჩოჩხათი) და სხვ.

³ წინადადებაში: „ყვალას კ'არ გვაქ“ (ქყონაგორა); „ბოროტი კ'არ ყოფილა“ (თავსურები); „ერსალიკია კ'არ ა ა (ჭუმათი)“ „კ'არ ადგება“ (ნიგოთი). გვხვდება ქ'არ (← კი არ) სახითაც.

⁴ წინადადებაში: „ლაშე კ'ვერ წამევიდოლა“ (ქვ. ნატანები).

⁵ სოფლის სახელია ჩოხატაურის რაიონში.

⁶ ჩაწერილია სოფ. შრომაში.

⁷ სოფლის სახელია ჩოხატაურის რაიონში.

⁸ ქცევის სხვა მაჩვენებელთან და ვნებითის სხვა ნიშანთან ა არ იკარგის; მაგ.: საბანი გ ა დ ა - ა ხ უ რ ა, ვალი გ ა დ უ უ ხ ა და და (← გალოუხადა → გადაუხადა). მამულში ერთქამეც (← ერთქამეფს) გადიმტერა (← გადემტერა → გადაემტერა) და მისთ. (შდრ. ს. ქ დ ე ტ ი, გურული კილო, გვ. 57).

რებული ფუძის რედუცირებული ე (— ი): გაღვიდა.

გარდა- პრევერბის ბოლოკიდური ა რომ დაკარგულია დისიმილაციურ ნიადაგზე სრული სახის რეგრესული ასიმილაციის შემდეგ, ამას ნათლად ადასტურებს პარალელური ფორმების არსებობა გედ (— გიდ) ფუძის შემცველ ზმნებში: გაღვიდა || გაღვიდა (გადავიდა — გაღვეიდა — გაღვიდა || — გაღვიდა).

ზოგიერთ სიტყვაში ხშირად იკარგვის მთელი მარცვალცი; მაგ.: ლივერი || ლევერი (— || ლევერველი — რევირველი — რევირვერი), ძაან (— ძალიან), მივე (— მივეცი), მიე (— მიეცი), მომე (— მომეცი), მეიცა (— მეიცადე — მოიცადე)...

ჩვეულებრივია წოდებითში: ცავ! (— ციცავ!)¹, გო! (— გოგო!), ნავ! (|| ნენავ!)², ჭიმე! (— ჭირიმე!) და სხვ.

ვხვდებით ზოგჯერ ხმოვანთა დასუსტების მაგალითებსაც გურიის ყველა კუთხეში. ზოგიერთ სიტყვაში დასტურდება უ-ს დასუსტების შემთხვევები; მაგ.: ვარი (— || უარი — || უარი), ვარესი (— || უარესი — უარესი), შვაზე (— || შუაზე — || შუაზე), შვადლე (— || შუადლე — შუადლე), შვაგული (— || შუაგული — || შუაგული); თვარა (— თუ არა), თვერ (— თუ ვერ), ხვარ (— ხუარ — || ხო არ — ხომ არ) და სხვ.

ასევეა მიღებული მარტვ^{აი}/ე ფორმაც მარტო^ა+საგან (მარტოია — მარტუაი — მარტვ^{აი}/ე || მარტუ^{აი}/ე), სადაც ა -კა სუფიქსის ბადალი ჩანს ამ სიტყვაში (შდრ. გურ. მარტვაი და ლიტ. მარტოკა); მაგ.: გამოჩთა აი კაცი მ ა რ ტ ვ ა ი (გურიანთა); წვეილა მ ა რ ტ ვ ა ი (შუხეთი) და სხვ.

ადგილი აქვს საწინააღმდეგო მოვლენასაც (ჟივე — უ): ე ს უ ა აი წყალი (ნაბელღავი), სუამდენ (იქვე), დანაწუავი (ქვ. ნატანები)... ქუაი (ნიგოთი), ორი საათის გ ა მ ა უ ლ ო ბ ა შ ი ქონდა ხელჩი ძალა-უფლება (მამა-

¹ წინადადებაში: „წაი, ცავ!“ (ბუქნარი); „მოღი, ცავ!“ (ზემო სურები). ეს სიტყვა ამ უკანასკნელ სოფელში (ზემო სურებში) თავისი სრული სახით (ციცაი/ე) არ იხმარება.

² წინადადებაში: „ყანიფეს თესავდენ, ნავ!“ (ვაიჭვარი). „მოი, ნა!“ (ჩოჩხათი); „წაი, ნა, გამიკეთე აი საქმე“ (იქვე).

თი) და სხვ.

ზოგიერთ სიტყვაში ხანდახან ორი იდენტური ხმოვანი ისე შეერწყმის ერთმანეთს, რომ მხოლოდ ერთი აღიქმება; მაგ.: კოპერატივი (—|| კოპერატივი — კოპერატივი)... სიდან (—|| სიდან — სიიდან — სეიდან — საიდან), მორე (—|| მორე —|| მორე — მეორე), მოჯამაგრობა (—|| მოჯამაგრობა — მოჯამაგრობა — მოჯამაგრობა), ბულთობდენ (—|| ბულთობდენ — ბულთობდენ — ბურთობდენ), თებზობდენ (—|| თებზობდენ — თებზობდენ — თებზობდენ — თებზობდენ), მაცადინობა (—|| მაცადინობა — მაცადინობა — მცადინობა), ყოლთვინ||ყოლთვის (—|| ყოლთვის —|| ყოლთვის — ყოველთვის) და სხვ.

ხმოვანთა და თანხმოვანთა დაკარგვასთან დაკავშირებით შეიძლება დასკვნის სახით აღინიშნოს შემდეგი: გურულში მეტად ხშირია ბგერათა დაკარგვა. განსაკუთრებით ფეხმოკიდებულია თანხმოვანთა კომპლექსების გამარტივება და გამოთქმის გაიოლების ტენდენცია. ამ ნიადაგზე იკარგვის ლ და რ ნარანარა სონორები თანხმოვანთა შორის და სიტყვის თავში თანხმოვნის წინ. ამავე მიზეზით უჩინარდება ე რამდენსამე პოზიციაში, თავიკიდური მ თანხმოვნების წინ, სწრ, სწ, სც, სთ კომპლექსების უკანასკნელი კომპონენტი და სხვა თანხმოვნები.

ზოგ შემთხვევაში ბგერათა დაკარგვა გამოწვეული ჩანს დისიმილაციითა და წარმოთქმის სისწრაფით ან ერთ-ერთი მათგანით.

ხმოვნის ჩავარდნას ან მთელი მარცვლის მოწყვეტას ძირითადად მახვილი იწვევს.

მახვილის მიზეზით უნდა აიხსნას აგრეთვე უ ხმოვნის დასუსტება ვ-დ და, პირიქით, -გ თანხმოვნის უ-დ ქცევა ზოგიერთ სიტყვაში.

რედუქციის (კუმშვის) შესახებ

გურულში რედუქცია (სიტყვის კუმშვა) არ არის გატარებული წინასწარ გარკვეული რაიმე წესის მიხედვით. ხშირია პარალელური ფორმების ხმარება ერთისა და იმავე პიროვნების მეტყველებაშიც. შეკუმშული ფუძე შე-

დარებით უფრო ნაკლებად გვხვდება, ვიდრე სრული¹; მაგ.: ჩ ხ ა ვ რ ი ს ღვინო კაი იყო (კყონაგორა); ჩ ხ ა ვ რ ი ს კავლი (ღვებზუ)²; ჩ ხ ა ვ რ ი ს ღვინო მაგარი იყო (ხიდმაღალა); დაჩეხა ს ა ტ ე ვ რ ი თ (თავსურები); გამევილებლით ს ა წ ნ ა ხ ლ ი დ ა ნ (მაღალი ეწერი); თავი გვიხუჭა მ ა რ - გ ა ტ ლ ი თ (კონკკათი); გააკეთა ძ მ რ ი თ (ჩოლაბარგი); ე რ ი ს თ ვ ი ს ყმაი იყო (თავსურები); ჭვარისწერაზე აღიოდენ ძველი ქ ა ლ ა ბ ნ ი თ (გოგორეთი); ყ ა ზ ი რ ლ ე ბ ი (ჩოჩხათი)³; ფეხი უნდა დიებანა ს ა პ ნ ი თ (მაღალი ეწერი); ი მ ო ბ ლ ი ს ამოზდაზე დიდი ვენმარეთ (იქვე); ყველა კ ე დ რ ი თ ცეხლია (ქვემო აკეთი); ბოკნები (ტაბანათი)⁴, ბოკნის (იქვე), კ ე კ ლ ი ს მისაღები ჭამი ჩიბოზე (ზემო აკეთი)...

ხმოვნის ამოვარდნის შემთხვევები, იშვიათად მაგრამ მაინც, დასტურდება აქ-იქ ვედ და ვალ ფუძის შემცველი ზმნების რედუქციებულ ფორმებშიც ჩოხატაურის რაიონის სოფლების მეტყველებაში; მაგ.: უყმაყოფილება მ ო უ ვ დ ა ცოლისძმანეფთან (თავსურები)⁵, წ ე ვ ლ ე ნ საცხა (ბუქნარი)⁶ და სხვ.

• ჩავარდნილა ტყულ-სა და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში: ტყული (— ტყუილი), ტყულ¹აი¹/ე, ტყულათ¹აი¹/ე)...

ამათ გვერდით მეტად ხშირად იხმარება უკუშმველი ფორმები ყველა სოფლის მეტყველებაში; მაგ.: ჩ ხ ა ვ ე რ ი ს ყურძენი (ვანის ქელი); ღვინო იყო ჩ ხ ა ვ ე რ ი ს (გონებისკარი); გვიფსება წ ე ვ ე ნ ი თ (შუხუთი); ყ ა - ვ ა რ ჭ ე ნ ე ბ ი თ ვიარებოდი (იქვე); ერი ქ ა ლ ა ბ ა ნ ი თ თორმეტ ქალს შეიყვანდენ (კონკკათი); ჩემი ქ მ ა რ ი ს მამას ივანე ქვიოდა (ზემო აკეთი); შედგა ქ მ ა რ ი ს ზრუგზე (შუა სურები); კ ე ტ ა რ ი ს დამარხვის დროზე

¹ რედუქცია დასავლურ კილოებში საერთოდ შესუსტებულია, როგორც ეს აღნიშნულია სანათმეცნიერო ლიტერატურაში (ა. შ ა ნ ი ძ ე, წელიწადის ეტიმოლოგიისათვის. — წელიწადული, I-II, 1923-24, გვ. 11).

რედუქციის შესახებ ქართველურ ენებში დაწვრილებით: ვ. თ ო ფ შ რ ი ა, რედუქციისათვის ქართველურ ენებში. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბ., 1946, გვ. 63-96; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება, გვ. 108; ხ. ყ ლ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, თბ., 1956, გვ. 217.

² შდრ. „ჩ ხ ა ვ ე რ ი ს ტევანს მაგარი ყურწი აქ“ (იქვე, იმავე ბიროვნების მეტყველებაში).

³ მხოლოდითშია „ყ ა ზ ი რ ა ლ ი“.

⁴ სახელობითშია „ბოკონი“.

⁵ ჩვეულებრივ იხმარება: „მ უ უ ვ ი დ ა“.

⁶ გავრცელებულია: „წველიენ (— წველიენ — წაველიენ — წავალიენ — წავალიან — წავალირიან — წავალარიან).

იცოდენ ზარის თქმა (მთისპირი); ლობიეიცი კვალეფშია (ჩოლაბარგი); ბ ა -
 ლ ე ბ ი (ბურნათი); მ ო ტ ი რ ა ლ ე ბ ი (მთისპირი); მ ო მ ა ვ ა ლ ი ზ ა
 ევილე ვალდებულობა (ქანქათი); წ ყ ა ლ ი ზ ა (ჩოჩხათი); წ ყ ა ლ ი დ ა ნ
 (ჭუმათი); წ ყ ა ლ ი ს ქურჭელი იყო (ვანისქელი); ფ ს ხ ა ლ ი ს ჭიშები
 (ნაბელლავი); წვეიდა ს ა პ ო ნ ი ს საყიდლათ (დვაბზუ); გარეცხა ს ა პ ო -
 ნ ი თ (ჭყონაგორა)... შეთანახმთენ (მერია); მერე ქალმა დათანახმთა (მე-
 რია)¹ და სხვ.

მაშასადამე, გურულში დასტურდება კომშვა-რედუქციის შემთხვევე-
 ბიც. მაგრამ გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება შეუკუმშველი ფორმები.

ბგერის ჩართვა

ბგერათა ექსკურსია-რეკურსიით გაჩენილი გარდამავალი ბგერა არ-
 ცთუ იშვიათად გვხვდება გურულში. ამ ნიადაგზე დამკვიდრებულია რიგ სი-
 ტყეებში ბ, მ, ნ, რ, ვ და სხვა ბგერები.

მ-ს ექსკურსიისა და რ-ს რეკურსიის დროს განვითარებულია მბ ისეთ
 სიტყვებში, როგორცაა: ხუმბრ^აი¹/ე, გუმბრ^აი¹/ე||გვიმბრაი/ე, გემბრიელი,
 გამბრაველება, გამბრაველებული, ნამბრაველი, იმბრაველებდა, უმბრაველესობა
 და სხვ.²

ნ-ს ჩამატებას ადგილი აქვს უმთავრესად ხმოვანსა და თანხმოვანს შო-
 რის; მაგ.: ინწრო, დავინწროვდა, ვენწვალე, ანწვალეფს, ქანქყალი (— ქაჰყა-
 ნი), თვარანდრა (— თუ არა და არა), ინდაყვი, დუნდლული, ჯვანდურ^აი¹/ე
 (— ჯვადო-ურ-ა), ბრუნდი (— მრუნდე), მენდალი, კინტრი, კუნტი, ჭინგი (—||
 ჯიკი — ჯირკი)³, ანკლოვს⁴, მუანკლოვს, თანკარა, ყუნჩი (— ყუჩი), ხალინჩა,
 შენჩხავერებული (—|| შეჩხავერებული), ტუნჩი, ჩინჩახვი, ჩინთი, შენთვისება,
 ინთვისეფს, შეინთვისა, შენთანხმებით, შენთანხმდენ, დანგლახება, დანგლახ-

¹ ამოსავალია: და-თანხმ-და.

² ამბობენ: „კამბეშ-ი|კამბეჩ-ი“. მაგრამ შესაძლებელია, რომ ეს ფორმები შემონახულიყო უფრო
 ძველი სახით. ძველ ქართულში დასტურდება ორივე ფორმა. ვხვდებით ისეთ დიალექტებშიც,
 როგორცაა მოხეური, ფშაური, იმერული და სხვ. აფხაზურში იხმარება „აკამბაშ“. ბ ყველგანაა.

³ ზოგჯერ გვხვდება ჭირეკ-იცი ჭინკ-ის პარალელურად. რ შეუნარჩუნებია, როგორც ჩანს, ე-ს
 ჩართვისას.

⁴ თუ აქ ვან- პრევერბისეული ნ არ არის გაგებული ფუძისეულად (შდრ. წარ-დგენ-ა არდგენს).

თა, ანგლახეფს, ანგურ¹აი¹/ე (←|| ანგური ← აგური), დაანხალა მიწაზე, დე-
ვინძერით, ციხინძირი (← ციხიძირი ← ციხის ძირი)¹, ანჭუარეფს (← აჭუ-
არებს), გაგვინჯუარდება, შენცხადიება, შეინცხადია, უნცხადეფს², გამუანცხა-
და, გამონცხადება (||გამომცხადება), სინცრუე, მილინცია და სხვ.

გურულშიც ისევე, როგორც სხვა კილოებში, „ბოლოკიდურა პოზიცი-
აში შეინიშნება ხმოვანთა ნაზალიზაცია: სახლზე → სახზენ, სახლამდი → სა-
ხლამდინ, მეთქი → მეთქინ“³.

სხვა პოზიციაში ნ-ს გაჩენის შემთხვევა მხოლოდ აქა-იქ შეინიშნება:
ნწვალება, ცურნე (← ცური)...

დასტურდება მ-ს განვითარების შემთხვევებიც, ხმოვანსა და თანხმო-
ვანს შორის უმთავრესად; მაგ.: ამპაური, მისდღემჩი (← მის დღეში), უმფრო⁴,
ზამფხული, შიამბამს (← შებამს), გუუმბამდით⁵, გამეიმბამს, ძროხის დასამ-
ბამი, ჩეიმკვეთება (||ჩეინკვეთება), დამყრობა (←|| დამყრობა ← დაპყრობა),
გვემყრობოდა (←|| გვეწყრობოდა ← გვეპყრობოდა), დე-
იმპყრო (← დაიმპყრო ← დაიპყრო) და სხვ.

რ-ს ჩამატების შემთხვევებიც ანალოგიურ პოზიციაში შეინიშნება; მაგ.:
არდგილი⁶, არდგილობრივი, აარდგინენ, იერდგინა, დარდგენილება, იზარბე-
ლა, სარძიკველი, ურცხო, მარხვილი (კონჰკათი, ლიხაური), მურთაქა, ხმე-
ლერთი (ცხემლისხიდი) და სხვ.⁷

ზოგან ფონეტიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რ-ს განვითა-
რება ხდება ხშულთა წინ⁸. საფუძვლად მიჩნეულია ფიზიოლოგიური ფაქტო-
რი — „წინამავალი ხმოვნის რეკურსიისა და მომდევნო ხშულის ექსკურსიის
შეხვედრის მომენტები. სონორი რ ამ შემთხვევაში თითქოს შუამავალ რგოლს

¹ ადგილის სახელია ქობულეთის რაიონში ციხისძირი.

² თუ აქაც ვან- პრევერბისეული ნ არ არის გაგებული ფუძისეულად.

³ ბ. ჯო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989, გვ. 519.

⁴ თუ უმფროს-ის ანალოგიით არ არის გაჩენილი მ, როგორც ეს უმფროს-ში მოხდა.

⁵ თუ ამოსავლად ამ სუფიქსი არ არის აღებული (ამბამს, დამბა).

⁶ ეს სიტყვა („არდგილი“) შესაძლებელია მეგრულში აქედან იყოს შესული ამ სახით.

⁷ ბეურ-ის პარალელურად იხმარება ბრეული. მაგრამ ამ უკანასკნელში რ გაჩენილი უნდა იყოს მრავალის (მრავალი) ანალოგიით.

⁸ O. J e s p e r s e n, Lehrbuch der Phonetik. 1901. გვ. 3.

წარმოადგენს ხმოვნიდან ხშულზე გადასასვლელად¹.

დასტურდება ლ-ს განვითარების შემთხვევებიც ბ-სა და ხ-ს მომდევნოდ: ბლოყინი (— ბოყინი), ხლახუნი (— ხახუნი)².

ო-ს ექსკურსიის საფუძველზე ზოგჯერ ჩნდება კბილბაგისმიერი ვ; მაგ.: ვოქრო, ვოზურგეთი, ვორიბე, ქშიავო, კიავო და სხვ.³

ვ შეიძლება მოგვევლინოს აქა-იქ იდენტური ხმოვნის გამყოფადაც; მაგ.: ტყეები, ხეები (დადასტურებულია ნაგომარში, ვაკიჭვარში, ვანისქელში, ხიდმაღალაზე, დეაბზუში, მაღალ ეწერში, გურიანთაში და სხვ.).

ვ ჩნდება სხვა შემთხვევებშიც (თანხმოვანსა და ხმოვანს შორის, ხმოვანსა და თანხმოვანს შორის და თანხმოვანთა შორის); მაგ.: მაშვინ, ნაციხვა-რი, აკაცია⁴ (— აკაცია), უკანასკნელი და სხვ.

სოფ. ჯუმათში დადასტურებულია **ხეფეფს** ხეების პარალელურად⁵. იდენტური ბგერების (ამ შემთხვევაში ეე-ს) გამყოფად გაჩენილა **ჟ** (იოტი)⁶.

ზოგიერთ სიტყვაში დასტურდება უკანაენისმიერი კ და წვილბაგისმიერი პ აბრუპტივების ჩამატების შემთხვევებიც ენაკბილისმიერ წ და ენანუნის-მიერ ჭ რთულ აბრუპტივებთან; მაგ.: წკნელი, ქკვალა, დაპწნა, პწნის, დაპწნი-ლი და სხვ.

დასტურდება გ-ს წინ ქ-ს განვითარების შემთხვევები; მაგ.: ნიქვით,

¹ ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949, გვ. 185.

² ს. ჟ ღ ე ნ ტ ი, ქართული ენის ფონეტიკა, გვ. 248.

³ ლიტერატურულ ენაშიც გვაქვს ვ-ს გაჩენის შემთხვევები გარდამავლობის საფუძველზე ფუძებ-მოვნიან სახელებთან, როცა ამ უკანასკნელთაგან მასდარს ან ზმანს ვაწარმოებთ და ხმოვანი არ ეკვეცება; მაგ.: დაპატარალება, დაპატარავდა, დაბოლოვება, დაბოლოვდა, გახევება, გახევედა და სხვ. შეშა ბოლოხმოვანს არ ინარჩუნებს მასდარისა და ზმნის წარმოების დროს და არც ჩნდება ვ აქ; მაგ.: გაშეშება, გაშეშდა.

⁴ დადასტურებულია თავსურებში.

⁵ ვაკიჭვარში შეგვხვდა „ყიზღადარში“.

⁶ ქართული დიალექტის ზემოქსნურ მეტყველებაში შენიშნულია: გადათხოვა, გაადავიღდა, ნადავდრი, ნადაშები, წვიმადა? (ვ. ს ო მ ხ ი შ ვ ი ლ ი, ქსნის ხეობის მეტყველება, ცხინვალი, 1968, გვ. 43).

კითხვითი -ა-ს წინ რომ ზ ჩაერთვის ხმოვანთგამყარად ა-ზე დაბოლოებულ სიტყვებს მთიუ-ლურ-გულამაყრულსა და ხანდახან ფშაურშიც, ეს უკვე აღნიშნული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს ჭერ კიდევ 1915 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში (ქართული კილოები მთაში. — „კრებული“ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, პეტროგრადის უნივერსიტეტის ჟურნალის სამეც-ნიერო წრის) გამოცემა, ტფ., 1915, გვ. 202. შესულია ა. შ ა ნ ი ძ ე ს თხზულებათა კრებულში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 19). ამ ფაქტზე მი-უთითებს არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ც ე 1937 წელს მთიულურის შესახებ დაბეჭდილ შრომაში (მთიუ-ლურის თავისებურებანი. — ენიმკის მოამბე, II, თბ., 1937, გვ. 55).

ქვიშნა, დეკეთერი¹ და სხვ. (შდრ. ქართ. შვილი და მეგრ. შქვითი, სვან. იშგუ-
იდ).

შეინიშნება **თ, ტ, ფ, ხ, გ** და სხვა თანხმოვნების გაჩენის შემთხვევებიც; მაგ.: ისთე, ისთეველე, ავანთტყოფი (შრომა) || ავანთყოფი (ლაშისლელე), და-
ვებტკნიდით (—|| დავებკნიდით (ფეხით) (ბუჟნარი), ფშლუი (— შლუი),
ფშუკა (—|| შუკა), ფშკერი (—|| შკერი)², თავსხლაფი (— თავს ლაფი), ბარ-
ჯგი (— ბარჯი), მალქეა||მარქეა (— მაქო) და სხვ.³

ამგვარად, გურული ყურადღებას იქცევს გარდამავალი ბგერის და-
მდგარ ბგერად ქცევის საკითხებშიც. ბგერათა შემართვა-დამართვის ნიადაგ-
ზე გაჩენილი ბგერები დასტურდება მთელ რიგ სიტყვებში.

ბგერათა შერწყმა

გურიის ყველა სოფელში მეტ-ნაკლებად გვხვდება ვ თანხმოვნის **ო** და **ე**
ხმოვნებში შერწყმის შემთხვევები. **ვო** კომპლექსი გვაძლევს **ფ-ს**, ხოლო **ვე** —
ფ-ს. პირველი ნაკლებგავრცელებულია (განსაკუთრებით ლანჩხუთის რაიონ-
ში) და ადგილი აქვს პარალელური ფორმების ხმარების შემთხვევებს ერთისა
და იმავე პიროვნების მეტყველებაშიც კი (უმთავრესად ოზურგეთის რაიონის
რიგ სოფლებში). შედარებით უფრო სტაბილურად იგი წარმოდგენილია ჩო-
ხატაურის რაიონის სოფლების მეტყველებაში, თუმცა პარალელური ფორმე-
ბის ხმარება იქაც ხშირია. მეორე კი თითქმის ერთნაირად გვხვდება მთელ გუ-
რულში და დამკვიდრებულია რიგ სიტყვებში.

ვო — **ფ**: წუმა (—|| წვიმა), გუმბრა^ი/ე (—|| გვიმბრა^ი/ე), წყული
(—|| წყვილი), წუვი (—|| წვივი), ყუბარი (—|| ყვიბარი)⁴, კუმატი (—|| კვიმა-
ტი), ძულ^ა/ე (—|| ძვილ^ა/ე) და სხვ.

ვე — **ფ**: ქოყანა, ყორიფელი, ყოლგან, ყოოლთვის (— ყოველთვის),

¹ ეს უკანასკნელი მხოლოდ ერთ სოფელშია (ლაშისლელეში) დადასტურებული. ნიშნავს დავთარ-
ს.

² წინადადებაში: „ფ შ კ ე რ ი ს ცებლი იყო კაი. ფუტი არ იცოდა, ხმელი იყო“ (ქვ. ბახვი).

³ უხმოვანი ჩამატებულია სიტყვაში „კურუშკა“ (— რუს. крыжка). ფართო ა ხმოვნიდან საშუ-
ალო ლიაობის ე-ზე გადასვლის დროს ჩანს გაჩენილი ვიწრო **ო** სიტყვაში „ხაიფრო“ („ჰაერი“).
დადასტურებულია ოზურგეთის რაიონის სოფ. გომში).

⁴ პატარა ქვეერი, დადასტურებულია ს. დვებუში.

ყოლო წელიწადს, დასოლება (← დასველება), სოლდება, წვეისოლეფფ ხელს, დასოლებული და სხვ.

-ებ და -ეგ თემისნიშნისეული ე შეერწყმის წინამავალ ფუძისეულ ვ-ს, თუ ამ უკანასკნელს თანხმოვანი უძღვის წინ, და გვაძლევს ო-ს; მაგ.: ჩახობა (← ჩაჰყება), დაწობა, გაგვიძლობოდა, გაშობა, უშობდა, გაშობილი, შეჩოვა, შეიჩოვს, მოჩოვილი, დახოვა, ახოვს, დახოვილი, გამოხოვა, გამოხოვდა, გამოხოვილი, მინკლოვა (← მიკვლევა), მინკლოვილი და სხვ.

ლიტერატურულ „დადება“ და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში გვაქვს ო¹, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ამ სიტყვაში ო მიგვიღია მანამდე, სანამ ვ დაიკარგებოდა: დადება||დადობა (შდრ. ლიტ. და-ვ-დე-ვი, და-ს-დევი, დაუდეია, და-დ-ო||დადეა და მისთანა). გურულში გვაქვს: და-დ-ვ-ა, დუუ-დ-ვა და სხვ.²

ვა კომპლექსის ო-დ ქცევა, რაც მეტად გავრცელებულია აღმოსავლურ დიალექტებში, გურულში გვხვდება მხოლოდ რამდენსამე სიტყვაში; მაგ.: სხოგან, სხოგანც, სხოგნიდან, სხომის (← სხვამის), სხომისაც... შომავალი (← შვამავალი —||შჰამავალი — შუამავალი), შომაული და სხვ.

აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია

მთელ გურულში გავრცელებულია ურთიერთსაპირისპირო ეს ორი ფონეტიკური მოვლენა — აფრიკატიზაცია და დეზაფრიკატიზაცია.

ზოგიერთი მარტივი ბგერის (ს, შ, ზ...) გართულებით ან შეერწყმით სხვა ბგერასთან ვიღებთ რთულ ბგერას ანუ აფრიკატს (გაპარცვა — გაპარსვა, მოხარჩვა — მოხარშვა, გულძე — გულზე; ერც — ერთხ, ხუჩაბათი||ხუთჩაფათი — ხუთშაბათი), ხოლო რთულის გამარტივებით — დეზაფრიკატიზებულს (სტავლა — სწავლა, სტორი — სწორი, ასტორებდა — ას-

¹ დადობა, დოფს, დუუდოფს, „თავს ქვეში დ ო ბ ე ნ ჯორკოს“ (მაჩხვარეთი).

² კიდომ (← კიდევ) ზმნისართში შესაძლებელია ო მიღებული იყოს ე-ს გალაბილებით ვ-ს ან მ-ს გავლენით: კიდევ — კიდოვ — კიდო, კიდევ — კიდემ — კიდომ — კიდო.

წორება, სტობა — სწვდება)¹.

დღზაფრიკატიზაციის შემთხვევები დასტურდება ისეთ სიტყვებშიც, როგორცაა: დაჟდა (— დაჯდა), არშივი (— არჩივი), წინდისშხირი (— წინდისჩხირები)², აზლევს (— აძლევს) და სხვ.

სუბსტიტუცია

ზოგიერთი ბგერის მონაცვლეობა ხშირ შემთხვევაში დასტურდება გარკვეულ კომპლექსებში; მაგალითად, მ მზ, მჟ და მრ კომპლექსებში იცვლება ბ-თი, ხოლო ვ ზ-ს კონტაქტურ მეზობლობაში გვაძლევს აგრეთვე ბ-ს.

მზ — ბზ: ბზეი (— მზეი), გაბზეურება, აბზეურეფს, გააბზეურა, გუუბზეურებია, ბზერა (— მზერა), იბზირება, უბზერს, უბზირა, გაბზადება (— გამზადება), აბზადეფს, გააბზადა, გაბზადებული, დააბზადეფს, დუუბზადებია...

მჟ — ბჟ: ბჟავე, აბჟავეფს, დააბჟავეა, აბჟავედება, ბჟავეია, ბჟავენაძე...

მრ — ბრ: ბრუნდი (— მრუნდე), აბრუნდეფს, გააბრუნდა, გაბრუნდებულა, ბრავალი, ბრავალჯერ, ბრავლოფს...

ვზ — ბზ: კობზი, თებზი, მეთებზე, თებზობა (—||თევზაობა) და სხვ.

ლიტერატურულ „ავდარსა“ და მისგან ნაწარმოებ სიტყვებში ვ შეცვლილია ბ-თი (ამაში შეიძლება დ-ს მიუძღოდეს ბრალი. არ უნდა იყოს აქ გამორიცხული წარმოების ადგილის მიხედვით ნაწილობრივად მსგავსი ბგერების განმსგავსება); მაგ.: აბდარი (— ავდარი), აბდრობა, გააბდრება, გააბდრებულა და სხვ.³

ზოგიერთ სიტყვაში ვ წარმოდგენილია ბ-დ ხმოვანთა შორისაც და ხმოვნის წინაც; მაგ.: ორიბე (— ორივე), თიბა (— თივა), სათიბე, ბარცხნა (—

¹ დაწერილობით: გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ. — „მაცნე“, 1966, №8, გვ. 249-252.

² „მერე მოვქაოდით წ ი ნ დ ი ს შ ხ ი რ ე ბ ზ ე წინდეფს“ (გომი, შემოქმედის სას. საბჭო).

³ ს. ე ლ ე ნ ტ ი ს მიერ საქამიასერში ჩაწერილ ტექსტში „გასზოდეთ“ ზმნის პარალელურად ნახმარია „გაბსოდეთ“ (გურული კილო, ტექსტები, 174, 12). ამ სიტყვაში ბ არ არის მოულოდნელი, მაგრამ ჩვეულებრივ არ იხმარება გურულში.

ვარცხნა), საბარცხალი (— სავარცხელი), ბარცხნის, იბარცხნის, დეიბარცხნა, დუუბარცხნა, დაბარცხნილი, სობელი (— სოველი, სველი), რწება (— რწევა) და სხვ.

ხშირია მდინარ და ნარნარა სონორ თანხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობა: რ — ლ: ალხი (—|| არხი), ბულთი, გაწყლომა (— გაწყრომა), უწყლება, გაგიწყლება, გუუწყლა, დაჩილვა (— დაჩირვა), ჩილავს, დაჩილა, ტელფი (— ტერფი), მასლა (— მასრა), მანდალინა (— მანდარინი) და სხვ.¹

„ჭერ“ წარმოდგენილია „ჭელ“ სახით, თუ იგი ლ-ს შემცველ სიტყვას არ დაერთვის; მაგ.: სამჭელ, ოთხჭელ, ხუთჭელ, მეშვიდეჭელ, მიათეჭელ და სხვ.

მ — ნ: ნეფე, უნცროსი, დანჯილული, მოსანსახურე, ენსახურება, სინლერა, დანწიფება, დანწიფთება, დანწიფებული, შენთხოვა (— შემთხვევა), შეენტხვა, ანყრალება, ანყრალებული, დანწყტოვა (— დამწყვედვა), ანწყტოვია, მონტროვა (— მომტრევა), ანტროვს, მუანტროია, დანდგარა (— დამდგარა)... ოჩანჩირე (— ოჩამჩირე)...

ნ — მ: ამჯაყება (— ანჯაყება — აჯანყება), ამჯაყეფს, გამკარგულება, გამსხუებული...

ნ — ლ: სული (— სუნი)...²

ლ — ნ: ნატარია (შეიძლება დისიმილაციურ ნიადაგზე იყოს მომხდარი).

რ — მ: გააჩემეს...

ნწ — რწ: ყურწი...³

ფ უ-ს წინ შენაცვლებულია ქ-თი სიტყვაში ქუჩეჩაი/ე (— ფუჩეჩი)⁴. აქ შეიძლება გამორიცხული არ იყოს უ-ს ასიმილაციური გავლენა წარმოების

¹ დადასტურებულია აგრეთვე „პლოკპის ზე“, სადაც სუბსტიტუციასთან ერთად გვაქვს მეტათეზისიც (პროკპის — პროკპის — პლოკპის). ეს ფორმა არ არის დამკვიდრებული, ჩვეულებრივ იხმარება „პროკა“ (прока).

² წინადადებაში: „გლანა ს უ ლ ს დუუჟარქეიდა“ (გომი).

³ წინადადებაში: „ჩხავერის ტევანს მაგარი ყ უ რ წ ი აქ“ (დვაბუ).

⁴ შეინიშნება პარალელური ფორმითაც: ქვიჩეჩაი/ე.

ადგილის მიხედვით.

გვხვდება სხვა მონათესავე ბგერათა ურთიერთმონაცვლეობაც; მაგ.: უღამური (— უღაბური) ტყვი, კმენა (— კბენა), უკმინა, ანტობუსი, დააბა-ტივრეს, გვზითი, გზითით გააგზითა...

ჟ → კ: კაძანი, ტვისაშლი¹... (წარმოების ადგილის მიხედვით წინ გად-მოწევას შეიძლება ჰქონდეს ადგილი ასიმილაციური გავლენით).

ტ → კ: კაქკა (რუს. тачка)... არ არის გამორიცხული ასიმილაცია.

ჭუჭუა (— ძუძუა), ჭიჭილაყაი²/ე (— ჭიჭილაყაი²/ე), ღჭილი (— ღძილი — ღრძილი)... გვხვდება მთელ გურულში.

ჭინჭარი და ჭინჭველაი²/ე გურულში უფრო ძველი ფორმით უნდა გვექონდეს შემონახული, ვიდრე სალიტერატურო ქართულში².

სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული არაბული წარმოშობის სიტყვა ზაფრანა (ზაფრან) გურულში გვევლინება მხოლოდ ზაფრანა-ს სა-ხით. ზ-ს ნაცვლად გვაქვს ხ.

თავკიდური ჰ გვევლინება ხ-დ: ხაერი, ხოლა...

სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ადგილი აქვს დ, ბ და გ მკვდრთა გა-ფშენიერებას: კარგათ, კაცათ, მასალათ, აკეთეფ, აბარეფ, თამაშოფ... შე-მდექ (— შემდეგ)...³

ხმოვანთა სუბსტიტუცია (ასიმილაციისა და დისიმილაციის მონაწილე-ობის გარეშე) შედარებით იშვიათად დასტურდება გურულში. სუბსტიტუცი-ის მაგალითები შეიძლება საკმარაო რაოდენობით დავასახელოთ, მაგრამ ზოგ მათგანში ადგილი უნდა ჰქონდეს ასიმილაციურ და დისიმილაციურ გავლე-ნას; მაგ.: უკინ (— უკან)⁴, ფუნჩხაი²/ე (— ფინჩხაი²/ე), ნაფუნჩხაი²/ე, ნა-ფუნჩხალაი²/ე, უჩხობი||უჩხუბი (სოფლის სახელია ცხემლისხიდის სასოფლო საბჭოში), მაქვა (—|| მალქვა; შდრ. ლიტ. მაქვა), თვითან (შდრ. ლიტ. თვი-თონ), ვითამ (შდრ. ლიტ. ვითომ), უხოვთ პირს ე ნ გ უ რ ი თ (—|| ანგურით;

¹ დადასტურებულია ს. ნაბელავში.

² შდრ. არნ. ჩ ი კ ბ ა ვ ა, სახელის ფუძე, გვ. 173-174; მ ი ს ი ვ ე, შდრ. ლექს., გვ. 114.

³ შდრ. ლიტ. ავდექ (— ავდეგ). ადექ (— ადეგ) და სხვ. (ამათი ანალოგიით, როგორც ცნობილია, მივიღეთ: დავქექ, დაქექ...). ეს უკანასკნელი გურულში შემონახულია პირველ და მეორე პირშიც თავისი ფორმით (დავქევი, დაქევი). მაგრამ ზოგჯერ იხმარება: „დავექით, დავექით“...

⁴ წინადადებაში: „გამევილა უკინა კარიდან“ (გურიანთა).

ს. ქვემო აკეთი), არეინი (— არაინი), უნაგრაი/ე¹ (— უნაგირა), იზალი (— ეზალი), ტილიფონი (— ტელეფონი), რამდონი (— რამდენი), დედომიწა, დედოლორი, ჯიბაი (— ჯიბე), ფასფორი (— ფოსფორი) და სხვ.

მახვილის შესახებ

გურულში მახვილს საგანგებო კვლევა-ძიება სჭირდება. ამჟამად ზოგადად შეიძლება ითქვას შემდეგი: გურულში მახვილი არ იგრძნობა ყველგან ერთნაირად. იგი განსხვავებულია თავისი სიძლიერე-სისუსტით კუთხეების მიხედვით. მახვილი უფრო იჩენს თავს ზემოგურულში, უმთავრესად სურების მიდამოებში. სხვაგან იგი უფრო შესუსტებულია. მახვილს ჩვეულებრივ თან ახლავს გურულში ხმოვნის გაგრძელება და ხმის ამაღლება. მახვილი ამჟამად ბოლოდან პირველ მარცვალზეა უმთავრესად, მაგრამ ისტორიულად უნდა ყოფილიყო მეორეზე. გადანაცვლებას ხელს შეუწყობდა კითხვითი ნაწილაკის დაკარგვაც კითხვით წინადადებაში; მაგ.: დაათქმუნ იმიზნ სურები (ზემო სურები); სულ ურებნ ყოფილიყრ (იქვე); ქურდი და ბოროტი კ'არ ყოფილნ, ყაჩალი (თავსურები);... შეიქნა აი კაცი (იქვე); პატრონი არ მყავდა ვინმე (ბურნათი); რომ მოგატყურ, რათ გინდა! (შუა სურები); აი იყო კან? (ვაკიჯვარი) და სხვ.

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ გურული დიალექტი მდიდარია მრავალფეროვანი ფონეტიკური მოვლენებით, რომლებიც მეტ-ნაკლებად ექვემდებარებიან გარკვეულ კანონზომიერებას. ძირითადი ფონეტიკური პროცესები საერთოა მთელი გურულისათვის, მაგრამ არცთუ იშვიათად შეინიშნება თავისებურებები კუთხეებისა და სოფლების მიხედვითაც. მთავარი სხვაობები შეპირობებულია ქვემოიმერულისა და აჭარულის გავლენით. პირველს გაცილებით მეტი ზემოქმედება მოუხდენია გურულზე, ვიდრე მეორეს. ბუნებრივია, რომ ზემოგურულსა და ქვემოგურულს შორის ფონეტიკაშიც თვალსაჩინო სხვაობაა, რაც ძირითადად განაპირობებს მათ გამოყოფას ცალ-ცალკე კილოკავებად.

¹ წინადადებაში: „გურიელი ცხოვრობდა სოფელ უნაგრაზე. ახლა იმას დაათქმუნეს სუფსა“ (ს. თავსურები).

მორფოლოგიური თავისებურებანი

სახელები

ერთმარცვლიანი ფუძეხმოვნიანი სახელი (მასდარიც) და ზოგიერთი ერთზემეტმარცვლიანი კომპოზიტიც, რომელსაც ბოლო კომპონენტად აქვს ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი სიტყვა, მთელ გურულში წარმოდგენილია ყველა ბრუნვაში ბრუნვის ნიშნებით და აგრეთვე უკვეცელი ფუძით ჩვეულებრივ (დაი, ქრაი, შინაყმაი, ხელი, ტყეი, დროი, ხფოი, ცრუი, ღრუი, ბუი, დაის, დაით...).

გურულისაგის, მართალია, ჩვეულებრივია უკვეცელი ფორმები, მაგრამ ვხვდებით ფუძის კვეცის შემთხვევებსაც (ზ ი ს სახლი, ზ ღ ვ ი ს პირზე, ტ ყ ი დ ა ნ, ქ ი დ ა ნ...).

ე-ზე, თ-ზე და უ-ზე დაბოლოებულ ერთზემეტმარცვლიან სახელებს სახელობითში ისევე ჩამოცილებული აქვთ ბრუნვის ნიშანი მთელ გურულში, როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ა-ზე დაბოლოებული ერთზემეტმარცვლიანი სახელები სახელობითში დაირთავენ ბრუნვის -ი ნიშანს და არც ფუძეს იკვეცენ ნათესაობითსა და მოქმედებითში, თუ ეს ბოლოკიდური ა წარმოადგენს მორფემას, ან მორფემული წარმოშობისაა და ასე თუ ისე შეიცავს ქონების, მოფერების, ალერსის, კინინობითობის, დაცინვის ელფერს და სხვ. ანგარიში ეწევა სემანტიკას; მაგ.: შავ-თვალი, სამყურაი, ნათალი, ნაწვაგაი||ნანწვაგაი, ჯაფარიკაი, თედორაი და სხვ.¹

ერთზემეტმარცვლიანი ა ფუძეხმოვნიანი სახელები, რომლებიც სახელობითში ბრუნვის ნიშანს დაირთავენ, ამოსავალი ფორმით შემონახულია ლანჩხუთის რაიონში. ამ რაიონის სოფლებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ გამონაკლისს, რომელიც უმთავრესად თავს იჩენს ქვემო იმერეთისა და ჩოხატაურის რაიონის ახლომახლო სოფლების მეტყველებაში, სახელობითის ი დაცულია უცვლელად; მაგ.: ბალანაი, ციკაი, ბაბუაი, ბებიეი, დროი, ბუი და სხვ.

ანალოგიური მდგომარეობაა აგრეთვე ოზურგეთის რაიონის იმ სოფ-

¹ სახელებთან დაკავშირებით ვრცლად: გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ. — მაცნე, 1966, №6. გვ. 252-262.

ლების მეტყველებაში, რომლებიც ლანჩხუთის რაიონს ესაზღვრებიან ან მის ახლომახლო მდებარეობენ (ჯუმათის, სილაურის, შრომის, კონკკათისა და ნატანების სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლები და სხვ.).

ჩოხატაურის რაიონის მეტყველებაში ამ სახელებთან სახელობითის ნიშანი **o** დაკარგულა, მაგრამ მისი რეფლექსი ისევე დარჩენილა, როგორც ქვემოიმერულში¹. მას ჯერ ნაწილობრივ მიუმსგავსებია ფუძისეული წინამავალი **a ხმოვანი**, ხოლო შემდეგ დასუსტებულა და დაკარგულა; მაგ.: ბაღანე (— ბაღანეჲ — ბაღანაი), კარდალე, პანტე, წალიკე, ნალიე, ჩერიე, სამსონე, გოგიე და მისთ.

ასიმილირებული ე გვაქვს ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებშიც; მაგ.: ხმარობენ ძ ი რ მ ა გ ა რ ე ს დასამსწიფებლად, ჩავასხამთ ჭურში ჭ ა რ ი კ ე თ, ძაფს ვაკეთეთ ნ ა ჭ ე ჭ ყ უ რ ე ღ ა ნ და სხვ.

აქ (ზემოგურულში) ფუძის ბოლოკიდური **a** აღდგება მიცემითსა და მოთხრობითში (ჭარიაკაში, კარდალაში, მესერაზე, ბაბუამ, სიმონამ)².

ამ ტიპის **a** ფუძებმოვნიანი სახელები ჩვეულებრივ ასე გვევლინებიან ჩოხატაურის რაიონის ახლომახლო მდებარე ოზურგეთის რაიონის სოფლებშიც (ნაგომარი, შუა ისნარი, მაღალი ეწერი, ყანაურა, ასკანა, მზიანი, დაბალი ეწერი, მთისბირი, ოქროსქედი და სხვ.). განსაკუთრებით მოხშირებულია ვანის ქედსა და უკანავანში. არ არის უჩვეულო შედარებით უფრო დაშორებული სოფლებისთვისაც (როგორიცაა ბახვი და სხვ.). ანალოგიური ფორმები მეტ-ნაკლებად თავს იჩენს ლანჩხუთის რაიონის იმ სოფლებშიც, რომლებიც სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონების ახლომახლო მდებარეობენ (ქვიანი, ჩოლაბარგი, ჭონაგორა, აკეთი, ჭანჭათი, გაგური და სხვ.).

ოზურგეთის რაიონში, განსაკუთრებით კი ცენტრალური ზონის მეტყველებაში, არცთუ იშვიათად გვხვდება გარდამავალი საფეხურის ფორმები სხვების პარალელურად. აქ ამ ტიპის სახელებში სახელობით ბრუნვაში ხშირად გვევლინება დასუსტებული **o** (იოტი); მაგ.: ღვაჭიეჭაჲ, ჭინკაჲ, კაკუტაჲ, ციცაჲ, მერიეჲ, ივანიკაჲ და სხვები. ამათ გვერდით დასტურდება იოტის

¹ Ш. В. Д з и д з и г у р и, К характеристике нижнеиммерского говора грузинского языка. — "Памяти акад. Н. Я. Марра" М.-Л., 1938, გვ. 125; იტ. კ ა ხ ა ძ ე, ე-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელის ბრუნვისათვის ქვემოიმერულში. — ივე, V, 1953, გვ. 183-192.

² წოდებითი აღდგება მაშინ, როცა არსებით სახელს წინ არ უძღვის ნაცვალსაზღვარი „ჩე-მი“ („გოგია, წეილე მაიო!“ შღრ. „ჩემი ბაბუე, გამიკეთე აი საქმე!“).

გაქრობის შემთხვევებიც სალიტერატურო ენის გავლენით (ციცა, ქუმუტა¹, წიფლა, ბებიე, კოლიე...).

ანალოგიური შემთხვევა თავს იჩენს ერთმარცვლიან ფუძებმოვნიან სიტყვებშიც. ჭერჭერობით ეს შედარებით უფრო შეინიშნება და კავშირის წინ (იყო ტ ყ ე და ყანიები, დ რ ო და ბორჯი).

ფუძებმოვნიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ნიშნის ბედს იზიარებს ბრუნვის ნიშნისეული ი ელემენტი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ფუძეუკვეცელ ბოლოზმოვნიან სახელებთან სათანადო რეგიონების მიხედვით (ტაროის, ძუძუსი; ტაროჲს, ძუძუჲს; ტაროჲთ, ძუძუჲთ; ს ა მ ე გ - რ ე ლ ო ს ბატონი; ო გ ვ ა დ ო დ ა ნ).

მოთხრობით ბრუნვაში ერთმარცვლიანი ბოლოზმოვნიანი სახელები მთელ გურულში ჩვეულებრივ წარმოდგენილია -მა სუფიქსით (დამა, ხემა). ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ჩანს ფუძისეული ხმოვნის სიმცირე და არა ფუძეთანხმოვნიანი სახელების ანალოგია ან პოზიცია (დამა უთხრა; შეჰამა თხამა).

სახელი „ჩაი“ გურულში გაგებულია ა ფუძებმოვნიანად და იბრუნვის ისევე, როგორც ერთმარცვლიანი ფუძებმოვნიანი სახელები (ჩ ა მ ა, ჩ ა ს კრეფს, ჩ ა შ ი, ჩ ე ბ ი).

გურულში, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება თანხმოვან-ფუძიანი საკუთარი არსებითი სახელი წრფელობითის ფორმით მოთხრობითსა და სახელობით ბრუნვებში (დავით გააკეთა; სიმონ მოკლენ). ნაშთის სახით შემონახული ჩანს ძველი ქართულის ვითარება².

გურულში კუთხეების მიხედვით განსხვავება დასტურდება ზოგიერთი სახელის ფუძის დაბოლოებაში: სიმინდი||სიმინდე, კარდალი||კარდალი||კარდალე, ნაზარდი||ნაზარდაი, ნაზარდე, ორმო||ორმე, დობირაი||დობირო და სხვ.³

მ ფუძეთანხმოვნიანი სახელები მოთხრობითში ზოგჯერ წარმოდგენილია ერთი მანით, რომელიც დაყოვნებული ბგერის შთაბეჭდილებას ტოვებს; მაგ.: ო შ ა მომისრა (ს. ცხემლისხიდი), მ ა მ ა ჩ ე შ ა მერე გაბედა (გურიანთა)

¹ ქუმუტა — ვენახის ფიში.

² „ზოგ შემთხვევაში ფუძისეული -ი ბრუნვის ნიშნადაა გაგებული: გიორგი, გიორგმა, გიორგს...“ (ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 325). ანალოგიური ვითარება შეინიშნება სხვა კილოებშიც.

³ ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 89; პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. ავტორეფერატი, გვ. 19; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 525.

და სხვ.

მოთხრობითში ერთმანეთის პარალელურად იხმარება იმამ და იმან, ამაჲ და აჲან. არ არის გამორიცხული, რომ აქ საქმე გვექონდეს სრული სახის პროგრესულ დისტანციურ ასიმილაციასთან.. მაგრამ უფრო მართებული ჩანს შემდეგი: ნ-ს შეცვლა მანით გამოწვეული იყოს იმით, რომ ნ-მ დაკარგა გურულში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ფუნქცია; მაგ.: ი მ ა მ ასტალა (ზე-და ბახვი); ა მ ა მ გააკეთა (ნაურმევი) და სხვ.

მიცემითში და კავშირის წინ ფუძეთანხმოვნიანებთან თავს იჩენს სპორადულად ბრუნვის ნიშნის დაკარგვის შემთხვევები. ამას ხელს უწყობს, უექველია, ემფატიკური ხმოვნის უქონლობა გურულში; მაგ.: ჳიხურში მალავდენ ქ ა ლ და ბალანას (შემოქმედი), სიმინდ და ლომს ვეთსავდით (კონქკათი) და სხვ.

გურული ჩვეულებრივ მეტყველებაში ემფატიკურ ხმოვანს არ ხმარობს; მაგ.: ჳყუტაი ქ ა ნ ქ ა თ ს და ზომელეთს საზღვრავს (ჳანჳათი); გლუხს არ ქონდა უფლება სიმინდის წ ა მ ო ლ ე ბ ი ს, სინამდი ბატონი არ მივიდოდა კალოზე (ლაშისღელე), კაი აფხანაგი იყო მ ა მ ა ჩ ე მ ი ს (მერია); დაპწილი ფაცხა ქონდა შ კ ე რ ი ს (ვაიჭვარი); ბერი მოყვარე იყო ბიჭია რ ა მ ი შ - ვ ი ლ ი ს (დიდი ვანი) და სხვ.

ემფატიკური ხმოვანი აღდგება მხოლოდ -ცა ნაწილაკის წინ; მაგ.: აქუმდენ თხეფს და ძ რ ო ხ ე ფ ს ა ც (ნაბელავი); მის ძ ა ხ ს ა ც¹ მურია ქვიებია (ზედა ბახვი).

ემფატიკური ა შემონახულია მხოლოდ ჩვენამდე მოღწეულ ძველ ლოცვებსა და ლექსებში; მაგ.: ზეთა ეწერა სამი სიტყვანი: ხოლო ბ ა ბ ი - ლ ო ს ა ქვეშა იწვა გველი (გომი); ჳქსოვდი ო ქ რ ო ს ა ზ ე წ ე უ ლ ს ა ქ ს ე ლ ს ა (იქვე) და სხვ.

თანხმოვანფუძიანი სახელის თანხმოვანსა და მიცემითი ბრუნვის -ს-ს შორის სპორადულად შეიძლება შევნიშნოთ ი ხმოვნის ჩართვის შემთხვევა (ჳვირთის ზიდვიდა). მოთხრობით ბრუნვაში ასეთი რამე არ დასტურდება. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ი არის ამ შემთხვევაში თანხმოვანთაგამყარი. მისი ჩართვით აცილებულია მიცემითი ბრუნვის ნიშნის -ს-ს სხვა თანხმოვანთან შერწყმისა და დაკარგვის საფრთხე სწრაფი მეტყველების დროს. ი-ს ჩართვას (და არა სხვა ხმოვნისა) ხელი შეუწყო, როგორც ჩანს, იმანაც, რომ

¹ ძალსაც||ძალსაც||ძახსაც.

ეს ხმოვანი გვაქვს სახელობითში (ბრუნვის ნიშნად), ნათესაობითსა და მოქმედებითში (ბრუნვის ნიშნების ერთ-ერთ ელემენტად)¹.

თანდებულის შესახებ

გურულში აქა-იქ ჰყრ კიდევ შეინიშნება -გან თანდებულიანი მოქმედებითის გარდამავალი საფეხურის ფორმა, თუშეცა მას გაცილებით უფრო იშვიათად ვხვდებით აქ, ვიდრე აღმოსავლურ დიალექტებში; მაგ.: მამაჩემი ჩამოსულა რ ა ჭ ი დ გ ა ნ (ქვემო ნატანები); მორე გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ი დ გ ა ნ დამთხუა სკოლას (ტაბანათი); გამოყოფილი იყო ცველები ს ო ფ ლ ი დ გ ა ნ (შრომა); ქ უ რ ი დ გ ა ნ წყალს ამუასხამთ ორკობით (დვაბზუ); გვეილა უკანა კ ა რ ი დ გ ა ნ (ტაბანათი); ო ზ უ რ გ ე თ ი დ გ ა ნ ნაგომარამდი (მამათი) და სხვ.

-გან თანდებულიანი მოქმედებითი გურულშიც ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა დიალექტებში, ენაცვლება -გან თანდებულიან ნათესაობითს; მაგ.: წაბლის ხ ე ი დ ა ნ ვთლით ბუყეფს (ბუყნარი); ჩიჩინათალი გაკეთებული იყო თხილის ბ ო ლ ი დ გ ა ნ (თავსურები); ყველს ვაკეთეფთ ძ ე ი დ გ ა ნ (ხილ-მალა); ოტკას ვხდით ქ ა ჭ ი დ ა ნ, ტ ყ ე მ ლ ი დ ა ნ, ლ ე დ ვ ი დ ა ნ, ხ უ მ ბ რ ი დ ა ნ (ჰყონაგორა) და სხვ.

ქვემოიმერულის გავლენით ზემოგურულში -გან თანდებული შეიძლება -გინ ფორმითაც შეგვხვდეს (მიზღვინ, ჩემღვინ, ძელიღვინ)². არ არის გამოირიცხული, რომ მას დაერთოს -ით (მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი: ძელიღვინით)³.

გურულშიც ისევე, როგორც სხვა დასავლურ კილოებში, -თვის თანდებულიანი ბრუნვის მნიშვნელობით გაბატონებულია ნანათესაობითარი ვითარებითი, სადაც ბრუნვის ნიშნებს განუცდია სათანადო ფონეტიკური ცვალებადობა და მოუცია -იზა (- იზდა - ისდა - ისა-და); მაგ.: ფოთში დადიოდენ თ ე ბ ზ ი ზ ა, მ ა რ ი ლ ი ზ ა, პ უ რ ი ზ ა; ამის გ უ ლ ო ბ ი ზ ა გავაკეთე; შენი გ უ ლ ი ზ ა აკეთეფს და სხვ.

¹ სხუანარი ახსნა იხ. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 525.

² შტრ. ქვემოიმერული: ი ქ ი დ გ ი ნ დევიწყოთ; ა ბ ა შ ი დ გ ი ნ (ქართ. დიალექტ., გვ. 479); ს ო ფ ლ ი დ გ ი ნ, ე ა ნ ი დ გ ი ნ, ს ა ხ ლ ი დ გ ი ნ (ა. კ უ ბ ლ ა შ ე ი ლ ი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985, გვ. 104).

³ ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989, გვ. 527.

დ-ს დაკარგვა ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან შენიშნულია ძველ ქართულშიც¹.

გურულის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით ნათქვამია: „გურულში ვნებისთვის **დ** იმსგავსებს ნათესაობითის -ს ელემენტს და მის **ზ**-დ ქცევის შემდეგ თვითონ იკარგვის“².

ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვა უფრო ძველი სახით შემონახულია ხევსურულში (**-ისა-დ**)³ და ასრულებს **-თვის** თანდებულის მაგივრობას, ისევე, როგორც გურულში.

ნაცვალსახელებთან გურულშიც ისევე, როგორც ძველ ქართულში, გვაქვს **-და**; მაგ.: **ჩემდა, შენდა, ჩვენდა, თქვენდა** და მისთ.

ნაცვალსახელთანაც რომ ეგვევ ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვა გვაქვს, ეს ჩანს ისეთი მაგალითებიდანაც, როგორიცაა: მიზდა (**- მისდა**), ამიზა (**- ამიზდა - ამისდა**), იმიზა (**- იმიზდა - იმისდა**), იგინიზა (**- იგინიზდა - იგინისდა**) და სხვ.

ძველი ქართული **ჩემდა, შენდა, ჩვენდა, თქვენდა** ნაცვალსახელებთან დაკავშირებით ბევრი აზრი გამოთქმულა. მკვლევართა ერთი ჯგუფი (ნ. მარი, ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი და სხვ.) **-და-ს** მიიჩნევს თანდებულად⁴, ხოლო მეორე ჯგუფი (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ა. მარტიროსოვი და სხვ.) ამას არ იზიარებს და **ჩემდა, შენდა, ჩვენდა...** ფორმებს თვლის ნაგენეტივარ მიმართულებითად, რომელშიც გამოხატულია მიმართულებისა და დანიშნულების ფუნქცია.

გურულში ნაშთის სახით შემონახულია თანდებული **-დამ** (**- და-**

¹ ვ. თოფურია, ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ქანურში. — ვნიშის მოამბე, ტ. 1, ტფ., 1937, გვ. 181.

² ვ. თოფურია, იქვე, გვ. 180; Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Лeningrad, 1925, გვ. 90.

³ ალ. კინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960, გვ. 53-54.

⁴ ა. შანიძე წერს: „თანდებულები და ძალიან გავრცელებული იყო ძველად და იმასვე აღნიშნავდა, რასაც „თვის“; ერთოდა ნათესაობითის ფორმას: „მხატვრისადა მიეცა“ (გ. შთაწმიდელი...). ეს ფორმა სალიტ. ქართულიდან გადავარდა, მაგრამ დარჩა კილოებში (მაგ., გურულში, ფშაურში). გურულში **ის-და** კომპლექსმა (ბრუნვა გაურკობელია) **იზა** მოგვცა (შენი გულის-და — შენი გულიზა), ფშაურში კი ბოლო ხმოვანი ჩამოეკვეცა და მივიღეთ **ისა-დ** (ბრუნვა გაურკობელია; ლექსში შეიძლება ჩამოეკვეცილი ა აღდგეს, რაც კარგად ცნობილია ვაჟა-ფშაველას ნაწერებიდან: დედისად (დედისთვის), მტრისად (მტრისთვის)“ (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 601-602).

მა||დამე — დაღმა — დაღმე)¹. დასტურდება გაქვევებული სახით ზოგიერთ ზმნისართთან; მაგ.: თვითონ დადგებოდა წ ი ნ დ ა მ (ხიდმაღალა); სადგურის წ ი ნ დ ა მ მოკლესო (გურიანთა); კალოს მუყურიდით თავს ნალიეის წ ი ნ დ ა მ და ვარჩევდით (მამათი); დეიხია ჭარმა უ კ ა ნ ი დ ა მ (ჩოლა-ბარგი); ა ქ ი დ ა მ ა ი ტყეი იყო ჟორდანისას (ლაშისღელე) და სხვ.

-დამ თანდებულს ამჟამად გურულში დაკარგული აქვს თავისი ბირვანდელი მნიშვნელობა და აღარ შეუძლია მიმართულების ჩვენება. წინადადებაში, თუ -დამ თანდებულთან სიტყვას მიმართულების გამოხატვა ეკისრება, მაშინ მას უნდა დაერთოს -იდან (← -იდგან — -ითგან); მაგ.: წამიეწია უ კ ი ნ დ ა მ ი დ ა ნ (გურიანთა); აი ბერდენაი ეილო და დაადვა უ კ ი ნ დ ა მ ი დ ა ნ გულის პირდაპირ ზრუქში (ზემო ჩიბათი); უკანა კარები გ ა რ ე დ ა მ ი დ ა ნ იკეტებოდა (ტაბანათი); მერე უნდა გ ა რ ე დ ა მ ი დ ა ნ მიწა შამუაყარო მაგრათ (ვანისქედი) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ -დამ თანდებული თავისი ფუნქციით დასტურდება გურულის მომიჯნავე აქარულ დიალექტში² (წ ი დ ა მ მობძანდით თქვენ, ხ უ ლ ო დ ა მ ხომ არ ჩამობძანდით?: ზემოაქარული, „ქართ. დიალექტ.“, 396,1). ეს იმის დამადასტურებელია, რომ იგი გურულშიც ცოცხალი უნდა ყოფილიყო არცთუ ისე დიდი ხნის წინათ.

-ში თანდებულის პარალელურად ნაშთის სახით გვევლინება ზოგჯერ უთანდებულო მიცემითის ფორმაც გურულში; მაგ.: ზოგი სურამში წვეიდა, ზოგი წ ყ ა ლ ტ უ ბ ო ს წვეიდა (ლაშისღელე); ტყიურ ღორებზე სანადიროთ ძველათ ღ ო რ თ ა ფ ო ნ ს იარებოდენ თურმე (ხიდისთავი, „ქართ. დიალექტ.“, 418, 17) და სხვ.³

გვხვდება მიცემითნიშნის ზმნისართის ნაცვლად თანდებულთან მიცემითი; მაგ.: შევარდა მალლა და ჩამეილო აი კაცი ძ ი რ შ ი (გურიანთა).

-თან თანდებული გურულში ფუძემოვნიან სახელებთან წარმოდგენილია -ან სახით; მაგ.: ხესან, ლელესან, უთოსან, ხფოსან, ძროხასან, ბუძუსან და სხვ.

¹ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში. — „ენიშვილის მოაზრება“, ტ. 1, ტფ. 1937, გვ. 62-63.

² შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაქარული დიალექტი, ბათუმი, 1961, გვ. 78.

³ ლ. ლ ე ე ა ვ ა, შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე. — ივე, XIV, თბ., 1964, გვ. 201; П. П. Д ж а д ж а н и д з с, Гуринский диалект в отношении к аджарскому (Автореферат дисс. на соиск. уч. степени доктора филолог. наук), Тб., 1970, გვ. 18; ბ. ჭ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, 1989, გვ. 526.

ნაცვალსახელისა და მრავლობითი რიცხვის შესახებ

გურულში ისევე, როგორც რიგ სხვა დიალექტებში, „თავის“ ნაცვალსახელს ხშირად ენაცვლება „მის-ი“ ნაცვალსახელი; მაგ.: გადახობოდა მ ი ს ნათქვამს (ს. შუხუთი); აგინმა უფასოთ მისენ საკუთარი მ ი ს ი მიწა, ეზოს ჩამონაჭარი (დიდი ვანი) და სხვ.

იგი ნაცვალსახელი ისევე ბატონობს გურულში, როგორც ძველ ქართულში, მაგრამ, ძველი ქართულისაგან განსხვავებით, მრავლობითი რიცხვის მოთხრობითსა, მიცემითსა და ნათესაობითში ფუძეს არ იცვლის. ბრუნვის ნიშნებს დაირთავს ნარიანი მრავლობითი; მაგ.: ი გ ი ნ მ ა ც გამომეკიდენ (წიფნაგვარა); ი გ ი ნ მ ა ვასტეხეს (მაჩხვარეთი); წამეილეს ი გ ი ნ მ ა (ლაშისღელე); სათქმელათ ქონდენ ი გ ი ნ ს (ზემო ჩიბათი); ი გ ი ნ ს ამოყრიდენ წყლიდან (ლიხაური); გლეხები ი გ ი ნ ის ნებართვით ტყვევეს ჩეხდენ საყანეთ (ხიდმაღალა); ი გ ი ნ ის ჯარში ბრეული იყო დაჭრილი (გურიანთა); მისულიყო ი გ ი ნ თ ა ნ (შრომა); ი გ ი ნ შ ი ვერია (შუხუთი) და სხვ.

ასევეა წარმოდგენილი აგინი, აგენი, იგენი, მაგინი და სხვ.; მაგ.: ა გ ი ნ მ ა მუახთინეს (შუა სურები); ა გ ი ნ მ ა მისენ (დიდი ვანი); ა გ ი ნ მ ა ებღღენენ (ლიხაური); წავაჭრით ა გ ი ნ ს (შუხუთი); ა გ ი ნ შ ი იყო (ლაშისღელე); ა გ ე ნ მ ა დეინახა (ქვიანი); ა გ ე ნ შ ი სიმინდია (ასკანა); გავასართ ი გ ე ნ ს (ქვიანი); ი გ ე ნ მ ა რომ გამიშვეს, ა გ ე ნ მ ა დამიჭირაო (ქვიანი); მ ა გ ი ნ მ ა მოჭრა (ქვემო ჩიბათი); ვაძღვედით მ ა გ ი ნ ს (ჩოლაბარგი); მ ა გ ი ნ ის ხელჩი იყო (კონქკათი); მ ა გ ი ნ ის ღვინუები (ღვაბზუ) და სხვ.

ნ მრავლობითი რიცხვის ნიშნად გვევლინება სხვა სიტყვებთანაც; მაგ.: გამეიპარენ ო რ უ ე ნ ი (შუა სურები); მ ე ზ ა ო დ ე ნ ი ყიდულობდენ (გვიმბალაური)...

დასტურდება ორმაგი მრავლობითობის მაგალითებიც; მაგ.: შენი სახლიკაცნები (ბუქნარი), თეძონებამჟარდნილი (ორაგვე); ხავთასნები (ღვაბზუ), ხომერკენები (შრომა) და სხვ.

აქ მრავლობითის ორმაგი ნიშანი უნდა აიხსნას ნ-ს ფუნქციის შესუსტებითა და ისეთი სახელების გავლენით, როგორიცაა: ძმანები, დანები, ბიძანები, გვერდენები, კიდენები, სიძენები და ძე-ზე დაბოლოებული გვარები (ქიქონები, ღუმბაძნები, ნაკაშიძნები, ვასაძნები, ართმელაძნები, მელაძნები, ბერიძნები, მჟავანაძნები, დოლიძნები, კუტუბიძნები, მგელაძნები, ოროცაძნე-

ები, კიკნაძეები, ჩხიკვაძეები) და სხვ.

ამ სიტყვებში კი ნ ფუძისეული ჩანს (შდრ. მეგრ. შინჯალეფი „სიძეები“, დალეფი „დები“, ჭიმალეფი „ძმები“, კიდალები „ყელლები“ და სხვ. შდრ. აგრევე გურ. დანძობა).

სოფ. თავსურებში დადასტურებულია მრავლობით რიცხვში -ქე-ზე დაბოლოებული გვარები მარტო ნ-თი, სადაც ეს უკანასკნელი მხოლოდ რიცხვზე მიუთითებს; მაგ.: ამ სოფელში არიენ ბ ა რ ა მ ი ძ ე ნ ი, კ ი კ ნ ა ძ ე - ნ ი, სოროზანიშვილები, თვალაბედიშვილები, სანიკიძეები, ეზიეიშვილები, ლომინეიშვილები, ბედინეიშვილები, ჯ უ ლ ა ყ ა ნ ი ძ ე ნ ი, ჯ ა ფ ო ძ ე ნ ი (თავსურები) და სხვ.

სათანადო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად იხმარება -ენ-იც (მეზობლ-ენი)¹.

შენიშნულია ორმაგი წარმოებაც (-ნ-ებ: სახლიკაც-ნ-ები)².

გაქვეყნებული სახით დასტურდება თ-ა-ც; მაგ.: ქვათამხეთქელი (ქვა-თა+მხეთქელი; ნიშნავს ძალიან მსუნავს)³, ლ ო რ თ ა ფ ო ნ ი (ლორთა+ფონი)⁴ და სხვ.

კავშირები

სალიტერატურო ქართულის კავშირები რომ, მაგრამ, როგორც, როცა და სხვ. გურულში დასტურდება შემდეგი სახით:.. რომე (— რომელ): ატყოფს დედამისი, რ ო მ ე ვინცხა ცხოვროფს (ლაშისლელე); იმას აქ მოწყობილი სა-ცეხველი ხის, რომელიც რ ო მ ე ცემს (მერია); როცხა რ ო მ ე ჭადი არ იყო

¹ ალ. ლ ო ნ ტ ი, ორმაგი მრავლობითობის შემთხვევები გურულში. — ტფილისის სახ. უნივ. შრ., I, ტფ., 1936, გვ. 341-346; მ ი ს ი ე ე, К вопросу о трех суффиксов множественности в грузинском языке. — Вопросы языкознания, 5, 1980, გვ. 111-119; პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. ავტორეფრატი, გვ. 20; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 528.

² ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, ტფ., 1936, გვ. 59-60; К. Д. Д о н д у а, О двух суффиксах множественности в грузинском. — Статьи по общему и Кавказскому языкознанию, Ленинград, 1975, გვ. 54-55; პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ავტორეფრატი, გვ. 20; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 528; ტ. ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე, სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიალექტთა (აჭარულის, გურულის, მესხურ-ჭავჭავურის, იმერხეულის) მიხედვით. — საქართველოს მეცნ. აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), 1986, №3, გვ. 136.

³ დადასტურებულია შუხუთში, ნიგოთისა და სხვაგან.

⁴ გვხვდება სოფ. ხილისთავში ჩაწერილ მასალაში, რომელიც გამოქვეყნებულია „ქართულ დიალექტოლოგიაში“, 418, 17.

(იქვე)... მარა (— მაგრა): მევიდა, მ ა რ ა არ გააკეთა (ნიგვზიანი); მინდო, მ ა რ ა ვერ წვედიდფო (ნიგოითი)... რავარც (— რავვარც): ხეზე აშენებდენ, რ ა ვ ა რ ც ადესას, ისთე... (ბურნათი)... როცხა (— როსცადა): ახლა იმ კარდალას რ ო ც ხ ა გააფსეფ ტყემლით, დაასხამ ერთი ბოთლი წყალს (შუხუთი)... თვარა (— თუ არა); დამიძახა თ ვ ა რ ა, მივარდი (ზედა ბახვი); მაშვინათე უნდა გათალო, თ ვ ა რ ა განმება (ჭუმათი) და სხვ.

ზმნისართის შესახებ

გურულში მთელი რიგი ზმნისართები ირთავენ ი-ს, ისევე, როგორც არსებითი სახელები. სათანადო ფონეტიკურ მოვლენებს აქაც აქვს ადგილი რეგიონების მიხედვით (აქანაი, აქანაჲ, აქანე, ტყუილაი¹, ტყუილაჲ, ტყულე, ცოცხლითაი², ცოცხლითაჲ, ცოცხლითე, და სხვ.)³.

• ჩნდება თანხმოვანზე დაბლოებული ზმნისართანაც (ძალიანი გაკუპტა)⁴. ეგვევ • გვევლინება თანდებულთანაც (იმისანაი, იმსანაჲ, იმისანე)⁵.

სწორად არის შენიშნული, რომ • ასეთ შემთხვევებში არის ნართაული ხმოვანი და არა ბრუნვის ნიშანი⁶.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ • თავს იჩენს ზმნისთანაც (მეიცაი „მოიცადე!“). მაგრამ აქ იგი გაჩენილი უნდა იყოს ისეთი ზმნების ანალოგიით, როგორიცაა: მოი „მოდის!“, წაი „წადის!“, შეი „შედის!“, ჩაი „ჩადის!“, გაი „გადის!“, წამოი „წამოდის!“, გამოი „გამოდის!“, დაჟეი „დაჟედის!“ და მისთ.

სალიტერატურო ქართულში ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ზმნისართები გურულში ჩვეულებრივ — დ თანხმოვნის გარეშე, მხოლოდ ა ხმოვნითაც გვხვდება; მაგ.: დვეს მუაქ... ერი ძირი ხეი გუუქორკლავათ, მისი ბ ო ლ ე ბ ი ა ნ ა⁷ (ლაშისღელე), ვაშკაცურა და სხვ.¹

¹ ტყუილად.

² „ვითარებითი ზმნისართი ხშირად — ით სუფიქსითაა ნაწარმოები: ცხადითაი, ცოცხლითაი... ცხადითე, ცოცხლითე...“ (ბ. ჯ ო რ ბ ე ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 533).

³ დეტალურად: გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართული ენის გურული დიალექტის ზოგიერთი თავისებური მოვლენის შესახებ. — მაცნე, 6, 1966, გვ. 263-264.

⁴ ბ. ჯ ო რ ბ ე ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 523-524.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

⁷ „ტრტებგაუცლელად, თავის ტრტებიანად“.

ზმნები

ზმნებთან დაკავშირებით ბევრი საკითხი იქცევა გურულში განსაკუთრებულ ყურადღებას. ჩვენ აქ მხოლოდ მთავარ საკითხებს შევეხებით.

დრო-კილოთა წარმოება

გურულში შემონახულია ნამყო უწყვეტლის არქაული წარმოება - აგ და - ამ თემისნიშნის ზმნებთან; მაგ.: ვინცა დ ე ი ნ ა ხ ვ ი და (ზემო ნატანები); და გ ვ ი ნ ა ხ ვ ი და (ზემო ჩიბათი); თვითონ და გ ი ნ ა ხ ვ ი და და შენ ვერ დ ე ი ნ ა ხ ვ ი დ ი (გოგორეთი); ი ნ ა ხ ვ ი და (ხიდმაღალა); მერე ეძებეს, მარა სა ნ ა ხ ვ ი და (გურიანთა); და კ ე ტ ვ ი და (შუხუთი), ი ც ვ ი და სისტორეს (ტაბანათი); და ვ ბ ა რ ვ ი დ ი თ, მერე გ ა ვ თ ო ხ - ვ ი დ ი თ (ჰყონაგორა); მ ო ვ ჩ ა ლ ვ ი დ ი თ (ნინოშვილი); ვ ი ქ ი რ ვ ი - დ ი თ (ჰალა)... ჩ ე ი ც მ ი დ ე ნ ახალ ქალბანს (გოგორეთი); ხენწიფესან და ს მ ი და ო (ნიგოთი); ღვინოს ს მ ი და (ასკანა); და დ გ მ ი დ ე ნ ჩა-ლდაყს ზეთ (შუხუთი); და დ გ მ ი და სუფრაზე (ბუქნარ); სახზე ა დ გ მ ი - და (ასკანა); ცეხლის პირში სუფრას და ვ დ გ მ ი დ ი თ (შემოქმედი); მ ი ვ ა ს მ ი დ ი თ ბოყვეფს (ტაბანათი); ჩ ა ვ ა ს ხ მ ი დ ი თ (ბურნათი) და სხვ.²

ზოგიერთ ზმნასთან თემისნიშნისეული ვ მეტათეზისის განიცდის (და-კვლიდა, ნათლვიდენ, დახვნიდა) ან მთლად იკარგვის (კლიდა, კლიდენ, ცხენ-ზე და ა კ რ ი და ბალანას).

ძველ ქართულში ანალოგიური (-ვ-ი-დ-) წარმოება დასტურდება მხოლოდ მესამე პირში (ჰკითხვიდა, დასთრგუნვიდა), გურულში კი გვაქვს ყველა პირში. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი წარმოება ძველ ქართულშიც ყოფილიყო სამსავე პირში და გურულს შემოენახა. ეგების ძველად „-ვ-ი-დ-“ წარმოებასაც თავისი ყველა პირი მოეპოვებოდა“³.

¹ ს. ვ დ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 59.

² ამათ პარალელურად იხმარება ისეთი ფორმებიც, როგორიცაა: ღვიქირავდენ, დაჰყინტავდი (— დაჰყლიტავდი — დაჰყლევდი), ვიქირავდი, დევიქირავდი, თესავდენ, მოვზილავდით, დაელოცავდით. გავრცეხავდით, რეცხავდა და მისთ.

³ არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, გვ. 100.

ნამყო უწყვეტის -ვ-ი-დ წარმოებას ხოლმეობითის ფორმებს ვერ და-
ვუკავშირებთ, რადგანაც მესამე პირში ხ ე დ ვ ი დ ი ს და ხ ე დ ვ ი დ ი ა ნ
უცხოა გურულისათვის, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს მ. ძ ი -
ძ ი შ ვ ი ლ ი¹ და უარყოფს პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ი ს მოსაზრებას² ხოლმეობითის
შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამ წესს არ ემორჩილება ხრ კომპლექსის შემცველი
ზმნები. ისინი ჩვეულებრივ ისე ბოლოვდებიან გურულშიც, როგორც სალიტე-
რატურო ქართულში; მაგ.: ხრავდა, მინრავდა, გინრავდა, უხრავდა, ოხრავ-
და, ნიხრავდა და სხვ.

გურულში აქა-იქ გვხვდება მეოთხე სერიის ფორმები (ნა- პრეფიქსიანი
თურმეობითის ნაკვთები), რომლებიც შენიშნულია სხვა დასავლურ დიალექ-
ტებშიცა და საერთოდ ქართველურ ენებშიც; მაგ.: ნაკეთება, ნაყვარება, ნა-
ზიდავა, მონავალა; მონავალიყო, ნაყვარებიყო და მისთ.³

პირის ნიშნების შესახებ

მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში ლიტერატურული -
ნენ დაბოლოების ნაცვლად გვაქვს -ენ; მაგ.: წევიდენ, გეიფანტენ, დეიმალენ,
ქრიდენ, თამაშობდენ, აკეთებდენ და სხვ.

¹ მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ი, გრამატიკულ მოვლენათა ტენდენციები გურულში. — იბერიულ-
კავასიური ენათმეცნიერება, ტ. IX-X, თბ., 1958, გვ. 195-196.

² პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ხოლმეობითის გაღმონაშთისათვის გურულში. — ქუთაისის სახელმწიფო
პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIII, 1955, გვ. 79-87.

³ მეოთხე სერიის ფორმების შესახებ: И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (инвер-
ского) языка, С.-Пб., 1914, გვ. 086; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ე, კანურის გრამატიკული ანალიზი
ტექსტებითურთ, ტფ., 1936, გვ. 146; შ ი ს ი ვ ე, ბერმანსივის („ხოლმეობითის“) ისტორიული
ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში. — საქ. სსრ მეცნ. აკად. შრომები, ტ. IV,
№1, თბ., 1953, გვ. 96; ვ. თ ო ლ უ რ ი ა, შრომები, I, თბ., 1967 (სუანური ენა, I, ზმნა), გვ. 131-136;
შ ი ს ი ვ ე, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. — იყვ, VI,
თბ., 1954, გვ. 453; Ш. В. Д з и д з и г у р и, К характеристике нижнеиммерского говора
грузинского языка. — კრებ. "Памяти академика Н. Я. Марра", М.-Л., 1938, გვ. 129-130; გ.
რ ო გ ა ვ ა, დრო-კილოთა მეოთხე სერიის ნაკვთები ქართველურ ენებში — იყვ, V, თბ., 1953, გვ.
17-32; ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიბერული კილოყავი, თბ., 1973, გვ. 90, 130, 150, 293, 317; მ.
ა ლ ა ვ ი ძ ე, ლეზხუმურის თავისებურებანი. — ქუთაისის ბედ. ინსტიტუტის შრომები, II, 1941,
გვ. 235; ო. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის თავისებურებანი. — იყვ, VI, თბ., 1954, გვ. 173-175; ვ.
კ ა ხ ა ძ ე, მეოთხე სერიის მწკრივთა წარმოება დიალექტებში. — ქ. ქართული ენა და ლიტ.
სკოლაში", 1972, 2, გვ. 64-66; ქ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ქვემოიბერული
დიალექტი. თბ., 1985, გვ. 167-172; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989,
გვ. 433, 481-482, 508, 531.

ეგვე -ენ ხშირად ენაცვლება -ეს სუფიქსსაც ნამყო წყვეტილში; მაგ.: თავი გუუტენენ, დაამტერიენ, შეიყვანენ, მისენ (←||მისენ), გაგვიკეთენ, მიმილენ, დამნიშნენ და სხვ. ეს უნდა აიხსნას უნიფიკაციის ტენდენციით¹.

სუბიექტური წყობის იმ ზმნებს, რომელთაც აქვთ ნამყო წყვეტილის მიმღობა გამოყენებული, თურმეობით პირველში მესამე პირის მრავლობით რიცხვში ექნებათ არიენ (←||არიან) მეშველი ზმნა სრული ფორმით ძველი ქართულის მსგავსად (თანამედროვე ქართულის -ან-ის ნაცვლად); მაგ.: მოსულარიენ, დაწოლილარიენ, გაქცეულარიენ, გასუქებულარიენ, გამძღალარიენ (← გამძღარარიან), დამთვრალარიენ, დალაპარაკებულარიენ და სხვ.²

ამ მხრივ გურულში აბსოლუტური ზმნები ერთი საფეხურით უფრო ახლოს დგას ძველ ქართულთან, ვიდრე თანამედროვე სამწერლობო ქართულში. ამ უკანასკნელში ამათ მეშველი ზმნის სრული ფორმა შემორჩენიან მხოლოდ პირველსა და მეორე პირში (ყოფილ-ვარ, ყოფილ-ხარ, ყოფილ-ვართ, ყოფილ-ხართ).

ყველა ამ ტიპის ზმნას გურულში თურმეობით მეორეში დაერთვის უფუნქციო ი პირველ და მეორე პირში; მაგ.: წყოფილიყავ-ი, ყოფილიყავ-ი (მღრ. ლიტ. ქართ.: მოვკალ-ი, მოვკერ-ი და სხვ.).

ეგვე არიენ მეშველი ზმნა გვხვდება აწმყო დროშიც; მაგ.: მოდილარიენ, მიდილარიენ, ჟილარიენ, წველარიენ და სხვ.³

ლ-ს ჩართვა გამოწვეული ჩანს მიმღობისებრივი ფორმის გაჩენის მოთხოვნილებით.

ამათ პარალელურად იხმარება ისეთი ფორმებიც, როგორცაა: მოვლიენ (ბურნათი), მევილიენ (გომი), მივილიენ (ორაგვე), წვევილიენ (ბუქანარი) და სხვ.

მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში ლიტერატურული -იან დაბოლოების ნაცვლად გვექნება -ი-ენ (ქ. ოზურგეთის ახლომახლო მღე-

¹ ბ. ჯ. ო. რ. ბ. ე. ნ. ა. ძ. ე. ქართული დიალექტოლოგია, გვ. 529-530.

² ქ. ოზურგეთის ახლომახლო სოფლებში მეშველი ზმნა ჩვეულებრივ გვევლინება უცვლელი სახით (არიან).

³ ანალოგიური მავალითები დადასტურებულია ქვემოიმერულსა და სხვა დასავლურ კილოთქმებში. გვხვდება გ ა ხ ს ო ვ ლ ა რ ი ე ნ ფორმაც (გ ა ხ ს ო ვ ლ ა რ ი ე ნ თქვენც; მამათი) და მისთ.

ბარე სოფლების მეტყველების გამოკლებით)¹; მაგ.: კრიენ, მოკრიენ, თხრიენ, მოთხრიენ, თლიენ, გათლიენ, მემალებიენ, კეთთებიენ, ილანძღებიენ, იპილწე-ბიენ, ითართხებიენ, დაგვეცემიენ და სხვ.

ეს გამოწვეული ჩანს -ენ დაბოლოების ანალოგიით. მას ხელი შეუწყო ფონეტიკურმა მხარემაც (მღრ. იეფი ← იაფი).

ინვერსიული წყობისა და სხვა ზმნებთან, რომელთანაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად მოსალოდნელია -თ სუფიქსი, გურულში გაბატონებულია -ენ (-ან), -ნ დაბოლოება, მაგ.: უჭამიენ, დუუწყიენ, მიეშორებიენ; იმ ღამეს თათრები დ ა ს ც ე მ ი ა ნ ი მ ოჯახს; დუუჭირვან²||დუუჭირვენ²; მოხუცებულები დ უ - უ კ ლ ა ვ ე ნ და ახალგაზრდები წ უ უ ყ ვ ა ნ ი ა ნ ტყვეთ (შრომა); უ ნ ა - ხ ა ვ ე ნ ერ დილას აქანე (წიფნაგვარა); გინდებიენ (||გინდებიან), უნდებიენ, უნდოდენ³, მიხავენ, ხავენ, გადახავენ⁴, გადახავენ, ხავენ⁵, ეგონენ, ეგონონ, გეგონონ, გეძინენ, ეზარებიან||ეზარებიენ (ასკანა), მუაქვენ, გაქვენ, გაქონდენ, მიქონდენ, გუუხარდენ, დიეძინენ; რამ გ ა დ ა გ რ ი ე ნ ო?! (გურიანთა) და სხვ. გადააზრიანების შედეგი ჩანს⁶.

ის ზმნები, რომლებთანაც ძველ ქართულში მესამე სუბიექტური პირის მხოლოდობით რიცხვში, თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ო-ს ნა-ცვლად, გქონდა ა, გურულშიც არქაული სახით დასტურდება; მაგ.: მან ვერ ი ც ნ ა (გურიანთა), შამოგვესრა (ნატანები), ყინვამ გაგვიხმა (შრომა) და სხვ.

შემონახულია აგრეთვე ძველი ქართულისა და მთის კილოების -ო-ს დაბოლოება ვნებითი გვარის ზმნებთან მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირში; მაგ.: იმალვის, გამეიწვის⁷, დეიკარქვის, გეიპარვის და სხვ.

დგახ და ჩანს ტიპის ზმნები გურულში გვევლინება დგანა და ჩანა ფორმებით; მაგ.: ჩხავერი წინ დ გ ა ნ ა ტეევანდიღზე (ცხემლისხიდი), კალათი

¹ ოზურგეთის რაიონის მთელ რიგ სოფლებში -ო-ან ფორმა შემონახულია უცვლელად: წასუ-ლარიან (გურიანთა), ყოფილარიან (ლიხაური), დასცემიან (შემოქმედი), გვიძახიან (ქვ. ბახვი) და სხვ.

² ბ. ჭ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 529.

³ „უნ დ ო დ ე ნ ი ე დ ე ნ თფილისი“ (ნიგეზიანი).

⁴ დადასტურებულია გადახავენ ფორმაც: „მაშინებით გ ა დ ა ხ ა ვ ა ნ“ (შრომა).

⁵ წინადადებაში: „იგინი იყვენ ჭიხურში დ ხ ა ვ დ ე ნ მ ა კ ი ვ ა რ ი ქ ა ლ ი“ (შრომა).

⁶ ბ. ჭ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 529.

⁷ „მესამე დღეს გახურდება და ქეც გ ა მ ე ი წ ე ის“ (ქვემო აკეთი).

გ ვ ი დ გ ა ნ ა წ ი ნ (ზ. ნატანები), უ დ გ ა ნ ა , ა რ უ ჩ ა ნ ა (დვაბზუ)...

ამას მიჰყევება ზის ზმნაც: ყ დ ა ნ ა სკამზე (შუხუთი), სამ კვირეს ა ყ დ ა ნ ა და მერე გამოტეხავს ჭუჭულეფს (ბუქნარი)...

ამავე წესითაა ნაწარმოები: ჩივა, ყივა, ჭღავა და სხვ.¹

გურულში მეორე სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგულია ყველა ზმნაში², თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხარ და მოხგალ ზმნებს, რომლებშიც საერთოდ შემონახულია სალიტერატურო ქართულშიცა და ქართული ენის ყველა კილო-თქმაში.

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი გ გურულში ისევე იკარგვის ან განიცდის ცვლილებას, როგორც მთელ რიგ სხვა კილოებში.

გ და უ ბგერების წინ იგი არ გვქონდა ძველ ქართულში და არც ახლა გამოითქმის ქართული ენის კილო-თქმებში. ასევეა გურულშიც: მე ვარდები („ვევარდები“), მე ვარჯიშოფ („ვევარჯიშობ“); მე უთხარი („ვეუთხარი“), მე უჩივლე („ვეუჩივლე“), მე გუუყეთე („გავუყეთე“), მე გუუთალე („გავუთალე“) და მისთ.

პირველი სუბიექტური პირის ნიშანი უჩინარდება აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როცა ზმნის ფუძე იწყება ორ თანხმოვანს შორის მოთავსებული ვ-თი. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი (ე. ი. ფუძისეული ვ) ასრულებს პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მოვალეობას; მაგ.: კეტები (მე; შდრ. შენ კტები, იგი კტება), ქერივდები (მე; შენ ქრივდები, იგი ქრივდება) და მისთ.

პირველ სუბიექტურ პირში ფუძისეული ვ-ს გადარჩენა უნდა აიხსნას მით, რომ აქ მან იკისრა პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მოვალეობის შესრულება და განასხვავა ეს პირი მეორე სუბიექტური პირისაგან. ამის გამო პირველი სუბიექტური პირის ნამდვილი ნიშანი განიღვენა, როგორც არასაქირო ელემენტი ასეთ ვითარებაში.

ყრუ ბგერების წინ (უშუალო მეზობლობაში) გურულში ისევე განიცდის ასიმილაციას პირველი სუბიექტური პირის ვ, როგორც მთელ რიგ სხვა კილოებში; მაგ.: წფიქრობდი, წფიცავ (||წფიცავარ), წფარცხავ, წფოცხავ, წსახუროფ, წთხოვ, წქსოვ, წქამ და სხვ.

ზოგიერთი თანხმოვნის (მ, პ...) წინ (განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ თანხმოვანს მოსდევს უ ან ო) პირის ნიშნის ვ თითქმის არ ისმის (ან მეტისმე-

¹ ბ. ჯ. ო. ბ. ე. ნ. ა. ძ. ე. დასახ. ნაშრ., გვ. 530.

² ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ., 1920, გვ. 173-178.

ტად დასუსტებული ბგერის შთაბეჭდილებას ტოვებს); მაგ.: მე მუშოოფ, მუ-
შოობდი, ჩვენ მარგლიდით, მე მეცადინოოფ, მე პორწილოოფ და სხვ.

ობიექტური პირის ნიშნები განიცდიან ასიმილაციას უშუალო მომდევ-
ნო ფუძისეულ თანხმონებთან (ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ
პირველი პირის მხოლოდობითი რიცხვის ობიექტის ნიშანი მ).

ყრუ ბგერების წინ (უშუალო მეზობლობაში) მრავლობითი რიცხვის
პირველი ობიექტური პირის ნიშანი გვ შეიძლება მოგვევლინოს ქვ და კვ სა-
ხითაც; მაგ.: ქეთხოვს, ქეთაფლავს, ქეთიშავს, ჩვენ ქვონდა (— ქვქონდა —
გვქონდა); კვტეხს, კვწამს, კვყავს, კვპირდება, კვტიეფს, კვჭირდება და სხვ.

მეორე ობიექტური პირის ნიშანი ზ ჩვეულებრივ იკარგება, თუ ის მო-
ექცა ფუძისეული ზ, ჟ, კ ბგერათაგან ერთ-ერთის წინ და ზმნას პრეფიქსი არ
ერთვის; მაგ.: შენ გონია (← გგონია), შენ ქონდა (← ქქონდა — გქონდა), შენ
კლავდა (← კკლავდა — ქკლავდა — გკლავდა) და მისთ.

ყრუ-ფშვინვიერი ბგერების წინ მეორე ობიექტური პირის ნიშანი ზ ჩვე-
ულებრივ გვევლინება ქ-ს სახით: ქთხოვ, ქცივა, ქშია, ქხურავს და სხვ.

ყრუ-შვეთრი ბგერების წინ ეგვეე წარმოგვიდგება კ-ს სახით; მაგ.:
კპირდება, დაკპირდება, შეკპირდება, კპილწავს, კწამს, კჰამს, კჭრის, კქვირ-
თავს, დაკკლავს და სხვ.

მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნები გურულში, როგორც ეს აღ-
ნიშნულია სპეციალურად ამ საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომში, მთელ რიგ
ზმნებში წარმოდგენილია ნაშთის სახით¹. ჩვენი მაგალითებიც ამას უჭერენ
მხარს და ადასტურებენ წამოყენებულ დებულებებს. დავასახელოთ სათანა-
დო მაგალითები: მიხობა (← მიხყობა — მიჰყვება), მოხობოდა (← მოხყობო-
და — მოჰყვებოდა), მოვხობით (← მოვხყობით — მოვჰყვებით), წავხობით
(← წავხყობით — წავჰყვებით), გავხევი (← გავხყევი — გავჰყევი), გახვა (←
გახყვა — გაჰყვა), ამოხვა (← ამოხყვა — ამოჰყვა), გამოხვა (← გამოხყვა —
გამოჰყვა), ჩახობა (← ჩახყობა — ჩაჰყვება), მიხავდენ (← მიხყავდენ — მი-
ჰყავდათ), გახავდენ (← გახყავდენ — გაჰყავდათ), ხავდა (← ხყავდა — ჰყავ-

¹ ქ. ლ. მ. თ. ი. ე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აჭა-
რულში. — ტსუ შრ., VI, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ., 1938, გვ. 123-138;
მ. ი. ს. ე. პოზიციური წარმოშობის მკვეთრი სპირანტები გურულ დიალექტში. — იკეწ. XIII,
თბ., 1986, გვ. 66-68.

და; შდრ. მყავს, გყავს), ხოლია (— ხყოლია — ჰყოლია), იარალი ახარა (— ახყარა — აჰყარა), ა ე ხ ა რ ე თ იარალი სტრაქნიკეფს (გურჩინთა), მიხიდა (— მიხყიდა — მიჰყიდა, შდრ. მომყიდა, მოგყიდა), ხრია (— ჰყრია)...¹ მოქიდა (— მოჰქიდა — მოჭყიდა), დაქრა (— დაჰქრა — დაჭყრა), გაქრავდენ (— თ გაჰქრავდენ — გაჭყრავდენ)², შემოქრეს (— შემოჰქრეს — შემოჭყრეს), ხანჯალი ქრეს (— ჰქრეს — ჰყრეს), თოფი ქრა (— ჰქრა — ჰყრა), მოქიდეფს პირს (— მოჰქიდეფს — მოჭყიდეფს); ჩაქიდეფს (— ჩაჰქიდეფს — ჩაჭყიდეფს), მოეკიდე (— მოეჰქიდე — მოეჭყიდე)³, ქითხა (— ჰქითხა — ჰკითხა)... მოფარა (— მოჰფარა — მოჰპარა), მოფარვიდენ (— მოჰფარვიდენ — მოჰპარვიდენ), დაფაიჭებდენ (— დაჰფაიჭებდენ — დაჰპატიეებდენ)...

ქობულეთის მახლობლად მდებარე გურიის სოფლებში (ქვემო ნატანები, ზემო ნატანები, შრომა, გოგორეთი და სხვ.) დადასტურებულია ჰქ — ხქ — ხ: ხონდა (— ხქონდა — ჰქონდა), მიხონდენ (— მიხქონდენ — მიჰქონდენ), ხონებოდა (— ჰხონებოდა — ჰქონებოდა) და სხვ.

ანალოგიური ვითარება დადასტურებულია აქარულსა⁴ და ლეჩხუმურშიც⁵.

ხყ, ხქ, ჰფ (— ჰპ), ჰქ (— ჰკ) გარდამავალი საფეხურების არსებობა უეჭველია. ყველა ეს საფეხური არცთუ იშვიათად გვხვდება აშქამადაც; მაგ.: ბორკილები შ ე ხ ყ ა რ ე ს ფეხებში (მამათი), მიხქონდენ (ქვ. ნატანები), დაჰფირდა, დაჰქიდეფს (დეაზბუ), ჩამოჰქიდეფს (იქვე), მიღგვარა (— მიჰგვარა) და სხვ.⁶

ხავს, ხოლია და მსგავსი ფორმების პარალელურად ხყოლებია, მო-

¹ ხსიან ერთად შეიძლება გავიგონოთ სუსტი ჰ-ც: მიჰხვა, მიჰხოზოდა. გაჰხვა, ჰხავს და მისთ.

² „რკას გ ა ქ რ ა ვ დ ე ნ არშინიან ჟონს“ (ვაიკეზარი).

³ „მ ო ე ქ ი დ ე ხელი კლავებ“ (გურჩინთა).

⁴ ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. ნაშთები შესაშვ პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აქარულში, გვ. 137.

⁵ შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ლეჩხუმური დიალექტი. — ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 173.

⁶ შეგვხვდა მიღგვარა (— მიჰგვარა) ფორმაც (ჰს გამეღერების შემთხვევა). რაც, რა თქმა უნდა, მომხდარია საკუთარ ფონეტიკურ ნიადაგზე, მთის კილოებისაგან დამოუკიდებლად.

ხევა, გამოხევა და მისთანა მაგალითები დასტურდება აქარულშიც¹, რაქულშიც² და სხვ.

თუ ზმნაში პირის ნიშანი ს ერთვის ძირისეულ ც-ს, მაშინ ქვემოგურულში იკარგება ეს უკანასკნელი და რჩება პირის ნიშანი ს; მაგ.: მისა (← მისცა), მისე უნდა (← მისცე უნდა), მივსემ (← მივსცემ), მისემდენ (← მისცემდენ), სემეს (← სცემეს), დასემია (← დასცემია) და სხვ.

ამგვარად, გურულში, მართალია, მესამე ობიექტური პირის ნიშანი ზოგან იკარგება უკვალოდ (მოგლიჯა, მოწიკვა, მოტეხა...), მაგრამ არცთუ იშვიათად იგი შემონახულია ნაშთის სახით (ზოლია, ხავს...). ზოგან პირის ნიშნის ს შემონახულა (მისა), მაგრამ დაკარგულია ფუძისეული მომდევნო თანხმოვანი. ზოგან კიდევ პირის ნიშანი ჰ დაკარგულა, მაგრამ დარჩენილა მისი კვალი (ფუძისეული თანხმოვანი მიუმსგავსებია ნაწილობრივ: მოფარა, ქრა, მოქიდა...) და სხვ.

თემის ნიშანთა შესახებ

აწმყოს ჯგუფში მარტივფუძიანი ზმნაც იჩენს ხშირად თემის ნიშანს სხვა ზმნათა ანალოგიით გურულშიც, ისევე, როგორც სხვა კილოებში³; მაგ.: მოტეხავს, მეიტეხავ კისერს, გამოტეხავს და სხვ.

სუფიქსისეული ხმოვნის გავლენით ფუძედრეკადი ზმნები დრო-კილოთა პირველ სერიაში იდრეკენ ფუძეს; მაგ.: იჭირავენ, დეიჭირავედი, დეიჭირავენ, დაგიჭირავენო, მოკრიფავ, გაწმინდავს, დაქყინტავდი (← დაქყლეტდი) და სხვ.⁴

ზოგი ზმნა იხმარება პარალელური ფორმით: გავრეცხდი||გავრეცხავედი⁵, მოვზელთი||მოვზილავთ და სხვ.

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. ნაშთები მესამე პირის ობიექტური პრეფიქსისა გურულსა და აქარულში, გვ. 137.

² შ. ძ. ი. ძ. გ. უ. რ. ი., ზემორაქული. — ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, გვ. 230.

³ არნ. ჩ. ი. ქ. ო. ბ. ა. ვ. ა., გარე-კახეთი დიალექტოლოგიურად. — „არილი“, 1925, გვ. 65; ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ქართლური, იქვე, გვ. 141.

⁴ დაწვრილებით ფუძედრეკადი ზმნების შესახებ: ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა., ფუძედრეკადი ზმნათა სუფიქსაციისათვის. — „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. III, პირველი სერია: საზოგადოებათმეცნიერებანი, ტფ., 1936, გვ. 227-233.

⁵ ეს უკანასკნელი (ვ-რეცხ-ავ) დამკვიდრებულია ახალ სალიტერატურო ენაშიც.

-აგ და -ამ თემის ნიშნისეული ა ხმოვანი ამოვარდება ზოგჯერ მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის -ენ სუფიქსის დართვის შემთხვევაში; მაგ.: ნახვენ (← ნახავენ), დენახვენ (← დანახავენ), დაფარვენ (← დაფარავენ), ხატვენ (← ხატავენ), ლანძღვენ (← ლანძღავენ), ზიდვენ (← ზიდავენ), ზოგვენ (← ზოგავენ), მუასხმენ (← მოასხამენ), ღგმენ (← ღგამენ), სმენ (← სვამენ) და სხვ.

მოგზილაგ და მოგზელ პარალელური ფორმების არსებობა ადასტურებს, რომ ფუძის დრეკა მომხდარია ფონეტიკურ ნიადაგზე, გამოწვეულია ავ სუფიქსის ხმოვნის გავლენით. ამ ტიპის ზმნებში ი-ს ვერ მივიჩნევთ წყვეტილის ფუძიდან გადმოსულად¹. გვაქვს ბ რ წ ყ ი ნ ა ვ ს, ბ ზ ი ნ ა ვ ს, ქ შ ი ნ ა ვ ს ზმნები, სადაც ე ქცეულა ძ-დ (ბრწყენავს — ბრწყინავს), მაგრამ მათ წყვეტილი არა აქვთ. ამდენად, წყვეტილიდან მათი გადმოსვლა გამორიცხებულია.

ზოგიერთი ზმნა, რომელიც სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულა დრო-კილოთა აწყყის ჯგუფში თემის ნიშნით, გურულში გადმონაშთის სახით გვევლინება არქაული ფორმითაც; მაგ.. ლობეს ვ ღ ო ბ დ ი (მაჩხვარეთი); მ ო ღ ო ბ დ ე ნ შკერის წყნელით (შრომა); დ ა ვ ღ ო ბ დ ი თ (ვანისქედი), თესდენ; გაბზადებულ მიწაზე დ ა თ ე ს დ ა (ბუქნარი); დაგოზდენ (ცხემლისხიდი); რომ გვიფსებოდა ქური, დ ა ვ გ ო ზ დ ი თ (მალალი ეწერარი); გ ა მ ო კ ა ფ დ ე ნ პატარა მიწას და დ ა თ ე ს დ ე ნ სიმინდს (შრომა); ამასაც გ ა ვ კ ა ფ დ ი თ (კონჰკათი), დ ა ვ ფ ო ც ხ დ ი თ ფოცხით (ზემო სურები); მორეკდა (ლაშისლეღე)... დ ა ა ტ ე ნ დ ე ნ საბეკნავით (გოგორეთი); გეიტანდა ძაფს, დ ა ა ტ ე ნ დ ა საბარცხალი (სილაური)... მექადნოდა (ნიგოითი) და სხვ.

დასტურდება მარტივი ფუძისაგან ნაწარმოები მიმდებარე; მაგ.: მ ო - ტ ა ც უ ლ ი ბაღნების ჩასაყარი ბეღელი აქვენ იგინს (ზემო აკეთი); ხალხი იყო ჩ ა ს ა ფ რ უ ლ ი (მერია); რომელიც კაი ფეხის იყო, იი იყო წინდაწინ დ ა ძ ა ხ ი ლ ი (შემოქმედი); დ ა ტ ო უ ლ ი (ბურნათი)||დ ა ტ ო ვ ი -

¹ შლდ. ილ. ც ე რ ც ე ა ძ ე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის. — „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული“, წიგნი 1, თბ., 1941, გვ. 189; გ. შ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, „უნიშნო ენებით“ ქართველურ ენებში. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, 1, თბ., 1959, გვ. 122.

ლ ი ||დატიებული და სხვ. (შდრ. ლიტ.: მოტაცებული, ჩასაფრებული, დაძახებული, დატოვებული...).

ზოგიერთი ზმნა მესამე სუბიექტური პირის მრავლობით რიცხვში იჩენს აწმყოს თემის ნიშანს, ხოლო სხვა პირებსა და მხოლოდით რიცხვში გვევლინება უთემისნიშნოდ; მაგ.: ახლა ამ ხეს მე ი ტ ა ნ ე ბ ე ნ, გამოვკოპიტავთ (გურიანთა); მოვლენ და შ ე ი ყ ვ ა ნ ე ბ ე ნ ო (ლაშისღელე); ჩაცივა წიწილები წყალში და ი ბ ა ნ ე ბ ე ნ (ბუენარი) და სხვ.

ანალოგიური ვითარება დადასტურებულია იმერულშიც¹.

ქვემოგურულში ტევ- ფუძე, რომელიც ლიტერატურულ ტოვს უდრის, განიცდის დრეკადრობას და კარგავს ვ თანხმოვანს; მაგ.: დავტიე, მივატიე, დამტია, დატია, დამიტია, დაგიტია, დუუტია, უტია, უტიე, მიატიეს, დეიტებდენ, უტიებდით, შიატიებდენ, შუუტიეთ, შეტიებული, მიტიებული, მოტიებული და სხვ.

ზემოგურულში ტოვ ფუძე გვევლინება ჩვეულებრივ უცვლელად, არქაული სახით; მაგ.: იმ ღამეს დ ა ვ ტ ო ვ თ იქინე (ბუენარი); მიზდევს თურმე ხალხი დ ა ს ა ტ ო ვ ა თ (ზემო სურები); ვეიდა ხალხმა და დ ა ა ტ ო ვ ი ე ნ იი კაცი (იქვე) და სხვ.

რკავს ზმნა წყვეტილში სამნაირი დაბოლოებით დასტურდება; მაგ.: დ ა ვ რ გ ე, გავაშენე (ბუენარი), დ ა ვ რ გ ი თ, მუაშენეთ (შრომა); დ ა ვ რ გ ე ვ ი აკაციის ხეები და ცაცხვი (ჰანქათი); მერე დ ა ვ რ გ ე ვ ი თ კილომ ტუნგო; მერე ბჟოლი დ ა ვ რ გ ე ვ ი თ (კონქკათი); მერმეთ დ ა ვ რ გ ე ვ ი თ ჩაი (ზემო სურები) და სხვ.

გვხვდება აგრეთვე ისეთი ფორმები, როგორცაა დ ე ვ ი ც ე ვ ი და მისთ.; მაგ.: დ ე ვ ი ც ე ვ ი ღვარის წყალიდან (ნაბელლავი) და სხვ.

-ებ თემის ნიშანი ქვემოგურულში ჩვეულებრივ გვევლინება -ობ სახით; მაგ.: მიატია კვერცხის დ ო ბ ა (შუხუთი); კვერცხს დ ა დ ო ფ ს (ჰვიანი); ჭიბაში უ დ ო ბ დ ა (არჩეული) და სხვ. (შდრ. სოფ. ბუენარის მასალები: კვერცხის დ ე ბ ა, დ ა დ ე ფ ს ათ კეკალ კვერცხს, დ ა ა დ ე ბ ი ე თ, დ ა ვ დ ე ფ თ გობზე და სხვ).

შენიშნულია, რომ „ზოგი ზმნა -ივ — -ი ფორმანტით ირთულებს ფუძეს“¹; მაგ.: დევითანხმიეთ, ითანხმიეთს, დევითანხმია და მისთ.

¹ ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულში. — „ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები“, X, 1950-1951, გვ. 58.

დასტურდება სხვა სახის ინოვაციაც.

სწორად არის ნათქვამი არქაიზმებისა და ინოვაციების თანაარსებობის შესახებ (არქ.: მალ-ვ-ენ, ი-ც-მ-ენ და ინოვ.: ჭამ-ებ-ენ; არქ.: ი-მალ-ვ-ი-ს, ი-ნახ-ვ-ი-ს, ღე-ი-ღგ-მ-ი-ს, ღე-ი-სხმ-ი-ს, ე-შინ-ი-ს და ინოვ.: გვ-ებ-ა, ხჩ-ებ-ა; არქ.: მი-ვ-რბ-ი, მი-რბ-ი, და-ვ-რბ-ი და ინოვ.: ს-წერი „სწერ“, მღერი-ხარ და სხვ.²

კაუზატივის წარმოების შესახებ

გურულშიც, ისევე, როგორც დასავლურ კილო-თქმებში (აქარულში, ქემომიგრულსა და სხვ.), შუალობითი კონტაქტის ფორმის საწარმოებლად გვაქვს ი ხმოვანი სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით მოსალოდნელი -ინ და -ე-ინ-ის ნაცვლად. ექვს გარეშეა, რომ დაკარგულა თანხმოვანი ელემენტი.

სათანადო მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ გურულში კაუზატიურობის გამოსახატავად უნდა ყოფილიყო ა- — ივ (—|| ა- — ევ), რომელსაც ფონეტიკური ცვლილება განუცდია; სუფიქსისეული ხმოვნის გავლენით მომხდარა დრეკა (-ევ — -ივ) და ორ ხმოვანს შორის მოქცეული ვ დაკარგულა (აწერიეფს, დააწერია, დაამყნია, დაეაწყებოე, დააკლიებდა, გაგვაყიდიებდა და სხვ.)³.

ზმნისწინები

გურულისათვის უცხოა შა- და მა- სახის ზმნისწინები. მაგრამ რთული შემო- პრევერბის პირველი კომპონენტი (შე-) ყოველთვის წარმდგენილია შა- ფორმით: შამო-, შამე-, შამი- და სხვ. შამო- რთული პრევერბის ბოლო-კიდური ხმოვნის ცვლილება დამოკიდებულია მომდევნო ფუძისეულ ხმოვანზე (იხ. ფონ. ნაწილში).

შემო- პრევერბში შა- გვაქვს ქართული ენის მთელ რიგ კილოებში.

¹ ბ. ჯო ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 351; ლ. ლ ე ვ ა ვ ა, შენიშენები ზემო სურების მეტყველებაზე. — იკე, XIV, თბ., 1964, გვ. 206.

² ბ. ჯო რ ბ ე ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 531; პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ავტორეფრატი, გვ. 30; ლ. ლ ე ვ ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 204-205.

³ ვრცლად: გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 263-265; ვ. კ ა ხ ა ძ ე, შუალობითი კონტაქტის წარმოება ქართულ დიალექტებში. — ე. „ქართული ენა და ლიტ. სკოლაში“, 1971, №2.

გან- და წარ- ზმნისწინების უკანასკნელი თანხმობენები (ნ და რ) ზოგჯერ გაგებულა ფუძისეულად (არაპრევერბისეულად) და ვლებულობთ ისეთ ფორმებს, როგორცაა: გაანვითარა, ანვითარეფს, გაანხორციელეფს, ანხორციელეფს... წარდგინა (← წარადგინა), წიერდგინა (← წიერდგინა — წაერდგინა — წარედგინა), არდგენს და სხვ.¹

სალიტერატურო ქართულის 15 ზმნისწინი (მი-, წა-, ა-, და-, გა-, შე-, ჩა-, გად(ა)-, მო-, წამო-, ამო-, გამო-, შემო-, ჩამო-, გადმო-) გურულში შეიძლება მოგვევლინოს 61 სახით:

მი-: მივიდა, მიექცა (← მეექცა — მოექცა), მოექცეს, მიეკლა...

წა-: წაეარდა, წაჭრა, წაჭამა...

წე-: წევიდა (← წავიდა), წეყვანა, წეიბორკა...

წი-: წიეჩხუბა (← წიეჩხუბა — წაეჩხუბა), წიეჩხირა, წიებორკა, წიეხმარა, წიეყვანა...

წო-: წოუხთა (← წაუხთა), წოუჭრა, წოულო, წოუყვანა...

წუ-: წუუტება (← წოუტება — წაუტება), წუუთალა, წუულაპარიკა, წუუყვანა...

ა-: ახტა, ავარდა, აყარა, აართვა...

ე-: ეიყვანა (← აიყვანა), ეიყოლია, ეილო...

ო-: ოუხსნა (← ახსნა), ოუჭრა, ოურბენია...

უ-: უუყვანა (← ოუყვანა — აუყვანა), უუგდო, უულო...

ი-: იეყვანა (← ეეყვანა — აეყვანა), იელო, იეგლო...

და-: დაჭრა, დახტა, დააპო...

დე-: დეიჭირა (← დაიჭირა), დეიგდო, დეიჭრა...

დეი-: დეიჭრა (← დეეჭრა — დაეჭრა), დეიხეთქა, დეექცეს, დეიყაროს, დეიფაროს...

დო-: დოუკვირდა (← დაუკვირდა), დოუკეტე, დოუხურა...

დუ-: დუუჭრა (← დოუჭრა — დაუჭრა), დუუხურა, დუუყარა, დუუ-

¹ ანალოგიური ფორმები დასტურდება მთელ რიგ კილო-თქმებში, თავს იჩენს სალიტერატურო ქართულშიც (უმთავრესად, ჰრესის ენაში).

ჩემა...

გა-: გაქრა, გააკეთა, გათალა...

გე-: გეიქრა (← გაიქრა), გეიხლიჩა, გეირღვა...

გო-: გოუქრა (← გაუქრა), გოუხარდა, გოუყეთა...

გუ-: გუუქრა (← გოუქრა ← გაუქრა), გუუფუჭა, გუუყერა, გუუთა-
ლა...

გო-: გეიქრა (← გეექრა ← გაექრა), გეირღვია, გეეფუჭებია, გეიქრას,
გეელახოს...

შე-: შევიდა, შეხტა, შეიყვანა, შეიპარა, შეიტანა...

ში-: შიეპარა (← შეეპარა), შიეტაკა, შიელაპარიკა, შიედავა, შიეყვა-
ნა, შიეკეთებია, შიეხვეწოს...

შო-: შოუყეთა (← შეუყეთა), შოუტანა, შოუთვალა...

შუ-: შუუხტა (← შოუხტა ← შეუხტა), შუუსვარა, შუუყრა, შუუძ-
ლია...

ჩა-: ჩახტა, ჩავარდა, ჩააგდო...

ჩე-: ჩევიდა (← ჩავიდა), ჩეიყვანა, ჩეიტანა...

ჩი-: ჩიესო (← ჩეესო ← ჩავესო), ჩიეხლიჩა, ჩიეყარა...

ჩო-: ჩოუყარა (← ჩაუყარა), ჩოურთო, ჩოუშო...

ჩუ-: ჩუუგდო (← ჩოუგდო ← ჩაუგდო), ჩუუსო, ჩუუოხრა, ჩუურბე-
ნია...

მო-: მოქრა, მოთხარა, მოტეხა...

მე-: მევიდა (← მოვიდა), მეიყვანა, მეიტანა, მეიკილა...

მუ-: მუუქრა (← მოუქრა), მუუყვანა, მუუთხარია...

გადა-: გადაწვა, გადაანათა, გადახნა...

გად-: გადიარა (← გადიიარა ← გადეიარა ← გადაიარა), გადილო, გა-
დიტანა...

გადო-: გადოუხადა, გადოურბინა, გადოუყეთა...

გადუ-: გადუუყარა (← გადოუყარა ← გადაუყარა), გადუუფრინა, გა-
დუუგდო...

გადე- გადეხადა (← გადაეხადა), გადევნა...

გადი- გადიერო (← გადევრო — გადაერო), გადიელო, გადიექრა, გადიეკიდა...

წამო- წამოხტა, წამოდგა, წამოჭრა...

წამე- წამევიდა (← წამოვიდა), წამეილო, წამეიღვა, წამეიჭამა...

წამუ- წამუარდა (← წამოვარდა), წამუატანა, წამუადულა, წამუაგ-
ლო...

წამი- წამიექრა (← წამეექრა, ← წამოექრა), წამიელო, წამიეშვე-
ლოს...

ამო- ამოხტა, ამოშბა, ამოჭრა...

ამე- ამეილო (← ამოილო), ამეიტანა, ამეიყვანა...

ამი- ამიელო (← ამეელო — ამოელო), ამიექრა, ამიეთალა, ამიეგლო...

ამუ- ამუულო (← ამოულო), ამუუტანა, ამუუყვანა...

გამო- გამოხტა, გამოშბა, გამოჩთა...

გამე- გამეიქცა, (← გამოიქცა), გამეიარა, გამეიზრო (← გამოიძრო),
გამეიგლო...

გამი- გამიელო (← გამეელო — გამოელო), გამიეთხარა, გამიეპარა...

გამუ- გამუულო (← გამოულო), გამუუქრა, გამუუტანა...

შამო- შამოხტა (← შემოხტა), შამოგჯა, გამოლბა¹...

შამე- შამევიდა (← შემოვიდა), შამეიტანა, შამეიგლიჯა, შამეირბინა...

შამი- შამიექრა (← შამეექრა — შამოექრა), შამიელობა, შამიეთხა-
რა...

ჩამო- ჩამოხტა, ჩამოხშა, ჩამოგჯა...

ჩამე- ჩამეილო (← ჩამეელო — ჩამოელო), ჩამიეგლო, ჩამეიტანა...

¹ შა ფორმასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გამოთქმულია მოსაზრება მისი არქაულობის შესახებ. „შოგა ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს შე- პრეფიქსი ქართულში, რომლის ფუნ- ქციაა მიმართულების გამოხატვა გარედან შიგნით: “შოგა- — “შუა — შა — შე” (თ. გ ა - მ ყ რ ე ლ ი ძ ე, სიბილიანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბ., 1959, გვ. 56).

ჩამუ-: ჩამუელო (← ჩამოელო), ჩამუეგდო, ჩამუეგჯა...

გაღმო-: გაღმოხტა, გაღმოგჯა, გაღმოშპა...

გაღმე-: გაღმეილო (← გაღმოილო), გაღმეიგდო, გაღმეიარა, გაღმეითვალა...

გაღმი-: გაღმიეტანა (← გაღმეეტანა ← გაღმოეტანა), გაღმიეკიდა, გაღმიექცა, გაღმიეჭვირთა, გაღმიეცალა...

გაღმუ-: გაღმუელო (← გაღმოელო), გაღმუეგდო, გაღმუეხტა, გაღმუეთვალა...

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ სალიტერატურო ქართულში არსებული ყველა პრევერბი იხმარება გურულში ლიტერატურული ფორმითაც და არალიტერატურული ფორმითაც¹. ლიტერატურული ფორმით იხმარება იქ, სადაც გურულის ფონეტიკური კანონების მიუხედავად ასიმილაცია-დისიმილაციის შემთხვევები არაა მოსალოდნელი. ასეთი შემთხვევა შედარებით ცოტაა. სალიტერატურო ქართულის 15 პრევერბისაგან, როგორც დავინახეთ. ვიღებთ ექვს ათეულზე მეტ ნაირსახეობას.

პრევერბის არასწორად ხმარება ზოგჯერ შინაარსის გაუგებრობასაც იწვევს, თუ მას არ დაერთო შინაარსის გასარკვევად სხვა სიტყვებიც. მაგალითისათვის ავიღოთ ზმნა „**მიეტანა**“. ეს ზმნა სამწერლობო ქართულში ნამყოფი წყვეტილია ან თურმეობითი მეორე და აღნიშნავს „აქედან იქით“ მიმართულებას. მაგრამ გურულში იგი, ცალკე აღებული, მიმართულებას არ გვიჩვენებს. გაუგებარი ხდება „აქედან იქით“ უნდა მიეტანა, თუ „იქიდან აქეთ“ უნდა მოეტანა. ამიტომ ასეთ ზმნებს გურულში დაერთვის სახელი ან მიმართულების აღმნიშვნელი სიტყვა, რომლებიც აზუსტებს შინაარსს. მაგალითად, „პეტრეს ჩემდა წიგნი უნდა მიეტანა“ ან „იქიდან აქანაი წიგნი უნდა მიეტანა“. ახლა კი გასაგებია, რომ გამოხატულია „იქიდან აქეთ“ მიმართულება და არა — „აქედან იქით“. ასევე ხდება „იქით“ მიმართულების გარკვევაც. მაგალითად, „ჩემ ძმას მისი შვილიზა აქიდან ბათომში ცხენის ფარა უნდა მიეტანა“. ასეთ მაგალითებს ხშირად ვხვდებით მეორე თურმეობითსა და მესამე კავშირებითში; მაგ.: **მიეწერა** (რა უჭირდა იმ დალოცვილს ჩემდა ერთი ნაწიკვაი ქანალდი მიეწერა), **მიეწეროს** (არ მახსოვს, რომ იმას ჩემდა როისმე

¹ გამონაკლისია შემო- რთული პრევერბი. იგი იხმარება ყოველთვის არალიტერატურული ფორმით (მისი პირველი კომპონენტი).

წერილი მიეწეროს), მიერთშია (← მეერთშია ← მოერთშია), მიერთშიოს და სხვ.

ზოგიერთი ნაწილაკის შესახებ

გურულში გვაქვს ქი და ქე ნაწილაკები (ქვემოგურულში უფრო გავრცელებულია ქი, ქვემოიმერულსა და ზემოგურულში კი — ქე). ორივე იხმარება კი-ს მნიშვნელობით, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ კი გვხვდება დამოუკიდებლად, ქი და ქე ზმნასთან ერთად გამოიყენება. ისინი ზმნას უსწრებენ წინ უშუალოდ; მაგ.: დათვიც ქი იყო; კაციც ქი მოკტებოდა; ეილო და ქი ში-აგლო ციხეში; ქი ვიყავი; ქი დეინახა; ყანიები ქი ქონდა (ლიხაური); მაშვინ ქი გადარჩა; ჩემი ქმარი ქი წვეიდა (გურიანთა), რვაი კლასი დაამთავრა, ქია ხუთი წელიწადი (ჩოჩხათი); საქმელი ქე იყო (ვაკიჯვარი); სტრაჟნიკმა ქე წეიყანა ცხენი (ასკანა); ქე დავდივარ (ნაგომარი); ქე წვეიდა (დიდი ვანი); შვილმა ქე იცნა (გურიანთა); მესამე დღეს ვახურდება და ქეც გამეიწვის (||გამეიწობა; ქვემო აკეთი) და სხვ.

ამ მხრივ გურული ქი და ქე არ განსხვავდება მეგრული ქი (← ქო)-საგან (ქიიბთხი „ქი ვითხუე“; ქილიიხვი „ქი დივემხვე“; ქიმიივლო „ქი მევიტანე“...). როგორც ხმარების წესით, ისე შინაარსითაც გურული ქი, ქე და მეგრული ქი (← ქო) ერთმანეთს უდრის. შესაძლებელია გურულში ქი და ქე მეგრულის გზით იყოს შემოსული და საქმე არ გვექონდეს ლიტერატურული კი-ს ქი-თი და ქე-თი შეცვლასთან.

-ც[ა] და -ლა ნაწილაკები ზმნისართებსა და ნაცვალსახელებთან ჩვეულებრივ იხმარება ერთად და განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას (-ცა+ლა → -ცაღა → -ცღა → -ცხა); მაგ.: წვეიდა საცხა (← საცღა ← სადაცღა ← სადაცაღა); როცხა (← როცღა ← როცაღა), როიცხა (← როდის-ცაღა), რომელცხაი (← რომელი-ცაღა), ვინცხა (← ვინ-ცაღა) და სხვ.

გურულში ნაშთის სახით დასტურდება ძველი ქართულის -მცა ნაწილაკიც, მაგრამ მას მოშლილი აქვს თავისი სინტაქსური ფუნქცია; იგუებს კავშირებითის ფორმასაც; იხმარება ყოველთვის ხმოვანმოკვეცილად; მაგ.: იგი ვისაც აქ, გ ი ნ დ ა მ ც ფული ქონდეს ჯიბაში დაკეცილი (კონქკათი); იგი

თუ მევიდა, გ ი ნ დ ა მ ც საკუთარი შვილი მოსულიყოს (შუხუთი) და სხვ.¹

-მცა ნაწილაკი შემონახულია ხევსურულში, მოხეურში, ფშაურში, თუშურში, კახურში, მთარაქულსა და სხვაში. იმერულში დადასტურებულია ნაშთის სახით (სილამცაბა → ხსნილად-მცა-ხარ)².

გურულში ადგილისა და დროის გამომხატველ ზმნისართებთან, როგორც ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, იხმარება ოდენობის - რე გაორმაგებული სახით (-რე-რე → -რე-ლე): ზერელე, ქვერელე, საღამორელე და სხვ.³

ზოგიერთი თავისებური წარმოების ზმნის შესახებ

ზოგიერთი ზმნა, რომელიც სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ვნებიტს აწარმოებს პრეფიქსით, გურულში დასტურდება სუფიქსური წარმოებით; მაგ.: თუ მ ო ს წ ო ნ დ ე ბ ო დ ა, ეტყოდა (ნატანები); ტერებო, რაფერ გ ა ხ ა რ დ ი თ! (კონქკათი); მე შ ე ვ შ ი ნ დ ი (გურიანთა); შემდექ დ ა ლ ა პ ა რ ა კ დ ე ნ⁴ (დიდი ვანი); როცა ტყვი აღარ დარჩა, ღორიც მ ო ს პ ა, შველიც მ ო ს პ ა, ფრინველებიც მ ო ს პ ა⁵ (მერია) და სხვ.

ყურადღებას იქცევს პირდაპირ ობიექტად პირველი და მეორე პირის გამოყენება ზმნის სათავისო ქცევის ზოგიერთ ფორმასთან; მაგ.: მევიდა ყიდველიო, ამ სამ ბაღანაში ა მ ი რ ჩ ი ა მეო; მ ი ყ ი დ ა ამ კაცმაო და ამიყვანა ზეითო და წამიყვანაო (ზემო აკეთი); შენ გ ა მ ო გ ი ყ ე ნ ა ქვირთის საზიდავათო (შუხუთი) და სხვ.⁶

¹ მცა ნაწილაკის შესახებ: ა. შ ა ნ ი ძ ე, მცა ნაწილაკი ძველ ქართულში. — ჟურნ. „პრომეთე“, 1918, №1, გვ. 679-80 (გადმოხვეჭილია თხზულებაში ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები“, ტ. 1, თბ., 1957, გვ. 33-34); პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, კვლავ მცა ნაწილაკისათვის. — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. VII, 1961, გვ. 241-253.

² პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, მებაღურთა მისალმების ფორმულა ხანისწყლის ხეობაში. — თსუ შრ., XXIX B, თბ., 1946, გვ. 187-191.

³ ლ. ლ ე ე ა ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 215-216; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 532-533.

⁴ დალაპარაკდენ — დაელაპარაკენ.

⁵ მოსპდა — მოსპა = მოისპო.

⁶ საერთოდ იშვიათია სათავისო ქცევის ფორმასთან პირდაპირ ობიექტად პირველი და მეორე პირის გამოყენება (ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 330; მ ი ს ი ვ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 81).

სიტყვაწარმოება

სიტყვაწარმოების თვალსაზრისითაც ყურადღებას იქცევს გურული. ვხვდებით პრეფიქსულ, სუფიქსურ და კონფიქსურ (პრეფიქსულ-სუფიქსურ) წარმოებას.

ლიტერატურული -ილ სუფიქსის ნაცვლად ხშირად გვევლინება ულ: და ნ ა ნ ა ყ უ ლ ი, და მ ქ ე რ უ ლ ი (ამოსავალია ქერ-), და ქ ი რ უ ლ ი, და დ ა ლ უ ლ ი და სხვ.

ვხვდებით ამის საპირისპირო შენაცვლების შემთხვევებსაც; მაგ. გაშობილი, დადობილი, მოხრვილი და სხვ.

-ელ და -ურ სუფიქსები რომ ენაცვლებიან ერთმანეთს გურულსა და ზოგ სხვა კილოში, ეს უკვე შენიშნული აქვთ სპეციალისტებს¹.

-ელ გამოყენებულია არაადამიანისათვისაც: ლ ა ნ ჩ ხ უ თ ე ლ ი სი-მინდი, გ ა დ ა ლ მ ა რ თ ე ლ ი ურეში და სხვ.

-ურ ზოგჯერ იხმარება ადამიანის სადაურობის აღსანიშნავადაც (-ელ სუფიქსის ნაცვლად): სისონა დარჩია იყო ჯ უ მ ა თ უ რ ი, მ ა ლ ა ლ ჯ უ მ ა თ უ რ ი (ორაგვე)...²

ნაირფეროვანია სიტყვაწარმოება გურულში. ბევრ მათგანს პარალელი დაქებუნება სხვა კილოებში. დაკვამყოფილდეთ მხოლოდ მაგალითების დასახელებით:

ნა- პრეფიქსი იხმარება სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული მნიშვნელობისაგან განსხვავებული შინაარსის (ინსტრუმენტატივის, ნახმარი-საგნების აღსანიშნავად და სხვათა) გამოსახატავად; მაგ.: მოვკალი ხარი ნ ა - ც ე მ ა რ ი (ცხემლისხიდი); ნ ა კ ა ბ ე ვ ი და სხვ.³

-ელ-ა: გოგიელაჲ, მახარებელაჲ, ვახუშტელაჲ (ზედა ბახვი); ჩვენ თავ-დუუხსნელი გლეხი ვიყავით, ქ ყ ო ნ ი ე ლ ა ს გვეძახოდენ (ზემო ჩიბათი)...

¹ ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, ტფ., 1936, გვ. 64; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 534; კ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ქვემოიშვარული დიალექტი, თბ., 1985, გვ. 121.

² ამის პარალელურად არცთუ იშვიათად იხმარება -ელ-იც; მაგ.: ც ხ ე მ ლ ი ს ხ ი დ ი ე ლ ი ქლი მუუყეანია (გურიანთა; ამოსავალია ხიდე; ცხემლისხიდელი — ცხემლისხიდეელი); ნ ა - გ ო მ რ ი ე ლ ი ქალი (მალ. ეწერი; ამოსავალია ფუძეკუმშვადი სიტყვა „ნაგომარი“... ფუძისეული ა-ს საკომპენსაციოდ ი მოგვევლინა -ელ-ის წინ)...

³ ლ. ლ ე ე ა ვ ა, შენიშვნები ზემო სურების მეტყველებაზე, გვ. 217; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 534.

-**იკ-ა**: ანწლი დიდვანს იზღება, კაცის სიმაღლეს; ა ნ წ ლ ი კ ა ე უმ-
ფრო დაბალია (გომი)...

-**იკ-ელ-ა**: ვირიკელ¹აი¹/ე, დათიკელ¹აი¹/ე, ზურიკელ¹აი¹/ე...

უ — **ურ-ო**: უ გ ზ უ რ ო გზაზე მივრბოდი (გურიანთა; შდრ. ლიტ.
მეგზური)...

-**ოულ-ი** (— **ეულ-ი**): ჩემი მ ე დ ო უ ლ ი ა „ჩემი იმედითაა“ (ვაკიჯვა-
რი); გ ო დ ე რ ძ ი ს ო უ ლ შ ი გოდერძი ყოფილა; ახლა რომ აღარაა, ს ო -
უ ლ ი ა მისი (კონკკათი), (ს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეულია); მ ე -
ს ნ ი ს ო უ ლ ზ ე კრება მაქო (შემოქმედი)...

ო — **ო**: ო ჭ ვ ა თ ო (გვიმბალაური; სა-წვეთ-ო, ის ადგილი, სადაც
წვეთი ჩამოდის)...

ო — **შ-ი**: ო რ ჩ ხ უ შ ი კეთდება ბალის ტყავიდანაც, სიმინდის ქუ-
ჩეჩისაგანაც (სურები; სა-რცხ-ისა)...

ო: ო ჯ ა ნ ჯ ა ლ ა ი (— ო-ჯალ-ჯალ-ა) || ოჯინჯალაი; ოჯინჯალი||ოჯინ-
ჯალაი (ნიგოთი); ო ჩ ო რ ჩ ხ ი ნ ა ი (შუხუთი; ადგილი, სადაც ჩანჩქერი
ჩამოდის, საჩანჩქერე); ოჩორჩხინაი (ლაშისღელე); ერთი ო ჩ ო რ ჩ ხ ი ნ ზ ე²
მოკვალი. ო ჩ ო რ ჩ ხ ი ნ ი საფსე იყო წყლით (გვიმბალაური)³; ო რ ო კ ი
(ქვემო აკეთი; ს ა რ ო კ ე); ო რ ო კ ე ფ შ ი იზღება მუხა (ქვემო აკეთი);
ხალხი დგანა ზეგანში და ო რ ო კ შ ი. ო რ ო კ ი რეიზა დუჟდახეს, არ ვიცი.
ო რ ო კ ი არის ქვიანი არდგილი (ქვემო აკეთი)⁴; ო ყ ა ვ ი ლ ა ი (ზემო აკე-
თი; პატარა მდინარის სახელია ზემო აკეთში); ო კ ვ ა რ ე (ლაშისღელე;
მდინარის სახელია, ლანჩხუთის ჩრდილოეთითაა)⁵.

-**ტ-კ-ალ-ა** (— **ტ-კა-ალ-ა**): მ ა რ ტ უ ტ კ ა ლ ა ი (შრომა)...

-**სიანცე** (= -ვით, მსგავსად, ასე, ასეთი, ისეთი): დ ე დ ი ს ი ა ნ ც ე
აფერი არაა (ნაურმევი, ჯუმ.); ი მ ი ს ი ა ნ ც ე იყვირა, გული გამისცტა;
ა მ ი ს ი ა ნ ც ე თ თუ შეტკინებოდა, არ მეგონა; ი მ ი ს ი ა ნ ც ე გაქვივრება
გამეიარა, ცოცხალი რაფერაა...

¹ კინოობითობის მაწარმოებელი აფიქსები გავრცელებულია ქვემოიგერულშიც (ა. კ უ ბ ლ ა -
შ ვ ი ლ ი, ქართული ენის ქვემოიგერული დიალექტი, თბ., 1985, გვ. 120).

² ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973, გვ. 129-130.

³ ოჩორჩხინაი ადგილის სახელია. უწინ იქ წყალი მიდიოდა; გვიმბალაურის საძოვარია.

⁴ ოროკო მწირი მიწაა (И. В. М е г р е л и ძ ე, Лазский и метрельский слои в грузинском,
M.-JL., 1938, გვ. 79).

⁵ შდრ. კვარი (И. В. М е г р е л ი ძ ე, იქვე, გვ. 88).

-დ: შ ა ვ გ ვ რ ი მ ა ნ დ ი [კაცი] (ზ. ნატანები)...

მა- — ა-რ-ო: გამოგზანიდა მ ა დ ე ვ ა რ ს (შრომა); ზავდენ მ ა კ ი -
ვ ა რ ი ქალი (იქვე); იქინეი იყო კილო დამის მ ა თ ე ვ ა რ ი ხალხი (იქვე)...

მო-მ- — ავ-ო: გამოყვეს მ ო მ ც ე ლ ა ვ ი (გურიანთა)...

სა-სა- — ულ-ე: ს ა ს ა გ დ უ ლ ე¹ იყო გატეხილი (მთისპირი)...

სი- — ე||სი- — ო: აფიქსებით იწარმოება თანაბრობის ხარისხის სახე-
ლები, რომლებსაც წინ უძღვის ნათესაობით ბრუნვაში დაყენებული ნაცვალ-
სახელი და ბოლოში დაერთვის ზოგჯერ (მრავლობითობის გამონათქვის შე-
მთხვევაში) -ოვან — ვან სუფიქსი: იმისილამაზე (← იმის სილამაზე), იმისიგ-
ლანზე, იმისისხო; ამისისხვანი||ამსისხვანი; იმისიმალღვანები||იმსიმალღვანები
და სხვ.²

სოფელ მამულარში დადასტურდა ჩამო- რთულ პრევერბზე -ო-ა მა-
წარმოებლის დართვით მიღებული ჩამოაა ზმნისართი, რომელიც მნიშვნე-
ლობით უღრის: „შემდეგ“, „შემდგომ“, „ქვემოთ“; მაგ.: ყველაზე დიდი სოფე-
ლი არის ქვემო ხეთი; იმას ჩ ა მ ო ი ა ჩომეთია მოზდილი სოფელი (შდრ.
ჩამოდაღმა)³.

ვხედებით სახელისაგან ზმნის წარმოების თავისებურ შემთხვევებსაც:
კარაობდა (ამოსავალია კარავ-ი); ბინაობდა (ბინა); სარქავს (რქა); შემეხიდა
(ხიდ-ი); დავაკობულეზღით (კობულ-ი); ვვიბაყვილით (ბაყ-ი); იაბანოვა
(აბანო); ამოკვენდღვიდენ (კვენდლ-ი); იწვეერდა (წვეერ-ი); გუშუმანანებლით
(მანანა); დეიკილიტა (კილტე); გაჯინდა (ჯინ-ი) და სხვ. დავასახელოთ მაგა-
ლითები წინადადებაში: ხალხი კ ა რ ა ო ბ დ ა შით (ლაშისლეღე); საქო-
ნელს რომ გუშობდა ხალხი, იქინეი ბ ი ნ ა ო ბ დ ა (გვიმბალაური); ხარები
და ს ა რ ქ ა (შუხუთი); შ ე მ ე ხ ი დ ა (ბუქნარი); ხის კობული არის, იმით
და ვ ა კ ო ბ უ ლ ე ბ დ ი თ ყურძენს საწნახელში (კყონაგორა); ბაყით
ე ვ ი ბ ა ყ ვ ი დ ი თ, ბილეთს ვვლებდით და მოვქირდით (გურიანთა); ი ა -
ბ ა ნ ო ვ ა (ვაკიჯვარი); ი ა ბ ა ნ ო ვ ე ბ ე ნ (შრომა); კვენდლით ა მ ო -
კ ვ ე ნ დ ღ ვ ი დ ე ნ (ლიხაური); რომ ი წ ვ ე რ დ ა, პაწას რომ გამევიდო-
და... (ჭუმათი); გ ა მ უ ა მ ა ნ ა ნ ე ბ დ ი თ, მანანას ცაკე დავსუამდით (ვა-
ნისქედი); დ ე ი კ ი ლ ტ ა ზავოდი (გურიანთა); გ ა ჯ ი ნ დ ა და არ დამიჯე-

¹საკეტი (შდრ. კარის და გ დ ე ბ ა).

²ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 533-534.

³გრ. ი მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974, გვ. 209.

რა (ნიგოითი); ი რ მ ო ბ ა ყოფილა მაშენ; ჩ ე მ ო ბ ა ს არ იყო ირემი (გვიმბალაური); იმ ბაწარს მ ე ი თ ო კ ა ვ ს და ვიტანს გიდელს (ჯუმათი); თოფი მამასახლისმა ი ჩ უ ქ ი ა (ხიდმაღალა); ერისთავმა ნაკაშიძეს უ მ - გ ვ ზ ი თ ა; უ მ გ ვ ზ ი თ ე ბ ი ა ჩემი ბაბუე (||ბაბუა; ასკანა) ახლა ამას [სახლს] სარტყელი უნდა, მ ო ს ა რ ტ ყ ლ ო უნდა (ლიხაური) და სხვ.

ყურადღებას იქცევს ზოგიერთი კომპოზიტივი: ს ა ა მ გ ა ი ს ო (— სა-ამ-გაის-ო), ს ა ა მ გ ა ი ს ო ლ, ს ა ი მ გ ა ი ს ო ლ (სილაური); თ ვ ა რ ა ნ - დ ა რ ა || თ ვ ა რ ა დ ა რ ა (— თუ-არა-და-არა; ნაბეღლავი); ბოყეები უნდა თექვსმეტი, თუ ლოჯის ზომის ძელია, თ ვ ა რ ა დ ა რ ა — თვრამეტი (ლიხაური); რ ე ი თ ი (— რეეთი — რაეთი — რაერთი); იგინი რ ე თ ი ა, არ ვიცი (ქვ. ნატანები); ა რ კ ა ც ი (—|| არაკაცი); ა რ კ ა ც ს არ ვემსახურებოდით ჩვენ (ზემო ჩობათი); არაკაცი არ გვისურვეფს ავს (ასკანა); კ ა ფ ე რ ი ა (— კი არაფერია), მოსახმარი კ ა ფ ე რ ი ა ო (ქვემო აკეთი); ო რ კ ო ბ ე (— ორი+კობე); ჯ ა ფ ა რ ი კ ა ი (— ჯა+ფარ-ი+რიკა-ი); თამაშობდენ ჯ ა ფ ა - რ ი კ ა ს (ლაშისღელე); აი სოფელი შრომისუბანია, უძახოდენ ჯ ი ხ ა ნ - ჯ ი რ ს (ჩოჩხათი, შრომისუბანი; ჯიხანჯირი-; მეგრ. ჩაწოლილი მიწა (?)); დ ი ხ ა შ ხ ო მიწა (ნიგოითი; დიხა+შხო); ჩ ხ ი ბ ო რ კ ა ლ ი (ქვემო აკეთი; ჩხირ+ბორკ-ალ-ი) და სხვ.

გურულში დადასტურებულია კინობითობის საწარმოებელი -ფხე სუფიქსი, რომელიც გამოყენებულია მხოლოდ ქალების მიმართ. გათხოვილი ქალის შამის გვარს ჩამოსცილდება -ძე და -შვილი და დაერთვის -ფხე (იმნაი-ფხე = იმნაძე ან იმნაიშვილი).

ანალოგიური ვითარებაა აჭარულშიც. -ფხე სუფიქსი გვაქვს ლაზურ-ში. მეგრულშია -ხე. ეგვეე -ხე გვხვდება იმერულშიც¹.

¹ -ფხე სუფიქსის შესახებ დაწერილებით: И. В. М е г р е л и д з е, Женские фамильные окончания в южнокавказских яфетических языках и фольклоре. — "Памяти академика Н.Я. Марра", М.-Л., 1938, გვ. 152-181; მ ი ს ი ვ ე, Лазский и мегрельский слои в грузинском, М.-Л., 1938, გვ. 134; И. А. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб., 1914, გვ. 016; არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942, გვ. 25-26; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველი ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნეების ძეგლებში. — საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, 1931 და 1932, ტფ., 1933, გვ. 282; Г. А. М е л и к ш в и л и, К истории

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გურულში ყურადღებას იქცევს მორფოლოგიაც. ა ფუძემოგონიანი ბოლოუკვეცელი სახელები სახელობითს, ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში იჩენენ კუთხეების მიხედვით თავისებურებას, რაც ბრუნვის ნიშნის ხმოვანთან არის დაკავშირებული. ამოსავალი ვითარება დაცულია თითქმის მთლიანად ლანჩხუთის რაიონში და ნაწილობრივ — ოზურგეთის რაიონის რიგი სოფლების მეტყველებაში; ხოლო ჩოხატაურის რაიონში ბრუნვის ნიშნის ხმოვანი გაუჩინარებულა ამ სახელებთან, მაგრამ შემონახულა მისი რეფლექსი ასიმილირებული ე ხმოვნის სახით, რაც ხშირად დასტურდება ამ რაიონის მოსაზღვრე სოფლებშიც. ოზურგეთის რაიონის მთელ რიგ სოფლებში გავრცელებულია ბრუნვის ნიშნის ხმოვნის დასუსტებული ვარიანტი (სახ. -ფ, ნათ. -ფს, მოქმ. -ფთ). ამ რეგიონში დასტურდება დასუსტებული ხმოვნის დაკარგვის შემთხვევებიც, მაგრამ არცთუ იშვიათად გვხვდება ეს ბრუნვები სრული ხმოვნებითაც.

საყურადღებო თავისებურებები ვლინდება ზმნებთან დაკავშირებითაც.

სინტაქსურ თავისებურებათა შესახებ

გურული ყურადღებას იქცევს სინტაქსური მოვლენებითაც. ზოგი მათგანი საერთოა სხვა კილოებისათვისაც.

ორმაგი და სამმაგი უარყოფის შესახებ

ერთმაგი უარყოფის გვერდით ორმაგი და სამმაგი უარყოფაც მეტად გავრცელებული მოვლენაა გურულში; მაგ.: არკაცი არ იყო; აფერი არ მუჟცია; არსა არ წასულა; ვერაფერი ვერ იშონა; ვერაკაცმა ვერ წეიკითხა; ვერ გეიარდა ვეფერი; იმას არცაროს არ გუკეთებია აფერი; არსა არ წასულა არცაროს; არკაცი არ ყოფილა არცაროს იქინეი; არკაციზა აფერი არ უქნია და სხვ.

საენათმეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ორმაგი უარყოფ-

ჟა არ არის დამახასიათებელი მარტო ერთი რომელიმე კილოსათვის. მას ეხვდებით ყველა კილოში და სალიტერატურო ენაში X-XI საუკუნიდან. კილოებში მისი დასაბამი X-XI საუკუნეების ადრინდელ ხანას მიეკუთვნება და აღმოცენებულია ქართულის ნიადაგზე¹. მის „წარმოშობა-განვითარებაში, უშეკველია, ფსიქიურ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“². აქ მთავარ როლს თამაშობს უარყოფის გაინტენსივების საჭიროება, წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია და სხვ.

მართვა-შეთანხმების შესახებ **ზმნისართული თანდებულების მიერ სახელის** **მართვის შესახებ**

ადგილისა და დროის ზმნისართები **ზეით, ქვეით, აქით, აქეთ, ქვეშ, შუა||შუა, გაღმა, გამოღმა, მერე** გურულშიც, ისევე, როგორც ქართულში³, გვევლინებიან თანდებულის ფუნქციითაც და სახელებს ჩვეულებრივ მიცემით ბრუნვაში მართავენ; მაგ.: სახს ზეით, სახს ქვეით, ცხრა ფთას იქით, ღობეს აქეთ, თვალ[ს] და ხელ[ს] შუა⁴, წყალს გაღმა, წყალს გამოღმა, ორ დღეს მერე და სხვ.

„**უკან**“ და „**წინ**“ კი, ქართლისაგან განსხვავებით, უმთავრესად მოითხოვენ ნათესაობით ბრუნვას⁵: ოდის წინ, სახლის უკან და სხვ.

ქვეშ ზმნისართი მართავს სახელს მიცემითშიც და ნათესაობითშიც; მაგ.: ჭინკის გადანაჭარას თ ა ვ ს ქ ვ ე შ დეიდობდა (შრომა); დეიდობდა ბ ა ლ ი შ ი ს ქ ვ ე შ (ჩუმათი) და სხვ.

¹ ძველ ქართულში ერთმაგი უარყოფა იყო. ქართულის გენეტიკურად მონათესავე ენებსაც (მეგრულ-ქანურსა და სვანურს) ერთმაგი უარყოფა ახასიათებს (ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ორმაგი უარყოფა ქართულში. — ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I, 1923-1924. გვ. 101-105).

² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ორმაგი უარყოფა ქართულში. გვ. 105.

³ ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართული. — არილი, ტფ., 1925, გვ. 145.

⁴ „დუშაღის ხეი სვეტ შუა და სვეტ შუა“ (ლიზაური).

⁵ გამონაკლისის სახით „წელიწადს“ ყოველთვის მიცემით ბრუნვაში აყენებს; მაგ., ო რ წ ე ლ ი წ ა დ ს უ კ ა ნ, მაგრამ ო რ ი წ ლ ი ს უ კ ა ნ.

ნათესაობით ბრუნვაში მართული სახელის შესახებ

ნათესაობით ბრუნვაში მართულ სახელს ბრუნვის ნიშნისეული ს ელე-
მენტი ეკვეცება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომდევნო სიტყვა იწყება სა-
ნით; მაგ.: კ ა ბ ი სარეცხი წყალი, ტ ა ნ ი საბანი წყალი, ჳ უ რ ი სარეცხათ
მინდა, ლ ო რ ი საკლავი დანა, ლ ო ბ ი სარები, მ ი წ ი სახნავი და სხვ.¹

ზმნის მიერ სახელის მართვის შესახებ

გურულში სახელს გარდაუვალ ზმნაც მართავს ბრუნვაში; მაგ.: ლუ-
კამ მიიმალა (შრომა); მამამ შეგვეკითხა (ქვ. ნატანები); ამან წვეილა ყაჩაღათ
(თავსურები); დარწმუნდა ხალხმა (შუა სურები); დამოწიფულდა შეილებმა
(ლაშისლელები); ძალმა შეიტაკა (ჩიბათი); იგინმაც გამომეკიდენ უკან და დეიმა-
ლენ (წიფნაგვარა) და სხვ.

დრო-კილოთა მეორე სერიაში გარდაუვალ ზმნებთან სახელის (ქვემდე-
ბარის) მოთხრობით ბრუნვაში დაყენება, როგორც ეს დადასტურებულია ამ
საკითხისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში, არ არის დამახასიათებელი
მხოლოდ დასავლური კილოებისათვის. მას ადგილი აქვს აღმოსავლურ კილო-
ებშიც. იგი აღმოცენებულია საკუთარ ნიადაგზე². ამით უარყოფილ იქნა ის შე-
ხედულება, რომლის მიხედვითაც დასავლურ კილოებში ამ მოვლენის გავრცე-
ლება მიჩნეული იყო მეგრულის გავლენად³.

მართალია, ეს მოვლენა მეგრულში ყველაზე მეტადაა გავრცელებული
და ამ მხრივ მეგრული რადიკალურად განსხვავდება ქართულისაგან; თითქოს
მეგრულში ყველა ზმნა თავისი ბუნებითა და მნიშვნელობით აქტიური ხასია-
თისაა; თითქოს ყველა გარდამავალია, რის გამოც ქვემდებარე სახელობითშია
მხოლოდ დრო-კილოთა პირველ ჯგუფში; მეორე სერიაში კი ქვემდებარე
წარმოდგენილია მოთხრობითი ბრუნვის ფორმით (შდრ. კოჩი ხე და კოჩიქ
დოხოლუ „კაცი ზის“ და „კაცი დაქდა“). მეგრულის გავლენით ამის გაჩენას მა-
ინც ვერ ავხსნით. იგი გავრცელებულია სამეგრელოს დაშორებულ აღმოსავ-

¹ შდრ. ს. ე ლ ე ნ ტ ი, გურული კილო, გვ. 68.

² ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედ-
ვით. — „ქვენი მეცნიერება“, №1, ტ. II, 1923, გვ. 113-121.

³ И. А. К и п ш и д з, Грамматика мингрельского языка, С.-Петербург, 1914, Пред-
словие.

ლურ კილოებშიც.

კითხვა იბადება: რა საფუძველზე შეიძლება იგი აღმოცენებულიყო? ამაში მთავარი როლი, როგორც ეს აღნიშნულია სათანადო ლიტერატურაში¹, უნდა მიეკუთვნოს ორ რამეს: 1) თუ რამდენად გამოხატავს გარდაუვალ ზმნა ქვემდებარის აქტივობას და 2) თუ რამდენად უკავშირდება ქვემდებარეს შინაარსით მეორე ზმნა — გარდამავალი ზმნა. ამ უკანასკნელს ამართლებს აღმოსავლური კილოებიც. აქ მარტივ წინადადებაში გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე ჩვეულებრივ სახელობით ბრუნვაშია, თუ ზმნა შინცდამაინც ქვემდებარის აქტივობას არ გამოხატავს. ხოლო მაშინ, როცა ქვემდებარეს გარდამავალი ზმნა მოსდევს, ქვემდებარე გვევლინება მოთხრობით ბრუნვაშიც (დაბრუნდა ქ მ ა რ მ ა და ქალს უთხრა). ასეთ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ქვემდებარეს მართავს არა წინამავალი ზმნა, არამედ — მომდევნო. წინადადების ეს კონტამინაცია ახსნილია მით, რომ თხრობის პროცესში მთქმელის ცნობიერებაში პირველი შემასმენლის თქმის დროს მომდევნო ქვემდებარეზე წარმოდგენას უსწრებს მომდევნო ზმნის შესახებ წარმოდგენა და ეს მეორე შემასმენელი მართავს კიდევ ქვემდებარეს ბრუნვაში².

გურულში უფრო სხვანაირი ვითარება გვაქვს. აქ გარდაუვალ ზმნასთან დრო-კილოთა მეორე ჯგუფში ქვემდებარე ხან სახელობითში გვევლინება და ხან მოთხრობითში. ხშირად ერთსა და იმავე ქვემდებარე-შემასმენელთან და ერთი და იმავე პიროვნების მეტყველებაშიც ვხვდებით ასეთ მაგალითებს. მაგალითად, 1936 წელს ერთი მოხუცი გლეხი (თაყა ჩხაიძე, 100 წლისა) სოფელ აცანაში შელის დაჭერის ამბავს ორჯერ მომიყვა. პირველად ქვემდებარე ყველგან მოთხრობით ბრუნვაში დააყენა: „ერთ დღეს შ ვ ე ლ მ ა გორვით ჩემევიდა დაბლა და მერე ქი შვევიდა სალორეში. მივიდა ჩ ე მ ა დ ა მ ა და დუუხთა კარებზე“. მეორეჯერ კი მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად სახელობითი გამოიყენება: „შ ვ ე ლ ი გორვით ჩამევიდა დაბლა და ქი შვევიდა სალორეში. მერე მივიდა ჩ ე მ ი დ ა ი და ქი დუუხთა კარებზე“³.

გურულში თუ ერთ ქვემდებარესთან გარდაუვალ და გარდამავალი ზმნაა დაკავშირებული, მაშინ ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში იქნება ყო-

¹ ვ. თ. ო. ფ. რ. ი. ა., სინტაქსური ანალოგიის ერთი შემთხვევა ქართულში დიალექტების მიხედვით, გვ. 113-121.

² ვ. თ. ო. ფ. რ. ი. ა., ქართული. — არილი, ტფ., 1925, გვ. 146.

³ ცხადია, მეორეჯერ მთქმელი შეეცადა უფრო „გამართული ქართულით“ ეთქვა და არ „მოგაყულიყო“ (არ შერცხვენილიყო).

ველთვის, მიუხედავად იმისა, — თუ რა ადგილი უჭირავს წინადადებაში გარდამავალ ზმნას; მაგ.: ადგა ამ ბიჭმა და წასვლა დააპირა; აღმასხანამ კი იქინეი მეიცადა და დეიწყო თოფის სროლა; იმან მევიდა და ჩხუბი მიქნა; დამარტყა და ჭი გეიქცა იმ ბიჭმა და სხვ.

ამ შემთხვევაში ქვემდებარის აქტივობაც გვაქვს და შინაარსით დაკავშირებული გარდამავალი ზმნაც. ქვემდებარე ასეთ ვითარებაში წარმოდგენილია ყოველთვის მოთხრობითი ბრუნვის ფორმით.

გურულში ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაში დასტურდება ზოგჯერ პასიურ ზმნებთანაც: კაცმა მოკტა, ბაღანამ წეიქცა და სხვა. მაგრამ ასეთ მაგალითებს გურულში გაცილებით უფრო ნაკლებად ვხვდებით, ვიდრე აქარულში („მამამ მომიკტა, წელმა არ გეტკინოს, ყოჩმა ბიჭი გახთა“ და სხვ.)¹. ამ უკანასკნელში (აქარულში), როგორც ჩანს, საერთოდ აღრევას აქვს ადგილი. გარდამავალ ზმნებთან, თუმცა სპორადულად, მაგრამ მაინც, დასტურდება საპირისპირო შემთხვევებიც („და თ ვ ი, გ ე ლ ი და მ ე ლ ა ამხანაგურა მე-იძიეს ხარი, ძროხა და ცხვარი“)².

გურულში ასეთ „უსაფუძვლო“ აღრევას ჩვეულებრივ არ ვხვდებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ მაგალითებს, როგორიცაა: კ ა ც ი გ ე ი ა რ ა , ი გ ი ჩ ე ი ა რ ა და მისთ.

სახელის სახელთან ბრუნვაში შეთანხმების შესახებ

გურულშიც, ისევე, როგორც მთელ რიგ სხვა კილოებში, ადგილი აქვს სახელის სახელთან ბრუნვაში შეთანხმების დარღვევის შემთხვევებს. წინამავალი მსაზღვრელი ზოგჯერ გვევლინება სახელობითი ბრუნვის ფორმით მაშინაც, როცა იგი ახლავს მოთხრობით, მიცემით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებში დაყენებულ სახელს; მაგ.: წეიყვანა დ ი დ ი კ ა ც მ ა; დაასხამ ე რ თ ი ბ ო თ ლ ი წ ყ ა ლ ს (შუხუთი); ვაქუმდით ჩ ვ ი ლ ი ბ ე ო ლ ს (ჩოჩხათი); ა ხ ა ლ ი კ ვ ი რ ე ს სოფელი სოფელს ვეჭობრებოდით (ჭყონაგორა); დაადგა ნ ე ლ ი ც ე ხ ზ ე (შუხუთი); თ ფ ი ლ ი ა მ ი ნ დ შ ი ყ ო

¹მ. ხ უ ბ უ ა, ზემოაქარულის ენობრივი მიმოხილვა, ქ. ბათუმი, 1932, გვ. 20.

²მ. ხ უ ბ უ ა, იქვე, გვ. 21.

რიფელი იკეთებდნენ (ბურნათი); ჩ ე მ ი მ ე ზ ო ბ ლ ა თ ანლო ერთი წიფელა იყო (მთისპირი) და სხვ.¹

სახელის სახელთან რიცხვში შეთანხმების შესახებ

გურულშიც, ისევე, როგორც სხვა კილოებში, მსაზღვრელად გამოყენებულ რიცხვით სახელსა და კრებითობის გამომხატველ სიტყვას საზღვრული სახელი რიცხვში ეთანხმება შინაარსის მიხედვით; მაგ.: სამი დანები, ორი ძმა-ნები, ხუთი კაცები, შვიდი ბაღები, ყველა კაცები, ზოგიერთი ქალები და სხვ.

შემასმენლის შეთანხმება-შეუთანხმებლობის შესახებ ქვემდებარესთან რიცხვში

ცნობილია, რომ ქვემდებარე, თუ ის მესამე სუბიექტური პირია და წარმოდგენილია მრავლობითის ფორმით, ხშირად არ ითანხმებს შემასმენელს რიცხვში; არ არის სავალდებულო, რომ მან შემასმენელი შეითანხმოს ყოველთვის.

ამ შემთხვევაში ამოსავალია წინადადების შინაარსი. შეუთანხმებლობით თუ არ მახინჯდება სემასიოლოგიური მხარე, მაშინ შეთანხმებას ყუ-რადლება არ ექცევა.

მარტივ წინადადებაში შემასმენელი ჩვეულებრივ არაა შეთანხმებული მრავლობით რიცხვში ქვემდებარესთან; მაგ.: იგინმა წამოიყვანა (დიდი ვანი); იგინი დაჭარფალდა ღვინით (ლაშისღელე); ყმები მუუტანდა (ქვედა ბახვი) და სხვ.

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ჩვეულებრივ არ უთანხმდება ის შემასმენელი, რომელიც უფრო ანლოსაა ქვემდებარესთან; მაგ.: ქლიბი მ ი ს ა ა მ ზ ა ნ ა გ ე ბ მ ა და გააქციეს (მამათი); ე ს ე ნ ი ე ძ ა ლ ე ბ ო დ ა და ნებით არ აძლევდნენ (ნიგეზიანი); და ს ე მ ი ა

¹ ქ. ლ. ო. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. ნინოშვილის „პარტახის“ ლექსიკონში შენიშნავს: „წოდებითში, თუ წინ „ქემი“ ერთის, მაშინ სახელობითის ფორმა იხმარება „ნენაი“, ისე კი — ნენავ ან ნენა“ (ე. ნინოშვილი, „პარტახი“, ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ი. ს. რედაქციით, თბილისი, 1935, გვ. 104).

თ ა თ რ ე ბ ი და წოუყვანიენ (გურიანთა); დ ა ბ რ უ ნ დ ა ი მ კ ა ც ე ბ მ ა და გურიელს უთხრენ (თავსურები) და მისთ.

ქვემდებარესთან რიცხვში შეთანხმებულია მეორე შემასმენელი, რომელიც უფრო დაშორებულია მისგან. უამისოდ შეიძლებოდა აზრი ბუნდოვანი ყოფილიყო.

თუ ქვემდებარე არა ჩანს წინადადებაში, მაგრამ ზემოთ ნათქვამის მიხედვით იგულისხმება მრავლობით რიცხვში, შემასმენელი მას თითქმის ყოველთვის ეთანხმება; მაგ.: ბაბუაჩემი იტყოდა: — თ ა თ რ ე ბ ი ჩვენ დიდი გლახა ამბავს გვიკეთებდაო; ჩვენ ბაღნეთს ყ ი ღ უ ლ ო ბ დ ე ნ დ ა მ ი ხ ა ვ - დ ე ნ მის ქოყანაშიო. ორი ბაღანაი დ ი ე მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ი ე ნ, ჩ ი ე გ დ ე ნ ბულთი პირში, წ ი ე ყ ვ ა ნ ე ნ იმ არდგილზე (ლაშისღელე) და სხვ.

ეს ბუნებრივია. შეთანხმების დარღვევა არ ხდება იქ, სადაც შეიძლება აზრი დამახინჯდეს

ამგვარად, გურულში ქვემდებარე-შემასმენლის შეთანხმება ირღვევა ჩვეულებრივ ისეთ შემთხვევებში, სადაც არაა მოსალოდნელი შინაარსის დამახინჯება¹.

ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმება-შეუთანხმებლობის საკითხთან დაკავშირებით გურულის ანალოგიური ვითარება შეინიშნება ძველი ქართული ენის ძეგლებშიც — ებ სუფიქსიან მრავლობითთან. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში ერთგვარშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში — ებ ნიშნიანი ქვემდებარე სინტაქსურ ძალას იჩენს ისეთ შემთხვევაში, როდესაც შემასმენელი დაშორებულია მისგან, ე. ი. ის ითანხმებს არა უახლოეს შემასმენელს, არამედ — დაშორებულს².

დამატების მიერ შემასმენლის რიცხვში შეთანხმების შესახებ

გურულში ზოგჯერ ირიბი და პირდაპირი დამატებაც ითანხმებს შემასმენელს რიცხვში; მაგ.: ღმერთმა მშვიდობით გ ა კ ა მ ო ნ თქვენი ხელით მო-

¹ უფრო ვრცლად: გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 265-366.

² ანტ. კ ი ზ ი რ ი ა, — ებ ნიშნიანი მრავლობითი რიცხვის სინტაქსური ძალისათვის ძველ ქართულში. — იკე, VII, თბ., 1955, გვ. 36-37; ი. ტ უ რ ა შ ვ ი ლ ი, ბრეთის ოთხთავის მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი — მაცნე (ენისა და ლიტ. სერია), 1979, №2, გვ. 118.

წეული (ლაშისღელე); ღმერთმა მშვიღობით ა მ ყ ო ფ ო ნ ყვეღაყაი (შუხუ-
თი); რამ გ ა დ ა რ ი ე ნ, რ ა დ ი ე მ ა რ თ ე ნ და სხვ.

ამ შემთხვევაში ზმნის მრავღობითი რიცხვის ფორმით ხმარება გამო-
წეული ჩანს შინაარსის დაზუსტების მიზნით. ყურადღება გამახვიღებულია
ობიექტის მრავღობითობაზე.

მრავღობითობის გამობატვას -ენ(-ნ) ნიშნით ხელს უწყობს უნიფიკა-
ციის ტენღენცია.

ელიფსის შესახებ

შეინიშნება „ელიფსის“ შემთხვევები: „ბაბამ: მალე მევიღესო“ (მთავარ
წინადაღებაში ჩავარღნიღია შემასმენელი, დამოკიღებული წინადაღების შე-
მასმენელი, წესისამებრ, დაირთავს სხვათა სიტყვის -ო ნაწიღაკ-მორფემო-
იღს)“¹.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, გურული არ არის ინტერესს მოკლე-
ბული სინტაქსური მოვღენებითაც.

ღექსიკის შესახებ

გურული დიღექტი ყურადღებას იქცევს ღექსიკის მიხეღვითაც. ზე-
მოგურულშიცა და ქვემოგურულშიც შემონახულია მღიდარი დარგობრივი
ღექსიკა. განსხვაება ამ ორ კიღოკავს შორის აქაც შეინიშნება:

ქვემოგურული	ზემოგურული	ღიტერატურული
ანღელი	ყალტამი	სქელი და მღალი უვარღისი ბღახი
ღუღი	თვერი	ბიბიღო
მოზუყუტურება	მოკუქუნება	ზურგზე შესით აყვანა (აღამიანისა)
ნაგული	ნაკორტაღე	სიმიღღის ტაროს მარცვღაღაციღიღი გული
ნიღური	ნიკურტი	წღღღის ან თოხის წვერი
ოქროს კიღი	ოქროკოქი (ოქროს ფეხი)	სიმიღღის მიერ გამოღებული დამა- ტებითი ფესვი
პანტაფსხღალი	კვიქიქე	ტყის წვრიღი მსხღი

¹ ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიღექტოღოღია, გვ. 537.

ფილი	ქვიჩე	ფილთაქვა, ქვასანაყი, როდინი
ჩახანაი ჩარხანაი	თენჯერე	თუჯის ქვაბი
წარე ხაბი	წარე კვახი	აყირო
ხაბი	ბამბის კვახი	რბილკანიანი თეთრი გოგრა
ხაპერაი	ხოკერე კვახი	მაგარკანიანი გოგრა

და სხვ.

ჩანს, რომ ზემოგურულს საზიარო ლექსიკა აქვს ქვემოიმერულთან¹.

გურულში დასტურდება ნაირფეროვანი ლექსიკა (არქაული, ზანური, უცხო ენებიდან ნასესხები, საკუთრივ ნაწარმოები ფორმები და სხვ.)².

გურულის ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებების შესახებ

1. გურული დიალექტი რთული და მეტად თავისებურია, რაც შეპირობებულია ამ კუთხის ისტორიული წარსულით.

ქართული ენის დიალექტთა შორის გურულს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს თავისი მნიშვნელობითა და მრავალფეროვანი სპეციფიკური მოვლენებით. იგი ცნობილია, ერთი მხრით, ფონეტიკურ-გრამატიკულ პროცესთა შედარებით სწრაფი განვითარებით და, მეორე მხრით, არქაიზმების შემონახვით.

ზანიზმების სახით გურულში დასტურდება მეგრულ-ქანურის სუბსტრატი. „ზანიზმები უხვად არის წარმოდგენილი დღევანდელს გურულში“ (არნ. ჩიქობავა).

2. გურული მდიდარია ფონეტიკურ-გრამატიკული თავისებურებებით, რომელთაგან თითქმის ყველას დაეძგნება გარკვეული კანონზომიერება.

3. გვაქვს აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის საინტერესო შემთხვევები. მარტივი სპირანტის გართულება დასტურდება უმთავრესად პოზიციურად, ხოლო სწ კომპლექსის გამარტივება ხდება სპონტანურად. მიზეზი თვით ამ კომპლექსის თავისებურებაშია.

4. ფუძეკუშმშვად სახელებში არცთუ იშვიათად შეინიშნება ფუძის უკუმშვის შედეგად მიღებული რეფლექსი ი ხმოვნის სახით (ნაგომრიელი, სოფ-

¹ ვრცლად: გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ე ლ ი, გურულისა და იმერულის ურთიერთმიმართების საკითხისათვის. — ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. IV, თ., 1974. გვ. 97-100.

² ვრცლად: ბ. ჭ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, გვ. 538-539.

ლიელი). იგი წარმოადგენს გადასმულ რედუცირებულ ფუძისეულ ხმოვანს (ა, ე, ი) ან მის კომპენსაციას.

5. მთელ გურულში ყველა ერთმარცვლიანი ფუძეხმოვნიანი სახელი (მასდარიც) სახელობით ბრუნვაში ყოველთვის ირთავს ბრუნვის ნიშანს.

ერთზემეტმარცვლიან ფუძეხმოვნიანთაგან სახელობითის ნიშნით გვევლინება მხოლოდ კნინობითობის გამომხატველი (ან მისი ელფერის შემცველი) ა ფუძეხმოვნიანი სიტყვები ქვემოგურულში, ხოლო ზემოგურულში ბრუნვისნიშნისეული ი დაკარგულია, მაგრამ დარჩენილია მისი კვალი ნაასიმილაციარი ე-ს სახით (ბადანე). ასიმილაციის პროცესი დაწყებულია მას შემდეგ, რაც სხვა ტიპის ფუძეხმოვნიან სახელებს დაეკარგა სახელობითის **o** და წარმოგვიდგა მხოლოდ ფუძით (მუხა).

6. გურულში კაუზატივის ფორმის საწარმოებლად უნდა ყოფილიყო მხოლოდ **ა-** — **-ივ** (← **ა-** — **-ევ**), რომლის **ვ** თანხმოვანიც ხმოვანთა შორის დაკარგულა. ხოლო, რაც შეეხება **-ინ** (← **-ენ**) აფიქსს, იგი გურულს არ უნდა ჰქონოდა არც ძველად.

ქართულში გაბატონებული **ა-** — **-ინ** (← **ა-** — **-ენ**) და **ა-** — **-ევ** აფიქსები სხვადასხვა დიალექტური ფენის სალიტერატურო ქართულში დამკვიდრების ერთ-ერთი ნიშანი უნდა იყოს სხვა მრავალ ფაქტთან ერთად.

7. გურულში ქვემდებარე-შემასმენლის მრავლობით რიცხვში შეთანხმება ირღვევა ჩვეულებრივ ისეთ შემთხვევებში, სადაც არაა მოსალოდნელი შინაარსის დამახინჯება. ხოლო იქ, სადაც შეიძლება შეუთანხმებლობამ გამოიწვიოს აზრის ბუნდოვნება, შემასმენელი თითქმის ყოველთვის ეთანხმება ქვემდებარეს რიცხვში.

8. გურული ყურადღებას იქცევს თავისი მდიდარი ლექსიკითაც.

ძირითადი დებულებები (ორივე ნაწილისათვის)

1. გურული დიალექტის შესახებ ცნობები მოგვეპოვება კანტიკუნტად მეთვრამეტე საუკუნიდან (ვახუშტი ბატონიშვილი, იოჰან გიულდენშტედტი, მარი ბროსე, გეორგ როზენი, რიხარდ ერკერტი, ალექსანდრე ცაგარელი, ნიკო მარი და სხვ.). მაგრამ მიმოხილვა და მოზრდილი მაცულობის ლექსიკონი არ არსებობდა მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

2. 1936 წელს გამოქვეყნდა სერგი ჟღენტის პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა ამ კილოს შესახებ. მასში ვერ არის ასახული მთელი გურულის ყველა თავისებურება სრულყოფილად; ავტორის ყურადღების ცენტრშია ძირითადად ზემოგურული და შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი ქვემოგურულისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი მოვლენები; სიზუსტე აკლია ფონეტიკასაც, მორფოლოგიასაც, სინტაქსსაც და ლექსიკასაც; მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმ დროისათვის, როცა დიალექტის შესახებ მონოგრაფია სანატრელი იყო, დიდი საქმე გაკეთდა. ეს წიგნი ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შენაძენია.

3. ს. ჟღენტის ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ გურულ კილოს მიეძღვნა (საკუთრად ან სხვასთან ერთად) მრავალი სტატია და მოხსენება. ზოგი ავტორი იხილავს მთელი გურულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ მოვლენებს, ზოგიერთი კი — გურიის ამა თუ იმ რეგიონის მოსახლეობის მეტყველების მთლიან თავისებურებებს.

ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე გურულის მიმართებაზე ქართული ენის სხვა დიალექტებთან და ზანური ენის მეგრულ-ქანურ კილოებთან.

ზოგი მკვლევარი გურული კილოსათვის დამახასიათებელ ამა თუ იმ მოვლენას ეხება სხვა საკითხთან დაკავშირებით და სხვ.

4. გურიის ცალკეული კუთხეები ენობრივად შესისწავლეს და დაწერეს სათანადო მიმოხილვები რეგიონების მიხედვით მთელმა რიგმა მკვლევარებმა (ლ. ლეჟავა, მ. კობალაძე, ბ. ჯაჭანიძე, თ. რამიშვილი და სხვ.).

5. სათანადო ყურადღება ეთმობოდა გურული დიალექტის შესწავლას თემატური თვალსაზრისით, მოვლენების მიხედვით;

ა) გურულ დიალექტში დამკვიდრებულ ფონეტიკურ მოვლენებს იხილავდნენ შ. ძიძიგური, ალ. დლონტი, ი. მეგრელიძე, ბ. ფოჩხუა, კლ. კუბლაშ-

ვილი, პ. ჭაჭანიძე, გ. როგავა და სხვ.

ბ) მთელი გურული კილოს ყველა ძირითად მორფოლოგიურ თავისებურებას ან რომელიმე მოვლენას მთლიანი მასშტაბით იკვლევდნენ: ა. შანიძე, ალ. ლლონტი, პ. ჭაჭანიძე, მ. ძიძიშვილი, გ. კვერენჩილაძე, შ. ძიძიგური, გ. როგავა, ქ. ლომთათიძე და სხვ.

გ) გურულის სინტაქსურ თავისებურებებს აშუქებდნენ არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, პ. ჭაჭანიძე, შ. ძიძიგური, კლ. კუმლაშვილი, ა. კიზირია და სხვ.

6. მწერლობაში გამოყენებულ გურულ დიალექტს სწავლობდნენ: ივ. გიგინეიშვილი, ივ. ქავთარაძე, რ. ლამბაშიძე, ვ. ხუროძე, ალ. ლლონტი, ზ. სარჯველაძე და სხვ.

7. გურული დიალექტი აქარულთან შეპირისპირებით გააანალიზეს პ. ჭაჭანიძემ, კ. ცინცაძემ, ხოლო იმერულთან მიმართების თვალსაზრისით — ს. ულენტმა და სხვ.

8. ზანიზმებს გურულში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ივ. ჭავჭავაძე, ნ. მარი, ი. ყიფშიძე, არნ. ჩიქობავა, ს. ულენტი, ი. მეგრელიძე, ზ. სარჯველაძე და სხვ.

9. გურული მეტყველების მასალები გამოქვეყნებულია ძველ პერიოდულ გამოცემებშიც და ცალკე კრებულების სახითაც. მაგრამ მათი უმრავლესობა ჩაწერილია არაენათმეცნიერული მიზნით და ფონეტიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით არ არის სანდო. ენობრივად სანდო გურული ტექსტები სათანადო ლექსიკონითურთ წარმოადგინეს ს. ულენტმა, ალ. ლლონტმა, შ. ძიძიგურმა, ივ. გიგინეიშვილმა, პ. ჭაჭანიძემ, ე. ნიკოლაიშვილმა, ი. მეგრელიძემ და სხვ.

10. გურულ ლექსიკაზე ყურადღება გაუმახვილებია ჯერ კიდევ 1873 წელს დ. ბაქრაძეს, ხოლო მასზე ადრე (1798 წელს) ზოგიერთ გურულ სიტყვას, ვულგარული ქართულის სახელწოდებით, ასახელებს ფრ. ალტერი. გურულისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი სიტყვის ფორმა დასტურდება პირველ ქართულ ნაბეჭდ შრომებშიც (სტ. პაოლინის ლექსიკონი, ფრ. მარ. მაქოს გრამატიკა).

გურული დიალექტის რიგი თავისებური სიტყვები ცალკე ლექსიკონის სახით გამოაქვეყნეს ელ. ბზვანელმა 1900 წელს გაზეთ „ივერიაში“ და კ. გვარამაძემ 1901 წელს ჟურნ. „მოგზაურში“.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ძველი ყოფა-ცხოვრების

ამსახველი სიტყვების გამომზერებით გ. შარაშიძის მოზრდილი მოცულობის „გურული ლექსიკონი“, რომელიც დაიბეჭდა 1938 წელს ვ. ბერიძის რედაქციით.

აღსანიშნავია აგრეთვე პ. ჯაჭანიძის მიერ ქუთაისის პედ. ინსტიტუტის „შრომებში“ გამოქვეყნებული „მასალები გურული ლექსიკონისათვის“ (1967 წ.) და „გურულ ტექსტებს“ დართული „ლექსიკონის მასალები“ (1977 წ.).

გურული სიტყვების ლექსიკონი ახლავს ს. უდენტის, ალ. ლლონტის, შ. ძიძიგურის, ივ. გიგინეიშვილისა და სხვათა მიერ გამოქვეყნებულ გურულ ტექსტებსა და ე. ნინოშვილის თხზულებებს.

გურული დიალექტური სიტყვები შეტანილია ვ. ბერიძის (1912 წ.), ილ. ჭყონიას (1910 წ.), ალ. ლლონტისა (1984 წ.) და სხვათა ლექსიკონებშიც.

გურული დიალექტის ზოგიერთმა სიტყვამ ადგილი პოვა არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოსულ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

გურული ეთნოგრაფიული ტერმინები მოცემულია მასწავლებელ მამალაძის (1893 წ.), კ. გვარამაძის, აბ. წულაძის, თ. საზოკიას, ე. თაყაიშვილის, გ. ჩიტაიას, ალ. რობაქიძისა და სხვათა ეთნოგრაფიულ ნაწერებში.

შინამრეწველობასა და ხელოსნობასთან დაკავშირებული გურული ლექსიკა უხვად არის წარმოდგენილი ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილ მასალებში.

11. გურული დიალექტის დარგობრივ ლექსიკას სპეციალური შრომები მიუძღვნეს ცალკეული დარგების მიხედვით ზ. ტულუშმა, ე. ნიკოლაიშვილმა და სხვ.

12. მწერლების თხზულებებში გამოყენებული გურული სიტყვები და გამონათქვამები შეისწავლეს ალ. ლლონტმა, ნ. საბაშვილმა, მ. ალავეციმ და სხვ.

13. გურულ დიალექტურ მეტყველებაში დამკვიდრებული არაბულ-თურქულ-სპარსული წარმოშობის სიტყვები გაანალიზებულია ნ. გურგენიძის მიერ. ყურადღება გამახვილებულია ფონეტიკურ-გრამატიკულ მოვლენებზე და არაქართული ფუძისაგან ქართული მორფემებით სიტყვის წარმოებაზე.

14. გურულის ზოგადი დახასიათება მოკლედ მოცემული აქვს ივ. გიგინეიშვილს, ხოლო შესწავლის ისტორია — შ. ძიძიგურს, არ. მარტიროსოვს, ალ. ლლონტსა და ე. ნიკოლაიშვილს (ორი უკანასკნელი ეხება მხოლოდ ლექსიკას).

გურულ დიალექტს სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ბესარიონ ჯორბენაძის მეტად საყურადღებო წიგნში „ქართული დიალექტოლოგია“, I, რომელიც გამოქვეყნდა 1989 წელს.

15. გურულ დიალექტს მიეძღვნა 4 საკანდიდატო და 1 სადოქტორო ნაშრომი.

16. გურული დიალექტის შესახებ არსებული ლიტერატურის განხილვიდან ჩანს, რომ ამ ენობრივი ერთეულის თავისებურებებით ბევრი მკვლევარი დაინტერესებულა და დაუწერიათ საყურადღებო გამოკვლევები. მაგრამ გურულის შესწავლა ამით არ დამთავრებულა. მის შესახებ მომავალშიც ბევრი დაიწერება.

17. ამ მონოგრაფიაში, გურულის ძირითად თავისებურებათა გადმოცემასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჭერ კიდევ შეუსწავლელია ან ნაკლებად არის შესწავლილი, მოითხოვს შესწორებასა და დაზუსტებას (ამის საშუალებას ჩვენ გვაძლევს ადგილობრივ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვება, ჩვენ მიერ ჩაწერილი გურული მასალების ანალიზი, ჩვენი თანამედროვე ენათმეცნიერების — ს. ჟღენტის, ალ. ლლონტის, შ. ძიძიგურის, ივ. გიგინეიშვილის, პ. ჯაჭანიძის, ი. მეგრელიძის, ე. ნიკოლაიშვილისა და სხვათა მიერ გამოქვეყნებული და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში დაცული ხელნაწერი ტექსტები, აგრეთვე დაბეჭდილი „შინამრეწველობის მასალები“, ე. თაყაიშვილის „მოგონებანი“ და სხვ.).

18. ს. ჟღენტის მიერ მოცემული დაყოფა გურული დიალექტისა — ზემოგურულ და ქვემოგურულ კილოკავებად მისაღებია, ოღონდ უნდა ითქვას, რომ დიალექტში შეინიშნება გარდამავალი ზოლებიც.

19. ზემოგურულს ეტყობა ქვემოიმერულის გავლენა, ხოლო ქვემოგურულს — აჭარულისა.

გავლენების შედარებიდან ჩანს, რომ ქვემოიმერულს გაცილებით უფრო მეტი ზეგავლენა მოუხდენია ზემოგურულზე, ვიდრე აჭარულს — ქვემოგურულზე. ამას ადასტურებს ქვემოიმერულის გავლენით გავრცელებული ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური ხასიათის მოვლენები ზემოგურულში.

20. გურული ქართული ენის ერთ-ერთი რთული დიალექტთაგანია. სირთულე შეპირობებულია განვითარების შინაგანი და გარეგანი კანონებით. არქაიზმები და ნეოლოგიზმები შეინიშნება ყველა რგოლში: ფონეტიკაშიც, მორფოლოგიაშიც, სინტაქსშიცა და ლექსიკაშიც.

21. გურულის თავისებურებები, როგორც ცნობილია, მეტ-ნაკლებად ასახულია მეცხრამეტე-მეორე საუკუნეების მწერალთა თხზულებებში. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XVI საუკუნის ქართული ლიტერატურის ძეგლი „რუსუდანიანი“: მასში ნათლად ჩანს, რომ მთელი რიგი ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური ხასიათის მოვლენები, რომლებსაც ახლაც ვხვდებით გურულში, ჩვეულებრივი ყოფილა საშუალო საუკუნეების გურულ მეტყველებაშიც.

22. ბგერითი შედგენილობით გურული დიალექტი ემთხვევა ქართული ენის რიგ სხვა კილო-თქმებს. დასტურდება **ჟ** (ძირითადად ოზურგეთის რაიონის სოფლებში), წყვილბაგისმიერი უმარცვლო **ჟ** (შედარებით უფრო გავრცელებულია ჩოხატაურის რაიონის სოფლებში) და ხშულმსკდომი **ჟ** (ჩნდება შორისდებულებსა და უარყოფით ნაწილაკებში).

23. გურულში შეინიშნება მრავალნაირი ფონეტიკური მოვლენა. ამ მხრივ ამ კილოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ენის დიალექტთა შორის. ცვლილებას განიცდიან მეტ-ნაკლებად ხმოვნებიცა და თანხმოვნებიც. მაგრამ ყველას დაეძებნება გარკვეული კანონზომიერება.

24. ფონეტიკურ მოვლენათა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გურულში ასიმილაციას. იგი დასტურდება მეტ-ნაკლებად გურიის ყველა სოფლის მეტყველებაში, ხმოვანთა შორისაც და თანხმოვანთა შორისაც.

სასხვისო ქცევის მაჩვენებელი და უარყოფითი მიმღობისეული უ იმსგავსებს წინამავალ პრევერბისეულ ხმოვანს სრულად ან ნაწილობრივ. ქვემოგურულში ბატონობს სრული სახის დამსგავსება, ხოლო ზემოგურულში — ნაწილობრივი.

თანხმოვნებში დიდი სხვაობა არ შეინიშნება გავრცელების მხრივ პროგრესულსა და რეგრესულ ასიმილაციას შორის. ორივეს ფართო ასპარეზი აქვს მთელ გურულში. ამ გზით ხდება დაყრუებაც და გამჟღერებაც. ხმოვნებში გაბატონებულია რეგრესული ასიმილაცია. ასიმილატორებად გვევლინება **ი**, **უ**, **ე** და **ო**, ხოლო ასიმილირებულად — **ა**, **ე**, **ო** და **ა**. ეს ფონეტიკური პროცესი ფართოდაა მოდებული პრევერბისეულ ხმოვნებში. ასიმილაციის ძლიერი უნარი აქვს სასხვისო ქცევის **უ**-სა და ვნებითისა თუ ქცევის **ი**-ს. პირველს შეუძლია სრულად მიიმსგავსოს წინამავალი პრევერბისეული ყველა ხმოვანი, ხოლო მეორეს — ნაწილობრივ **ა** და **ო**. ამ (**ა** და **ო**) ხმოვნებს სრულად იასიმილირებს კონტაქტურ მეზობლობაში მოხვედრილი ვნებითის **ე**,

როგორც ეს ხდება რიგ სხვა კილოებში (განსაკუთრებით აღმოსავლურში). მაგრამ აქ, იმათგან განსხვავებით, ეგვე ე და ძლიერი ასიმილაციის უნარის მქონე ი და უ მხოლოდ მეტად იშვიათად ახდენენ გავლენას ობიექტური პირის ნიშნებით (შ, ზ, ზვ) და პრევერბისეული მ თანხმონით დაშორებულ ხმოვანზე. გარდა ამისა, ი-ს საერთოდ არ შეუძლია, რომ ა სრულად მიიმსგავსოს. ამ მხრივ გურულს უპირისპირდებიან ქვემოიმერულის სამტრედიული მეტყველება და აჭარული დიალექტი, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან მას. ხმოვანთა დამსგავსება განსხვავებულია ზემო- და ქვემოგურულს შორისაც. ისინი ემიჯნებიან ერთმანეთს აუ და ეუ კომპლექსებთან დაკავშირებით ასიმილაციის სისრულის საკითხში. ზემოგურულში, ქვემოიმერულის გავლენით, სჭარბობს ნაწილობრივი დამსგავსება, ხოლო ქვემოგურულში გაბატონებულია ასიმილაციის სრული სახე.

25. გურულში დისიმილაცია გავრცელებული ფონეტიკური მოვლენაა. მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა სახის განმსგავსება. თანხმოვანთა შორის არ იგრძნობა რომელიმე მათგანის უპირატესობა. მაგრამ ხმოვნებში განსხვავებული ვითარება დასტურდება: გაბატონებულია რეგრესული დისიმილაცია. იგი გვაქვს მთელ გურულში. ყველა კუთხის მეტყველებაში ხშირია სუფიქსისეული ე-ს გავლენით ფუძისეული იდენტური ხმოვნის განმსგავსება კონტაქტურ მეზობლობაში (ეე — ეე: ტყიები). ეა და ოა კომპლექსები საერთოდ აფიქსებთან და ოე კი მხოლოდ სუფიქსებთან დაახლოებით ერთნაირად განიცდიან დისიმილაციას ზემო- და ქვემოგურულში. მაგრამ იდენტური ეე ხმოვნის დისიმილაცია პრევერბებთან გაბატონებული სახით დამკვიდრებულია მხოლოდ ქვემოგურულში. ზემოგურულში მას არა აქვს სისტემატური ხასიათი და ბევრად სჭარბობს უდისიმილაციო ფორმა.

26. გურულში მეტად ხშირია ბგერათა დაკარგვა. განსაკუთრებით ფენ-მოკიდებულია თანხმოვანთა კომპლექსების გამარტივება და გამოთქმის გაიოლების ტენდენცია. ამ ნიადაგზე იკარგვის ლ და რ ნარნარა სონორები თანხმოვანთა შორის და სიტყვის თავში თანხმოვნის წინ. ამავე მიზეზით უჩინარდება ვ რამდენსამე პოზიციაში, თავკიდური მ თანხმოვნის წინ, სწრ, სწ, სც, სთ კომპლექსების უკანასკნელი კომპონენტი და სხვა მთელი რიგი თანხმოვნები.

ზოგ შემთხვევაში ბგერათა დაკარგვა გამოწვეული ჩანს დისიმილაციითა და წარმოთქმის სისწრაფით ან ერთ-ერთი მათგანით.

ხმოვნის ჩავარდნას ან მთელი მარცვლის მოწყვეტას ძირითადად მახვილი იწვევს.

27. ერთმარცვლიანი ფუძეხმოვნიანი სახელები თითქმის მთელ გურულში, ჩვეულებრივ, უცვლელად ინარჩუნებენ ბრუნვის ნიშნებს სახელობითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებშიც.

ერთზემეტმარცვლიან სახელთაგან ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევენ ისინი, რომელთაც ბოლოკიდურ ხმოვნად აქვთ ფორმანტიკული -ა. ამ სახელებთან -ო, -ის, -ით უცვლელად ან მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებით (-ჲ, -ჲს, -ჲთ) შემონახულა მხოლოდ ქვემოგურულში, ხოლო ზემოგურულში შემორჩენილია მარტო თანხმოვანი ელემენტი და ხმოვნის კვალი (ჰარიკე, ჰარიკეს, ჰარიკეთ).

28. ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმებისა და შეუთანხმებლობის საკითხთან დაკავშირებით დასტურდება, რომ გურულში გადაწყვეტა ამ შემთხვევაში წინადადების შინაარსი: ქვემდებარესთან შემასმენლის რიცხვში შეთანხმება არ არის აუცილებელი იქ, სადაც შეუთანხმებლობის მიზეზით წინადადების შინაარსის დამახინჯება არ არის მოსალოდნელი. ქვემდებარესთან ახლოს მყოფი შემასმენელი თუ არ იქნება რიცხვში შეთანხმებული მასთან, ამით წინადადების შინაარსი არ შეიცვლება („იგინმა წამიყვანა“). მაგრამ ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში აზრი ბუნდოვანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ქვემდებარესთან არ იქნა რიცხვში შეთანხმებული დაშორებული შემასმენელი. ამიტომ, შინაარსის დამახინჯების თავიდან აცილების მიზნით, ქვემდებარე ჩვეულებრივ ითანხმებს რიცხვში იმ შემასმენელს, რომელიც მისგან, სხვასთან შედარებით, უფრო დაშორებულია („ქლიბი მისა ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ მ ა და გ ა ა ქ ც ი ე ს“; „დასემია თ ა თ რ ე ბ ი და წ ო უ ყ ვ ა ნ ი ე ნ“).

29. გურული ინტერესს იწვევს თავისი მრავალფეროვანი ლექსიკითაც.

30. ენობრივ მიმოხილვას თანდართული ტექსტები, რომლებიც წარმოდგენილია მეტყველების ნიმუშისათვის გურიის რაიონების მიხედვით, საყურადღებოა შინაარსითაც.

Г. М. Имнашвили

Гурийский диалект грузинского языка

Р Е З Ю М Е

Гурийский диалект грузинского языка заинтересовал многих исследователей. Сведения об этом диалекте найдутся с XVIII века, а языковой обзор и обширный словарь с тридцатых годов XX века.

Среди других диалектов грузинского языка гурийский занимает важное место. Он характеризуется, с одной стороны, сохранением архаических форм, а, с другой стороны, сравнительно быстрым развитием языковых явлений.

В гурийском, вместе с особенностями, возникшими на собственной почве, явно замечаются заимствования, полученные в результате исторического прошлого, и явления, вызванные влиянием аджарского и имерского диалектов грузинского языка.

В труде дана история изучения этого диалекта и проанализированы фонетико-грамматические и лексические особенности гурийского диалекта на основе материалов, записанных автором на месте, и непосредственных наблюдений над живой речью. Учтены также опубликованные гурийские тексты и художественная литература, отражавшая особенности этого диалекта.

К исследованию приложено большое количество текстов, записанных автором на месте, вызывающих интерес и своим многообразным содержанием.

Тексты снабжены словарем, в котором разъясняется лексика, неприсущая современному грузинскому языку.

ბურული ტექსტები

ოზურგეთის რაიონი

1. ნატანები უწინ

ჩვენი ქალაქი იყო შეკვეთილი. მანქანაი შემოდოდა — დიდვანი სა-
ნდლები. კაციც იმით გადახადენ, სადაც ბარახოთი იყო გაჩერებული, იქინეი.
ყორიფელი საქონელი შემოქონდა შეკვეთილში თათრეთს, ბერძნეთს. მევი-
დოდა სოფლიდან ხალხი და იყიდდა, რაც უნდოდა. შეკვეთილში დუქნები
იყო და ვაჭრები ყიდულობდენ ჩამოტანილ საქონელს.

ნატანები უწინ იყო ტყეი და უძახოდენ ჭიშკილკანს. მაგი იყო გუჟუვალი
ტყეი. აქიდან შეკვეთილამდი გზის გაყვანაზე ოზდახუთი დღეი იმუშავა კაცმა,
რომ გეიჩეხა ფენის გზაი. ორი დღეი უნდებოდა კაცს ჩასვლა-ამოსვლა. ერ და-
მეს იქინეი გაათევდა. ღამე კვერ წამევიდოდა, გელი შექამდა. მარტუა ერთი
კაცი ვერ წევიდოდა, ეშინოდა წართმვისაც და ნადირისაც.

მერმე შეკვეთილიდან შოშე გზაი გევიდა ქახვათის წყალზე, მერმე გევი-
და ბოგილას წყალზე და წევიდა ოზურგეთში.

კინიგზაი რომ გევიდა და ნატანები როცა დაარსთა, ნატანებიდან შოშე
გზაი გევიდა და შეუერთთა ბოგილაზე ოზურგეთის გზას.

კინიგზაი რომ გევიდა, დიდი ამბავი იყო აქანაი. ქალი და კაცი ყველაი
ჩიოდა: — რა მოგვესრა აიო. მატარებელი რომ მევიდა, მატარებელს ჩამოხვა
ნიკოლაზაი და მისი ცოლი. აქანაი გაჩერდა მატარებელი, გადმეიარა მეფე,
გადმოხვა ქალი მისი. მივიდა ხალხთან ახლო. ხალხმა საჩუქარი მიაწოდა.
ერთმა კაცმა მეიტანა შვიდკოტიანი სიმინდი და ანახვა. ხეხილებიც მეიტანეს
და დადგეს სტოლზე. მეფის დასანახვათ გასაყიდი საქონელიც დააწყვეს სტო-
ლებზე. თავადიშვილები მივიდენ მეფესან და ისაუბრეს, ვაჭრებიც მივიდა.
ვაჭრების ცოლეთს ეცვა აბრეშუმის კუდიანი კაბები. მეფის ცოლს კი ეცვა
თიფთის კაბა. მეფემ აი ხალხი დაათვალიერა და მერე წევიდა ბათუმში.

მე მაშვინ ბალანაი ვიყავი, ვიქნებოდი ათი ან თერთმეტი წლის.

მიორე დღეს თავადიშვილებმა დეიბარეს მამასახლისი და სოფლის თა-
ვი კაცები: — გზაი უნდა გეიყვანოთ სოფელ მიქელგაბრიელშიო. მაშვინ იყო
მიქელგაბრიელის საზოგადოება. მიქელგაბრიელის საზოგადოებაში შედიოდა
ახლანდელი ნატანები და შრომა.

ნატანეფში მაშენ იქნებოდა სამასი კომლი, ახლა იქნება ათას ექვსასი. დასახლებული იყო სამხტოში, შავაში, ლეკურაში და საკუბრეში.

სამხტოში ეკლესია იყო. მიქელგაბრიელშიც ეკლესია იყო (შრომის თემშია ახლა შესული). შავაია დანაწუავი, თელათ გაშავებული იყო. იმიზა დიეთქვა შავაი. ლეკური დიდი ხნის სოფელია. რეიზა უძახოდენ ლეკურას, არ ვიცი. საკუბრიაში კუბრია. კუბრია მოდიოდენ სხვა სოფლიდან და მიხონდენ კუბრი, გუდებიზა მიხონდენ, ჭურებიზა მიხონდენ, ურემიზაც მიხონდენ. ურმის ლილვზე უსეამდენ და ლილვს არ დაწვიდა.

სოფ. ქვემო ნატანები

2. საზიარო ხატი და ჩვენი სოფელი ძველათ

სამი ძმაია მოსული ამ სოფელში. მაგინი მოსულა აქარიდან, ქობულეთის რაიონიდან, ხუცუბნიდან. ერთიმიორეში დუუწყიან ლაბარიკი: — იქიდან წამუედით, მარა საზღვართან მაინც ახლო ვართო. ერთი გაჩინებულა: — მე ამას იქით წამსვლელი აღარ ვარო. გაყოფილარიან მაშენ და ერთი ძმაი წასულა ასკანაში, მიორე — საჩინოში. მესამე აქანაი დარჩენილა, ამ არდგილზე. საჩინოეს მჟავანაძნეფს, ასკანის მჟავანაძნეფს და ამ სოფლის მჟავანაძნეფს საწირავი ქონდენ ერთი, ზედობნის ეკლესიაში. ჩვენი ხატი იყო თავარანგელოზის ხატი. აი ხატი იყო იქიდან გამოტანილი. იმიზა იყო საზიარო.

ჩვენი ხალხი რომ მოსულა, აქანაი ყოფილა ტყეი. დუუწყიან სამოსახლოეს გამოკაფევა. ბარჯეფს დაასობდენ და შამოლობავდენ წკნელით. ზეიდან დახურვიდენ ისრით ან ჭილოფადთ. ამოლებული ისთე იყო, რომ სინათლეს ვერ დენახვიდი შით, დაბწნილი შკერის წკნელით. შელესვა არ იყო მაშენ და არც უნდოდა შელესვა. ქარის ხმას სა გეიგონებდი! სულ ტყეი იყო, ქარი არ იცოდა. ყინვა არ იცოდა. ყინვა, რომ გატილდა, ახლა დეიწყო. საქონელიზა ზამთარში ბინა არ იყო საჭირო. იყო ქალტაში სადამოს ზამთარშიც და ზამფხულში. დღეი ტყეში იყო და ბალახობდა. ბალახათ იყო თლა ყორიფელი, სა იყო აბა ბალი მაშენ!

ღამე საქონელს გარეთ ვერ დავტიებდით, გელი შექამდა. გელი ბრეული იყო. დღე რომ თავის დროზე არ მოგენახა საქონელი, მიორე დღეს შექმულს ნახვიდი. ვერული ღორიც იყო ამ ტყიეფში, ყანიეფს ქამდა. ცვიდენ ყანას ღამე, დიეცენ უნდა, თეარა ღორი ანადგურებდა.

შველიც ყოფილიყო ბრეტლი. შველი ბალახობდა ტყეში. შველი ზიანს აფერს არ იძლევა.

ამ ტყეფში ყვალა სოის ხეი იყო: მუხა, წაბლი, წიფელა, თხემლა, წყავი, თხილი, ცხემლა, ცაცხვი, თელამ, ბჟოლი. ურთხელაც (||ურთხელამც) კი იყო. ტყიური სხალიც იყო. პანტა ვაშლიც იყო. ტყიურ სხალის პანტა სხალს უძახოდით.

ურთხელამს მასალას სახს უკეთებდენ ბოკონათ. ურთხელამს ბარჯგუეს ჩაყრიდენ მიწაში და მუუტენიდენ მიწას ძირში. მიწაში არ დაღებოდლა. ნალიემს ბარჯგებათაც ხმარობდენ. ცემენტი სა იყო მაშინ!

სოფ. შრომა (ვაკე)

3. მიქელგაბრიელი და ჩენი გვარი

ამ საზოგადოებას მიქელგაბრიელი ეთქვა. იყო ამ მიქელგაბრიელჩი ხატო და იმას ეთქვა მიქელგაბრიელი. ამ თემს იმიზა აქ მიქელგაბრიელი თავიდგან.

მიქელგაბრიელჩი ჩენი გვარი არ იყო. ჩენი გვარი ჩამევიდა აცანიდან. სანამდი რევოლუცია მოხდებოდა, ჩვენ სალოცავი იქინე ქვონდა.

იქინე მივდიოდით სალოცავათ. წვეიყვანდით ხარს, ვაცს, მამალს. შამოგვარებდენ თავზე მამალს, ვაცს, მოზვერს. თუ მორჩებოდა ავანთტყოფი, წვეიყვანდენ, რაც შამორებული იყო, იმას და დაკელიდენ იქინე. მეიყრიდენ აი ხალხი თავს და იქეიფებდენ, ხატს ფარას შეწირვიდენ. მერე წამევიდოდენ.

ყოლოთვინ კარ წვეიდოდენ, წელიწათში ერთხელ წვეიდოდენ, მთავარანგელოზობას უძახდით ჩვენ, მაშინ წვეიდოდენ. თავარანგელოზობა იყო გიორგობისთვეში.

აქანამც იყო სალოცავი. აქანამ ხონდენ მიქელგაბრიელის სალოცავი სხვადასხვა ხალხს გვარობით, მარა ჩენი კარ იყო. ჩენი გვარი იყო ჭაყელის კაცი. ჭაყელი იყო ჩენი ბატონი. რავარც ღარიბი ბატონები, მაგინს მეტი სისასტიკე ხონდა. ძალას გვატანდენ, ბრეტლ უნდა გუმუშავია, რომ კაი ცხოვრება შეიძინა იგინს ამ ჩენი მუშობით. ჩვენ გაქვირებაში ვიყავით, ვერ უძლებდით. ტანჯი ბრეტლი ხონდენ. საჭმელი ნაკლები ხონდა. ტანზე არ გვეცვა, ფეხზე არ გვეცვა. იძულებული იყო ხალხი, გაქცეოდა მას. ჩვენ თავს ვიხსნი-

დით, ფარას ვაძლევდით, მარა ბატონი მიწას არ გვაძლევდა და იძულებული ვიყავით წაესულიყავით სხვა ბატონთან. მივდიოდით უმფრო დიდარ ბატონთან. მიელაპარაკებოდენ სხვა ბატონს. მერე გამეიპარებოდენ იქიდან და მევიდოდენ ამ ბატონთან. აი ბატონი სანადგლოთ აძლევდა უმფრო ნაკლებ ფასეფში მიწას. ჩვენ პატივს ჭცემდით. ერთი დღეი დათქმული ქვონდა, ქათმის ფერხვას უძახოდით, იმ დღეს მუუტანდით ბატონს ძღვენს: ხაჭაპურეფს, ღორის თავს და საჭიქიოს (იმ თავის წანაქარია სა-ჭიქიო, ყველაზე კაი ხორცია), ნასუქებ ქათამს, ბატს, ინდოურს მუუ-ტანდით. ბატონი კამპანიას გაგვიწყობდა. ვადღინძელებდით პირველად ბატონს, მერე ხენწიფეფს ვადღინძელებდით, მერე ბატონის ცოლ-შვილს და მივხობოდით ასთე.

ჩენი გვარი წამევიდა აცანიდან, ორი დედ-მამის შვილი. ერთი დედ-მამის შვილი დადგა ხრიალეთში, მორე დედ-მამის შვილები — ზემო ხრიალეთში, ჭინურის არემარეზე.

აქანაი იყო იმფერი ტყეი, რომ თვალს ვერ უუსტვენდი: წაბლი, მუხა, ცაცხვი და წიფელა ბრეტლი იყო. ამას რომ გავკაფდით, ერთი ქცევა გვეყოფოდა. ერი ქცევა კმაროდა ხარჯათ. ასი ფუთი სიმინდი და ღომი მოდიოდა. უყი მიწები იყო და იმიზა მოსავალი ბრეტლი მოდიოდა.

ჩვენ ფაცხაში ვიყავით მაშენი, იმდენათ ღარიბი ვიყავით. ღომის ჩალას გავაკეთებდით ქვეშ საგებათ. ღომის ჩალა ქვონდა ბაწრით ახსმული. ცებთან აქიდან-იქიდან დევიგებდით. დაწოლის დროს დავლევდით ჩხავერს. მერე გამთფარიც ქე ვიყავით და ყორიფელი. ცებლი ღამე იყო დიდი. ჭინკეფს ეკიდებოდა გათენებამდი.

მაშენი წამალი არ იყო. თუ ბრუის სხმაი ექნებოდა კაცს, იმას სისხს გამუართუმდენ საპურხაოსან ან ცხვირში და ჩაქრებოდა იგი. მერე შამოვიდა განათლება. მერე თანდათანობით გევიგეთ ყორიფელი.

პირველათ გაშენდა ხეხილები, მერე გაშენდა ვენახები. მერე შამევიდა ჩაი. ჩაი პირველათ აქანაჲ მიშა ნაკაშიძემ შამეიტანა, საფრანგეთიდან მეიტანა.

მერე თანდათანობით მეიტანეს ღომონი, ფორთოხალი, მანდარინი.

ღომონი, ფორთოხალი და მანდარინი პირველად ნაკაშიძემ შამეიტანა. საფრანგეთიდან მეიტანა. იგი იარებოდა საფრანგეთში და მოქონდა იქიდან ამფერი ჭიშიერი ხეხილები და რგავდა მის ბახში. ჩვენ გვეხვეწებოდა: — წეილეთ, დარგით თქვენ არდგილჩიო.

ყველაზე წინ ნაკაშიძიდან წამეილო და დარგა კირილა ჩხაიძემ. ჩვენ

მერე გადვიტანეთ, ხალხმა, და დავრგით. ჩვენ ვრგვიდით (||ვრგავდით) არშინ-ნახევარში სიგანეზე.

ყინვამ გაგვიხმა, მარა მაინც არ დავანებეთ თავი.

სოფ. შრომა (ხრიალეთი)

4. ცხემლისხიდი, უჩხუბი

ცხემლისხილზე იყო გადობილი, ნატანებზე, ცხემლამს ხიდე. ნატანები იყო ჩავარდნილი ერ ადგილზე. ამ წყალს განი არ ქონდა. გადვეს ცხემლამს ხიდე და დიეთქვა ცხემლისხიდი.

ამ წყალში იყო თებზი კალმახა. დავაყრიდით ნაყას. ნაყას დავნაყვიდით ანწლშერეულს და დავაყრიდით წყალს სათავეში. თებზეფს დიეფსებოდა თვალები და პამპალობდა იქით-აქეთ კიდეებზე. მერე დევიწყებდით თემზობას. ჩევიდოდით წყალში და თემზეფს ვყრიდით ხმელერთზე. დიდვანი თემზი რომ გამიერეოდა, ბატონს მიქონდა. პაიწვანები ჩვენ მოქვონდა (||მოგვექონდა).

ამ სოფელში ყოფილა ჩხუბიანი ხალხი. დღეობა ვიცოდით მანამდი, ივანობა. ამ ჩვენ სოფელში რომ ჩამეიარდა კაცი, ყინყლს უზამდენ, ეყინყლავებოდენ, გალახვიდენ და გუუშობდენ. ამიზა დიეთქვა ამ სოფელს უჩხუბი.

სოფ. ცხემლისხიდი (უჩხუბი)

5. გოგორეთი ძველათ

ამ სოფელს ქვია გოგორეთი. გოგორეთი იმიზა ქვია, რომე აგრუებდენ გოგუფეს. რაფერც გოგუფეს, ისთე პაწა ბიქვესაც აგრუებდენ.

გოგუები უმფრა ძვირი ღირდა. რომ მევიდოდა მყიდველი, იკითხავდა: — გოგო რეთია? — მერე დუუძახეს გოგორეთი.

აქანაი არის ნაჯიხურალი, ჩემს ეზოშია. როცხა საშიშრობა იყო, ბაღ-ნეფს აგრუებდენ ჭიხურში ღამის გასათევათ, რომ არ მიებარენ ბაღნები.

ამ ჭიხურს ყოველ კედრიდან ხონდა კოდმე შამორებული. ასავალი ერთი ხონდა. იქინეი იჟდა ყარაული, იცავდა ბაღნეფს, დღეი ვადიოდენ სამუშიერთი ხონდა. ბაღნებიც თან მიხავდენ. ბაღნებიანი კაცი ღამეს მის ქოხში არ ათევდა.

ჭიხური იყო აშენებული როხიდან. გვალი ხიები (||ხეები) იყო ერთქამეტზე დაშენებული. თავეფს ამუუქრიდენ ხეფს და დააწყობდენ ერთიმერთზე. სისკე იქნებოდა სამიდან ოთხი ვერშოკამდი. ტყვია ვერ შიატანდა შით.

მაქახელა თოფი იყო, გვალი ტყვიებით იტენებოდა. ჭერემ წამალს ჩაყრიდენ შით, მერე დაადომდენ ზეიდან ბეზს (ბეზი დახოული ჭინჭია), მერე დაადობდენ დაურჯაკეში (ტყვიის კალაპოტში) ამორებულ ტყვიას. მერე კიდომ დაადობდენ ბეზს მაღლიდან, დაატენდენ საბეზავით ზეთ. ფალიაში წამალს ჩაყრიდენ და წაახურვიდენ სახურავს. საკვესავში ჩადობდენ კაქს. როცხა დაშქირდებოდა სროლა, შეწკიპვიდა ჩანმასხს, გამუშულიდა ფეხს. კაქი გააჩენდა ნაპერწკალს, ცეხლი გუშუჩთებოდა წამალს და გავარდებოდა თოფი. ტყვია როხს გაშქრიდა ორი ვეარშოკის სისკეზე, მეტი ძალა არ ქონდა.

აქანაი ხშირათ ჭურეფს ამუაჩენთ ჩვენ. ჭურში ვნახულოფთ ყურძნის კეკალს (||კაკალს). ბზეი დახედავს, გაშავდება.

ჩემს ბალნობაშიც ამ სოფელჩი ბეჭური იყო ყურძენი. იყო ჩხავერი, ტევანდიდი, ადესაი. ჩხავერი და ტევანდიდი ახლა გადაშენდა. ადესაი ახლაცაა შამორჩენილი პაწაი.

ბალნობაში, როცხა მე გიდელს უცლიდი, მახსოვს, ვრი კაცი ვრ დღეს ვრ ხეს ვერ კრეფდა, იმდონი იყო ყურძენი ზეთ; მიორე დღეს ევიდოდა, მოკრეფდა, გაათავებდა იმ ხეზე ყურძნის კრეფას და ევიდოდა მიორე ხეზე. ერთი ძირი ხიდან ჩამევიდოდა თორმეტი-თუთხმეტი ფუთი ყურძენი, ჩხავერის ყურძენი.

ამ ყურძენს ქნებდენ ფეხით საწნახელჩი და ღვინოთ აქცევდენ. ჰაჰა რომ დარჩებოდა, იმას ყრიდენ ზეთ. არაყს მაშვინ არ ხთიდენ.

ამ ჩხავერს ვრთ ჩაის სტაქანს რომ დალევდი, საბანი არ გინდოდა თელ ღამეს, ისთე (||ისე) მიდიოდა ძარღვეფში აი ღვინო. მაგარი ძალა ქონდა.

ჩემ ბალნობაში სტუმრიზა ღომის ჩალა ქონდენ შენახული. ღამე რომ მეიცდიდა სტუმარი, დუუგებდენ სკამლოგინაზე და დააწვენდენ ზეთ.

შინაურს სიმიინდის ჩალა ქონდა დასაწოლათ. ზეიდან აფერი არ ქონდა, ჩხავერის დანალევი იყო და ქი იყო გახურებული. შუა ცეხლი იყო დანთებული. ორი მეტრი სიგძე ქონდა ცეხს. ცეხლი გუზგუზებდა, სულ იყო.

სტუმრის გასართობი იყო ზღაპარი. ხენწიფესო ნოხი ქონდაო, დაჟდებოდა ზეთო და მიორე ხენწიფესან დასმიდაო. მერე დაჟდებოდაო და გადმოფრინდებოდაო მის ბინაზეო.

ახლა აი ზღაპარი სინამდვილეთ გადიქცა. ახლა ჩაჟდება ხაეროპლანში კაცი და გადაფრინდება მიორე სახენწიფოში.

ტანსაცმელი არ იყო. ჭვარისწერაზე ადიოდენ ძველი ქალაბნით. ახლო რომ მივიდოდენ, გეიძრობდენ იმას და ჩეიცმიდენ ახალ ქალაბანს. სანამდი არ

ჩეიციმიდა, წელჩი ქონდა გამოკეტებული.

ძველათ თლათ ტყეები იყო. მოსახლიდან მოსახლობამდი ქრილი იყო გაყვანილი. ტყეი იქრებოდა და წვიტი გზით მიდიოდენ ერთიმეორესან.

თათრულ ჩონა-შარვალს უძახოდენ. შარვალი გძელტოტიანი იყო და ფართოუბიანი. ტოტი წვიტი იყო, სიგძე ორი არშინი ქონდა. იმ ტოტში გუუყურიდენ ფეხს და შეკეცდენ. ჩაქურას უძახოდენ ამას. ერთი ჩონა-შარვალი იყიდა მამაჩემა. რომ დაშვირდებოდა ვინმეს, ათხუებდა. მამაჩემის ჩონა-შარვლით ხუთმა კაცმა მეიყვანა ქალი.

ქალფეს ტყეჩიანი კაბები ეცვენ. სახტარზე მაგით დადიოდენ. თავზე თავსაკრი ეხურა. პირზე შავი ლაჩაქი ქონდა ჩამოფარებული. თვითონ დაგინახვიდა, მარა შენ ვერ დეინახვიდი.

სოფ. გოგორეთი (მერიის სას. საბჭო)

ნ. გოგორეთი

ჩენი ბაბუაის მამას ღდელი მიეკლა აცანაში. მერე იგი გამოქცეულიყო იქიდან და აქანაი ხიზნათ დამალულიყო ქარცივაძესთან. დუუწყეს ძებნა, მარა ვერ მიაკლიეს. ამ კუთხეში თავი შეიფარა და დეიწყო მუშოობა. ახალგაზდა იყო, რომ გამეიქცა. ქალი არ ხავდა. ამ ხიზნობის დროს მან შეირთო ქალი. შეიძინა სამი ვაჟი: სოფრომ, ენუქა და ანტონ.

ანტონ და ენუქაი ერთქამეთთან კაი განწყობილებაში ვერ იყვენ. ენუქა ავიც იყო. იმას არც ქალი მუუყვანია. სოფრომმა მონასტერში წვევიდა ხუცურის სასტავლათ. შეისტავლა ხუცური და ღღლათაც აკურთხეს.

იმ სოფრომის შვილი პირველი იყო მამაჩემი რემანოზი, მეორე ძმას ნანიკო ქვიოდა, მესამეს — გირგო, მეოთხეს — ლარვენტი. ერთი დას ქვიოდა ქეთეთი, მეორეს — ეფემია, მესამეს — სონია.

ხიზნობა იყო მაშინ: თუ თავს ვერ მეიყრიდენ ერთათ, ღამის გათევა ეშინოდენ. ხიდგან გაკეთებული იყო გათლილი ხიები, მუხისსაგან, ტყვია შით ვერ შიატანდა, ჭიხურს უძახოდენ. დარაჭობდენ შით კაცები, მაჭახელა ქონდენ.

თათრეფს ტყვეთ მოხავდენ ბაღნები. უმფრო მეტ ფულს აძლეედენ, ციცი თუ იქნებოდა. თავს უყრიდენ მოპარულ ბაღნეფს ერთ არდგილას. იმ არდგილს დეთექვა გოგორეთი. ბაღნეფს ბურთი ქონდა ჩადობილი პირში, რომ არ ეყვირა. ზოგი მათგანი კიდვაც იხჩობოდა გზაში.

აქაური ხელმწიფობის საშუალებით ხთებოდა ასეთი ამბავი. რომელიც ფულის მიმცემი იყო, იკითხავდა: — რამდონია ციციანო და რამდონია ბიჭიო. ფულს მიცემდა. იმას რომ ხავდა ხლებლები, წევიდოდენ და გააქროლებდენ ბაღნფეს, დალალი არ გახზობოდა იქინე. რომ გახზოლოდა, ვინცხა დეინახვიდა და იცნობდა.

იმ არდგილს ახლაც უძახიენ გოგორეთს. გოგო ორი წილი და სამი წილი მეტი ღირდა. იკითხავდენ: — გოგო რეთიაო? — დუთუთველათ მიხავდენ. გოგორეთში გამოქვავებული კტე არის. ახლაც ნახულოფს იმას ხალხი და ასე იყო, იტყვიან. ასავალი არაა კაი, გლახა ასავალია, მუჟვავალი ადგილია. მარტო ნატანებიდან კ'არ მიხავდენ, მიხავდენ სხვა სოფლებიდანაც. ბუდე იყო იქინე. იქინე საკმელიც ქონდენ ბაღნებიზა.

აი ვიცი მე ჩემი ძველების გადმოცემიდან. ორასი წლის ამბავი იქნება. იი გიხური ახლაც არის. ნაგახით არის ჩაქრილი დათლილი ხიები.

თითო ძირი ხიდან არის გათლილი თითო ხე, გული დარჩენილა და გარსი ამოღებულა.

სოფ. ზემო ნატანები

7. კონჭკათი და მისი ტყევი ძველათ

ძველათ აი ყვალაჲ ერთი იყო. ეთქვა ხვარბეთი. სოფლებიც შედიოდა: კონჭკათიც, გოგორეთიც, მერიეჲ, ხვარბეთი. ხავდა ერთი მამასახლისი. ოთხი პოპოშნიკი ხავდა. რომდონი სოფელია, იმდონი პოპოშნიკი ხავდა. ერთი იასაული ხავდა. კლასი იყო გოგორეთში. ბაღნები ფეხით დადიოდენ ფენშველაჲ. უბედური გზაი იყო. ტალახი იყო, ეკალი იყო, ბარდი იყო. რომ დაღამდებოდა, კაცი ვერ გვიარდა. ნადირიც იყო მაშვინ. საქონელი რომ დაქჩენოდა გადაღმა, შენი არ იყო. ნადირი შექამდა.

დილას დაქხთებოდა ტყავი და თავი. ნადირის ნაჭამაჲ ხორცი არ იქმოდა. ახლაც არ ვკვამთ ნაქორულს და ნატურალს.

გუმბრაჲ ბეჭერი იყო. საძროხე გუმბრაჲთ იყო დახურული. ქერამინს სა ნახვიდი! მაი არ იყო სულ. იყო ისრი. ისრით სახლს წიხურავდით. ტყევი კი იყო, მაგარი ტყევი იყო. ამ ტყეში იყო: თხმელაჲ, წიფელა და ცხემლაჲ. აკაციეჲ (||აკაცია) არ იყო. შვერი იყო, ურთხელა იყო, ლუჯუმხა იყო, ბზაი

იყო, ცაცხვი იყო, თელაძე იყო, კობიტი იყო, მუხნა იყო, წაბლი იყო. ნაძვი არ იყო.

ამ ტყეში იყო: ძმერხლი, ეკალი, ბარდი, გუმრად, ანწლიკაძე, წყერისფეხი იყო, ტრიედაკუდაძე, ბურჩხაძე, ქასრად, კლარტაძე.

ქასრად ისრს ჩამოგავს, ნაცრისფერია, ისრივით ფურცელი აქ, ზოგან-ზოგან არშინსაც გვიზღება. საკაკლე კატარს რომ ამეიღეფს, მერმე უჩთება ღერი, გადაშობილი ფურცელი აქ წვიტ-წვიტი. მარხვილი ფურცელი აქ, ენას შპრის ჩვილ ხფოს. წვიტ-წვიტი ფესვები აქ ღმათ მიწაში.

მიწას აფუქეფს, ნაყოფს ართუმს. უყვარს შრალი მიწა. მერეშიც აშუაღა ზაგანში.

გვეღა ისრით დახურული ქუხნა, ჯორკო ქვონდა შით. ლოგინებათ ფიცარი იყო. საწოლათ ჩალა იყო. ერი ქალაბანით თორმეტ ქალს მეიყვანდენ. შორ გზაზე რომ მიდიოდენ, გეიხთიდენ და წელზე ჩამეიკიდებდენ, არ დამიდტესო.

მერე სტავლა შამევიდა, ხალხმა სული მეითქვა. მერე ოდაც კი გააკეთა ხალხმა, ხარიც გამოზარდა. ეზოც გააშენა (ჩაი არ ყოფილა იმ დროში).

სოფ. კონქკათი (განთიადი)

8. ჩენი სოფელი ჟანაურია

ამ სოფელს უძახიან ჟანაურს. გამიგონია ვინცხაიდან ძველათ: — იმიზა ქეია ჟანაურიო, რომ ნაჟამუარია ძველათო. ჟამი გაჩენილა და მომსპარა ხალხიო. მერე ხელახლა გაშენდა ხალხიო. გამიგონია: — უალაგო ალაგას კენაწილები ახლაც ყრიაო; სამქედური ყოფილაო და კენაწილები დაცვენილაო.

ჩვენთან ახლოს არის ნაგომარი. ნაგომარს და ჩვენ გვაქ ერთი კოლექტივი. იმას ნაგომარს იმიზა უძახიან, რომ ყოფილა გომი ძველ დროში. მერე დუუძახეს ნაგომარი.

ნაგომარი უმფრო ცენტრი იყო ყოველთვის. ჟანაური არ იყო ცენტრი, უბანი იყო. ახლაც ნაგომართან გვაქ საქმე. იქინე ვყიდულოფთ ყორიფელს, რაც დაკვირდება ოჯახში. აქიდან ნაგომარამდი არის ორი ვერსი. ახლა კი გზაა. უწინ ბალოთები იყო. დავდიოდით კოჭამდი ტალახში შამთარში. შამფხულჩი, თუ გვალეები იყო, გახმებოდა ტალახი და ვიარებოდით გამხმარ მიწაზე, თუ ქყიქორი იყო, დავდიოდით ტალახში.

აქანე იყო გვიმბრა და ბარდი. გელები და ტურები ბუდობდა.

გვიმბრა და ბარდი მოვცელეთ, დავწვით; შემდეგ დავბარეთ და დავამუშავეთ ჩაის სათესავ ნიადაგზე და დავთესეთ ჩაი. მგელი გაქრა, აღარაა. ტურები ეგერ-აგერ კიღომაა დარჩენილი. იმალება გამოთხრილ მიწაში, ღარდღეში.

თავრობამ მოქცეა ჩაის კეკალი და მიწის გაბარვაში კიღომ ფარას გააძლედა. გავაშენეთ ჩაი. შემდეგ ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა და ჩაი გავაერთიანეთ. მოცემული სესხი აღარ მუშუთხოვიან. ჩაი იყო ერთათ და ნაღურათ მუშუობდით. ზოი კარქა მუშუობდა, ზოი ზარმაცობდა, გერგილობდა. კას მუშასაც უტრუვდებოდა გული. მერე გაგვიპიროვნეს წევრეთს ფართობი ჩვენ-ჩვენდა, ახლა ყველამ კარქა უნდა იმუშაოს. გერგილმაც უნდა შეინდომოს და კარქა იმუშაოს, თვარა ქი წააქდება თავზე აი გვიმბრა და ბარდი. ახლა ხალხი უმფრო ხალისიანათ მუშუოფს. შამოსავალიც მეტია. უწინ გამოდიოდა შრომადღეზე სამ მანათამდე, პაწე ხან მეტი იყო, ხან — ნაკლები. ახლა გამოდის ნორმადღეზე ოცი მანათი; ხან კიღომ გადააქარბა პაწე.

სოფ. ქანაური (ნაგომრის სასოფლო საბჭო)

მ. ჯიხური და მაკივარი ქალი

ჩვენ გვაქვს ოჯახში ჯიხურზე ნამყოფი ფიცრული სახლი. აი არის ნამყოფი ჯიხურათ. საცხა აი სახლი იდგა, იმ არდგილს უძახიან ნაჯიხურალს.

საქართველოში მოდიოდენ თათრები, იტაცებდენ ახალგაზრდეთს და მიხავდენ ტყვეთ იგინი.

ამიზა სადარაჯოთ გამოყოფილი იყო სოფლიდგან მცველები. აგინი იყვნენ ჯიხურში და ხავდენ მაკივარი ქალი. აი ქალი იყო მცველთან ჯიხურში. რომ გეიგებდენ, მოდიან თათრები თავდასაცემათ და წასაყვანათ ტყვეებისო, აი ქალი იკივლებდა, რომ გეიგებინებია სხვა სოფელჩიც. სხვა სოფელჩიც იყო ამისანა ჯიხური და ხავდენ მაკივარი ქალი. იი ქალიც იკივლებდა და გეიგებდა იგინი და გამოგზანადა მადევარს, რომ გეიდევნენ ტერი.

ბაბუაჩემის მამა იყო ღამის სათევში წასული ავათყოფთან. იქინე იყო კიღო ღამის მათევარი ხალხი. უთევდენ ღამეს ახალგაზრდებიც და მოხუცებულებიც. იმ ღამეს თათრები დასცემიან ამ ოჯახს. მოხუცებულები დუკლავენ და ახალგაზრდები წუჟუყვანიან ტყვეთ.

ამ ხალხში იყო ბაბუაჩემის მამა მოხუცებული. ბაბუაჩემის მამა და სხვა მოხუცებულები, ვინც იყო, დაკლეს.

10. ხრიალეთი ძველათ და ბაღნების წაყვანა

აქანაი ყოფილიყო უვალი ტყეი. ამ ხრიალეთში ყოფილიყო მარტო შვიდი მოსახლე. გააპობდენ ცულთი ხეს და დააშენებდენ. უმბრავლესობას ფაცხები ქონდა. წამბლის მასალას ძნილობდენ. ბილი იყო წაბლი ცულჩი. ლუკუმხის სარს დაასობდენ მიწაში და მოლობდენ შეკრის წკნელით და შამობურდნავდენ ღომის ჩალით.

ქი იყვენ ასე: სეინი არ იყო, სტაქანი არ იყო, ქვეშაგებელი არ იყო, ნაფთი არ იყო. ფიცრის ურეში იყო. ხეს გააპობდენ და გათლიდენ იმას და ქი იყო. შამუუქედელი ყოფილიყო. ჩალდაყი იყო და არკაპი არ ქონებოდა, წირეხთ იყო მიმბული უღელზე და წეილებდენ სიმინდს შეკვეთილში. მეტი ბაზარი არ იყო აქეთ.

გამოკაფდენ პატარა მიწას და დათესდენ სიმინდს. კაი სიმინდი მოდიოდა. საქონლები ხავდენ. ყველი არ იყიდებოდა მაშინ. ყველს ვინ იყიდდა! წევიდოდა და აგერ მოკვლიდა ვერულ ღორს, მეიტანდენ და ჭამდენ. ყოფილა სულ კრიბუქი. კრიბუქები კეთდება სუროის ყვაილიდან და ბზაის (წბზის) ყვაილიდან. კრიბუქები იყო ღრუიან ხეში, უმფრო ცაცხვის ხიფეში.

ამ შვიდ მოსახლეს ყოველ ორ დღეში თავი უნდა მიეყარა. უნდა გაკეთებულიყო მორიგობა. ყოველ ორ დღეში უნდა იერჩიენ ახალი მორიგე. რომ თათარი მევიდოდა ბაღნების წასაყვანათ, მორიგეს თოფის სროლა უნდა იეტეხა. თოფის სროლას რომ გეიგონებდენ, ყველაჲ წევიდოდა დასახმარებლათ კაჟიანი თოფით. ზოგს დაატეიბებდენ და ზოგს ვერ დაატეიბებდენ.

მერმეთ გამბრავლდა მოსახლობა. აი კაჟიანი თოფის ხმაი ყველას ვერ უსტობოდა. მერმეთ გამოუარჩიეს ამ თემში უმაღლესი არდგილი. იქინეჲ ჩამოკიდეს კოპიტის ხმელი ძელი, დააყენეს კაცი. რომ გეიგონებდა კივილს, დაქვრიდა ძელს. კოპიტის ხმელ ძელს მაგარი ხმაი ქონდა. რომ გეიგონებდა ხალხი იმ ხმას, წევიდოდა. იცოდა, რომელი გზით უნდა წასულიყო. კრილი ერთი იყო. თათარი რომ მითხებოდა, გზაი დაკავებული მაქო, გადიყვანდა ბაღანას განში და ააკრავდა ხეზე: — მერე მუაკითხავ და წევიყვანო. თუ მალე ვერ მუაკითხავდა, ქი მოკტებოდა ბაღანაჲ. პირში უდობდენ ბულთს ან პლარტუქს, რომ არ ეკივლა და არ წევიყვანა ქირისუფალს.

იმფერი ტყეი იყო, რომ მერე ვერც მიაგნებდა იმას თათარი. საკავიე ქეია არდგილს. იქინე კაცი კავდებოდა, ვერ გადიოდა. იმას იქით ურეკია. ვე-

დარ მერიკეს, საკავიამ არ გუშუშვა. მუშურეკელათ დარჩა იგი. სიქამდი საკავია არ დეიწვა და არ გევიდა ხალხი, იყო ურეკი, მუშურეკელი ტყვი.

დედაჩემი იყო ასი წლის, რომ მოკტა. იგი მეტყოდა მე: — შვიდი წლის რომ ვიყავიო, მეზობლისას მივდიოდიო. მიორე მეზობელმა დამხთაო და თათარს მიმცაო. მერმე შუუტყვეს ადრეო და დაატეიბიეს ჩემი თავიო.

აქაური თვარ ხავდა ჩაჩუტი, ისთე რა იცოდა თათარმა, ვინ წიეყვანა.

კიშელა ხომერიკი ყოფილა მაგარი კაძახი. პირდაპირ მიეწია თურმე თათარს. თათარმა ფული აძლია: — ნუ მომკლაო, მარა არ დეინდო. მოკლა თათარი და წამეიყვანა ტყვეი. ტყვეი კიშელამ წამეიყვანა, იყო მეგრელიძის ქალი. მერე გათხოვდა და ეყოლა ოთხი ვაიშვილი, ახლაცაა მისი ბადიშები.

სოფ. შრომა (ხრიალეთი)

11. დედაჩემი, ბაბუაჩემი და თათრები

მე ობლათ დავრჩენილიყავი. ბაბიდაი მყავდა. ბაბიდაჩემა დედაჩემი წამეიყვანა ნაბარებათ ბებურიშვილისას, წამომიყვანა მე, ბაწე ბალანაი, ექვსი თვის ვიყავი. ემსახურებოდა დედაჩემი ბებურიშვილს, აზნაურიშვილი იყო. ქი მზიდენ მე. თრამეტი წელიწადი ვიყავით. მე კლასში შემეიყვანა. ბებურიშვილი უცოლშვილო კაცი იყო, მოხუცებული. უთხრა ხალხმა: — ცოდვაა აი ქალი და ბალანაიო, ამდონი ხანი რომ გემსახურაო. რაცხა მისე უნდა ბალანასო. სამოსახლო მიწა მიეციაო. მომცა ექვსი ქცევა მიწა. გავკაფეთ, გამოვკაფეთ და გავაშენეთ დედაჩემა და მე.

მერე ქალი შევირთე, აქაური, თოიძის ქალი. მუაწყვეთ ოჯახი. მოგვესრა შვილები, ოთხი შვილი მოგვესრა, სამი გოგო და ერთი ბიჭი. ბაღნეფს ვასტავლეთ, რაც შეგვეძლებოდა.

ახლა გამშვენეირებულაი ყორიფელი. აქანაი ამფერი სახლი სა იყო! გზაი სა იყო! ურემი ურემს ვერ შუუარდა. ან ხალხი სა იყო ასთე გამბრავლებული! ეგერ-ეგერ იყო მოსახლე.

ყანიები ქი ქონდა ხალხს, მარა ფარა არ იყო. ფეხშიშველათ ვიყავით ამ ტალახში. კლასიც ფეხშველი ვიარებოდი ბაღნეში.

აქის წყალი რომ გადმეიარდა, ყორიფელს აოხრებდა. ყანიები მიქონდა, მოსახლეებიც წეილო, მახსოვს. რაცხა გზაი იყო, იმას სულ გააოხრებდა.

ამ თავრობამ აქის წყალს გუუკეთა დამბები. ახლა ზარალს ვერ შობა.

უწინ, ნიკოლოზის დროს, კახაკები და პლასტონები მოდიოდენ ჩოხა-

ტაურიდან. აქანაი ახალთაობა იყო. ჩვენი ხალხი დახთენ ნასაკირალზე ნაჯახებით, კაჟიანი თოფებით და ფილითებით. იქინე მოკლეს ჩვენემა ორი-სამი პლასტონი და კაზაკი. მერე წავიდენ იგინი გაკუჭებული. დვაბზუიდან რომ დეიწყეს, დაწვეს ოზურგეთამდი ყორიფელი. ოზურგეთიცი დაწვეს.

კრილოვი იყო მაგინის ხელმძღვანელი. სოფელჩი დაგვიბარა მამასახლისმა ქალიან-კაციანა. გაგვიძღვა ღვდელი ხატებით წინ. ჩაგვიყვანეს ოზურგეჩი და დაგვაფიცეს იქინე, დაგვაჩოქეს. მე ბალანაი ვიყავი, ვიყავი მეც. დაგვაჩოქეს და ფიცი მიგვაღებიეს, რომ არ უღალატეფთ ნიკოლოზს.

მერე გამოგვიშვეს ყვალაი შინ. არეულობა იყო მაინც, არ დაწყნარდა მაინც.

ყანიები რომ ქვონდა, ათ ფუთზე ერ ფუთს ვაძღვედით საყანულს. დაყარეს პრაკლამაციები, რომე არ დათესოთ ყანიებო. მაინც დათესა ხალხმა. შოდა, ჩვეიდენ და ორგანიზაციამ დამე მოცელა. მოცელეს ყანიები ბრეშლი.

ჩოლოქს უძახით ჩვენ, კაი საყანიები გვაქ, უწინ მებატონის იყო — ნაკაშიძნების და ბებურიშვილების. იქინე იყო მაი ამბავი.

ჩემა ბაბუამ თურმე წეიყვანა გოგო ყანაში წყალის მისატანათ, მოსახმარებლათ. მუუხტა თათრები თურმე და მიხავდენ გოგო. ბაბუაჩემა შიებძოლა თურმე. თოფი ქი აქ, მარა თოფთან მისლა უნდა. თოფთან მისლამდი ხანჯალი ქრეს მუცელჩი, გამუყარიებიეს შიგანი. აი ციციაცი ბძოლოფს, არ მიხობა. იფორთხა შიგანგამოყარიებულმა კაცმა და მიფორთხთა თოფთან, ეილო თოფი და ერთი გასწყვიტა წელჩი. მიორე გეიქცა.

მოკტა ბაბუაჩემიცი და თათარიცი. გოგო გადარჩა წაყვანას.

იკივლა გოგომ და მევიდენ მეთალრიები. ამ გოგოს ეპატრონენ, ჩვენი კტარი წამეიდეს შინ ჯალამბერიით. თათარი ჩააგდეს მიწაში იმ ყანაში.

ბაბუაჩემი იყო საყვარელ ჩხაიძე.

სოფ. ლიხაური

12. აი სოფელი უწინ

აი სოფელი უწინ სოფელს არ გავდა. აგერ ტყეი იყო, ეგერ გეინძლი იყო. აგერ გორი რომ არის, იმას ზეზაურას უძახოდით (ახლაც უძახით ზეზაურას). ზეზაურაზე ეკალი და გეინძლი იყო. მერე გოუშვეს ცეხლი და დაწვეს. მერმე დარგეს თხილი. მერმე, ახლა რომ შებრუნდა დროი, ჩაი რომ გამევიდა,

მოთხარეს თხილები და დარგეს ჩაი და ქარსაფარები გუუკეთეს. ერ მიყოლებ-
ბაზე მანდალინა დარგეს.

აქიდან ძუელათ მიდიოდენ ბანმაროში. ამ შარას უძახოდენ სამესხო
გზას ფთის ძირიდან დაწყებული ზეით. ამ შარაზე მუხლამდი ტალახი იყო,
ურემს ვერ გეიყვანდი. ამუართვეს იქით-აქეთ კანაო, იი მიწა დააყარეს შვაზე,
მერე მეიტანეს ურმებით კენჭი და დააყარეს. ყოლო წელიწადს ხრეშავდენ. ახ-
ლა ასვალტია დასხმული.

ბათომში თუ მივიდოდით ან სადმე, ოზრუგეჩი უნდა ჩავსულიყავით
ფეხით ან ურმით. ოზრუგეჩი იყო ფაიტონი ნატანებამდი. ფაიტონი ერ კაცს
ჩეიყვანდა სამ აბაზათ. ნატანებიდან ჩემ მოსრობაში იყო მატარებელი. ბათუ-
მამდი ბილეთი ღირდა აბაზი. მერე სა იყო, ნენავ, გზავრი!

კამბანიეფში სა იყო, ნენავ, სინათლე! ქორწილეფში ქონს გადაადუღებ-
დენ და იმის სანთელს ხმარობდენ. აღუღებული ქონი რომ იდგა, იმაში ჭინჭს
ამუარებდენ ჯანჯუნასავით. რომ გაცივდებოდა, მუუკიდებდენ, ინთებოდა
ქართობილის სანთელსავით.

მერე, ნენავ, გამევიდა ნაფთი. ახლა პირველათ წრუწრუმელა სანაფ-
თიე¹ იყო. აღებული იყო ეფშტის კოლოფი, ძაბრი რომაა, ისთე იყო. გაკეთე-
ბული ქონდა ჭინჭის გული. რაფერც ცეხლი ფუტაედა, იგიც ისთე ფუტაედა.
მარა ფაცხები იყო, ნენავ, ოდები სა იყო! მერე გამევიდა ლამპა. ახლა ელექ-
ტრონია.

ამ სოფელჩი ჯერ იყო დაღობილი ფაცხები. მერე შამევიდა დოლა სა-
ხლი. დოლა სახლს წინ და უკან კარი ქონდა. პოლი არ ქონდა, ცეხს შვაზე ან-
თებდენ. დახეული მასალის კედელი ქონდა. ზეიდან დახურული ქონდა ისრი.
საისრე ქონებათ მიაჩნდენ მაშეინ. მერე ოდები შამევიდა, მარა დაბალ-დაბალ-
ზე იდგა ყველა. ახლა მაღალზე დგანა. პაწა დაბალზე რომ დუურჩა კაცს ოდა,
ახლა აწიოს უნდა. ყოლიკაცი მოდას უყურაეს.

ძველათ იყო ხიჭიჭური სხალი. ქურში ინახავიდენ. მოკრეფდენ წიფო-
ბისთეში და ჩააწყობდენ ქურში, დაგოზავდენ და გამარტებამდი იყო, იქო-
ბამდი გააწევედა, არ წახთებოდა. ხეი რომ ისხამდა და ქურში ინახავიდენ, იმი-
ზა უძახოდენ ხიჭიჭურს.

წითელ-წითელი ვაშლი იყო, საზამტრო ვაშს უძახოდენ. იგიც წიფო-
ბისთეში იკრიფებოდა. ჩაყრიდენ ბელელჩი (||ხულაში). გააწევედა აპრილამ-
დი, არ დალპებოდა.

დემურა ვაშლი იყო კილომ. იგიც წიფობისთეში იკრიფებოდა და ინა-

ხებოდა აპრილამდი.

შავი ვაშლი არ იყო. შავი ვაშლი აგერ ახლა მევიდა. დიდხანს ვერ ძღეფს, ხმება.

სოფ. ვაკიჭვარი

13. ასკანის ციხე

ამ ადგილს ძველათ ქვიებია გვაბრათი. დებიარობას ქვიებია გვაბრათი. ასკანა თემს დაათქვეს.

დებიარობით ასკანის ციხე არის თისპირში. ძველ დროს ამ ციხეს შამოსევია თათრის ჯარი, ესკერები. რომ ჩამოსულარიენ აქანე, ნაწილი დანაწილებულარიენ. ნაწილი ლანჩხუთისკენ წასულა, ნაწილი ქვაბლისკენ წასულა, ნაწილი აქანე დარჩენილა. უნდოდენ საკმელ-სასმელი. შამოსევია ციხეს. ციხის ერკედარო ფენაზე კტეა, კაცი უბაწროთ ვერ აღიოდა. ზურაულის ფენა ქვია. ესკერეფს მუუხთიენ ცხენებიზა კურტნები და აკეთებენ პწკალასავით რაცხას, კურტნეფს აწყობენ ერთმიორეზე და აკეთებენ ასავლელათ. შით ყოფილა მქედელი კაცი ბეჟანაძე, კაი შეძლებული ვაშკაცი ყოფილა. ნაქარი კინა ქონებია, გუუგდია საბერველჩი და გუუხურებია. მერე გადააგდო თურმე ეს კინა და გუუჩთა ამ თივას ცეხლი (კურტანში თივა იყო). ხოდა, დეიწვა კურტნები, ველარ ვეიდენ ზეით და დეიხიენ უკან. მეთვალყურეთ ყოფილა მამალაძე, იმან იყვირა მაგრათ: — დამარცხთა თათრებო! გამიეკიდა სოფლის ხალხმა და დაზოცეს თათრები.

ბეჟანაძე აქოური ყოფილა, დგანებულა გვაბრათში. იმის ჩამომაულობა ახლა უნდა იყოს აკეთში. ჩვენ სოფელჩი ახლა ბეჟანაძე არაა. თისპირში არის ბეჟანაძე, მარა იმის ჩამომავლობა არაა იგი.

მამალაძეს ქვიებია ბელარა. კაი ვაშკაჟი ყოფილა, კაი დაყვირება სცოდნია. ხიდისთავს ზეით ნაქალაქეკს უძახიენ. ბელარა მამალაძე იქოური ყოფილა.

ხალხს დამცველები ყოლიენ, დანიშნული ყოფილა დამყვირებლათ ბელარა მამალაძე.

ხალხი ყოფილა საცხა მიმალული ქვეროში, კვერ ნახვიდი სახში.

სახლის კარებზე ქონებიენ ურდულეები. რომ შეიქნებოდა ხმაურობა, კარეფს ურდულეებით ამაგრებდენ.

სოფ. ასკანა

14. ჩემი ამბავი

ჩენი ძველი იმერეთიდან მოსულა, დასახლებულა ბახვში. მაშინ აქანა გარაყებული ხეები იყო. ხეებზე იყო გვინძლი, კურკანტელები, სურო. რაყეფში იყო გელები და ტურები.

საყანეთ ვილებლით ქიქოძნების მიწას. ჩვენ ვიმუშეებლით და ნახევარს იგი წვილებლა.

მამაჩემი ღარიბი კაცი იყო, სულ ქალაბანი ეცვა ფეხზე. ხავდა ოთხი ბიჭი და ორი ციცაჲ.

მე რეგნობას ვისტავლე წულის კერვა, ძმამა მასტავლა. წულის კერვაზე ფოთში ვიმუშავე სამ წელიწადს.

მერე მომიწია ჭარი. ქუთეისში ვიყავი ჭარში ოთხ წელიწადს. მუათავე სამსახური და გამოგვიშენ სახში.

სახში რომ დევიწყე მუშაობა, მევიდა შომაული ქალის მხრიდან, მითხრა: — კაი ქალიაო, ოჯახობას იზამსო და წამეიყვანეო.

წამეიყვანა იმ კაცმა და მანახვა ქალი შარახე. ყავალი ქალი იყო, მომეწონა. დუუთქვი დღეი. მივედი, წევილე ბეჭელი და დანეშნე. თუთხმეტ დღეს მერე მევიყვანე. გამომატანეს გვზითით დაყათრული ურემი და მომცეს სამოცი მანათი ფარა.

გიგო ჭელიძე იყო. ყაქეფს ახჩობდა ოზრუგეჩი, ფეჩქი ქონდა იქინე გაკეთებული. მევიდა ჩემთან და მითხრა: — ოჯახში ქალი დატიე და ხანდახანდაჲ მოდიო. წამოდი ჩემთან ყარაულათო.

წავყევი იმ კაცს, დევიწყე იქინე მუშაობა. ორ თვეს ვიყავი. მერე მოთავდა ყაჭი.

ყარაულათ რომ ვიყავი, ვინცხა მევიდა და მითხრა: — მომყიდე პარკიო, ფარას მოქცემო. — ვერ მოქცემო, — მე უთხარი, — გაბრუნდი უკან, თვარა თოფს გესრიო. მერე წევიდა, გეიქცა. თურმე განგება გამუუგზანია დიმიტრის. მიორე დღეს იმ კაცმა უთხრა დიმიტრის: — რაფერი ყარაული მოვიყვანიაო! წუხელის კალამ მომკლაო.

ნამუშიერი ოქროს ფარა მქონდა სახში, კაბეკს კაბეკზე ვაწებებდი. დიმიტრის უთხარი: — ოქროს ფარა მაქო და ქახალდის ფარაში გადამიცვალეო. ქახალდის ფარაზე ნახატი იყო და შემეხარბა. — კიო, გადაგიცვლიო, — მი-

თხრა. გადამიცვალა. ოქროს ფარა მივეცი და ქახალდის ფარა მომცა.

ნიკოლოზა¹ ა² გაღმუაგდეს და ქახალდის ფარა დეიბრაკა. ბაღნემა და-
ხიეს.

სოფ. ზედა ბახვი

15. ბაბუაღს ბაბუაღ

ყოფილა ბატონი. მას ხოლია ყმები. დაყოფილი ყოფილა მაზრებათ. ბა-
ტონის ხელჩი ყოფილა ყველაღ. ამასან იმ ყმების რიცხვში ყოფილა ჩემი ბა-
ბუაღს ბაბუაღ. კარგი დღეი რომ იქნებოდა, ამ დღეებზე ყველაღ ყმები მუჟ-
ტანდა ფეშქეშს ან ცოცხალს და ან დაკლულს. ჩემი ბაბუაღს ბაბუაღსაც მუჟტა-
ნია ან მუჟყვანია შავი ღორი. ამის გულობიზა დუჟუტქმოვია შავიშვილი. უწინ
ყოფილა იაშვილი.

ბაბუაღს ბაბუაღს მუჟხარჩავს ღორის სუკი — კუდის კედარო — საჯი-
ქიო და კალანდა დილას ფეშქაშათ მუჟტანია ბატონიზა. ამიზა ბატონი აძ-
ლევს საჩუქარს ნახევარ დესეტინა მიწას. ამიზა შავიშვილევს ხუმრობით გვი-
ძახიან ღორისკუდას.

სოფ. ქვედა ბახვი

16. ლაჭყორიანი ფაცხა

ღარიბებმა იცოდენ ლაჭყორიანი ფაცხა. მიწაზე იყო დადობილი ოთხი
ნაჭარი ხიები. იმაზე იყო სარები დასობილი. იი სარები ამოღობილი იყო წკნე-
ლით. ზეიდან ქი იყო კილომ ჩამოცმული ოთხი ნაჭარი სარტყელი. ახლა იმაზე
იქით-აქეთ იყო დასობილი სათავის თიკიანი ბარჯგები. იმაზე ჩამოშობილი
იყო სათავის ხეი, გვალი ქანდარა. იმაზე იყო კავი მოწყობილი. კავზე იყო და-
ქოკვილი კვენდლით ჭოკი. მერმე დახურვიდენ ან ისრით და ან ჭილოფაით.
გვერდენევს შელესვიდენ წითელი ტალახით. თავებზე იქით-აქეთ საქედავს
იზამდენ. კვენდლით ამოკვენდლვიდენ, ცოტას საფუტარს გუჟუკეთებდენ, ფუ-
ტი რომ არ დამღვარიყო შით. შაი დამქერული იქნებოდა მეჩხრათ.

ცხელი ინთებოდა შუაზე. იქით-აქეთ წობოდენ ღომის ჩალაზე.

სოფ. ლიხაური (ნიბაური)

17. ქვის გათლა და დაშენება

ჩემი ხელობა იყო ქვაის გათლა და დაშენება. გამთლელიც ვიყავი და დამშენებელიც ვიყავი. სილბისტრო სურგულაძე იყო, იმასან ვისტავლე ხელობა. მუშაობდი მასან კას ხანს შეგირდათ უფასოთ. ეკლესიას ვაშენებდით. მოვხვედი იმას. კარგა რომ შევისტავლე, მერე გივედი ჩემთვინ და მუშაობდი.

იყო ქვა და კირი. ცემენტი არ იყო მაშინ. შემოქმედში, ვანში, სადაც იქნებოდა, კტეს გავშქრიდით, ჩავყრიდით იმაში წამალს. წამალს რომ ჩავყრიდით, მერე შუუშობდით წვიტ კინას. დევიდოდა წამალზე. მერე ჩავყრიდით ხენილ მიწას და იმით გავჭექდით. როცხა შუასრულბდით გაჭექას, ამევილებდით რკინას. დარჩებოდა ცარიელი ღრუი. ჩამოვხდიდით მოგძო ჩალას, რომ ჩასტობოდა, იმხელას. მერე იმ ჩალას გუშუბდით თავს და აბედას დავასმიდით თავზე. მერმე პაპიროზის ცეცხს მივაწენწებდით ზეთ. მიეკიდებოდა ცენლი აბედას, გვეიქცევოდით საფარში, რომ ამონახეთქი ქვაი არ მოგვწოდა ჩვენ. მერე აფეთქდებოდა და მოთხრეშდა ქვას. მერე მივიდიდით, ხომ დიდი იყო ქვაი, ამ ქვას დავასობდით კინის პალუფეს, სამი-ოთხი გაწკაპული იყო ზეთ. შემდეგ წცემდით და რა ზომის ქვაიც გვინდოდა, იმ ზომაზე ვაპობდით ამ ქვას ასე კინის პალუფებით. იქინე გავაკობიტებდით და მერე წამეილებდენ ურმებით; სადაც შენობა შენდებოდა, იქინე მიიტანდენ და დაყრიდენ. ახლა, მერე მივიდოდით და დევიწყებდით გათლას. ჯერ გავატარებდით წვერიან წაკატში; შემდეგ კბილიანი წაკატით გავთლიდით. წვერიან წაკატში გატარებული იყო ხორაში. კბილიანი წაკატი ასტორებდა. მერმეთ, თუ შენობა იმფერი იყო, სუფთა, გათლილი ქვაი შქირდებოდა, გავატარებდით პირთხელ წაკატში. სუფთათ წმენდს იგი, რავარც შარაშინი ძელს. შემდექ, ახლა აი ქვაი თავისუფალია დასაშენებლათ. წვეილებთ და დავაშენეფთ კედელზე. დუუგეფთ კირს (ორი წილი სილა და ერთი კირი ეიზილება ერთათ), დავადოფთ ქვას და გავასტორეფ ზუზში და თარაზოში. მერე შევხობით და ვაშენეფთ. როცხა ევიცვლით ზეით, მერე გუუჟეთეფთ ხარაჩოს და დავდგებით ზეთ. რამდენზეც შევსტობით, ავაშენეფთ. მერე კილომ ოუცვლით ხარაჩოს ზეით. იმ ძელეფს ეიტანებენ ზეით და თანდათან მიდის შენობა ზეით და ზეით. ასთე მივალთ სახურავამდი. მერე ჩვენ თავისუფალი ვართ. მერე ხის მოხელიების საქმია. შენობის პატრონი ჩეიბარეფს ჩვენგან და ჩვენ ჩვენ საქმეზე წავალთ მერე.

სოფ. დვაბზუ

18. სახლის აშენება ძველათ

უსტა კაცი ვიყავი. მივიდლოდი კაცისას და ჭერ წინასწარ ძელს გავწმენდდი. ჭერ დავგანვიდი, ლარს დავარტყმიდი და დავგანვიდი. მერმე ვერ-შოკში გამგვიყვანდი ხუშტარაით. მუშაკინთი მქონდა, მუშუსვამდი იმას და გახაზვიდა. რომ გახაზვიდა, ძელის კიდეს ჩამოვთლიდი და გავანუშტარებდი კიდომ. ახლა იმ ძელს ამევიღებდი და გავქქისრავდი ქესერით (თოხეჩყუს უძახიან ქართულათ). მერმე გავაშარაშინებდი ორხელაი შარაშინით (ორი კაცი დამჯდარია ძელზე, აშარაშინებენ). მერმე ხაზირია. დეიწყევ ღოჯეს. ძელეფს გუჟკეთფთ კოტას. იქნება კოტიანი ღოჯე.

ოთხთვალ სახს უნდა რვაი ღოჯე. ხერხით ჩამოვხვეთ ღოჯის ძელს და ბოყვეფს დავაგეფთ. ბოყვები უნდა თექქსმეტი, თუ ღოჯის ზომის ძელია, თვარადარა — თვრამეტი.

ახლა ამას სარტყელი უნდა ზეით, მოსარტყლო უნდა; სვეტები უნდა ხუთი. ახლა მადლა სარაბადის ხიები უნდა ოთხარშინ-ნახევარი. ქერზე ლამფის ხიები უნდა. თავებზე კოლოფი უნდა. ზეიდან ლამფა დეიქედება. იმაზე ახლა ჯარგვალი დეისკნება. ორი ანძის ხეი უნდა. ანძის ხეზე დაბალი სვეტები უნდა. სვეტი რომ დეისობა, იმაზე ორი ხეი ჩამეიციმება იქით-აქეთ და ორი კიდომ ჩეისკნება იმ ხეში, ჩეიშობა. ახლა იმაზე კავი მეირთვება, ოთხი კუთხის კავი უნდა და ეიკინძება სახურავი იმ კავებზე და ჯარგვალზე.

ქვეშ ქილიშები უნდა მაგას დაშარაშინებული, ღოჯეს ქვეშ უნდა. ღოჯე დეიდგმება მაგაზე. ჩიფთლამს შამუჟარ იმ ხიებზე, ჩიფთლამი დეიფსკენება იმ ქილიშებზე და იმ ჩიფთლამზე ღოჯეს ააშენეფ.

ოთახები, საცხა დასაყოფია, დეიმკედლება. მერე იმას კარ-აკოშკა უნდა, პოლი და ლამფა.

აკოშკის ხიები დადგმულია დუშადის ხიებზე. დუშადის ხეი სვეტ შუა და სვეტ შუაა. ზეთ აკოშკა იქნება დადგმული. აკოშკის თავზე გადამბული თალი იქნება. ერ კედრით, პწკალაჲ რომ იდგმება, იქინეი კარები იქნება. იმ კარების თავზე თალი იქნება კიდომ ჩადგმული. პწკალაი გადახურული იქნება წესიერათ, იმას სტოიკები ექნება და კავები. სტოიკები დასობილია პწკალაის სარძიკველზე და იმაზე სახურავია მოყვანილი, მადლა მოსარტყლულია.

სახლის კავეფს უნდა რეიკები, ლარტყას უძახით ჩვენ. დალარტყული იქნება აი სახლი ლარტყებით. ახლა მაგას ცერათ რეიკა ექნება, მაგ ლარტყაზე აღმა, ცერათ რეიკა იქნება დაქედლი. რეიკაზე დავაწყოფთ ქერაბინდს.

დახურავს უსტიები სახს.

კარ-აკოშკათ კაია წაბლი. აჭიაში ბეჭრია წაბლი. აჭია ქვია ტყეს, აგერაა. მორე თხარეს ბოგილია. ამ აქიას წყალი ჩამოზღვეს, პატარა მდინარე, აჭიეს წყალია იი. ჭყიმარტეს აჭის წყალი ჩამოზღვეს. აჭის წყალი დიდია, ნამეტარი დიდი გადიდება იცის. აჭის წყალი ჭყიმარტედან მოდის. იქინე თებზობენ ხალხი. კავის საკიდარზე გადიაროს უნდა და იქინე კაი სათებზუა. წყავის კავია ჩამოკიდებული, თიკიანია. იმაზე უნდა მოკიდოს კაცმა ხელი, ისთე ვერ ავა. რომ გახმება, გამოკლიან.

აჭის წყალი გამეიარს ბოსტანაში, ბუქაის სერში და მოდის ჩვენთან. მერე შუუერთება ჟუჟის წყალს.

ჭყიმარტეს ტევს მარჯნი კედრით ტალახანი. იქინე გემის ნამბავიარო. პალუებია და გამოყრილია ჯაჭვი. ტალახას საცივი აქ იმისანია, რომე რომელი შენი ბანმარუა!

სოფ. ლიხაური (ნიახაური)

19. სახლის გაკეთება და ჩხარით ქსოვა ძველათ

ბაბუაჩემი მოსულა ხვარბეთიდან, ბატონს გამოქცევია. ხვარბეთიდან აქანე მოსლა მონდომებია. დუუწყია მოსახლობა. გუუკეთებია ჯარგვალა სახლი. ქონებია ერთი ნაჯახა და სატეხი. ნაჯახით მუუქრია წაბლის ხეები, დუუქრია ზომაზე, გუუძრია ტყავი, დუუღილავს ორივე კედაროს და დუუშენებია. ზეით ჩუუცვამს კავები და ისრით დუუხურავს. საკარე ძელი გუუთლია ნაჯახით, კარებიზა ყურები გუუკეთებია და ამ ყურებით დუუკიდია. ყორიფელი ხიდან გუუკეთებია, კინეულობა აფერი არ აქ სახს. ლუსმის ადგილზე ნახმარია ხის კოტა. სატეხითაა ამოტეხილი და კოტაა ჩაშობილი.

ბაბუაჩემის გაკეთებული სახლი ახლაც მაქ მე, ოდის უკან დგანა. ახლა მარანია შით. ახლა ტოლით დავხურე. კარები ახლა დამაგრებულია კინით.

ბაბუაჩემს ამ სახლის მასალა ალაგზე მუუქრია. აქანე წაბლი, მუხა, ნიგოზი, თხემლა, წიფელა, წყავი, კობიტი, ცხემლა ყოფილა.

გზები არ იყო. გასაძრომი გზები იყო. დათვი, გელი და ტურა იყო ბეჭერი. თოფი არ იყო.

წვიტი ბაწრიდან სასირე ბადეს ქსოვდენ. ბაწარს გრებდენ კანაფიდან. თესავდენ კანაფი კეკალს და ამოდიოდა კანაფი. სიმწიფეს რომ დეიწყებდა კანაფი, ევილებდით. ჩავდობდით წყალჩი. ერ სამ დღეს გავაჩერებდით წყალჩი.

მერე ამევიღებდით და გავაშრობდით. მერე გავაძრობდით ტყავს. ამ ტყავს დავეგრებდით, თუ ბაწრათ გვინდოდა. სასირე ბადიზა თუ გვინდოდა, მაშვინ უნდა შეგვეგრინა ჩერიაზე. ჩერიას ქონდა კვირთავი ქვეშ და კარქათ ტრუალობდა. ჩერიიდან გადმუახოვდენ მურგათ და მერე დეიწყებდენ სასირე ბადის ქსოვას. დეიკავებენ ხელჩი ბადის საქსოვ ჯოხს, პატარა სტორი ჯოხია. ამ ჯოხზე გადაახოვენ კანაფის ბაწარს და ქსოვენ ჩხარით. ჩხარით გამოსკნიან ბაწარს. ჩხარს ყუნწი აქ ლემსივით, ყუნწში გაყრილია კანაფის ბაწარი. ისთე იყრება და ეცმება ჩხარი, რომ ჩეისკენება და იქსოვება. სასირე ბადეს ექნებოდა ოთხი არშინი სიგძე და ორი არშინი სიგანე. ბადის თავებზე დაამბამდენ ბაწრეფს. მერე ზრუჯ ალაგზე გაჭრიდენ ტყეს. გაალამაზებდენ. მერე ამ გაჭრილ ადგილზე გაამბამდენ ბადეს (||გაამბვიდენ ბადეს). ბადე იყო დამაგრებული ორ ხეზე იქით-აქეთ. ერთი ბაწარი დაბლაა ჩამოშობილი და კაცს უჭირავს ხელჩი. ჩიტი რომ მოხთება ბადეში, ბაწარს ოუშოფს მაშვინ და ჩიტი გეიხლართება ბადეში. მერე მივა კაცი და გამოხსნის. მერე ბადეს ისთეველ თავის ალაგზე დააყენეფს, სინამდი ჩიტეფს აქ გადასლის მოძრაობა. ფრინველი გადადის დილა ბნელზე და სალამოს შეღამების დროს.

სოფ. ასკანა

20. ხეის მოჭრა და სახლის აშენება

ხეი ყვალა თვეს არ მეიჭრება. ქრიშობისთვეში კაია ხეის მოჭრა. იანვარშიც ვარგა. თებერვალჩი წყალს ლებულოფს და არ ვარგა. ფურცელი რომ აქ ხეს, არ ვარგა ხეის მოჭრა. ძველ თვარეზე მოჭრილი კაია, რკილს არ გუუშოფს, არ დარკილავს.

სახლის აშენება უნდა დევიწყოთ ბოკონიდან. ბოკონს გავთლით, მიწაში ჩავყრით ძირეფს, თავს მუუსტორეფთ და მერე სარძიკველს დავადოფთ ზეთ. სარძიკველათ დიდი ხეი უნდა; სარძიკველი უნდა იყოს მაგარი ხიდან. მივადგებით სარძიკველს და გავაწყოფთ. შემდეგ ღოჯეს დევიწყეფთ. ღოჯეს მუასრულეფთ. მერე მოვსარტყლავთ. მერე კავს მუაღუმთ და დავხურავთ. მაქამდი იხურებოდა ისრით. ისრის სახურავს ჭოკი უნდოდა, სახურავი უნდა დაგვეჭოკა. ისრს რომ დავახურავდით, ჩაგვეკრა უნდა წვიტი ჭოკებით. ამ წვიტ ჭოკეფს ჩავაკრავდით ისრით. სახლის დაჭოკვის დროს დიდი ჭოკები კვენდით იკვრებოდა კავზე. ისრს რომ დავხურავდით, ზეიდან იწყობოდა ფორჩხიანი ჭოკები. ფორჩხიან ჭოკებზე კილომ ჭოკეფს დავაწყობდით, რომ

ქარს არ იელო.

ისრით დახურული სახლი უმფრო თფილი იყო. საშუალება მეტი არც ქი იყო მაშინ.

საქონელი ცალკე კეყავდა ბოგაში. ბოგა იყო დაპოლილი გათლილი ნოდებით. თხემლა ეს ნოდეფს გავთლიდით და ბოგათ დავაგებდით. თავეფში კაკეებით დავაკავებდით, რომ არ აშლილიყო ბოგა.

სახლს ქონდა მოდგმული ახორი. ახორში დავამბვიდით მეწველე ძროხას.

სოფ. კონკკათი

21. ფაცხა და ჯარგვალაი

ჩემი მეზობლათ ახლო ერთი წიფელა იყო. დიდი უზარმაზარი ღრუი ქონდა. ბეტრჯელ მენდრომა კაცმა ასლა იმაზე, მარა ვერ ევიდა. — ჭვარისძალი ჟდება ზეთო და ანათეფსო, — მამაჩემი იტყოდა. მოქრა ვერ გაბედა პატრონმა. ახალი თაობა რომ გაჩათ, მერე გაბედეს მოქრა. არკაციზა აფერი არ უქნია.

უწინ იქინე ტყეი ყოფილა და დარჩენილა ერთი წიფელა. სხვაი მოქრენ ყველაყაი. აი წიფელა არ მოქრენ, ეშინოდენ. — იმას რომ შიეხო, ჭვარისძალი გაგიწყლებო.

ძველათ დიდი ხიები ბეტური ყოფილა, მარა ვერ ხმარობდენ. არ იცოდენ, რაფერ მეიქრებოდა და რაფერ გეითლებოდა. შკერის წკნელით მოლობავდენ ფაცხეფს და მერე შელესავდენ ფუნით. ხურავდენ ქილოფაით. იმაში ცეხს ანთებდენ და იმაში წობოდენ.

იმ ფაცხაში რომ დათვრა კაცმა, გატენილი თოფი გამეიტანა და ისროლა ნაბურავში. დეიწვა ფაცხა.

მერე დეიწყენ უკეთესი სახლის კეთება. ფაცხის შემდეგ ჯარგვალაი სახლის კეთება დეიწყენ, — უკეთესია წკნელზეო. მოშქრიდენ ხიეფს, მეიტანდენ არდგილზე. პირველათ კაცები მუათრევედენ წირეხით, გამეიტანდენ ტყიდან, გამუათრევედენ. მერე დეიწყენ ხარით მოთრევა. პირველათ ხარს დაადობდენ კისერზე გვალ ხეს. ხეი რომ არ მოსცილებოდა, შამუახოვდენ კისერზე წირეხს. ტაბიკები არ იცოდენ, წირეხი იყო ტაბიკის არდგილზე. ამ გვალ ხეზე წირეხით ჩამოკიდებდენ ხეს და მუათრევიებდენ ხარეფს.

ხარების დაკოდვა არ იცოდენ. პირველათ ამ სოფელში ხარი დუუყო-

დია ონისიმე თალაკვადის ბაბუას. მის მოდგმას ქვია ხარისკოდია.

გვალ-გვალი ხეები მუათრევეის ხარეფს; თავეფში დუუდილეს, რომ ხეი ხეს დადგმორდა და ისთე გვალათ დააგუებდენ ერთიმორრეს. ამ დადილუღით უკეთთებორდა ოთხი ღოჯე. მერე ამას კავეფს მუაუუმდენ და დაქოკავდენ. მოცმულ კავებზე დაადობდენ ქოკეფს და დააკრავდენ წირეხით. დახურავდენ ქილოფათ ან ისრით. თუ ვერ იშონიდენ ქილოფას და ისრს, მაშენ გვიმბრითაუ ხურავდენ. უკეთებდენ ჩასაკრავს, რომ ქარს არ წიელო სახურავი. ისრს დააწირებებდენ და ამეიკრავდენ სახურავს. სახურავზე იყო ზედა სამაგრი ქოკი. ამ ქოკს დააკრავდენ ქვედა ქოკზე. შვაზე სახურავი იყო. ხურვა რომ დამთავრებორდა, დაადობდენ სახიცავეფს. სახიცავები მიკონილი იყო ერთქამეტზე და გადაწყობილი იყო სახურავზე იქით-აქეთ, რომ დიემძიმებია სახურავი და ქარს ვერ იელო.

კარეფს გუუკეთებდენ ორძელიანს ან ერძელიანს. სამიანიც ქი იყო. ძელები შეკერილი იყო კოტით. ძირში სარძიკველზე ქონდა იმას დაშენებული ბტყელი ხეი, ამ ბტყელ ხეს ქონდა ამოჭრილი გვალათ კიდეში კარის დასაკიდებელი. ზეითაც ქონდა კარის ყურის შესაყარი. კარის ყურების შესაყრელს უძახობდენ კარაბინეფს. თითო კარს ქონდა ორი ყური და უნდორდა ორი კარაბინა. კარის ძელზე ზეით და ქვეით შეთილია ყურები. ზეით უმფრო გძელი ყური აქ და ქვეით უმფრო მოკლე. ზეით რომ შუუყრის, მერე ქვეშ უნდა დეიდგას და ზეით არ უნდა გამოძვრეს. კარს ამაგრეფს საყურეებთან კარაბინები. კარაბინეფს რომ ამოჭრილები აქ, იმას ქვია საყურეები.

კარეფს უგდავდენ საგდულაით. შიგნიდან კედელზე გაკეთებული ქონდა სასაგდულე. სასაგდულე იყო გამოტეხილი სატეხით. სასაგდულე იყო შვა კარზეც და კედელზეც იქით-აქეთ. ამ სასაგდულიეფში იყრებორდა საგდულაი. კარს გარდამიდან ვერ გაალებდა ვერკაცი.

საგდულავს და სასაგდულეს ზოგი უძახორდა ურდულას და საურდულეს. ურდულაი იყო საგდულაი და საურდულე იყო სასაგდულე.

კარს ქონდა კიდომ გარდამიდან დასაგდავი. შით კარზე მიმაგრებული იყო დათუაი. დათუაი იყო დადილული. დათუაი იყრებორდა პატარა საგდულაში. კარს ქონდა გამოხვრეტილი ქიტინაი. ამ ქიტინაში შუუყრიდენ დათუანის გასაღეფს. დათუანის გასაღები იყო ენიანი ჯოხი. დათუანის გასაღეფს რომ შუუყრიდენ ქიტინაში, ენა დიღიჩი ჩააქდებორდა და გასწევდენ დათუას იქით-აქეთ. ასე უგდავდენ და აღებდენ კარეფს გარდამიდან.

თუ სახს არ ქონდა არც ერთი კედრიდან მოდგმული, იმას ქვიორდა დო-

ლა სახლი. თუ სახს უკან ქონდა მიდგმული, იმას ქვიოდა ახორიანი სახლი. თუ გვერძე ქონდა მიდგმული, იმას ქვიოდა მოხურულაი, გვერდით მოხურულაი სახლი.

ხერხი რომ გამევიდა, მეგრე ხერხით ვხვევდით ქორთუხეფს ძელგებათ და ვაშენებდით ყველანაირ სახს: ოდას, ქუხნას, დოლა სახს.

დოლა სახლი მარტო ოთხი ღოჯე იყო. არ ქონდა აფერი მოდგმული.

თხას, ცხვარს და ძროხას ჭაი რომ არ ამუყუვა, უძახიან დოლა თხას, დოლა ცხვარს და დოლა ძროხას.

ქუხნა სახშია ოჯანჯალაი, დაკიდულია ღვიროზე. ერთი ხეია გათლილი ორარშინიანი, მეტიც კი შეიძლება. სისკე აქ ორი ვერშოკი, სიგანე მეტი აქ. აი ხეი თავში და ბოლოში ამოტეხილია დასაკიდათ ღვიროზე. ამოტეხილი გაცირილია კიღომ ხეი, აი ხეი არის უმფრო პატარა. აი ხეი ზეით და ქვეით გამოტეხილია პალოს გასაყარათ. ზეით არის ფართო ძელი. სიგძე ექნება სამი არშინი, ღვირიდან ღვიროზე დასტევეს უნდა. აი ძელიც ორ ადგილზეა ამოტეხილი და გაცირილია შით დასაკიდი ხეები. აი ხეები ამაგრეფს. ამ ხეეფს ზედა თავში და ქვედა თავში პალუები აქ, რომ არ გამოძერეს. ოჯანჯალაის ქვედა ხე გამოტეხილია სატეხით ოთხ სალიკაი და გაცირილია ჯონები შით ჯაჭვის დასაკიდათ. თითო ჯონს აქ ორი თავი. შეიძლება თითო ჯონზე ორიბე კედაროს დეიკიდოს კარდალაი, ჩახანაი, კაპქანაი, თუნგიც, ვედრაც. ზოი ლინგასაც დაკიდეფს.

ოჯანჯალას ხმარობენ კიღომ სამძარე ღოქის დასაკიდათ, თებზის და ყველის გასახმობათ, ხორცის გასაშრობათ.

სამზარეულო სახში იყო კედელზე მოქედილი ოზანდარა¹. იმას ქონდა გაკეთებული თარუები ქურქლების დასადგამი. გაკეთებულ საქმელს ინახვიდენ შით. ხის კარი ქონდა მისაგდავი. იგდებოდა ხის სარაზავით. გადარაზავდენ და კატა და ძალლი ვერ გააღებდა.

სოფ. მთისპირი (ასკანა)

22. დოლა სახლი და ჭაკუნის თამაში

წაბლის ხიეფს მოშპკრიდენ, დააპობდენ და დათლიდენ. ხერხი არ იყო. ძელეფს ცულით თლიდენ. აკეთებდენ დოლა სახს: დადგამდენ მიწაზე, გადახურავდენ ისრით და შევიდოდენ შით. ყავარს ძალიან ძვირათ ხთიდენ. საისრე იყო. შით ისრი იყო.

საბანი და ლები არ იყო. ჩალა იყო საგებათ. სახურავათ არ იწუნებდენ თავს. გძელი ცეხლი იყო. ფშკერის ცეხლი იყო კაი, ფუტი არ იცოდა, ხმელი იყო.

ბაღნობას ქაკუნს თამაშობდენ. მოკაკული ჭოხი ქონდენ. ცალი თავი ქონდა ჭოხს მოკაკული, რიკვატაჲ ჭოხი იყო კიდომ. მოკაკული ჭოხი იყო რიკვატაზე შამოსარტყამათ. პაწა რიკვატას დააყუდებდენ მიწაზე და შამუარტყმიდენ მოკაკულ ჭოხს. რიკვატაჲ რომ გადავარდებოდა იქით, იქინე კაცი იყო გადამდგარი და დააბრუნებდა.

სოფ. ქვედა ბახვი

23. ტკეჩით ღობვა (გოდორი, გორიცაი, გიდელი, კალათი, კალათაი; ოკა)

გოდორს უნდა საძირე და სატკეჩე. ამას უნდა მონახვა და მოტანა შინ. მაი უნდა მოენახოთ მაღალი ჭუმათის ტყეში. ამ ტყეს ქვია თუთაის ტყეი. ვინცა თუთაი ყოფილიყო ქალი და იმას ქონებოდა აი ტყეი. ამ ტყეში არის ცხემლაი, წიფელაი, თხემლაი, თხილი; წაბლიც ურეგია. გოდორიზა ვარგა მარტუაი თხილი (ვარგებით წაბლიც ვარგა, მარა არ გვანებებენ მოქრას). საძირე და სატკეჩე შიარჩიო უნდა, ერსალიკაი კარაა. უნდა შიარჩიო უმბოლო და სტორი. საძირეზე სისხვილე ორი და ორ-ნახევარი ვერშოკი კმარა. სიგძე ექვსი ნიშანი კმარა. სატკეჩეს უნდა ნახევარი ვერშოკი სისკე და ორ-ნახევარი, სამი არშინი სიგძე. საძირე ერი წილი უნდა და სატკეჩე სამი წილი. ერ ქვირთს რომ მუყყრით თავს, შვეკონავთ იმას და მევიტანთ ზრუგით. ურემი არ უდგება. ერ ქვირთში გამუა ორი გოდორი. რომ მევიტანთ სახში, ახთა მაშვინათე უნდა დევიწყოთ, თვარა გახმება და აღარ ვარგა მერე. რომ მევიტანთ და დავყრით სახჩი, გავანაწილოთ უნდა პაწაწა-პაწათ და გავაშუშოთ უნდა. ცეხლი უნდა დავანთოთ. დიდი ცეხლი არ უნდა, თვარა დაგიწვავს. ცეხზე ზეიდან უნდა თითო-თითო საძირე. რო გაშუშთება (გეიტკუჩება), გავაჩოჩეთ მერე პაწა-პაწას. თლათ რომ გაშუშთება, მერე ავხთით. დიდი დანა გვაქ, იმით ავხთით. საძირეს თავი ასულულები აქ, რვა ნაპობათაა ასულულები თავი. ამ დანით, ასულულები რომაა, წხთით იმას. ავხადეთ რვაი. მერმე კიდომ რვაი გეიხთება. გამუა თექვსმეტი ნაჭარი. ახლა ამ თექვსმეტს უნდა გათლა. მაშვინათე უნდა

გათალო, თვარა გახმება.

სატკეჩესაც ცეხზე გაშუშება უნდა. სატკეჩე შეიძლება გავშუშოთ ხუთი-ექვსი ღერო ერთათ. მერე ახთა უნდა იმას. მაგი შეიძლება ორ დღეს არ დაამუშაო. მაი არ წათხება ორ დღეს. ერ ღერზე გამოდის ოთხი, ხუთი და ექვსი. ყვალას ერდონი არ ხობა. თუ ორ დღეს გადაცილდა, მერე დუჟულობელი აღარ გეითლება. წყალჩი უნდა დავალბოთ. მუშოობას რომ მივადგებით, გავთლით თლიანათ. დავხობით თითო-თითოთ, სალამდი მოთავდება.

საძირეს და სატკეჩეს რომ გავახაზირეფთ, დევიწყეფთ გოდორს. სტორ მიწაზე დევიწყეფთ ფსკერს. ექვს საძირეს დავაწყოფთ წკრივში. ახლა მორე ექვს მორე კედვირიდან ჩამულაობავთ. მერე ახლა იმას მოყვანა უნდა. დევიწყეფთ მოყვანას. ყვალა საძირეს შამუატეხავთ კიდენებზე. ახლა ვიღეფთ ტკეჩს ორ ფურცელს. ამით გოდორი მოკყავს ფორმაში. მერე ტკეჩით მივხობით. სამ ნიშანს რომ დავლობავთ, მაშენ თავს მოვჭრით. თავის მოჭრის შემდეგ, საწვავი გვაქ ჩვენ და, იმით თავს მოვწვავთ. თავმომწვარ გოდორს თავის მოხრევა უნდა კილომ, რგოლს გუჟკეთეფთ და თხელი ტკეჩით თავს მუჟხოვთ.

ფსკერზე ექნება პაიწვანი ჰიტინები. იმას თხელი ტკეჩით გამუჟლობავთ, რომ რამე არ გასუცვინდეს შით.

გორიცას და გოდორს შუა განსხვავებაა სისხოზე. გოდორი დიდია. ორფუთიანი შეიძლება და მეტიანი. გორიცაი პაწაია. ფუთ-ნახევარია და კილომ იმას ქვეით.

გორიცაიც ასთე ეეთდება, რავარც აგი.

გორიცას და გოდორს ყორიფელს ცხმაროფთ: სიმინდზე, ჩაზე, მანდალინაზე, ტყემალზე, სხალზე, ვაშზე, თხილზე, ნიგოზზე, ბეოლიზა, დაფინა. პარკის წასაღებათ, ყურძნიზა. გამოსადეგი ყორიფელიზა.

მაღალი ხიდგან ყურძნის მოსაკრეფათ კაია გიდელი. მანდალინიზაც, სხალიზაც, ვაშლიზაც, ტყემლიზაც კაია გიდელი. ხეზე რომ ავა კაცი ყურძნის საკრეფათ, ეიტანს გიდელს ბაწრით. მოკრეფს ყურძენს, ჩაყრის გიდელში. გიდელი ექნება დაკიდული ბოლზე. რომ გეიფსება გიდელი, ჩამუჟუოფს ძირს ბაწრით. თითვან აღარ ჩამუა, ქი რჩება ზეთ. გიდელს დაცლიენ გოდორში. ცარიელ გიდელს გამუჟუკიდებენ ბაწარზე და ეტყვიენ: — შეიდობით ჩამოიო. იმ ბაწარს მეთოკავს და ეიტანს გიდელს.

გიდელსაც უნდა საძირე და სატკეჩე. საძირე უნდა ერთი ექვსვერშოკიანი, მორე სამნიშნიანი უნდა. სატკეჩე რვაი ცალი ეყოფა. ექვსვერშოკიანს სიგანე უნდა ქონდეს ვერშოკ-ნახევარი. სამნიშნიანსაც ვერშოკნახევარი ეყო-

ფა.

ექვესვერშოკიანი სამ ვერშოკზე ჩამეინხადოს უნდა. შით რჩება მერე ყარი ხეი. იი ამეიქრას უნდა.

ახლა, იი სამნიშნიანი საძირე რომაა, თლათ ეინხადოს უნდა. ამის ანახადი ჩამეიქმება ექვესვერშოკიანის ღერებზე. მაშენ მაგას შქირდება ერთი რგოლი, რომ ღეიკაოს. ახლა ღობვას უნდა შუუღღეთ. ახთილი ტკეჩით ღევიწყეფთ ღობვას. გიდელი ღეიღობოს უნდა სამი ნიშანი. სამი ნიშანი რომ ღეიღობება, თავი მეიქრება. თავმოქრილ გიდელს უნდა თავის მოწვა. გოლი გუუკეთება იქინეი სატკეჩეიდგან. თხელი ტკეჩით მეიზოვა თავი.

კიღომ ვღობავთ კალათს და ოკას. კალათი და კალათაი იღობება, რავარც გოდორი და გორიციი, ხოლოთ უმფრო დაბალია და ხელიანია.

ოკაც ისთე იწყება, რავარც გოდორი და გორიციი, ხოლო ოკა თლა პაწაია. ოკაში სამი გირვანქა ჩადის. ოკას უმფრო პაწაწვანი ტკეჩი უნდა.

კალათი შეიძლება ფუთიანი და ფუთნახვერიანი. კალათაი შეიძლება იყოს ექვსი კილო, შვიდი კილო, რვაი კილო.

სოფ. ზემო ჭუმბათი

24. ჭარიკე და ჭურაი

ამ სოფელჩი იყო ისრით დახურული სახლი ჩემი რეგნობის ღროს. მე რომ თუთხმეტი წლის ვიყავი, ბაბას ოდა არ ქონდა. ედგა ძირა სახლი (||ქუხნა სახლი). შით იდგა ლოგინები იქით-აქეთ. სამი ვწობოლით ერთათ. ცოლ-ქმარი ცალკე წობოდა მოორე ლოგინზე.

ჭურქლეულობა იყო: ღოქი, ჭარიკე, თუნგი, ნიგე, კაპქანე, კარდალე, ლაგინე.

ჭარიკეს გასაკეთებლათ შეიზილება წითელი მიწა. მოხელილი წითელი მიწა უნდა გაატატაშო ხელზე და მიაწებო უნდა მიწა მიწაზე ისთოლე და ხელით უნდა ააშენო ჭარიკე. მერმეთ იგი ჭარიკე ჩეიდგმება ქურაში და გამეიწობა ცეხში, ქურაში. მერე გაგრილდეს უნდა იგი. კარქათ რომ გაგრილდება, მერე გეიტან და გაყიდი.

ჭურიც ასთე კეთება. ჩეიდგმება ქურაში. გამეიწობა. გამოწვას უნდა ერთი ღღეი და ერთი ღამე. მერე გამეიწობა. რომ გამეიწობა, გამეიღებენ. რომ გაგრილდება, მერე კუბრს გამუჟუსვამენ შით. მერე უნდა მოთხარო ერთი საჟენი მიწა და ორმოცფუთიანი ჭური ჩეიდგმება შით. მერე უნდა გარეღამიდან

მიწა შემუყაყარო მაგრათ. მერე მეიტან წყალს ჰარიკეთ და გარცხავ ორჩხუ-
შით. ძმერხლის ორჩხუშით უნდა გეირეცხოს. სამი წყალი უნდა შევარეცხოთ.
ჰურიდან წყალი უნდა ამევიღოთ ორკობით და გადავასხათ. სამი წყალი რომ
გათავდება, მოოთხე უნდა პატარე წყალი — სამძველავი წყალი. როიცხა გეი-
რეცხა ჰური და წყალი ამეისხა, ეგერ-აგერ კიდენებზე დარჩა მეშეშები. სამ-
ძველავი წყალი მეშეშეფს ჩეიტანს დაბლა, ჰურის კუშტულჩი. მერე ამუას-
ხამთ იმ წყალს ორკობით. დარჩება პატარე წყალი კიდომ. მერე ჩავლოფთ
ორჩხუშს, დავაბრუნებთ და ამევიღებთ ზეით და დავწურავთ ორჩხუშს, მეშე-
შეფს (||ხიმენჯეფს) დავერეკავთ და ასთე გვევიმორეფთ. სარკესავით ამოკრი-
აღდება ჰური და მერე ჩავასხამთ შით ღვინოს.

სოფ. ვანისქელი

25. ურემი

ურემს უნდა თელაის ხეი. ხუთი ვერშოკი უნდა ჰონდეს სისკე. ახლა ამ
ხეს რომ მეიტანებენ, გამოვკობიტავ, წვევიღეფ ხერხზე და გავხვეთ შუაზე. მე-
ვიტან სახში და გამევიყვან უზურში, მივსემ მის ფორმას. მერე ჩავაგდეფ
უწყვეტში. რომ ჩავაგდეფ უწყვეტში, რამხელაც უნდა პატრონს, იმხელაზე
მევიყვან. ექვს ბელტს დავადლოფ და დავახაზავ, სად უნდა გამოტეხა და სად
უნდა გადაჰრა ბელტეფს. მერე ავშლი და გამოვტეხ სატეხით. მერე გუჟური
შით ბელტეფს და შეიკერება ჩალდაყი. ჩალდაყსაც და ბელტსაც გამოვბურ-
ღავ ერთათ და გუჟური კოტას, მარჰვალს, რომ ბელტს არ გიეჰცეს ჩალდაყი
და არ გეიშალოს. ახლა მერე ავხაზავ სარების დასასოფს და სარეფს დავა-
სოფ. თორმეტი ღერი უნდა ორუვე (||ორივე) კედაროს. მერე კამარას მივიტან
და მივახაზავ სარებზე. მერე გამოვტეხ სატეხით კამარას და ჩამუაცუმ სა-
რეფს. მერე გავაკეთეფ ცაკე რაკაპს. ხაზი მაქ მისი, რაკაპის პლანი მაქ. დავა-
ხაზავ ხეზე და გამოვთლი; უღელს გუჟური (||გაუჟური), გავშინჯავ. მერე საკაპს
ჩავადგამ ჩალდაყში. ჩალდაყს ჩავდგამ წინა უწყვეტში და პალოით მივიყვან
ერთიმორეზე, მივაჟენ კარგათ და მერე მივაჰედავ და მოსრულდება ჩალდა-
ყი.

ჩალდაყი უნდა დავადგა ბორბლებზე. ბორბლეფში უნდა გუჟყაროთ
ლილვი, ლილვზე იდგმება ჩალდაყი. ჩალდაყს უკეთთება კოტები. კოტები
ლილვზე ჩამეიცმება. ჩალდაყს აქ სალილვეზე კინა ამოკრული, რომ ლილვმა
ჩალდაყი არ მოღეჰოს.

უწყვეტი ორია. პირველი უკანა 'ე' უწყვეტია, მორე — წინა უწყვეტი. დიღია უკანა 'ე' უწყვეტი, პაწაია — წინა უწყვეტი. უკანა უწყვეტიზა უნდა ხუთვერსოკიანი ხეი. არშინ-ნახევერზე ხეს დავახვეთ იქიდან-აქიდან ნახევერ-ზე, იმას ამოვთლით შუაზე და გაკეთებთა უწყვეტი. წინა უწყვეტიც ამფერათ კეთებთა, მარა პაწაია.

უწყვეტის გაკეთებთა გამეიგონა ბიძაჩემა დავით კვაჭაძემ. მანამღი ბაწ-რით წიწავდენ ჩალდაყს მოსაყვანათ. ერთ ურემს უნდოდა ერთი ბაწარი. ერ-თი უწყვეტი ას ურემს გააკეთეს.

სოფ. გურიანთა

26. ბახჩა

საბახჩეთ უნდა შიარჩიო კაი მიწა. მერე შეღობო უნდა და შეფარჩხო უნდა. ქათამი არ უნდა ჩევიდეს შით. მერე უნდა დაბარო, მერე უნდა დამაშო. რომ დეიმაშებთა, მერე უნდა დაფოცხო ფოცხით. მიწას რომ გაასტორეფ, მერე დაკვალთ უნდა. რომ დეიკვალებთა, დევიწყეფთ თესვას.

ბახჩაში დავთესავთ: მაკიდოს, პრასას, კლიავს, ნიახურს, ქინძს, სტაფი-ლოს, ბურაკს, წიწმარიტას, შაშტრამს, ქონდარს, ზაფრანას (||ხაფრანას), სოხვს, დოგვს, ჭყანას, კამას, ნიორს, ხახვს, გვალ პატრიჟანს, გძელ პატრი-ჟანს, კეჟერა ფხალს, მიწის ცერცვს, ოქროცერცვს, ქართობილს, კინტრს, ნესვს, ხაბურძაკს, ხოხია ლობიას, ჯღის ლობიას [ქონა ლობიას, დეჯა ლობიას (პატარა ლობიას||ციციქა ლობიას)], ხაპს, ხაპერას, კოშია ხაპერას, წარე ხაპს (||საწყლე ხაპს), კაბუსტოს, სალათა ფხალს, მიდამოდას ფხალს (||მაციციას ფხალს||ყლინწა ფხალს), პირპილას, წითელ ფხალს, წილობიას, ბოლოკს, რე-ლისკას.

გძელი პატრიჟანი, გვალი პატრიჟანი, პრასა, პირპილაი ერნერი და-სათესავია. კაი დამაშული მიწა უნდა, ნამწვაევი უნდა იყოს, დააწვა უნდა ზეთ ჩხერგები და ბონდო. მერე ნაცარს დუშუმატეფ ზეთ. მუჟყრით ზეთ კეკალას, ფოცხით უჟსვრით და მერე გავასტორეფთ და მოვბეკნით ფეხით. გვალი პატ-რიჟანი ამუა თუთხმეტ დღეში. პირპილაი გვიან ამოდის, ოცი-ოზდახუთი დღეი უნდა. რომ ამუა, ბალახი ამოხობთა. გავხელავთ ხელით, პაწას რომ წამე-იზდებთა. რომ გეიზდებთა და ავა ერთ ციდაზე, გადავრგავთ გახაზირებულ მიწა-ზე ისთოვლე ბახჩაში. ამ მიწას არ უნდა დაკვალვა, ისთე გაკეთებულა, დარ-გავ რიადში. მიწას ამეიღეფ რაცხაით, თოხით ან ჩხირით, მერე დავრგავთ. მი-

წას შემუყართ, ძირეფს შულებენით. საღამო-საღამოს წყალს დუუსხამთ, წვიმა თვარაა. რომ მორჩება და სულს მეთქვამს, მერე თოხს შუუსოფთ შით. საქონის ნაკელიდან ჟიჟას გავაკეთეფთ და ძირეფში დუუსხამთ. მერე მიწა უნდა დავაფაროთ ზეთ, რომ გრილათ შეინახოს. მერე გავთოხავთ მალ-მალე. გვალ პატრიჟანს ჯღას დუუსოფთ, ჯღაი უნდა. ავაკონავთ ჯღაზე. შედუყვა უნდა მალ-მალე; ლერწეფს რომ ამეიღეფს, შევაწიკოთ უნდა. რომ არ შევაწიკოთ, არ ივარგეფს, გაღბორხლება და ვერ შეხვალ შით, არც გამეისხამს.

ხაბი, ხაპერაი, კინტრი, ნესვი, ხაბურძაკი ითესება ბონდოზე, კას გაკეთებულ მიწაზე პუქკა-პუქკათ. კას მიწას გააკეთეფ. ორმო ამეიღო უნდა და ჩაყარო უნდა შით ნაკელი. ნანწვაიცი კი იქნება იქინეი და ყორიფელი. რომ ამუა, მერე გავამეჩხრეფთ. კინტრს დუსოფთ ფორჩხეფს. სხვას ფორჩხი არ უნდა.

წარე ხაბს დათესავ ღობის ძირეფში. საქონელი მისტობა, მარა წარია და არ ჭამს. წარე ხაბის კეკალი უნდა იყოს ძველი, სამი-ოთხი წლის. უმფრო კაი კანის გამოღის, დიდრვანს გეიზდება და სკელი კანი ექნება მაგარი. წარე ხაბი რომ ამუა, გახობა ღობეს, ხეფეს (||ხეფეს). რომ დანწიფთება, მოვწეკეთ, თავს მოვჭრით და ოჯინჯალაზე ჩამოვდოფთ თავდაღმა გასახმობათ. თავმუჟურელი რომ შევინახოთ, არ ვარგა, გათხელდება. რომ განხება, მერე გამოვპწინთ: დაედგამთ ჭასან ან საცივთან და ჩავასხამთ ციე წყალს. წყალი უნდა გამუუცვალათ მალ-მალე, კაია, თუ ორჯელ გამუუცვლით დღეში. თუ-თხმეტი-ოცი დღის მერე ჩავასხამთ დულარე წყალს და თავზე დავახურავთ პაწა ხანს. მერე გადუუშოფთ წყალს, გამოვრეცხავთ ციეი წყლით და ხაზირია. ვინმართ წყალის ჭურჭლათ. წყალს ცივათ ინახავს, წასალებათ და წამოსალებათ ჩატია.

წილობიეი ითესება მობანტვით. წილობიეი სამნირია: წითელი, შავი, თეთრი. სამივეს წვიტი კეკლები აქ, აფერზე არ ადის. იზდება დაბალს, მიწაზე იხლართება. რომ დანწიფთება, მალე უნდა მოვკრიფო. თუ დაავიანდა მოკრეფა, ჩაცივა მიწაში. მიწაში ზოი შეინახება გამარტებამდი და გამარტებაზე ამუა. გეიზდება და კაი იქნება. ზოი მაშეინათე ამუა, გეიფურცლება და კეკალას არ გააკეთეფს.

ჯღის ღობიეია: ქონა ღობიეი, წითელი ღობიეი, პანტა ღობიეი, ციკქა ღობიეი, დიდი ღობიეი ჭრელი. ფხიან ღობიას უძახით ლეჯის ღობიას. ლეჯა ღობიეია: წითელი ღობიეე, პანტა ღობიეი, ციკქა ღობიეი, დიდი ღობიეი. პანტა ღობიეი წითელია, წითელ ღობიაზე უმფრო წვიტი კეკლები აქ. ფერათ

აგიც წითელია და აგიც ღეჯაია. ციცქა ლობიეი მოქრელო წითელია, პატარვანი კეკლები აქ, პანტაზე უმფრო დიდი კეკლები ქი აქ, მარა წითელზე უმფრო პატარვანია. ციცქაც და პანტაც ისთე ითესება, რაფერც სხვა ლობიეი.

ცერცეს კაი მიწა უნდა. დაბარულ, დამაშულ და დაკვალულ მიწაში ჩეითესოს უნდა ოქროცერცივი. რომ ამუა, ფარჩხები უნდა დუუსოთ. თითო ძირს თითო ფარჩხი უნდა დუუსოთ. შეყობა ფარჩხს, აყვავილდება და გამეისხამს. უნდა მოკნიფო დანწიფებამდი და ქამო უნდა პარკათ მოხარჩული.

მიწის ცერცივი მოპანტვით ითესება. მოპანტავ მიწაზე და მოთონნი. რომ ამუა, გახილო უნდა ხელით. თოხს ველარ იხმარ შით, სკელია. მერე აყვავილდება და გამეისხამს პარკეფს. იქომა პარკათაც და კეკლათაც.

სოფ. ჟუმათი (ნაურმევი)

27. ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური (მოშენება და გამოყენება)

ქათამი კვერცხს დადოფს და დაეაქენთ ოც კაკალ კვერცხზე, კვერცხს დავლანდავთ, გუუხედავთ ბზეზე. დაქდომიდან ათ დღეში გევიგეფთ, ქუქული არის თუ არა შით. რომელჩიც არის ქუქული, დუუწყოფთ იმ კვერცხს. რომელჩიც არ არის, გადავყრით. რომ გამოკვეავს, მერე ვეცდებით გაზდას. ორ დღეს არ ამუაპურეფთ. მესამე დღეს ამუაპურეფთ. ვაძღვეთ ღერდილს, პურის კეკალს. იზდება თანდათანობით. რომ გეიზდება, მერე ვაძღვეთ სიმინდის კეკალს. ორი თვის რომ შეიქნება, გავარჩეფთ დედა-მამალს. დედალს უძახით ვარიას და მამალს — მამალს. ვარია ექვს თვეში გახდება დედალი. ოთხი თვის რომ იქნება, მამალი დეიწყეფს ყივილს, ექვის თვის მერე მამლობას დეიწყეფს.

მამალი რომ მამლობას შეიძღვეფს, ყვერულათ გაკეთთება მერე. მამალს დაყვევრავთ. ორ დღეს მერე კარგათ იქნება და იქნება ყვერული.

ყვერულს ვაზდიეფთ ქუქულიეფს. დაეამბამთ ყვერულს ქუქულიეფთან. მოქვა რომ კრუხავს, ყვერული უყურეფს კრუხავს და ყვერული ეჩოვა. უნდა დუუდგათ ორი ბუდე. დამე მოქვას ბეჭრ ქუქულს შუუსვამთ და ყვერულს — უმფრო ნაკლეფს, ხუთ-ექვს ქუქულს შუუსვამთ. რომ მიეჩოვა მერე, ყველას ყვერულს შუუსვამთ. მოქვას მუაქცევთ და ისთეველ კვერცხს მეიწყეფს. ყვერული არ მეიქცევა და კას ხანს გასტანს ქუქულიეფთან. კარგათაც მუუარს ქუქულიეფს, ქორს არ მუუშოფს ახლოს. სიქამდი ქუქულიეფი არ გეიზდება და კვერცხს არ მეიწყეფს, მაქამდი სულ დახობა ყვერული.

ყვერულს მამალზე უმფრო კაი ხორცი აქ, სუქთება კარქათ; რაფერც დედალი, ისეთ სუქთება ყვერული. დედალის ხორცი და ყვერულის ხორცი ერ-თნაირია, მარა ყვერული დედალზე უმფრო დიდია, ზეავარიელია.

ბატი დაჯდება თორმეტ კვერცხზე, გადასტობა თუთხმეტ კვერცხსაც. ერ თვეში გამოკეკავს ბატის წიწილეთს. რომ გამოკეკავს, გუუშოფთ და ბა-ლახს ჭამს, ბალახით იზღება. დასაკლავი რომ შეიქნება, მერე ჭამს კეკალს. წყალჩი ჩასვლას დეიწყევს მაშვინათე, რომ გამოკეკავს და გამუუშოფ, იმ დლიდან. დედა ბატი ყოოლთვინ დახობა წიწილეთს, საქამდი დასაკლავი შეიქ-ნებოდეს, სიახლოვეს ვერ გუუარ, დაკჭამს. ქორს არ მუუშოფს ახლოს და ძახს. კაცსაც მიზღვეს. მამალი ბატიც დახობა და იგიც ეხმარება წიწილების მორებაზე.

იხვი სულ დოფს კვერცხს, იშვიათად დააჟდება კვერცხზე. იხვის და-დობილ კვერცხს შუუწყობთ ქათამს, ერ თვეში გამოკეკავს იხვის წიწილეთს. ორ დღეს მერე ამოვსვამთ ბუდიდან და მოხარჩულ ჭინჭარს შივაზელთ ჭადის ქფილს და ვაჭუმთ. მაგით ვზდით, სიქამდი კეკალს ჭამდეს. იხვის წიწილები რომ მიხობა წყალს, მოკვა მიზღვეს კრუხვით ნაპირ-ნაპირ. საქამდი (||სანამ-დი) წავა, იქამდი მიხობა. მოკვა კრუხავს, იკლავს ცოცხალ თავს. მოკვა რი-ცხა ახლავს, თლათ შორ არ წავა, აშუა წყალიდან და გამოხობა მოკვას ესთე-ლე. მეიყვანს მოკვა სახში. მერე პატრას რომ მეიზღება, ერთი თვის რომ შეიქ-ნება, მერე მუაშორეთ მოკვას. მერე მისით იზღება ისეთ, უმოკვით. მოკვას მუაქცევთ და კვერცხს დადოფს.

ინდოური ყველაზე უვარესი გასაზარდია, ყველაზე უმფრო სათუთია. ინდოური დადოფს თუთხმეტ კვერცხს, თექვსმეტსაც, ჩვიდმეტსაც, თვრამეტ-ზეც ავა. დავამამლიეთთ ხელით კვერცხის მოწყებამდი თუთხმეტი დლით ად-რე: დედალ ინდოურს დავაყუყუეთ მიწაზე და დუუკავეთ მამალ ინდოურს და ასეთ დავამამლიეთთ. კვერცხს რომ მეიწყევს, მერე, კვერცხის დადობის მერე, ვამამლიეთთ. კვერცხს რომ არ დადოფს, იმ დღეს არ დავამამლიეთთ. კვერცხს დადოფს ხან ყოველდღე, ხან მიორე-მიორე დღეს, ხან მესამე დღემ-დიც არ დადოფს. კვერცხს რომ მეილევს, მეიკრუხეთს. მოკრუხებულ ინდო-ურს დუუწყოფთ კვერცხს. ინდოური გადასტობა ოზდახუთ კეკლამდი კვერცხს. მიორე ინდოურის კვერცხს დუუმატეთთ. ერ თვეში გამოკეკავს. სა-მი დღის შემდეგ ამევიყვანთ ბუდიდან, მოხარჩულ ჭინჭარს ქფილით შეზე-ლილს ვაჭუმთ, საქამდი კეკალს ჭამდეს. საქამდი დასაკლავი შეიქნებოდეს ინ-დოურის წიწილი, მაქამდი ზღის მოკრუხებული ინდოური. ერი წელი მაინც

უნდა, რომ ინდოურის წიწილი დასაკლავი შეიქნეს. ხვავი არ აქ ისთე.

ინდოურის ხორცი საცივათაა კაი ქორწილში. უნდა გავასუქოთ ინდოური სიმინდის კეკალით. ოც დღეში გასუქებთ. მერე დავკლავთ კას დღეზე და ქორწილზე. რომ დავკლავთ, დუღარე წყალში ჩავდოთ და გავქნით. მერე გავკვირტავთ. გავკვირტავთ მოვდგუნავთ. რომ გავქნით, მერე მოვდგუნავთ დუღარეში, მერე გავრეცხავთ ცივი წყლით. მერე დევიწყევთ გაკვირტვას. გაკვირტვაში გაშრება და გავრუჯავთ. მერე გავქრით, გამოვკუქავთ და გავრეცხავთ, გავასუფთავებთ. მერემთ დუღარე წყალში ჩავდოთ და მოვხარჩავთ. ბარკალზე ტყავი რომ დაშებდა, მოხარჩული იქნება და ამევიღებთ. ესე ცხლათ წუუსვამთ ძმარში გაძრულ სუნელს. სუნელში იქნება მარილი, ქინძი, ნიორი, პირპილაი, ნიგოზი. გაძრავ ძმარში, წუუსოფთ ინდოურს. მერე შევწვავთ ინდოურს შამფურზე ან კეცზე. მერე რომ გაცივდება, მერე ავიჩრქავთ და ნაქარ-ნაქარათ დავაწყოფთ გობზე ან ბარქაშაზე და დაქრილ ხახვს დავაყრით ზეთ. ინდოური გახაზირებულია ახლა თავის ხახვიანა. ახლა უნდა წვენს გახაზირება. ინდოურის ნახარჩს გადმოვწურავთ ერ გაყოლას, რომელიც უმფრო ქონიანი იქნება. მერე უნდა სუნელების გაძვრა შით. დანაყავ ნიგოზს ერთ ინდოურზე ერ კილოს, შიანაყავ პაწა ხაფრანას ფერის მისაცემათ ნიგოზს. მერე უნდა დეინაყოს ერთათ მარილი, ნიორი, პირპილაი, ქინძი. მერე გორვალაი დავნაყოთ უნდა ცალკე გამხმარი და გავცრათ მერე. ამ სუნელეფს შევამზადეფთ ყველას ერთათ და გაეძრავთ ღვინის ძმარში. იმას გაეძრავთ კილომ ინდოურის ნახარჩში და გავშინჯავთ გემოს, თუ ყოფნის ძმარი და სუნელი. მერე იმ გაძრულ ინდოურის წვენს წამუადუღეფთ ცეხზე და უზამთ ხახვს. ხახვი რომ შეიხარჩება, ჩამოვდგამთ და ცხლათ დავასხამთ გახაზირებულ დაქრილ ხორცზე. მერე თავზე უნდა დავახუროთ ქახალდი ან რამე იმისანაი, რომ ხაიერი ამევიდეს და არ დავორთქლოს. რომ გაცივდება, გადმევიღეფთ ბლუდებზე და ჩამოვდგამთ ქორწილში და ჭამენ ხალხი ღომზე.

სოფ. ჭუმათი (ნაურმევი)

28. ჭუჭულების გამოკეკვა

ერი ქათამი დაჟდება ოზდაერთ კაკალ კვერცხზე. ოზდაერთი გამოკეკა. უნდა იუდეს ოზდაერთი დღეი. დამჟდარი რომაა ქათამი, პირველათ დგება მიორე-მიორე დღეს. გამოკეკვის დრო რომ მიაწევს, მაშინ ყოველდღე დგება. პაწეს უგრილეფს კვერცხს კეკვის დროს. აბა, ისე ვერ გამოკეკავს. კვერცხი

ახნიკილდება მაშინ და კეკავს. რომ გამოკეკავს, ქუჭულეფს პირველათ ღომის კაკალს ვაძლევეთ. ხიაბაი არ უჩთებოდა ქათამს მაშინ, გაცეხვილი ღომის კაკლით (||კეკლით) რომ იზდებოდა. ახლა ვაძლევეთ კვერცხის ცილს; მაგრათ მოხარჩულს დუფუფუნჩხავეთ და ვაქუმთ. ბურის კაკალი რომ ვაქამეთ, ხიაბაი გუუჩთა. კვერცხის ცილი მოსახთენია. ტანათ დიდს გეიზდება და ჭირი არაფერი არ გუუჩთება.

ორ თვეს მერე შიატყოფ: დედალი რომელია და მამალი რომელია. დედალს ვეტყვით ვარიკას და მამალს ვეტყვით მამლუჩას. სიქამდი არ დეიყივლეფს, მამლუჩას ვეძახით. რომ დეიყივლეფს, მერე ვეტყვით ქათმის მამალს. ვარიკა რომ სისხოს გუუშოფს, მერე დედალი ქეია.

დედალი რომ კვერცხს მეილეფს და კრუხვას დეიწყეფს, ვიტყვით: მეიკრუხაო. მოკრუხებულ ქათამს დუუდოფთ ოზდაერთ კაკალ კვერცხს და დავავენთ ზეთ. კვერცხზე რომ დაჟდება, მერე მოჭვავა.

კაი მოჭვა ქუჭულს კარქათ უარს, ამინდს რომ შიატყოფს: — ცუდი ამინდიაო, შეიბუდრეფს ქუჭულეფს ფთაში. ზოგი მოჭვა ფთხუია, კრუხვას და მირბის. კაი მოჭვა იბზირება ყველა კედრით, ხაიერშიც, მალლიდან რომ არ დეიციეს ქორი.

ყვერული ქუჭულეფს კარქათ უარს. გამოკეკილ ქუჭულეფს შუუყრით ყვერულს. ორმოზდაათ-სამოცამდის შეიყრის ყვერული. რავარც მოჭვა უკრუხვას ქუჭულეფს, ისე უკრუხვას ყვერული. ყვერულს ქორი ნაკლებათ წაართუმს ქუჭულს. ყვერული მიზღვეს ქორს, როგორც ფარშავანგი.

ყვილს რომ დეიწყეფს მამალი, მაშინ უნდა დაკოდვა, ჰანჰანს გამუართუმთ. მერე ქეია იმას ყვერული. ორი-სამი თვეი რომ გავა, მუუშველდება ჭრილობა, დედალს დეიმზგავსება სახით. მერე მაგას ქუჭულის შეყრის დროს დავამბამთ ბაწრით მოქვასთან. მერე ქუჭულეფს შიეჩოვა. მერე დედალს მუაცილეფთ და ყვერული შეიყრის ქუჭულეფს. მერე თვითან ყვერული ქუჭულს შაშუალეებას არ მისციემს სხოგან წევიდეს მის გარდა.

ყვერული ხორცითაც კაია, ინდოურს შიედარება.

სოფ. ქვემო ნატანები

29. სიმინდი და ღომი

ჩენი საყანიები ამ მერეში იყო. ხალხი იდგა ზეგნეფში. ჩენი სოფელი გოგორეთი იყო. მერიიდან გოგორეთის სკოლამდი იქნება სამი ვერსი. გოგო-

რეთიდანაც, კონკვათიდანც, ხვარბეთიდანც მოდიოდა ხალხი ამ მერიის ტერიტორიაში და ყანობდა. ამ საყანე ადგილევს უძახოდენ სახელევს: ჩაჩივი, საიხვიეი, დიდი მუხურო, მოლიანი, ლეკიანი, ნაბახჩვარი, ნაკარვალი. საყანე მიწები იყო აი. ყველას ერთათ უძახოდით მერიევს. ამაში ჩვენ ვამუშავებდით სიმინდს და ღომს და ღობიას.

თუ გვალევები იყო, მაშვინ ქვონდა კაი მოსავალი. თუ წყლიერი იყო, მაშვინ სარჩოს შოვნა გვიკირდა. ყანიები ინოყებოდა სისობლით, ჩალა გაყვითთებოდა და ტაროს არ იღებდა. ღომიც ინოყებოდა და თაველს არ იღებდა. მიწა რომ სოლდებოდა და ბზეი დუუცხუნებდა, ღობიეი ღრებოდა; მოსავალს არ იძლეოდა.

როცხა რომე ქალი არ იყო, პური უნდა გვეყიდა. შეშას ვამზადებდით გასაყიდათ. შეშას ჭქირდით საღარიბოში. ბილეთს ვიღებდით. დამზადებული შეშა მოქვონდა ნატანევში და წყიდდით მაგას საქენს თერამეტ მანათათ მაგარ შეშას. ბილი შეშა იყო რვაი და ათი მანათი. თხმელაის შეშა ბილია. მაგარი შეშა იყო ცხემლაი, წიფელა და კობიტი. ყველას ცხემლაი, ცხემლაი ჭობია სინამღვილევში შეშათ.

საყანე მიწას კიდავაც ჭხნავდით და კიდავაც ჭთოხნიდით. მოდულას ჭხნავდით კავით და ისე ჭთესვიდით. კაპეტი მიწები რომ იყო, იმას ჭთოხნიდით თოხით. იმაში ხიები იყო და ძირევში კავი არ გვიარდა. სამ-ოთხ წელიწადს მერე კავით დეიხვნებოდა, თუ გინდოდა. მანამღე ზორი იყო დახნა, ძირები იყო შით. მერე იქვეოდა მოდულათ. პირველათ რომ დავხვნიდით მიწას, პირველ კვალს ვეტყოდით. მორე კვალში ჭთესვიდით. მიწას მარტიდან ჭხვნიდით, მაისში ჭთესვიდით. თოხით ჭთოხნიდით და ჭთესვიდით მაისში. თოხში ითესებოდა.

ნებართვას ევიღებდით და გაჭიხდით ტყეს საყანეთ. ხიევს მოვშქრიდით; ეკალი და ბარდი თუ იყო შით, მოვშქრიდით იმას, თავს მუუყრიდით და დავწვიდით.

ამ კაპეტევში პირველათ კაი მოსავალი მოდიოდა. სიმინდთან ერთათ ხაბი და ხაპერაიც კაი მოდიოდა.

სიმინდს მარგვლიდით და ჭთოხვიდით ორხელ. პირველი გამარგლაა, მერე — თოხვა და კიდევ — თოხვა.

კაპეტევში ღომი არ ითესებოდა. ღომს უნდა გაწმენდილი მიწა. როცა მიწას გავსწმენდით, მერე ჭთესვიდით ღომს.

უწინ ღომს ყველა ოჯახი თესვიდა. უღომოთ არ შეიძლებოდა არც ქი-

რი და არც ლხინი.

საღომე მიწა ჯერ უნდა მეითობნოს, მერე ფოცხით უნდა გვიმერულოს: ფოცხით უნდა ჩატეთ ევილოთ და მოვპანტოთ უნდა მონათობნი ბალახი და იი, რაცაა ძირები. გახმება ერ დღეს, კაი ბზიანი დარი თუა. მერე თავს მუუყურით, გავაკეთეფთ ბონდოს და დავწავთ. იმ ბონდოს დანაწავზე დავთესავთ ბოლოკს და კიტრს. კაი მოსავალი ქონდა.

ლომი ითესება თონში. კრეფის დროს ვიღეფთ შერჩეულ თაველს, შეკრავთ კონათ და ვეძახით მუქკას. ამ მუქკას ვინახავთ სათესლეთ. დანარჩენს მერე წყრეფთ მთლიანათ, მიგვაქ სასიმინდე ნალიაში. მერე ამას უნთეფთ ქვეშიდან ცეხს. ნალიეის გვერდები შამოფარდნულია ჩალით, რომ ქარმა ფუტი არ წეილოს განზე. ფუტი უნდა ევიდეს პირდაპირ მალლა ქერზე და გაახმოს ღომი. შეშა მანდამინც ხმელი არ უნდა, შემპალი შეშა უნდა, ფოჟო შეშა, რომ კაი ფუტი ექნეს. ამ კას ფუტში როცხა შეშრება, მერმე აღის კაცი და გადააბრუნეფს, ამორეკს. მერე შრება. როცხა ურეფს, პირი უნდა ქონდეს ახოული, რომ ფუტმა არ შიაწუხოს. რომ გაშრება ღომი და გაცივდება, მერე მიაქვენ და ინახავენ ბელელში. ბელელში თავვი ვერ შევა. ბელელი სპეციალურათ მაგიზაა გაკეთებული, რომ თავგმა არ შევიდეს. ბელელი შეიძლება წაბლის ხიდან, კოპიტიდანც და წიფლიდანც. ბელლის ძელს ორი ვერჟოკი სისკე ქონდა, რომ თავვი არ შემძვრალიყო შით. როცხა დაკვირდებოდა ღომი, გამევიტანდით ბელლიდან, გავაწობდით ცეხზე, ლასტზე დავყრიდით. ქვეშიდან ფუტიანი ცეხლი ექნებოდა, რომ გიეშრო კილომ კარქათ. მერე ჩამევიღებდით, წევიღეფდით და გავცეხვდით ჩამურზე. ჩამური არის ქვის, რაშიც ღომი იყრება. იმას აქ მოწყობილი საცეხველი ხის, რომელიც რომე ცემს. საცეხველი დამაგრებულია ორი პატარა ბარჯგებზე. წინ აქ წირისთავი, რომელიც რომე სცემს ღომს და იფშნება შით აი თაველი ღომი და იცეხვება. წირისთავის ძელზე (ტაბოზე) დგანა ქალი და ცეხვს ფეხით. ერთი ფეხით ასწევს და მეორე ფეხს დაარტყამს. როცა ცეხვს, ურეფს ჯოხით. რომ დეიფშნება, მერე გამევიღებენ ბრეს. მერე კილომ მუუბრუნდება ქალი და ცეხვს. მერე ბრეი შორდება თლათ (შთლიანათ) და რჩება სუფთა ღომი, ხაზირი. მერე რომ დაკვირდება გასაკეთებლათ, გავრეცხავთ. თუ დარჩენილა რამე შით, მუაშორეფთ. მერე ჩავასხამთ წმინდა წყალს და წხარჩავთ ნელი ცეხლით. მაგარი ცეხლი თუ მიეცი, დაწვავს უტფათ. მერე გემოს მიცემს გლახას (ღერლილის ღომსაც ნელი ცეხლი უნდა პირველათ). უღომით არ იქნებოდა არც ხარჩო, არც საცივი. ღომით კეთდებოდა კილომ ტაბლა აღდგომას. ღომი იჭფოვოდა, იზილებოდა,

ყველს უშობოდით და ვაცხოვდით.

მუქკასაც ბელელში ვინახავთ ღომთან ერთად. ნალიაშიც ერთად ვაწყობთ. როცხა დაკვირდება დასათესავათ, მაშინ ფშვინით, ურეკავთ და წთესავთ მერე. მუქკა რომ დეიფშვინება და სათესლეთ გახაზირდება, სათესლე ჩხოი ქვია. ჩხოი რომ დეითესება, ათ დღეში ამუა, თუ კაი ამინდი აქ. თუ სირისტი არ აქ, დეიგვიანფეს გაწვიმებამდი. თუ კაი გაწმენდილია მიწა, ბალახი არ ამუა. ოთხი ვერშოკი სიმაღლე რომ ექნება, გამარგლო უნდა და იი განამარგლი გამოფოცხო უნდა. შიგნით გავაკეთეთ ბანდუფეს. ათ დღეს მერე გავთობავთ და მიწას შამუაყრით ძირზე, რომ კარგათ გეიხაროს. თუთხმეტ დღეს მერე კილომ უნდა თოხი და მთავრდება დამუშავება. ოქტომბერში მეიყარიფება.

ღომს უნდა პატარა თოხები. სამვეერშოკიან თოხფეს აკეთებენ ღომიზა და ბრინჯიზა სპეციალურათ.

ბრინჯიც ასთე ითესება. ერთნაირათ ითესება ორივე. ბრინჯს სობელი მიწა უყვარს.

სოფ. მერია

30. ვენახი

ძველათ ჩვენ სოფელჩი იყო ჩხავერი, ტევანდიდი, ქუმუტაი, კამური, ორონა, ალადასტური; თეთრი ყურძენი იყო კილომ.

აგინს დააყარა ნაცარა და დაკარქა მოსავალი. მერე ერისთავს მუუტანია აღესა და გამბრავლა ხალხმა. ბეჭერი მოსავალი ქონდა. ღვინის შენახვა არ იცოდენ. წბთილით არაყს, ვაქცევლით არაყათ. ჩავასხამდით სპილენძის ქვაბეფში. არაყი იყიდებოდა ქალაქეფში. ღვინოც ქე მიქონდენ, მარა თრევათ არ ღირდა. კინიგზაი არ იყო.

მე ვაშენებდი აღესას. ჩამევიარდი ხეფეს. ბეჭერი ვაზები თუ იყო ზეთ, ჩამოყვრიდი ძირში. დაბალზე თუ იყო აი ვაზები, დედოვენახს არ წავაქცევდი. ზეიდან გადმუუშობდი ვაზეფს და ვამაგრებდი მიწაზე. თუ ვაზები მალალზე იყო, დედოვენახს წავაქცევდი და ვაზეფს დავამაგრებდი. მიწას მოვთხრიდი და ვაზის ქვედა ტანს ჩავდობდი მიწაში. რომ არ ამოცურებულყო, კაკვით ვამაგრებდი. მერე მიწას დავაყრიდი. გადასატანი ვაზი უნდა დაამაგინო ჩა-

ტეთ და დასატიებელი — უმფრო ღმათ. ვამაგინებდი ორწლიან და სამწლიან ვაზეფს, რომ უმფრო მალე გიეზარა და საქონელს არ შიეკამა. დამაგინებული ვაზი ერ წელიწადში გეიკეთეფს ძირეფს. მიორე წელიწადს გადარგავ. მუურ-გავ ძრიელ ხეს; ბლინკა ხეი გააფუქეფს. დეიჯორგება და აღარც ყურძენი იქნება და აღარც ხეი. მეტ ყურძენს იძლევა თხემლაზე. ცოტა ნაკლეფს იძლევა ბეოლზე, მარა ხარისხი უკეთესი აქ. ნაძვი დაბურულია და ხაიერს ვერ შონილოფს ნაძვზე. ყორიფელს ხაერი უნდა. ნაძვზე ვერ კეთულოფს კარქათ.

დიხაშხოში მეტ ვაზს ეიტანს ხეი, ტყლიბუზაი მიწა და ვაზი გვიან ხაროფს, მარა დიდხანს ძლეფს.

როიციხა ყურძენი თავის სუნს გუუშოფს, ერ კვირეს ვაცლით და მერე დევიწყეფთ კრეფას.

კაცი აღის ხეზე, ეიტანს გძელი ბაწრით გიდელს. გიდელს აქ ბაწრით დამაგრებული ღაღვილი. ღაღვილით გიდელს დაკვიდეფთ ბოლზე. რომ გეიფსება, გადმუუშოფთ ბაწარით ძირს მიწაზე. ბაწარი ჩამოცმულია ღაღვილზე. რომ ჩამუა დაბლა, ბაწარს ქი დავტიეფთ და გიდლით ყურძენს მიეიტანთ გოდორთან და ჩავყრით გოდორში. ცარიელ გიდელს გამუუჟიდეფთ ღაღვილით ბაწარზე და ვეტყვით: — შვიდობით ჩამოი! — იგი წაიდეფს გიდელს და დეიწყეფს კიღომ კრეფას.

სოფ. მთისძირი (ასკანა)

31. ყურძენის კრეფა და ღვინის დაყენება

ჩემი ბაღნობის დროს ამ სოფელჩი იყო ადესე, ჩხავერი, ქუმუტე. ჩემ მახსოვრობაში სხვაი არ იყო. ზენა ქარმა გაახმო აქანე ვენახი. მალალ ხეზე აქანე ყურძენი სუსტოფს.

ჩხავერი, ადესე და ქუმუტე იყო ხევებზე. ხევეფს დავსხებლით, ვენახს გამოვწმენდლით ხმელეზიდან და დავტიეზლით ხეზე. მერე მოკრეფამდი, აფერი არ უნდოდა. სამ წელიწადში ერთხელ უნდოდა დასხებვა და გამოწმენდა. ხევეფს იმიზა ვსხებლით, რომ ვენახი არ გაამპარტივენებულიყო. მოსაკრეფათ იოლი იყო, თუ იყო ახლო ტანხესან. შეძკრებოდენ შით ბოლეფში გიდელით და მოკრეფდენ ყურძენს. გაავსებდენ გიდელს და ჩამუუშობდენ გძელი ბაწრით ძირს. ძირს იყო გიდელის გამძლევი, ჩაყრიდა ყურძენს გოდორში. გოდორს უძახოდით საქვირთეს. რომ დეიძახებდა კაცი, — ქალო, საქვირთე მომიტანეო, — მუუტანდენ გოდორს. გოდორს ქონდა ზრუგზე მოსაკიდი სამხრე

და ამიზა უძახოდენ საქვირთეს. მეიკიდებდენ იმას და ჩაყრიდენ საწნახელჩი. იცოდენ ლექსიც:

— კენწეროში ჩიტი კქამდა,
გიდლით ჩამოგიტანე;
საწნახელჩი რომ ჩაგყარე,
ფეხით გამოგიყვანე.

დაქნებდენ ყურძენს ფეხით. ფეხი უნდა დიებანათ საპნით კარქათ. კობულითაც ქნებდენ, თუ დიდი იყო ხე. დიდ საწნახელჩი ღვინო მუხზე აცილდებოდა, მერე კობულს იხმარდენ და კაცი ამევიდოდა. კობულით ქნებდენ მერე. დაქნებულ ყურძენს ოთხ-ხუთ დღეს გავაჩერებდით საწნახელჩი, რომ დადუღებულყო და მეტი ღვინო მიგვედო. ოთხი-ხუთი დღის მერე გამევიდებდით საწნახლიდან და ჩავასხამდით ქურში ჭარიკეთ. ჭარიკაში ვასხამდით კობით. საწნახლიდან ღვინის ამოსაღებ კობეს ქონდა მოკლე ტარი და უძახოდით ორშუმას. ორშუმე გაკეთებული იყო წარე ხაბიდან, ქონდა მოკლე ტარი და გავდა ქურიდან ღვინის ამოსაღებ კობეს, მარა ქონდა მოკლე ტარი და დიდი იყო. ორშუმეთ ჭარიკას მალე ვაფსებდით. აფსებული ჭარიკე მიკვონდა ქურზე და ვასხამდით ქურში. რომ გეიფსებოდა ქური, დავგოზდით: მუხის როგოს ქურს დავაფარებდით თავზე და მერე მოზელილი წითელი (II ალიზე) მიწით დავგოზდით ფეხით. დადუღებულ ღვინოს სასულეს არ დუუტიებდით. თუ დადუღებული არ იყო, მაშენ გამოვხრეტდით როგოს შვაზე და ჩოუშობდით შით გამობურღულ ხეს. გამობურღული ხეი იყო ამოსული მიწას ზეით და იქიდან ამოდიოდა სული. ღვინო რომ დაამთავრებდა დუდილს, მუაცილებდით სასულეს და გავჭექდით გამობურღულ როგოს და დავგოზდით მიწით. მერე აღარ უნდოდა მარტამდი აფერი. მარტში გადავიდებდით სხვა ქურში, რომ თხლეი გამოშორებოდა. რომ გადავიდეთ, იი ქური გავამსოთ უნდა და ისე უნდა დავგოზოთ, თვარა ამმარდება. მერე მოორეხელ უნდა გადაღება მაისში, რომ ღვინომ იძველოს. გადაღების დროს თხლეი არ უნდა შეხვეს, თვარა ამმარდება. მოორეხელ გადაღების დროს არ უნდა სასულე. ინახება ახლის მოსლამდი.

სოფ. მაღალი ეწერი

32. ვენახი, ყურძენი, ღვინო

აქანა (||აქანე) სახლები მეჩხრათ იდგა, ხეი იყო სულ სოფელში შით. ხეი რომ იყო, აგინზე ვენახები იყო. ჩხავერი იყო, ტევანდიდი იყო, თეთრი ყურძენი იყო, ჭუმუტა 'ა', ბადაგი. ხევებზე იყო მაგინი და ისხამდა.

ჩხავერი ყველა ვარგოდა, პატარა ხეზე არ გეიმართებოდა. გამქანვარე ხეი თუ იყო, გადაშლილი ბოლები თუ ქონდა, ხუთი ფუთიც ჩამოდიოდა. საკრეფათ რომ ევიდოდით, ვეიტანდით გიდელს. გიდელს აქ წვიტი კუმტული, რომ გიდელი ბოლფეში გამევიდეს, ზეით უმფრო ფართეა. ფართეზეა ორ მხარეზე ბაწარი ამოცმული. იმაზე ღაღვილია მიმბული. ყურძნის კრეფის დროს გიდელი ღაღვილით დაკიდულია ბოლზე. რომ გეიფსება, ჩამუთუშოფთ ბაწრით. ბაწარი მარყუჩათ აქ ღაღვილზე, მარა ღაღვილს არ ექირება. გიდელი რომ ჩამუა დაბლა, დუუძახეფთ გიდლის მკლელს და ღაღვილს გამუაძროფს ბაწრიღგან. მეგრე გაცლის გიდელს გოდორში. ცარიელ გიდელს ჩამოჭიდეფს ბაწარზე და დუუძახეფს: — შვიდობით ჩამოიო. რომ გეიგონეფს იგი, იცის, რომ გიდელი დაკიდულია. ეიტანს გიდელს ბაწრით. დაჭიდეფს ბოლზე და კიდომ დეიწყეფს ყურძნის კრეფას. გაშვერილ ბოლზე თუა ტევანი, ბოლს მევიწონიეფთ კაკვით. თუ ბოლი ვერ მევიწონიეფთ, მაშინ დაეძურწავთ ვენახს. ჩხავერის ჭაელი რომ დაძურწო, ტევანი არ ჩამუარდება. ჩხავერის ტევანს მაგარი ყურწი აქ. ყურძნის კრეფის დროზე ცერზე ფჩხილს არ მეიქინიდენ, რომ კარქათ მიეწყვიტა ტევანი.

ტევანდიდი შავია. აი ჩხავერი უმფრო მოწითანო ფერისაა. ტევანდიდს იმიზა ეძახოდენ, რომე კეკლები და ტევანი დიდი აქ. მაგის ღვინო შავია. ტევანდიდს მეტი გამოდის, მარა ჩხავერზე წინ ღვინო არაა.

ჭუმუტამს ღვინო ტევანდიდს ჯობია. ჩხავერს რომ გემო აქ, იმფერი გემო არ აქ. ღერწი მაგარი აქ ჩხავერსავით. წვიტი კეკლები აქ, რაფერიც ჩხავერს. ჭუმუტამს და ჩხავერის კეკლები ერხელვანია. ჩხავერს და მაგას ერთნაირი ღვინის გამოსავალი აქ. ჭუმუტამს ტევანზე კეკლები გაქენთილია, ცარიელს ვერ ნახავ ზეთ ადგილს. ჭუმუტამს ტევანი გვალია, მარა ბულთივით არაა, მოგძოა და ისეა გვალი. ტევანს ბოწკი არ უჩანა, გვალათაა გაქექილი.

თეთრი ყურძენიც მაღლარია. ცოლოკოური რომაა თეთრი, იმ ფერადია, ღვინოც იმ ფერადია ფერათ. თეთრი ყურძნის ტევანზე მეჩხერი კაკლებია. ტევანდიდის კაკალზე (სკეკალზე) ცოტა ნაკლები აქ. ჩხავერზე უმფროსი კეკალი აქ. ღვინო კაი გამოდის.

ბადაგიც მალლარია. ტევნები დიდრვანი აქ. ტოტიანი ტევანი აქ, ბოწკებივით ახლავს ზეთ. მეჩხერი კაკალი იცის. მაგარი ლერწი არა აქ მაგას და მოსაწეკვით ადვილია. ლვინო კაი აქ. ტევანდიდს ჯობია ბეჭრათ. ჩხავერისანა არაა სიმაგრით, ძალა არა აქ იმდელი.

მაგინის ლვინუები ერთათ არ ჩეისხმება ჭურჭელში. ცალ-ცალკე ჭურში ჩაასხამენ.

მალამდე ხის საწნახელი იყო. დაეკნენდით იმაში ყურძენს ფეხით. ფეხს დევიბანდით საბონით და წყალით კარგათ და მერე ჩევიდოდით საწნახელში. როცხა წვენი შუღდგებოდა, ზეიდან დავაფენდით გვიმბრას და ამევიღებდით ლვინოს ორშუმაფთ. ჩუღშობდით ჭარიკაში ორშუმაფთ ლვინოს. რომ გეიფსებოდა ჭარიკაფ, გატყლიდით ჭურში. თუ, მაგალითათ, იი ჭური არ აგვითავდა, მერე მორე ჭურში დევიწყებდით ჩასხმას ჭარიკაფთ.

შვიადარებდით ლვინოს, რამდელი იქნებოდა. იმის შესადარ ჭურჭელჩი ჩავასხმიდით. თუ ბეური იყო, დიდ ჭურში ჩავასხმიდით. თუ პატარა იყო, ყუბარში ჩავასხმიდით.

ყუბარი არის ორფუთიანიც, სამფუთიანიც, ოთხფუთიანი და ხუთიანი. იმას ზეით თუა, ჭურია მაშენ. ყვიბარი (||ყუბარი) მიწაშია. ჭურები და ყვიბრები ყველა მიწაშია ჩადგმული. მიწაში იმიზა ჩადგმული, რომე გრილათაა შით ლვინო. ჭურეფსა და ყვიბრეფს თავზე ახურავს როგო. რომ გეიფსება ლვინით ჭური, დავახურავთ როგოს და დავგოზავთ ალიზი მიწით. ალიზი მიწა ნაცრისფერია. წითელ მიწაზე უმფრო წებოიანია და არ ხმება. წყალი ვერ გადის შით.

ჭური და ყვიბარი ირეცხება ორჩხუშით. ორჩხუშია სიმინდის ქუჩეჩაფ (||ქვიჩეჩაფ) შეკონილი. კანაფის ბაწარს დავგრებთ და შევკონავთ. შეკრულ ორჩხუშს წამუაგებფთ ხეზე. მერე წყალს ჩუღშოფთ ჭურში და ვრეცხავთ ჭურს. ჭურიდგან წყალს ამუასხამთ ორკობით. ორკობე წარე ხაპია. წარე ხაპს ზედა თავი მოჭრილი აქ სწორათ. ზედა თავი გამობრეტლია ორ ადგილზე და ამოცმულია ზეთ ორ ფხარეზე ბაწარი. ამ ბაწარზე არის ზევიდგან დამბული ჯონი. ახლა მერე ჯონია დამბული დაბლა ძირიდგან, ქვეშიდან. ძირი გამობრეტლია პაწა, ვინწროთ, გაყრილია შით კანაფის დაგრეხილი სუფთა ბაწარი ან შპაკატი (მალამდი სად იყო შპაკატი! კანაფს ვგრებდით). არის დაბმული ჯონზე მაგიც. ჩოღშოფთ (||ჩუღშოფთ) ჭურში. ქვეშიდან გძელი ძაფით რომაა მომბული ჯონი, იმ ჯონს ჩავდოფთ ორკობეში და დავაწობით. ორკობეში ჩავა წყალი. ორკობე რომ გეიფსება, მოვწევთ ორძაფიან ჯონს, ამევი-

ღებთ ორკობეს. როცხა ზეით ამევიღეფთ, ქვეშიდან მომბული ჯოხით გვეიქ-
ნევთ და გადიქვევა წყალი. ზეიდან მომბული ჯოხით უნდა დავაკორწიალოთ
ორკობე და მერე უნდა გვეიქნიოთ ქვევიდან მომბული ჯოხით. ბინძურ წყალს
რომ ამუასხამთ, სუფთა წყალს ჩუუშოფთ კილომ, კილომ შვერეცხავთ. ამფე-
რი შერეცხა დაშქირღება ხუთ-ექვსჯერ. სიქობამდი არ დაკანკასღება წყალი,
ნამდი ვრეცხავთ ქურს. რომ ამოსუფთაეღება, ხაზირია ქური ღვინის ჩასასხა-
მათ (ჩასასხმელათ). ჩოუშოფთ მერე ღვინოს. ქური არ უნდა გავაპიბინოთ
თლათ, უნდა დუუტით ერთი ხელისდაღება სადუღარი. მერე როგოს დავა-
ხურავთ თავზე და დავგოზავთ. არ ვნახულოფთ გამარტებამდი. გამარტებაზე
მოუთხრით და გაღვიღეფთ უმფრო მომცრო ქურქელში. ქვეშ დარჩება
თხლეი. მომცრო უნდა გავამსოთ თლიანათ. მერე როგო დავახურეთ და დავ-
გოზეთ. დიდ ქურქელში რომ თხლეი დარჩა, იმას ამევიღეფთ. გავრეცხავთ იმ
ქურს. რომ გავრეცხავთ, მერე ჩოუშოფთ ერ ფუთამდი წყალს და დავგოზავთ.
აი წყალი უნდა ამუასხათ კვირკობისთვეში. პაწაჲ შვერეცხოთ უნდა. მერე
ჩოუშვათ უნდა წყალი ისთველე და დავგოზოთ. ახალი ღვინის მოსლამდი თა-
ვისუფალია იი ქური.

საფელამუშეთ ბადაგის ტკილი ჯობია ყველას.

სოფ. დვაბზუ

33. ჩხავერი

ძველათ იყო ამ ადგილეფში ჩხავერი, ტევენდიდი, ქუმუტაჲ, ტრედის-
ფეხა. მერმეთ იყო ადესაჲ. მაგინი ხეებზე ადიოდენ. ყველას ჯობდა ჩხავერი.
თოლჩი, ქრიშობისთვეში, ჩხავერი მოკერიფეთ ოზდაათ ფუთზე მეტი. მახ-
სოვს მე, თოლზე ვიდექი და მამაჩემს გიდეღს უცლიდი. ჩხავერი ხეზე დიდხანს
ძლებდა, ერი კაკალი არ ჩამუარღებოდა. ჩხავერს დავრგავდით თხმელაჲს
ძირში. მერე გვიზღებოდა და მიედობოდა ზეთ. ჩხავერი წიფდებოდა წიფო-
ბისთვეში. მოკრეფა შეიძლებოდა წიფობისთვის დამლეფს. რომ მოკრეფდით,
ჩავყრიდით საწნახელჩი, შეიკაზმებოდა. მერე დავქნებდით ფეხითაც და გო-
ბულითაც. მერე გარეცხდენ ქურს და ჩუუშობდენ შით თეთრათ. ჩხავერს
სულ თეთრათ იღებდენ. წვენი ბეური ქონდა და ჩუუშობდენ ქურში. ქურს
დააკლებდენ ვერშოკ-ნახევეარს, რომ ღვინო გადარუნდეს. მერე ქურს თავზე
დაახურავდენ წაბლის როგოს და დაგოზვიდენ წითელი მიწით. ქურს მისემ-
დენ პატარა სასულეს. როგოს კიდეში ჯოხს დუუსობდენ და რომ დავგოზვი-

დენ, ჯოხს ამეილებდენ. იქიდან მოდიოდა ღვინის ხაერი. თუ არ დავატანდით, მაშინ ღვინო ამოდულდებოდა მიწაში. დასალევით ვარგოდა ათ დღეში. მერე მარტში გადილებდენ ღვინოს ისთველე ჭურეფში. ერი ჭურიდან მოორე ჭურში ჩუქუმობდენ და დაგოზდენ. სუფთა ღვინო რაც იყო, ჩუქუმობდენ. თხლე 'ი' დარჩებოდა. ჩხავერს არ ქონდა ბეჭერი თხლეი. ჩხავერს ერთის მეტი გადაღება არ უნდოდა, სუფთა იყო.

ჭუმუტაჲ შავია. რომ დადულდება, შავია. ჭუმუტაჲს ღვინო მაგარი არაა. მაგარია ჩხავერი და ტევანდიდი. ჩხავერი წინ ღვინა ტევანდიდზე, ჩხავერზე წინ არაფერი ღვინო არაა.

ახლა ჩხავერი გადივიდა, დაბერდა. აღესაჲ რომ შამევიდა, ჩხავერი წევიდა.

ახლა მეურნეობამ დეიწყო ჩხავერის მოშენება. ბახვს აქ შეიდი-რვაი გექტარი მოშენებული; ჩხავერის მეურნეობა ქვია იმას, მარტო ჩხავერია, სხვაი აფერი არაა.

ახალი ლერწი ჩამეილეს ძველი ჩხავერიდან, დამყნეს და დარგეს. ხეზე არ გუშუვეს, დაბალ ფორჩხებზე გააშენეს. ხეზე ვერ შეწამლავდენ და იმიზა გააშენეს დაბალზე. წამალი რომ არ უქნა, მონაცრავს და გაფუქვდება.

სოფ. ცხემლისხიდი (ზედა უჩხუბი)

34. ყაჭი

უწინ ჩვენ გვაძლევდენ ყაჭის კეკალს და ჩვენ გამოკვყავდა. კეკალს გვაძლევდენ კაროპკით. ჩვენ ქინქს ამოკეკრავდით და ჩაყვრიდით შით და ვათბობდით. დედაჩემი რომ დაწობოდა, დეიდობდა ბალიშის ქვეშ და თფებოდა. რომ იწვევრდა, ბაწეს რომ გამევიდოდა, მერე გამოვყვრიდით კაროპკაზე და დუღუდობდით ბეკოლს. ქანალდზე დავჭრიდით ბეკოლს და ამევიდოდენ ზეთ, ამოფუთქუნდებოდენ. მერე ევიყვანდით იმას და დავსვამდით ჩაფარაზე. პატარა ჩაფრეფს დავდობდით, დუფუნდით გაზეთის ქანალდს და დავსვამდით ზეთ. მერე ვაპურებდით. ერ კვირეში პირველ კანს მეიცილიდა. ამევიდოდა სამ დღეში. მერე მუაპურებდით პირველ კანში. მერე კიდომ ვაძლევდით ბეკოლს, ვაპურებდით მიორე კანში დასაწოლათ. მეექვსე დღეს დაწობოდა მიორე კანში: რასაც ბრეტლს აჭუმ, უკეთესია, უმფრო მალე დაწობა. მიჭმოვია დღეში ხუთი-ექვსი ზობა (sic.), მური რომაა, მაშინ, ორ კანში და სამ კანში ამო-

სლამდი. კანიდან კანამდი უნდა ერი სტორი, კარქათ რომ აქუმ. ორ კანში რომ ამუა, მერე დაწობა წარბისკანში. მესამე დღეს ამუა წარბისკანიდან. მერე აძლიო უნდა ბეოლი დიდ კანში დასაწოლათ. ახლა მაგას მეტი უნდა ჭამა. შვიდი დღეი მაინც უნდა ჭმოვა. მეშვიდე დღეს დაწობა დიდ კანში. ძინავს ოთხ დღეს. მიოთხე დღეს მუაპურეფთ. სამ დღეს ვაპურეფთ და მერე გადავსვამთ მიორე ჩაფარაზე. მიორე ჩაფარაი ხაზირი გვაქ. გადავსვამთ და გადავანაწილეფთ ჩაფრებზე. ნაძირეფს გადაეყრიოთ და ყაქს ჩაფრებზე გადაეაკაკალეფთ, გავამეჩხერეფთ. მერე ვაპურეფთ და ვაპურეფთ. მერევე დღეს პირს უუცავთ ხმელი კამანიეით ან ცხმელაის ევეროით. მერევე დღეს პირის აცვის წინ გადაანაწირეფთ (||გავსართავთ). პირველათ გვიმბრას მუუდოფთ გასართვის ხანს. მერე ჩაფრეფს და ჩაფრეფს შუა კამანიას ჩადოფ შით გორებათ. კამანიას კაი სული აქ და ყაქს უხარია, შეფთქიალდება ზეთ და პარკს გააეთეფს. კარქათ რომ წავა, მესამე დღეს ეიყვან ბობოლს. ამ ბობოლს უძახიან მანანას. მანანას დასვამ ერ ჩაფარაზე ცაკე და მუუდოფთ კამანიას იმასაც. გააეთეფს იი პარკს. მეხუთე-მეექვსე დღეს გამოეზინეკავთ პარკს და ჩავაბარეფთ თაერობას.

სოფ. ჭუმათი (ნაურმევი)

35. პარკი

ნენაჲ შეინახვიდა პარკს. პარკში პეპელა გამოშქრიდა. იი პეპელა მიაჯდებოდა ქახალდზე და დაყრიდა კაკალს. ნენაჲ კაკალს ჩაყრიდა ბაწა ბოთში. თავზე დაახურავდა ჭინქს, ჩამოქიდებდა კედელძე. გამოზამხულზე გამევიდოდა ბობოლი, მური. ჩალის ჩაფარას დავლობავდით. ამ ბობოლს დავსვამდით ჩაფარაზე. მერე ვაპურებდით ბეოლის ფურცლით. ამ ჩაფარაზე მეიცვლიდა პირველ კანს. მერე გამუუცლიდით ნაძირას, გადავსვამდით ნახევარს მიორე ჩაფარაზე. ერ კვირეს ვაპურებდით ახლა კიდომ. ამევიდოდა კეხისკანში (ახლა მიორე კანს უძახით). კიდომ გამუუცლიდით ნაძირას. კიდომ გადავსამდით. გახთებოდა ხუთი ჩაფარა. ვაპურებდით კიდომ. დაწობოდა მერე წარბისკანში. რომ ამევიდოდა წარბისკანიდან, კიდომ გადავსვამდით. გახთებოდა ათი ჩაფარა. ვაპურებდით კიდომ და დაწობოდა დიდ კანში. დიდი კანიდან რომ ამევიდოდა, მერე გავსვამდით კიდომ. გახთებოდა ოზდახუთი ჩაფარა მაინც. ნახმერლი (||ნაძირა) კანის მოცლის დროს ყოველთვის უნდა გამოგვეცვალა. დიდი კანიდან რომ ამევიდოდა, მერე გახთებოდა საძლომი. ამ

ოზდახუთ ჩაფარას უნდოდა ოთხი გოდორი ბეოლი ერ ჯელძე. დღეში ორი ჯელი მინც უნდოდა. ათ დღეს უნდოდა ასთე. ათ დღეს მერე გამუჟუცლით იმას ნაძირას. გვაქ გამზმარი ცხმელაძს ევერი შენახული. ამ ევეროდთ უცავთ პირს ყაქს. ამ ევეროს შევიკონავთ და დუჟდოფთ ამ ყაქს ყოლგან: შვაზეც დუჟდოფა, კიდენებზეც დუჟდოფთ. ავა ბობოლი, მიაპარკავს. შეიდ დღეში გამოვნიკავთ: მუაცლიფთ ევეროზე პარკს და დავხვეწავთ ხელით ლამაზათ. დუჟფალას ცაკე გადავარჩეფთ, ჩხარს - ცაკე. კაი პარკი ცაკეა. დუჟფალა მაგარი პარკია უმფრო და აბრეჟუში ნაკლები აქ, ნაკლებათ მოხობა ამოხოვაზე. პირველი ხარისხის პარკი უმფრო გამოყვანილი პარკია, აბრეჟუში მეტია ზეთ. ჩხარი ბილი პარკია, არაა დამდიდრებული. პარკი რომ იხიკება, მაშინ იმას არა აქ დამთავრებული მუჟოობა და ქვია ჩხარი იმიზა. ნაპერტყულას ახლა ვყრით ზეთ. მაქამდი ვსტავდით ჩერიაზე და ჩლუქს მოვქსოვდით.

პირმიცემული რომ იქნებოდა ყაქი და დეიფარავდა თავს ბობოლი და მიაპარკავდა, ნაწილი დარჩებოდა. ხოდა, გამუამანანებდით იმას და დარჩებოდა ჩხარი. მანანას ცაკე დავსვამდით, ავაცილებდით იმას; პაწას მუაფტქოვდით ბეოლს, მუაბურებდით მანანას. მერე მანანაც მიაპარკავდა. კაიც ერია შით და გლახაც. ცოტას დეიგვიანებდა და იმიზა ქვია მანანა.

მაქამდი მანანას შინ ვიტიებდით და ვახოვდით ძაფათ. ამ პარკს ჩავყრდით დუღარეში და ოგვადოზე ამუახოვდით ძაფს. დარჩებოდა დუღარეში ნაქყარტულა. ნაქყარტულას იმ წყალს გადაუჟუჟრავდით. გამოვხთიდი ნაცრისძალს და იმაში გამოვხარჩვიდით ნაქყარტულას. ეყოფოდა ერი საათის დუღილი. მერე გადაუჟუჟრავდით წყალს. ნაქყარტულას გამოვხოვდით ანწლის ფურცელჩი, ჩავდობდით მიწაში, რომ ყაქის სული დაკარქოდა. ერ ათ დღეს იქნებოდა მიწაში. ამევილებდით მიწიდან, გავრეცხდით (გავრეცხავდით) დინარე წყალჩი და გაჭყიდებდით ღობეზე. კას ხანს იქნებოდა ღობეზე; ხაიერი გასწმენდა, გლახა სულს დუჟყარქვიდა. დღეი გარეთ იყო და ღამეც. მერე შამევიტანდით სახში, დავწეწავდით და შევსტავდით ჩერიაზე, ავძახავდით და ვინმარდით ძაფათ. ჩლუქს ქქსოვდით, ტანისამოს შევკერავდით იმ ძაფით. მაგარი ძაფი იყო. შავათაც შეღებავდა ნენაჲ და ყორიფელათ ხმარობდა.

სოფ. გომი

36. ყაჭის კეკალი

შინ მევიტანდით ყაჭის კეკალს (ახლა ბობოლი მოგვეყავს). თავრობა მოქვეცემდა კეკალს კაროპკით. სითფოს მივცემდით კეკალს, ცენთან დავდობდით მოშორებით. მოზელდენ საქონლის ფუნას, გააკეთებდენ კოკორას. ბობოლი რომ გამევიდოდა, დასვამდენ იმ კოკორაზე. მერე, რომ დეიზდებოდა ბობოლი, ჩაფარას დუჟლობედენ, გუმრამს ფურცელს დააფენდენ ზეთ და დასვამდენ იმაზე. გევიდოდენ ქალები ბეოლზე და ჩხოტავდენ ბეოლს. მოჩხოტილ ბეოლს დუჟყრიდენ ამ ბობოლს. ერ კვირეში მეიცლის პირველ კანს. კანში რომ დაწობა, მაშინ არ უნდა აფერი. სამ დღეში ამჟა კანიდან. მაშინ აქამო უნდა ბლომათ. ერ კვირეს მერე მეიცლის მეორე კანს — კეხისკანს. მერე ერ კვირეში დაწობა წარბისკანში. დიდ კანშიც ერ კვირეში დაწობა. ხუთ დღეში ამევიდოდა დიდი კანიდან. მერე უნდა გვექმია ბეური ბეოლი და მალე წევიდოდა.

პარკს ძაფებათ ამეილებდენ. ოგვადოზე ახოვდენ და ჰოკს შამევიტანდენ სახში და ოგვადოფთ ამოღებულ აბრეშუნს დაქიდებდენ სახში. გეიქანდრებოდა აბრეშუნი. ქი იყო გაქანდრული სახში ძაფებათ ამოღებული აბრეშუნი.

პარკს რომ დავხვეწავდით, მანანას ცაკე დავყრიდით. მანანას ყაჭათ აკეთებდენ. მანანას მოხარჩავდენ და ჩაავდებდენ მიწაში. მერე ამეილებდენ, გარეცხავდენ, გააშრობდენ და შეინახავდენ. მერე ისტეებოდა ჩერიაზე.

ამას უძახლობით ნაქვეყურა ყაჭს. ნაქვეყურა ყაჭი ძაფათ კაი იყო.

სოფ. ქვედა ბახვი

37. ყაჭის კეთება და მასთან დაკავშირებული

რიტუალები

ყაჭის კეკალს მევიტანდით ოზურგეთიდან. შევინახავდით ბამბაში თფილად. გამევიდოდა თუთხმეტ დღეში. დავსვამდით ფუნის კოკორაზე. რომ შეიზდებოდა ბობლები და აღარ დიეტეოდა ფუნის კოკორაზე, მერე ჩაფარას დუჟლობედით. გადავსვამდით ჩაფარაზე. დუჟყრიდით ბეოლს; ხელით და ვჩილავდით, ხელით, და ისთე დუჟყრიდით ბეოლს, პაიწვანი რომ იყო მაშინ. მერე გეიზდებოდა და მეიცლიდა კეხის კანს. მერე მეიცლიდა კეხის კანს ერ კვირეში. მერე გადავსვამდით უმფრო დიდვან ჩაფარაზე. დაწობოდა წარბის

კანში ათ დღეში. ერ კვირეს უნდა ბრეჟული ბჟოლი, დააყარო უნდა თავეზე. მერე რომ გაძღება, დიდ კანში დაწობა. დიდი კანიდან რომ ამევიდოდა, ვაჭუმდით იმ ჩაფარაზე ისევლე. სამ დღეს მერე დავლობდით დიდ ჩელტას და დავავსავდით დიდ ჩელტაზე. სამ დღეს რომ გავაჩერებდით, ჩილი ფეხები გუჟმაგრდებოდა და აღარ მოტყდებოდა მერე. ჩელტაზე რომ დავსვამდით, მიათე დღეს გავასერთებდით ცახის დასადგამათ. გასერთებამდი ვაჭუმდით სამოთხჯერ დღეში. რომ გავასერთებდით, მუჟდგამდით ცახს. დავლობდით ცახს და დუჟდგამდით ჩელტზე და დავაპურებდით. ცახი იღობებოდა ცხემლის ბოლებიდან და გვიმბრიდან, ევეროიდან. პირს უხვოდით გვიმბრით. მერე მიაპარკვიდა. თუ დარჩებოდა ბობოლი, გამუჟამანანებდით და ცალკე დავსვამდით და დავაყრიდით მალლიდან ბჟოლს და ევეროს. იმას აღარ შიეძლო ცახზე ასვლა. ცახზე რომ არ შიეძლო ასლა, იმფერ ბობოლეფს უძახოდენ როგაბას. როგაბა 'ე' ბობოლი ტყულა მიაბანდვიდა და უძახოდით ლაჩაქს. ქალები იტყოდენ: — დიდ კანს რომ მეიცლის ბობოლი, მერე სარკეში არ უნდა ჩეიხედო, თვარა ბობოლი ლაჩაქს გააკეთეფსო. — ამის გულობიზა ქალები სარკეში არ იხედებოდენ და არც თმას იბარცხნიდენ. არც წალდს გადმუჟადებდენ ხიდან, — ბობოლი ცახიდან ჩამუჟარდებო. — ყაჭობის დროს ვერც ძალეს იტყოდი, ვერც თებზს შეწვავდი, ვერც ძიგურას მოხარჩავდი, — ყაქს აწყყენსო, — იტყოდენ. ბჟოლის ნახებუა 'ე' არ უნდა დაგვეწვა, თვარა ყაჭი წახთებოდა. რომ მიაპარკავდა, სტორამდი გავაჩერებდით, მერე ნადს შევიწვედით და გამოვხიკავდით. მერე დავხვეწვავდით. მერე ამოხოვაც ვიცოდით. ჩავყრიდით ადუღებულ წყალჩი და ამუჟახოდით ოგვადოზე აბრეშუმის ძაფს. მერე შევსტიდით იმას ჩერიაზე. თუ გინდოდა, გამუჟაგობდი ნაცრიძალჩი. გამოშვბარი კაი იყო კაბალახის კისტებათ, საფოლაქის ამოსახოვათ და საქარგავათ; ყორიფელათ კაი იყო.

სოფ. ვანისქელი

38. ქსოვა (კარაჭინი, ჩხაში და სხვა)

მატყლი იყო. გავრეცხავდით და გავაშრობდით ბზეზე. მერე იმას დავკეკდით (||დაკეკავდით). მერმეთ დავჩეჩავდით საჩეჩელზე, გავაკეთებდით ფანტელეფს, ჩავაწყობდით იაშიკში. მერე დავეღებოდით ცეხლის პირში და ჩერიაზე შევსტავდით. მერე მოვტოლავდით ძაფს; მერე მოვძახავდით და მურგს გავაკეთებდით. მერე მოვქსოვდით წინდისშხირებზე წინდეფს. მაშინ

უძახოდით კარაქინფეს. საკარაქინე ძაფეფს დავაფერადებდით. ფერეფს ვაკეთებდით მიწანელაფთ, ლაფანის ფურცლით, ცოცხის კაკალით (|| კეკალით), ქვარტლით, თხმელაფს ძირებით, ნიგ^რუ^ზის ნაჭით, ლოხოსტაკით (გუნდა-ლოხოსტაკით), კიშფერით, კიაფერაფს კაკალით, ნიგ^რუ^ზის ტყავით, მუხის ტყავით (||ქერჭით), ვაშლის ქერჭით, ცაცხვის ქერჭით.

წინდის ქსოვას დევიწყებდით სამ თვალძე. ამოვთვალავდით სამ თვალს. მერმეთ უკეთებდით ნამატს ორივე კედრით. რომ შეიმატებდა, ოთხი წინდისშხირი უნდოდა, ორი ერი კედრით უნდა ყოფილიყო და ორი — მორრე კედრით. თექვსმეტ-თექვსმეტი თვალი რომ ამეიყვანებოდა თითო წინდის-შხირზე, ტელფი უნდა მოსრულებულყო ქუსლის დაწყებამდი. მერე ქუსლი გამეიქსოვოდა ორი წინდისშხირით. ქუსლი რომ მოსრულდებოდა, ოთხივე წინდისშხირით იქსოვიოდა მერე. ისთეველ ამეიყვანდა ორმოზდარვა თვალს. ქუს ზეით რომ მეიქსოვოდა ერი ალაბი, მერმეთ თავს მუუხვოდით იმას და წინდა თავისუფალი იყო. მიორრეს რომ მოქსოვდა, მერე მოთელავდა ნელ ნაცრისძალი. წყალი უნდა ყოფილიყო შელენჩქურებული, ცხელი არ ვარგოდა. წინდას შევთელავდით ხელჩი და გავწიწავდით და გავაშრობდით.

შალის ძაფიდან იქსოვებოდა კილომ უბკა, კაბის ქვეშ ჩასაცემელი. უბკა იქსოვებოდა კასნალით. კასნალათ აკეთებდენ ბზაის ჭოხს, მართულიც ვარგოდა, ქორგის პერწკალიც ვარგოდა. კასნახს თავზე ქონდა დაკეცილებული, მიორრე თავი ხელჩი გვეკავა და დაკეცილებული თავით ვილებდით თვალეფს. უბკის ქსოვას რომ მივადგებოდით, რაც შქირდებოდა განი, იმას გავაკეთებდით: ძაფს დევიხვოდით თითზე და ავთვალავდით. მერე მივზობოდით იმ ათვალულჩი და ცქსოვდით. ნახევარი რომ გახთებოდა მოქსოვილი, მერე მუუქლებდით ცოტას სიფართეს, ორ თვალჩი ერთს ამეიყვანდით. დავამთავრებდით ასე.

აბრეშუნის შრაფს ქსოვდენ ჩხაშით. იმ მოქსოვილსაც ჩხაში ქვიოდა. ორი წვი^ტ-წვიტი ჭოხები იყო მოგძო. უნდა ყოფილიყო სუფთა გათილილი. გუუსვამდით ჭერ ქონს და მერე — შალის ქინკს. იქნებოდა გასლიანებული. იქსოვებოდა მეჩხრათ. ლამაზათ რომ უნდოდენ წასვლა, მაშინ ჩხაშს დეიხურავდენ თავზე.

დგიმი და საბარცხალი ძველ დროში არ იყო, უმფრო გვიან შამევიდა.

სანწვალბებელ ქოყანაში ვიყავ^ვით.

ჩვენ ვიყავით ცხრაი დან-ძმანი - ოთხი ძმაი და ხუთი დაი. კლასის კარები არ იყო ღია გლებიზა. ვიყავით ღარიბი ხალხი. ფარის შონის საშვალეზა არ

იყო. ხმელი ტარანაჲ რომ გეყიდა, იმის ფარა არ იყო.

სოფ. გომი

30. შობა-კალანდა

თუთხმეტი დღით ადრე შობამღი ძაროში ჩავერიდით ქათმეფს. ღორს ერთი თვით ადრე კალანდამღი ჩავგდებით სასუქში.

საშობოთ დავეკლიდით ორ-სამ ქათამს, გამუაცხოზდით მუცლის სალოცავს და ღვიძელს. მუცლის სალოცავის კვერცხს და საღვიძლე კვერცხს სამიოთხი დღით ადრე მოვხარჩავდით, გავარჩევდით და ჩავდობდით პაწა კალათაში. ამ კალათას ჩამოვკიდებდით ოჯანჯალაზე, ქვეშ ცეხლი ენთო და ფუტში გახმებოდა სამ დღეში. რომ გახმებოდა, ჩამევილებდით. მოვზელდით პურის ქვილს და პაწას წამუალუებდით. მერე კეცს გადავადგამდით ცეხზე. რომ გახურდებოდა კეცი, გადმოვდგამდით. წაგრილდებოდა პაწას და დავაკრავდით მუცლის სალოცავს. მუცლის სალოცავს უნდოდა თელი კვერცხი და ვრიცახე ყველი. რეთიც ვიყავით ოჯანში, მუცლის სალოცავს იმდონს გამუაცხოზდით. მუცლის სალოცავს რომ გამუაცხოზდით, მერე დევიწყებდით ღვიძელის გამოცხოზას. მუცლის სალოცავი გვალი იყო. ღვიძელს მოგძოთ გამუაცხოზდით. უზამდით პაწა ყველს და დაჭრილ კვერცხს. ერ კაკალ კვერცხს ოთხათ გავჭირდით. ღვიძელს გამუაცხოზდით ორ-სამს და ქამის დროს დავჭირდით.

შობიზა ორ-სამ ქათამს დავეკლიდით და გავაკეთებდით. ღომს გავაკეთებდით. ქანდაც გამუაცხოზდით. თუ გვეყოლებოდა, ინდოურსაც დავკვლიდით (||დავკლავდით). ინდოურს გავაკეთებდით საცივათ. ქათამს შევწვავდით შამფურზე. დავანთებდით დიდ ცეხს. ცეხს გვერძე დუუსობდით პაწა ბარჯგს. შამფურის ერ თავს ბარჯგზე ჩამუალობდით. მიორე ხელჩი გვექნებოდა და ვატრუალობდით. ტრუალება უნდა ჩქარა-ჩქარა, თვარა შეიტაცეფს ცეხლი ერ კედრით. ნიორს დავნაყვიდით და მარილს და ნიორს წუუსვამდით და კაი გემო მიეცემოდა. რომ შეიწობოდა, მერე დავშჭირდით.

შობის წინ ღამეს ალილო ჩამეიარდა, სახე ქონდენ ახოული. გვილოცავდენ სიმღერით შობა-კალანდას.

შობა რომ გათენდებოდა, მუცლის სალოცავს ბაღნეფს მუცელზე შამუარებდით თითოს თითო ბაღანას სამჭერ და შუულოცავდით: — თქვენი მუცლის სატიევიარი აღმა ქარს გაატანე და დაღმა — წყალსო. — მერე ვჭამდით. მუცლის სალოცავს ერთიმეორეს არ ვაჭუმდით, ვიბრძნიდით. ჩვენ შე-

გვეჭამა უნდა ჩვენ-ჩვენი მუცლის სალოცავი.

მუცლის სალოცავს რომ შევჭამდით, მერე კვერს ჩავაგდებდით ცეხში და, რომ გამოცხოვრდა, ვჭამდით. მერე სადილს შუღდგებოდით: ღომს ჩახანაში ჩავყრიდით და მოვხარჩვიდით და გავამზადებდით. მერე ჭადს გამუაცხოვდით. ღვიძელი ქე ჭვონდა გამომცხვარი და ვისადილებდით. სადილის დროს ვიტყოდით: — ღმერთო, შვილობა ჩამეყვანე ამ ოჯახშიო.

შობის მეექვსე დღეს იყო კალანდა. წინდლით ცხემლისჭრას უძახოდით. ცხემლას მოვჭრიდით, მევიტანდით სახში და შევინახვიდით კალანდიზა. ღორს ცხემლისჭრა დილას დავკლავდით. წყალს ავადულებდით, ღორს დავდობდით დიდ ვარცხლზე, დუღარეს გადავარებდით და გავჭნიდით. ჭერ ძაგარას ვეილებდით, თუ ჭონდა კაი. ძაგარას შევკონვიდით კონა-კონათ და შევინახვიდით. მერე ჩამეიარდა ვინცხა ურიეფ და მივყიდით. გაჭნილ ღორს ავჩარიქავდით და გავრუჭავდით ცეხზე. მერე დავმარილავდით და ჩავაწყობდით ორეში (||როლინაში). თავს და საჭიქიოს მოხარჩვიდენ კალანდიზა. ინდოური დასაციებელი გვაქ. ხაჭაპურები გამომცხვარია, დედობურიც გამომცხვარია. ხაზირია ყორიფელი კალანდიზა. დავაწყობდით გობზე: დედობურს, ღორის თავს, საჭიქიოს, შემწვარ ქათამს შამფურით, შემწვარ ჩიტეფს შამფურით. გობზე უნდა ყოფილიყო კიდომ მუუხარჩავი კვერცხი, სხალი, კამპეტი, ვაშლი, ვერცხლის ფარა. ამ გოფს დავდგამდით სახში. გასანახავს არ ვნახვიდით. პაწას წვეიძინებდით. შამოქმედის მონასტერზე ზარას რომ შამოკრავდენ, ავდგებოდით ყველაყაფ და პიჯვარს დევიწერდით. ოჯახის უმფროსი მამაკაცი გოფს გეიტანდა მარანზე. დავდგმიდით ჭურზე, მიორე საფსე ჭურს მოვთხრიდით, ამევილებდით ღვინოს ერ დოქს. დავდგმიდით გოფთან. გობზე რაც იყო, იმას ხელს შევარებდით და ღმერთს ვთხოვდით: — ღმერთო, გაისამდროს უკლებათ ასთე შეგვარებიე ხელიო. — მერე ამ გოფს ვეილებდით ხელჩი, მივადგებოდით სახლის კარებზე და დუუძახებდით ოჯახის ქალს: — კარი გამიღეო! — ქალი გამოგვეძახებოდა: — რა მოგაქო? მამაკაცი პასუხს მიცემდა: — მომაქ ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი უთვალავი, ბედნიერება. — სამჯელ ეტყოდა ასთე ამას. მერე გააღებდა ქალი კარს. შევიტანდით ამ გოფს სახში. დადგმიდა სუფრაზე. მერე ხელს შიარებდენ ოჯახის წევრები ყველაფ. მერე ხელჩი დევიკავებდით თითო ცალ ჩამოქნილ თაფლის სანთელს. ამ სანთელს უუკიდებდით და აკიდებული სანთლებით გვეიდოდით მარანზე. თითო ცალ ცხმელაფს შიშას დევიკავებდით ხელჩი, შევიტანდით სახში, შამუშარდით სამჯელ ცეხს, დავაყრიდით ამას ცეხზე და მუულოცავდით: — ბრავალ წელიწადს მოგილო-

ცეო. — ცეხლი გაძრიელდებოდა. ცეხლის პირში სუფრას დავდგმიდით და დევიწყებდით ჭამას.

მერე წვეიდოლით წირვაზე გუნებისკარის ეკლესიაზე. წირვა რომ გამევიდოდა და გათენდებოდა, დეიწყებოდა შელული (||სროლა), მილოცვები. ასეთე გასტანდა სადილობამდი. მერე წვეიდოლით თავ-თავის სახჩი და ვისადილებდით. რაც ჭკონდა გაკეთებული, სადილზე იმას გამევიტანდით და კილომ გააკეთებდით ღომის ღომს.

კალანდა ღამეს გაღვიძახებდით აგუნას საწნახელზე. ღორის თავი ზეთაა დადობილი საწნახელზე აგუნადს დაძახების დროს. დავარახუნებდით საწნახელზე კობულს ან ეჩუას ყუას და ვეტყოდით: — აგუნა, აგუნა, გაღმეიარეო! ჩვენს მამულჩი — ყურძენიო, სხვის მამულჩი — ფურცელიო, ჩვენს ქალეფს — ყაჭი და აბრეშენიო, სხვის ქალეფს — ვირის თავიო. — ამას რომ გაღვიძახებდენ, ღორის თავს მიათლიდენ ყურეფს, დააწებდენ ტყამალზე და ჭამდენ; დააყოლებდენ ღვინოს, დალოცვიდენ ერთქამეთს. ღვინო იყო ჩხავერის.

კალანდას მიორე დღეს იყო ქათმის ფერხვა. რომელიც კაი ფეხის იყო, იი იყო წინდაწინ დაძახილი. მივიდოდა დილას ქათმის გაშობამდი და დუუყარიდა საჭმელს თვითონ და იტყოდა: — ასი — დედალი, ასი — მამალი, ასი — მისი მოჩხოროზი.

ქათმის ფერხვავს მიართუმდენ ქათმის ფერხვის ხაჭაპურს. აი ხაჭაპური მიზდა იყო გამომცხვარი.

იი წელიწადს თუ ქათამი არ იმბრავლებდა, იტყოდენ: — ვინცხა მოსულა გლახა ფერხავი სხვაიო.

სოფ. გონებისკარი (შემოქმედის სას. საბჭო)

40. თამაშობები

ჩვენ სოფელჩი თამაშობდენ ბულთს, ქაკუნს, ჭათარიკას, ქვეშერდულას, ხემწიფობიას.

ლელო ბულთს თამაშობდენ დიდვანები. ბაღნები ვერ გიერეოდა შით, მოლესავდენ. ხალხი გაყოფილი იყო ორათ — ზემოურათ და ქვემოურათ. ბულთს გამეიტანდა, ვისაც ჭონდა სახში, და გეიქნევდა მალლა. მერმე ან ერთი პარტია ან მოორე პარტია დეიკავებდა ხელჩი. მოორე პარტია ტევობდა. რავარც იშონიდა მოხერხებულ დროს, გადუუგდებდა გამქცევს მის პარტიაში. იგი გეიქცეოდა, მიორე პარტია მიზღევდა. კაი გამქცევი თუ იყო, ვერ მიეწეო-

და. ამ ჩვენ სოფელში თუ აგია თენიაშვილს მოხთებოდა ბულთი, ვერ მიეწეო-
და იმას ვერავენ. გეიტანდა და გათავდებოდა თამაშობა. მოორე თამაშობაზე
გამეიტანდა.

ქაკუნის თამაშობა ჩემსობას აღარ იყო. იმის სათამაშო ბულთი და და-
სარტყამი ჯოხი მამაჩემს ქონდა. მამაჩემი თამაშობდა ახალგაზრდობას.

ქაკუნის თამაშის დროსაც გაყოფილი იყო ხალხი ორათ. ადგილი ქონ-
დენ დათქმული. იმ ადგილზე ჯოხის დაარტყმით უნდა გადიეგდენ ბულთი. ხეი
იყო ბულთივით გვალი, გათლილი. საშვალთ მოკაკაული ჯოხი იყო. ბულთს
დადობდენ მიწაზე და ჯოხს დაარტყმიდენ. ბულთი გაგორდებოდა, ხან მალ-
ლაც შევარდებოდა. რომელიც უკეთესად დაარტყამდა, იგი მიიტანდა დანიშ-
ნულ ადგილზე.

ქვეშერდულას თამაშობდენ ასთე: შეიძრობდენ ქამარს, დაადობდენ
შუა ადგილზე ქვას. მოკეცდენ ქამარს და ორივე კედაროს ხელში ეჭირა თავე-
ბი, შუა ადგილზე ქვაი იყო ჩადობილი. მერმე შეიქნევდენ ქამარს ქვაიანს და
ქვაი შორს გავარდებოდა.

თითის სიგძე ჯოხი იყო შვაზე გაბობილი და იმას თამაშობდენ ხემწი-
ფობიათ. პირალმა რომ დაეარდებოდა, ბატი იყო; პირჩალმა რომ დაეარდე-
ბოდა, ვეზირს უძახოდენ.

თითის სიგძე ჯოხი იყო ერთი და მიორე იყო არშინიანი ჯოხი. პატარა
ჯოხს დადობდენ მიწაზე და ამოქრავდენ არშინიან ჯოხს, ავარდებოდა მალა
პატარა ჯოხი — რიკაჲ. ამ რიკას გაქრავდენ არშინიან ჯოხს. რიკაჲ გავარდებო-
და. მერე იქიდან მოპირდაპირე ეილებდა ამ რიკას და უნდა დიეგდო ახლოს
დიდ ჯოხთან წრეში. თუ მუასრობდი და დაარტყმიდი არშინიან ჯოხს, რიკაჲ
გადავარდებოდა მოშორებით. მერე გადავზომავდით იმ არშინიანი ჯოხით...
თვერ მუასრობდი და ვერ დავარტყმიდი, მაშენ იგი ჩადგებოდა წრეში. ვინც
წააგებდა, იგი იყო გაფორებული.

სოფ. ქვედა ბახვი

41. მაქუტაძის ნადირობა

გათენდა ახალი წელიწადი. ღმერთმა ყველას გაგითენოს მომავალი ახა-
ლი წელიწადი და ნათლისღება! შამუუსხედით სუფრას მე, ივანიკაჲ, გოგიე-
ლაჲ, მახარბელაჲ, ვახუშტელაჲ, სარაფიონაჲ და კვიროსიეჲ.

ამ დროს მევიდა მაქუტაძიდან გამოგზავნილი კაცი: — წუხელის მოთუ-

აო და ხვალ დილას სანადიროთ წვევიდეთო, მე რომ დიდი ნადირი გითხარი, იმისთვისაო.

ინათა თვარა, წამუარდი ზეთ, დუუძახე კესარიას. მომიტანა ჩანთაჲ, ჩადვევი შით ყველის ნაქარი, ერთი ბოთლი ღვინო და მისი მოწყობილობა. დუუძახე ძახს: — ხა, მურია, ხა, მურია-შეთქინ. გადუუსვი ხელი კესარიას და გადვიწერე პიჯვარი და გუუარე მახარბელას, ვახუშტელას, სარაფიონას და კვიროსიას, ივანიკას და გოგიელას.

წამეიდეს ზოგმა შაშხი, ზოგმა ყველი, ზოგმა პური, ზოგმა რა. დუუძახეს ძაღლეფს: მელიას, ყელთეთრას, ყელისას და ყურცქვიტას. გადვიწერეთ პიჯვარი და გუუდექით გზას. ვიარეთ, ვიარეთ და მივაწიეთ მაქუტაძის დიდ ეზოზე.

გუუხარდა ჩენი მისვლა. მიგვიწვია მაგიდაზე, გაწყვა სტოლი და შევექვეით ქეიფს. რომ კარგათ შევზონჩლოდით, — აწი ქეიფი კმარაო! — მანაც გადიკიდა ჩანთაი. მე თუ ერი ბოთლი წვევილე, მან ერი ჩეთვერი ღვინო ჩადგა ჩანთაში. მის ძახსაც მურია ქვიებია. დუუძახა ძახს. ვახსენეთ ჭუმათის მონასტრის წმინდა იაკინთეს მადლი და გუუდექით გზას. ვიარეთ, ვიარეთ და მივაწიეთ ჭოჯონეთას ტყის პირზე. ნელისპირი თოვს. ქარი თოლს არ ფანტავს. ჩევისაფრეთ ზოგმა იქით და ზოგმა აქით. უუშვით ძაღლები. არ გასულა ათი წუთი, რომ მორბის, მუაქ ხეი, მიწა, თაი, ბარი, ეწერი, ზეგანი. ისკუბა და გადახტა. აწი არ მეტყვიეთ რა ფერის იყო? ფერი: — ქრელი, წითელი, ყვითელი, ალისფერი, მიხაკისფერი, იაგუნდის, წინწყლებიანი, ნაცრისფერხაზიანი, მოშავმწვანო ზოლებიანი. დეებღრიჯა პირისახე, დეეშტომა თვალები ოჩხამურის ჰინკასავით.

— არიქა, ბიჭო! - დეიძახა მაქუტაძემ და ეცა მან. ამეიდვა ქვეშ. მიეშველენ გოგიელა, მახარბელა, ვახუშტელა, სარაფიონა, კვირიკეი, მარა ყველა თითოულათ ამეიდვა ქვეშ.

— არიქა, ბიჭო, თუ ვარგხარო შენო! — დამიძახა მე. დამიძახა თვარა, მივარდი; მივარდი, მომვარდა; ვეცი, მეცა; გადავატრიალე, გადმომატრიალა, წავაქციე, წამაქცია; მევიქნიე, მომიქნია. და ბოლოს შევანტი ჩირეკზე, მარა გადამასკიპარქულა განზე. მაგრამ, როგორც მარჯვე, დავდექი ფეხზე. მერე, რომ შეცეს კილომ, იგი ხანია, ევიწიე, გადავასკიპარქულდი კისერში, ამევიდე ხანჯალი და გამუუსვი კისერში და გადავალურსვიე თვალები.

ახლა და ამას გარიგება უნდა. ავკუწეთ, დავკუწეთ; ავჩარქეთ, დავჩარქეთ; ავშკართ, მოვშკართ; ავწონეთ, მოვწონეთ; გადავაწყვეთ, გადმუა-

წყვეთ და რა გვერგო? ბარკალი და ჩალაღაჯი — მე, კიმკიმი და საფეთქელი — მაქუტაძეს და თავ-ფეხი — მის ქალბატონს.

სოფ. ზედა ბანჯი

42. ლელოგატანია

ოთხმეზური მოსულა ერთი კაცი, ბახუტაძე. სიდან მოსულა, კაცმა არ იცის. შუუფარებია თავი გურიელთან. გურიელს ქონებია ოჯახი ცხემლისხიდ-ზე. დაქორწილებულა ბახუტაძე. გასჩენია მას სამი ვაჟი: ესე, ივანე და გიორგი. იმის ნამბრაველი ვართ ჩვენ. ახლა ვართ ჩვენ ამ სოფელში რვაი მოსახლე. აქი-დან წასულია ორი მოსახლე ოზრუგეჩი. თფილისში ოთხი მოსახლეა.

ჩემი ბიძა, გაბრიელ ოთხმეზური, ვაჟკაცი ყოფილა. თათრის ომში ბეჭრჩელ მუჟღია მონაწილობა. დაქრილიც ბეჭრჩელ ყოფილა. მაშვინდელი ორდენები ბეჭრი აქ გულზე დაკიდული, გაქედილი. ბულთიც უთამაშია.

ჩვენი ძველები თამაშობდნენ ლელოგატანიას. ეკლესია რომაა აქანაჲ, იმის ქვედას მიქონდა ქვეით; იმის ზედას მიქონდა ზეით. ამ ზეით იყო ოთხმეზურები და დათუნაიშვილები და კიდომ სხვადასხვა გვარები. ხაფთასნები იყვენ, ღლონტებიც იყვენ შით. მორე მხარეს იყვენ ქვედადვაბზეულები: კალანდარიშვილები, ბერიძნები, გოგოტიშვილები, სკამკოჩაშვილები, ღლონტები, ორაგველიძნები და სხვადასხვა გვარები კიდომ.

ბულთი ზედაურს ზეით მიქონდა, ქვედაურს — ქვეით, მარა საზღვარი არ იყო დათქმული. სიქამდი არ დეიმალებოდა ბულთი, იქამდი სულ ვლიიტობდით, ვილლიტებოდით ყანაში, ბახჩაში. არ ვერიდებოდით ზარალს. ღობიები სულ წეიქცეოდა, დათესილი ყანიები სულ დეიგენებოდა. ხელახლა დასათესი გახთებოდა.

როცხა ბულთი დეიმალებოდა ან დეიხეოდა, მაშვინ ვანებდით თამაშს თავს. კაჟი შექეონდა შით და იმით გავშქრიდით ბულთის ტყავს; ფხასვით იყო გატენილი. ფხასვი გამოციოდა, დარჩებოდა მარტო ტყავი. ამ ტყავს წეილებდა ხალხი ნაწეკვ-ნაწეკვავთ. თუ ბულთი გადარჩებოდა თელათ, დამალვიდა რომელიმე ფხარე, გამეიტანდა მიორე თამაშობაზე. მიორე თამაშობა გეიმართებოდა ახალკვირეს. კიდევ ისთე ვილლიტებოდით. ვიყავით მისეული ამ ერ ბულთზე გურგუსათ. გურგუსიალობდა ხალხი.

აღდგომა რომ გადაეარდა, მერმე წთამაშობდით პირველ და ორ მაისს.

აი სათამაშო იყო ინტერესიანი. ტანისამოსს ვიკერვიდით სპეციალუ-

რათ ბულთის სათამაშოთ, რომ არ შამოქვხეოდა ტანზე კაი ტანისამოსი. ზოგერტოს ტანზე შამიხეოდა მისი საგარიო ტანისამოსი და გამოდიოდა შიშველი წელზეით.

იმ თამაშობაში გარდამიდან ცხენებიც ხავდენ. ბულთს შუუგდებდენ ცხენზე კაცს და გაქონდა ცხენიდან კაცს ბულთი. წეიდებდა საცხა და დამალავდა. მამუინ დიეთხოვოდა ხალხი.

ზოგერტო ახალგაზდას ქონდა კაი მუხლი, კაი გაქცევა იცოდა. ქვედასაც ხავდა კაი მუხლის ხალხი და ზედასაც. იგინი არ ილლიტებოდა. თუ ბულთი მუუუვარდებოდა ხელჩი, გეიქცეოდა. მოწინამდეგე მიზდევდა. თუ დეიქირავდა, ხელახლა ვილლიტებოდით და მერე კიდომ ისთე და კიდომ ისთე.

დვაბზუში ვიცოდით დღესასტავლი გიორგობა. სხვადასხვა კუთხიდან მოდიოდა ხალხი ეკლესიაზე. იქინეფ რომ შევხებოდით ნათესავეფს, მოყვარეფს და კას ნაცნობეფს, დავბაიჯებდით სახში, დავათრობდით და გუუშობდით.

გიორგობა ერ დღეს იყო. დამეს არ ათევდენ ეკლესიაზე, წევიდოდენ სახში.

სოფ. დვაბზუ

43. ტირილი და ზარის თქმა

კვტარის დამარხვის დღეზე იცოდენ ზარის თქმა. რომ მევიდოდენ მოტირალეზი, სამი კაცი იყო დაბაიჯებული — ზარის თქმელები. შეხებოდენ მოტირალეფს ქიშკართან და დეიწყებდენ ზარს და მიიყვანდენ კვტართან. გზაზე ამბობდენ ზარს მიმყვანი კაცები. ახლა რომ ორი კაცია მიმცილებელი, იმის მაგიორ იყო მოზარეები. ახლანდელი ორი კაცი აფერს არ ჩივა. იგინი იძახოდენ „ვაი, უის“ სიმღერით.

უწინ ტირილზე ზორცი იცოდენ. დაკლავდენ ძროხას, ხარს, ცხვარს. აკეთებდენ ხარჩოთ და შრალათ. ჟდომა იყო ტირილის დღეს დამარხვამდი. ყველას აყენდენ. სამი კაცი დანიშნული იყო, რომ დუუუდომელი არ დარჩენილიყო ვინმე. დააყენდენ მოსული მოტირალეზის მიხედვით. მუუტანდენ ხარჩოს, მერე მისათალ ზორცს. ვინც არ ჭამდა ზორცს, იმას მიაართუმდენ სამარხო საკემელს (ლობიას და სხვას). თუ მარხვა იყო, მაშინ ლობიეი და თებზი ქონდენ. რომ ჭამდა ხალხი, ზოი მიდიოდა, დამარხვას არ უცთიდა. დამარხვის მერე კიდომ დააყენდენ, ვინც რჩებოდა. მიცვალებულს მეიხსენიებდენ პირველათ. მერე ქირისუფალს აღდინძელებდენ და ანუგეშებდენ. მერე ვინც იყდა

საქმელზე, იგინს ადღინძელეზდენ და წევიდოდენ სახლეფში.

მესამე დღეს იცოდენ სულის ახსნა. გააკეთებდენ საკურთხს. დაკვლიდენ ინდოურს, ქათამს; ზოი ცხვარსაც კი დაკვლიდა. მეიყვანდენ ღვდელს. მერმეთ გააწყობდენ სუფრას. ღვდელი დააკურთხებდა საკურთხს. ვინც არ ჰამდა იმ დღეს ხორცს (ტირილის დღეს), სულის ახსნაზე მაინც აჭუმდენ ხორცს. სულის ახსნაზე უნდა ყოფილიყო ახლობელი ნათესავეები. შორებელს არ დუუძახებდენ.

ორმოცი იცოდენ ოზდათვრამეტ დღეზე ან ორმოზდაორ დღეზე. მაშვინ შორებელსაც უძახოდენ და ახლობელსაც შეძლებისდაგვართ. ხალხი რომ მეიყრიდა თავს, წევიდოდენ სასათლაოზე და იტირებდენ. მიხავდენ ღვდელი და დიაკონი. პანაშვიდს გაღუუბთიდა ღვდელი და დიაკონი. ღვდელს ფულს მისემდენ. მერე ღვდელს წეიყვანდენ სადილზე. ღვდელი დააკურთხებდა საქმელს და მერე დეიწყებდენ ჰამას. მეიხსენიებდენ კეტარს. მერე ადღინძელეზდენ ჰირისუფალს და მერე მოწვეულ ხალხს. მერე დეიშლებოდენ და წევიდოდენ თავ-თავის სახში.

ზოი მერე წლისთავსაც უბთიდა და ზოი — არა. წლისთავზე და ორმოცზე თრებოდენ. წლისთავზე სიმღერასაც იტყოდენ.

სოფ. მთისპირი (ასკანა)

ლანჩხუთის რაიონი

44. ჩვენი სოფელი ძველათ

კინიგზის გაყვანამდე აქანაი გუუსვლელი ტყე იყო. ნადირები ჭამდა ყორიფელს. ჩოჩხათიდან ნავით ჩამოდიოდნენ, მიდიოდნენ ფოთში. იქინეი რაცხას წვილებდნენ ღარიბი ოჯახები. იქიდან მოდიოდნენ მერე ნავით. გურიელის სასახლე იყო ზღვის პირათ გირგოლეთში. ეს ტყეები გურიელს ეკუთნოდა. გლეხები ღებულობდნენ საყანე მიწეფს სანადელოთ გურიელებიდან. გლეხები იგინის ნებართვით ტყეეფს ჩებდნენ საყანეთ. ვიკეთებდით შით ღამის გასათევე კარავეფს, ნალიეფს. მოწეული ჭირნახული მიქონდნენ სოფელში, ჩოჩხათში.

კინიგზაი როიცხა გვეიდა, ხალხი ჩამოსახდნენ მაშვინ სოფლებიდან: ჩოჩხათიდან, ოზურგეთიდან, ჩოხატაურიდან. პირველათ ჩოჩხათი ჩამოსახთა აქანაი. მერე ყვალა სოფლებიდან ჩამევიდა ხალხი. კინიგზის გაყვანამდე ეთქვა უნაგერაი. პატარა ქელია უნაგერივით მოყვანილი და იმის გამო დიეთქვა უნაგერა. კინიგზაი რომ გეიყვანეს, მერე დიეთქვა სუფსის სტანცია. სოფელსაც დუუძახეს სუფსა.

კაი ტყეი იყო და მესაქონლეობას ვეწეოდით. ვთესავდით სიმინდს. ქართობილი და ხახვი არ მოდიოდა, არც ახლა მოდის. სიმინდი მოდიოდა ქცევაზე ასი ფუთი, თუ ახალგაყაფულ საყანეს ვეილებდით. უნდოდა ორი-სამი თოხი. ყანა გაწმენდილი იყო, ბალახს ვერ ნახვიდი შით. ყვითელ სიმინდს ვთესვიდით. ბოლოს მევიდა ამერიკული სიმინდი თეთრი. თეთრი სიმინდი უმფრო ეითვისა ხალხმა.

ადესას უშობდით ხეზე. კაი მოსავალს იძლეოდა. მამაჩემის დროს ჩხავერი ყოფილა. ჩხავრის ღვინო მაგარი და კაი იყო. ჭანთელი იყო კაცი, იმას რომ სვამდა.

ღორები იყო ტყეში გაშობილი. აფერი არ უნდოდა იმას შენი, საკვები არ უნდოდა. ყანეფს რომ ვეილებდით, გვეილოდა თალარაში, ჭამდა მონატეს სიმინდს, წიწიბოს, კოს, წაბლის კაკლეფს. ზამთარში

ლაქაშის ძირეფს ტყვერდა. ზამთარში და ზაფხულში სულ ტყეში იყო. გელი ვერ ეკარებოდა, დიდი იყო ღორი, გაბედული იყო, გელს შუუტებდა, პატარეფს მისკენ მიიყრიდა და თვითან დადგებოდა წინდამ, რომ არ მისულიყო გელი.

საქონელიც სულ ტყეში იყო. ძმებს და ბაძგარს ჭამდა. ბაძგარს აქ კაი ფურცლები და იმას ჭამდა. საქონელი ჭანთელი იყო. ხფოს რომ იზამდა, მევიყვანდით სახში. ხფოი შინ კყავდა. ძროხა მოდიოდა მერე წველის დროს სახში. დილას გუუშობდით, წვეიდოდა.

სოფ. ხიდმაღალა

45. ჩენი კუთხის არდგილების სახელები

ჩენი კუთხის არდგილების სახელებია: სარწყავალაი, ჩამოყვათი, ნიგვზნარი, ბერძნისკარავი, კრილი, სარაგვე, ნაწიფაი, გვარჯალაძისნასახლევი, გურვანეთი, ნაქომარაი, უკუქუბული, ლაშე, ნატეხი, წკეებისპირი, ზვანი, ფიჩორისპირი, ლიცვნარი, ჭიოლი, საღობისკარი, ჭოლოპაი, სახონფიეი, ხიდული, კიქნარაი, გვიმბრალაი, ჯიგორაშაი, სახარიეი, ნიგოზაი, რუშაეი, თხემლარი, გოგოჩალი, ნაღელობი, ტყემლიანი, ლედვიანი, მოხრანგულაი, გაძირული, ლაფნარი.

ამ არდგილეფში არის დინარეები: ოკვარე, ფიჩორი, მორჩხილი, წკეები, ლაშისღელე, წყალწითელაი.

სარწყავალაი ყოფილა მაგარი ტყიანი არდგილი. ნადირი ყოფილა შით. კელიდენ მონადირეები. გამიგონია, ნადირმა შექამა კაციო. კაცს ეზარებოდა შით შესვლა. ყვალა სოის ნადირი ყოფილა: გელი, ტურა, გარეული ღორი, შველი, ირემი, დათვი. ხალხი წყევლიდა ამ არდგილს. კაცს ეშინოდა: — ნადირი შემკამსო. ამიზა დაათქვეს ამფერი სახელი.

ჩამოყვათი ყოფილა შრალი და მაღალი არდგილი; საკარავე არდგილები ყოფილა იქინეი. ხალხი კარაობდა შით, ნადირს კელიდა, თებზაობდა. წყალი ყოფილა გასავალი. აი დინარე ალაგობას ყოფილა. დინარეზე რომ გვეიდოდა კაცი, ჩამოყვათი იყო.

ნიგვზნარში ყოფილა ნიგოზი; მაღალი დებარეობა ყოფილა, მშრალი არდგილი ყოფილა. რიონი არ გადიოდა ნიგვზნარში და ჩამოყვანაში. წარღვნა თუ იყო, მაშინ აგურხანამლიც მევიდოდა; ისე არ მევიდოდა.

რიონობაზე მონადირეები წვეიდოდა ნავით ჩამოყვანაში და ნიგვზნარში. იქინეი იყო სიმშრალე. გამოდენიდა ნადირს წყალი სიმშრალეებზე. ყვალა სიონის ნადირი მევიდოდა იქინეი. მონადირეები მოკვლიდა და წამეიდებდა.

ბერძენი ყოფილა დასახლებული, სხალი ქონებია და ყოფილა შით. ბერძნისკარავი იმიზა დიეთქვა.

დიდი ტყეი ყოფილა და ქრილი გუჟუყვანიენ. იმ ქრილით ბერძნისკარავში გვეიდოდა კაცი, არ დეიბნეოდა. იმიზა დიეთქვა ქრილი.

სარაგვეში ყოფილა ნადირი ბეჟრი. უწყობდენ რაგვს და წამევიდოდენ შინ. რა ენალღებოდა, ან ღორი ქი ჩავარდებოდა შით და ან რაცხა.

ნაწიფაი ყოფილა დიდი ტყეი, ძველ-ძველი ხეები ყოფილა შით. ძველი ტყეი ყოფილა, მუჟდგომელი ყოფილა, მაი ყოფილა ნადირის ტყეი, კაცი ვერ შედიოდა.

გვარჯალაძე ყოფილა, სახლი ქონებია. იმ ალაგობას დიეთქვა გვარჯალაძისნასახლევი. უხსოვარი დროისაა მაი.

გურვანეთი შრალი არდგილია. ძველათ ზეთ ტყეი ყოფილა. ყვალა სიონის ნადირი ყოფილა.

ნაქომარაიც შრალი არდგილი ყოფილა. რეიზა დუჟუძახეს ნაქომარაი, არ ვიცი.

უკუქუბული არის ქოლიბაის და საღობისკარის გვერდით. ტყეი ყოფილა მაგარი. ხეები ყოფილა შით. შრალი არდგილი ყოფილა შით. ლაშის ფსორი ყოფს უკუქუბულს და ქოლიბას.

ნატეხი აგურხანას ქვეიდანაა. ტყეი უჟღია იქინეი ვერ კაცს. დიეთქვა ნატეხი.

ლიცვანარში ლიცვი ყოფილა. მეტი ხეი არ ყოფილა. დიეთქვა

ლიცენარი. ლიცვი ეკლიანი ხეა, იზდება საჯენს, კაია ტაბიკებათ.

ქიოლი ყოფილა შრალი არდგილი (||ადგილი). საქონლის საბინაო ყოფილა. საქონელს რომ გუჟუშობდა ხალხი, იქინეი ბინაობდა. დილას თუ წვეიდოდა კაცი კაი ადრე, მუჟსრობდა საქონელს იქინეი და გამოდენიდა, თუ დახთებოდა ცოცხალი.

სალობისკარში ჟორდანიეფს სალობი ქონდა და თეფს იჭირავდენ. ყარაული ხავდა ზეთ. დიდი ორმო ქონდა მოთხრილი. ორმოში წყალი იყო. დაჭირულ თეფს შით ჩააგდებდენ.

ქოლიბაი ყოფილა გაშლილი მინდორი და წყალი. სალობისკარიდან მიეფინებოდა თებზები ქოლიბაში.

ჯიკისტაში ჯიკიც ყოფილა და ტაბიც ყოფილა დიდი. ნაწრეტი წყალი მიდიოდა იქინეი.

სახოხფიაში ხონობი ყოფილა ბეჭური და უწყობდენ მალამდი სხაფს. თოფი არ ყოფილა.

ხიდულაში ყოფილა ფსორი და ქაობიანი ალაგი. მეიხვე კაცეფს გუჟუგდია ზეთ ხიდე და დიეთქვა ხიდულაი.

კიქნარაი ყოფილა შრალი ალაგი და მაგარი მოსახნაფი. დაათქვეს კიქნარაი.

გვიმბრალაში ყოფილა გვიმბრა. მე მახსოვს ცარიელი გვიმბრა იყო. სხვაი საქონლის საკმელი ბალახი არ მოხობოდა იმას.

ჯიგორაშაში ყოფილა ფსორი. ახლა ამოსტორებულაი. წყლიდან ნალექი ჩევიდა შით.

სახარიაში ყოფილა საქონლის ბინა. ხარი დახჩვალა სახარიაში. დიეთქვა ამ ალაგობას სახარეი. მალამდი, თოლი თუ არ მევიდოდა, საქონელს არ ამბვიდენ ბაგაზე.

ნიგოზაში ყოფილა ნიგოზი. ფიჩორისპირზია გაღმა. უწინ იქინეი უდაბური ტყეი ყოფილა. კარავი ქონებია მეყანეს შით.

რუშავში ყოფილა კაი ტყეი. — აი ხეი რუშავს აქეთ არ იზონებაო, — იტყოდენ, თუ კაი ხეი უნდოდენ.

თხემლარში ყოფილა ცარიელი თხმელაი, სხვაი ხეი არ ყოფილა.

გოგოჩალში ტყეი ყოფილა უწინ. ახლა ყანებია, გაჩეხილია ტყეი.
ღელე მიდიოდა ნაღელოფში და დიეთქვა ნაღელობი.

ტყემლიანში დიდი ტყემალი ყოფილა. ხალხი მორეკდა.

მობრანგული ყოფილა დიდი ტყეი. ხეს რომ მოქრიდა კაცი, მო-
ხრანგვიდა ყორიფელს.

გაძირული იყო მაგარი ტყეი, ძველი ტყეი. არ ქრიდა ხალხი. შე-
შა და ხე უმფრო ახლოს იყო. რა უნდოდა გაძირულში და მობრან-
გულში!

მობრანგულთან არის ოკვარე, დინარე. ბეჟანკა ცინცაძე ყოფილა
ტყის მუშა კაცი, ყავარს ხთიდა, მიქონდა გასაყიდათ ხარ-ურმით ორ-
ბირში. ოკვარეზე გააკეთა ფონი, გაღმა-გამოღმა გააკეთა ფონი. დიეთ-
ქვა ბეჟანკაისფონი. ბეჟანკაი, როგორც მეყავრე კაცი. გააკეთა საურმე
ფონი და ზიდვიდა ყავარს. სხვაი ხალხი არ გადიოდა.

გორისგვერდის ახლოს შუხუთში არის ოჩორხჩინაი. იქინეი წყალი
ჩამოდის ზეიდან ჩხრიალით. ზაფხულში მიდიენ იქინეი ბიჭები და ტანს
იბანენ. ქვეშ შუხუდგებიენ წყალს და წყალი ზეიდან ეცემა ტანზე.

სოფ. ლაშისღელე.

46. ძყელი ამბები

ბაბუაჩემი იტყოდა, რომ მოგვივიდოდა კაციო, ღომის ჩალაზე
დავაწვენდითო, მიწაზე ღუშუგებლით ღომის ჩალასო, ზეით ჩოხას დავა-
ხურავდითო.

ირმობა ყოფილა მაშენ, ჩემობას არ იყო ირემი.

კინიგზაი რომ გახვდათ, მე მუშოობდი. მიწას ვაყრიდით. შეიზუ-
გა მიწა და იმაზე რეიცა დააგეს და გევიდა მატარებელი.

ვერ ბედვიდენ მატარებელში ჩაჯდომას. ჩემი მუხუხრიდან ერი კა-
ცი იარებოდა. ჩეილაი ქვიოდა, ძაძამია იყო. ბათოშში დადიოდა. იქინეი
რას აკეთებდა, არ ვიცი, — კანდრახი მაქო, — ჩიოდა. რა კანდრახი
ქონდა, არ ვიცი.

მე ბოლოს წივედი როიცხა. მალამდი მეშინოდა.

ყოლგან იყო ბუტკა და წყესვიდა მებუტკეები.

ტყეები იყო. გელი იყო ბეჭრი. დუხდგი ხუნდი. ქი დამხთა ხუნდში. მერე წამოვედი შინ და წვეილე სინა და მოორე ხუნდი. მოორე ხუნდი მუუჭირეთ დუნჩზე. დეახხვიე სინა ცხვირზე. ჩავაბი ორი ბაწრე-ბი მერე. ერი ბაწარი აფხანაგს მივე, მოორე მე დევიკავე. გევიყვანე ბა-ზარში. თელი დუქნები შამუარუნე. გვაჩუქა მედუქნებმა ფარა. მერე წამევიყვანე და შინ მოკალი. ექესი აბაზი იყო გელის ტყავი.

შველეს ვკლავდი ხშირათ. მაქახელაი თოფი მქონდა. ღორი ორი მომიკლავს ერ დღეს ვერული. ერთი ოჩორჩხინზე მოკალი. ოჩორ-ჩხინი საფსე იყო წყალით. გაღმა მოკალი ღორი. გეველით მერე ხიდე-ზე. გავარიგეთ ღორი და წამევიღეთ.

ტყეში რამტონი ხეი იყო, იმტონი ვენახი იყო.

სოფ. გვიმბალაური

47. დიდი უშველებელი ტყეა

კინიგზაი რომ გაყავდენ, სადილი დამქონდა მამაჩემთან. მამაჩემს ხეები მოქონდა. მე ხელს უწყობდი, ვეგზანებოდი აქეთ-იქით: წყალს მუ-უტანდი იგინს; გაგვაგზანიდენ სადმე, დაგვტიებდენ დასაცავათ. მამაჩემს დუუუედებოდი ურემზე, ვაჭვირთვიებდი ურემს.

აქანაი ტყეი იყო სულ, ბოცვები იყო. საფსე იცოდა ტრედები, ვე რული იხვი; შველი, ვერული ღორი, გელი, მელიეი, ტურა.

გელმა ეზოში ჩამუარდა აქანაი და ეტაკა ძროხას. იბღავლა ძროხამ ღამე. ვიწვეი ლოგილზე გარეთ პარმახში, ზაფხული იყო. ძაღმა შიეტაკა. ხან ძაღლი იყო ქვეშ და ხან გელი, რომ გადავხედე პარმადი-დან. მერე მე თოფი ვისროლე. გელი გეიქცა მერე. ძაღლი არ ამდგარა მოორე დღეს. დაქანცული იყო.

კინიგზაი რომ გევიყვანენ, გატიალდა მაშენ, მარა გელმა იცოდა მაინც გადმორება. გელები ახლო იყო კინიგზას ქვეიდან. კინიგზას ქვეი-

დან დიდი უშველებელი ტყე იყო. შით იყო კობიტი, მუხა, ცხემლაი, თელაი, თხმელაი, წიფელაი, ლეკენჩხარი, ძელქვა, ლიცვი, ბჟოლი, ვერული თხილი.

ამ ტყეებში იყო შველები; დღეი დადიოდენ; ნახვიდი. ვერული კატაც კი იყო, იჭირვიდა ფრინველედს, თაგვს. ბეჭრი იყო ვერული იხვი. სალამოს მევიდოდა ვერული იხვი, წყალი თუ იყო. ლაშეში და საბადურში წყალი იყო სულ. იქინეი დაგუბაშდებოდენ. იქინეი თოფითაც ვკლავდით და ბადითაც ვიჭირვიდით. თოფით ოცსაც ჩამოყრიდი ერთათ; საპანტინი თოფი იყო იხვის თოფი. უმფრო ბადით ვიჭირავდით. ბადე იყო მოწყობილი ორქილოზე. ხეზე იყო ამკიდული ქოკები. იმ ქოკებზე იყო ორქილო მოწყობილი. ორქილოზე იყო მოქსოვილი ბადე. იხვი რომ ბრუნვიდა ღამე, მუუწევდა ბადეს. ბადეს მევიტანდით ხელით ორქილოით. ბადე გარკვეცდებოდა. იხვები იყო შით. მისით ვერ ამევიდოდა. ჩვენ ამევიყვანდით და ფთაში თავს უქცევდით და დევიყრიდით იქინეი. მერე წვეილებდით შინ და დავკლიდით.

ზშირათ ღამე ვტიებდით ბადეს. რომ მოხდებოდა იხვი, მაშინ ჩაორკვეცებოდა ბადე და იხვი დარჩებოდა შით. წყიბათ რომ იყო ბადე დატიებული, იმას ვეტყოდით აცინტვას. ბადეს ავცინტავდით და დავტიებდით.

სოფ. ჭალა (ჩიბათის სას. საბჭო)

48. ძველათ

ყანა ქვონდა მაქუტაძის ახლო. რომ შეიქნა მოსატეხი სიმინდი, შექამა ყანა ვინცხაის ღორმა. მერე უდარაჯე ღამე თოფით. ჩამევიდა ღამე ღორი. მოვკალი. თოფის ხმაზე მუურავი მევიდა, მითხრა: — აი ღორი მაქუტაძის არისო, რეიზა მოკალიო! — მე აი ღორი წამევილე შინ, გავბუტე და დავშაშხე. მაგიორი ღორი მუუყვანე მას. ერხანს არ შემირიგდა, მექადნოდა. მერე შემირიგდა.

ყოლიფერი მაქუტაძის იყო — ტყეიც, საბალახოც და საყანე მი-

წებიც. ტყეში რომ ნადირი მოგეკლა, არ ქონდა ნება, ნებას არ გაძლევდა.

კურდღელი მომიკლავს ჩუმათაი, ბატონს არ შუუტყვია ისთე. სხვა შემთენია, მარა ვერ მოკლავდი, მეშინოდა.

ამ ღობირაში ტყეი იყო სულ ამაზე. კინიგზაი რომ გაჭრეს, მე პოდრაჩიკი ვიყავი. კინიგზაი რომ გახავდენ, ტყეს ვჭრიდი, თხრილფეს ვიღებდი და იქიდან-აქიდან ეკლის ხეფეს, ქაქვიან ხეფეს ვრგავდით.

კინიგზაი რომ გეიყვანეს, მერე იკლო ტყემა, კრიდენ ყოველ წლიურათ და მატარებლით გაქონდენ, მიქონდა თავრობას. პოეზდიც მაშვინ შეშით დადიოდა. მერე მვისპო ყორიფელი ნადირი. ტყეიც განადგურდა. იმიხელვანი ხეები იყო, რომ სამ წელიწადს ეკიდებოდა ცეხლი და არ დამწვარა თლათ.

ვის უნდოდა ხეი! ფაცხას ღობვიდენ წკნელით, ხურავდენ ჩალამკალამით. იგი იყო სახლი. ლესვიდენ მიწით.

საქონელი ტყეში იყო ზამთარ-ზაფხულიანა. ჩალას არ კრიდენ. რაცხას შეინახვიდენ პაწას ხფოებიზა.

დიდი თოლი რომ მევიდოდა, ტყეში იყო საქონელი. თოლი ტყეში არ ეღობოდა. ცაი არ ჩანდა, იმისანა ტყეი იყო.

სოფ. ნიგოითი

49. მამაჩემის და ბებიჩემის ნათქვამი

მამაჩემი იტყოდა: — ამ ჩვენ ადგილზეო უდამური ტყე იყოო. — ახლა იმასაც იტყოდა: — გამრავლდა ხალხიო. ამ ჩვენ თემში რომ ხალხია ახლაო, ამდონი ხალხი ხუთ თემში არ იყოო. ახლა ჩვენო გვეიჩოჩეთ წინო, წინ მივდივართო. ამ ჩვენ ადგილზეო იმისთანა ტყე იყოო, რომ ვერ გვიარდი შითო. რომ გამევიდოდით გარეთ, ქარის ხმას მალლა ხაერათ ყურობდითო, დაბლა ვერ ჩამოდიოდა ქარიო. დაბლა მიწეფს ისთე დევიარლით კრაქით, რომ ქარი ვერ გაგვიქრობდა სანთელსო.

აი საყანე ადგილები (||არდგილები), რომელიც ახლა საყანეთ

გვაქ, სულ ტყით იყო დაფარული. — კინიგზის გამოსვლამდე ამ უდამურ ტყეფეში რომ შევიდოდითო, — იტყოდა მამაჩემი, — საყანეთ ვაკეთებდით შრალ ადგილეფოსო, ზრუგ ადგილეფსო. ხეეფს იქინე ქწვაედითო. აუარებელი ნადირი იყო ამ ტყეფეშიო. ირემსაც იტყოდა, შველსაც იტყოდა.

მამაჩემი იტყოდა: — იმ დროსო, როდესაც ბძოლა იყო თათრეთანო, რუსებმა დაგვეხმარაო. შუხუთში მუუხთა შეტაკებაო. თათრებმა დეიხია უკანო.

მიორე შეტაკება ყოფილიყო ლაშისდელეში. ებრუნებიენ თათრეფს პირი და წასულიყვენ მოწყვეთ უკან, ესე იგი — დამარცხებული. გარეკეს თათრები ჩოლოქზე. ჩოლოქზე ყოფილიყო თათრების საზღვარი იმ დროს.

ბებიჩემი იტყოდა: — როდესაც ამევედი სახში სურსათის წასაღებათ ბინაზეო, სადაც ვიყავით დახიზნულიო, გამობრუნებული თათრები შემხთენ გზაშიო, მესროლეს თოფიო, ერთი დაპწნა თმაი ტყვიით მომაწყვიტესო. რომ ჩევედი ადგილზეო, აგი ამბავი მუუტანე ხიზნეფსო, უამბე თათრების გაბრუნებაო. ხიზნები ძაან მოხარული იყვენ თათრების დამარცხების და უკან დაბრუნების.

მამაჩემი იტყოდა: — თათრები ჩვენო დიდ გლახა ამბავს გვიკეთებდაო; ჩვენ ბაღნეფს ყიდულობდენ და მიყავდენ მის ქვეყანაშიო (||ქოყანაშიო).

ორი ბალანაი დემორჩილებიენ, ჩიეგდენ ბურთი პირში, წეეყვანენ (||წეეყვანენ) იმ ადგილზე, სადაც თათრეფს უნდა წეეყვანათ. არ დახთენოდათ წამყვანი. მერმეთ ეფიქრებინათ, მოვლენ და წეეყვანებენო. ეს ბაღნები დეეტოვებინათ იქ, სადაც დანიშნული ადგილი ქონდათ. გლახა ამინდი მოსულა. არც იგინი მოსულიყვენ. ეს ბაღნები ორივე დამხრჩვალყო. გაზაფხულში ჩვენმა ხალხმა ნახა შემთხვევით შემოდგომაზე აყვანილი ბაღნები.

სოფ. ლაშისდელე

50. ძველი ვენახები

მალამდი, მე რომ ბადანაი ვიყავი, იყო სულ ტყვი. მე რომ რეგ-ვენი ვიყავი, მახსოვს, იყო ტევანდიდი ხეზე მიშობილი. ტევანდიდი იყო ზეგანში, სოფლათ — კიკაჩაი, ორანაი, ჩხავერი, სამაჭრე. ჩხავერმა ღვინო იცოდა უბედურობა, ვოტკის ვარესი კარ იყო. ორანამ თეთრი ყურძენი იცოდა უმფრო, ჩხავერმა — თაფლისფერი. იყო მეგრული ყურძენი პუმბულა, ქონდა მოგძო-მოგძო მიჭედელი კაკალი.

მერე მონაცრა და წახთა რაცხაიზა. მერე ერისთავის ქალმა (მაქუტაძის ცოლმა) შამეიტანა აღესაი. დარგა ყველამ, გამბრავლდა. ახლა კი იკლო; ხაერი წუხუნთა.

სოფ. ქვემო შუხუთი

51. სახლის აშენება ძველათ

ძველათ ყოლიფერს ხელით აკეთებდენ. ბურღი არ იყო, ხერხი არ იყო. ხერხი პირველათ ბაბუაჩემს ენახა საცხა. მეიტანა აქანაი. კბილის გადაყრა არ იცოდენ. ოზრუგეთში ეშონენ ერთი ძველი ქლიბი. გაღესეს იმით პაწაი. რას გაჭრიდა ძველი, ძველი ქლიბი!

მალამდელი სახლები ყვალი ცუდით დათლილი იყო. თოხეჩო კი იყო. მალამდი თლიდენ ხეს ჭერ ცუდით და მერე — თოხეჩუაით. თოხეჩუაი თოხსაც გავს და ეჩუასაც. პირი და ტარი თოხს ზგავს, ყუა ეჩუას ჩამოგავს. მეტი აფერი არ იცოდენ ძველათ.

ხეის სისტორე რომ უნდოდენ სახლის დადგმაზე, გადარავდენ პატარას და დაასხამდენ წყალს. იმით ტყობილობდენ ხეის სისტორეს. წყალი სეითაც უჩვენებდა სიდაბლეს, ასწევდენ. თერეზო არ იყო. მერე შამეიდეს ხელოვნური თერეზო. ხელოვნური თერეზო არის სამკუთხედი, შტა ადგილზე ჩამოკიდებულაა შვეული სისტორის საჩვენებლათ. ამ თარაზოს გაამბამდენ წვრილ ბაწარზე და ჩამოკიდებდენ. უჩვენებდა სისტორეს.

ლურსმანი არ იყო. სატებით გამოსტეხდნენ ხეს და გუუყრიდნენ შით კოტას.

სახლის კედლის აყვანა იცოდნენ ბოყვებით. ბოყვი უნდა ყოფილიყო სახლის კედლის სიმაღლე. ბოყვი ამეიტენებოდა სატებით. ბოყვები დეისობოდა სარძიკველზე. ბოყვეფში ჩეიწყობოდა ფიცრები. კედლის აყვანა რომ მოთავდებოდა, დავადობდით სარტყელს. სარტყელი გამეიტენებოდა სატებით და ჩამეიტემებოდა ბოყვებზე. მერე უნდოდა კავები (||ლივნივები). კავებიც სატებით გამეიტენებოდა და გეყრებოდა კოტები შით. კოტები ასრულებდა ლურსმის მაგიორობას. კოტებით იყო კავები დამაგრებული ერთიმეორეზე. კავებზე ლარტყები ეკვრებოდა წირებით. ასრულებდა წირები ლურსმის მაგიორობას. იხურებოდა ისრით. ისრზე ზეიდან ეწყობოდა ქოკები, რომ ქარს არ წიედო ისარი. ქოკები იკვრებოდა წირებით.

კარების დასაკიდათ ბეტლი არ იყო. კარი დეიკიდებოდა ზეთვე შეთლილი ყურებით, კარეფს ყურეფს ზეთ და ქვეით. სარძიკველზე დეიდობოდა კარაბაი. კარაბაზე დეიდობოდა კარის ყური. მიორე ყური იყო ზეთი სარტყელში. საკეტი იყო ურდული. ურდულს გააჩოჩებდნენ ჯოხით ან დანით. გეილებოდა და მეიგვდებოდა კარი. ბოყვს ქონდა დატიებული ურდულის შესაყარი. ურდულის შესაყარი იყო გამოტეხილი. ამ გამოტეხილში იყრებოდა ურდული. ბოყვზე რომ იყო შეთლილი და ურდული იყრებოდა, იმას ქვიოდა ბუძუ. ურდულს კილტე არა აქ. ტყულაი ჯოხი რომ გუუყარო, მაინც ურდული ქვია. დათუაი კი კილტისებურია. დათუას აქ დადილული და გააჩოჩეფ კილტით.

ცეხლი ინთებოდა შუაზე. ფუხარი არ ქონდა. ფუტი დგებოდა სახში. თუ დიდარი კაცი იყო, უკან უყეთებოდა ახორი საქონლის დასამბამათ. ღარიბი თუ იყო, საქონელიც იქინეი იყო და კაციც. ერთათ იწუა ყვალაი.

ლოგინი იყო კედელზე მიმაგრებული, ასადები კარ იყო. ძელები იყო დაწყობილი ხეებზე.

საგებათ იყო ჩალა. პატისსაცემი კაციზა იყო ღომის ჩალა. ჩემ

ბაბუას რომ ესტუმრა ყარამან თავდგირიძე, ღომის ჩალა დუღუგეს. საპატო კაცი იყო.

საინი არ იყო და კობზი არ იყო. იყო ხის ჭამები და ხის კობზე-ბი. ხის ჭამეფს და ხის კობზეფს თლიდენ სახში.

ხუთი ოდა იყო ამ სოფელჩი, მე რომ პატარა ვიყავი. ახლა უოლო კაცი აღარ კვყავს. ახლა ყველას ოდა აქ.

ამ სოფელჩი გზაი არ იყო. ძალიანი წერილი გზები იყო. თავარი გზაი არ იყო. კაცი ცხენებით დიარებოდა. ურმის გზაი არ იყო.

მერე ვინცხას ურემი ენახა საცხა გაკეთებული ფიცრით, შამუუ-ქედელი. მაი მამაჩემსაც ქონდა. შამუუქედელს არუნებდენ. ამაგრებდა სატეხით ამოტეხილი კოტები.

სოფ. ზემო აკეთი

52. ძველებური სახლი

დაპობილი ძელით იყო აშენებული სახლი. ხეს დამორავდენ ნაჯახით ალაბზე. მერე დააპობდენ ნაჯახით. მერე გათლიდენ ნაჯახით. დაამზადებდენ ბოყვეფს, ხეეფს ამოთლიდენ ნაჯახით. დიდვან სარძიკვლეფს დუღულობდენ ქვეშ. იმაზე დაასობდენ ბოყვეფს. ბოყვები იყო ამოქრილი ცულით. მერე ამ გათლილ ნაპობეფს ჩააწყობდენ შით. შემდექ მუაწყობდენ სახურავათ: კაეფს გუუკეთებდენ, შემდექ ქოკეფს დააკონვიდენ წირებით, დაქოკვიდენ. მერე დახურავდენ ისრით.

ქონდა ორი კარები — ერთი წინ და ერთი უკან. ამ კარეფს ქონდა სიმაგრე, რომ ბაღნები არ წიერთმიენ. იმ კარეფთან ბოყვეფს ქონდა გამოტეხილი ორივე ფხარეზე. იმაში იყო გაყრილი გარგანი. გარგანი იყო დიდი სარისხელა ჯოხი. გარგანი იყო შიგნიდან. კარი უნდა გაღებულიყო შიგნიდან. წყვილი კარი იყო. კარეფს კინა კარ ქონდა, ყურები ქონდა შეთლილი და იმით იყო შეკიდული. დაბლა იყო ამოქრილი სარძიკველი ბოყვის ძირში კარის თიკის ჩასამაგრებელი. მაღლიდან ბოყვე და კარის თიკზე ჩამეიშობოდა სარტყელი. ამაგრებდა კარს

და ბოყვეფს და სახს შეკრავდა. კარები იღებოდა და იგდებოდა. ორიბე კედარო ბოყვს ქონდა ბუძუები შიგნით კედაროს. ბუძუები იყო ამოტეხილი გარგანის გასაყარათ, რომ კარი არ გიელო მტერს.

სოფ. ორაგვე

53. ძველებური სახლი და ურემი

ძველათ ხერხი არ იყო. ნაჯახით მორავდენ ხეს მოკლე-მოკლეთ და მერე აპობდენ იმას, მერე დათლიდენ ცულით. მერმეთ მუამზადებდენ ბოყვს, სარძიკველს, კავეფს, ღვირუეფს, სარტყლეფს. მერე მიეყვანდენ უსტას და ააშენებებდენ სახს. გადახურავდენ ისრით, ქოკით და კვენდლით დააკრავდენ.

სამ ბოყვზე შიატიებდენ ჩამუთულელათ მისიევე ხეს. ამ შეტიებულს გამოკრიდენ, შით გუუყეთებდენ კეტის გასაყარს. კარები იყო შეკიდული შიგნიდან, — ორი ცალი იყო. კარს უკან კედაროს გუუყრიდენ ხეს. მერე კარი დაკილტული იყო. ამ კარს მალე ვერ გატეხდა ბოროტ-მოქმედი ფილარები.

ბოყვზე შეტიებულ ნაწილს, რაშიც კარსაგდული იყრება, უძახოდენ ბუძუს.

ბუძუ ჩალდაყსაც აქ გვერდენებზე. ბუძუ ბორბალს არ უშოფს ჩალდაყთან.

მალამდი იყო ფიცრის ურემი. გამოტეხილი იყო ფიცარი სიბტყეზე. მერე ამ გამოტეხილში ჩაშობილი იყო მუხის ხმალი. მერმე ამ ხმალზე იყო ჩამოცმული ნეკები. ერთი ნეკი ერ კედაროს იყო, მეორე — მეორე კედაროს. მერე შამოფარგლავდენ, ხის ჭოხს გააკეთებდენ ფარგლათ და იმით შამეიარდენ სირგვალეს. მერე შამოკრიდენ იმას იმ ფარგალზე რგვალათ. მერმეთ ბუძუეფს გამოტეხდენ ლილვის გასაყარათ. მერმე გოყურიდენ ურემში. ერ კედაროს დაკუთხული იყო, მორე კედაროს — რგვალი. მერმე დაადგმიდენ ჩალდაყს ზეთ და ურემი იყო. რკინა არ ქონდა. მაშენ არ იყო შამოქედილი ურემი, იყეფებოდა და

ილუოდა მალე. რომ დეიჟეებოდა, კილომ შამოკრიდენ, სინამდი თლათ არ დადაბლდებოდა. ჩალდაყს პოლი არ ქონდა, ცეტრეფს კამარაი არ ქონდა. კაცი რომ დაქდებოდა, ფეხი ჩაკილული ქონდა. ხშირათ წაკვრიდა ჭიკზე და შეიტენხდა ფეხს. თვარ მეიტენხდა, გეიბლოტვიდა, დეიზიანებდა.

ფიცრის ურემი ჩემ ბაღნობაში იყო. მაშენ არ იცოდენ არაბა ურემი. არაბა ურემი შამევიდა ჩემ მანსოვრობაში, მე ვიქნებოდი მაშენ ოცი წლის.

სოფ. ქვემო შუხუთი

54. ღომის მოყვანა

ღომი კავითაც მეიყვანება და თოხითაც. კავი უნდა უქნა ორი გზობა. თუ ბალახი ბეჭურია, მესამეც უნდა კავი. მერმე ღომს მუაყარი და ფარცხს გადაარეფ. ფარცხიც ორჯელ უნდა. ახლა ავკვალავთ ამას კავით ორ არშინ სიფართეზე. შემდექ მოვზობით ფოცხით და ნაფოცხავით ამუაფსეფთ კვალეფს. ამოფსებამდი, თუ გინდა, კილო დათესავდი დაბალ ლობიას. მერე ამევილოდა ღომი. პატარა თოხით მარგვლიდით. მერმე კილომ უქდით მიორე თოხს. მერმე ღომი თაველს გეიკეთებდა. როცა დამწიფთებოდა ღომი, მოვკრეფდით. ნალიეი ქვონდა საამისო გასაწყობი და დაწყრიდით შით. მერმე ცეხლის ფუტით ვაშრობდით. როიცხა განმებოდა კარქა, გამევიტანდით და დავყრიდით ხულაში, სადაც თავგი ვერ იბძოლებდა. მერმე გამევიტანდით თითო გორიცას და დავყრიდით ლასტზე. მერე, როიცხა განმებოდა, ჩაწყრიდით ჩამურში და გაცეხვდა ქალები. გაწმენდენ მერე ნახორიდან (ნაცეხვას ნახორს უძახოდით).

გაცეხვილი ღომი არ შეინახება, დაჩიჩავს. გუჟუცეხველი შეინახება რამდონ ხანსაც გინდა, თვარ დააწვიმეფ ზეთ. წიფობისთვეში გაცეხვილი ღომი შეინახება ერ ზამთარს. სხვა თვეში გაცეხვილი ღომი ერ თვესაც არ შეინახება, დეიჩიჩება, მატლები გუჟუთება.

ამ ღომიდან გავაკეთეთ ღომს. ღომის ღომი საპატიო საქმელია. კაია წვენიან საქმელზე: ხარჩოზე, საცივზე. რომ გაცივდება, მერე თაფ-ზეც კაია.

ერთი ფუთი ღომი სამ ფუთ სიმინდს უდრის ხვავით, სუყია და კაი.

სოფ. ქვემოუხუთი

55. ყანაში მუშობა და უსტობა

მამაჩემი ძალზე ღარიბი კაცი იყო. ჩემი გაზდა მას სკოლაში არ შეეძლო. მეორე განყოფილებიდან დამთხუა სკოლას და დამაწყებია მასთან ყანაში მუშობა. ვებმარებოდი გულერთგულათ. მაშინ კაპეტი მიწები იყო, ხის ძირები იყო, ჭინკები იყო. ხარი ვერ იმუშავებდა, კავი ვერ გვეიდოდა და სახნისი. მიწეფს თოხით წთოხნიდით. ათ წლამდის უნდოდა, რომ ამომპალყო ძირები, გადაჭრილი ჭინკები. მერე ხარით დეიხვებოდა. როცხა ეს ჭინკები ამოლპებოდა, მერე ორ-სამ წელიწადს ვარგოდა კილო. შემდეგ სხვა ადგილას ვეილებდით და ამას ვასვენებდით, ბევრათ გუუშობდით და უძახოდით გაშობილას. შვიდ-რვა წელიწათს მაი ყანათ არ ვარგოდა, იყო გაშობილათ. გაშობილაზე გადიზდებოდა ბალახი და აგერ-ეგერ ხეიც ამევიდოდა; ბარდი და ეკალიც მევიდოდა. თხმელაი აღრე იზღება და არც საქონელი ჭამს იმას. თხმელაი, ბარდი და ეკალი რომ გეიზდებოდა, მერე რაყას უძახოდით. მერე ხთებოდა უყი. თუ მოკაფვიდა ვინმე, უყი იყო. გაშობილაი არ იყო კაი. რომ მომოდულდებოდა, ვიტყოდით, მოდულაიაო და დივეთხოვოდით. იმის მაგიორათ სხოგან ვეილებდით.

თოხით მოთხონილი მიწა იოლი გასაბარგავი (||გასამარგლი) იყო. გამარგლის დამთავრებიდან ათი-თუთხმეტი დღეი რომ გევიდოდა, გავთოხვიდით. თუ ნამეტანი წამხთარი არ იყო ბალახიდგან, ოთხი კაცი უნდებოდა ერ ქცევას. თუ ღროზე ვერ დავამუშავებდით, რვაი კაცი მანც უნდოდა. ვიცოდით ნადი. ნადი იტყოდა ნადურს. ნადი რომ გაა-

თავებდა სამუშეირს, წვეიყვანდით სახში. სიმღერით ჩევიდოდენ ეზოში, პირს დეიბანდენ, ხელს დეიბანდენ და მერე ვახშამს ჭამდენ. იმართებოდა ქეიფი. ადესაის ღვინო იყო.

კაი დამუშავებული სიმინდი კას ტაროს გააკეთებდა. კაი დამუშავებული ყანა თუ იყო და მიწაც კაი იყო, მაშენ ჯერ კოტაის ნიშანს დეიწყებდა და მერე კატარს გეიკეთებდა, თავს იყრიდა. კოტაის გაზდას გრილი ამინდები უნდოდა, წვიმები არ უნდოდა, არც ახლა უნდა. ღამე ცვარი ნამეტანი კაია. რომ დეიხონჭკებოდა სიმინდი, მერე წვიმები თუ მევიდოდა, უკეთესიც იყო. რომ დეიხონჭკებოდა სიმინდი, ერ თვეს მერე მოსატეხი იყო. ქალი და ბაღნები ყველაი წვეიდოდენ ყანის მოსატეხათ. მოვტეხდით, მუჟყრიდით თავს ერ სალაკაი გოდრებით. ღამე ვათევედით და ვარჩევდით. თუ ვერ მიერეოდა პატრონი, მაშენ ნადს შეიწვედა. გარჩეილ სიმინდს შეეიტანდით ნალიაში და იქინეი ხმებოდა. როიცხა გახმებოდა, მაშენ გავტეხდით ტუკით. შით ნალიაში დევიკავედით ტუკეფს ხელჩი და ურტყამდით სიმინდის კოტას. გაფშენილი სიმინდი მოციოდა ქვეშ ქერეფში და იყრებოდა ნალიას ქვეშ მიწაზე. მერე ვიღებდით ტუმრეფში. გაფშენილ სიმინდს ვინახვიდით ხულაში სახარჯათ. რაც გადაქვჩებოდა, გავყიდდით ბაზარზე ქილით. ქილაში ჩავყრიდით სიმინთს, რომ გეიფსებოდა, გადუჟსმიდით სილაჯაღს: სტორი ჯოხი იყო და გადუჟსმიდით იმას. რაც მეტი სიმინდი იყო, იი გადაციოდა. ამ სტორ ჯოხს უძახოდით სილაჯაღს. როიცხა გადისმებოდა სილაჯაღი, მაშენ ვიტყოდით, ლაღაგადასმულიაო. იყიდებოდა ლაღაგადასმული.

ამ სანაწყაუროს ვეტყოდით დაქედილ ქილას. ეს ქილა იყო გვალი, გაკეთებული ფანერკიდგან. გვალათ თავში ქონდა კინა შამოკრული, რომ ფანერკა არ დაღუელიყო ლადის გადასმის დროს. წელი რომ არ დეიწია სილაჯაღს ლადის გადასმის დროს, ქილას წვიტი კინა ქონდა გადაქედილი მალლიდგან შვაგულ ადგილზე და იგი იცვიდა სისტორეს.

როიცხა ყანის მუშობას დავამთავრებდით, მერმეთ მე მუშობდი საუსტიოზე. უსტიობა მე ვისტავლე მამაჩემიდგან. მამაჩემს ვეხმარებოდი უსტიობაზეც. როიცხა მამაჩემი მოხუცთა, მერმე მარტოთ მუშო-

ობდი. ვაკეთებდით ოდას, ქუხნას, ხულას, ნალიას, ახორას, საღორეს, კარიას. სტოლსაც ვაკეთებდი, ტაბურეტკა სკამსაც ვაკეთებდი. ხის კრა-
ოტსაც ვაკეთებდი.

ოდას ვაკეთებდი ასეთე: ჭერ ბოკნეფს ჩავრიდით მიწაში. ბოკონი
არშინიც იყო და არშინ-ნახევარიც იყო. ბოკნები არშინი უნდა ყოფი-
ლიყო დამარხული მიწაში, რომ სახლი არ წაქცეულიყო. თლათ ბოკო-
ნის სიგძე ორიდგან ორ-ნახევრამდი იქნებოდა. მერე დავთლიდით სა-
რძიკვლევს. დათლილ სარძიკვლევს დავაწყობდით ბოკნებზე. მერმეთ
დავთლიდით ქილიშეფს და დავაწყობდით სარძიკვლებზე. მერმე დვეი-
წყებდით დაწმენდილი ძელებით ღოჯის შენებას. როიცხა ღოჯე მოთავ-
დებოდა, სადაც საჭირო იყო, მივასმიდით ბოყვეფს. მერე გათლილი სა-
რტყლებით მოვსარტყვლიდით. ამას უძახოდით სახლის მოსარტყვლას.
მერე დათლილი ქილიშებით დავაქილიშებდით. მერმე გავაგდებდით ან-
ძისფებს კედლიდგან კედელზე გამტვენათ. ამ ანძისფებზე დავასობდით
კავების მისაჰედ ქუთს. ამ ქუდზე მივაჰედდით კავეფს. მერე დავლარ-
ტყვიდით. ლარტყას დავაჰედდით კავეზე ლურსმით. მერმეთ დავხურვი-
დით ყავრით.

ქუხნას მაშინ უძახოდით სამზარეულო სახს. სამზარეულო სახს
ბოკნები არ უნდოდა. იდგმებოდა დაბალზე, მიწაზე. სარძიკველი რომ
არ დამბალიყო, ქვეშ დუჰუდობდით ხის გადანაჰარას ანდა თხელ ქვას.
მერე ღოჯეც ისთე უნდა, რაფერც ოდას, სარტყელიც ისთე უნდა. ქუხ-
ნა სახში რომ იღობა, იმას ანძისფები არ ქვია, იმას დვირო ქვია. დვი-
როზე დავასოფთ კავის მისაჰედ ქუთს. ამ ქუდზე მივაჰედ დათლილ კა-
ვეფს. თუ სახლი გვალია, სჭირდება ერთი ქუდი. თუ სახლი გძელია,
რამდონი არშინი უძგესია სახლი, იმდონ არშინზე დაცილებით მეორე
ქუდი უნდა, სულ ორი ქუდი უნდა. კავეფს დავჰოკავთ. ჰოკი უნდა და-
ვემეაგრებია კავებზე კვენდით. საკვენდლეს მევიტანდით ტყიდგან, უნდა
ყოფილიყო ახალამყრილი წყავი. ბოლი არ ვარგოდა, გატყდებოდა
კავეზე შამოხოვის დროს. რომ დავჰოკვიდით, მერე ისრით დავხურვი-
დით. წმინდა წყნელით ჩავაკვრიდით ისრს. დახურულ ისრზე, ერთი

ყრად რომ გვიარდა, დავადობდით წვიტ ჰოკს, დავაკერიდით ზეთ წირე-
ხით. ცეხზე მოვთოშვიდით კვენდლს და მოვწირეხავდით. მერე დავაკ-
ვრიდით ზეთ. როიცხა დეიხურებოდა აი სახლი, დავხიცვიდით ჰოკე-
ბით, რომ ქარს არ დიერღვია. ხიცვია ბოლებიანი ხეი, ბოლები წაქრი-
ლია სამიდგან ოთხ ვერშოკზე. ამ წაქრილ ბოლებზე ჩამეიდობა ჰოკები.
ხიცვი აკავეფს ჰოკეფს, რომ დაბლა არ ჩამუარდეს. ხიცს ქვეშ, სახუ-
რავეზე რომ ედობა, იქინეი ბოლები წაცლილი უნდა ქონდეს, რომ თი-
კებმა სახურავი არ გააფუქოს. თიკი თუ ჩიესვა სახურავში, წყალი ჩა-
ხობა. ხიცვეფს მალლა თავი გაკონილი აქ წირეხით ერთიმოორეზე და
ერთქამეთს აკავებენ.

ამით დაცულია სახლის სახურავი ქარიდგან. ქარი ისრს ვერ წვი-
ლფეს.

კარები იყო ხის კარები, ძელიდგან შეკერილი, დაჭედილი ბასკით.
ბასკა იყო დაკრული რუსმით კარზე. ბასკა იჭერდა ძელეფს. ბასკა რომ
არ ქონებოდა, არ შეიძლებოდა. თუ მთლიანი ძელიდან იყო კარი, ბასკა
მაინც უნდოდა, რომ კარი არ გატეხილიყო. ბასკა სიმაგრეს აძლევდა.

ძველებური კარი მე არ გამიკეთებია, მარა ვნახე გაკეთებული,
ჩემსას იყო, კარქათ მახსოვს. ძველებური სახლიც სხვანაირი იყო. ძელე-
ბი იყო დაბობილი და ცულით დათლილი. ბოყვეფში იყო ჩაყრილი ძე-
ლები, ბოყვი იყო ამოტეხილი სატეხით.

საძირკველზე იყო სკელი ძელი დაჭედილი. იმას უძახოდით საკა-
რულას. ამისთანა საკარულაი იყო მიჭედილი კარის თავზეც. კარს ქონ-
და შეტიებული ქუსლები ქვეშ და მალლა. საკარულაში იყო ქუსლები
ჩასობილი ქვეშ და მალლა. ამით იყო კარი დამაგრებული. ქუსლები
გვალათ იყო, ბრუნავდა. ამით იღებოდა და იკილიტებოდა. კართან
ბოყვებზე იყო შეტიებული ან მიჭედილი ბუძუ. ბუძუ უნდა ქონებოდა
კარების ბოყვეფს. თუ გარეთ იღებოდა კარები, მაშინ კარეფსაც უნდა
ქონებოდა ბუძუ. ბუძუში გუჟყრიდით ლიგინას. ლიგინა გვალი ხეია.
ლიგინა მაგარი და მარკვე ხეია. იგი ამაგრებდა კარეფს, კაცი ვერ გაა-
ღებდა. ლიგინა უკეთებოდა შიგნიდან. გარდამიდან კაცი ვერ გააღებ-

და. სახლის პატრონი სადმე რომ წვევიდოდა, ამ კარეფს შიგნიდან ლიგინაით დაკეტვიდა. გვეილოდა უკანა კარიდგან. უკანა კარები გარედამიდან იკეტებოდა დათუაით. დათუაი ქონდა კარს მიჭედლილი შიგნიდან. დათუაის პირდაპირ გამობნეურეტილი იყო კარი. ქონდა იმას მოქაკული კინა. იმ კინით იღებოდა იი დათუაი, იკილტებოდა. დათუას ქონდა გაყრილი პატარა ლიგინაი. აი ლიგინაი იყო ამოჭრილი თითის გორებაზე. მოქაკულ კინას შუუყრიდა შით და გადააქანებდა აქეთ-იქით. კარი გვიღებოდა და დეიკილტებოდა.

სოფ. ტაბანათი (სუფსის სას. საბუჯო)

56. ქერაბინი და ჭურჭელი

მე ვაკეთეფ ჭურჭელსაც და კრამიტსაც. ოჯახში ახლაც ხელით ვაკეთეფთ. უნდა მევიტანოთ სახლში წითელი მიწა. ჩვენ გვაქ მიწის სათხარაი არდგილი. მიწას ვთხრით იქინეი. მიწის სათხარაზე ამევიღეფთ დარანს. ვარგებულ მიწას წამევიღეფთ სახლში. მერე დარანში ჩავყრით გლაბა მიწას და ეიმსება, გასტორდება. წითელ მიწას ეზოში დავყრით და გადავარეფთ წყალს; დალბება. გამუარჩეფთ ხელით, რომ ქუაი და ბურკა ან ჯოხი არ შეხვეს. მერმეთ გამევიტან საზელზე ერ სალიკაი და ქვეშ დუუყრით სილას, რომ გლაბა მიწა არ ახვეს. ქვეშ რომ ფიცარი დუუგოთ, სილა მაინც უნდა. კაი გამუა. დავზელთ ამ მიწას ფეხით, ბური რომ მეიზილება და გეიწელება, ისთე უნდა გეიწელოს. მერმე ევიღეფთ და დავაწყოფთ ერთ არდგილზე. მერე მოვჭრით მიწის საჭარი ჯოხით, დავაწყოფთ. მერე ევიღებთ და დავდოფთ დაზგაზე. დაზგაზე მოწყობილია საშენი კალაპოტი. ამ მიწას მოვჭრით და ჩავაგდეფთ კალაპოტში, გადუუშვამთ ლადას. ლადა არის პაწე ჯოხი. აი ჯოხი გაასტორეფს. წყალი გვიდგანა ჭურჭელში. ამ წყალში არის სილა ჩავყრილი. დევისოლეფთ ხელს და მუასრიალეფთ. მერე გამევიტანთ ქობინაზე და ხელით გადუუყეთეფთ თავს. ქობინაზე კეთთება მარტო კრამიტის მიწა. ქობინა აძლევს ქერაბინს (ლკრამიტს) ფორმას. ქერაბინს დავდგამთ ლამ-

ფის რიადზე გასახმობათ. ქერაბინი უნდა განმეს ყაზარმაში; წვიმა და ბზეი წყენს. სინამდი არ განმება, ზენა ქარი არ უნდა მოხთეს, თვარა დეიშლება. განმება ათ-თუთხმეტ დღეში. რომ განმება, მაგას მერე წვეი-ღეფთ საწვავ თორნეში. ჩავაწყოფთ შით. უუხოვთ პირს ანგურით. მერე დუუდოფთ ცენს. პირველათ ფუტი უნდა. ტყულათაი უნდა უუფუტო ერ დღეს. მორე დღეს უმატეფთ ცენს. მესამე დღეს გახურდება და ქეც გამეიწვის (||გამეიწობა). მესამე დღემდი ვერ მივალთ, ცენლია. მესამე დღეს გამევიტანთ თორნიდან გამომწვარ ქერაბინს (||კრამიტს). დავაწყოფთ მინდორში. აწი მას არ აწყენს არც ბზეი და არც წვიმა.

ჭურჭელი უმფრო სხვანაირათ კეთთება. მიწაც უმფრო კაი დამზადებული უნდა, უმფრო დიდხანს უნდა იზილოს მიწა, უმფრო მაგარი მიწა უნდა ჭურჭელს.

დამზადებულ მიწას დავაწყოფთ არდგილზე და დევიწყეფთ შენებას ბორბალზე. გამოვკყობურტავთ მიწას და დევიწყეფთ შენებას. ბორბალი ტრუალოფს. ვატრუაღეფთ ფეხით. ბორბალი გაკეთებულა ხიდან. ზეითაც ხეია და დაბლაც. დაბლა აქ რიკა. რიკაზე ფეხს ვამუშეფთ. მალლა ხელით ბორბალზე მიწის კედელს ვაქნით. აი კედელი კეთება ხელით დაგორგლილი მიწიდან.

ამ განხაზირებული კედლიდან გავაკეთეფთ ჭურჭელს. გაკეთება ჭარიკეც (||ჭარიკაიცი), დოქიცი, დერგიცი, ქოთანცი, ჯამებიცი და ყორისფელი. ფსკერი ერნაირათ ეწყება ყველას. თუ ჭარიკაი გვინდა, მუცელს ხელით გამოვებრავთ, ზეით დავაპაწავეფთ და პირს გუუკეთეფთ. მერე ხელსაც მივამბამთ. დოქი თუ გვინდა, უნცროს დევიწყეფთ და ზეითაც უმფრო დავავინწროფთ და შივამბავთ უმფრო პატარა პირს.

ქოთანს ეგრიხება კიდე. ხელი არ უნდა იმას. კოკობაი ქოთანზე პაწეა. იგიც ასთე კეთთება.

ჭურის ფსკერიც ბორბალზე იწყება, ათი შამოქნის მერე უკეთება ერთი რგოლი. მერე ჩამევიღეფთ დაბლა და დავდგამთ მიწაზე და დევიწყეფთ ხელით შამოქნას. ჯერემ გამოვებრავთ ხელით ჭურს, მერე დავაინწროფთ და შივამბავთ პირს. მერე გადავიტანთ სახმოფში. ათ

დღეში გახმება და გადვიტანთ საწყევში.

გამზადებული ქარიკაი, ღოჭი, ქოთანნი, კოჭოპაი, ქური უნდა გადვიტანოთ გასახმობათ გრილ საწყოფში. არ უნდა მოხთეს არც ქარი, არც წვიმა. არც ბზემ უნდა დახედოს. განმეს უნდა ისთე. რომ განხმება, მერე ჩავდგამთ თორნეში. რაფერც ქერაბინი იდგმება, ქურქელიც ისთე იდგმება. უუცოვთ პირს ენგურით (||ანგურით). დოულოფთ ცენს, დუუწყეფთ ფუტებას. ერ დღეს უფუტეფთ ამასაც. მორე დღეს ვახურეფთ. მესამე დღეს გამოვწყავთ. რომ გამეიწობა, იმის მესამე დღეს გაცივდება. გამევიღეფთ. აი კრამიტსავით არ იწყობა. ამას ყუდრო უნდა. გევიტანთ კონახში და დავაწყოფთ. გამჟარეფთ ყველას წყალს. რავარც გიეკარება პაწე წყალი, იმინური გამჟა გატეხილჩი. გატეხილს გადავაწყოფთ ერ კედაროს და თელს — მორე კედაროს. ამით გვეცოდინება გატეხილი და თელი. გატეხილი ისთოვლე კეთთება სანთლით. იყიდება უმფრო იეფათ. თელი თუ ღირს ათი მანათი, იგი ეღირება ხუთი მანათი.

მიქვონდა გასაყიდათ ოზრუგეთში და ჩონატაურში.

სოფ. ქვემო აკეთი

57. წისქვილი

ჩვენ გვაქ სამთვალნი წისქვილი დინარე სუფსაზე. ას ორმოზდახუთი წელიწადი იქნება, აი წისქვილი რომ გაკეთთა. აი წისქვილი ჭაყველება გააკეთა. ოზდაოთხ მოსახლე კაცს ეკუთნოდა აი წისქვილი.

ძველათ დენის წისქვილი არ ყოფილა და აქანაი მოქონდენ დასაქფოვი სიმინდი ჭუხუყვეთიდან, ჩიბათიდან, გუმბალაურიდან, ლანჩხუთიდან, შუხუთიდან, ნიგოთიდან, ქვიანიდან, აცანიდან, ზედა აკეთიდან, ძიმიტიდან და ნაგომრიდანაც. ამ სოფლეფში წისქვილები არის ღელიებზე, მუშოობდა ზამთრობით. ზაფხულობით ღელიები შრებოდა, წისქვილს არ ამუშავებდა. ჩვენ წისქვილს მუდამ ქონდა წყალი და საქფოვი. დღე და ღამეში დეიქფოვოდა სამოცი ფუთი.

სუფსის წყალი არის არხით გადმოშობილი სამ ვერსზე. ამ არხზე არის აშენებული ჩვენი წისქვილი. რამდენს წყალი დეიკლევს, იმდონს გავწევთ სათავანს და წყალი წამუა; წისქვილი კარქათ იმუშავეფს, საქფოვს ხელი არ ეშლება.

წყლის წისქვილს აქ ღარი, ბორბალი, ქვაი, ჩიბო, საქფილე, ქფილის ასადები ლაფერაი, კეკლის მისაცემი ჯამი ჩიბოზე, სარაკუნაი ქვის გუგულაში კეკლის მისაცემათ, კინის არქი ლომზე წამოცმული ზედა ქვის სატრიალებლათ. ლომს უდგანა ქვეშ ასაწევ-დასაწევათ ღერძის ფეხი. როიცხა დასადერლი გვაქ, აუწევთ ლომით ფეხს, გაღუუყენეთ პალოს. როიცხა საქფოვზე ვაწყოფთ, დოუწევთ ქვეით ფეხს, პალოს გამუაჩოჩეთ.

წყალი ჩამუა ღარით კოდში. კოდიდან გასული წყალი ხთება ბორბალს და აბრუნეფს წისქვილს (უწინ დიდ წყლებზე კოდი არ ყოფილა, ხოლოთ იყო ღელიებზე; დიდ წყლებზე ღარიდან გამოსული წყალი აბრუნებდა წისქვილს და კოდი არ იყო). კოდის წყალი მაგრათ აწობა შტვირს. შტვირი აძლევს წყალს ბორბალს. ბორბალი აბრუნეფს წისქვილს. წისქვილის ქვაი როიცხა დატრუალდება, აძლევს სარაკუნაი კეკალს ჯამიდან წისქვილს დასაქფოვათ. ჯამია დამაგრებული უკან კედრიდან ორი ყურით ჩიბოზე. წინდამიდან საცნაურითაა დამაგრებული ჩიბოის სარტყელზე, რომ კეკალი მისეს თავის ზომაზე სარაკუნამ. სარაკუნაის ერი თავი გაყრილია ჯონში, მიორე თავი ჩამოდობილია ქვაზე; მოღუნულია აი თავი. სარაკუნაის ჯონი ჩამოდობილია ჯამზე ერი თავით და რეიკაზე — მიორე თავით. სარაკუნაის მოღუნული თავი მუშოობის ხანს ურაკუნეფს წისქვილს და აძლევს კეკალს. კეკალი ჩადის გუგულაში. მერე იღერდება, მერე აღურეშეფს, მერმეთ იქფოვა. წისქვილიდან გამოსული ქფილი რომ არ დეიპანტოს, წისქვილს შამოკრული აქ ხის რგოლი. საქფილესან გაჭრილია რგოლი. ქფილი ცივა საქფილეში. საქფილე გაკეთებულია ძელებიდან. წისქვილის კედარიოდან უმფრო მაღალია საქფილე. ასადები კედრიდან დაბალია. მოსახერხებელია ქფილის ასადებათ. იმიზაა დაბალი. წისქვილს ქფილი არ უნდა შამუუდგეს, ევი-

ლოთ უნდა მაქობამდი. საქფილედან ქფილს ვიღეფთ ხის ლაფერაით და ვყრით ტუმარაში. ტუმრეფს დავაწყოფთ და მეიკითხავს პატრონი.

სხვის ქადს რომ დავაყრილით, დაქფოვამდი ევიღებლით მინდს. გამორწყული ქვონდა ჩვენ ოყიანი. ფუთზე ვიღებლით ერ ოყას. წისქვილში ქვონდა ხულა და იქინეი ვყრილით მინდის მინდს. თუთხმეტ დღეში გვეირიგებლით ქილით. ქილაში ეტეოდა ორმოცი გირვანქა.

როიცხა გაკეთთა დენის წისქვილი, მერმეთ ჩვენთან საქფოვი არ მოსულა შორიდან. ახლოდან მაინც მოდის საქფოვი. წყლის წისქვილი უკეთესია. წყლის წისქვილზე დაქფოვილი ქადი უმფრო დიდხანს ინახება, არ ხურდება, უმფრო გემბრიელი ქადი იცის.

ჩენი წისქვილის სახელი ახლომახლო თემეფში ყოლგან იყო გავარდნილი. გადამართელმაც იცოდა ჩენი წისქვილის ამბავი.

ახლა აი წისქვილი ეკუთვნის ქვემო აკეთის კოლმეფურნეობას. უფასოთ ემსახურება თავისი კოლმეფურნეობის წევრს. გარეშე თემების საქფოვი თუ მუა, ვაქფოვთ ფულზე. იმ ფულს უძახით სამინდე გამოსაღეფს.

ამ წისქვილს მე უარ ომოცი წელიწადია. წისქვილს უნდა კაი მორება. სუფთათ უნდა ვიყოთ შით. თაგვები არ უნდა დავაყენოთ წისქვილში. თაგვეფს ვიჭირავთ რაგვებით. რაგვი გაკეთებულია ორნაირათ. ერთნაირია — მარტო ორი ფიცარი აქ, ერთი ზეითაა და ერთი — ქვეით. შუაზე ენა აქ. ენაზე დადობილია თხილის კეკალი, ჩამომბულია ზეთ. როიცხა თაგვი მივა და მოქიდეფს პირს, ეიშლება რაგვი და გაქყაბავს თაგვს. მიორენაირიც ამფერია, მარა გვერდენებზე ფიცრები აქ გაკეთებული, რომ თაგვი არ გიექცევს რაგვს. ფიცარს ერ სალიკაი აქ ამოჭრილი თაგვის შესავალათ.

წისქვილი უნდა მოკვეკოთ თუთხმეტ დღეში. ქვაი უნდა გადმევილოთ, ზედა ქვაი. უნდა გადავაბრუნოთ და დავდვათ პოლზე. მერე უნდა მოკვეკოთ. ჭერ უნდა შამევიაროთ ბტყელი წაკატით. მერმეთ წვიტი წაკატით უნდა შამევიაროთ. გუგულასთან იკეკება საღერღავი სხვილი წაკატით. მერმეთ მოსალურეშებლათ იკეკება წვიტი წაკატით. მერმეთ

კიდის კედაროს იკეება პტყელი წაკატით დასაქფოვათ. რაფერც ზედა ქვაი მეიკეა, იმ პლანზე იკეება ქვედა ქვაიც. ქვედა ქვაი არ გამეიღე-
ბა. რომ დენა, ისთე ვკეავთ. როიცხა მეიკეება, მერმეთ იმას გადმო-
ვხვეტავთ და მუასუფთავეფთ. მერე დავადგამთ ქვას და ავამუშეფთ.
როიცხა ავამუშეფთ, წისქვილს უნდა გული გამუშუწმინდოთ. ახალმოკე-
კილზე არ ვარგა საქმელი სიმინდის დაყრა. ზეთ დავაყრით ქუქულების
საქმელ ღერლილს. ნახევარ ფუთამდი რომ დეიღერღება, მერე გეწმინ-
ღება წისქვილი.

სოფ. ქვემო აკეთი

58. საციფი, ღომი, ღობიფი, კეფერა ფხალი, კაბუსტო

ჩვენ საცივს ვაკეთეფთ ასთე: დავნაყავთ ქინძს, პირპილას ერთათ.
მერე დავნაყავთ ნიგოზს ცალკე. დავქრით ხახვს წმინდათ.

ინდოურს დავკლავთ, გავქნით დუღარეში, დავრუჯავთ ცეხზე. მე-
რმეთ იმას წვაყრით ცოტა ქეკპილას და ისე გუუქრელათ გავრე-
ცხავთ. ცეხზე რომ გავრუჯეთ, ცოტა შიშავე მიილო. ქეკპილაი გა-
წმენდს კარქათ. გარეცხვის მერე გავქრით ცოტას და კუქმაქს გამუარ-
თუმთ, ბუშტას გამუართუმთ. თავს მოვქრით და ფეხს მოვქრით. ახლა
კილომ გავრეცხავთ. მერე ჩავდოფთ ქურქელში და მოვხარჩავთ. ახლა
იგი რომ მეიხარჩება, ამევიღეფთ და დავდოფთ გობზე, წვაყრით მა-
რილს ცოტას, კას მარილს. გარეთაც წვაყრით და შიგნითაც შუუყ-
რით. ახლა წამუაცუმთ შამფურზე და შივაშროფთ ცეხზე, ცოტა შე-
წითთეს ისთე. რომ შეწითთება, წამუაშროფთ შამფურიდან და და-
ვდოფთ გობზე.

ახლა ინდოურის ნახარჩს გადმევიღეფთ ქურქელში კობზით, გინ-
და ჩაშკით. თავზე უნდა მუართვა ნახარჩს ქენჭი, სისუქნე. ახლა ვზო-
მავ, რეთი ეყოფა; დუუმატეფ მის ნახარჩს. ახლა ამ წვენს მივსემთ
ხახვს, ამ დანაყილ ნიგოზს, ამ დანაყილ ქინძს და პირპილას. ცოტა
ძმარს მივსემთ. ამას ახლა ვადუღეფთ ცეხზე. იმდენს ვადუღეფთ ახლა

ამას ცეხზე, რომ ხანვი მეიხარჩოს. მერე ჩამოვდგამთ ცეხლიდან.

მივალთ ახლა და ავქნით ინდოურს: სახსრეფში ავქრით. თუ დიდი დარჩება, მაშინ ნაჯახს ვიხმართ და დავქრით კუსოკებათ. ნაქრეფს ჩავაწყობთ ქურქელში. მერე დავასხამთ ამ შემზადებულ წვენს ამ დაქრილ ინდოურს. ოდნავათ უნდა ჩთეს ხორცი. ბეჭრი წვენი არ უნდა საცივს. გახაზირებულ საცივს შევინახავთ გრილათ დაცულ არდგილზე. რომ გავრილდება, ჭამ მაშინ. თუ შეინახავ გრილათ, სამ დღეს ვარგა.

საცივს უნდა ჭამა სიმინდის ღომზე. სიმინდის ღომს ვაკეთებთ ასეთ: მოვდერდავთ სიმინდს წმინდათ, გავცრით საცერში და მუუხინწავთ. ეხლა ჩავრით ამ მოხინწულს კარდალაში და გავრეცხავთ სამი გზობა, სამი გზობა გამუუცვლით წყალს. მეოთხე ჩასხმაზე დავადგამთ ცეხზე და ვადუღებთ. უნდა მეიხარჩოს სიმინდის ღომი. მერე ქვილს ჩავაზელთ. ჩაზელის ხანს კარქათ უნდა დუღდეს ცეხზე, რომ დუღს, ისთე უნდა ჩააზილო. ჩაზელის დროს ცეხლიდან არ უნდა გადმოდგა, თვარა უგემური გამუა. თუ გადმოდგამ, მაშინ ნაკვერჩხალი უნდა გამოჩხრიკო და დაადგა ზეთ და ისთე უნდა ჩააზილო. რომ ჩააზელ, მერე მუუწებო თავი უნდა ლაფერაით. დაახურო უნდა საინი თავზე. მერე ცეხზე უნდა ჩამოვიდო, თუ ნაკვერჩხლებზე გედგა. ცოტა ცეხლი უნდა შუურთო, არ უნდა დაწვა, ისე უნდა დააშუშო. რომ დაშუშთება, დაზილო უნდა კარქათ, კურკუტი არ უნდა იყოს შით. რომ დავზელთ კარქათ, მერე ამუარჩეფთ ლაფერაით საინებზე. ძველათ ვარიგებდით სუფრაზე, ეხლა ვარიგებთ საინებზე და ვდოფთ სუფრაზე ან სტოლზე.

ქვილის ღომის ვაკეთება უმფრო იოლია. ავადუღებთ წყალს, ჩავცრით ქვილს შით. თან ქვილს ვცრით და თან ვზელთ. კარქათ უნდა ჩააზილო, რომ კურკუტი არ იქნეს. მერე დააშუშო უნდა კარქათ. მერე დაზილო უნდა, ამუარჩეფო. ქვილის ღომს ჭამენ გადაზელილზე, ლობიანზეც კაია.

ლობიას ასთე ვაკეთებთ: გავარჩევთ და გავრეცხავთ. ჩავცრით ქოთანში, მივადგამთ ცეხზე და ვადუღებთ ნელ-ნელა. არ უნდა გადა-

როს. სამ წყალს დავაშრობიეფთ. მეოთხე წყალის დასხმაზე სუნელს დავადოფთ. უნდა უქნათ ლობიას: ნიგოზი, ხაზევი, ძმარი, პირპილი, ქინძი, ნიორი. ცოტა მაკიდოს დავაჭრი. ამოვლესავთ.

ასთე აკეთებენ სახალხო ლობიას. ყორიფელზე იქმობა.

საშინაო ლობიას ჩვენ უშობით კამას, ტყემალს, მაკიდოს, პრასას. წავაჭრით აგინს. ნიგოზი ამას არ უნდა. არც ძმარი უნდა, ტყემალი აქ. ამოვლესავთ. ამას ვქამთ ჭადზე, ქფილის ლომზეც კაია.

კეფერა ფხალს ვაკეთეფთ ასთე: როცხა მოყინავს, მოვჭრით, გავწმენთ, გავრეცხავთ, დავჭრით წვრილათ და ჩაყვრით ჩახანაში. მერე მოვხარჩავთ. იმას უზამთ ნიგოზს, ნიორს, პირპილას ცოტას, ტყემალს. გავაკეთეფთ ამ სუნელებით. ვქამთ ჭადზე.

კეფერა ფხალი ბჟავეთაც კაია. შამოდგომაზე მოვჭრით. იმას გავწმენთ და დავათეთრეფთ ხვიტეფს, გავთლით. მოვწალავთ დუღარეში. რომ გაცივდება, ჩავაწყოფთ ქურჭელში. იმას უზამთ ძმარს ცოტას, წყალს, მარილს და პირპილს. მერე დამჟავდება იგი საგაზაფხულოთ.

კაბუსტოს სხვანაირათ ვაკეთეფთ: კაბუსტოს გავჭრით ოთხათ და მოვწალავთ. რომ გაცივდება, იმას მივსემთ ნიორს, მარილს, ბურაკს. ჩავაწყოფთ ქურჭელში. მოვხარჩავთ ნიახურს და წვენს შეურევეთ ძმარს. ამ წვენს დავასხამთ კაბუსტოს, ნიახურს დავადოფთ თავზე. დავახურავთ თავზე და დავდგამთ. დამჟავდება მალე, ათ დღეში ბჟავე იქნება.

სოფ. ქვემო შუხუთი

59. კონწოროხის გაკეთება

კონწოროხი კეთება ტყემლიდან, წიფე ტყემლიდან. გინდა მოკრიფავ და გინდა მორეკავ წიფე ტყემალს. ახლა იმას როცა რომე მონინკავ და და თავს მუჟყრი, ღერწეფს დააძროფ. ჩაყრი კარდალაში. ახლა იმ კარდალას, როცხა გაათსეფ ტყემლით, დაასხამ ერთი ბოთლი წყალს. ახლა დაადგამ ნელი ცეხზე, დიდი ცეხლი არ უნდა. ახლა იგი ერთს წამოდუღდება და ლოპერას შეიყენეფს. იმ ლოპერას მუართუმ.

ახლა სუფთა კალათში ჩაასხამ. გობზე იმფერათ უნდა მუაწყო, რომ გობზე წვენი მიდიოდეს კალათიდან. გობი რომ გეიფსება წვენით, უნდა ჩაასხა ჭურჭლეფში იმნაირში, რომ არ მოგისინოს. ახლა კილომ ჩააყენეფ ტყემალს იმ ჭურჭელში და კილომ მოხარჩავ, კილო დაასხამ კალათში. კილო გეიფსება გობი, კილო ჭურჭელში ჩაასხამ იმ წვენს.

ასთე მოვხარჩამთ სამ ფუთ ტყემალს. მერე ახლა ჩავასხამთ ამას ჭურჭელში და ვადუღეფთ მარტო წვენს. როცხა დადუღდება, გამუა სამი ბოთლი კონწოროხი. თუ სადუღებელ ჭურჭელში ერთად არ ჩევიდა, მერე უნდა დუღმატოთ, როცხა დეიკლეფს. არავითარი სუნელი არ უნდა, ისთე ჩაასხა უნდა ბოთში. გაძლეფს, რამდენ ხანსაც გინდა.

მუცლის აშლილობაზე ნამეტანი კაია იმის კისელი. ერთი ჩაის კობზი კმარა ოთხ სტაქან წყალზე. საქმელიზა ნამეტანი კაია. ლობიეიზა ნამეტანი კაია, ხოლოთ ცოტა უნდა იხმარო, არომატინაია.

კალათში რომ დარჩება ნაწური, იმას ამევიღეფთ გობზე და გამოვებურკავთ, გავწვეთ სუფრაზე. მერე იმას გავდგამთ ბზეზე, ახლა ბზეი იმას წააშროფს მადლა პირს. წამშრალს გამოვსერავთ დანით, ავხთით ახლა იმას დანით და დავაფენთ მორეე ძელზე. ახლა ანახადს კილომ მუასტორეფთ, კილომ წეისერავს პირს. კილო ავხთით, კილო გავაშროფთ იმასაც. ახლა იმას მერე დავასოლეფთ ტყემლის წვენში, ტყემლის ნაწურ წვენში და გადავკიდეფთ ბზეზე. ასთე უნდა სამი გზობა დასოლება და გაშრობა. მერე, როცა გაშრება, გავახოვთ და შევინახავთ. მერე, ერხანს რომ შევინახავთ, ერ თუთხმეტ დღეს მერე მივალთ და გავაშროფთ კილო ბზეზე. ერთი სამი გზობა ქი გავაშროფთ ასთე და მერე არ უნდა გაშრობა. მერე დავახოვთ, შამუახოვთ ქახალთს და შევინახავთ. ინახება სამ-ოთხ წელიწათს.

ამას უმეტესათ ხმარობენ ხარჩოში, ხარჩოს გასაკეთებლათ. კაკალი ლობიეიზაც კაია.

სოფ. ქვემო შუხუთი

შეეღობავთ მიწას, რომ ღორმა და რამემ არ შეგვაწუხოს. მერე მოვბარავთ ლაფათქით. მერე თოხით მოვმაშავთ, მოვფშვნით მიწას. მერე თოხით დავკვალავთ და მოვთესავთ თესლს: მაკიდოს, ქინძს, პამიდორს, პატრიქანს, ლობიას, ფხალს, სტაფილოს, ნიახურს. ერთიმორეში არეული არაა, ვაკეთებთ კვალებათ. ერთი კვალი ქინძია, მიორე ნიახურია, მესამე მაკიდოა, მეოთხე პამიდორია, მეხუთე შავი პატრიქანია. ლობიეც კვალეფშია, ფხალიც კვალეფშია. არეული არ შეიძლება.

რომ ამჟა, იმას ამოყობა მავნე ბალახი. იმას გავზილავთ ხელით. თოხით არ შეიძლება. ლობიოს და ფხალის გათოხნა შეიძლება თოხით. მაკიდოს, ნიახურს, ქინძს გავზილავთ ხელით, ხელით მოვთხრით მავნე ბალახს და მუაშორეფთ იმას. ორჯელ თუ სამჯერ უნდა გავზილო ხელით თელ ზაფხულში. მერე აღარ ამჟა ბალახი.

ნიახური კაბუსტოს და ფხალის დასამყავებლათ ნამეტარი კარგია, არომატი აქ კარგი. ძმრით რომ ვაკეთებთ, იმას არა აქ არომატი. გასუფთავებულ ნიახურს მოვწალავთ ცხელ წყალში. ცოტა რომ წამოდულდება, ჩამევიღებთ, გავაციებთ და დავასხამთ კაბუსტოს. ექნება მარილი, ნიახური, პირპილაი. გამჟა მჟავე კაბუსტო. ნიახურს წყალთან ერთათ ჩავაყოლებთ.

ნიახური ლობიოზაც კარგია. დავნაყავთ ფილში ნიახურს, ქინძს, პირპილას, ნიორს, ნიგოზს, მჟავეთ უზამთ ძმარს. შევავრთებთ აგინს ყველას ერთათ და შევკაზმავთ ლობიას.

მოხარჩულ ფხალს უნდა ნიგოზი, ქინძი, ძმარი, მარილი. მეტი აფერი არ უნდა.

დამავიწყდა. კიდომ ვთესავთ ბახჩაში კინტრს, ხაბურძაკს, ნესეს, აგენი ითესება ბუჩქა-ბუჩქათ. მერე ნაზარდი შტოები წავა თავისუფალ მიწაზე და მეისხამს.

სოფ. ჩოლობარგი

61. ყაჭი

ძველათ ჩამეიარდა ვინცხა, ყაქს შეიტანდა კარობკით. დედაჩემი შედობდა ბალიშქვეშ და გამევიდოდა ყაჭი. დავლობავდით ჩაფარას ჩალის ღერიდან, დავსმიდით ყაქს ზეთ. ვაჭუმდით ჩვილი ბჟოლს. რავარც ყაჭი გვიზღებოდა, ისთე მაგარ ბჟოლსაც ვაჭუმდით. ერთ კვირეს მერე ყაჭი კანს მეიცვლის. ყველა სტორზე მეიცვლის ყაჭი კანს.

პირველ კანს რომ მეიცვლის, კილო უნდა დალობო ჩაფარაი და გადიყვანო სხვა ჩაფარაზე, გაამეჩხრო უნდა. აჭამო უნდა საჭმელი. კილო კანს მეიცვლის. კილომ უნდა გაამეჩხრო. მერე კილომ აჭამო უნდა, გააძლო უნდა. მერე კილომ კანს მეიცვლის. კილო გაამეჩხრო უნდა. მეიცვლის ოთხ კანს. მერე ათი დღეს აჭამო უნდა, გაძლება. მერე პარკს გააკეთეფს.

უნდა დუუდვა ცხემლაის ქვერო, გვიმბრა. კამანიაც კაია ძალიანი. ყაჭი გავა პირსაცავზე და პარკს გააკეთეფს. მანანას გამოხიკავ და სხოგან დასვამ. მერე პარკს გამოხიკავ და ჩააბარეფ საბარკეზე.

სოფ. ჩოჩხათი

62. ყაჭის მორება

ძველათ კარობკა ყაქს გამევიტანდით. იმაში იყო ექვსი მისხალი კაკალი. იმ კაკალს ვათფობდით საბანში, შევედობდით ჩვენ საწოლ ლოგინში. ერ სტორზე გამევიდოდა ბობოლი. იმას მერე უჭირდით ბჟოლის ფურცელს. თუ ბჟოლის ფურცელი არ იყო გამოსული, მაშენ ბჟოლის კვირტეფს უფშენდით კამაზე. კამას უდობდით კაკლიდან გადასაყვანათ. იმ კაკალზე კანუაია დაფენილი (კანუაი მარლაა). კანუაიდან ამოძრობა ბობოლი და შელოდღება კამაზე. კამიდან გადავსვამთ კერძოთ და ბჟოლის კვირტეფს დუუფშენით, თუ ფურცელი არაა.

სითფოში უნდა ქყვადეფს იგი ბობოლი. უნდა აჭამო, რეთსაც კამს. სტორზე კანში დაწობა, მეიცვლის კანს. მერე მეტს კამს. მორე

კანში რომ დაწობა, კილომ მეტს ჰკამს. მესამე კანში რომ ამუა, კილომ მეტს ჰკამს. სტორზე დიდ კანს მეიცვლის. დიდ კანში რომ ამუა, გაამეჩხრო უნდა. ყველა კანში უნდა გამეჩხრება. ოთხ კანს იცვლის. ოთხივე კანში უნდა გაამეჩხრო. ბობოლი იზღება და ველარ ეტევა არდგილზე. კანში რომ ამუა, სამი დღის მერე ნაძირი დუუცვალა უნდა. ყაჭი რომ დავაბურეთ, ახალი ბეოლი რომ დუუყარეთ, იმას შიესია ყაჭმა. ევიყვანთ იმას და დავდოფთ მორე არდგილზე. ყველა კანში ასთე გადაყენა უნდა.

დიდ კანში რომ ამუა, ათ დღეს ჰკამს. მიათე დღეს იწყეფს წასვლას. მეცხრე დღეს პირს უუცავთ, გუუყეთეფთ პირსაცავს. მიათე დღეს მუუდგამთ ცახს. ცახათ ვიყენეფთ კამანიას, ცხემლაის ქვეროს ხმელს, გვიმბრას. ნანდვილი ცახი ყვალას ჯობია. ნანდვილი ცახი იზღება ფსორის პირებზე ნაწიფაში, ჯიკისტპაში. ამ ცახს ვაგროვებდით შემოდგომაზე. ზამთარი რომ გეიარს, მერე ვერ იშონი, ანტროვს საქონელი. კამანიეიც კაია. კამანიას მოვთხრით ყაჭობაზე და გავახმოფთ. იმას ვინმართ მერე, მუუდგამთ. მიაპარკავს იმაში. ახლა მეცამეტე დღეს მანანას გამოვხინკავთ და დავსვამთ ცაკე. ცოტა ფურცელს მივცემთ და ცახს მუუდგამთ ამასაც. გააკეთეფს პარკს. ხოლოთ იმისანაი არ იქნება მანანაის პარკი, უმფრო ჩვილი იქნება. მანანაის პარკს ცალკე ჩავაბარეფთ.

მანანას რომ გამევიღეფთ, იმ დღიდან დევითვლით და მეშვიდე დღეს გამოვხინკავთ პარკს. კას ცაკე დავდოფთ, ბილს ცაკე.

მალამდი პარკს ყიდულობდენ ბერძნები. ახლა სახემწიფოს ვაბარეფთ. კაცია გამოყოფილი, გამოყავს ბობოლი მას კამერაში და ჩვენ გვაძლევს გრამობით.

მორება ძველათაც ასთე უნდოდა და ახლაც ასთე უნდა.

სოფ. ქვემო შუხუთი

63. ჭუჭულების გამოკვება

ქათამი როცხა კვერცხის დობას დაანთავრეფს, შეიკრუხეფს. კვერცხეფს ჩუუწყოფთ ბუდეში. თუ დიდი ქათამია, ოცი კეკალ კვერცხს ჩუუწყოფთ ბუდეში. თუ პატარე ქათამია, თუთხმეტ კეკალს მუუწყოფთ იმას. დავაჟენთ კრუხს კვერცხებზე. გამოკეკავს ოზდაერთ დღეში. რომ გამოკეკავს ჭუჭულებეს, მერე მოჰვაა. მოჰვას და ჭუჭულებეს შამევიყვანთ ჭუხნაში, ვაჰუმთ დერდილას. მერე რომ მეიზდება, მერე ვაჰუმთ პურის კეკალს. მერე სიმინდის კეკალს ვაჰუმთ. შეიქნება მერე დასაკლავი.

მამლები რომაა, იმას ვკლავთ, ვარიეფს გუუშოფთ სამჩხვეთ. ათი ვარიაზე ერთ მამალს გუუშოფთ სამჩხვეთ. ვარიე (ლვარიეი) რომ შეიქნება ცხრა თვის, კვერცხს დადოფს.

სოფ. ქვიანი

64. ყველი, გადაზელილი და სხვაი

ყველს ვაკეთეფთ ძეიდან. რომ მევიტანთ ძეს, იმას გავწყურავთ, ჩავასხამთ ერ კობზ კვეთს. მერე პატარა ხანს დავდგამთ ცეხთან. ჩეიკვეთება იგი. მერე დავდგამთ ცეხზე, ცოტას მუათფოფთ. მერე მუუსკრით ხელით; მერე მუუყრით თავს და ამევიღეფთ ხელით. მერე დავდოფთ სეინზე, ცოტა მარილს დავაყრით; მერე ჩავდოფთ დერგში.

აადულო უნდა მარილიანი წყალი, გააცივო უნდა. მერე ჩაასხა უნდა დერგში და ჩააწყო ყველი.

როიცხა დავკლავთ საქონელს, კვეთს გადავბთით ტყავს. ერი კედარო იჰმობა, მორე კედარო კვეთია. კვეთს ჩავდეფთ ბანკაში. იმ კვეთზე დავაყრით მარილს. მერე დავასხამთ ცოტა ძმარს და ცოტა ოტკას. მუუყრავთ თავს ჭახალდით, გადაადოფ ბანკაზე ჭახალთს და შამუუჰირეფ ძაფს ან ჭინჭს. შეინახო უნდა ერ თვეს. მერე იხმარ, რომ დაკჰირდება.

ყველს რომ ამევიღეფთ, სველი დარჩება. მერე მუაჟროფთ იმას

ცეხზე. უნდა შუერთოთ ნელი ცეხლი, მერე მოყრება, თავზე ნადუღს მიეყენეფს, არ უნდა გადიაროს. დოღბანდს ამოვკერავთ და იმაში ჩავასხამათ, დავკიდეთ. გეიწურება. მერე გამევიღეთ იმას, სეინზე დავლოფთ და გავსირსნავთ, მოვლესავთ, ცოტა წყალს უზამთ ანდა ძეს. უმფრო კაია ძეი. ცოტა მარილი უნდა უქნათ. უმბალოს დავნაყავთ და გუურეთ. უმბალო კაია, გემოს აძლევს. უმფრო კაია ღომზე და ქაღზე.

სველი რომ მოყრება და გადავწურავთ, დარჩება წურუქაი, წურუქას ვასუმთ გოქს, ხფოს. კაია ყველზე დასასხამათაც. კვეთს რომ გამილევა წვენი, დაასხამ წურუქას. კვეთს შუუდგება წვენი და იხმარ მერე ყველის ჩასაკვეთათ.

ყველიდან გაკეთება გადაზელილი. ადუღებულ წყალჩი ჩათალო უნდა ჩვილი ყველი. ჰოდა, მუუსვარო უნდა ლაფერაით ან ჩოგანით. მერე გადმეილო უნდა გობზე, მოწეკვ პატარა-პატარას ხელით, დაკვერავ. მერე მუაყრი ცოტა მარილს და შეინახავ.

გადაზელილიდან კაი ელარჯი კეთება. აადუღო უნდა წყალი და ჩაზილო უნდა ქფილი მოთხელოთ. დათალო უნდა თხლა-თხლათ გადაზელილი, ჩაყარო უნდა შით და დაზილო. მერე მუუწებავ ღომს თავს. დაშუშთება. უნდა მისე ნელი ცეხლი. მერე რომ დაშუშთება, დაზელ. მერე ლაფერაით ამეიღეთ სეინებზე. დავდგამთ სუფრაზე და ვქამთ ხელით. მისაქმელი არ უნდა, შითაა. კაი საქმელია.

ელარჯიზა რომ გადაზელილს ვაკეთეთ, იმას მარილი არ უნდა. ქფილის ჩასახელ წყალს უნდა ცოტა მარილი.

სოფ. ხიდმაღალა (სუფსის სასოფლო საბჭო)

65. არაყის გამოთხა

არაყს ვხთიღით ქაქიდან, ტყემალიდან, ანწლიდან, ლეღვიდან, ხუმბრაიდან. ჩავყრიღით ქურში. ერთი თვის მერე გამოხთიღით.

მოვკრიფავღით ყურძენს, ჩავყრიღით საწნახელში, გავაფსებღით საწნახელს. მერე, რომ გეიფსებოდა საწნახელი, კობულით დავაკობუ-

ლებდით იმას. მერე კილო დავამატებდით ყურძენს გოდრობით. შემდეგ ჩუქობდით კაცს შით საწნახელში. ფებს დავებანდით კარქათ საპონით, მერე გოშუმშრალეზი (||გუშუმშრალეზი). ის ჩევილოდა საწნახელში და დაქნებდა ყურძენს. მერე ამევილოდა, რომ დაქნებდა ყურძენს. მერე დავახურავდით თავზე იმ საწნახელს. მესამე დღეს გამევილებდით ჭარიკეზით ღვინოს, ჩავასხამდით გამორეცხილ ჭურში ღვინოს. ამ ჭაქას დავჯორგავთ და კილომ ღვინო ჩამოდგება მერე. იმ ღვინოს ამევილეფთ მერე და ჭურში ჩავამატეფთ.

ორ თვეში რომ გამოხთი, კაი გამოსავალი აქ, მერე არ აქ იმლონეთი გამოსავალი.

მევიტანთ ქვაფს. ჩვენ თვარ გვაქ, ვიქირავეფთ მეზობლიდან. ყვალას კარ გვაქ, ძვირი ღირს. ქირას ვიხთით დღე და დამეში ერთ ბოთს. რომ დავადგამთ, შუუნთეფთ ცეხს. მიწა უნდა ამოვთხაროთ, იქიდან და აქიდან ქვაი უნდა დუუდგათ სასიმაგროთ, რომ ქვაბი არ ჩავარდეს მიწაში. ქვაფში ჩავყრით ჭაქას, მერე დავახურავთ თავის თავს. მერე იმას ორე აქ წყალის ჩასასხამი. აბა ქი დეიწობა ისთე, წყალი თვარ ჩუუხსნი. ლულა არ უნდა გაცხელდეს, ცივი უნდა იყოს სულ. თუ ცივი წყალი არ დაასხი, მეიხრაკება. მუდამ ცივ წყალ უნდა უსხამდე, ან ღარი უნდა იყოს მიყენებული ორეზე.

პირველათ რახნი გამუა, მერმე იი რახნი რომ გამუა, მერმეთ გადმოვდგამთ ქვაფს. ძალიან უნდა გამოვრეცხოთ, გამუაკრილოთ. მერმე ჩავასხამთ ამ რახს შით. დავახურავთ ისთეველ თავზე. დუუცავთ კარქათ. ხაერი არ უნდა გამევიდეს, ისთე უნდა დაწეპო ქვაბის კიღენეზი. მერე შუურთავთ ცეხს. ბეჭრი ცეხლი არ უნდა. შუუდგამ დიდ დოქს. პირველათ ჩამუა სპირტი, მერე — არაყი. სპირტი რომ გამუაშორო, მერე კაი არაყი არ გამუა. იი სპირტი უნდა იყოს შით. არაყს გავაციეფთ. მორე დღეს გადავასხამთ ბოთლეფში.

სოფ. ჭყონაგორა

66. ორმოცაძნეები ძველათ

ორმოცაძნეები უწინ ყოფილარიენ კიკნაძნეები. ერთ ოჯახში ყოფილა ორმოცი სული. — იმ ოჯახში მიდიო, ორმოცი სული რომ არისო, — იტყოდენ უწინ. მერე გადიქა ორმოცაძნეთ.

ამ სოფელში ორმოცაძნეებია ნახევარი. პირველათ ჩვენი გვარი ყოფილა დასახლებული ნასახლევეზე, დაბალი გორი რომაა, იქინეი. ჩიტილას უძახიენ. ჩიტილაზე ახლაც არის სამი-ოთხი მოსახლე.

აქანე ტყე ყოფილა უწინ. ვერ გვიარდა ვეფერი. შით ტურა და გელი იყო. დათვიც ქი იყო. ვერული ღორიც იყო. აგერ ახლა იყო მანი, კაი დიდი ვიყავი მე, რომ კლავდენ. ტყეთ იყო ყორიფელი. იმისთანა მუხა იყო, რომ ხუთი ურემი ყავარი ამევიდოდა. რომ დარჩა, იმას წუჟიდა მამაჩემა ცეხლი. ერთი ზამთარი იწვა, მორეე წელიწათს დამხთა ცეხლი.

ტანზე იცვამდენ მალამდი ხამის ნიფხავს და პერანგს. საპონი არ იყო. მერე დეიწყენ წამალი. ვერული ხალხი იყო.

ფილარები იყო. პოეზს დიეცემოდენ, გაქურდადენ. პოეზი მიდიოდა შეშით. გააჩერებდენ აქანაი ბუტკასთან და შიყრიდენ შეშას.

ფეხშიშველაი და ტანშიშველაი ვიყავი. არ ქვონდა ფული. მანათი ღირდა ჩემი წულა. სა იყო მანათი! ექესი შაური ღირდა სიმინდი ფუთი.

მამაჩემს ხავდა ხუთი შვილი. ხან ქვონდა საქმელი და ხან არა. ჩვენ პაწე ვიყავით. მამაჩემი ყანას მუშოობდა. ჩვენ რომ წამევიზარდეთ, ვენმარებოდით. მე ხარს უძლობოდი წინ. კავზე მამაჩემს ეკიდა ხელი. პაწე-პაწეს ხნავდა. უყი იყო მიწა, ვერ მიქონდა კავი, ეკლის ძირები იყო. თოხნის დროს ეკალი უნდა მოგვეკრა თოხნით. დავბარკვიდით, მერე გავთოხვიდით. მერე მოგვეტეხა უნდა. დავყრიდით ოთხათ, გავარბიებდით. მერე მევიდოდა მუჟრავი, აარჩევდა ერთს. საქმელიც უნდა გექმია, ქათამი უნდა დაგეკლა, ღვინო უნდა მიგეტანა ქარიკაით, დაგეთრო უნდა. მერე ჩაგეყარა ურემში და მიგეტანა მიზდა სიმინდი.

უწინ მუუარავს დაფაიჯებდენ ქორწილში. ქალი მიკყავდა, მაგალი-
თათ, ცხენებით, მაჭუტაძე რომ შეხთებოდა, უნდა ჩამომხტარიყავი
ძირს დედოფალიც და მაყარიც ყვალაყვი. ბატონიზა უნდა მიგეცა სა-
ლამი. რომ წვევილოდა ბატონი, მერე შეჯდებოდენ ისთეველ ცხენებზე.

ქორწილში იყო ტევანდიდის ღვინო და ჩხავრის ღვინო. ადესაი
მერე შამვეიდა. ჩხავრის ღვინო კაი იყო. ორ ბოთს ვერ გადააცილებდი,
იმისანა მაგარი იყო. თეთრი იყო, ჩხავერი თეთრი ღვინუა. უწინ ბეჭრი
იყო ჩხავერი. მალლა ხეებზე იცოდა, ხუმბრაზე იცოდა უმფრო. ხუმ-
ბრაი ბეჭრი იყო, ვერული ხუმბრაი იყო. პაწა-პაწაი კაკალი იცოდა იმ
ხუმბრამ. ხუმბრანის კაკალს ღორი ჭამდა, დუუურეკდენ ღორს. ხუმბრანის
კაკლიდან ოტკასაც ვხთილით. ჭურში ჩაყრიდენ იმას, აამჟავებდენ.
ჭურში უნდა ყოფილიყო ათი დღეი, თუთხმეტი. მერე ამევიდებდით,
ქვაფში ჩავყრიდით, ცხეს შუურთავდით და გამეიხთებოდა. პირველათ
გამევილოდა რახი. მერე გადააბრუნებდენ და მაგარი ოტკა გამევილოდა.

ჭაჭის ოტკა კაი გამოდიოდა. ყურძენს ღვინოთ გააკეთებდი. ყურ-
ძენს დაჟყინტავდი, მერე ღვინოს გამეიღებდი. ჭაჭას შეინახვიდი ჭურში.
ამეიღებდი მერე კომზით ვერ თვეში, ორ თვეში, სამ თვეში. არ წახთე-
ბოდა.

ტევანდიდი ქედზე იცოდა. აქანაი ვაკეში არ ივარგა. მამაჩემა მე-
იტანა, მარა გაფუჟდა. გამოსხმით გამეისხა, მარა მონაცრა. ჩხავერი ვა-
კეშიც ვარგოდა, ქედზე უკეთესი იყო. ტევანდიდი მალე გადაგვარდა.
ახლა ვერ ნახავ იმას. დიდი ტევანი იცოდა, შავი იყო მუღლუფასავით.
ძალიანი მაგარი ღვინო იცოდა.

სოფ. ჭყონაგორა

67. ჩვენი გვარი

ჩვენი გვარი სამეგრელოდანაა. მახსოვს მე, ყოლწელიწადს თითო
ცხვარი უნდა შეგვეწირა. იქინეი იყო ჩვენი სალოცავი, ხატი. მამაჩემი
დადიოდა იქინეი. მეიყრიდენ თავს ფირცხალაიშვილები, მოხენკდენ

ფულს, იყიდდენ ცხვარს, წეიყვანდენ იქინეი და შესწირვიდენ.

— ფირცხალავა ვართო, — იტყოდა მამაჩემი, — დივემალეთ ბატონეფსო, გადმოვსახთით გურიაშიო.

აქანაი გაგვიჩთა ბატონი მაინც, ხალვაშები. მაქუტაძე ამ ლანჩხუთის ბატონი იყო. ხალვაშები სოფლის ბატონები იყო. კვირეში ორი დღეი ხალვაშისას გვემსახურა უნდა, შინაყმაი ვიყავით. მაგალითეფ, სახლი აქ დასათოლავი, დიდი თოლი მევიდა, დაგვიძახებდა, უნდა წავსულიყავით.

მერე დევიხსენით თავი. ფული მივეციტ. მიწა მოგვიზომა ცოტა. ბრეულს ვინ მოქცემდა. მარა იმ მიწიდგან ნადელი უნდა გვეძლია მაინც, მეოთხედი მისი იყო.

სოფ. ნიგოთით

68. ჭანჭათი

ერთი კაცი ყოფილა აქანაი. იმას ცოდნია ჭანჭყალი. ამით დიეთქვა ჭანჭათი.

ჭანჭათში მიწები ჭონდენ თავადეფს: ერისთავს, გუგუნავას, თავდგირიძეს. თავდგირიძის ნასახლევს ახლაც უძახიენ, წისქვილი რომ გვაქ, იქინეი. იქინეი იდგა თავდგირიძე. მაგ თავდგირიძის ადგილუფში ვყანობდი მე პირადათ. ნახევარი უნდა მიმეცა მიზდა.

თავდგირიძის მიწები იყო აცაურაის პირზე და მოდიოდა ჭყუტამდი.

აცაურაი გამოდის აცანიდან, ჩადის სუფსაში ჭიხურთან. ჭიხურთან ნაციხვარი ახლაც აჩნია. იქინეი სუფსის პირზე ციხე ყოფილა ძველათ. აი ნაციხვარი თავდგირიძის არდგილში იყო.

ჭყუტაი ჭანჭათს და ზომლეთს საზღვრავს, გამოდის ისთეველ ზვენ ტერიტორიაზე. ჩადის სუფსაში.

ჩვენ არ კვყოფნიდა აი მიწები. ჩვენ მივდიოდით ნიგოთში. იქინე მათუაძეს ჭონდა საყანე ადგილები. სამეოთხედოთ ვილებდით. მეოთხედი

მიგვეტანა უნდა მის ნალიაზე.

ჩვენი იყო ხარი, კავი, თოხი, თესლი და ჩვენ ვამუშავებდით.

მაუჭაძნებმა რომ შეიტყო, მიწას ჩამოგვართუმენო, შეიტანენ ბანკში და ფარა გაშეიტანეს. ბანკმა გასცა მერე არენდათ მიწა. ეილებდა, მაგალითად, ორი, სამი კაცი მიწას. აი კაცი ქი ღებულობდა მითხედს.

მერე მოგვისრა ახალმა მოძრაობამ. მიწები მერე ჩვენ მოქვეცეს ისევ. ნადელს არკაცი არ ილებდა.

სოფ. ჰანჭათი

69. ეგნატე და ჩემი ოჯახი

ეგნატეს უხაროდა ჩემ ოჯახში მოსვლა. ეგნატეს ქლექი ჰირდა. საწყალ დედაჩემს ეშინოდა, არ გადიხვიოს ბალნეფსო. მამაჩემს არ ეშინოდა. თვეში ერ ლამეს, ორ ლამეს გაათევედა. ნდობა ქონდა ჩვენი ოჯახის. ღამე ილაპარაკებდა: — აი დროიო წეიშლებო, დადგება სხვაი დროიო, ბედნიერი დროი მიესრობა ახალ თაობასო. მამაჩემი ეტყოდა: — გუშინ დაგიჭირესო. ნუ ილაპარაკეფო, თვარა დაგიჭირავენ კილომო. იგი ეტყოდა: — ჩემისანაი მილიონი დეიხვრიტება და მოკლებო. ღირსი არისო, რომ ჩვენ თავი შევეწიროთო და ახალი მომავლიზა იყოს ბედნიერი ცხოვრებაო.

ეგნატემ მე და დიომიდე ხავთას და ბიქტორ ჯორბენაძეს რვეული გვაჩუქა, გრიფელი გვაჩუქა. გრიფელი იყო კარანდაშის მაგიორათ.

ეგნატე ჰკვიანი კაცი იყო.

სოფ. ზემო ჩიბათი

70. მოსე მწერალი და კაცია მუნჯაძე

აგერ, სულ ახლო, ნაპოენია უზარმაზარი ჩონჩხი. დიეთქვა სახელათ ჩონჩხათი.

ჩონჩხათის სამამასახლისო აერთიანებდა სუფსას, ჭუმათს, არჩე-

ულს, ღრმადღეღს. ერთი მამასახლისი იყო ამის ხელმძღვანელი. ყველა კუთხეებში იყო ნაცვალი. ნაცვალს ქონდა ბეჭედი.

მოსე ცინცაძე იყო ჩონჩხათში მწერლათ. ლანჩხუთელი იყო, გადიცვალა ათი წლის წინეთ. ეგნატეს იუბილე რომ იყო, ასი წლის თავი დაბადებიდან, თფილისიდან მისულიყო ვინცბა მოსე მწერლის ცოლთან: — ცნობა მომეციო, რაფერ იყოო აი საქმეო. ცოლმა არ მიიღო. — სამი მანათი ეიღო ჩემა ქმარმაო და ამიზა ქოყანა შიაწუხეთო.

თუ დიდ ნომერს ამეიღებდა კაცი, ჯარში არ მიხავდენ. მოისწრაფეშვილმა ამეიღო ცხრა ნომერი. მის მაგიორ რომ წეიყვანეს, იმ კაცს — კასრადეს — ქონდა ამოღებული დიდი ნომერი. ეს შეიტყო წაყვანის შობლებმა და გაასაჩივრეს მაზრაში. ამას მოხვა დიდი უსიამუნება. ათანასე ღვდელი დეიქირეს და ოზურგეთის ციხეში მოკვტა. ჯიჯიეიშვილი ნაცვალი გადაასახლეს და სიბირში დეიღუპა.

კაცია მუნჯაძე გვარათ იყო ჩხაიძე. ის ცხოვრობდა ორმეთში. ერთხელ მევიდა მასან ნაცვალი და უთხრა ცოლს: — ამელამ გამეივლის ვინცბა დიდი კაცი და კაციამ იდარაჯოსო; ოთხ ღღეს გაგანთავისუფლეთ გზის სამუშეირიდან მაგიორშიო. ცოლმა რომ უთხრა, წავიდა საწყალი. დაღალული იყო, ეძინებოდა. მიღვა რეიცაზე თავი, გევიგონეთ მატარებლის ხმას და წამოვტებო. მარა ღმათჩინებულს გაღუუარა მატარებელმა, თავი წააცალა.

სოფ. ჩოჩხათი

71. ეგნატე და მამია გურიელი

ეგნატე დეიბადა აქანაი. მაშენ ამ სოფელს ბულუხაურს უძახოდენ. ამას ზეით ყელას უძახოდენ. ახლა ამ სოფელს ნინოშვილი დავათქვით.

ეგნატეს მამა აქიდან წევიდა ჩიქვეთში და დასახთა. ეგნატეს იქორი დედა ხავდა.

თომას (ეგნატეს მამას) ჩიქვეთში მე გუუკეთე ქუხნა სახლი. იმ სახში გეიზარდა ეგნატე. რომ გეიზარდა და დიდი ვახთა, მომცა ბეი

სახლის გასაკეთებლათ და მითხრა: — კაი ოდა სახლი გამიკეთეო. ფთა-ზე მივალო. რომ ჩამუალ, გამიკეთე მაშეინო. ეგება მოვკტე მე, მარა შენ სახლი მაინც გააკეთეო! ამის დანარჩენი ფარა შენ არ დაგეკარქებაო, არ შეგეშინოსო, მიიღეფო.

ეგნატე ფთიდან გლახათ ჩამევიდა, წოლიარე იყო. მისი ბიძა ალექსი ინგოროყვა მევიდა ჩემთან და მითხრა: — რალათ უნდა სახლიო, ავათააო. ამ ფულით წამალს უყიდო. მომე ფულიო.

მე მივეცი ფული და სახლი აღარ გამიკეთებია. იმ პაწე ხანში ქი მოკტა.

მე ვიყავი უსტა, სახლეფს ვაკეთებდი. მუშოობდი გურიელისას. იქინეი ხშირათ იყო ეგნატე. დღეი ვერ ვხედავდი და ღამე იყდა სულ და წერდა რაცხას; მე რა ვიცი, რას წერდა. შამევიდა მუჟრაავი და უთხრა გურიელს: — რათ გინდა აი აბდალაი ეგნატაი რომ დაგისვამს აქანაი და ხუთი მანათის სანთელი არ ყოფნის ღამეშიო! — არაა შენი საქმე მაგო! — გუუნჯუარდა გურიელმა.

ერ დღეს მევიდა მამია გურიელი და მოხვა ეგნატე. გურიელის დაი (მაკა გურიელი) შეეგება და ჩამუართვა ხელი ეგნატეს. ეგნატე რომ წევიდა იქიდან, ქითხა მაკამ მამიას: — ვინ იყო იი კაციო, ხელი რომ ჩამოპართმოვიეო? — ეგნატე ინგოროყვა იყოო, — უთხრა მამიამ. — რა უყო ახლა ამ ხელს, რაფერ წევიქრა ახლა აი ხელიო!

მამიამ უთხრა: — ხელს წაჭრა არ უნდაო. ჩენი სახელი ჩვენ თავზე წაგვაკტებაო. ჩვენ რომ მოვკეტებით, ჩენი სახელიც მოკტებაო. ამის სახელი მუდამ იქნებაო. ათას წელიწადს იქით შეიძლება მეითხოვოს კიღომ კაცმაო.

სოფ. ნინოშვილი

72. ეგნატე ნინოშვილი

მე ვიარებოდი კლასში, ეწერს რომ ეტყვიენ, იქინეი. მერმე ვერ შევიძელი იქინეი სიარული მე, შორ იყო.

ეგნატემ გახსნა კლასი აქანაი, მის სახლში აქანაი. აქანაი დიდი მინდორი იყო. აი წყალი კოდმის ძირში მივიდოდა ეგერ იქით. მე ვიარებოდი აქანაი კლასში. ეწერზე რომ ვიყავი, მცემდნენ იქინეი. მე არ მინდოდა იქინეი წასვლა და ბეჯლის კაკალაზე დავერბოდი. ეგნატესან მივედი აქანაი, ახლო იყო ჩემთან. ეგნატემ ცემა არ იცოდა. ერთი წელიწადი ვიყავი მასან. მეტი არც დასცლია.

ერთი წელიწადი რომ შესრულდა, ფარა მუუტანე სამი მანათი და გამომატანა უკან: — ბლუზაი შეიკერეო და წულა შეიკერეო! — მი-თხრა.

ახლა იი ფარა არ მომიხმარია მე ჩემ ტანზე. ნენაის ნამგზითი კარდალი, თუნგი და ტაშტი წეილო ბოჩიკმა სამ მანათში. ამ ფართო დევიხსენით ჩვენი სპილენძობა.

მესამე დღეს მივედი კლასში. ეგნატემ მითხრა: — რეიზა არ შეიკერეო? — ქი წეილო ბოჩიკმაო, — მე უთხარი. ეგნატემ გააქან-გამუაქანა თავი.

ეგნატეს აქანაი ოზდაათი მოწაფე ხავდა. ვინც პაწაი სულმოთქმული იყო, იმას ქი ახთიებდა, ქი იტიებდა. ვინც ლარიბი იყო, იმას ატანდა უკან.

დილას რომ მევიდოდით აქანაი, ხიდე იყო გაგდებული დიდი, დაქვხთებოდა და გამოგვიყვანდა ყველას. კლასი რომ გამევიდოდა, იქით გაგვიყვანდა.

მერმეთ დაავანტყოფთა საწყალი და დიეთხუა კლას.

იმფერი გადაცემა იცოდა იმან, რომ ტვინში ჩაგიდობდა. თუ იყავი ერიცახე ვარგებული, არ გაგავიწყტებოდა იგი.

ეგნატეს ხავდა ბიძა ალექსი. ამას ეშინოდა ეგნატეს ნაწერების და უთხრა: — მე დამღუპავ შენო. — არ დაგღუპავ, ალექსიო, — უთხრა ეგნატემ.

ეგნატეს კიდავაც მოფარა ბიძამ ზოგიერთი ნაწერი. მერე, რომ შუუტყო ეგნატემ, მიერიდა, არ ანახვებდა. ეგერ გადიარდა, გრილები იყო და იქინეი წერდა ჩუშათაი. არ ანახვებდა ბიძას. ერთი პატარაი

ძალლი ხავდა და მასან იყო სულ.

აფერზე არ გაგიკუჭტებოდა. რაც უნდა გეგინებია, აფერს არ გეტყოდა. მარა რაცხას დაწერდა, კანოლი იყო იგი.

ეგნატეს ქონდა ბრეჟული ნაწერები, მარა რომ მოკტა ეგნატე, ჩაალბეს საცხა ქურში. ერიგაყოლა ნაწერები სილობსტო ჯიბლაძემ გამუართვა, თორმეტი თუმანი მისა. პატარაი წუჟიწიკვა რაცხა, სხვა ქურში ქონებოდა და იქინეი ჩალპა, არ მუჟხმარია აფერ კაცს.

ეგნატე რომ ავათ იყო, ნინო უარდა. თუ წვეილოდა სადმე და ორ დღეს არ მევილოდა, წვიღებდა ორ კაკალ კვერცხს. იმასაც ძალით ატანდა ნინო. სილამდი წვეილოდა, გუჟმზადებდა, მარა იი არ წვიღებდა. გამობოვდა ქახალდში და ჯიბაში უღობდა. მერე ან მევილოდა სალამოს შინ და ან არ მევილოდა ორ დღეს. ამინუჩი ლანჩხუთში იყო, ამინუჩი ფოთში იყო. ერ დღეს არ მეიციდიდა ერ ქალაქში.

შარის პირზე ჩაედებოდა გვიმბრაში და ხან კითხულობდა და ხან წერდა. მისი ფინეი ძალლი მას ხავდა იქინეი. გამარჯობას არკაცი არ ეტყოდა.

აქოური მეშარიეი რომ გეიარდა, დეიძახებდა: — ეგნატეი აბდალაი ჩამქდარა ეგერო.

ეგნატეს მამა (თომაი) საცოდავი კაცი იყო. თომაი მუშოობდა და ალექსი ფარას ეიღებდა. ქორწილჩი არ უშობდენ და ტირილჩი არ უშობდენ თომას. სახნავზე თომაი მივილოდა. საქონელი დეიბნეოდა, თომაი ეძებდა.

ხარს მალამდი წინამძღვარი უნდოდა, ახლა რომ გახედნილია, ისთე არ იყო, ურა იყო ყვალაი. თომაი ხნავდა და ეგნატე უძლობოდა. დიდი ჯინკები იყო. ჯინკებზე გადიარა ხარმა, კავი მოსილდა კვალს. თომამ გუჟუწყლა. ეგნატემ უთხრა: — ამხელა ხეზე რომ გადიარსო, კვალს მოსილდება, აბა რას იზამსო!

მერე სადილი მეიტანეს. ალექსიც იქინეი იყო. ეგნატემ წვეიდა და მუხის ძირში დაჟდა. იქინეი დეიწყო წიგნის კითხვა. სადილი სულ არ უჭამია იმ დღეს იმას. სხვამა ყვალამ ჭამა.

ეგნატე რო მოკტა, სილიბისტო ჯიბლაძე ჩამევიდა პირველათ და მან გადაწყვიტა ტირილის ამბავი. ქახალდი მან გააგზანა ყოლგან, სადაც უნდოდა. ტირილი რომ იყო, იმ დღეს იმდოლი ხალხი შევიდა, თავი აქანაი ქონდა და ბოლო ჭუმათის სტანციაზე. ყვალას გვირგვინები ქონდა ხელჩი. გვიფსო თლათ აი ეზო. ყოლგან დაკიდული იყო. ახლა აი სტუმრები უსადილოთ არ გუჟშეია ერიკაკალი სილიბისტო ჯიბლაძეს. დომის თებზი ქონდა გაკეთებული. ლობიეი იყო გაკეთებული, ყველი იყო, წვანელი იყო, ღვინო იყო, პური იყო, ღომის ღომი იყო. დილიდან მოკიდებული ვინც შევიდა მოტირალი, ყვალაი დააჟინეს, ყვალას აჭამეს. ბარე ოცი ფუთი პური ქონდენ ჩამოტანილი. რომ დამარხენ, მერე დაჟდენ სადილზე იგინი, ჩამოსულეები ნაზაკუსკი ქი იყვენენ ჭუმათის ტანციაში. მალამდი ქი დააჟენდენ, მარა არ დაჟდენ. ეგნატე აქანაი დასვენებული იყო და იგინმა აღარ დაჟდა.

აქანაი საცივს ქვეით სამოსელას ეტყვიენ. ხეები მიქონდენ ინგოროყვეფს და ტულუშნეფს. დახთენ აზნაური ჭყონიები. ცამეტი კაცი იყვენ აი ჭყონიები. აგინი იყვენ ოთხი. დუჟთქლიშეს აზნაურეფს თავები. აგინს აფერი არ წაკარებია. იგინს დაროფილი ქონდა თავი. სარებით დუჟროფეს თავი.

სოფ. არჩეული (ჩიქვეთი)

73. ეგნატე

ეგნატე იყო ჩემი ბაბიდაიშვილი. ძალიანი ღარიბი იყო. უნდოდა ესტავლა. ნიჭი ძალიანი კაი ქონდა. მასტავლებელს უსტორებდა სიტყვეფს. — რეიზა გაგვისტორე სიტყვაო, — უთხრეს მასტავლებლებმა. ეგნატე გარიცხეს სკოლიდან.

მერმე წევიდა ოზრუგეთში და დეიწყო იქინეი სტავლა. მერე იი დაანთავრა. მერე წამევიდა სახლჩი. მას უნდოდა გიეგძლებია სტავლა. მისიანებმა დიეხმარა. მამაჩემა პირადათ დიეხმარა ასი მანათი.

ეგნატე წევიდა საზღვარგარეთ. მერე მობრუნდა ჩვენთან. მამაჩემს

იქორი ამბები დორუწო (||დორუწო||დორუწო).

აქნანი ვგნატეს ბეჭრი რამე შეხთა: აგერ სიმონიკა მარგალიტაძისას ტირილი იყო. აქნანი მას მუუნდომეს გალახუა აზნაურებმა, მარა ვერ გალახეს. დეიცა მისიანებმა.

მალამდი ეზოში თხმელია იცოდენ. ვგნატემ უთხრა მამაჩემს: — ბაღნებიანი ხარო, აი თხმელია მოწამლავს ბაღნეტსო. ამის ფურცელი საწამლაგიაო.

ვგნატე რომ მოკტა, მამაჩემი იყო სატირელჩი. ტირილზე ხმას არ აღებებდენ არკაცს. მევიდოდა ვგნატეს დეიდაი და ხმამალა ტირიდა. უთხრეს: — შემევიდეს იმ ხმითო, რაფერიც მოდის და იტირისო.

შამევიდა და იტირა იმამ თავისუფლათ.

როიცხა ტირილი დანთავრდა, მოსთხუეს მისიანეთს: — მოგვეცით, თუ კყავს ვინმე ისეთი ახალგაზრდა, რომ ისტავლოსო. ჩვენ წევიყვანთო და ჩვენ ვასტავლითო.

ჩვენ გვეშინოდა და ვერავინ ვერ მივეცით.

სოფ. ჭურუყვეთი

74. გოგია უიშვილი

ვგნატე ნინოშვილი იდგა ჩემი დედ-მამისას. ჩვენ ბაღნები ვიყავით. ზიარებას რომ ვიღებდით ჩვენ, ბაღნები, გვეტყოდა: — არაა საჭირო მაიო, ამიზა ნუ თმენთო, ნუ მეიკლავთ თავსო. ყორიფელ კას გვეტყოდა, მარა ჩვენ ბაღნები ვიყავით და აღარ მახსოვს მეტი.

ჩემი დედ-მამა იყო დარიბი, ჯარი ბაღნების პატრონი. ვიზდებოდით სიღარიბეში. გვეიზარდეთ ქუხნა სახში. საქონლის კონახი ქვონდა კერძოთ მოფოხვილი. საქონელს ზამთარში სუროს აქუმდა მამაჩემი. სურო ბეჭრი იყო. ჩალაც ქვონდა. ჩალა ინახავს საქონელს, სურო ასუქეფს.

ჩემი ქმარი შრომის თემიდან იყო, ჩოჩხათში ვაჭრობდა, ცხოვრობდა ჩემი დედ-მამისას. ოდა დუუდგა ჩემ ქირისუფალს.

დუქანი რომ დეიფუშა, მერე ვიყიდეთ სამოსახლო, გადმივედით ჩემი დედ-მამიდან და აქანაი დავსახით.

გოგია უიშვილი ჩემი დედ-მამის მეზობელი იყო, ხუხუნაიშვილი იყო. თავი რომ მიეკლა, გეიქვა დედაჩემა. მევიდა და თქვა: — გოგიას თავი მუჟკლავსო. კალამ გადვირიეთ ბაღნებმა.

გადასახადი მიაწერეს გოგიას, არ ქონდა საშვალემა, რომ გადიეხადა. ფაცხაში იღგა, აფერი არ ქონდა, ჯარი ბაღნები ხავდა. თავი მიეკლა, მეიშორია ქირ-ვარამი.

ხუხუნაიშვილი ამ სოფელში ერთი მოსახლე იყო. ახლა იქინეი ჩაია გაშენებული და უძახით ხუხუნაიშვილის ნასახლევეს.

გოგიას ერთი შვილი დარჩა. საცხა წევიდა. არ ვიცი, სადაა.

სოფ. ჩოჩხათი

75. ჩემი ქმარი (ბაღანაის გაყიდვა)

აცანაში იღგა ბატონი ქაიხოსრო ჯაყელი. მევიდა ქაიხოსრო ჯაყელი აქანაი და უთხრა: — ახლა გიწვესო, ვადა არისო და მომცე უნდა შვილი მოსამსახურეთო.

ჩემი ქმარის მამას ივანე ქვიოდა. ივანემ უთხრა: — ციცას მოქცემო, აი ერთი ვაჟი მყავსო და აი მყავდეს მეო. — ციცაი არ მინდაო, გლაბა მოსახედავიაო. ვაჟი მინდაო, ვასაქმეფო, ყანას ვამუშავეფო. საქონელი უნდა მუახედიოო.

წეიყვანა ჯაყელმა ჩემი ქმარი — მიხეილ კუკულაძე. ბატონს ხავდა ტუსკიას ქალი აცანიდან. ამ ქალს ხავდა თურმე მოჩოვილი სტამპოლიდან თათრები, საქონელს უზიდვიდა. უთხრა თურმე ამ თათრებმა ამ ქალს: — აი ბაღანაი მომყიდეო. ტუსკიას ქალმა ასწია და მიხიდა. ბაღანას ქახალდი გაატანა და უთხრა: — აი ქახალდი მუჟტანე დათა ელიაძესო. დათა ელიაძე ქალის ბიძა ყოფილიყო. ბაღანამ იფიქრა, ბიძასთან მაგზანისო და წევიდა ბაღანამ. გზაზე ტყეი ყოფილიყო. იმ ტყეში დახთა სამი თათარი, გადააცტეს კისერში ჯაქვი, პირში ლიმონი ჩუ-

უღვეს, ხელები მუჟუკრეს ერთქამეტზე ჯაჭვით.

ორი ღამე და ერთი დღე იარენ სტამპოლში ჩასვლამდი. პირი-
დან აქცევდა წყალს და უსოლებდა შარვალს. გზაზე გააჩერებდენ და
უწურვიდენ შარვალს. — ნენაის მოქსოვილი შარვალი მეცვაო, — თქვა,
— კანაფს გაარჩევდაო, გაჩიჩქნიდაო, შესტვიდაო და მოქსოვდაო. ნენაის
მოქსოვილი შარვალი და ბლუზა ჩამყვაო სტამპოლშიო. რომ ჩამიყვანეს
სტამპოლშიო, გამოცვინდა ბარე შვიდი ქალებიო. — კაი გურჯი მოგიყ-
ვანიაო. ნუ ჩასვამ ამას ბელელჩიო (მოტაცებული ბაღნების ჩასაყარი
ბელელი აქვენ იგინს). მაინც წეიყვანა, ჩასვა ბელელჩი. — ორი ბაღნები
ღამხთა ბელელჩიო. გვეიდა პატარა ხანო და ბარქაშით ჩამუჟშვეს კე-
ერაი და ქადიო. წივესიეთ სამივემ და ვჭამეთო. რომ დაღამდაო, მივე-
ხუტეთ ერთქამეტსო და ქი ვიყავითო. გვაძაგძაგებდა ღამეო. სა იყო
რამე დასახურავო! ვიყავით ასთე აი სამი ბაღანაი ერი თვეიო.

ერი თვეი რომ გვეიდა, მევიდა ყიდველიო. ამ სამ ბაღანაში
ამირჩია მეო. მიყიდა ამ კაცმაო და ამიყვანა ზეთო და წამიყვანაო.
დავტიე აი ორი ბაღნებო. ჩემი მოცილებიზა ბაღნემა აზლივლდენო. მე
წამიყვანა იმ კაცმა სხვა ქალაქშიო. რომ მიმიყვანეს იმ ქალაქშიო, გა-
მვეიდენ ოჯახიდან ქალებიო. შვიდი ქალი ცოდნია იგინსო. ამ ქალებმა
უთხრესო: — იყოს აი ბაღანაი ჩვენთანო, ნუ დაანწყტოვ და ნურც და-
ამბამო, იყოს ჩვენთანო, ჩვენ გვემსახუროსო. — ვიყავი ერ წელიწადს
იგინთანო, შვეიქენი დიდი ბიქი კაიო. ჩამაცვეს, დამახურეს, მაჭამეს და
მასვესო. დიდარი იყოო, ფაშა იყოო.

შუუტყვია ხვანთქარს: — გურჯი ხოლია ამ და ამ ფაშასო.
გადმოგზანე ინდოეთშიო.

— წამიყვანეს ინდოეთშიო. მივედი ინდოეთშიო. ხვანთქარის ბძა-
ნებით მიმიღო იქინეი ფაშამო. ცხრამეტი წლის შვეიქენი, რომ მივედი
ინდოეთშიო. ხვანთქარის ბძანებით მომცეს შეკაზმული ცხენიო. აი ფა-
შა და მე შევედებით ცხენზეო და წავალთ, საცხა ოქრო იტეხება, იქი-
ნეიო. ორი ფაშა და მესამე აი გურჯია. ამ გურჯმა უნდა შიაფასოს:
რამდოლი გამოტეხეს ოქრო და წეიდეს აქლემით. აი ჩემი ქმარი ხვან-

თქარს ხავდა ფაშასან სანდო პირათ. რამდოლი წონა დაყარა აქლემზე ფარის გასაკეთებელი ოქრო, ჩემ ქმარს უნდა შეიფასებია. — კვირეში ერთხელ წვეილოდითო და შევაფასებდითო.

— იქინეი ვიყავი თუთხმეტი წელიწადიო. მერე ბძანა ხვანთქარ-მაო: — გურჯი გუუშვათ მის სახენწიფოშიო. ამდოლი ხანი იმსახურა აქანაიო. აღათია ჩენიო, აწი უნდა გუუშვათო. უნდა გურჯსო შავ სახენწიფოშიო (შავ სახენწიფოს ჩვენ ქოყანას უძახოდენ); გავატანოთ ნოხი და ფარდაკიო და ერი წონა ფულიო. — ნოხი, ფარდაკი და ფარა გადიეცი შავ სახენწიფოსო.

— მე ვიფიქრეო, არაო, არ წუუღეფ ამასო. იგინმა მე გამყიდა და საჩუქარს წუუღეფო!

— მოვხაზირდი და გამევიპარეო. აღარ წამევიღე ქონებაო. უბეში, ჭიბაში ჩევიყარე ოქროო, რაც ჩამივიდოდაო. არაბისტანამდი ცხენით წამივედიო. რომ შამივედი არაბისტანშიო, არის გადაშავებული ხალხიო. მე დიდი დამაკვირდენო. დამესიენ არაბებიო, მითხრესო: — აი ცხენი მათხვიე და ამ ცხენით ვიკატავეფო. შეკაზმული ცხენი ქი დუუტიეო და გამევიპარე არაბისტანიდანო.

მერე იარა ამ კაცმა ფეხით. სამი თვეი ვიარე ფეხითო და მივედი ბათომშიო. ღამე ხეი იყო ჩემი ლოგინიო. სამი თვეი ხეზე ვიცხოვრეო. ბაშფორთი არ მქონდაო. ქალაქში რომ შამევიდოდი და დამიჭირვიდენო, ფარას ვიხთიდიო. დაქვთამიდი იგინსო. მუღამ ტყით ვიარეო. შევხებოდი მეგოჩეფესო. ოქროს მივსემდი და მაქუმდა ჰადსო. მოვხევი ბზე და თვარესო. ტყეში რომ მუღამო, შემხთა შებურდლული კაციო. თოფი მაქ ხელჩიო. შევაშინე თოფითო. ენა არ გიველაპარიკეო. იძუდგურა მანო. დავევი, დაჟდა მანო. ამევიღე სატევარი, დევიკავე ხელჩიო. მან ჯოხი დეიკავა ხელჩი მაგიორშიო. მერე ეშველა, წევიდაო, გადაღუნდულდა და წევიდაო.

სამი თვეი რომ გაათავა სიარულში, მევიდა ბათომში და მევიდა მერე შინ. ოქრო ათი, თორმეტი მოხვა, მეტი არ მოხოლია.

გამყიდველმა დამასია ხალხიო: — დამირიგდიო, ფარას მოქცემო,

მიწას მოქცევო.

ამან არ დუჟურიგდა. მერე დახთა ბატონს, იმ ქაიხოსროს და ეს-როლა თოფი ხელზე. ხელი მუანტურია. ბატონმა ვერ გეიგო, ვინ უქნა.

მერე დეიწყო თათრის და რუსის ჩხუბი. მამასახლისმა კაცი გა-მუუგზავნა: — ფარა მომეცი და არ გაგაწოვ შენო. — შენ თვითან ფა-რა რომ გამომიგზანო აქეთო, მე მაინც წავალო, არა თუ მე მოქცეო!

წევიდა და იჩხუბა ოთხ წელიწადს. ოთხ წელიწადს მერე მევიდა. მერე მომიყვანა მე. მამაჩემს ეგონა, ოქრო ქონდა და იმიზა მიმათხუა. მომეცა შვიდი შვილები. ერთი ჭარში დამეკარქა ცხრაას თოთხმეტში.

კაი მუშა იყო ჩემი ქმარი, მართალი კაცი იყო. ჭადით და ღო-მით ცოლ-შვილს არჩენდა.

ას ოცი წელიწადი და ერი წელიწადი იცოცხლა.

მე რომ მომიყვანა, — ორმოდახუთი წლის ვარო, — თქუა. მე ცხრაამეტი წლის ვიყავი, რომ მომიყვანა; ოცს ერთი მიკტა.

ოცი წელიწადი დარგვალებულია ახლა, რომ მოკტა.

სოფ. ზემო აკეთი

76. ბერი და ბაღნები

ჩენი სოფლის ახლოს არის პატარა ფთაი. ამ ფთას ქვია ნაკობა-რი. იქინეი ყოფილა ეკლესია. იმ ეკლესიას ქვიებია ოქონი.

ოქონის ეკლესიის ახლოს ყოფილა პატარა მონასტერი. ამ მონას-ტერში ცხოვრობდა ბერი და ემსახურებოდა ოქონის ეკლესიას.

ამ ეკლესიასან გამუარუნეის ორი ბაღნები. აი ბაღნები მიხვადენ სათათრეში გასაყიდათ. ოქონის ეკლესიის ბერმა აი ბაღნები იყიდა და არ გაატანა სათათრეში. ბერს ეკლესიაში ქვაზე დუჟუწერია: აი და აი საეკლესიო მიწა ეკუთვნის ამ ბაღნეფსო და არკაცი შიეხოსო.

ამ ბაღნებმა გეიზარდენ ამ ბერთან და ამ ბერმა დაასახლა ამ საეკლესიო მიწაზე. ბერი რომ მოკტა, მერე ამ მიწის დიდი ნაწილი წა-ართვა ღვეღელმა.

მერე, როცხა გამბრაველდა ამ ბალნების მოდგმა, ღვდეღს უჩივ-
ღეს. იი ქვაი ენახენ და წიეკითხენ წარწერა. მოსულა კომისია ქუთაი-
სის ოკრუგის სულიდან. შიამოწმეს აი წარწერა და აი მიწა აკუთნეს იმ
ბალნების მოგვარეღეს.

იი ბალნები ყოფიღარეენ ქინქღაძნები. სახელით ქვიეზიენ ენუქა
და მამულა.

ჩვენ ვართ ახღა იმ ბალნების შთამაჟღობა.

ახღა ვართ ამ სოფელიჩი ქინქღაძნები ოზღახუთი მოსახლე. ზოგი
წასულია სხოგან.

სოფ. აცანა

77. ნაგომრობა

ნაგომრობა ვიცოღით ძვეღათ.

სოფელ ნაგომარზე თუთხმეტი დღეობით იყო ყოვეღმზრიღან მო-
სული საქონელი და ყოვეღმზრიღან მოსული მყიდვეღი.

მე წევიღებღი სამ გირვანქა აბრეშუმს და გავყიდღი. ვევიღებღი
რვა ან ათ მანათს და ამით ვიყიდღი ბეჟურ ფართაღს.

აბაზს ზეით არ იყო ჩითი და მიტყაღი არშინი.

სოფ. ქვემო შუხუთი

78. ღელობულთი

ჭურუყვეთის თემში ვიცოღით პრაზნიკებზე ღელობულთის თამა-
ში. ბულთი უნღა ყოფიღიყო ოზღაათი გირვანქიღან ორმოც გირვანქა-
მღე. აი ბულთი იკერებოღა და ხაზირღებოღა წინასწარი დაკვეთით.
ბულთის ფას კრეფღენ ხელზე და დეიხსნიღენ ბულთს შემკერავიღან.
შემკერავი ამ ბულთს თვითან გადააგღებღა ჯარში.

გამევიღოღა ორი მეთაური და გამუანცხადებღა: — ღელეს გა-
ღმაი იქნება ერ კეღაროს და ღელეს გამოღმაი — მოორე კაღაროს. ღე-

ლეს გაღმაი წეიდფეს ბულთს (||ბურთს) აღმოსავლეთისკენ და გამოღმაი წეიდფეს დასავლეთისკენ. ლელო იქნება კინიგზის გადასასვლელთან ჩავლეიშვილის ქიშკრამდე. გაღმა კედარო წეიდფეს აღმოსავლეთისკენ. ლელო იქნება გაბრიელ ბოლქვაძის ეზო.

ამ ლელეს ჩვენ უძახით ლელის წყალს. როცხა გაწვინდება, იცის უცფათ გადარება. აი ლელე სოფელს სიგძით ყოფს შუაზე.

ამ ლელის მიხედვით იყო განაწილებული ხალხი.

ბულთი რომ გადავარდებოდა, შეიკვრებოდა ხელათ. ყვალა ცთილობდა, რომ ბულთი მას ჩიეგდო ხელჩი. იყო უბედურობა ღლეტვა. ტანსაცმელი არ შერჩებოდა არკაცს. ახალგაზრდობას უნდოდა აი ბულთი ღიათ ყოფილიყო და სირბილით წიედენ ხელით ლელოისკენ. მარა აი იშვიათად მოხთებოდა. ცურვა ვინც იცოდა, იგი ცთილობდა, რომ ბულთი წყალჩი გადიეგდო და ისთე გიეპარებია.

სოფ. ჭურუყვეთი

79. ბულთის თამაში

იყო არადანი, არჩევანი. — არადანი მე, — არჩევანი მე. — კარლო მე, — ივანე მე. — ევირჩევდით ჩვენ-ჩვენ კაცს. მერე გავაგდებდით ბულთს. საზღვარი იყო. იქინეი უნდა მიგვეტანა ბულთი. ბულთს რომ შეკვრიდენ, კაციც ქი მოკტებოდა; კაციც ქი მოკტა, მახსოვს მე. იყო გორგოსიალი. მიწოლაზე, გურგუში რომ იყო, ქალებიც ეხმარებოდენ. იქიდან აწობიენ ხალხი და აქიდანც.

ახალი კვირეს სოფელი სოფელს ვეჭიბრებოდით. ნიგოთი და ჩოლობარგი ერთათ იყო, ქვიანი და ქყონაგორა ერთათ ვიყავით. ბულთი გავარდებოდა საშტაოზე. ამაში ცოლიანი და უცოლო ყველაი შედიოდა. შეიკვრებოდა ბულთი. ჩვენ უნდა ჩაგვეტანა ბულთი ჩოლობარგის საზღვარზე, ივენს ქვიანის საზღვარზე უნდა ჩიეტანა. თუ ხელში ჩიეგდებდი ბულთს და გეიქცეოდი კაქათ, კარქი იყო. იმას თუ ღეიქირაედენ, იგი სხვას გაღუუგდებდა ბულთს. ილაკრი უოჟიკაიშვილი და აკაკი

მიქაუტაძე კაი გამქცევი იყო. თუ შეიგდებდა ბულთს ხელში, მერე ვერ მიეწეოდა კაცი. საყენი ქონდა სიმალღე. ბულთს ჩეიგდებდა ღლიავში და გარბოდა. მაგარიც იყო. კაცი რომ დუუხთებოდა წინ, უბიძგებდა და წააქცევდა.

პარმენიე და გრიშა ორმოცამნეებიც იყო მალღები და ძღაერები. მაგინი რომ ბულთს ჩეიგდებდენ, გამოლღეტა არ შეიძლებოდა. მერე აწობოდა ყველაი: ქალი, კაცი, ბაღნებიც. ბაღნები და ქაღები გარღამიღან აწობღდენ. შით ვერ შევიღღდენ.

ჩემი ბაღნობის დროს ცხენებითაც იყო ხაღხი. უყურებდენ ბულთს შორიღან. ღღეტა რომ იყო, ბულთს გუუგდებდენ ცხენიან კაცს. ცხენიანი კაცი გარბოდა. იმას მიზღღღა მორღე მხარის ცხენიანები ბულთის წასართმოღათ. თუ გვეიღღდა ცხენიანი კაცი, ხაღხი არ ერიღღბოდა, ცხენს ხთებოდა. ცხენიღან გაღმუაგდებდენ კაცს და ბულთს წართუღდენ. ცხენიან კაცს ჯოხით ხთებღდენ.

ქვეღა კაცს მიქონღა აღმოსავეღეთისკენ ბულთი ღღლოზღე. ზეღა ხაღხს მიქონღა დასავეღეთისკენ ღღლოზღე.

სოღ. ქყონაგორა

80. დიდი უღვაშები

ათხაზეთის მეფე შამუღბეი შარაშიძე დიდი უღვაშების პატრონს ახთიებღა ერ უღღელ ხარს.

მოქვის საზოგადოების წვერს ქობღუხი ჯანჯულიას დიდი უღვაშები ქონღა. მეზობელმა დაასმინა მეფესან: დიდი უღვაშები აქო. მეფემ გააგზანა ვაზირები: — გინღ მეიხუქე, გინღ ერთი უღღელი ხარები გაღიხაღღო.

ქობღუხიმ უღვაშები არ მეიხუქა და უღღათ ხარები გაღიხაღა. ასეთი წესღბა ქონღა ათხაზეთის მეფეს.

სოღ. ქვემო შუხუთი

81. საჭმელი გაახაზირეო (ყაჩაღების ამბავი ტყვარჩელში)

ათას ცხრაას ჩვიდმეტი წლის შვილ მაისს, სალამოს, დამხთა სახში ოთხი კაცი. ორი გარეთ იყო. რაეც შივედი ჭიშკარში, — მოდი, მოდიო, — დამიძახა. სანთლის მოკიდების ნება არ მუჟცია ცოლ-შვილიზა. — სანთელს მუჟცილოთო, რომ უთხარი, — ნუ მუჟცილებო, — მითხრეს, სანთელი არ მესიამუნებაო. ცოლ-შვილიზა ეთხრობია: საჭმელი გაახაზირეო. არ უნდოდენ, ექვი შიგვეტანა იგინის ავ მიზნებში და იმიზა მეთხუეს საჭმელი; გვითხრეს: საჭმელი გვინდაო და გაახაზირეო. პურ-ღვინოს რომ მიიღებენ, იმ ოჯახში ავს არ იზამენ. მე მეგონა, საჭმელს ჭამდენ, მარა არ ჭამენ და ისე შემიქციეს ლაპარიკით თორმეტ საათამდის ღამის. მერე მითხრეს: ერთი კაცის ნახვა მინდა და იქინეი მიმყვიო. წავყევი და ერთი ვერსის შემდეგ თოფები მესროლეს და მიიხრეს: უნდა მოკვლაო. — რეიზა უნდა მომკლა-შეთქინ, რომ უთხარი, საშვინ მითხრეს: ქონება ჩამოთვალე თითოულათ და არ მოკვლაო. — წამიყვანეთ ისთველე სახში და თქვენ ნახეთ-შეთქი, — უთხარი. სახში რომ მივედით, ცოლ-შვილმა ყვირილი და ტირილი დეიწყო. მარა მე შევეხვეწე: — ნუ ტირით; ჩვენ შვილობით დაერჩეთ და იგინმა წეილოს, რაც უნდა-შეთქინ.

შვიდენ იგინი სახში და გამეიტანეს, რაც იგინს უნდოდა. ჩამადანი და საკერავი მაშინა მე მომცენ ხელში და წამიყვანენ ოთხი ვერსი. იქინეი, ოთხი ვერსს შემდეგ, ერთი კაცი ჩემთან გააჩერეს თოფიანად და ხუთმა მოშორებით წევიდენ და გააკეთეს განჩინება: არ მოკვლათ, ისე გუჟუშათო. მოვიდენ და მითხრენ: არ გააცხადო, გამზარცვესო, თვარა სულ ერთია, შემდეგ მოკვლავთო. — კარგი, არ გავაცხადე-შეთქინ, — მე უთხარი. გამიშვენ, წამივედი, შივედი სახში ცოლ-შვილთან.

მეორე დღეს, რომ გათენდა, წივედი თავრობასთან. თავრობას თითოულად უთხარი, რაც წეიდენ. კაცები სახით ვერ ვიცანი. თავრობამ, თავის საზოგადოებაში ვინც იყო შეწამებული, ყველაი დეიჭირა. დეიჭირა სულ ოზდაერთი კაცი. ათი დღის შემდეგ თავრობამ მიჩვენა ის დაქერი-

ლი კაცები და მითხრა: რომელიმე თუ ურევია, გვითხარო. მარა მე უთხარი: ნამდვილს ვერ გეტყვი-მეთქინ. თავრობამ მითხრა: თუ შენ და-გვიფიცეფ ილორის ხატზე, რომ ამ კაცეფში შენი გამზარცველი ერიოს, გადაგხთი მაშინ ერც ორათო. მე, რადგანაც ვერ ვიცნობდი, ერია, თუ არა, არ ვიცოდი, ვერ დუფუციე და იმიზა ქე გუჟშევს ყველაი.

შემდეგ ვეძიე ჩემი გამზარცველები და აღმოჩთა შორებელი კაცე-ბი. წაღებული ხიბაკი გუჟყილია ყაბარლოში. გამევიძიე და გამზარცვე-ლები დავაქირევე თავრობას.

სოფ. ქვემო შუხუთი

82. თედორაის ოინები

აფხაზეთში მოწონდენ კაი ქურდი. თედორაი კაი ქურდი იყო.

აფხაზს ყავდა კაი ცხენი. აფხაზმა თქვა: ვინც მომპარავს ამ ცხენსო, იმას უნაგირს და წყობილობას გუჟუგზანიო, ვაჩუქეფ ტყულათა-იო. თედორამ თქვა: მევიპარავ მეო. დანიზლავდენ, რომ მერე არ ქო-ნოდა საწინამდეგო, რომ მეიპარავდა.

თედორამ რაფერ მეიპაროს? აფხაზის ეზოს აქ გლიშუმ ქვიტკი-რის ღობე საწინიანი. შით ყავს აფხაზს იმფერი ძაღლები, რომ კაცი ვერ ჩავა შით, რომ დაწობა. ქიშკარზე ბოქლომია დაღობილი.

ერ დღეს თედორამ, აი ცხენი რომ მეიპაროს, ამის მოსახერხებ-ლათ დაღობა დიდი ძარო, გამოუღობა ძირი ქვეშ. შიგნით ძაროში იყო კიდო ღობე. ჩაღვა ძაროში ხუთი კილო პური. ეზოსთან იყო ერთი ბეოლი მაღალი. თედორამ ჩაამბა ბაწარი მის ძაროს და გუჟშვა ძარო ბაწრით აფხაზის ეზოში. თედორა რომ ბეოლზე გვეიდა, პატარა პური ქი გაღუგლო ძაღლეფს. ამ ხანში ძაროც ქი ჩევიდა დაბლა ძაღლეფთან მოსაკითხავათ. ძაღლები შევიდა ძაროში. ძარო იყო ისეთი მოწყობილი, ძაღლები ვერ გამობრუნდებოდენ უკან. მობრუნებისას ძაროს შიგნიდან ეკეტებოდა კარი. ძაღლები რომ შევიდა შით სამივე, მაშინ თედორამ მოსია ბაწარი და ძაღლები ძაროიანათ გამოკიდა მაღლა ექვს არშინ

სიმადლეში. მერე ჩვეიდა შით აფხაზის ეზოში; თავისუფლათ შევიდა თავლაში, გამეიყვანა ცხენი, შეედა, ჭიშკარიც გახსნა. შარაზე ნალები უკუღმა დააქედა და მოკურცხლა.

მორე დღეს გამევიდა აფხაზი გარეთ და ნახა, რომ ეზოში ძაღლები არ ჩანს. გეიხედა, ჭია მისი ძაღლები ბეოლის წვერზე გადმოკიდებული. ახლა შევიდა თავლაში. აღარც ცხენი ხავს. გამევიდა შარაზე, რომ ნაკვალევს გაქიდებოდა, მარა წამავალი კვალი ვერ ნახა. ყველაყი კვალი აქეთ მომავალი იყო.

ბეური ხნის მერე რავარცხა შეიტყო აფხაზმა, რომ ცხენი მუუპარავს თედორას. მეიხმო აფხაზმა თედორაი და აჩუქა უნაგირიც თავისი მოწყობილობით, რადგანაც ასე კარგათ მეიპარა, პოლიტიკურათ.

აფხაზები ქურდობაში ნაქები იყო, მარა აფხაზებიც ვერ მუახერხებდა ასე.

ერ წელიწადს ხავდა თედორას ცხენი თავისი წყობილობით. მერე აფხანავაობით, თვისებით თხოვა და ჩააბარა უკან. აინტერესებდა მას მოპარვა, თვარა წასართმოვათ არ ზღომებია; ისე ნიზღევის შესასრულებლად უნდოდა.

სოფ. ქვემო შუხუთი

მწ. ფირალი თედორაი

დათუნაიშვილი და ასკურავა იყვენ ფირალები გურიასი. ექვსი წელი იყვენ ერთათ ამხანავათ. ცხენს ქურდობდენ და აშოლლანობდენ¹, დროს ატარებდენ. მეშვიდე წელს დათუნაიშვილმა უღალატა ასკურავას. პრისთავმა მეისყიდა დათუნაიშვილის მამა, უთხრა: — გავანთავისუფლეთ შენ შვილს, თუ თედორა ასკურავას დამაქირვიფუს, დაიჭირავს და მომიყვანს. — მამამ დაიჭერია შვილი, რომ დიეჭირა თედორაი.

შემოდგომაზე ისვენებენ, იმალებიენ ორივე საისრეში. მუაწია შუა-

¹ აშოლლანი — ვაჟაკი.

დღე. თედორას ძმამ მუჟტანა სადილი. სადილი რომ შეჰამეს, დაძინება მენდომეს. თედორამ უთხრა: — რიგრიგობით დევძინოთო. თედორამ დეძინა. ღრმა ძილში რომ შევიდა, დათუნაიშვილმა მივიდა და წაართვა თოფი და იარაღი, რაც ქონდა თედორას. პატარა ხანის შემდეგ აღვიძეთეს: — აღქეი, გვიღვიძე, პრისთავთან წამოხვიდე უნდაო. თედორა დახედავს თოფს. აღარ არის ზატორი შით. თედორაი ეტყვის დათუნაიშვილს: — ფუ — შენ კაცობასო! დათუნაიშვილს თოფი მიბჭენილი აქ. თედორაი წინ მიდის, ეს უკან მიყობა თოფით. თედორაი წინ მიდის დაღონებული. საჭინკიეს ღელესან რომ მივიდენ, თედორაი ეხვეწება დათუნაიშვილს: — ნუ მიმიყვან ასთე დაზანგული პრისთავთან, მცხვენიო, მომეცი ნება, რომ დევიზანო ამ ღელეში პირიო. მისცა ნება. გაღმა ის იბანს პირს და გამოღმა დგება დათუნაიშვილი თოფით ხელში, მიბჭინებული. თედორამ შეითქვა ფუნა წყალი პირზე, ადგა. ეტყვის დათუნაიშვილს: — პლატუეი თუ გაქ, გამომიგდო, პირს შევიხოცავო. მეც ქი მქონდა საცხაო. დეიწყო უბეში ძებნა. მოღი, ვნახოთ, მას ქონია უბეში სმეტაისონი ლივერი, არ ცოდნია დათუნაიშვილს. ამ პლატუეის ძებნაში აი ლივერი ფეხზე შემართა. ელვასავით გოუხტა და მიადეა უბეზე და მიყვირა: — „ხელი-მაღლა!“ დათუნაიშვილს დააყრია იარაღი. მისი გაფუჭებული იარაღი მისა დათუნაიშვილს. დათუნაიშვილის იარაღი გაღვიდა მან და უთხრა: — შენ წადი პრისთავთანო. თვითონ გუუდგა მის გზას.

თედორაი წევიდა სამეგრელოში. თავი შიაფარა დადიანის ოჯახში. თავრობა ვერ ჩევიდოდა დადიანის ოჯახში ობისკის გასაკეთებლათ. ამისთანები ბეტრი ინახვიდა თავს დადიანის ოჯახში.

ერ დღეს შეღის დადიანი მაგინის ოთახში და უჩივა დადიანი: — ბიჭებო, თავს რომ მარჩენიეთ, რა ვაშკაცები ხართო, რა შეგიძლია თქვენო! მოღი, უნდა გამოქცადოთო. ჩემ მუჟრავს აქ დღეს ქორწილი მილოცვიანიო. გამოღი ერთმა თქვენთაგანმაო, რაც ფული შამუა იმ ქორწილშიო, მოსტაცე და მომიტანეო. არ იქნას კაცი მოკლული, არც დაქრილიო.

შეჩერდენ ფირალები მაგ სიტყვაზე. და ბოლო დროს გამევიდა

თედორა ასკურავა და უთხრა: — მომეცი, ბატონო. თქვენი ცხენი და მე გავაკეთებ ამასო. ბატონმა ნება დართო, წიყყანა მისი ცხენი. რომ მუაწია მილოცვის დამთავრების დროი, თედორამ შეკაზმა ცხენი, შიაჭდა ზეთ და წვეიდა ქორწილში. ცხენი დაჰმალქათა ჰიშკართან, მიაშბა ღობეზეთ, გაადო ჰიშკარი და ჩვეიდა ეზოში იარაღასხმული და ნაბად-მოსხმული. იარაღი ნაბადში აქ დამალული. მივიდა მისალოც ყუთთან და მუშულოცა ფული, რომ ჩიეხედა კარქათ.

უძახიენ ხალხს სეფაში დასაჯლომათ სადილზე: — მიბძანდით, ბატონებო! ნახევრათ: ხალხი დამჯდარია სეფაში. მისალოცავ ყუთს კრავენ წასაღებათ, შესანახავათ. თედორაი უყურეფს გვერდებიდან. რომ მოკრეს ყუთი, თედორაი მივარდება სტოლზე, საცხა დგანა ყუთი, და დასცხეფს ლივერს. — დაწექით! — დეიყვირეფს. ამ დროს დაატანს ყუთს ხელს ელვასავით და გეიქევა. მიირბენს ცხენთან და მუახტება ცხენს ზრუგზე. გააჭენეფს ტყისკენ. მერე მივა დადიანის სასახლეში და ჩააბარეფს ყუთს დადიანს.

შეიქნა ძებნა. სამი დღის გამაულობაში ეძებდა აბაშის პისტავეი თავის სტრაჟებით. მეოთხე დღეს პრისთავს უძახის დადიანი: — რა ქენითო, ფული ნახეთო? — ეკითხება. — ვერაო. — თქვენო ფულს კარა, კამბეჩს ვერ ნახავთ შარაზეო. აიღეფს და მისცემს ფულიან ყუთს, რომელსაც გახსნიენ და არ ატება არც ერთი კაბეკი სიის მიხედვით.

სოფ. ქვიანი

მ4. ვერ ამიყოლიეს

მევიდა ერთი კაცი და მითხრა: უნდა წამოხვიდეო; ფულია ამ და ამ სალაკაი გასატანიო. მე ვარი უთხარი. მიზეზი იარაღი დევიდევი. იმან თქვა: იარაღს მე გიშონიო; დღეისტორს წვეიდეთო.

მე დავწევი ლოგინზე. მევიტყუე თავი; ვითამ ავათ ვარ. რომ მევიდა, იმ კაცს უთხარი: შენ რამდონიც გინდა, ირბინე; ჩემთან ნუ მოხვალ ამ საქმეზე-მეთქინ.

დანარჩენ საქმეზე ჩემთან არ გუუნდვიენ ნამუსი. ვერ ამიყოლიეს და იმიზა.

იგინმა ქე წევიდა და ქე გააკეთეს მისი საქმე. მე ქე გადავრჩი თავისუფალი.

გევიდა ხანი. დეიქირეს ყველაყაი. ზოგი ბათომის ციხეში მოკლეს, რადგან ექიმი მეიპარეს და მოკლეს.

გლახა საქმეზე არ უნდა აყვე ვინმეს; დუუშალო უნდა.

სოფ. ქვემო შუხუთი

მნ. დათიკო შავარდნაძე

მსურს ცოტა რამე დავსწერო,
რაც გადამხტა მე ჩემ თავზე.
მით მკითხველმა გეიგონეთ:
დათიკო ვარ შავარდნაძე.
ოზრუგეთის მაზრის ვიყავ
და ასკანაში მცხოვრები.
ღალატი და მოტყუებით
მე ჩემ სოფელში ვერ კვტები.
მოსე ჭელიძეს კი იცნოფთ,
ვაშკაცი, გითხრათ, გმირია.
ვინ იფიქრებდა, იმასა
ღალატში ქონდა წილია.
როგორც ვაშკაცს, ვენდობოდი,
ან რა მქონდა დასამალი!
მიმიწვია საღალატოთ
და მაჭამა საწამლაფი.
ისტე უცფათ მევიწამლე,
სისხლი ამივარდა თავში.

შინისაკენ გავეშურე,
სტრაჟნიკები დამხთა გზაში.
უცფათ სროლა ამიტეხენ,
მე ჩავარდი ზალბის აღში.
ბაჭელიძემ დამიძახა:
— შავარდნაძე, ცოცხლათ დამჩი!
— ცოცხლათ აღარ ჩაგბარდები!
ხელუკუღმა გვეისროლე,
ცხენზე მჯდომ სტრაჟს ტყვია ვარტყი,
სასიკვტილოთ არ დავზოგე.
მეტი სროლა ვერ შევიძელ,
რადგან ვიყავ მოწამლული.
ჩემზე მტერმა გეიმარჯვა,
მე ჭი გამიგმირეს გული.
ამხან ტირილი ისმოდა:
— მამავ, ჩემო დათიკო!
სიახლოვეს არ მომიშვენ,
ამ ძაღლფეს მე რა უყო!
გადით, თქვენ მამაძაღლებო!
კტარი მამა მიჩვენეთ!
ცოცხალის ჭი გეშინოდათ
და კეტარს დროი უშონეთ.

სოფ. ნიგვზიანი

86. სისონა დარჩია

სისონა დარჩია იყო ჭუმათური, მაღალჭუმათური. მე თვითონ მინახავს იგი. პატარა ტანის კაცი იყო, მარა უსაშველო სწრაფი იყო, ხიდან ხეზე ხტებოდა, ხიდან თავჩაღმა ჩამევიდოდა. ჩქარი მოსაზრების კაცი იყო. რომ დიეცენ თავზე, უთხრენ: — დაქვიო! — არ დაქიებიო,

— დუჟძახა. აგური გადააგდო ფუხრის თავიდან და იგი ქვეშ გაძვრა პოლში. დუჟშინენ ტყვია აგურს. სისონაი გეიქცა. ყოლოთვის გეიქცეოდა. მას ვერ იჭირავდენ. თვითონ არ კვლიდა კაცს. მისი გაქცევის მიზეზი როსტომ დარჩია იყო. როსტომი იყო ბატონის მუჟრავი. იგი ზღვედა სისონას.

სისონას უყვარდა ქალი საცოლო. წაართვა როსტომის შვილმა. ხეთიშობლობიდან წეიყვანა ქალი. მერე სისონაი გაფირალდა. მერე ძმე-ბიც გახვა ამას. ერთი ძმაი, ვასილაი მოკლეს. ვასილას რომ ტიროდენ, მივიდა და იტირა. თოფი ეჭირა ხელში: — შენ კვტარი და მე — ცოცხალი, რაფელ გევიარო გზაში!

შიშით ყვალაყამ შებრუნდა. რომ წვეიდა, მერე დაფაცურდენ.

რაფიელ გოგუაძე იყო, იმან თქვა: — რაფელ გაგექცენ სისონაო. მეო ორივე ყურეთს მევიჭრიო, თუ არ დევიჭირავ სისონასო.

სისონამ შეხთა გზაში და მიაჭრა ორივე ყური და უთხრა: — დეიკავე აგი ხელში და მუჟტანე მაზრის უმფროსო.

სისონა მერე მოკტა მისით.

სოფ. ორაგვე

87. სისონაი

სისონაი ყოფილა ღარიბი კაცის შვილი. იგი რომ გადავარდა ფილარათ, ბაღანაი ვიყავი მე. ხეთიშობლის ხატი იყო კახურის ეკლესიაში. იმ დღეობაში იყო წასული გურიელი, იახლა თავის კნენინა. მუჟრავი იახლა და მუჟრავის ცოლ-შვილი ბატონს. ამ სისონას უყვარდა სოფლის გოგო. ბატონმა გამუანცხადა, იცეკვეთო. გევიდა პირველათ მუჟრავის შვილი. მერმეთ იმ ბიჭმა გამეიწვია აი გოგო საცეკვრათ. მარა გოგომ არ გევიდა მუჟრავის შვილთან. ვინცხა სხვაი გევიდა მასთან და იცეკვა. იგინი გაკუჭდენ, განჯუარდენ ბატონი და მუჟრავი. მერმეთ სისონაი გუჟშვეს საცეკვრათ. სისონამ გამეიწვია აი გოგო, დუჟკრა თავი. გევიდა გოგომ და იცეკვა სისონასან. მერე მუჟრავმა და მუჟრავის

შვილმა ჩხუბი ატეხა. დაარტყეს სისონას მამას და მოკლეს. ამაზე სისონამ შური იძია და მოკლა მუჟრავეი მერე. გადიარა კიდავაც ფილარათ.

ფილარობდა აი კაცი. უბატონსო ფილარი არ იყო, სოფელში არ აწუხებდა არავის. თავადაზნაურობასთან ინახვიდა თავს.

ამ ფილარობაში მუჟრავეის შვილმა იი ქალი გააუბატურა, იგი აწყინა. სისონამ დახთა მუჟრავეის შვილს და გალახა. მუჟრავეის შვილი იმ გალახვაზე მოკტა.

სისონაი იყო ფილარათ და ინახვიდა თავს. მერე ავათ გახთა. ავათ რომ გახთა, ვახტანგ გურიელთან იყო. ვახტანგ გურიელმა გაატანა სახში ტაგუია ჩიქვანს. ტაგუია ჩიქვანი ახალდასახლებული იყო ამ ვახტანგის მამულში. ღარიბი კაცი იყო. გურიელმა იფიქრა: ვერ იფიქრეფს ვერაკაციო, რომ იქინეია ფილარიო. სისონას ქონებია ფილტვის ანთება და მოკტა იქინეი თავის დლით. მერმეთ წამევიდა ტაგუიეი გურიელთან და უთხრა: — მოკტაო. მერმეთ გურიელმა უთხრა: — წადიო და მამასახლისს უთხარიო, — ასტავლა. მერე წვევიდა იმან და უთხრა მამასახლისს. მამასახლისმა უთხრა ტაგუიას: — არ გაამედავნო შენო. მამასახლისმა მისა ცნობა პრისთავს: — ფილარი მყავსო და ჩამოდი საჩქართო. მივიდა პრისთავი. ააყუდეს კვტარი კაცი ღობეზე, შამოქრეს თავზე და ქათმის სისხლი გადაარეს, თოფიც ესროლეს კვტარს და ლეკურიც შამოქრეს. წეირდგინეს თავი: სისონა დარჩია მოკვალითო. თოფი მამასახლისმა იჩუქია. მამახლისი იყო პართენა ჭანტურია.

სოფ. ხიდმაღალა

მმ. ოცი ძმაი, ოცი დაი და ირმის ქალი

ოცი ძმაი კაცი იყო. მამამ დუჟმოწმა შვილეფს: თქვენ უნდა ითხოთ ცოლათ ოცი დანებიო.

რომ შეიქნენ საცოლო, წვევიდენ საძებრათ. უმფროსვანი უნიაგაბოთ იარებიენ ამ გზაში. უნცროსი უჩივა: კჳუით წვევიდეთო, სხვამა არ

გაგვინტყუნოსო, ნუფერს ნუ ვანგრევთ გზაზეო.

— უყურეთ ამ უნცროსას, აი ჰკუას გვასტავლისო!

ამ უნცროს ეუნებინენ: ენა გააჩრე, შენ არ კითხავს არკაციო.

გასწიენ და მივიდენ ერ ადგილზე. ერთმა ადამიანმა ჩამოპაიჯა აგინი. უნცროსმა უთხრა: — ჰკუას დუუხედეთ პაწიო!

— უყურე მაგას, კილო არ დიეთხუა მის ლაპარიკსო! — უმფროსვანემა უთხრა.

ვინცბამ მაგინი ჩამოპაიჯა, იმან ვახშამი გუუყეთა ამ ხალხს. უნცროსმა უთხრა (კოსტაი ქვია ამას): პაწიე ჰიკით დაელიოთო!

— აი უნცროსაი კარ ეთხოვა ამ ამბავს კილომო!

დალიეს ღვინო და დათერა იგინი ყვალაი. ღვინოა მოწამლული. ამ კოსტას ღვინო არ უსვამს. აი კოსტაი გამევიდა კარში. აგინი დაქართულდა ღვინით.

ამ კაცების მოსაკლავათ რომ კაცი გამევიდა, იმას კოსტაი შეხთა და დიეტაკენ ერთქამეთს.

კოსტამ იგი კაცი მოკლა.

— ჰაი, ძმაო, — შეიძახა იმან, — შენდა აგი და აგი ქალი უნდა მემეყვანაო, მარა სიკეტილმა მომისრაო.

კოსტამ ახლა ამ დარბაზში გვიარ-გამეიარა. ერთ ორმოში ნახა ოცი დანები ჩაყრილი.

— რა ხართ, ვინ ხართ? — კოსტამ დუუძახა.

— ჩვენ ვართ ოცი დანები. მამიდან გვაქ დამოწმებული: ოც ძმას უნდა წახვეთო. იმას ვეძებდითო. დაგვიპირეს აქანაი და ჩაგვყარეს ორმოშიო. როის შეკვპამენ, არ ვიცითო.

— ნუ გეშინია, მე ვარ კოსტაიო, ოცი ძმას ყვალაის უნცროსიო. იგი თქვენი შემქმელი მოვკალი მეო. ახლა მე ვარ თქვენი პატრონიო.

ამეიყვანა იგინი ამ ორმეიდან და შეიყვანა ეგერ ოთახში. ამასობაში გათენდა. გააღვიძა ძმანები.

— კაცო, ჩემსას რომ არ ჭერხართ თქვენ, რა დაგემართათ, ვერ დვინახეთ!

— გააჩერე, კაცო, შენი ენა! — კილომ ამას უთხრეს.

ახლა მიადგენ ერთი ოჯახის კარის გატეხას.

— კაცო, გაჩერდი, ნუ ტეხთ, არაა ადვილი იმის გატეხაო.

— გააჩერე შენი ენაო! — კილომ უთხრეს.

გატეხეს, არ დუუჭერეს. გამუარდა იქიდან დევი, რომ არ დუუ-მაგრდება აფერი, იმისანაი დევი. აგინს ყვალას დახოცს.

ახლა კოსტამ დუუძახა დევს: შენ რა გაქ გულჩი, მე ვიციო და მაპატივე. შენ რო ქალი გინდა, მე იგი ვიციო. ნუ დაქვხოცავ ამ ოც ძმანეთს, ნუ მოკვკლავ. ფიცავ მაღლა ღმერთს და ქვეშ დედომიწას, იმ ირმის ქალს, მემეცი დროი სამი წელიწადი და სამი თვეი და სამი დღეი, მოგიყვან მეო.

მაშინ დევა დიეთხუა აგინის სიკეტილს. მაშინ დეინახა ძმანემა, რომ კოსტაის აზრი რომ ჯობნებია.

კოსტამ უთხრა ძმანეთს: წუხელის რა იმოქმედა კოსტამ, რა დაათენა.

ახლა აი ქალები დუუჩრიგა ძმანეთს: უმფროსი — უმფროს, უნცროსი — უნცროს და ასე მოხუა. მევიდენ თავის სახლჩი.

ახლა ძმანეთს უთხრა და თავის ცოლს: მე იმ დევთან ფიცი მაქ მიცემულიო. მე უნდა წვევიდეო იმის მოსანახავათო.

ქალს დუუმოწმა: სამი წელიწადი, სამი თვეი და სამი დღეი თუ დამავიანდეს, მერმე გათხოვდიო.

გასწია და წვევიდა. რაც იარა, ის იარა; ფთა იარა, გორი იარა, გზაში სამი კაცი შეხთა, იშლებიენ: — არა-შენ, არა-მეო, — უძახიენ ერთქამეთს.

მივიდა ამ კაცმა.

— რაშია, კაცო, თქვენი საქმე?

— კაცო, ჩვენ ვართ სამი ძმანები, გვაქ გასაყოფი სამი თავი. ერთია ხალიჩა. რომ დააყდები ზეთ, სადაც ეტყვი, იქინეი წავიყვანს. მორე არის სუფრა. ეტყვი, დააბზადეთს აი სუფრა ყორიფელს. მესამე არისო ქული. თავზე რომ დეხურავ, კაცი ვერ დაგინახავს. რომ შე-

ხვალ მაღაზიაში, ფულს ყვალას გეიტან კარში. მარა ჩვენ ხალიჩა გვინდა ყვალასო და ამიზა ვიშლებითო.

ახლა კოსტამ უთხრა: გეიხედე ეგერ ფთაზეო, თეთრი ქვაი რომაა, ხედავ იმასო? წაით, მიდით იქინეი, გამეიქეცით და, ვინც მუასროფთ, ხალიჩაი იქნება მისიო.

— ა, ბიჯო, კაცი! ასი კაცი გეიარა აქანაი ამ გზაზეო, მარა ასთე ვერ გაგვარკვიესო.

გუუდგა და წვევიდა იმ კაცემა თეთრ ქვასან. რომ წვევიდა რამოდელივე მანძილი, კოსტამ უჩინმაჩინის ქული დადვა ხალიჩაზე და სუფრა, დააქდა ზეთ. ხალიჩას უთხრა: ირმის ქალი რომ ცხოვროფს, იმ სახენწიფოში მიმიყვანეო.

მეიხედა ამ სამა ძმამა. მისი ხალიჩა მივა რიტირიტით ხაერში. ხალიჩამ მიიყვანა აი კაცი, სადაც ირმის ქალი ცხოვროფს. კოსტამ მიენდრო ერ ქალს, მოხუცებულ ქალს. ამას ქვია ნინო. ამ ქალს ამ კოსტამ შიეჩვია კარქათ.

აი ირმის ქალი არის ხენწიფე იმ ქოყანას. კოსტამ უთხრა ნინოს: — გამეგზაენე ერთი იმ ირმის ქალთან, გამიგე, რანაირათ წარმოშობილია.

წვევიდა ნინომ, მივიდა, მარა იმფერი გაკუქებული დახთა აი ირმის ქალი, რომ ამბავი არ იკითხება მასან. მევიდა.

— რა ქენი, დედა?!

— ამბავი არ იკითხებოდაო, გაკუქებული იყო, — უთხრა.

ორ დღეს მერე უთხრა კოსტამ: გამეგზანე ახლაო, — და გააგზანა.

კოსტამ დეიხურა თავზე უჩინმაჩინის ქული და თან გახვა უკან. მივიდა ნინო ირმის ქალთან.

— ო, ნინო, შენთან რა უკაცრავად ვიყავი გუშხამ! ვერაფერი ამბავი გითხარი, ესთე გაკუქებული ვიყავ'ნი. მე ვიყავ'ნი ირემი, ორი — წყული დედალ-მამალი ვიყაით. ერთქანეთს ვსლაქვიდით, ვტლაკვიდით, ვთამაშობდით, ბალახს ვჭამდით. შამოსულა ვინცბა მონადირე ამ ტყე-

ში. დაგვედევნა ძალმა და გვეიქეცი. იმფერ არდგილზე მივარდი, რომ გადავხტე, სული არ ჩამყობა; რომ გავბრუნდე და ძაღლფეს რომ გივექცი, თოფს ველარ გივექცივი. წამევიძახე: აი, ღმერთო, მიშველეო! გადავიქეცი ქალათ. გავსწიე და გივედი სოფელჩი. იმ სოფელჩი ირჩევენ ხენწიფეს. მეც ქი გივედი იმ ყრილობაში. გუჟუმობენ ტრედს. ვისაც დააყდება თავზე, ხენწიფე არის იგი, ტრედი ირჩევს. იტრუალა ამ ტრედმა მალლა, ტრიალოფს მალლა. მე ეგერ ვარ ღობის კიდეში მოკუნცხული, ჩუჟცმელი, დუჟხურავი. ქი დამაყდა მე ტრედი. ხალხმა თქვა: გადაცთა ტრედიო. ეიყვანეს აი ტრედი და მე დამმალეს. გოჟშევს (||გოჟშევს) ტრედი. იტრიალა ამ ტრედმა მალლა და მომნახა მე და ქი დამაყდა კილომ. ეიყვანეს კილომ აი ტრედი და კილომ დამმალეს. გოჟშევს აი ტრედი. იტრიალა მალლა ამ ტრედმა და იფრინა ბრეჟული და ქი დამაყდა კილომ მე. მაშინ თქვეს ხალხმა: იღბალი ყოფილა მისიო. მაშინ მე მაკურთხეს ხენწიფეთ. მემცეს ხენწიფობა და დამაყინეს ხენწიფეთ. მე დამეთქვა ირმის ქალი. მე, რავარც მივიღე ხენწიფობა, გივეცი განკარგულება, რომ იმ ტყეში მონადირე არ შესულიყო. მონადირე მოვსპე. ნადირობა ტყეში არ შეიძლებოდა.

წამევიდა ნინო ახლა თავის სახლჩი. ჰოდა, მუახსენა მის შვილობილს, რაც ირმის ქალმა ილაპარაკა. რათ უნდოდა, მაგალითათ, მოხსენება, კოსტაი ყვალას ყურობდა, იქინეი ეყდა გვერჩი.

კოსტამ გეიგო, რომ საცხა შორს სახენწიფოში იმისანაი სალამური კეთთება, რომ იმას რომ დუჟკრავ, ყვალა ნადირი მეიყრის თავს იქინეი. წევიდა კოსტაი იმის საყიდლათ, გაფრინდა. კოსტამ იყიდა სალამური, მისცა რამოდენიმე ათასი მანათი. წამევიდა კოსტა იქიდან, მივიდა მის დედობილთან და შევიდა ამ ტყეში და დუჟკრა სალამური. უკრავს ამ სალამურს და იარება ამ ტყეში.

ამ ხენწიფეს მუჟტანეს ამბავი: ტყეში ვინცხა ნადიროფსო.

გასცა ბძანება: დეიჭირეთ და მომიყვანეთო!

დეიჭირეს, მუჟყვანეს.

— რა კაცი ხარ შენ? მე იმ ტყეში ნადირობა ანწალული (sic.)

მაქო და რავა გაბედვ შესვლაო!

— ბატონო, მე არ ვნადირობდი. ახლა ჩემი ამბავი გელაპარიკო უნდა: მე ვიყაი ირემი. ვიყაით ორი, დედალ-მამალი. ერთქამეთს ვტლაკ-ვიდით, ვსლაქვიდით, ბალახს ვძოვდით, ვკოტიზობდით, ვთამაშობდით. ამ დროს ამ ტყეში შამოსულა ვიცხა მონადირე. წამოგვეღეწა ძაღმა და გევიქეცით ჩვენ-ჩვენდა საცხა უგზო-უკლოთ. იმფერ სალაკაი მივარ-დი, რომ გადავარდე, სული იქინეი არ ჩამყობა; რომ დავბრუნდე და გევიქეცე, ძაღლფეს რომ გივექეცე, თოფს ველარ გივექეცევი. — ახ, — ვთქვი, — ღმერთო, მიშველე! — ქი გაღვიქეცი კაცათ. ჩემი აფხანაგი არ ვიცი, სადაა. მე იმას ვეძებდი, თოფის ხმაი არ გამიგონია, რომ მი-ეკლუნ.

ახლა ხენწიფემ შიეკითხა: — ტყეში რომ გენახა ირემი, რას იც-ნობდიო? ირემი ირემს ზგავსო.

— მე კი ვიცნობდი, ბატონო, იმას. დევიქირავდი და მუაშინაუ-რებდიო.

— აბა, ბიჭო, მე ვარ იგი ირემი. რაც დაგმართია, ესთე დამე-მართა მეც; მეც გაღვიქეცი ქალათ, გევედი სოფელჩი. ყოფილა ხენწი-ფის ამორჩევის დღეობა. ამ ქოყანას გუუშობენ ტრედს. ვისაც დააქდე-ბა თავზე ტრედი, იგი არის ხენწიფე. დამაქდა მე. ახლა შენ — ჩემი და მე — შენიო.

— მე, ბატონო, გამომაგზანა ვინცხა დეემა მესამე სახენწიფოი-დან. იქინეი უნდა წაგიყვანო, იგი დევი სახელგათქმულია.

— რათ მინდა, კაცო, იგი ბერიო. მე და შენ ვართ უმფრო შე-წყობილი. იქითაც რომ ვიყაით, ერთქამეთთან ვიყაითო. ახლაც ერთათ ვიყოთო.

— კეთილი, ბატონო, — უთხრა კოსტამ, — შევერთეთ!

შევერთენ. დაქდენ ხალიჩაზე და წამევიდენ. მოფრიალდენ იმ დევის სასახლეში. დოუქახა დევს მაღლიდან: მოგიყვანეო ირმის ქალიო.

ახლა გამობტა დევი კარში და ხელეფს უქნევს დაბლიდან: მოი, მოი, ჩამეხვიეო.

ახლა ქალმა დღუჟდახა მადლიდან: რა გინდა, შე ყრუო, შენ ხარ ასი წლის და მე ვარ ოზღახუთი წლისო. აგერ მყავს ჩემი კოსტაიო, შენთან რა მინდა მეო!

არტყა დევმა თავი ქვიტკირს და ქი მეიკლა თავი.

ჩამევიდენ აგინმა დაბლა. თუ რამე ქონება ქონდა ამ დევს, მოხვიეს ყვალაი და წვიღეს. კოსტაი მივიდა ახლა თავის სახლჩი დედ-მამასან. ქალთან რომ ქონდა პირობა მიცემული, მეომიცაო სამი წელიწადი, სამი თვეი და სამი დღეო, ახლა გადაცილებულია აგი ხუთი დღეი. რომ გადასცილდა იმ სიტყვას, ქალი გათხოვილი დახთა. ამას მაინც არ უნდოდა ქალი, ქი ხავდა ქალი აგერ.

სამი-ოთხი ბია მქონდა,

ხუთი-ექვსი ბერწოული,

ღმერთმა შვიდობით გაქამონ

თქვენი ხელით მოწეული.

სოფ. ლაშისღელე

ჩოხატაურის რაიონი

89. ერკეთის სამამასახლისო და სოფლების სახელები

სხვა სოფლებთან შედარებით ერკეთში უმფრო მძლავრი ხალხი, ღონიერი ხალხი ყოფილა. ამიზა დუუთქმოვიენ ერკეთი — ერი კეთულობდაო.

ამ ერკეთში შამოდლიოდა სოფლები: იანეული, ბუკისციხე, დაბლაციხე, ხევი, ქვაბლა-ნაბელლავი, ზოტი, ჩხაკოურა, ბუქსიეთი, ბჟოლეთი, ქვემო ერკეთი, ერკეთი, შუბანი, ონჭიკეთი, ზემო ონჭიკეთი, კოხი.

ამ სოფლების ცენტრი იყო ერკეთი. ერკეთში იყო სამამასახლისო. აქ იღვა ერთი პატარა სკოლა სამგანყოფილებიანი. ფოსტა არ ყოფილა, არც — მალაზია სავაჭრო. ათას ცხრაას თოთხმეტ წელჩი ერკეთში გავხსენით კოპერატივის მალაზია.

იანეული დაბალი ადგილია, ჩამუუდის დინარე სუფსა. იანეული რეიზა ქვია, არ ვიცი.

ბუკისციხე მაღალი ადგილი არის; არის ერისთავის ნასახლევი. ერისთავიზა უუშენებიენ ციხე. იქინე ყოფილა ბუკი დაკიდებული. იმაზე დარეკვით ხალხი მევიდოდა ადგიზე. იმიზა ქვია ბუკისციხე. ახლა არის იქინე ნაციხვარი.

დაბლაციხე ბუკისციხის განაყოფია. უფრო დაბლაა, ჩოხატაურის თხარეზია.

ხევი ყოფილა გუუვალი ადგილი. დინარე გუბაზოული ჩამოუდის. ხალხი ყოფილა აგერ-უგერ. დუუთქმოვიენ ხევი.

ქვაბლაში ქვები ყოფილა ბეჟრი. იმიზა დუუთქმოვიენ ქვაბლა. ქვაბლა ნაბელლავეზე ზერელია სამი ვერსით.

ნაბელლავეში მოქონდენ წყლით ხე-ტყე. ბელლავედენ წყლის პირზე (გუბაზოულის პირზე), რო არ წიედო წყალს და თოლის შვაეს. ამიზა ქვია ნაბელლავი.

ბჟოლეთში ბჟოლები ყოფილა ბეჟრი და იმიზა დუუძახენ ბჟოლეთი.

ერკეთსა და ბჟოლეთს შორის არის სოფელი შვა უბანი და დაათქვენ შუბანი.

ონჭიკეთი თაგორიანი ადგილია. რეიზა დუუძახენ ონჭიკეთი, არ ვიცი.

გზავრს კოხი მოსწევია და დუუუკობავს. იმ ადგილს დათქმოვიდა კოხი სახელათ.

კოხი და ზემო ერკეთი ერთი და იგივეა.

ჩვენ საყანე და ტყიან ადგილეთს უძახიენ: მალნარი, ქეციმერე, ლაშისგორი, ქვაბისკერე, ბარდნარე, ბუჭუნდური, დობირო, ქედი, ვაკეაბაშოული, გონჭუხეთე, კირლოულე, გოგოროულე, მამაწმინდისლეღისპირი, ზედვაკე, პლატონისვაკე, ურთხნარი, ხუროსოული, საყველიე, თელვანი, ჭადიგორიე, სახტრისყელი, ელიაძისნაყანევი, ხინისწყალი, ზოტიმერიე, გძელიგორი, კიდობანე, შვაგორე, ჩხაკოურე, მუქუთე, საჯოუხო, ბალნიანი, სახახვიე, სანისლიე, საუმლიე, საყორნიე, განდრეკილი, ტორტიყელი, ფაფარე, გომისფთა, წიფნარე, ონტყოლი, ნადუქნარი, დაბოგვილე, ბერისკონახი, ქვაბგალი, ნაქალაქევი, დაღარულე, დადიანოღლისნაკლაევი, ნაფოშტეარი, ჩარხისღელე, საკალმახიე.

ლაშისგორში ყოფილა ლაშე ტბა. ახლაც არის იმ ტბის ნარჩენი. იმიზა ქვია ლაშისგორი.

ქვაბისკერას იმიზა უძახიენ, რომ ადგილი ქვაბის ფსკერსავითაა მოყვანილი.

ბარდნარაში ბარდია ბეჭური და იმიზა ქვია ბარდნარე.

ფერდ ადგილზე რო ახვალ, ვაკე ადგილია და იმიზა ქვია ზედვაკე.

ურთხნარში ურთხელეს ხეეები იყო ბეჭური. იმიზა ქვია ურთხნარი.

თელვანში თელეს ხეებია ბეჭური და იმიზა ქვია თელვანი. ახლაც არის თელეს ხეები.

ჭადიგორიე არის ფერდი ადგილი. გზავრს კეცის ჭადი გადაგორებია და ამიზა ქვია სახელწოდება ჭადიგორიე.

სახტრისყელზე სახტარია ნამყოფი და იმიზა ქვია სახტრისყელი. ახლა სახტრისყელში აქარლები ცხოვრობენ. შედის სოფელ ზოტში.

ხინისწყალი ტყე ადგილია. იქინე ახლაც არის წყალი და ხინის გემო აქ.

ზოტს ზეით ვაკე ადგილია და ზოტიმერიე იმიზა ქვია. ვაკეს მერეს უძახოდენ ჩვენში.

გძელიგორი საბალახო ადგილია, გძელია. უწინ მეჯოგეები იდგა, ახლა კოლექტივის ფერმებია.

შვაგორე გორეთს შორის არის მონწყაროული და ამიზა უძახიენ შვაგორას; ვაკე ადგილია.

ჩხაკოურას ეძახიენ სოფელსაც, საბალახო ფთასაც, ლელესაც. რეიზა ქვია ჩხაკოურე, არ ვიცი.

საზომი გიეკეთებიენ მუქით. ცხრა მუქი ყოფილა ერთი საჯენი. იმ ად-

გილს უძახიენ მუქუთას. საბალახო ადგილია.

საჯოუხო საბალახო ადგილია, ბანმაროს ზეითაა. რეიზა ქვია საჯოუხო, ვერ გეტყვი.

ბალნიანში ბალანსავით ბალახი იცის. იმიზა უძახიენ ბალნიანს (ბალნიანში ბალის ხეებიც არის ბეჭური).

სახახვიე საბალახო ადგილია. ამოდის ხახვისებური ბალახი. პატარე ძირი აქ. ხახვივით საკმელია. მე მიჰამია. უძახიენ სახახვიას.

სანისლიაში სულ ნისლია. საბალახო ფთაია მაი.

საყორნიაში კარჩხლებია (სტეგებია, ქვიანი ადგილია), მუუდგომელი ადგილია. ყორნები ბუდობენ იქინე, ბუდეფს იკეთებენ. დიეთქვა სახელწოდება საყორნიე.

საუშლიე ფთაი ადგილია. ოსმალეებმა რომ ქალი მეიტაცეს ოზრუგეთში, გამიეკიდა იქოური ხალხი და ერთიმორეს უჩივიენ: — სა უვლია! აგერ უვლია! აგერ უვლია! — ამიზა დიეთქვა საუშლიე.

განდრეკილი პირშექცეული ადგილია და ამიზა ქვია განდრეკილი. საბალახო ფთაა.

ფაფარე ცხენის ფაფარივითაა მოყვანილი გორი. ამიზა ქვია ფაფარე. საბალახო ფთაია მაიც.

წიფნარაში წიფელეს ხეებია ბეჭური და იმიზა ქვია სახელწოდება წიფნარე.

ონტყოლი არის კონჰყოიანი ადგილი, ხატსიანი ადგილი, მლორტყილი ადგილი და იმიზა ქვია ონტყოლი. ონტყოლი ვაკე ადგილია ფთაშით, ჩხაკაურეს სოფელს ზეით ხუთი ვერსით.

ნადუქნარში დუქანი ქონია ვინცხა კაცს. ნადუქნარი გზის პირზია. უწინ იქინე გეიარდენ ბანმაროში მიმავალი ხალხი ჩალანდრებით.

ნადუქნარს ზეით არის ტალახიანი გუუვალი ადგილი. რო გასულიყო ჩალანდრები, დაპობილი ხეები ჩააწყვენ კონჰყოში, დაბოგეს კონჰყო. ამიზა ქვია დაბოგვილი.

ბერისკონახი არის ქეციმერეს ზეით ხუთი ვერსით. იქინე ბერს ქონებია კონახი და ეკლესია.

ბერისკონახს ზეით არის ნაქალაქევი. იქინე ქალაქი ყოფილა გაშენებული. შეშა იყიდებოდა წონითო.

დაღარულე არის გორი ადგილი, ახლო-ახლოს მოდის დელიები და როჩუები (როჩო დელეზე პატარაა). როჩუებით და დელიებით დაღარულია

თლათ. ამიზა უძახიენ დაღარულას.

თათრეთს გუუცარცევს სოფელი ხევი. წოუყვანიენ ქალები და ბაღნე-ბი. გაკიდებია მდევრები ბუღარე მამალაძის მეთაურობით. ოსმალები წასულარიენ დაღარულეს მიმართულებით. მისწევიენ გზაზე ოსმალეთს და ჩხუბის დროზე ბუღარას იქინე მუუკლავს ოსმალების მეთაური დადიანოღლი. ამიზა ქვია იმ ადგილს დადიანოღლისნაკლავი.

ნაფოშტვარზე ყოფილა ფოშტა. მეჯოგეები იყო ფთაში. ქონდენ ერთი ადგილი გამოყოფილი სოფელთან კავშირიზა. ხის იაშიკი ქონდენ გაკეთებული და იმაში ყრიდენ წერილეთს. წერილები მიქონდა კაცს იქიდან. ამიზა ქვია ნაფოშტვარი.

ჩარხისღელეში მოწყობილი იყო ჩარხი. წყალჩი იყო ჩადგმული ბორბალი. ბორბალს მოყავდა მოძრაობაში ჩარხი და თლიდენ გობეთს, ქვიჯეთს, ჯამეთს, კობზეეთს, სუფრას.

საკალმახიე ღელია. ამ ღელეში კალმახა იყო ბეური (კალმახი და კალმახა ერთი და იგივე თებზია). ამიზა უძახიენ საკალმახიას.

კაზაკები რომ შამოსულა, გოუყეთებიენ კარვები. იმ კარვებიზა ცეხლი წუუჟიღებიენ გურულეთს. როცხა გაქეულა კაზაკები, დარჩენიენ ჩოხა. გურულეთს უთქვამს: — ჩოხა დავატიებეთო. ამიზა ღიეთქვა ჩოხატოული.

ოზურგეთიდან გუუტაცებიენ ქალი. გაკიდებიენ გურულეთი. თათრეთს ქალი მუუკლავს და სისხლით ღუუწერი: „ბახ მარო!“ (ნახეთ მარო), იმიზა ღიეთქვა ბახმარო.

სოფ. კოხი (ერკეთი)

90. კოხნარი და მისი ახლომახლო არდგილები სახელეები

ყოფილა ვინცხა ნანეიშვილი. იმის სახელზე იყო ძველათ აი სოფელი. მერე გადაათქუნეს კოხნარი. კოხნარი წყალს ქვია. იმის სახელი ღიეთქუა ამ თემს. კოხნარი გამოღის აგერ ანღლულაძნეფში და გოგიშვილეთში. ერ ხეი „ს“ ძირში გამოღის ყველე. ჩამოღის ნაწილი გლეჯილაში (გლეჯილე აგერაა გაღმი კედრით, ტალახი იცის, ფეხსაცმელს წიწავეს; რომ გაწუმღება, ვერ ამეიღეთ ფეხს; ტალახი იცის, კენჭებურე მიწაა, ფეხსაცმელს წეპავეს; კაია ქურის საგლესათ. ამის გულობიზა უძახიენ გლეჯილას); ნაწილი კი ინტერნატს და სოფელს აქ გაყვანილი სათავიდან. სათავეში გაკეთებულია აუზი და დახურულია. ვერასფრამღი წყალს ვერ იმას იზამ, ვერ ეიღეთ წყალს, დაცემე-

ტებულია.

ჩვენი სოფლის ახლომახლო არდგილების სახელებია: ოჩე, დიხაშხო, გლეჯილე, საქორიე, ნატპოურე, ჭა-ნასახლები.

ოჩეში ძველათ იარმუკა იყო, მეც მახსოვს, ვეიდულობდი საფშუტუნია მამალს. ბაზრობაზე მოდიოდენ ქუთაისიდან, სამტრედიიდან, კულაშიდან და სხვა რაიონებიდან. ოჩე აგერაა, ჩვენი თემიდან ერ კილომეტრშია. ახლა იქინე გაშენებული აქ ჩვენ კოლმეურნეობას ნამყენი ვენახი და ბეოლე. ახლაც ოჩეს უძახიენ. დიდი ვაკე არის და იმიზა უძახიენ ოჩეს.

დიხაშხო აგერაა, ჩვენი თემის მოშორებით ნახევარ კილომეტრზე. კინ-კიბურე მიწაა, ალიზი მიწაა. იმიზა უძახიან დიხაშხოს. ახლა იმაში ჩაია გაშენებული. სადღე ვენახიც არის გაშენებული.

საქორიაში ქორები იცოდა. მიმინოს იჭირავდენ იქინე (ახლაც იჭირავენ). იმიზა უძახიენ საქორიას. საქორიაზე ჩქვიფნარია მარტო; მეტი არასფერი არაა, ჩქოლნარია.

ნატპოურაში ტპაი იდგა ძველათ და ნატპოურას უძახიენ. იქინე ჩამოდის ხევისწყალი, რომელიც საზღვრავს გურია-იმერეთს. გაღმა იმერეთია, ჩვენ გურია ვართ.

ჭა-ნასახლები ჩავარდნილი მიწა არის და წყალია იქინე, საცივია. იქინე კაცი ყოფილა ძველათ დამდგარი. იმიზა ჭვია ჭა-ნასახლები. ჩავარდნილია ჭა-სავით. აქიდან და იქიდან გორებია და დაბალჩია იი წყალი და ერთვის საღამურიესღელეს. საღამურიესღელე აგერ ჩადის თემიდან ორას მეტროზე.

სოფ. კოხნარი

91. ჩვენი სოფლების არდგილები, წყლები, ბაღახები

ჩვენი სოფლების არდგილების სახელებია: მუხნარები, თხმელნარი, ნასვენები, კოტოხი, შარისგორი, საღორჭალა, გუმბრალა, ცხენიზურგა, ცაცხვეთები, ჭერულა, ტპა, კოკოცი, ზახტოური, ბუკნარა, დობირო, წაბლარა, ჭვარჭალა, სახახვია, აკვანა, საბუჭარა, ღარისთაეი, ქვამჭარა, ნათაცხვარი, გობეჯოური, სანესვიე, ხელთე, ზვარე, გვალიგორი, ნაჭიანები, წყავისგორი, უხტომისგორი, ნაგომარი, ეშვანი, აგაში, დაფენილი, საკეციე, ტევრი, ნაბერდი, ცივი, ჭილიგორი, ვაკე-ოცხანგური, სამეოთხედო.

სუფსა გამოდის ფთიდან — ფიჩეაკიდან, უერთთება სანისლიის წყალი ზემო სურეფში. მერე ემატება პატარე წყლები სახარეიდან, საკალმახიდან,

ჩოგნარიდან, ბარამიძნებისდღე, გირგოლისდღე, კილატოურისდღე, სამეოთხედოსდღე, ოცხანგურისდღე, მორწყალი, ინდულუიესდღე, ჩიჩოურისდღე, სარცხილესდღე, აგაშისწყალი, ღარისდღე, ვანისწყალი.

ჩვენს ტყეეფში არის: წაბლის ხეები, თელა, ცაცხვი, ლეკენჩხალი, წიფელა, თხმელა, მუხა, ცხილა, ვერხვი, კობიტი, თხილი, ნიგვზის ხე, ბჟოლე, ხუმბრე, ვაშლის ხე, ფსხალის ხე, ბია, ატამი, ტყემალი, კვიჭიჭე, პანტე, ავკაციე, წყავი, შკერი, ელი.

ჩვენ მინდვრეფში არის: სამყურე, წიწვი ბალახი, წყერფეხე, ტრიესკუდე, ქორაფე, ჭიგლიგე ბალახი, ბურტყილე, ნარე, ხოზიკე, ფუთორე, ანწლი, წალიკე, ჭიჭილაყე, ხვართქლე, ქასარე...

ძროხა ჭამს სამყურას, წიწვს, წყერფეხას, ტრიესკუდას, ქორაფას, ჭიგლიგას, ბურტყილას, ნარას, ფუთორას, წალიკას, ჭიჭილაყას, ხვართქლას, ქასარას...

ხოზიკას აფერი არ ჭამს.

სოფ. ჭალისუბანი

92. საყვიარე, კომური და სხე.

სურების თავზე, საყვიარაზე, ჩვენ ძველეფს უნახია თოფის წამალი.

უწინ ყოფილიყო თათრობა. დეიჭირენ ერი კაცი და ეიყვანენ იმ არდგილას. გააბა ყვირილი: — მივყავარ თათარსო.

ევიდა ხალხმა და დაატოვიენ იი კაცი. მერე დაათქუა საყვიარე. ახლა იმ არდგილს უძახით საყვიარას. ახლა საყანე ალაგებია. უწინ ტყეთ ყოფილა.

საყანე არდგილების სახელებია ზემო სურებში: თფილდელე, კოპური. კოპურში პური ეთესენ ძველეფს და გუუშვენ კაცი სანახავათ: — გეიგე, წიფე თუა პურიო. დუუძახა იქიდან: — მკოთ პურიო. ალბათ, წიფე იყო პური. დაათქუეს მერე კოპური. დელე ჩამოდოდა თფილდელეში და თფილი იყო. დაათქუეს თფილდელე.

კიღომ არის არდგილი, ნაძვიბოძალას უძახით. შით ყოფილიყო ბოძალე ნაძვი. დაათქუენ მერე იმიზა ნაძვიბოძალე.

ჩვენ სოფელს ქვია შრომისუბანი. შრომელი ხალხი ყოფილიყო, მაგარი შრომელი. იმიზა დაათქუეს შრომისუბანი.

ერთი ალაგი არის, ყანებათ იყო, ახლა გაშობილათაა და უძახიენ იკვიშტის. რა მიზეზით უძახიენ, არ ვიცი. რომ მოგატყუო, რათ გინდა!

ერთი არდგილია, ჰერულას უძახიენ. რეიზა უძახიენ, არ ვიცი.

არის ალაგი, ძნელთას უძახიენ. შევიდა კაცმა და თქვა: — ნამეტანი ძნელი ფთაიაო, ძნელი ასავალიაო. დაათქვენ მერე ძნელთა.

ჩვენ რომ ვდგანვართ, იქითე არის სოფელი, ტობახჩას უძახიენ. უწინ იცოდენ კაცის დაჭირვა. დეიჭირენ თურმე კაცი, წეიყვანეს. მიზღვეს თურმე ხალხი დასატოვათ. შეეშინა და დეიძახა: — ვტოვ ბახჩასო. — ბახჩა ქვეებია იმ კაცს. დაათქვენ მერე ტობახჩა.

სოფ. შრომისუბანი (ზემო სურების სას. საბჭო)

93. სამება, ადგილების სახელები

საერთოთ ამ სოფელს ქვია სამება. თლიანათ სამებაა, მარა პატარვან ადგილეთს და ლელიეთს ქვია სხვადასხვა სახელი.

ეგერ ერთი კორტია მაღალი, უძახით კოკორტიას. იქინე ყოფილა იმ კორტზე პატარე ეკლესია აგებული. იმ ეკლესიას ქვიოდა სამების ეკლესია. იქინე მიწა დაშტავდა. ახლა სად უნდა დიდგვენ ეკლესია? რა გააკეთა სამდვდლოობამ? ორპოტიკა კინა ქონებინ. იმ კინას უძახოდენ შუფს. სასტაულის მოქმედი იყო ვითამ იი კინა. ვითამ გამევიდა იი კინა ციქიდან მისით, უკაცოთ და დიესო, საცხა ეკლესიაა ახლა, იქინე. მონახენ აი სასტაულის მოქმედი კინა, იქნებოდა აქოური ჰედლის გამოჰედილი, და ნახენ, საცხა ახლა სოფელია, იქინე. ვითომ შუბმა ინება ეკლესიის დადგმა იქინე. ააგეს ეკლესია იქინე. როცხა იქინე შეიხსნა ეკლესია, იმას უძახიენ ნასამებვარს. ამ ადგილს უძახიენ სამებას.

აგერ დიდი ქუთია უშველებელი. იმ დიდ ქუთას ქვია კატისციხე. ამ ქუთაში ყოფილა ხიზნობის დროს ხალხი შით. ერთი პირი იმას სტორი აქ, მეორე პირი ზრუგინია და შესავალი გზაი აქ შით. რო წყალი არ ჩადგომოდა შით, ხელოვნურათ გაკეთებული აქ წყალის გასავალი კაციდგან. ახლა თხები შედიენ შით დასასვენებლათ და მანწვალებენ გამოდენაზე. ახლო მისვლა მეშინია, რომ გადავარდე, გაწყსკტები. იმი სიმადლია, ჰალანგარი რო გადავარდეს, გასკტება.

კატისციხის ქუთასან კიდევაა დიდრუნი ქუტები და იმიზა ქვია იმ დება-როობას როხი. ამ დიდრუნი ქუტების გამოსობით დუუძახეს როხი.

ორი სოის გუმბრაა. ერ გუმბრას უძახიენ ტაბელას, წაწინწილებული წვერი აქ. გუუთხოვარი დრუნცი გოგუები თამაშობდენ ამ ტაბელეთ. საცხა

გოგუები თამაშობდნენ ტაბელეთ, იმ ადგილს დიეთქვა ტაბელე.

ამას ეთალრება შუბლე. რეიზა ქვია შუბლე? ბატონყმობა რო ყოფილა, ერ ბატონს მოსანსახურეთ ყოლებია დოლიძე. აი დოლიძე არ ემსახურა ბატონს და დუუპატიმრებია ბატონს. იმ დროს გადმოდოდნ ამ გზით ლეკები. ბატონმა იცოდა, რომელ თვეში გადმეიარდა. ამ დოლიძემ ბატონს უთხრა: — გამიშვი მეო და ლეკების მეთაურის თავს მოგიტანო. ბატონმა გაანთავისუფლა. წამევიდა აი დოლიძე და მან მისი აფხანაკები წამეიყვანა ორი კაცი კილომ. მისცა ამ დოლიძემ თოფი და ფიშტუები. ამ ადგილზე ჩუუქდა. აგი დოლიძე გაჩერდა გზაში დახეული ტანისამოსით. აი მისი აფხანაკები გაფთხილებული ყავდა: — მე რო ვიკვილო, თქვენ გეისროლეთ. — როცხა დოლიძემ დეინახა, მოდიოდნ, გზაში დეიჩოქა. მეთაურმა ლეკმა დეინახა და დოუძახა: — მოდი ჩემთანო! წელჩი მოხრილი წვევიდა და მივიდა ლეკთან, სტაცა ლეკს ხელი და გადმეილო ცხენიდან. დოლიძემ როცხა ებდლენა და გადმეილო ცხენიდან, იკვილა მაშინ. აფხანაკებმა გეისროლეს მაშინ. ლეკის აფხანაკებმა გეიქცენ მაშინ და დოლიძემ მოშქრა თავი ლეკს და მიართუა ბატონს.

ამიზა ეძახიენ იმ ადგილს შუბლას.

აგერ პატარე ნაჭარი მიწაა, კაპიტნარი ქვია. მაქანე ცხოვრობდა ძველათ ძიმისტარი. იგი მუშოობდა იმ კაპიტნარში. ოჯახში მუუხთა თათრემა. დეიჭირეს მისი ქალი. ქალმა იკვილა. გამეიქცა იქიდან და ეტეკა თოფს და გამეიკიდა. უტყუა თოფმა. დუუძახა: — ქალის ბრალია, აი თოფი რო არ გავარდაო, მაზე კვეთის წვეთი ეცემოდარო; წასაყვანია მაი ქალიო, წეიყვანეთო. მარა ისირცხვილა ქალის წართმოვა. მობრუნდა სახში და ეცა ფიშტოს; გამეიკიდა, მიეწია კანკათში, ესროლა და დაატეებია ქალი.

როხში რო დელე ჩამოდის, აი არის ქვირთის დელე. ამას უერთთება საჩხრიალეს დელე, რომელიც გამოდის ზონარეთის ფთიდან. კაპიტნარიდან გამოდის ჩიტლე. ამ ადგილსაც ჩიტლას უძახიენ.

ქვირთის დელეში ქვირთიანი კაცი დამჩვალა და ამიზა უძახიენ ქვირთის დელეს. საჩხრიალეს დელე კტეზე გადმოდის და ამიზა ქვია საჩხრიალე. ჩიტლე რაიზა დუუძახენ, არ ვიცი.

ჩვენში ბეჭრია დელიები: ვანისდელე, ამალღებისდელე, ნამქახღებისდელე, სუნელესდელე, ეკალესდელე, საწურბლიესდელე, თედოროულისდელე, ბეოლნარისდელე.

ჩვენი ფთების სახელებია: ბეოლნარი, კოტაური, ლედენარი, თედოროული, ბერსნალი (ბერსელე ბალახი ყოფილა იქინე), ნამქახღევი, ნატეხი, და-

რისწყალი, წეროდისნატეხი, ნაჭოგუარი, სუნელე, ეკალე, ჩუნეთი, ვენახიანი, ტალახე, ჭედლოური, ქანაყოლი, ობლისეული, ქინძალოური, ჩთილე, პოქ-კისეული.

ყველე აგინი არის ჩენი სოფლის ქელი. ზოი საყანია, ზოი ჩაის პლანტა-ციია. მუუხმარელიც ქი ურეგია.

სოფ. სამება

94. ნაბელღავი და მისი ტყეები

ბატონყმობა რომ გათიშულა, გლეხები მღეროდენ: — მეგონა, მეგონა, ბატონი თუ ყმას მოსცილდებოდა, იგიც აღარ მეგონაო. — გაანთავისუფლეს ყმები. ყმეფს მიწა არ ქონდა. გლეხი, რომელიც გამჭირახი იყო, ვარგოდა, მი-დიოდა მიწის საშუარათ.

ბაბუაჩემი ყოფილა საყვავისტყეში ჩოხატაურის ახლოს. იქინე ყავდა ბატონი ერისთავი. რომ გაანთავისუფლეს ყმები, ჩემი ბაბუე წამევიდა ნაბელღავში მიწის შესაძენათ. პირველათ აქანე ბაბუაჩემი მოსულა. ბაბუაჩემი ჩამომდგარა და დუუკაეებია არდგილები: რუდინის ღელე — აღმოსავლეთით, დასავლეთით — ერემია მამალაძისღელე, სამხრეთით — სერი და დასავლეთით — კილომ სერი სურების მესაზღვრეთ. ამ საძღვრეფს შორის დეიკავა ბა-ბუაჩემა. დიედავა მამალაძე, შარაშიძე და რამიშვილი. ბაბუაჩემა არ შამუუშ-ვა აი ხალხი აქანე.

ჩხუბის შემდეგ მირიო პოსოდნიკი მევიდა, დეიბარა დაბლა სოფლები-დან — ხევიდან, ციხე-საყვავისტყიდან, ქუსიეთიდან, ბუოლიეთიდან, ერკეთი-დან სამოცი, ოთხმოცი წლის მოხუცი ხალხი და დააფიცა: — ვის ეკუთნის ნა-ბელღავიო. — კოროშინაძეს ეკუთნისო. დამტკიცდა მერე.

ბაბუაჩემი მერე იძენდა მეზობლეს. მოყავდა ხალხი ციხე-საყვავის-ტყიდან. ჩამოსახდენ ბაბუაჩემის ბიძაშვილები. გაშენებულა სოფელი. ჩემ ბაღნობაში იქნებოდა სამოცი მოსახლე კაცი. ახლა ორასი მოსახლე არის ნა-ბელღავში და თავებანტაში.

აქანე ვინცხას ყავარი დოუხთია და დოუბელღავს. იმიზა უძახინ ნა-ბელღავს.

თავებანტაში ყოფილა პანტე. ამიზა დიეთქვა თავებანტა.

ახლა პანტე რალათ უნდებინ, ნამყენი ვაშლები აქვენ. ტყეეფში ახლაც ქია პანტები და კვიჭიქე.

კვიტიკე არის გარეული მწარე ფსხალი, წვიტკაკალაა. პანტე არის წვიტკაკალა შუწარე ვაშლი. პანტე და კვიტიკე ტყეფეშია.

პანტეს და კვიტიკეს გარდა ჩვენ ტყეში არის: მწარე ბალი, ნიგოზი, თხილი, გარეული ვენახი (ვარგა საძირეთ), სხმარტლი, წაბლი, მოცვი, ლელვი, ბრეწოული, წიფელე, მუხა, წყავი, მარწყვი. ისთე ხეებია: თელე, ცაცხვი, რცხილე, თხემლე, ლეკენჩხარი, კოპიტი, ნაძვი, ფიჭვი, ურთხელე, შკერი, ქოთიე (ფურცელზე ხელს რომ მუუსვამ, ქოთს), თხიფსელე (გულიანი ხია, გულჩი ღრუი აქ), ჭაჭღამური (საწამლაგია, ისხამს შავ კეკლეფს საფანტისხელვანს, უწინ ხმარობდენ ქიეს წამლათ, იზღება ფთეფში, ჩაის ფურცელსავით აქ ფურცელი და ტანათაც იმხელაა; ზამთარში ფურცელს არ ყრის), ძაღლის ყურძენი (||ძაღლყურძენი), ლუქუმბე, ქადარი, ძილიას ხე (ღამე იძინეფს ამ ხის ფურცელი), აკაციე, უზანი (პაწა ხია, იხმარება მათრახების ტარათ), ბაძგი (ყუქკათ იზღება, ზამთარში კრიენ და აქუმენ თხეფს და ძროხეფსაც), ბზაი, ასკილი (წვიტ-წვიტი კეკლები აქ, არ იკომა; ტანზე რომ მეისვა, ფხანას დაგიწყეფს), კატამუნე (ხეთ იზღება, ვარგა შეშათ), შინდი, სმაროდინა.

ჩენი სოფლის ტყეფეშე ბალახებია: ტრიესკულდე, მწყერისფეხე, ბერსელე (პრასას ზგავს, საქონელი ჭამს), სამყურე, ქუქკუტე (ხაფსავით დადობილია მიწაზე, საქონელი ჭამს, ხმარობენ მუწუქის წამლათ, ამწიფეფს და არჩენს, დეიდობენ დანაყულს), დათვისფხალე, ლელისწიწმარიტე (პრილობის წამლათ ხმარობენ, იზღება ღელიების თვლეფში), თავნიორე, ცხენისკპილე (საწამლაგია, ძახს წამლავენ ამით), ძაღლისქინძე (არასფერი არ ჭამს ამას), ქამინიე (ახმობენ და ყაჰის ბობოლს უდობენ ცახათ), რძიარძია (ამასაც ყაჰს უდობენ ცახათ), ხვართქლე, უმბალო, ტკისვაშლი (იზღება ნახეკარ არშინს, სკელი ფურცელი აქ, გვალ-გვალი, ხმარობენ ძირმაგარეს დასამწიფებლათ), ხანჭიკოლე (იაპონიასავით კაკალი აქ, წარია, დაპწინენ წყალჩი და სამ ღღეს მერე ჭამენ), კატყვერე, ბალშავე, ქორაფე (||ნაცარე), კიტილაყე, შავფეხე, ნარე (ნარას ბურძგალე აქ ფურცელზე, ბუხუტა თავს იყეთეფს და იმაზეც ბურძგალე აქ), კლარტე (საშინელი ბალახია, ყველა მუხლებზე ძირეფს იყეთეფს), უკტავე, ჩინჭარი, ანწლი (ანწლი და ანწლიკე ერთია, ანწლიკე აგდებული სახელია), წალიკე (პირპილეს ფურცელს ზგავს წალიკეს ფურცელი, შუწარია), სურო, ინგრიხე (||ინგრება), დათვისფანჩარე (კამას ზგავს, იზღება კონქეოში ნახეკარ არშინს, ამოდის გაზაფხულზე, არასფერი არ ჭამს).

ჩვენში ფსხალის ჭიშებია: კაცისთავე, გელოურე, თავერეჭულე, საყვითლიე, სასელო, საივანობო, საკვირკობო, ხაქაქურე (ქურში ინახება ზაფხუ-

ლამდი), გულაბე, ფრანგულე.

ჩვენთან ვაშლის ჭიმები: ბულაეაშლი (დიდვანი კეკალია), სახაქუნე, ხაზარულე, ჭანგისვაშლი (შავი ვაშლი||ნაცარე ვაშლი).

ძველათ იყო ვენახის ჭიმები: ოფორე, კუმუტე (||კუმუტიე), კაქიკი, ჩხავერი. მერე შამევიდა: ადესე შავი, ადესე თეთრი (||ზარბელა), ალადასტური, თეთრი კამური, გალობლიშვილის შავი, ნოვესვაზი, ცხენისძეძე, საფერე, შაწვანე.

ჩვენ ტყეფში იყო: გარეული ღორი, ირემი, შველი, არჩვი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, ყურდღელი, მაჩვი, წავი, გულთეთრე (გული თეთრი აქ, სისხლით კატის ხელაა, კუჭულეფს იპარავს და თხილს; ქათამს ვერ ერევა; ხეზე აღის), გარეული კატა, კვერნა.

როცხა თოლი მევიდოდა და ვევიდოდა ორ არშინზე, სამ არშინზე და წყავი დეიჯორგებოდა თოლით, შუუდგებოლით გახაზირებას. თოლს რომ პაწას დაშვანიდა (||დაეღებოდა თოლი), გახაზირდებოლით ხუთი, ექვსი ბიჭები იარაბში; წვევიდოლით შესილაღებული გატიალეზამდი და წვევიყვანლით ძაღლეფს. ფეხზე ქვონდა ქალაბნები და თხილაჭურები; ზრუქში ქვონდა გადაკიდული საგძალი სუნკეთ. ძაღლები კვყავდა კაი. როცხა ეიღებდა ძაღლი სუნს, მაშინ გამევიდებოლით იმ ძახს; მიანკლოვდა ელანძე, დუუყეფდა (||დოუყეფდა) პირდაპირ და ხაზირათ ვიყავით მაშინ. ძაღლი ააყენებდა დათვს. დათვი გამევიდოდა საწოლიდან. თავს რავარც გამოყოფდა, ჩვენ ხელათ ვესროლით, მოვკლავლით და ტყავს გავაძრობლით. ხორცს ქი ვტიებლით იქინე, ტყავს წამევიღებლით. ბელები თუ ყავდა, წამევიყვანლით და გავზდილით სახში.

სოფ. ნაბელლავი

95. საყვავისტყე

აქანე ყოფილა გუუვალი ტყეი. უშველებელი წიფლები ყოფილა. ერ წიფელას ერი სახლი გამოდიოდა. ყორიფელი ხეი იყო. ყვავები ყოფილა ბრეული. ბოჯაყაში აკეთებდა ბუდეს (ცაკე ბოლზე არ, გაკეთთება ბუდე).

ამიზა დუუძახებიენ საყვავისტყე. ყვავები ყოფილა და დიდი ტყეი. ერისთავს რო ქარი მოხთა, მუურავები გამუუგზანია აქეთ: — შემიტყვეთ, ვინ მოქრა საყვავისტყეში ხეიო.

ქარს აკავებდა ხეები. რო გეიჩეხა ტყეი, ატყდა ქარი. ქარი აფუქეფს ნამუშიერს. ყურძენს ჩამოყრის ძირს.

ახლა ჩვენთან ადესე არის მოხშირებული. უწინ იყო ჩხავერი, ალადასტური, ტევანდიდი, ჭუმუტე. ყველაზე ნაქები იყო ჩხევერი (||ჩხავერი). ჩხევერი, ალადასტური, ტევანდიდი, ჭუმუტე — სუყველე ხეზე აღიოდა.

წამალი არ იცოდენ, რა იყო. ყურძნის ჭირი გაჩა და მისპო იმით.

მერე ადესე გამევიდა საცხეიდან. ადესე იყო უწინ პირველათ აქოთებული, ქოთთა. მერე გაკეთთა.

სოფ. საყვავისტყე

96. საჭამიასერა

აქანე იყო გორი. აი გორი დაფარული იყო კვიპიბნარით, ეკალით, ჩირქვებით. ღვარით იყო დარღოული თლათ, ვერ გეიარდა კაცი. გელი ჭამდა ყორიფელს. ხანდინხან ხროი გამეიარდა და თლათ ეიანცებდა ზუილით ყორიფელს. ხროი დიდ ზარალს აყენებდა ქვემო ხეთს. გელი რომ ჭამდა აქანე ყორიფელს, იმიზა დიეთქუა საჭამია.

ჩომეთში ცხოვრობდა ლუკა ხუნდაძე. იგი იყო ღვლლათ ჩომეთის ეკლესიაზე. მან ითავა საჭამიასერის გადათხრა, გადაწორება, კლასის დადგმა, სახალხო სახლის დადგმა, კოპერატივის დადგმა და თემის აქ დაარსება. ამ საჭამიაზე ყორიფელი მან დაარსა. აქ დაარსა კილო მან იარმუკა. ტყეში რო იდგა ხალხი უაღაგო ალაგას, ჩამევიდა და აქანე დადგა. მეეწყო და გაშენდა აქანე ყორიფელი იმ კაცის მოქმედებით.

აქანე თემის დაარსებამდი აი ადგილი ეკუთნოდა კოხნარს ჩხორონჭუას ქვეით (ჩხორონჭუა ღელის სახელია; მოდის ჭვარის გორიდან, უერთებდა ხევის წყალას აქანე). იმას ზეით — ჩომეთი, კალაგონი, მამულარი ეკუთნოდა ზემო ხეთის თემს. ლუკა ხუნდაძემ შიერთა ეს ოთხი-ხუთი სოფელი და დაარსა ახალი თემი; დაათქუა საჭამიასერა. ახლაც აი სოფლები შემოდის ამ თემში. ჩონეთს, კალაგონს, მამულარს და ქვემო ხეთს გვაქ ერთი საბჭო და ერთი კოლექტივი.

ყველაზე დიდი სოფელი არის ქვემო ხეთი. იმას ჩამოია ჩომეთია მოზდილი სოფელი. კალაგონი და მამულარი პატარე სოფლებია.

კალაგონი და მამულარი გაყოფილია ბეივისღელით. ამოსავლეთით კალაგონი არის, ჩთილო-დასავლეთით — მამულარი. სერის ამოსავლეთით არის ჩომეთი, სერის დასავლეთით — ქვემო ხეთი.

სოფ. მამულარი (საჭამიასერა)

97. ბატონი და ბაბუ

მამაჩემი იყო ღარიბი. ექვსი ბაღნები ყავდა. მოჯამაგირეთ იყო აგერ ერისთავთან. ჩვენ ყველგან მასთან ვიყავით. სუნთვლეთს იგი გვარჩენდა. დედაჩემი და მამაჩემი თავიდან იყო ერისთავთან. ჩვენ რო წამევიზარდეთ, მერე ჩვენც მუშაობდით იქინე, საცხა ვიყავით. ბაბუ და დედე დდე და ღამე მუშაობდა და იმით დევიხსენით თავი. ბატონთან საკმელსაც ვერ წქამდით ადამიანურათ. იგინი რო ისადილებდა, იმის ნარჩენს წქამდით.

ერისთავის ქალი რო გაძლებოდა, მერე ლოგინზე დაწობოდა და ფეხებს მათხანებდა. სიქობამდი თითვან არ მეტყოდა, მანამდი ვერ გევიდოდი გარეთ. ხანდებან შამევიდოდა ჩემი დედა და ეტყოდა იმ ქალს: — ბატონო, გუშუვათ ახლა აი ბაღანეო. ბატონის ქალი თუ მიცემდა ნებას, ნენე მომკიდებდა ხელს და გამომიყვანდა გარეთ.

საწყალ ბაბას ანწვალებდა ბატონი. ბაბას საცხა უნდა ეშონა საკლავი. ყოლდდე უნდა დიეკლა თითო საკლავი. ერ დღეს ვერ შეიყვანა. ოთახში შეიხმო, დაარტყა როზგი. მე გარეთ მეყურებოდა საწყალი ბაბეს ბღავილი. გამევიდა იქიდან კეტარ-ცოცხლათ. დანარტყამი აჩთა ლორ-ლორათ, ტყავი ატკვარული იყო სულ. ეგერ-გერ დღუმწიფთა და გამევიდა ბაღამი (||თხლამი). რომ დღუმწიფთა, წურბლები დავასვით კინკიბაში და ბექზე. ორ თვეს მერე მორჩა.

ბებეც და ბაბუეც იყო ყმაი. იგინიც ისთე გამწარებული იყო.

მეც მახსოვს ბაბუე და ბებე. გლაზა დგომიარობაში იყო. ნაცუმ კინკეფს აცუმდენ. ფინჩხლეფს აქუმდენ. კას რავა მეიმეტებდენ იგინი! ყანას ათონხიებდენ, ყურძენს აკრეფებდენ, თხილს აკრეფებდენ (თხილი ქონდენ ბრეუული), ყორიფელს აკეთებდენ. დასვენება მიზდა არ იყო.

სოფ. კონხარი

98. მამაჩემის ნათქვამი

მამაჩემი იყო ას ორი წლის, რომ გადიცვალა. მაშინ მე ვიქნებოდი ოზდაათი წლის. მამაჩემი იტყოდა: — თორმეტი წლის რომ ვიყავიო, ბზეი დაბნელდაო, საათ-ნახევარი გასტანაო. საქონელმა დეიწყო ბღავილიო; უდრო დროს ბზეი რომ დაბნელდაო, საქონელი აწრიალდაო. უთვარიო ღამე რომ

ბნელი იქნება, ისთე დაბნელდაო. თეთრი ვენახის ხმელი ღირკალეო ანათებ-
დაო. ღირკალეთ გავანათეთო. სფიჩქა არ იყოო. კვესი ქვონდაო და სოკოო.
სოკოს ნაცარში ჩავაგდებდითო. ნაცარს კარდალაში ჩავყრიდითო, წყალს ჩა-
ვასხამდითო და ვადულებდითო. წყალში და ნაცარში გამოგებოდაო. მერე
ამევილებდითო და ბზეზე გავაშრობდითო. გამოგბარ სოკოს ნაჯახის ყუთთ და-
ვბეგვიდითო და დაღუნღულდებოდაო. მერე დაჩილვიდა პატერვანათ. დაა-
ლებდენ კაჟზე და გუშქნევდა კვეს და მიეკიდებოდა ცეხლი. მერე დაადობდენ
ჩიბუხზე და სვამდენ თუთუნსო. სტაქანი არ იყოო. ხეს ამოვთლიდითო და
იმით ვსვამდითო. რას ვსვამდით, ვერ ვხედვიდითო, მარა ვიცოდით, რას ვას-
ხამდითო შითო. საინი არ იყოო. ჯამს ხისასო ამოვთლიდითო. მერე ჩავასხამ-
დით საქამადს და ვქამდითო. კაპქანე (||კარდალე) იყოო, მარა ყველას არც
იგი ქონდაო. ვითხოვდითო ერთიმორეიდგანო. საქონელი ბეჭური კვყავდაო,
მარა სასტორი არ იყოო. საქონელს რომ დავკლიდითო, ვერ კაცს ქონდა ხელი
გამოჩოჟილიო, იგიო აწონიდაო. ხორცს ვასესხებდით ერთიმორესო. სა იშო-
ნებოდა ფარაო. ოქრო იყოო ფარა. თუ იშონიდაო, ვინმე დიდარი იშონიდაო
ფარასო. საბანი და ლები სა იყოო! ღომის ჩალას წვევიგებდითო და ცეხთან და-
ვწობოდითო. ტყეი ბეჭური იყოო. წყავის შეშას ვხმარობდითო, თხმელასო ვინ
დაადობდა ცეხზეო! წყავი შეშათ ყორიფელ ხეს ჯობია. რცხილე და წიფელეც
კაია, მარა წყავთან ვერც ერთი ვერ მივა. ნახევარი ღომის ყანა ვიცოდითო და
ნახევარი სიმინდეს ყანაო. საქმელათ ღომია კაი წვენზეო... მე გამიგონიაო, ჟა-
მობა გაჩთაო. წამლობა არ იყოო. ახლომახლო მოსახლოობა გაწყტაო და სა-
ხლეფსო, რაცხა ქონები ქვონდაო, ვწვავდითო. ისთეო წვევიდაო საქმეო, რომ
სათესური სიმინდეო ვერ ვიშონეთო. თუ იშონიდა ვინმეო, რომ თესვიდაო,
ტკვერდაო და ქამდაო.

სოფ. ბურნათი

99. ნაფოტი

ერ დროს თათრის და საქართველოს საზღვარი ყოფილა ქოჩორაძე.
თამარ ნეფეს თათრები ეზრუშამდი გუუდენია. ქართველები დუუსახლებია
აქანე. გამუუყოლებია უმფროსი გურიელი და ქვეყნიზა დუუთქმოვია გურია.

გურიელი ცხოვრობდა სოფელ უნაგერაზე. ახლა იმას დაათქვენ სუფ-
სა. აგი სუფსა, რომ მოდის, იქინე ერთვის ზღვას.

სუფსის სათავე იწყება ადიგენის საზღვრიდან. არის იქინე თამარ ნეფის

საცივი. არის იქინე გურიის საზღვარი, აჭარის საზღვარი, იმერეთის საზღვარი. ამ საზღვრებს შორის არის გორი და იმ გორზე არის თამარ ნეფის საცივი. იმ წყალს გაზი არა აქ. ცოტა ხანს გავა და ქრება. იქინე კი მოხურხულოფს. უძახენ თამარ ნეფის წყალს. ხეი აქ რაცხა იმფერი, რომ არ დალბება აი ხეი, აგი ხეი ბოკკასავით ყოფილა ამოთლილი. კიდეები მოტეხილი აქ. მოვთალე მე და წითელი იყო. ურთხელა ყოფილა.

იმ წყალს გადაღმა კედაროს ქვის სახლები არის დანგრეული, შით უზარმაზარი ხეებია ამოსული. რომ ვიკითხე მე, მითხრა ვინცხამ: — ამ ტყეში ძველათ ყოფილა მაგდონალებიო და აქიდან წასულა პერსიაშიო.

ჩვენ ვართ გვართ ბიბინეიშვილი; ვართ აქანე ცხრა მოსახლე კაცი. ვართ მოსული აქანე სამი საუკუნის უკან. პერსიიდან წამოსულა ჩვენი ძველი ტოლვილები სამი ძმანები ცოლ-შვილებით. რომ მოსულარიენ სოფელ კიკნაველეთში (ადიგენის რაიონში არის ახლა ის), იქ დალაპარიკებულარიენ: — ჩვენ ერთათ ნუ წავალთო. ჩვენ დაგვეცემიენ და მოკვლავენო. ყველე დევიხო-ცოთო? ცალ-ცალკე ვიცხოვროთო.

ერ ძმას მუუტთია იმ სოფელში, იმ კიკნაველეთში. მორეე ძმაი წასულა ხულოს მიმართულებით სოფელ გონიოში. იქ არის მორეე ძმის ტომი. იწერებოდა ბიბილოლებათ. მესამე ძმაი ჩამოსულა აგერ ამ სუფსის პირათ არდგილ ჩიხნარში. როდესაც ამ კაცს აქანე უცხოვრია, ხეს გათლიდა ამ სუფსის პირში, აბა, სახს რით ააშენებდა! ამ სუფსას წუჟულია ნაფოტი; ხის ჩამონათალი წყალს ჩუჟტანია უნაგერაზე. უნაგერაზე გურიელის მეთებზეს ბადეში მოყოლია ხის ჩამონათალი. მოსულა მეთებზე და უთხრობია: — ხის ჩამონათალი გამოყვა ბადესო. ვინ არის ამ შენს ქოყანაშიო?!

გურიელს დუჟნიშნავს კაცები და გამუჟუშვია საძებრათ: — მონახეთ და მომიყვანეთო!

წამოსულან აი კაცები, უარიენ სუფსის პირ-პირ. მოსულარიენ ბუკისციხეში. ბუკისციხე არის თამარ ნეფის ანაშენები ციხე. იქ აი კაცები იმას ზეით ვერ წამოსულარიენ. იქინეი უნახავენ დიდი წყალი, დამდგარი ტბა. ჩაბრუნდა იმ კაცებმა და გურიელს უთხრენ: — ამ შენ საბძანებელშიო დიდი ტბა ვნახეთო. — ახლაც ქვია იმ ტბას გურიის ტბა. — იმ ტბას იქითო სულ ურები არისო და ვერ წივედითო. მერე დიეთქვა ამ ქვეყანას სურები.

გურიელმა უთხრა ამ კაცეფს: — წაით, წყლის სათავემდი მიდითო და ნახეთო იი კაციო, ვინცხამ ხეი გათალაო.

იარეს ამ კაცებმა და ნახენ არდგილ ჩიხნარში აი კაცი — ჩემი ძველი

ბიბინეიშვილი. აი კაცი წეიყვანეს ამ კაცემა და მუუყვანეს გურიელს. გურიელმა უთხრა: — რა გინდა იმ ტყეშიო! მოდი ჩემთანო და მე უკეთეს არდგილზე დაგასახლფო.

გურიელმა გამუყაოლა ერი კაცი და უთხრა: — მონახეთ ამ ქვეყანაში კაი სამოსხალო და დასახთით, სადაც გინდებინო.

ბიბინეიშვილი დასახთა საყვავის ტყეში. იგი კაცი, რომელიც გურიელმა გამუყაოლა, იყო გვარათ არამიშვილი, დასახთა სოფელ ერკეთში.

ამ ხანს მერე ვართ ჩვენ ამ ქოყანას და ვართ ცხრა მოსახლე კაცი.

დანარჩენი კილომ იმ გურიელის გამოგზავნილია სხვადასხვა სოფლიდან.

ახლა ამ სოფელში არიენ ბარამიძენი, კიკვაძენი, სოროზანიშვილები, თვალაბეიშვილები, სანიკიძეები, ეზიეიშვილები, ლომინეიშვილები, ბედინეიშვილები, ჭულაყიძენი, ქათოძენი.

ამ გვარებიდგან არის შემდგარი აი სოფელი. ამ სოფელს ქვია ზემო თავსურები.

სოფ. თავსურები (ზემო სურების სას. საბჭო)

100. ბჟავე წყალი

კისლავოცკაში ვიყავი სააქიმოთ, ჯარიდან გამიშვენ. იქინე ენახე იქოური ბჟავე წყალი. მერმეთ წამუედი აქანე. ვნახე აი წყალი, შევადარე იმ წყალს.

აქანე აი წყალი ამუჟუნია მაქსიმელ ბერაძის ძროხას. მაქსიმელ ბერაძე იყო ჯვარცხმელი, მუშოობდა სანადელო მიწაზე ბჟავე წყლის მახლობლათ. თან ყავდა წამოყვანილი ძროხა საბალახოთ. იი ძროხა გამოქცეოდა იმას. ძროხას შეხთენოდა ღელე წყალი. გამიერო იი წყალი; არ ესუა იი ღელე წყალი. ჩამოსულიყო დინარე გუბაზოულჩი. არც იგი არ ესუა. წასულიყო იი ძროხა, გასულიყო გუბაზოულში. გაჰკიდებოდა ბერაძე. მისულიყო გაღმა დიდი ქევის ძირში. იქინე პატარე წყალი ყოფილიყო როჩოთ (ჩხალმავებულათ). ესუა აი წყალი. მერმეთ მისულიყო აი ბერაძე და ჰაქვით ენახა პირში. მერე წამოსულიყო და მამაჩემიზა ეთხრობია: — შენს არდგილჩიო არის ბჟავე წყალი, აბანოო. — ის არდგილი ჩვენი იყო. მერმეთ მოსულიყო ხალხი და ამიედენ წაქათით და დიეგუბენ წყალი. მერე იღებდენ კოპით და კურუშკით და სუამდენ.

მე რომ მუედი კისლავოცკედან, დამხთა აი წყალი ასთე. მე გავაკეთე

სასმელათ ცემენტით. ვიღებდით კურუშკით. წყალი მოდიოდა ქვეშიდან. რომ ამევიღებდით და ჩავასხამდით ბოთში. თუ პროპკას ვერ ააგდებდა, გასტკლევდა. თუ პროპკას ააგდებდა, პაწე ფიშტო რომ გავარდებო, იმიხელა ხმას იქთა. აი წყალი უხთებოდა კუპის ტკივილს. ტანსაც იბანდენ შით, ფხანას უხთებოდა ძაან. ხალხმა დიედვა ამ წყალს, მიქონდენ შინ ბოთლებით სასმელათ.

იი წყალი ახლა აღარაა, გადალექა გუბაზოულმა.

მერე აი წყალი მოვნახეთ გამოლმა. ქვეშიდან მოჟონავდა. მე წაკატით და თოხით ამუალმავე და ამუაცემეტე გვერდები, დევიცევი ღვარის წყალიდან. რომ ამუალმავე ქვეშიდან, დეიწყო ხვარხვალი და მოდიოდა კარქათ და სუამდა ხალხი; უხთებოდა ძალიანს. მერე ვანები გავაკეთეთ, ვათობდით თუჯეფში წყალს. ოთახში ტანისაბანი ვანა იყო დადგმული, ხის შეკერილი ვანა იყო. ვედრებით შექვონდა აღუღებული და ცივი წყალი და ჩოუშობდით ხის ვანაში და ხალხი ჩევიდოდა და ტანს იბანდა. ვანაში ვახთიებდით შრომის ფასს. დალევდა უფასო იყო. არც ცივი წყალი არ ყოფილა ფასიანი.

გამოლმე წყალი ჩემ არდგილჩი იყო, მარა სასმელ წყალჩი და ტანისაბანში ცივი ფასი არ იყო. ვახთიებდი მარტუე გათფობის ფას.

მერე მევიდენ გეოლოგები, წეილენ წყალი და გაშინჯენ. მერმეთ გადიბარა თავრობამ და გააკეთა, ახლა რომაა, ასე.

ამ წყალს უძახიენ ნაბელღავის წყალს. ნაბელღავი ქვია ამ სოფელს.

სოფ. ნაბელღავი

101. მაჯისწყარო და სხვები

ამ სოფელს დუუძახეს დიდი ნანეიშვილისოული. აგი სხვაზე მეტი იყო და იმიზა ეძახოდენ დიდი ნანეიშვილისოულს. აი სოფელი კოხნარზე დიდი იყო. კოხნარი იყო ნანეიშვილისოული.

ნანეიშვილი ყოფილა აზნაურიშვილი, მდგარა ახლანდელ კოხნარში. აი არდგილები მისი იქნებოდა. მერე ერისთავი დაპატრონებია ამ არდგილებს. ნანეიშვილი წასულა და საჭილაოში დასახლებულა. მისით გადიარა თუ გადადენეს, არ ვიცი. ახლა რო თემი გვაქ ჩვენ, იქინე ერისთავის სასახლე იყო, ჩემ მახსოვრობაში იყო.

ნაკადულიც ერისთვის იყო. ბურნათიც ერისთვის იყო. ნაკადულს უძახოდენ ქვემო ხეთს. ქვემო ხეთის ნაწილი იყო. ბურნათი თავიდან ქვიოდა

ბურნატს. ნისლი რომ დგება, იმას ბური ქვია. ბურნათი ხანდიხანდღე იბურება.

საერისთაო რა შეიქნა, მერე ამ სოფელს დუღუძახეთ წიფნარი და იმას დუღუძახეთ კოხნარი. იქინე წყალია კოხნარი და სოფელსაც კოხნარი დუღუძახეთ. აქანე დიდი წიფლები ყოფილიყო და ამიზა დუღუძახეთ წიფნარი.

კოხნარი დიდი საცივია. ფთის ძირში გამოქუხს ერ სალიკე. კოხის ნაირი ცივია. ერთნაირათ მოდის სულ. ქე რაა ახლა, ამ ჰკუთაზე მოდის სულ. დი-ღია, წისქვილს აბრუნფეს.

ფთაში სურფეს ზეით არის მაჯისწყარო. პატარე საცივია. ზედმეტი ცი-ვია. გზავრი ჯერ მაჯაზე გაღირეფს და მერე, რომ დალევს, არ ეტოშება. ამიზა უძახიენ მაჯისწყაროს.

აქედან საქონელს გავდენილთ საბალახო ფთაზე და იქინე წყეს ჩავაბა-რებდით. გვეიარდით მაჯასწყაროზე (||მაჯისწყაროზე). იქინე დასასვენებელი არდგელია. მაჯისწყაროს გაღვირებდით მაჯაზე, შეგრილდებოდა სხეული და მერე დაეღვედით. მერე აღარ გვაწყენდა.

აგერ ჩვენ სოფელჩი ბაგრატე ანდლულაძე იღვა. მის არდგელჩი სიპში გამევიდა წყალი. ბაგრატამ ღარი გუუკეთა და წყალს ხმარობდა თვითონ იგი და ხალხიც. ამ საცივს უძახიენ ბაგრატეს წყალს.

აგერ შარის პირში მოდის საცივის წყალი. ფთის ძირია იგიც. ამ საცივს გიგო ანდლულაძემ გუუკეთა ქვის ღარი. ახლა ამ საცივს უძახიენ გიგოს წყალს.

კორფაძნეფში არის კაი საცივი. კორფაძნემა ღარი დაადგა წყალს და ხმარობენ. ამ საცივს უძახიენ კორფაძნეზის წყალს.

ამ სოფელჩი არის კიღო ილარიონის წყალი. ილარიონ მეფარიშვილი იყო, ჩემზე ცოტა უმფროსი იყო. იმის ეზოში გამოდიოდა საცივი. მან გააკეთა, ღარი დაადგა და დიეთქუა ილარიონის წყალი.

ამ სოფელჩი ადრე ტყეი ყოფილიყო. ერ არდგელზე ტყეი გუუქრიენ და იქინე სასირე ბაღე გუკეთებენ ჩიტების დასაჰირავათ. იმ არდგელს დიეთქუა სასირები.

სოფ. წიფნარი

ბერიშვილები სიდან მოსულარიენ, კარგად არ ვიცი. ხოლოთ გადმოცემიდან ვიცი, რომ ჩვენს ძველს ქეიებია გიორგი კოკლი. იგი მოსულაო, — გამიგონია, — სალხინოიდგანო. ბატონს გამოქცევიაო. — შოუფარებია თავი ამ ადგილში, სადაც საჭვარე იდგა.

გიორგი კოკლის მეგვარეები, აქ რომ მოსულან (||მოსულარიენ), ყოფილან შვიდი მოსახლე. აქანე დასახლებულარიენ. ამ ხალხს დახვეთენია აქანე ორი მოსახლე ხაბეიშვილი. დღესაც იგივე ორი მოსახლია აქანე.

ბაბუაჩემის დროს თურქეთიდან თავდასხმა ხთებოდა. იტაცებდენ ბაღნეფს, ქალეფს და მამაკაცებსაც. ერხელ დასხმიენ ბაბუაჩემს ლაზარეს თათრები თავზე, წოუყვანიათ ბაბუაჩემი ლაზარე და ცოლი მისი ცაცანე. წოუყვანიენ კიდომ ორი ბაღნები — ერთი ბიჭი სამწლიანი, მეორე კი ძუძუმწოვარა ბაღანე. გადაუყვანიათ ახალციხეში. ბავშვები იმავე დღეს მოუშორებიენ. ლაზარე და ცაცანე დოუნწყუტოვიენ ახორში, ძროხის კონახში. ცაცანამ მოინდომა (||მეინდომა) გამოპარვა. ლაზარე არ ემორჩილებოდა. ცაცანე ყოფილა გულადი ქალი, დემორჩილა ქმარი და წამეიყვანა. როიცხა (||როცხა||როცა||როდესაც) თათრეფს დეეძინენ (||დეეძინენ||დეეძინათ||დაეძინათ), ცაცანამ შიადრო ქმარს აბრეშუმის ბელყაიში, გაშქრა შუაზე და შეიგრიხა. ლაზარე მიაყენა კედელზე, თვითან შედგა ქმარის ზრუგზე, მოკიდა ხელი ახორის კავს და ლაზარეს უთხრა: — დეეკიდე ბელყაიშო. ბელყაიშის ცალი თავი დაამბა კავზე ცაცანამ. ლაზერე დეეკიდა ამ ბელყაიშს და ცაცანამ მოსწიწა და ეიყვანა ახორის თავზე. იქიდან გადმოუშვა ლაზარე ძირში გარეთ. თვითონ ცაცანე იმ ბელყაიშს დეეკიდა და გადმეიარა გარეთ. გამეიპარენ ორუენი.

აი ბაღნები სა წეიყვანენ, არ იციენ. რომ გამეიქცენ, გზაში შეხთენ შვილი ცხენოსანი თათრები. სიმინდი მიქონდენ სურებიდან ახალციხეში. ივენმა დეიჭირენ ცაცანე და ლაზარე და წეიყვანენ უკან. თათრებიდგან ერთ-ერთი უნჭუარდებოდა თათრეფს: — გოუშეათ აგენიო, თვარა აწი სიმინდიხა ვერ ჩავალ სურეფშიო.

ლაზარე გამოუშვენ, ცაცანე კი — არა. შემდექ ცაცანეც გოუშვენ. მარა ცაცანე ქმარს ვერ მეეწია მალე. იმავე ღამეს ლაზარე გავიდა ნაძვის ხეზე ღამის გასათევათ. იმავე ღამეს ცაცანამ არდგილობ საწუმში დეიძახა: — ლაზარაა! — ეს გეიგონა ხეზე ლაზარემ და გამეეხმაურა: — ცაცანე ხააარ!? ცაცანეც ავიდა ამ ხეზე. იმ ღამეს იყვენ ხეზე. მეორე დღეს მევიდენ სახში. ცხოვ-

რობდენ აქანე.

ქუძუის ბაღანას რა ბედი ეწვია, არ ვიცით. ბიჭი, სამწლიანი რომ წეიყვანენ, იგი გაზდილა თურქეთში. უცხოვრია იქინე ოზდახუთი წელი. იგინი თურმე ყიდდენ გიორგის. ხან ერთი იყიდდა, ხან — მეორე. ბოლოს ჩეიგლო ხელში ახალციხის ფაშამ. გიორგის (ამ ბიჭს ქვიოდა გიორგი) ცოდნია, რომ იგი იყო ქართველი. გვარათ იქინე უძახოდენ თურმე ბერიოდლის. გიორგიმ სთხოვა ფაშას, რომ გვენთავისუფლებია და გამეეშვა სამშობლოში. ფაშამ განთავისუფლა და გამოუშვა სამშობლოში.

ეს გიორგი მევიდა, მარა დედამ ვერ იცნა. მომყოლმა ხალხმა უთხრა: — ესაა შენი გიორგო. დედას არ ჯერავდა მაინც. თვითონ გიორგიმ ქართული არ იცოდა, გადავიწყებოდა. ცაცანამ უთხრა იმ ხალხს: — ჩახადეთ ქვედე საცვალიო და დახედეთ ასოზეო. თუ შავი ნიშანი ექნება, ჩემი გიორგი იქნება მაშინო. ჩახადენ საცვალი, დახედენ ასოზე და ქონდა შავი ნიშანი. ცაცანამ ეტაკა გიორგის და გულში მიიხუტა. თვითონ ცაცანას გული წაუვიდა (||წოუვიდა). ერ საათში წყალის მიშხურებით ცაცანე დადგა ფეხზე.

გიორგიმ მერმეთ ქართული აქანე ისტავლა, დაცოლშვილდა. აქანე მოხუცთა და აქანე მოკვტა.

მე ვარ გიორგის ძმიშვილი. გიორგი მამაჩემის როსტომეს უმფროსი ძმაი იყო. მე კარქათ მახსოვს. მოკვტა ათას რვაას ოთხმოზდათუთხმეტში, გიორგობისთვეში.

სოფ. საბერიშვილო (შუა სურების სას. საბჭო)

103. ბატონყმობა

მამაჩემი ყმათ იყო კოსანდილე შარაშიძესან. ბატონს ქონდა დიდი ჭიკვი გამოთლილი. იმას ქონდა ფეხის ჩასადრობი გაკეთებული. უკანიდან პალო ქონდა. ყმაი რო არ დუუყვრებდა ბატონს, ბატონი ჩაადრობიებდა ფეხს ხუნდში. უკანიდან გუუყვრებდა პალოს. ქი იყო ფეხი შით გაჩექილი. თუ ყმაი ჭიუტი იყო, დღე და ღამე გააჩერებდა ბატონი, ხუნდს არ მოხსნიდა.

სურებელი იყო კიკვაძე, ჩვენი ბატონის ყმაი იყო. ჩაადგმია ფეხი ხუნდში, დღე და ღამე ამყოფა შით.

ამ სოფელში იყო კიდო მიორე ბატონი ჯაყელი. ჯაყელი უმფრო ავი იყო. ჯაყელის ყმები იყვნენ ხაბეიშვილები, კოტრიკაძენები, ცინცაბაძენები.

როზგი იყო ყველაზე მაგარი საშველი. წეპლები იყო შეკრული. შე-

კრავდენ ერთათ ხუთ-ექვს წკებლედს. როზგი უნდა დიერტყა დამნაშავეზა. დევიკრავდენ ყმას, გააზრობდენ ტანზე, ორი-სამი კაცი დეიკავებდა ყმას და ერთი ცემდა, წკებლი იყო შეკრული ორ სალიკე. შეკრულ წკებელს ცემდა. ტკვაჩი დაჩენოდა უნდა ტანზე. რო შიასრულეზბდა მიშვილი რაც ქონდა იმას, გუუშობდა მერე.

მე რო მევიზარდე პაწე, გადავარდა ბატონყმობა. გამუუცხადენ ყმედს: — წაით სახშიო, თავისუფალი ხართო. ზოგი არ წვევიდა. — აქანე ვარ მიჩოუ-ლიო. მერე ქი წვევიდა. ბეჭური მაშვინათე წვევიდენ.

ბატონი რომ გაგიშობდა, მიგეცა უნდა თავის დასახსნელი ფარა. გა-ხთიებდენ ყორიფელს: შეშის ფარასაც, მიწის ფარასაც, ეზოის ფარასაც.

ბაბუას ყავდა სამი შვილები ბიჭები. რაცხა მიწა ქვონდა ჩვენ, იმის შე-ფასებით ფარა მევიზიკეთ და მივეციით ბატონს. დევიწყეთ ჩვენდა მუშოობა და ვიხთილით ნადელს.

ჩვენ გვედგა ჭარგვალე. ჩვენ ჭარგვალას ქონდა სიგძე ხუთი არშინი, გა-ნი ქონდა ოთხი. ვიყავით შით ბაბუე, ბებიე, დედაჩემი, მამაჩემი და სამი ბალ-ნები. ჩემ ბიძანემა ცაყე დეიდგენ ჭარგვალე. ბაბუე და ბებიე ჩვენთან იყო. ბა-ბუე მოკტა ოთხმოზდახუთის. მაშვინ მე ვიქნებოდი ამ ბალანეს ხელა, კარგათ მახსოვს. მამაჩემი ოთხმოზდასამის იყო, რომ მოკტა. მე მაშვინ ვიქნებოდი სა-მოზდახუთი წლის. ახლა ვარ ას ოთხი წლის.

სოფ. დაბლაციხე

104. კონხარე მიწა და დიხაშხო მიწა

ამ სოფელს დაათქუენ კონხარი. აქანე არის საცივი. იმ საცივის ქვია კონხარე. იმ საცივის სახელი დღუძახეს სოფელს.

მოყვითალო ხოროშ მიწას უძახიენ კონხარას. კონხარა მიწას ქედლები ხმარობენ კინის დღუდების დროს. როცხა კინა დღულს, მაშვინ ხელით ჩააფცქვე-ვენ შით. მიწა დნება შით, მიწის აფერი არ ჩანა მერე შით. ვინც იმ მიწას ვერ იშონის, უბრალო სილას აყრის შით. სილაც ისთე დნება.

კონხარე მიწა არაა ნაყოფიერი. არ იხარეფს არც სიშინდე, არც ღომი. ჩიქვები იზდება ზეთ. მაგარი მიწაა. ანწლი, კიაფერე, გუმბრა იმაზე ვერ იხა-რეფს. ძირს ვერ გუუშოფს შით.

დიხაშხო მიწა სახნავ-სათესი მიწაა კაი. ყორიფელი ხეიროფს დიხაშხო-ზე. დიხაშხო ფერადობით სხვადასხვაია. კაი ნოყიერი რომელიცაა, იი შავია.

კას მიწასან ურევია შით ცარე დიხაშხოც. ცარე დიხაშხო ნაკლებ მოსავალს იძლევა (ცარე მიწას ვეტყვით ღარიბ მიწას; იმას არ აქ სისუქნე, ღარიბია). ცარე დიხაშხოს თუ სასუქს უზამთ, მაშინ კაია იგიც. სასუქით ვენახიც კეთულოფს. ისთე არ ივარგეფს. კაი დიხაშხოზე სასუქი არ უნდა არც ვენახს, არც სიმიდს. კაი დიხაშხო სუქანი მიწაა და ყორიფელი კეთულოფს.

ჩვენში ერთნაირი მიწა არ არის. არის დიხაშხო, არის ქვა-ქვიშნარი მიწა (ქვა-ქვიშნარ მიწას უძახიენ მალნარსაც). კონხარე მიწა პატარე-პატარე ურევია ჩვენში.

სოფ. კონხარი

105. სანადელო მიწა

უწინ მიწა არ მქონდა მე. სანადელოთ ვლებულობდი მიწას, ვაძლევი მესამეთს, მოოთხეთს. პირველ ყანობაზე არაფერს არ ვაძლევი. ტეხის დროს დავგესრობოდა არდგილის მეპატრონე, იჟდა და გვიყურებდა. ჩვენ თელ სიმიდს გავარჩევდით, მერმე ავრწყავდით, აგერ სანაწყაურო ქვონდა. არდგილის მეპატრონე წეილებდა მის ნაწილს. ჩვენ წეილებდით ჩვენ ნაწილს.

ასე ვიყავით უარდგილო ხალხი.

უყში ხარი არ გეიარდა, თუ ველი არ იქნებოდა. თუ ველი იყო, იმას ხარით ვზნავდით, სადაც გადიოდა ხარი. სადაც ფერდი იყო, ჭიბაში ჩევიყრით კაკალს, ამოვლილავდით მიწას და ჩავყრდით თითო-ოროლ კაკალს.

გამეერევოდა წელიწადი და მოქრიდა ამას. ქი ვიყავით ცარიელი.

რომ დავთესავდით, თუთხმეტ ღლეს მერე, სამ კვირეს მერე უნდოდა გადახელვა ხელით, მერე უნდოდა გამარგვლა. ჩიქვეფს უნდოდა მოჩიქვა.

რომ გავმარგლიდით, მერე უნდოდა მოროდი. მერე მესამეხელ უნდოდა კილომ მოროდი, გამოწმენდა. წყერფხას და ძაღლისყურძენას სიმიდნაზე კვილებდით, გინდა ხსტეში გადაყვრდით, სადაც ყანა არ იყო. არდგილი გეიწმინდებოდა.

რომ გავწმენდით არდგილს, ღომს დავთესვიდით, მუყყრდით ჩხოს. მერე დავფხეკდით პირიპირში პირწმინდათ. მერე გავმარგლიდით. ღომს პაწე თოხი უნდა, თოხის ნიღურით გავმარგლიდით. მერე დავფოცხდით ფოცხით.

სოფ. ზემო სურები

106. სიმინდი

სიმინდი მოგვდიოდა კარქათ. სამტრედიის ახლოს, რიონს გამოღმა, მამაჩემს ნაყიდი ქონდა ხუთი ქცევა მიწა. ჰალა ადგილი იყო, კაი საყანე იყო. საყანე მიწას პირველათ დავაპირადებდით კავით. მერე ძველით პირველი მაისიდან წითესდით. სიმინდს მოვთესავდით ხელით მოზნეულათ. მერე მიწას შევოშავდით (შეორე კავია მაი). შემდეგ იმას დავფარცხავდით. ნიადაგს გავასტორებდით ფარცხით. ერი თვის შემდეგ სამარგელი იქნებოდა. გავმარგლიდით. მერე ოც დღეში გავამოროდებდით. წიფობისთვის ოციდან მოვტენხდით სიმინდას და სასიმინდეში შევყრიდით გადარჩეულ სიმინდას. გლახას არ ჩავყრიდით სასიმინდეში. გლახა სიმინდეფს ცალკე შევინახავდით საქონლიზა.

სასიმინდეში სიმინდი გახმება აპრილამდი. გადმევიღებდით სიმინდს, ჩერხულაზე დავყრიდით სიმინდს და მერე ტუკით გაფშენილთ, დავარტყამდით ჩერხულაზე. ჩერხულე იყო ჩაქერილი და ექვს ვერშოკამდი ქონდა შამოლობილი ირგვლივ. დაბლა ჩაქედილი იყო ქერით, როგორც სასიმინდე, ისე. იდგა ოთხ ფეხზე. ქვეშ გავაფენდით ბრინეტს. ტუკს რო ვარტყამდით, კეკალი (||მარცვალი) ცივოდა დაბლა. ზეით დარჩებოდა ნაკორტალე (||ნაგულე).. ნაკორტალეს გადაყრიდით ერ კედრით. სიმინთს რო გაყობოდა ნაკორტალეს წვერი, იმას ფშენის დროს გადავცოცხდით, რომ გაფშენილ სიმინდს არ შეყოლოდა. მერე ავრწყავდით მეშოკეფში სიმინდს და შევინახავდით ხულაში. როცა დაქვპირდებოდა, გამევიტანდით და დავფქოვდით წისქვილზე.

ხულაში ინახავდენ: ღომს, ოტკას, ყველს, სიმინდას, ბუავეულობას, ნიგოზს (||კაკალს), თხილსაც.

სოფ. ზემო ხეთი

107. ყანის მუშოობა

მამაჩემი იყო ყანის მუშა. მიწა ზოი ჩვენი და ზოი სხვისი იყო. სხვის მიწას იღებდა მამაჩემი საზიაროთ. ორი წილი იყო მამაჩემის, ერი იყო არდგის პატრონის. სანახევროთაც იღებდა მამაჩემი.

მიწეფს იღებდა ამ სოფელში მერეზე. მერეზე კაი სიმინდი და ღომი მოდიოდა.

სიმინდის დასათესავათ მიწას დავხნავდით ხარისარალით (||კავით) ად-

რე გაზაფხულზე. მერე შუუბრუნებდით ხარისარახს და წთესავდით საოშავ-ში. გორახიან მიწას დახნულს დავეფარცხავდით. დაღობილი ჩელტები იცო-დენ. ჩელტებზე დავეყდებოდით ჩვენ და მერე ხარებით დევიწყებდით ფარ-ცხვას. რო შამუუარდით და დავეფარცხავდით, მერე თავისუფალი იყო მარ-გლამდი. ოზდახუთ დღეში იქნებოდა სამარგელი. გავმარგლიდით. მერმეთ გა-ვამორედებდით. მერე თავისუფალი იყო ტეხვამდი. სიმინდი დეიზდებოდა, გე-იკეთებდა კაი სიმინდი ოქროს ფეხს, ჩატაროვდებოდა. მერე განმებოდა. მერე მოვტეხდით, გავარჩევდით. ხანდინან ჩალაზეც გავქურჩნიდით და წმინდა სი-მინდს ევილებდით. გარჩეულ ტაროს წვეილებდით სახში და ჩავყრიდით სასი-მინდეში. როცხა დაკვირდებოდა, გამევილებდით და გაჭფშენილთ. თუ ყვე-ლე გინდოდა სიმინდი დასაფშვენათ, მაშინ ქერით გაჭშენილთ: ტუქს და-ვარტყამდით სიმინდს (||სიმინდას). გაფშენილი სიმინდი ჩამოციოდა დაბლა. იმას ჩავყრიდით ტომარაში და წვეილებდით, საცხა გვინდოდა.

ლომს უნდა კაი მიწა. ჭერ დავენავდით მიწას პირადათ. მერმეთ თესვის დროს გავფოცხავდით. ჭერ დავეკვალავდით და მერე მუყაყრიდით ჩხოს. რო მუყაყრიდით, მერე თოხით ჩავთოხნიდით, მერე გავფოცხავდით. ნაფოცხავს ვყრიდით კვალეფში. ღომი ამევიდოდა. მერე გავმარგლიდით ბატარე თოხით. მერე კიდო მორე თოხს უზამდით (მორე თოხს მორადი ქვია). თუ დეისა-ქიროებდა, მესამე თოხსაც უზამდით. მერე მუაწევედა კრეფა და მოვკრეფდით (სიმინდზე ადრე მოდის მაი). დანეთ მოვჭრიდი ყურწს ღომს და ჩავყრიდით გოდორში. წვეილებდით სახში და შევინახავდით სხვენზე. დაბლა ცეხლი ინ-თებოდა და სხვენზე ღომი შრებოდა. რო გაშრებოდა, მერე გავაწყობდით ცეხზე. ღომს ლასტით დავეკიდებდით ცეხზე. ქვეშ ექნებოდა ნელი ცეხლი და გაწყვებოდა. გაწყობილ ღომს ჩავყრიდით ჩამურში (ქვისა ან ხის). ხელკავით ცქცხვდით. ვისაც საცეხველე ქონდა, იგი ცეხვდა საცეხველეთ. საცეხველე მოწყობილი იყო წყალზე. საცეხველე დეიკოჩებოდა და დეეცემოდა ჩამურში ღომს. გეიცეხვებოდა ღომი.

სოფ. ქვემო ხეთი (საჭამიასერი)

108. ღომი, სიმინდე და ადგხე

საღომე მიწას არჩევა უნდა. უნდა აარჩიო შავი მიწა, დინაშხოც კაია, ნაკათიცი კაია. ვაკე ალაგი კაია. მარა ჩვენ სოფელში არაა ვაკე ალაგი. ფერდ ალაგშიც ქე ვთესავთ. საღომე მიწა უნდა გეიწმინდოს, თოხით უნდა მეიფხე-

კოს. რომ შეიფხეკება, მერე ფოცხით გამეირეკება, ბალახი კიდენფეში მოიფოცება.

მიწას რომ ვფხეკავთ, ღომის ჩხოს მაშვინ ვაყრით. ფოცხით მერე გამეირეკოს უნდა.

ღომს წუშაც უნდა და დარიც. თფილი ამინდში ყორიფელი იკეთფეს: ღომიც და სიმინდფც.

ღომი ამუა თუთხმეტ დღეში, რომ დათესავ. ღომს გუმბრაც ამოყობა და ბალახიც ამოყობა. პატარე თოხით უნდა გაწმინდო ღომი. თოხით უნდა მოქრა გუმბრა. ხელით რომ მოთხრი გუმბრას, ღომი ამოყობა. ამიზა უნდა პატარე თოხი. ღომს უნდა ადრე გამარგლა და გათოხნა. ღომს უნდა ორი თოხი: გამარგლა და გამოროდება.

კენისთვეში დამწიფთება ღომი. რომ დამწიფთება, დეიკავეფ ჭაყვას ხელჩი და მოკრეფ. მერე მუჟყრი თავს ერთ ადგილზე. იმ დამეს დავტოვთ იქინე. დავხურავთ ღომის ჩალით. აბდარი რომ მევიდეს, არ დასოლდეს. მოორე დღეს წემევიღეფთ სახში. ვეიტანთ სხვენზე. ქვეშიდან ცეხლი დიენთება, გაშრება, გახმება. ერი თვეი უნდა გახმობას. რომ გახმება, ჩამევიტანთ ძირს, მიწას გაეწმინდავთ ცოცხით, მოვცოცხავთ ცოცხით. ღომს დავყრით ზეთ და გავფშვნით ტუკით. ტუკს ვევიღეფთ ხელჩი, დავარტყამთ ღომს. გეფშვენება ღომი. მერე წუჟრეკავთ გობზე. მერე ჩავყრით ტომარში, წემევიღეფთ საცეხველაზე. საცეხველე წყლის ჩამურია. ქჟაი აქ იმას. იმ ქჟაში ღომია ჩაყრილი. ამ ქჟას ურთავს ხის საცეხველე. ამ საცეხველას წყალი ამოძრავეფს. ღომი გევიცეხება. რომ გევიცეხება, მერე წუჟრეკავთ, მერე დააბზადებენ და ქამენ.

სიმინდე უმფრო იოლი მოსავლეღია. უმფრო მაგარი სამუშიერია ღომი. სიმინდას დათესავ ფერდ ალაგეფშიც და ქალაშიც. ფერდ ალაგეფს თოხით მოვთოხნით. ქალას ხარით დახნავენ. ჭერ პირად დახნავენ. მოორე კავში მუაყრიენ სათესურ კეკალს და დახნავენ. რომ ამუა, გამარგლიენ, მერე გაამოკრეღებენ. მერე გახმება და მოტეხენ, წამევიღებენ და შეინახავენ სასიმინდეში (წნალიაში).

ჩვენ სოფელში სიმინდე მოდიოდა და ღომი.

ადღეს იყო მაშვინ, დაბალი ვენახი არ იყო. ადღეს აღიოდა თხმეღებზე. ყველა ხეებზე გევიდოდა: ხუმბრე იქნებოდა, ბალი იქნებოდა, წარე ბალი, ფსხალზე და კვიკვიპაზე რეიზა გუჟუმობდენ ვენახს!? არ გუჟუმობდენ. ფსხალი და კვიკვიპე არ ისხებებოდა. ვერ მოკრეფდა კაცი ზეთ, შორე იყო ბოღები, ვერ გევიდოდა. თხმეღე, ხუმბრე და წარე ბალი ისხებებოდა.

ადესე სიდან გაჩთა, ში არ ვიცი. გამბრავლება ასთე იციენ: ადესეს ლერწი რომ იქნება ხეზე გასრული, ჩამეიღეფ იმას და დაამაგინეფ. მოთხრი მიწას ლაფათქით; ეყოფა ერი ბარის პირი; უნდა ჩავდვათ ლერწი შით. ლერწის წვერი უნდა იყოს ხეზე. ძირის კედაროისკენ რომ არის, იმას ჩადოფ მიწაში და დააყრი მიწას. ლერწი ძირს გვიღეფს. მარტში რომ დაამაგინეფ, გიორგობისთვეში მოთხრი და წეიღეფ და დარგავ. ნერგს უნდა შუურჩიო ბოლებიანი ხე, ბოლებზე უნდა ვიტანო ლერწი და დაამბა უნდა ბოლებზე ქინქით.

ადესე სამ წელიწადს მერე გამეისხამს. მესამე წელიწადს გამეიღეფს ნიშანს. როიცხა ნიშანს გამეიღეფს, მერე დეიწყეფს, ყოოლ წელიწადს გამეიმბამს.

ძველათ მარტუე ადესე იყო, მე რომ მახსოვს. ჩვენ სოფელში ჩემსობას ჩხავერი არ იყო. მალამდი ქე ყოფილა. ხეზე აშენებდენ, რავარც ადესას, ისთე.

ახლა გაშენდა დაბალი ვენახი ცოლოკოური. ძველათ ევერ-ავერ ქონდენ. ახლა კოლექტივმა გააშენა.

ყორიფელს კაი ამინდი უნდა. კაი ამინდი თუ დუურჩა, მაშვინ კარქათ გამეისხამს. მასეა ადესეც და ცოლოკოურიც.

სოფ. ბურნათი (კობნარის სას. საბჭო)

109. სიშინდი და ღომი

ჩვენში ფთაგორიანი ადგილია, ტყეებია და ფერდობებია. გავკაფვიდით ტყეს, გავასუფთავებდით; ჩიკეები სადაც იყო, დავაყრიდით განაკაფ ნაქრეფს, დავწვაგდით ჩიკვიანა. დაწმენდილს ქთოხნიდით თოხით. ხარი ვერ გადიოდა შით. ნამეტარი ფერდის გამო ჩიბეში ვიყრიდით კაკალს და ისთე ვრგავდით თითოულათ. ხანდახანდე წყალი ჩამორეცხვიდა. მაშვინ მიწას მივაყრიდით სიშინდს. მიწის გასამაგრებლათ ვიცოდით კანუები. კანო კეთთება ხიდგან. სარეფს დოუსოფთ და გავლობავთ წყნელით ან დიდვან ხეფს გადუუდოფთ, რომ მიწა არ დაჩოჩთეს, არ წევიდეს ქვეით.

სიშინდს უნდა მარგლა და თოხვა. პირველი მარგლაა, მეორე კი — თოხვა. თუ საჭიროებამ მეითხუა, მესამეც უნდა. მესამეს გაწმენდასაც ვიტყვით და — მესამე თოხი უქენიო, — იმასაც ვიტყვით.

სიშინდი რო გახმებოდა, მოვტეხდით და გევიტანდით ზრუგით. ვისაც ცხენი ყავდა, ცხენით მოქონდენ. გამევიტანდით საცხენე ადგილზე და აკვილებდით ცხენზე. მევიტანდით სახში და ჩავყრიდით სასიშინდეში.

ამ ჩვენ არდგილზეში წითესავდით ღომს. მოჭფხეკდით მიწას. მერმეთ დაჭფიწლავდით და თავზე ჩენჯი რო დადგებოდა, მოჭფოცხავდით და გავაკეთებდით კანდოებათ. ღომი ითვისება მოზნევით სკლათ. ამევიდოდა რამოდენიმე ხანში. გავმარგლიდით ამას, დავაშორებდით ერთიმეორეს ხუთ ვერშოკამდის პირველ თოხზე. მორე თოხს უზამდით კიდო და შამუყარიდით მიწას. თუ სკელი იქნებოდა, გამუაკლებდით კიდო ხელით. გეიკეთებდა თაველს. სიმწიფეს რომ შევატყაფდით, თლიანათ მომწიფებულთა, მოკვრეფდით. მივიტანდით ნალიაში. ნალიას ქონდა ჩელტა ან ქერი (ჩელტა დადობილია წკნელით; ქერი პატარვანი გვალი ხეებია). შემდეგ იმას დუუნთებდით ქვეშ ნელ ცეხს. გამოწყვებოდა ღომი. გამოწყობილ ღომს ჩავყარიდით ხულაში (ხულას ზოგი ბელელსაც უძახის. ხულე და ბელელი იგივე იგია). სახარჯოთ რომ მოგვინდებოდა, გავაწყობდით ხელშიორეთ ლასტზე (ლასტი არის წკნელით დადობილი ჩელტი სამკუთხედი, შეიძლება ოთხკუთხედიც, გვალიც). ქვეშ ნელ ცეხს უნთებდით. ზოი მალე გაწყობა, ზოი — გვიან. თავზე რო ხელს მუუჭირებდით და გადატყებოდა ლერწს ზეით, იყო გამომწყვარი. გასაცეხვათ იმას წევილებდით საცეხველზე, ანდა ხელით ვცეხვავდით ჩამურში (საცეხველია წყლით მომუშავე. იმას კაცი არ უნდა, სინამდი არ გეიცეხვება. ჩამურში იცეხვებოდა ხელკავით. ხელკავია მოღუნული ხე. მოღუნულ ხეს ხელით ურტყამთ ჩამურში. შუუძლია ორ-სამ ქალმა იმუშაოს ერთათ. ჩამური იყო ქვისაც და ხისაც. ჩამური აქ საცეხველსაც, მარა იმის ჩამური ვიწუა და მაღალი). თუ გეიცეხვებოდა ღომი, გადავანიავებდით; ნახორი გადაციოდა ცალკე და წმინდა ღომი დარჩებოდა (ნახორი ღომის თაველის ნაფშვენია უკაკლოთ, აფერათ არ ვარგა). ღომს ჩავყარიდით დერგში. დიდი დერგი ქვონდა.

ღომი კაია ინდოურის საცივეზე. ღომის კაკალს ჩავყარით თენჯერაში ან კარდალაში. ღომის კაკალი ქურჭელჩი უნდა იყოს ერთი მეოთხედი. გეიფსება მერე, როცხა მეიხარჩება. ქვილს არ უშობოდით ან პატარას უზამდით შესახელათ. დაშუშთებოდა და დავხელდით ჩოგნით (ჩოგანი გაკეთებულია გვალი ხისაგან). ამევილეფთ საინებზე ან ჯამებზე ლაფერეთ. მერე პაწას წავგრილდებოდა და დევიწყებდით ქამას.

ღომი გადახელილზეც კაია. გადახელილს ვაკეთებდით ფთაში.

სოფ. ონჭიქეთი (ერკეთი)

ამ სოფელში ყოფილა წიფლის ხევები. დიდრუნი ხევები ყოფილიყო. თითო ხეს თითო სახლი ევიდოდა. ხეს მოკრიდენ და დააპობდენ კინებით. ხერხი არ იყო იმ დროს. ამ ხევებით აკეთებდენ ჯარგლურ სახს. ყელს არ უჭრიდენ. ბოყვეფს აკეთებდენ და ბოყვეფში ჩააწყობდენ ფიცრეფს. ფიცრეფს დათლიდენ კინით. ქვეშ სარძიკვლევს დუფლობდენ. სარძიკვლებზე ბოყვეფს დაამაგრებდენ. ამ ბოყვეფში იწყობოდა ფიცრები. რომ ააშენებდენ სამ არშინს (მეტი არ იცოდენ), ჩამუცუმდენ ბოყვეფზე სარტყლევს. მერე იმას სათავეს გუფდებდენ. სათავეზე კავეფს მოკიდებდენ. კავეფზე ჭოკეფს დააწყობდენ და წირეხებით შეკვრიდენ (ამას ქვია დაქოკვა). რომ დაქოკავედენ, მერე ისლს დააყრიდენ. მოყობოდენ ძირიდან და ევიდოდენ სათავეში. სათავეზე რომ ევიდოდენ, დაჯორგავედენ იმას ხევებით. საჯორგავე ხევები იმხელვანი იყო, რომ ორი-სამი კაცი ძულე ვიტანდა. საჯორგავე ხევევს წირეხით გადაკიდებდენ სახურავზე. დამხურავი მარტო ისლს დაადობდა ჭოკებზე და აწორებდა. მორე კაცი მიყობოდა იმას და დაადობდა ისზე ჭოკს, გამოსაკრავ ჭოკს. ჭოკს და ისს აკრავდა იგივე კვენდლით (წირეხით) ქვედა ჭოკზე. ზეიდან დაკრულ ჭოკს გადაიფარებოდა მორე წყარი. ასე ამრიგათ ევიდოდა და დეიხურებოდა სახლი. მერე კარს აკიდებდენ და შევიდოდენ შით (აკოშკა არ იყო მაშინ). კარებათ გათლიდენ ორ ფიცარს. ერთს ერ კედრით აკიდებდენ და მორეს — მორე კედრით. კარები იკიდებოდა აფრებზე (ორი დიდი ღოჭე გაყრილია სარტყელში და ადის სათავემდე; ამ დიდ ღოჭეფს უძახით აფრეფს. აფრა დიდია, ბოყვი მოკლია). კარს ქონდა ზეით და ქვეით დატიებული კოტასავით. სარძიკველი იყო ამოტეხილი, კარის თავზეც იყო ამოტეხილი. ამ ამოტეხილევში ჩულეშობდით კარის კოტეფს და ბრუნავდა კარი. ასთე იყო გაკეთებული მორე ცალი კარიც. ორჟე ერთნაირათ იყო აწყობილი. აფრებზე იყო ბუძე დატიებული მისივე ხეი. ბუძე იყო ამოტეხილი. ბუძე ქონდა ორჟე აფრას. ბუძეში გუფყრიდით გასაყარ ჭოხს, კარეფს რო გამუფგდავდით. ასე (ასთე) იკილტებოდა კარები შიგნიდან. გარედან სხვანაირი დასაკეტი იყო. რომ მუფგდავდი კარეფს, გუფყრიდი პატარა ჭოხს ბასკეფში. ბასკა იყო მიქედილი შინაური გაკეთებული ლუსმანით. ერთი იყო მიქედილი ერ კარზე და მორე — მორე კარზე.

სოფ. წიფნარი

III. ფაცხა და ჯარგვალე

ამ სოფელში ძველათ იყო ტალახით შეღესილი ფაცხა. სარეფს დავასობდით და გაქორკილ წენელს გადავადობდით ზეთ. რომ მუათავებდით ღობვას, ტალახს მოვზელდით ფეხით, წავაჭრდით ისს, მოვზელდით და შევლესავდით. ისლი იჭერდა ტალახს,; არ ჩამოციოდა. დავზურავდით ისევლე ისლით. მერმე შევიდოდით შით და ცეხს დავანთებდით.

ვისაც შეეძლო, ძელს გათლიდა კინით (ზერხი სა იყო აბა!). მერე დავარგვლავდა, ააშენებდა. მაგისანა სახს ვეტყოდით ჯარგვალას. ღობეზე უმფრო მოწონება ჭონდა.

ოდები რომ შამევიდა, ვიქნებოდი ცხრამეტი წლის, მარა ძვირათ იყო ოდა, არ იყო შეძლება.

ფაცხაში და ჯარგვალაში დავასობდით ორპოტიკა ბარჯეს, გავდობდით ზეთ სარს, დავაწყობდით ფიცარს, ცულით გათლილს. დავაგებდით ზეთ ჩალას და დავწობდით. ზოგი ზეიდანაც ჩალას იხურავდა. ზოი ქი იყო დუუხურავი. თუ რამე ეცუა, იმას გადიხურავდა. შუაცეხლი ენთო. რო სიცივე აღარ დააძინებდა, ადგებოდა, შიანთებდა და გათბებოდა. ჩამიყვეინთებოდა და კილომ დიეძინებოდა.

წვიტი შეშა ჭკონდა ნაღობარე და იმით ვასინათლებდით. ჭრაქი კი იყო, მარა ყველას არ ჭონდა.

ხეის საინები იყო ძველათ. ხეის საინში ჭონი იყო ჩასხმული. ამ ჭონში ამუარებდით დაგრეხილ ბამბას. დევიკავებდით ამ დაგრეხილ ბამბას ხელში ან მივაწებებდით ჯორკოზე. ჭონის მაგიორ ნაძვის ძინთსაც ვხმარობდით. ძინთიან ხეს კვარს ვეტყოდით. ცეხლი ეკიდებოდა კარქა. ნაფთი არ იყო მაშინ.

ცეხს ვაჩენდით კვესიდან და აბელიდან. სოკოს მოვზარჩავდით. ერ დღეს იხარჩებოდა, მეტი არ უნდოდა. სოკო იხარჩებოდა ნაცარში.

ჩვენ სოფელს ჭვია შუბანი. ფერდი არდგილია, შვავდებოდა და დიეთქვა შუბანი.

სოფ. შუბანი (ერკეთი)

112. ბელურეს ფეთქება და მიმინოს დაჭირვა-გამართვა

დევიტირავთ ბელურას. ამ ბელურას დავამბამთ ჯოხზე და ვაქუმთ ღოძს. ბელურე მოშინაურდება, ჩემი არ ეშინია. ახლა ამ ჩიტს დევიკავფეთ ხელჩი ჯოხით. ჯოხზე ჟდანა ბელურე გძელი ძაფით. ახლა მინდა, რომ შევიჩვიო და ფეთქება ვასტავლო. ჯოხს წამევიღეფთ და თვითან მოყობა ჯოხს, მოფეთქავს და მოღის. ასთე ვათამაშოთ უნდა ერ კვირეს. კარგათ შეჩოული იქნება მერე. ჯოხი ხელჩი უნდა გეკიროს. ჩიტი დეიწყეფს კარგათ ფეთქავს, ჯოხს გაშორდება. დასვენების დროს დაჟდება ჯოხზე.

აი ჩიტი გამართული კვყავს ახლა. ბადე ბზათაა მიმინოს დასაჭირავათ, ხაზირია. გავალთ კირლოულაზე ან სანისლიაზე. გავაკეთეფთ იქინე ჟვეროის ქოხს. რომ მიმინომ არ დაგვინახოს. ქოხს რო გავაკეთეფთ, ბადეს გავშლით. ქოხი აგერ გვიდგანა, ბადე ქოხის წინაა დასობილი. ჩვენ გამულათ ქოხის უკან და ვიმზირებით, უნდა დევენახოთ, სიდგან გამუა მიმინო. ჩიტი ბადესთანაა. ჯოხი ჩასობილია მიწაში, ჯოხზია მიმბული ჩიტი. საქმელი ქი აქ და ქამს. როცხა დენახავ მიმინოს, შენ უნდა ააფეთქო ჩიტი. მიმინო დენახავს ჩიტს და წამუა ჩიტის შესაქმელათ. რო მუა ჩვენთან, გადავკრავთ ბადეს და დავახურავთ თავზე. დაჭირული კვყავს მიმინო. ბადე არის ორ ჯოხში. ავსწეფ ერ ჯოხს, შუუყოფ ხელს და გამევიყვან მიმინოს. ამ მიმინოს პლატუეკში გამოვხოფთ ღამაზათ, რომ ფხარი არ წულებთეს. ახლა წამევიყვანთ სახში.

მიმინო უნდა მოვხამლოთ: ღამე სანთელთან დევიეწთ ხელზე. ხელზე მეში გვაქ გაკეთებული. ამ მეშს საფუხარს ვეტყვით. ფჩილი ფინთი აქ მიმინოს. თუ საფუხარი არ გევიკეთთ ხელზე, ხელს გვატკენს, დაკვკვანგავს. ორ საათს ღამეს უთეფთ და ხელზე გვიეღანა. თანდათან კაცს ეჩოვა. რო მუაწეფს გამთენიის ხანი, ერთი საათ-ნახევარი ადრე დილას ადგები, ამ მიმინოს დევიეწთ ხელზე, შევიჩოვთ, შამევითენეფთ ხელზე. ახლა დილა რო გათენდა, ზაკუსკა უნდა ვაქამოთ. რომ გეჩოვა მიმინო, საქმელს შენ ხელჩი ქამს. ახლა საქმელს რო ვაქუმთ, დავამბამთ გრილში და წყალს დუუდგამთ ტაშტით. თუ წყურია, დალევს, თვარა — ტანს დეიბანს. მიმინოს დავამბამთ გადალუნულ ჯოხზე, ჯოხს გადავლუნავთ და ორივე თავით დავასოფთ მიწაში. ზეთ დავამბამთ მიმინოს. ახლა თანდათანობით ასთე შევიჩოვთ ერ კვირეში. ერ კვირეში გეიმართება მიმინო, შეგეჩოვა. იმდენი შეჩოულია პატრონზე, შენ გიყურეფს, არ წავა არსა.

შეგეჩოვა კარგათ, გეიმართა მიმინო, საქნიერი ისტავლა. გევიქნეფთ მიმინოს და წავა, დაჟდება ხეზე და გიყურეფს. ახლა მუუქნეფ ხორცს. მიმინო რო დენახავს

ხორცს, წამუა და დაგაყდება ხელზე. ახლა გამართულია მია.

გვიმართა მიმინო. ძალლი კვყავს წყერის მადებარი. ახლა წყერზე მი-
ვდივართ სანადიროთ. ნახავს ძალლი წყერის კვალს. ეძეფს ძალლი. მიმინო
თანდათან უკვირდება და უბზერს ძალს. ააფრინა ძალმა წყერი. გამიეკილება
მიმინო წყერს, დევიკირავს. დევიკირავს ამ წყერს და დადევს მიწაზე და დუუ-
წყეფს პუტვას. თუ დაგიგვიანდა მისვლა, ჭი დუუწყეფს ჭამას. მარა მივალ ხე-
ლათე. ამ მიმინოს წყერი ჭე ყავს ფეხში. ამ წყერს გუუტებ თავს და თვალ-
ტვინს მიმინოს ვაჭუმ. თვალ-ტვინს რო აჭუმ, კისერი რჩება პაწე. იმას ძალს
ვაჭუმთ. ამ მიმინოს ეყენები აქ. ოთხი თვარ ექნება, ორი შინც უნდა ჭონდეს.
მერე თანდათან მივდივართ, ვწყეროფთ. დილას არაა მიმინო ხასიათზე.
აფერს არ ვაჭუმთ სალამომდი. დილას რო ვაჭამოთ, კილომ ვარეს ხასიათზე
იქნება. სალამოს კაი ხასიათშია. სამწყეროთ მივდივართ ნაშვადღევს, რომ მი-
მინოს კარქათ მოშივდეს მანამდი და ხასიათზე მევიდეს.

თუ მიმინომ კაი ხასიათი დევიკირა, კაი მუხლი დუუერჩა, მაშვინ ჩვენ ამ მი-
მინოს არ გუუშოფთ და ძაროში გვეყოლება დანწყტოული მარტიდგან აგვის-
ტომდი. ზამთარში ძაროში არ ვარგა, დაფუხავს (დაქარავს და ფხრეფს ჩამუუგ-
დევს, დააზიანევს). ზამთარში მარტამდი გვეყოლება სანში დამბული. ხორცოუ-
ლობა კაია, უნდა ვაჭამოთ ჩიტი, ძროხის ხორცი, ქათმის ხორცი. ხორცი უნდა
იყოს ძალიანი სუფთაი. გლახა ხორცი არ ვარგა. არც თვითონ ჭამს. რო ჭამოს,
მოკლავს. მარილიანი ხორცი და გუურეცხავი ხორცი იმინუჩი მოკლავს. ბატის,
იხვის, თხის ხორცი არ ეჭომა.

აგვისტოში მიმინო იცვლის ბურდლას, ფჩხილევს, ნიკარტს.

აგვისტოში გამევიყვანთ ამ მიმინოს ძაროიდან, გავმართავთ. რო ჭონ-
და ძალა, ახლა ოთხი იმდენი აქ. რამდენი წელი გვიარს, იმდენ ორ წელს მა-
ტულოფს ცხრა წელიწადს. მერე ყურს აკტება.

ძველ მიმინოს კაბუეტი ქვია, მიორე წლისას. რამდენ ხანს გვეყოლება,
სულ კაბუეტი ქვია.

მიმინოს რო დევიკირავთ, ვატყოფთ: დედალია თუ მამალი, ძველია თუ
ახალი. უნდა დევიკიროთ წროუნდელი მიმინო დედალი. მამალი მიმინო ერცა-
ხია, არ ვარგა. უნდა იყოს ახალგამოტეხილი მიმინო დედალი. ძველი, კაბუეტი,
მიმინო არ ვარგა, ნაბარტყალია იგი. კაბუეტ მიმინოს ვიცნოფთ, ცეხლივით აქ
თვალეები, ბურდლა უმფრო თეთრათ ექნება.

სოფ. ქვემო ერკეთი

113. ხარისა და ცხენის დაჭედვა

ქედლობა ვისტავლე ორ-სამ წელიწადში. ორ წელიწადს უფასოთ ვიყავი. მესამე წელიწადს სამი თუმანი მომცა წელიწადში.

მერე ჯარი მომიწია, ჯარში წივედი. დავამთავრე და მოვედი სახში. მერე მუშოროფ ამ ხელობას. ვაკეთეფ თოხს, კინას (ცულდია კინა), ნაჯახს, წალდს, მანგალს, კოქყურს, ქანგს, კვეს, ლუსმანს, ცხენის ნალს, ხარის ნალს, სახნის, ჯაჰეს (ქუნნის ჯაჰეს).

ჩვენ სოფელში დუუქედელი ხარი არ ვარგა, ქვიანი ადგილებია, ფეხს მოწუავს. დეიქედოს უნდა ხარი, გინდა ცხენი.

მოვექრით ნალ-ლურსმანს, გავახაზირეფთ: გამოვექედავთ დგვემზე ჩაქუჩით და უროით. მარჯვენ-მარცხენე ნალი უნდა გვაკეთოთ. თექქსმეტი ცალი ნალი უნდა და სამოზდაათი ლურსმანი ერ უღელ ხარეფს.

ხარს მუამბამთ რჯლაზე ბაწარს, მერე იმ რჯლაიდან ტუნჩზე მოვზდოფთ ბაწარს; მერე იქიდან უკანა ფეხზე მოვზდოფთ იმ ბაწარს ისთოვლე. მოვსწევთ ბაწარს და ხარი წეიქცევა. მევიტანთ ფეხის გასაკრავ ხეს, გოუყრავთ ფეხს. ავსწევთ ხარის ფეხეფს და ჩამოვდოფთ ოხობიჰაზე ფეხის გასაკრავი ხით. გოუსტორეფთ ფჩხილს ფოლისათალით (||ფოლოის სათალით). როცხა ფჩხილს მოთლი, ფოლოს გამოწმენდ და დაადოფ ნალს ზეთ. დეიდობა ნალი და დეიქედება ლუსმები. რო დეიქედება, გაკრულ ფეხეფს მუაცილეფთ ოხობიჰას, შევსხნით ბაწარს და ჭი ადგება ხარი.

ოხობიჰე კეთდება ორპოტიკე ხეიდან (||ორბოძალი ხეიდან). უნდა გავთალოთ ორპოტიკე ხეი ორი. მერე ერთს გამოვტეხავთ სატეხით ლამაზათ. მიორეს წოუთლით თავს ლამაზათ და გამონატეხში შოუშოფთ, შეერთებება ორჴე, გადაჯვარადინდება.

ცხენს არ უნდა წაქცევა, თუ გადარეული არაა. ცხენს უნდა ამუართვა ფეხი და დაქედო უნდა ისთე.

ცხენის ნალი კეთდება ქართულიც და რუსულიც. ქართული არის დახურული ნალი, რუსული კი დიაა, მოდუნული. ქართული ნალი ზაფხულში ფეხს უხურეფს, ამბოლეფს. რუსული ნალი უკეთესია ზაფხულობით. ზამთარში ქართული ნალი ჯობია, თოლი არ ედობა ფეხზე. რუსულ ნალზე თოლი ეკერება და უშლის სიარულს.

სოფ. შუბანი (ერკეთი)

114. მატყლისაგან ძაფის დამზადება და ქსოვა

მატყლს დავჩეჩდით საჩეჩელზე. მერე დავსტევიდით. მერე წინდისჩხილებზე წქსოვდით. წინდისჩხილევს ვაკეთებდით ქორგის პერწყალით. წქსოდით წინდევს, შარვლევს, ფუფაიკევს. ფუფაიკას ზოგიერთები კაზნალითაც ქსოვდა. კაზნალიც ქორგის პერწყალიდან კეთებდობდა. მატერია არ იშონებობდა. ძალას ვატანდით თავს და მუშობდით ღამე. დღეი სა გვეცალა საქსოვით!

მატყლს დავსტევიდით ჩერიით. მერე იმას მოვძახვიდით, როცხა შივაერთებდით მერე. ახლა ამ მოძახული ძაფით დევიწყებდით ქსოვას. დასტვიანდაჩეჩიანა ერ კვირეს უნდობდი, რო ჩაგეცმია ბალნიზა ტანზე.

გახუჰავდენ ცხვარს მარგატლით. მებატრონეები ჩამეიტანდა ბაზარზე და სოფლიელები ვიყიდდით. ჯერ დავეკვიდით: გამუჰაციდით ხოზიკას, ნაგავს; ვეკვიდით. მერე ვჩეჩდით საჩეჩელზე. საჩეჩელი იყო ქვეშ ხის, ზეით კპილები ქონდა, ათი კპილი იყო დასობილი. იმაზე ვჩეჩდით. დაკეილს (||დაწეწილს) დავჩეჩდით. დაჩეჩილს დავფანტლავდით და ფანტლევს ჩავაწყობ იაშიკში. ერ დაჩეჩვაზე ვეილებდით ორ ფანტელს, ჩავდებდით ყუთში. როცხა დავახაზირებდით, მივადგებობდით და ვსტევიდით. დავამუშავებდით ძაფს. ძაფი ისტეებობდა ჩერიისზე. რო ვსტავდით, უკულმა ვაბრუნებდით. როცა ვატოლებდით ორ ჩერიას ერთათ და დევიწყებდით ძახვას, ვაბრუნებდით წაღმა და ძაფი იგრიხებობდა. ამ ძაფს ვახოვდით მურგათ. მურქს ჩევილობდით ჯიბაში, დევიწყებდით ქსოვას. მარცხენაზე დევიხოვდით ძაფს, მარჯვენეთ მოკყვავდა თვალეები. მარჯვენაში გვექირა ჩხირი ან კასნალი. თანდათანობით ამევიყვანდით თვალევს. რო დავამთავრებდით ქსოვას, მოვთელვიდით იმას საპონში. მოთელვაში თეთებობდა და სქელდებობდა. რომ ჩეიცვამდი, ტანზე გადგებობდა.

სოფ. ჩაისუბანი

115. ვენახის გაშენება

იყო ჩნავერი, ალადასტური, კამური, ოფოურა, ადესა, ქუმუტა, ნოვესვაზი. ხეზე აღიობდა ყველე მაგენი.

მალლარი ვენახი შენდება ასთე: გადმევიბრავლებდით მეზობლის ვე-

ნახს და გავაშენებდით ჩვენთვის. მეზობლიდან გადმევიტანდით ვენახის ვა-
ზეფს. თუ მეზობელს ქონდა ძირიანი ვენახი, გადმევიტანდით და მუშურგავდით
ჩვენ ხეს. თვარ ქონდა ძირი, ვაზეფს ჩავყრიდი მიწაში და ძირს გამუასხმებდი
და ხეს მოვარგავდი მეორე წელს. ვაზს დავგორგლავდი და ჩავდობდი მიწაში.
შემდეგ ძირს გამეისხამდა; მოვთხრიდი და ხეს მივარგავდი, გავაშენებდი ხეზე.
მომცემდა ნაყოფს სამ წელში.

როდესაც მოსაკრეფი შეიქნებოდა, გვეილოდი ხეზე, გიღელს გვეიტან-
დი, გიღელს გავამსებდი და ძირს ჩამუშობდი ბაწრით, ჩავყრიდი გოდორში.
გოდრიდან ჩავყრიდით სამწახელში (||საწნახელში). დავტუკავდი და დავწნებ-
დი. შემდეგ გამევილებდი და ჩავასხამდი ქურში.

ქურზე ხის როგო ქვონდა გათლილი. დავახურავდით თავზე და დავ-
გობდით წითელი მიწით. იმაზე შავ მიწას გადავყრიდით თავზე და წითელ მი-
წას, უმფრო ინახვიდა. რო დეიწმინდებოდა ღვინო, გადვილებდით სხვა ქურ-
ში. სამ თვეს მერე კიდო გადვილებდით.

ჩხავერი ჯობდა ყველას, არამატი ქონდა კარგი, კარგი სასმელი იყო, მა-
გარი იყო. ჩხავერი გალა წითელია.

ოფოურა შავია, წვიტი კეკლები აქ, მაგრათ შეკრული ტევები იცის.
კაი ღვინო გამოდის.

ქუმუტაც კაია. იგიც შავია, წვიტი კეკლები აქ. ღვინოც კარგი იცის,
გლახა არაა.

კამური შავია, კაი ღვინო იცის.

იყო დაჭინებული სმაი. ვსვამდით ყანწებით. კაი მსმელი კაცი დაღვედა
ათ ლიტრას, თორმეტს.

სოფ. გუთური

116. რახის გამოხთა

ყურძენს მოვკრეფდით, დავაყენებდით ღვინოთ. დარჩებოდა ჭაჭა... ამ
ჭაჭას ახლა წვეილებდით წყალზე, გამოვხთიდით ოტკათ. ჩვეიტანდით ჭეფუს
წყალზე. მუაწყობდით ჭეფუს და დავადგმოდით, დავახურავდით თავზე. იმას
მუუდგმოდით ორეს. ორეში წყალს უშობდით. ორეში იყო გაყრილი ლულა.
აი ლულა იყო შეერთებული ჭეაბის თავზე. ორთქლი რო არ გამოსულიყო გა-
რეთ, ჭინჭს ვახოვდით და მიწას. ჭეაბი რო ადუღდებოდა, ორთქლი შედიოდა
ლულაში და იქცეოდა რახათ. ლულა უნდა ყოფილიყო ცივი, სულ ცივი.

ერ დადგმაზე გამევიდოდა ხუთი ბოთლი, ექვსი ბოთლი რახი. ხან ხუთი დადგმა იყო, ხან ექვსი დადგმა.

რახის გამოხთას რომ მუათავებდით, მერე დევიწყებდით ოტკის გამოხთას. რახს ჩავასხმდით ქვაფში ისევე. ქვაბი უნდა ყოფილიყო კაი გამორეცხილი, გამოკანკალებული. ჩავასხმდით ახლა რახს და დავადგმდით ისევე. დუუნთებდით ცეხს. ორეში უნდა ყოფილიყო ცივი წყალი. ლულას ჭურჭელი ედგა, ოტკა რო გამოდიოდა. პირველათ სპირტივით გამევიდოდა მაგარი ძალიანი. მერე უმფრო ბილი გამოდიოდა. რო შემბილდებოდა, დევეთხოვოდით გამოხთას. ოტკით ვისოლეფთ ხელს და უკიდეფთ ცეხს დასოლებულ თითს. თუ აყვა ცეხლი, კაია. თვარ აყვა ხელს, მერე ევიდოთ უნდა.

სპირტს ცაკე ვიდეფთ ბოთში. თუ გამიგალდა, უნდა გავაკეთო, გალა ოტკას სპირტს მივეცემთ. თუ მაგარია, მაშენ რახით ვაკეთეფთ. ჩოუშოფთ ცოტას რახს და გავშინჯავთ.

ოტკა რო გამევიდა, იმის მერე რახი გამოდის. იმას ვინახავთ ოტკის გასაკეთებლათ. ქვაფში დარჩენილ რახს გადავაქცევთ. იგი ახლა წყალია. სიმაგრე, რაც იყო, გამევიდა.

სოფ. საყვავისტყე

117. სკაი

წაბლის ხეიდან ვთლით ბუკეფს, დავდგამთ მალალ ხეებზე, წიფლებზე. წიფლებზე დათვი ვერ აღის. წიფელას მაგარი კანი აქ და ფჩხილეფს ვერ ასოფს შით. სკაი შევა შით და დეიწყეფს მუშოობას. ჩვენ ვნახავთ, რომ არის შით. დალიანობა რომ შეწყტება, გამევიდეფთ თაფს ფიჭიანა. მას საყოფს დუუტიეფთ. სკაი თუ ბეჭრია შით, მაშენ ბეჭური უნდა დუუტიოთ. მოორე წელიწადს ძველი ფიჭები შავდება და ამით ვატყოფთ, რამდონი ეყოფა თაფლი. ძველ ფიჭაზე ახალი წანაშენები შიეტყობა. მერმეთ იქ გადავქრით.

აქიდან გადაგყავს ყუთეფში. გაზაფხულზე გაეხსნით ბუკეფს, ამოვქრით შით თაფლიან ფიჭეფს და წიწილიან ფიჭეფს. იმ მიმართულებით, რაფერც იყო ბუკში, ჩავაკრავთ ჩარჩოფეფში. ჩარჩოებიდგან კი, როდესაც არის დალიანობა, გამოგვაქ და ვწურავთ ციბრუტში. ციბრუტის მოძრაობით იწურება თაფლი.

სკის მუშოობა ცაცხენარ არდგილშია ყვალაზე უკეთესი. კაი ხარისხის

თაფლი გამოდის ცაცხვის ყვავილიდან, მარა სიუხვით აკაცია ჯობია.

ბუკში ერთია დედა ფუტკარი. თუ მეორე გაჩთა, მაშინ გაყოფა ხდება. ძველი დედა გამოდის, ძველი მუშა ფუტკრებიც გამოდიენ და მიდიენ სხოგან; მიაყრის ხეზე. ამას ქვია ბუნებრივი ნაყარი.

ხდება მეორენაირი გაყოფაც. ამას ქვია ხელოვნური ნაყარი. მეფუტკრე ატყოფს, როცა სადღე კვერცხი არის. თუ არ გვინდა გაყოფა, ვშპრით მაშინ სადღე კვერცხვებს, რომ არ გავყოთ და ძლიერი იყოს ოჯახი. თუ გვინდა ხელოვნური გაყოფა, იმ სადღე ფიჭვებს ვაცლით, ამევიღეფთ ყუთიდან, ფიჭიან სადღეს ამევიღეფთ, გადავსვამთ სხვა ყუთში. თან ამუაყოლეფთ კიდომ ორ ან სამ დაკვერცხილ ფიჭვებს. ამავე დროს მეფუტკრე ეცადოს უნდა, რომ გაყოს შუაზე ფუტკარი, რომ სითფო ქონდეს იმასაც და იმასაც. სადღე კვერცხიდან, თუა სითფო დაცული, თავის დროზე გამეიკეკება. დედის გამოყვანა მაშინ ხდება, როცა შესაჯვარებელი მამალი ფუტკრები გამოკეკილია ყუთეფში. აქიდან იწყება ორი ოჯახის წარმოშობა.

მამალი ფუტკრები, ჩვენი დაკვირვებით, უმფრო ბეჭრი ჩიება დედის მესამე წელიწადს შემდეგ. ამისათვის მეფუტკრეები ყოველთვის დაინტერესებულია, რომ ყავდეს ახალგაზდა დედა, თუკი მაშუალეება აქ ამისი. იმიტომ რომ მამალი ფუტკრები, გარდა შეჯვარებისა, არაფრის გამკეთებელი არაა შით. ივლისის თვეში მუშა ფუტკრები კლავენ ამ უმუშეეარ მამალ ფუტკრეფს. ივლისის თვის შემდეგ არ შეიძლება შეჯვარება.

ბუკში არის დედა ფუტკარი და მუშა ფუტკრები. გაზაფხულზე დედა ფუტკარი კვერცხს დადოფს მუშა ფუტკრიზაც და მამალი ფუტკრიზაც და დედა ფუტკრიზაც.

დედა ფუტკარი რომ მოკტეს, უნდა იყოს სათადარიგო დედა. ამისათვის მეფუტკრე იმ უჯრედებიდან, რომელიც სადღე-საკვერცხე უჯრედებია, უდიდეფს სადღე უჯრას. ამ სადღე უჯრიდან მუშა ფუტკრები ეხმარებიენ სადღე უჯრედის ამოშენებაში. მეფუტკრემ უნდა გაქრას ცხელი დანით. გვერდეფს ამუაშენებენ მუშა ფუტკრები. შეიქნება დედის კვერცხის გასაზარლი უჯრა. გეიზდება დედა შით. აქიდან ხდება სათადარიგო დედა. დედა თუ მოკტა, შეიცვალოს უნდა ამით. რომ არ შეიცვალოს, უდღეოდ დეიფსება სკაი. ორიეე რომ იყოს, გეყოფა, ან მოკლავენ ერთმანეთს.

სოფ. წიფნაგვარა (პაიჭისეული)

ქათმის ბუდე წყნელიდანაა დადობილი, გვალია. დაკვიდრეთ კედელზე ბუდეს, შით ჩავდოფთ თიბას, ჩავაწყოფთ კეკალ კვერცხს. დავაჟენთ მოკრუხებულ ქათამს. რომ მეიჭრიხება და ბუდეს არ მოშორდება, მაშინ დავაჟენთ. სამ კვირეს აჟდანა და მერე გამოტეხავს ქუქულეფს. რომ გამოტეხავს, მოორე დღეს ამუაპურეფთ: მიწაზე დავსტამთ და საქმელს დუჟყრით. მერე ჩავსტამთ ისთველე ბუდეში. მოკრუხებული ქათამი ახლა მოქვაა. მოქვა ქუქულეფს უარს. ზოგი მოქვა ცხარი გამოდის, ტიკნა იცის, ვეფერი ვერ წაართუმს ქუქულს.

ყვერული უმფრო კარქათ უარს ქუქულეფს. ყვერული უნდა დაამბა მოქვასან და შეიწოვს ქუქულეფს. მოქვა რომ დუჟტიკტიკეფს ქუქულეფს, ყველური უჟურეფს და იგიც ისთე დუჟტიკტიკეფს. რომ დუჟყრი საქმელს ყველე ერთათ არიენ: ქუქულებიც, მოქვაც და ყვერულიც. ქუქულები ორტეზეა შეჩოული. გამუაშორეფთ ახლა მოქვას და ყვერულს დარჩება ქუქულები. ყვერულს ქუქულს ვეფერი ვერ წაართუმს; მაგარია ყვერული. ქორი თუ დიეცა ქუქულს, ყვერული ეტაკება, არ გაატანს ქუქულს.

მოქვა იქცევა და ადრე ტიეფს ქუქულეფს. ყვერული არ იქცევა სულ და დაყავს სულ, დაზდის დიდრვან ქათმეფს.

ახალგამოკეკილ ქუქულეფს უნდა ვაჭამოთ ქადის ფინჩხალი და დერდილი. რომ მეიზდება ცოტას, მაშინ ქამს პურის კეკალს. რომ გეიზდება, უნდა ვაჭამოთ სიმინდის კეკალი. მერე ყორიფელს ქამს.

მამალს რომ დააყვერულებენ, თვერი ჩუჟქენება.

იხვი ბუდეში არ დოფს კვერცხს. სადაც ანწყტოვია, იქინე დახთება (sic.) კვერცხი დილას. დილას თვარაა კვერცხი დადობილი, თუ გუჟუში, დაკარქავს საცხა. დილას ავხიკავთ იხვის კვერცხეფს, მუჟყრით თავს, რომ შეიქნება ოცი, ოზდაათი, დავაჟენთ ქათამს, გამოტეხავს იხვის წიწილს ერ თვეში. ამუაპურეფთ იმასაც მიწაზე. ვაქუმთ მოხარჩულ ჭინქარს; ქიტილაყეც კი შეიძლება. სინამდი კეკალს არ გადაყლაბავს, მანამდი უნდა ვაჭამოთ ქვილშერეული ქიტილაყე და ჭინქარი.

ეზოს შამუაჟაკეფთ, რომ იხვის წიწილებმა არ გადიაროს და შორ არ გეიქრას და არ დეიკარქოს. ამევიდეფთ ორმეს და ჩუჟსხამთ წყალს შით. ჩაცივა წიწილები წყალში და იბანებენ. მოქვა უარს ორმეზე. სინამდი არ ამუა

წყლიდან წიწილები, ჭი უდარაჯევს იქინეი. რომ ამუა, მერე წვევილიენ (||წვე-
ლიენ) საცხა. მობრუნდებიენ, ჭი ჩაცივიენ ისთველე წყალში; მოკვა უკრუ-
ხავს, უძახის და უტიკტიკეფს, მარა წიწილები არ ამოდიენ, წყალი უჩევნიენ.

ორ თვეს მერე მოკვა დატიეფს წიწილეფს.

თუ კაი მოკვაა (||მოკუაა), ქორმა რომ მუუხთეს, ებდღნება.

ბატი ბეჭრ კვერცხს არ დადეფს. დადეფს რეას ან ცხრას. ძველი ბატი
თუა და მეიკრუხეფს, დავაჟენთ კვერცხზე ბუდეში. ერ თვეს მერე გამოტეხავს
წიწილეფს. იმას ვაჭუმთ მოზელილ ცომს. მოვზილავთ (||მოვზელთ) ჭადის
ქფილს და ცომი იქნება. სამ დღეს მერე გუუშოფთ მინდორში და სულ არ უნ-
და დაპურება. მინდვრათ დეიწყებენ ბალახობას. წყალში ბანაობა იმანაც
იცის.

ინდოური სათუთია, გლახა გასაზარდია. ერი წლის ინდოური დადეფს
ათ კეკალ კვერცხს; ძველი ინდოური თუთხმეტამდი დადეფს. საცხა პირვე-
ლათ დაადებიეფ კვერცხს, იქინე დააჟინო უნდა. იმ ალაქს იქით არც დადეფს
კვერცხს და არც დაჟდება. ტყეში თუ დადვა პირველათ კვერცხი, მუათაოს
იქინე უნდა კვერცხის დება. რომ მეიჭრიხეფს, მერე წამეიყვანო უნდა, ჩააჟინო
ბუდეში და ჩუუწყო ქათმის კვერცხი. ინდოურის კვერცხი სათუთია, ჩატყტე-
ბა. ერ კვირეს უნდა ქონდეს ქათმის კვერცხები, რომ შუუყვარდეს ბუდე.
რომ შუუყვარდება ბუდე, მერე იმას ამუაცლით და მის კვერცხეფს ჩუუ-
წყოფთ. რომ შუუყვარდება, მერე მომთხილება იცის; ჩეიბარება, კვერცხს არ
დავაბიჯო ფეხიო. ერ თვეს მერე გამოტეხავს წიწილეფს. მერე საქმელი უნდა
იმას: ჭინჭარი, მოხარჩული კვერცხის ცილი და პაწე ქფილი უნდა მოზილო
რძეში და აჭამო ხელით, მიწაზე კარ დეიყრება იგი! კვერცხიანი ჭინჭარი და
ქფილი უნდა აჭამო ხუთ დღეს. რძიანი კი — ერ თვეს. ერ თვეს მერე მოხარ-
ჩულ ჭინჭარს და ქფილს მუუხელ წყალში და ისთე აჭუმ. მერე, თავზე რომ
დაყრის კორხელეფს, მერე იგი გამოსულია სათუოდან. მერე სიმინდის კეკალ-
საც და პურის კეკალსაც ჭი ჭამს.

ბეოლის კეკალი კლავს ინდოურის წიწილეფს. არ უნდა მუუშეა ბეო-
ლის კეკალთან.

ინდოურის წიწილები ხუთ-ჟეკეს თვეში გეიზდებიენ და გადიმქნებიენ
ინდოურათ. იმას კი არაფელი სწყენს.

მამალი ინდოური დიდს იზდება და მეტი ხვავრიელია. ისთე დედალს
და მამალს გემო ერთნაირი აქ.

ინდოური უნდა დავკლათ და ამოვქნათ, გავასუფთაოთ; მერე გამო-

ვსწმინდოთ, გამუცალოთ შიგანი, გავრეცხოთ და ჩავდვათ ჩახანაში ან კარ-
დალაში. კაპტანაში ინლოური არ ჩიეტევა. წამოვხარჩოთ, მერე ამევილოთ,
წამუაგოთ (წამუაყუათ) სამფურზე და შეეწუათ ცეხზე. ჩქარ-ჩქარა უნდა
ვატრიალოთ, რომ არ მეიტრეცოს. კარქათ რომ შეწითთება ყოლგან, ვეი-
ლეფთ და დავდეფთ გობზე. დავნაყავთ ნიგოზს ბლომათ, დავქრით ხახვს. ნი-
გოზს რომ დავნაყავთ და ამევილეფთ, მერმე დავნაყავთ ნიორს, ქინძს და პირ-
ბილას. ამას ყორიფელს დავაწყოფთ საინზე. ახლა ავქრით ინლოურს და ჩავა-
წყოფთ კასრულში. ინლოურის ნახარჩა წყალს გადმევილეფთ გობზე, უნდა გა-
დმუაყოლოთ ქენჭი. ყველე ნახარჩე არ უნდა. უნდა შევზომოთ, რამდონი ეყო-
ფა, რამდონ სისკეს ეყოფა ნიგოზი. იმ წვენში ჩავყრით იმ სუნელს და უზამთ
ძმარს, რამდენიც უნდა. მერე წამუადლეფთ. რომ წამოდლეფთ, მერე ჩამო-
ვდგამთ ძირს. რომ გაცივდება, ვკვამთ ლომზე.

ხორციანა რომ წამოდლეფთ, უმფრო გემბრიელი იქნება.

სოფ. ბუენარი

119. აბრეშუმის კეკალი

კოლოფში იყო აბრეშუმის კეკალი. მაგას ქალები ინახავდენ სითფოში.
მერე გამოდიოდა მური, პაწვანი ბობოლი. მერე დააჯენდენ იმას ჩათარაზე.
ხელოვნურათ დაღობილი იყო ჩათარე წკნელით, თხილის წკნელით
გრუალათ, გვერდენებზე აქ წკნელის სალტე კრუგომ, ირგვლივ. იმ ჩათარას
ქვეშ დუფენდენ ქახალდეფს. მერე დააჯენდენ ბობოლს ზეთ და მიცემდენ სა-
კმელს, ბჟოლას. მერე იზდებოდა თანასან ბობოლი. რომ გეიზდებოდა, კილომ
გადასემდენ ნაწილს სხვა ჩათარაზე. აქ აქუმდენ კილომ საკმელს. გამეიცვლი-
და კანს. მერე იზდებოდა. მერე ჩათარედგან გადავსვამდით ჩელტებზე. ჩელტი
გაკეთებულია ხელოვნურათ. დაღობილია წკნელიდან, მარა გვერდენები არა
აქ, ფართეა, სტოლსავით ოთხი კუთხე აქ. აქუმენ სამხელ დდეში. უჩქარის წა-
სკლას. ამოსულია დიდ კანში. დუფდგამენ ხელოვნურ ცახს. ცახათ ცხილეს
ბოლია ფურცლიანი, გამხმარი. ხმელი ქამინიეც კაია. ქამინიე მინდვრის ბა-
ლახია. ამ ქამინიას მევიტანთ ოჯახში, გავახმოფთ, მერე შევკონავთ და ჩუფდ-
გამთ ბობოლს. ბობოლი ადის ზეთ, აკეთეფს პარკს. ვაცლით ექვს-შვიდ დდეფს.
გამოშუშთება. გამოხეყავთ მერე. დავხვეწავთ. რჩება ნაპერტყულე. ნაპერ-
ტყულას ცალკე ხარისხი აქ წუნის სახით.

ბოლოს რომ დარჩება თლა, იმას ვეტყვით ნაბობლარას. ნაბობლარე

გააკეთეთეს პეტრვან პარკს. იმას ცალკე ხარისხი აქ.

სოფ. დობროსუბანი (შუასურების სას. საბჭო)

120. ყაჭის კეთება

მე ვიცოდი კაი ყაჭის კეთება. მომქონდა ნახევარი კაროპკა (იკოლოფი) ყაჭის კეკალი. მევიტანდი და დავდობდი ბალიშ შუა და ბალიშ შუა, სითფო უნდა. მერე გამევიდოდა ბობოლი. მურს უქრიდით ფურცელს მარგატელით და ვაძლევი ყოლ ორ საათში. ღამეც ავდგებოდი და დავაბურებდი. მერე გადავაქენდი ჩაფრებზე, კანში რო ამევიდოდა (ჩაფარე დაღობილია სიმინდის ჩაჩიეთ). ჩაფარაზეც ვაბურებდი ყოლ ორ საათში. მერე დაწობოდა წარბის-კანში. წარბისკანიდან რო ამევიდოდა, გადავსტამდით ჩელტაზე (ჩელტა დაღობილია წკნელით, დიღია). ახლა ვაქუმდით სამხელ დღეში. მერე დაწობოდა დიდკანში. ორ დღეს მერე ამევიდოდა. მერე გადავსტამდით კიდომ ჩელტაზე, გამუუცვლიდით ნაძირას. მერე ვაბურებდით კიდომ სამჯერ დღეში. რვა დღეს მერე ბირს უუზოვთ, კიდენებზე დუულოფთ ქამინიას და ცხილას. შტაზე დუუდგამთ ცახს. ცხილე არის კაი. ცახზე მუულოფ ქამინიას. ბობოლი დეიწყევს პარკს. ერ კვირეში გამოსახეკი იქნება პარკი. ჯერე გამოვბობლავ. თუა ბობოლი დარჩენილი, იმას გამოვბობლავ და სხვა ჩაფარაზე დავსუამ. მერე ხეკვას დევიწყევს პარკისას. ჯერ ჩამევიდოფ ბირსახვიერას, მერე — ცახფეს. ბირსახვიერას და ცახფეს დავაწყოფ ერ სალაკე და გამოვხეკ პარკეფს. კაი პარკეფს ცაკე დავდოფ, ჩხარს ცაკე დავდოფ, დუმფალი რომაა, იმას ცაკე დავდოფ. კას პარკს ჩავაბარეფ; ჩხარსაც ჩავაბარეფ, დუმფალასაც ჩავაბარეფ (დუმფალაში ორი ბობოლია და იმიზაა დიდრვანი). ნაბობარეც რო გააკეთეფს პარკს, ვაბარეფთ იმასაც.

სოფ. კონხარი

121. მური ბობოლი და მისი შორება

მევიყვანთ მურ ბობოლს. მერე გაამეჩხერეფთ, გადასვამ ჩალის დაღობილ ჩაფრებზე, დუუყრი დაქრილ ბეკოლც. მერე ყველა მეხუთე დღეს ამოდის კანში და ვამეჩხრეფთ. რო მეიცვლის ოთხ კანს, მერე დავყრით ჩელტებზე (ჩელტე წკნელისაა, ქი შეიძლება ჩალისაც). ჩელტე დიღია. როცხა ბობოლი

გეზღება, მერე რაღაფერ დიეტევა ჩაფარაზე! რიადფეს დავდგამთ და რია-
დებზე დავაწყოფთ ჩელტეფს და ჩელტებზე დავყრით ბობოლც. ერთ კვირეში
ქამს, ვერ გააძღეფ. მეცხრე და მიათე დღეზე დეიწყეფს წასელას, პარკის კეთე-
ბას, კაი თუა. გლახა თუა, ქი გადაყარო უნდა. მეთორმეტე დღეს ჩერტაზე
აფერი არაა, ბობოლი წასულია, არის პარკი ჟვეროში.

ერთი კვირე რო შესრულდება წასლიდგან, მერე გამოხეკ და ჩააბარეფ.

ნაქექყურე უწინ რჩებოდა სახში. ნაქექყურას გამოხოვდენ ხაპის ფურ-
ცელჩი და დამარხავდენ მიწაში. დალბებოდა იქინე ბობლები და ყაჰს რა და-
ალბობდა! ამეიღებდენ მერე იქიდან, გარეცხდენ საპონით და წყალით. მერე
გააშრობდენ (რო გარეცხდენ, ბილი იყო, გამოგმობა აღარ უნდოდა). დასტავ-
დენ ძაფათ. ამ ძაფს უძახოლით ყაჰის ძაფს. ყაჰის ძაფით კერავდენ ლებეფს და
ძველი ტანისამოსეფს. მაგარი ძაფია ყაჰის ძაფი. ბამბაზე მაგარია მაი.

ყაჰის პირის ასახოვათ კაია გუმბრე და ცხილეს ჟვერო. ქამინიეც კაია,
ჟყვარს ბობოლს. ჩელტებზე შამუუარათ კიდეზე გუმბრას და ცხილეს ჟვეროს.
როიეცხა წასელას დეიწყეფს, მერე ჩოუსოფ შით ცხილეს ჟვეროს. ქამინიასაც
(ქამინიასაც) მუულოფ აგერ-გეგრ. ცახი უნდა იყოს გამხმარი და შრალი.
ნეღლი და სობელი არ ვარგა.

მეთორმეტე დღეს მერე რომელიც დარჩება ჩელტაზე, იმას გამოვბობ-
ლავთ. ნაბობალას დავყრით ცალკე ჩელტაზე. ამასაც დავაყრით ბჟოლას, ეგე-
ბა ქამა აკლია. მერე ამასაც მუუზოვთ პირს, მერე დუულოფთ ცახს. აგიც წა-
ვა. ნაბობალაში ბეტური გამოდის ნაქექყურე.

სოფ. შუაგანახლება

122. მურის გამოყვანა და ყაჰის კეთება

ამ სოფელში ბჟოლე ყოფილიყო ბლომათ და დუუთქმოვიენ ბჟოლიე-
თი. ახლაც ბჟოლი ბლომათაა.

ვაკეთებლით ბეტურ ყაჰს. გამევიყვანლით სახში მურს. ავარჩევლით
კარქს ყაჰს ორმოც ცალს, სამოც ცალს. იმას ავატუმლით ძაფზე. დავკიდებ-
ლით კედელზე. იმ კედელზე ვნახავლით ყაჰიდან გამოსულ პებლეფს. გამოქრი-
და და გამევიდოდენ. ვევიყვანლით იმ პებლეფს და დავსვამლით ქახალდზე. მე-
მრეთ მოვიდოლით და ვნახავლით დაყრილ კეკლეფს; კეკლეფი იყო დაყრილი
ტორობით. მოხვეტლით იმას ხელით და ჩავყრილით ტოფსიკაში. იმას ვინა-
ხავლით თფილათ. შემდექში იგი გამევიდოდა მურათ. რომ დევინახავლით

ბობლათ, მაშინ იმ ტოფსიკას გაჭხნინდით და მურს გამევიყვანდით ქახალდ-ზე და იმას დავესვამდით ჩათარაზე (ჩათარე ქვია იმას, თხილის წყნელით რომ დეილობება, იმას. ჩელტიც თხილის წყნელიდანაა დაღობილი. ჩათარე იმიზა ქვია, პატარაა). შეიძლებოდა დაგვესვა ჩაჩიაზეც (ჩაჩია დაღობილია ჩალის ღერით, პატარვანია). მერე დავეკრით ბჟოლს მარგატელით და დავაპურეთთ პირველ-მორე კანამდი დაქრილი ბჟოლით. ხუთ დღეს მერე ამუა კანში. მერე გადავესვამთ, ნაძირას გამაუცვლით, ქახალდფეს ახალს დუუფენთ და თითო პოწკათ ვევიყვანთ და გადავესვამთ ჩელტზე (||ჩელტაზე). ვაჭუმთ ხუთ დღეს სამხელ დღეში. მერმეთ კილო კანში წობა, მეიცვლის კანს. კილო გადავაქენთ. დუუწყეფთ ხელახლა პურებას (როცხა კანში წევს, მაშინ არ ვაპურეფთ). ახლა დიდკანში წობა. ნაღიდაკანებზე კილომ გადავაქენთ. მაგის კანი თავდება. მეტი გადაქენა არ უნდა. უნდა მარტო პურება. ვაპურეფთ ცხრა-ათ დღეს. მერე ჩუუდგამთ ცახეფს, პირსახეიერას უძახით. პირსახეიერე გვერდებზია, რომ ბობოლი არ გადაცვინდეს. ცახი შუა ადგილზია, რო ბობოლი ვეიდეს ზეით. პირსახეიერათ ვარგა გუმბრა, ქამინია. ცახათ უნდა კაი გამხმარი მუხის ბოლები თავის ფურცლებიანა, ცხილეს ბოლები ფურცლებიანა (თხმელას არ ვხმაროფთ; ნოტიანი). თერთმეტ დღეს მერე ვეთხოვით პურებას. აკეთეფს პარკს. პურებას რო დავანებეფთ თავს, რვა დღეს მერე დევიწყოფთ პარკის ხეკვას. პირსახეიერედგან გამოვხიკავთ პარკს. ცახეფს ჩამოვდოფთ დაბლა და გამოვხიკავთ კილო იმაში პარკს. ნაძირას რო გამუაცლით პარკს, მემრეთ კილომ ხელახლე მივადგებით და გავხვეწავთ ხელით, მუაცილეფთ ბურტყელეფს. მერე იმას გადავარჩეფთ ხელახლა. ხარისხიანს ცალკე ჩავეყრით ქურქელჩი, დუმფალას — ცალკე. დუმფალა უხარისხო პარკია, ფართე პარკია, წელჩი არაა გამოწინწილებული, გამოყვანილი.

ახლა ყველა პარკს ვაბარეფთ. ძველათ გლახა პარკს ვიტეიბდით და ვხარჩავდით. თენჯერაში ჩავეყრდით საპონს დ პარკს. დავასხამდით წყალს. ერ საათში მეიხარჩებოდა. მემრე ამევიღებდით, ცივი წყლით გავრეცხდით მაგრათ. მერე ბარის პირით ამევიღებდით მიწას და ჩავდობდით იმას მიწაში. იყო ერთ კვირეს მიწაში. მერე ამევიღებდით იმას, გავრეცხდით და მივაკიდებდით ლობერზე. ერ კვირეს მერე დავესტავდით ძაფათ ჩერიაზე და ვხმარობდით ძაფათ.

რო რჩება და არ მიდის ცახზე, იმას ნაბობალას უძახით ჩვენ.

სოფ. ბჟოლიეთი

129. ყაჭის თესლი და პარკი

ყაჭს ვაკეთებდით ასეთე: ყაჭის თეს რო მივიღებდით, მეიტანდენ ვაჭრები, იმას გამოვხოვდით სუფთა ქინჭში. მერეთ ცოტა ბამბას შამუახოვდით სითფოის გულიზა. მერე ფეჩს გავათფობდით და ნელ-ნელა ვათფობდით ფეჩს. მომზადდებოდა თესლი, გოუშლიდით თავს იმ ქინჭს. გამევიდოდა მური. მერე გაღვევიყვანდით ფუნის პატარა კელამიდაზე. მერე კევაზდით იქინე ბეოლის ფურცლით. მერე მეიზღებოდა და ჩაფარაზე გაღვევიყვანდით (ჩაფარე მაშვინ დაღობილი იყო წკნელით, ახლა ჩალით ვლობავთ). ჩაფარაზე კანს მეიცვლიდა, გეიზღებოდა ცოტას. მერე ჩელტებზე გაღვევიყვანდით (ჩელტებიც დაღობილი იყო წკნელით, მარა ჩელტები სახლის სიგძვანი იყო). დეიზღებოდა იმ ჩელტებზე. იქავე პირს ოუხოვდით, ცახეფს გოუკეთებდით. წვეიდოდა ხაზებზე, ვეიდოდა ცახებზე და პარკს ვაკეთებდა მერე. მეექვსე დღეს გამოვხეკდით. კაი პარკს ცალკე ქურქელში ჩავყრიდით და ჩავბარებდით ვაჭრებს. გლახა პარკსაც ქი ღებულობდა იი ვაჭრები, მარა ფული ნაკლები იყო იმაში.

ცახათ მუუღებდით ცხილეს პატარა კინწლეფს, გუმბრას. პირის ასახოვათაც იგივე ცხილეს ვევროს და გუმბრას გავახმობდით და მუუღებდით (აბა, ნედლი ხო არ შეიძლებოდა! ჭერ, ბობოლი არ მიეკარებოდა, მერე, იმაში ვაკეთებული პარკი რავა შეიძლებოდა, დასირისტებული იქნებოდა და უფერული). ცახზე ჭერ ვეიდოდა კაი ბობოლი. მერე გლახაც ქე ვეიდოდა. სამ დღეს მერე გამუამანანებდით და ცაკე ჩაფარაზე დავსმიდით გამომანანებულ ბობოლს (ჩელტზე როა დაგვესვა, იმდენეთი არ იქნებოდა). ამასაც პირს ოუხოვდით და ცახს გოუკეთებდით. მერე წვეიდოდა, რომელიც კაი იყო. რომელიც გლახა იყო, ქე მოკვებოდა. ამასაც გამოვხეკდით და მუუმატებდით იმ პარკს.

გლახა პარკი რო დარჩებოდა, ოჯახში აკეთებდენ ყაჭათ. მოხარჩავდენ ნაცარში. ნაცარში გამობგებოდა (რო მეიხარჩებოდა, იმას გამობგოვას უძახოდენ). გამობგოვილ ყაჭს დასტავდენ ძაფათ, ხმარობდენ ოჯახში საკერავზე. მაგარი იყო იი.

სოფ. ჩომეთი (საჭამიასერი)

ჩემი ბაბუე ყოფილა ჩხეტია, დასახლებული ყოფილა სამეგრელოში. სამეგრელოდან წამოსულა აქანე. გვარი შუღუცვლია ბუკიათ და დასახლებულა აქანე.

აქანე ტყე ყოფილა, ხალხი ნაკლები ყოფილა. ტყეი გუჟუკაფავს და დუწყია აქანე ცხოვრება. აქანე ერისთვები იყო. ბაბუაჩემი გამხთარა ყმაი. მამაჩემიც ყმაი ყოფილა. მერე მამაჩემს დუღუნსნია თავი, კაი დიდი ბიჭი რომ ყოფილა. მერმეთ ქალი მუჟუყვანია და უყილია მიწები. მიწები ერისთვიდან იყიდა. მუშოობდა თუთუნს და სიმინდს.

მამაჩემი თუთუნის თესლის დასათესათ მიწას გააფხვიერებდა ნაკელით, ბალახს მუაცილებდა. მერე დაბზადებულ მიწაზე დათესდა. მერე ჩატეთ დაბეკნიდა (||დაბეტკნიდა) საბეტკნი ფიცრით. მერმეთ ოც დღეში ამევიდოდა ნერგი, ბალახიც თან ამოყობოდა. ბალახიდან ვწმენდლით, ბალახფეს ამოვთხრილით ხელით და გადავყრილით. კვირეში ერხელ გაწმენდა უნდოდა გადარგვამდი. ორ თვეში იქნებოდა გადასარგავი.

თუთუნის დასარგავ მიწას კაი გაფხვიერება უნდოდა. მიწას დავხნავდით კავით ორჯელ, მერმეთ დავჩელტავდით. მერე ავკვალავდით. ფოცხვიით იყო გაკეთებული ხეი. იმას გაფხვიერებულ მიწაზე გუჟუსობლით ხელით. დააჩთებოდა გაფხვიერებულ მიწას. მერე მივეყობლით, დავბეტკნიდით (||დავბეკნიდით) ფეხით, რომ მჭერელს არ იეჭრა თუთუნი. ამ დაბეტკნილს გავყობლით თუთუნის სარგავი ჯონით და დავრგავდით. რომ მეიზდებოდა, გავმარგლიდით; მერმეთ გავთოხავდით. მერმეთ დაბლიდან შივატყობლით შეყვითლებას და დევიწყებლით ტეხას დაბლიდან. სამ ტეხას ვატარებლით: ძირი, წელი და თავი. მერე დუყიც ვიცოლით: ლერი ამევიდოდა და იმაზე ფურცელი ამევიდოდა და ვტეხდით იმასაც. მერე დავაწყობლით და ავნეესავდით ბაწარზე. მერე ქვოდა გაკეთებული ხტები და იმაზე ავკილებლით. სამ დღეს გავაჩერებლით ხტას ყაზარმაში. მერე, რომ შეყვითთებოდა, გვეიტანლით ბზეზე, ხმებოდა. რომ განმებოდა, გავაკეთებლით ხეფენგებათ: მოკვეცლით ორხელ სამ-სამ ძაფს და კაკვით დავკილებლით ლანდურზე. მერე იმასაც გვეიტანლით ბზეზე. თლა რომ გაშრებოდა, შევინახვილით ოდის თავზე. ზამთარში ჩამვეიტანლით და ვკეცლით დემებათ. მერე მევიდოდენ მყიდველები და მიქონდენ. ჯერ გააკეთებდენ ცალებათ და მიქონდენ ისეთ.

თუთუნის გასახმობ ხტას მამაჩემი აკეთებდა ოჯახში. სტოლივით მო-

ყვანილი იყო გძელი, იქნებოდა ორი მეტრო, განი იქნებოდა მეტრო-ნახევარი, გაკეთებული იყო რამკასავით. იმაზე იყო მიქედლილი ჯოხები. ჯოხები იყო ჩამო-
ქრილი წალდით და იმაზე ჩამეიკიდებოდა გამართულათ ბაწრები. ბაწრებზე
იყო აცმული თუთუნნი.

ნედმა თუთუნმა იცის ზინთი. ზინთი წებავს ტანისამოს და ხელს. მუ-
შობის დროს ხელს ხანდინან სილაში დევისვრიდით, რომ ზინთი არ მიკვრო-
და.

სოფ. ბუკნარი

125. ხახუტე კეკელიძე

ხახუტე კეკელიძე ცხოვრობდა ზოტში. მას ყავდა ბრავალი სკაი.

ერისთავს ეწვია გურიელი. ერისთავმა შამუღთვალა ხახუტას: — მო-
ვდივართ სამოცი ცხენოსანი. დამხთით ბზათ.

ხახუტე დახვთ ბზათ და გოუწყო სუფრა. სუფრაზე იყო სანთლის ოტ-
კა, სარაჯი, ცხვრის ხორცი, კალმახის თებზი (||კალმახა თებზი). სამოც კაცს
დოუდგა სკამათ სანთლის როგუები. დაედენ და იქეიფენ სამი დღეი და დამე.
მერე სანთლის სკამები საჩუქრათ გაატანა იგინს და გეისტუმრა. იგინი წვეიდა
დიდი მადლობით.

ზოტის ტყე შამუღთვარგლა რამოდენიმე დესეტინა და აჩუქა ფეშქე-
შათ. ცხვარის ტყავზე წააწერა: „აზნაური ხახუტა კეკელიძე“.

შემდექში დეიწყო თათრებმა დამცემლობა. ამ დროს ხახუტას ქონდა
კაჟიანი თოფი. გამეიკიდა ხახუტამ და ორი მოკლა. მესამე ყოფილა ჩამედარი.
დინახენ ერთჟამეთი უცფათ. იმანც გამეისროლა და ამანც გეისროლა. ხახუ-
ტე აქეთ მოკტა და იქით იი თათარი მოკტა.

იმ ალაქს უძახიენ ხახუტეს ნაკლავს.

ხახუტე იყო ჩემი პეპერე, ბაბუეს მამა. ხახუტე რო მოკლენ, ჩემი ბაბუე
წამოსულა აქანე, ბეოლიეთში.

სოფ. ბეოლიეთი

ძველი დროში გადმოდიდოდენ თათრები და მიყავდენ ხალხი ძალით, იტაცებდენ. ხელს უწყობდა ერისტვები.

ამ ხევეში იყო ბულარე მამალაძე. მაგარი გულადი იყო. გამოდიოდა თათრების საწინააღმდეგოთ და არ მარცხდებოდა. მაგას ქონდა იარაღი — მოკლე ლეკური და თან კაჟიანი თოფი. თათრები თუ გადმეიარადა, მაგი თუკი შინ იყო, ნაკლებათ წეიყვანდა კაცს.

ბულარეს სახში არყოფნის დროს მუუტაცებიათ ხალხი. ასულარიენ ფიცროულზე (ფიცროულია ამ გორზე, ვაკე ადგილია ცოტა იქა). გადიარენ იმ გზით და გვეილენ მიორე გორზე გალმა. ახლა იქ ჩაგუბება ადგილია. იქ დუ-უნთიათ ცეხლი.

აი ბულარე მივიდა სახში. დაახვედეს ამბავი: — წეიყვანეს ხალხიო. იკითხა ბულარამ: — რომელი გზით წევიდა აი თათრებიო. ანიშნენ, — ასე წევიდაო. ბულარამ ფიცროულზე რო ვევიდა, დეინახა ცეხლი. ბულარამ მივიდა იმ ცეხლის მახლობლათ და დეინახა, რო დიდი ხორხომელა კაცია, რომელიც თუთუნს სმიდა ჩიბუნით. ტყვეფეს ქონდა ბორკილები ფეხეფში. ბულარამ რომ დოუახლოვდა, გატყდა ჩხირი ფეხის დაბიჯებით. იმ დადიანოღმა (ჩიბუნს რომ სმიდა) დელიაპარიკა: — მევიდენ ლორისქამელებიო. ამ სიტყვის დანთავრება და ბულარეს თოფის სროლა ერთი იყო. თავი წააზრო იმ დადიანოღს. დანარჩენი თათრები გეიქცა. იგი მოკლა. დაქირულები წამეიყვანა ბულარამ სახში.

იმ ადგილს დიეთქვა დადიანოღლისნაკლავი.

ბულარე ყოფილა შემთხვევით ზოტში. წამოსულა თათრები ბულარეს მოსაკლავათ. ბულარას არ იცნობდა. ბულარეზა უკითხავს თათარს: — ბულარე მანახვე, საქმე მაქ მასანო. ბულარას უპასუხია: — ამ წუთში განახვეფო. დაბრუნდა უკან ბულარე, გეიყეთა ტანზე ლეკური და მივიდა. თათარმა შეიკითხა: — რა ქენიო, ნახეო? ბულარამ შოუძახა, — მე ვარ ბულარეო, — და ლეკურიც შამოქრა და მოქრა თავი.

იმ თათარს დაბირებული ქონდა, — ბულარეს თავს მევიტანო, — და თავის თავი დატია.

იმ დროში ხევის ცხოვრები ხალხი იყო მიწაში, გამოქვაბულეფში, რომ თათრეფს აშორებოდა.

დეეცენ ბულარას და დაწვენ სახლი. მამა დავარდნილი იყო ლოგიზე და

მუუქლეს. რაც შეიძლებოდა იომა, გეიყვანა სახლიდან მამა და დამალა ტყეში. თვითონ გადარჩა ბულარე.

ბულარამ ყოლგან გეიმარჯვა. მერე თავის დღით მოკტა. დამარხენ ხევისგორაზე. იქინე არის ძველი ნასახტრი. იქ არის ძველი დროის სასაფლაო.

სოფ. ხევი

127. ბულარე

ბულარეს ყველას ეშინოდა. იმფერი მახვილი კაცი იყო იგი. თუ ბულარე სოფელში იყო, თათარი ველარ შამოდიოდა. ერხელ ბულარე არ დარჩა ამ სოფელში. წუუყვანია თათრეფს ხალხი. ბულარე რო მოსულა, გამოქიდიო, მიწეფია. სადილათ დანქდარი ყოფილარიენ იგინი. დადიანოლი ყოფილა ამ ხალხის უმფროსი. იგი არ სადილობდა, თუთუნს სმიდა და იყურებოდა. ბულარამ გადიხედა, დეინახა აი ხალხი. ბულარამ ესროლა დადინოლს თოფი. მოკლა აი უმფროსი. ახლა წამოცვინდა იი ჭარი და წვევიდა. წვევიდა და, ერ თათარს ქეჩხოში ყავს ბალანე მოკილული და მირბის, ესროლა და მოკლა იი თათარიც. ბალანე დეიქრა, მარა გადარჩა, ცოტა წიეკარა მუხლისთვალზე. მერე დაბრუნდა ბულარე აქეთ. იი ბალანე წამეიყვანა, წამევიდა. დაბრუნდა ხალხი; ვინც ყავდა წაყვანილი, ყველე დაბრუნდა.

მორე ამბავი მოხდა კილო: ჩამევიდა თათრემა, უნდოდენ წიეყვანა ხალხი. გამიეკიდა ბულარემ, ჩაზღია ხონისწყალზე (ხონისწყალი ზოტს ზეითაა ერთი რევი ვერსი). ერ თათარს შამუუტთია უკან, დუუდვია დელეზე პირი და წყალს სვამს. ამ დროზე ბულარე ჩევიდა. ეტევენ ერთქამეთს. დუუუშინენ ჩილი ერთქამეთს. ბულარას ერეოდა სინძლიერით აი თათარი. თათარი დიდი ყოფილა უზარმაზარი. თათარს ქონია დანე წელზე. ბულარამ ამოგლიჯა დანე, კრა მუცელში და მოკლა.

ბულარე იყო მამალაძე. დგანებულა აგერ ახლო ნახევარ ვერსში სატობის დელესან.

სატობის დელეში თებზი შედის და ტობავს: ქვირითას ყრის და მამლავენ.

ამ დინარეს ქვია გუზაბოული. გუზაბოული იცის წვერე, ქაშაპი, კალმახი||კალმახე, ღორჭო, ფრიტე (ფრიტე დიდრვანს არ იზღება).

სოფ. ხევი

128. სიმონე და მისი ლანდი

სიმონა დოლიძემ დამზაფრა ერხელ. მას ზღომებოდა სამსონე წითელაშვილის ნახვა იმერეჩი. მომიყვანეს მე აქანე ჩემსას სახში სიმონე. მე მყავდა მოყვარე იმერეჩი. უნდა მიმეყვანა იმ კაცთან. იგი კაცი მიგვიყვანდა წითელიშვილთან. წვედით, მივედით სატალახიაში. იქინე მას ქონებოდა მაღლა გორზე დათარჯული ხეი. რო დეინახა, იცნო და მითხრა: — დაბრუნდი აწი შენო. აწი კი აეალ მე იქინეო. თვარიანი ღამე იყო. მოლანდებოდა მისი ლანდი. გადმეილო თოფი. ამან რო გადმეილო, ქი გადმეილო ლანდმაც. ამან ხუთი ტყვია ესროლა. ატყტა ძალღების ყეფა სოფელი. გაამბა ხალხმა ყვირილი. მე რომ გევიგონე თოფის ხმაი, დვევიმალე შეკავებულხი, ჩვევიმალე ღობერში. მე მოკლული მეგონა სიმონე. გვეიდა პატარა ხანი და ჩამომიარა. დაბრუნებულეიყო, მერე მე მივიყვანე ისევე მაინძელთან. მორე დღეს წვევიდა იი მაინძელი, მივიყვანა იქოური კაცი და წეიყვანა იმან. მე წამოვედი შინ.

სოფ. წიფნარი

129. თამაშობები

ძველათ წთამაშობდით ჭაკუნობიას, ჯაფარიკას, კენჭობიას, ბულთს, ადობიას, კლასობიას, ბზეკალ-კოდალას, ჩილიკობიას, ქამრობიას (||ლახტობიას).

ჭაკუნობიე ჯოხით თამაშია. ამოვთხრიდით მიწას პაწეს დანეთ ან ჯოხით გვალათ, დავადებდით ზეთ ერ ტკეველა ჯოხს. ხელჩი დვევიკავებდით ორ არშინ ჯოხს და ვისროლიდით იმით იმას. ერთათ ორი წთამაშობდით. დავზომავდით მიწას. ვინც მეტს ისროლიდა, იგი იყო მოგებული. ვინც ვერ ისროლიდა დიდს, იგი იყო წაგებული. ყოლთვინ ერთი კვერ ისროლიდა შორე. ნიზლევი იყო. წაგებულს მოგებულისა უნდა ეყიდა, რაც იყო ნიზლევი. დათქმული იყო ფორა, მაგალითად, ასი არშინი. ვინც უწინ გვეიდოდა ას არშინს, იგი იყო მოგებული. იგი იტყოდა: — მე გავაფორეო (|| მე მევიგეო).

— მე გავაფორე შენო, — კარტხეც ითქმება და ნარღხეც ითქმება. ითქმება ორჯეზე.

თუ უკანულოთ ითამაშებდა რომელივე, იმას არ ჩუჟთვლიდენ, იტყოდენ: — ნიორდაო. დეიწყებდენ ხელმოორეთ თამაშს, თუ გაკუჭებული არ იყ-

ვენ ძან.

ქაკუნობიას ახლა აღარ თამაშობენ.

ჯაფარიკას ახლაც თამაშობენ ბაღნები, პაწიები. ეიღებენ ჭოხს. ჭოხი უნდა იყოს ორი ჯაფარიკობიეს სათამაშოთ. ერთი უნდა იყოს ერთი ტკეველა ჭოხი; მორაე უნდა იყოს სამი ტკეველა ჭოხი. პატარა ჭოხს ქვია რიკა. დიდს ვეძახოდით ჭოხს. ამ ჭოხით ესროლილობით რიკას. ჭოხით გავხაზავდით სათამაშო აღვიღს. იმიდგან შუაზე დავდებოდით ერთი, ერთი მოშორებით იდგა. ვინც ხაზთან იდგა, ჭოხს დეიკაეებდა ხელჩი, რიკას დეიდებდა ჭოხთან ხელზე. პაწას ააგდებდა ზეით და დიდი ჭოხით ისროლიდა, გაკრავდა ხაერში ამ ჭოხს. რიკა ავარდებოდა მაღლა და დავარდებოდა მიწაზე. ხელჩი რო ჭოხი ქონდა, იმას დადებდა ხაზზე. აფხანაკი ეიღებდა რიკას და ესროლიდა ამ ჭოხს. თუ ჭოხს ვერ მუარტყამდა, მაშვინ თამაშის დამწყები აგძელებდა თამაშს: რიკას დააგდებდა ხაზის ახლოს, ცალ თავზე დაარტყამდა ჭოხს და პაწას ააგდებდა ხაერში და გაკრავდა ჭოხს. რიკა გავარდებოდა. თუ შორს გავარდა, მაშვინ კილომ გაკრავდა ორი გზობა. თუ ახლო დავარდებოდა, მაშვინ მორაე აფხანაკი იტყოდა: — ახლო დავარდაო, მე ამაზე გადავტებიო. დანიშვნიდა აღვიღს და გამეიქცეოდა გადასახტომათ. უნდა გადმოხტარიყო ხაზზე. თვერ გადახტებოდა, მაშვინ კილომ ისროლიდა რიკას. სულ სამჯერ უნდა გიეკრა რიკა. მესამე გაკვრაზე საცხა დავარდებოდა რიკა, იქიდან უნდა მიეყვანა აფხანაკს გახაზულთან ძრუგით მოკუქუნებული. იგი იყო მისი სარჯელი. მოგებული იყო ძრუგზე. წაგებულს მიყავდა ძრუგით მოკუქუნებული, დასტამდა ხაზთან. მოგებული დეიწყებდა ხელახლა თამაშს, განაგძნობდენ თამაშს კილომ.

კენჭობიე არის ხელით თამაში: ამუარჩევედენ გვალ ქვეფს, პატარეფს ან თხილის კეკალს. დადებდენ მიწაზე, თითო-თითოს ეიყვანდენ ჭერ. ამასაც ვეტყოდით ერთობიას. მერე იწყებოდა ორობიე. რომ ვიქნევედი კენჭეფს, კარ უნდა დეგეწყო, მოგვეპნია უნდა და აგვეყვანა უნდა ოროლათ. სამობაზე სამი ერთათ უნდა აგვეყვანა, რაც არ უნდა შორი-შორს ყოფილიყო. ერთი ცაკე უნდა აგვეყვანა (იდევეყვანა). ოთხობაზე ოთხი ერთათ უნდა ეგვეყვანა, ოთხობას მერე — გორა. ხუთივე კენჭი უნდა აგვესროლა და ხელის ზრუგით დაგვეკირა უნდა (იდაგვერჩინა უნდა) ხუთივე კენჭი. თუ გადავარდებოდა ერთი, მაშვინ წაგება იყო; მორაე ითამაშებდა. მერე დეიყრებოდა კენჭები ძაღლობაზე. დათქმაზე იყო: ზოი დაწყობით თამაშობდა, ზოი აპნევით. რო დეიყრებოდა კენჭი, ერთ-ერთს დავთქუამდით ძაღს. იგი არ უნდა გაქანებულიყო და ყვე-

ლეს ბოლოს უნდა გვეთამაშა. ერთი კენჭი ეგვესროლა უნდა, იმის ჩამოსვლამ-
დი ერთი კენჭი ეგვეყვანა უნდა და უნდა დაგვეჭირა ასროლილი. თითო-თითო
ეგვექნია უნდა და თითში უნდა გეგვეძვრინა კენჭები ჭერ, ბოლოს — ძაღლი.
თუ ერთი აქნევით ხელი ვერ წამოვკარი და კენჭი დარჩა ადგილზე, ვიტყვი:
— რჩაო. დეიწყეფს თამაშს მოწინააღმდეგე.

ვიცოდით ხელბულთობიეს თამაში. მევიყრიდით თავს ბიჭები და გო-
გუები; ბულთობდით და ვანცობდით. ევიანცებდით ყორიფელს. ზოი ნამე-
ტარი იანცი ბაღანე იყო. იანცი ბაღანე იანცობით იღებდა ყორიფელს. ანწვა-
ლებდა ყველას. ბულთს დეიჭირავდა და არ გვაძლევდა. გავლახავდით და მე-
რე მოქვეცემდა ბულთს.

სოფ. ერკეთი

130. ჩიჩინათალი

დღესასტავლუფს ასთე შევეგებებოდით: მაშენ მარხვაში არ შეიძლე-
ბოდა სახსნილოს ქამა, არც თხოვა-გათხოვა მარხვაში არ შეიძლებოდა, არც
ნათვლა არ შეიძლებოდა. საახალწლოთ ყველაფრით ყმაყოფილი იყო ოჯახე-
ბი. ასთე შევეგებებოდით ჩვენ: მუაწყობდით წინ ღამიდან ყველაფერს; ოქრო-
ულობა თუ ქონდა ოჯახში, კაი ტანსაცმელი თუ რამე ქონდა, ჩაიცმევდა. ხო-
და, ყველაფერი მორთული იყო ჩიჩინათალზე. შამეიტანდა ოჯახის მამაკაცი
სახში.

ჩიჩინათალი გაკეთებული იყო თხილის ბოლიდგან, მორგოლილი იყო
თხილის ბოლი, იგი იყო ჩამოქნილი, როგორც თმაი, ისთე. იმაზე იყო დაწყო-
ბილი ყველაფერი. ოჯახის მამაკაცი რომ შამეიტანდა, ჩამეიარდა სამჭერ სახ-
ში წაღმა. იმას მოყობოდა უკან დოქით ღვინით დაკავებული ბავში. ოჯახის
წევრეფს გვეჭირა სანთელი აკიდებული. ჩიჩინათალს შევარებდით ხელს სა-
მჭერ. ახლა დავუძებოდით ყველე, ჩიჩინათალს კედელზე დავკიდებდით. მამა-
კაცი, თუ იყო ოჯახში, გამევიდოდა გარეთ, თოფს გეისროლიდა. გალოცვა
ქვიოდა იმას. ახლა ოჯახის დიასახლისი გააწყობდა სტოლს და იზაკუსკებდა
ყველე. მერმეთ ეკლესიაზე წვევიდოდენ, წირვას მვისმენდენ.

ზოგიერთი ოჯახი იყო იმისთანა (||იმისთანე), რომ ბძნილობდა: არც
თვითონ მივიდოდა მეზობელთან და არც სხვას მიიწვევდა თავის ოჯახში. ამას
არ იზამდა იმიზა, რომ ბ'რ'ძნილობდა.

მეორე დღეი საქონლის დღეობა იყო. კარგი ფეხის კაცი თუ მეგულუბო-

და მეზობელი, დავპატიუებდი იმას. ქვიოდა ფერხავი.

ახალი წელის და ქათმის ფერხვის ჩამთავრების შემდეგ მოდიოდა ნათლიღება. ნათლიღება დილას ადრე ექვს იანვარს ჩიჩინათალს დაკიდებდნენ სუფთა ალაგზე, მარანზე.

ახალი წლის შემდეგ ყველა ოჯახს უნდოდა კარქი რამე გვეკეთებია, ოჯახის სასარგებლო, სხვისთვის მიესტრო.

ნათლიღებას წირვაზე წვევილოდით. წირვის შემდეგ წყალს აკურთხებდა ღვდელი. მერმეთ იყო შეხვედრა, თოფის ცემა, ერთიმეორეში გართობა. ყველა ოჯახის წევრი წვილებდა ერთ ბოთლ ნაკურთხს წყალს. ყველა ოჯახში სტუმარი იყო, სიხარული იყო.

ახალი წლის და ნათლიღების შედეგები ჩამთავრდებოდა.

ნათლიღების შემდეგ უზნობით იცოდნენ დღესასტაველები. ჩვენ ახალკვირე ვიცოდით. ახალკვირე არის აღდგომის სტორი.

აღდგომას, რაც არ უნდა ღარიბი ოჯახი ყოფილიყო, ახალი ჰინჭი გაკრილიყო უნდა. კვერცხს შევლებავდით, ბავშვებს დუჟურიგებდით (||დაურიგებდით). მერმეთ უზნეფში ყოლგან იყო თავის შეყრა: ცეკვა, თამაში, თავის შეყრა.

სოფ. თავსურები

131. ქორწილი

მამაჩემს ყავდა ხუთი ვაიშვილი. მეექვსე მე ვიყავი გოგო. მე მქონდა განსაკუთრებული პატივიცემა. მარა წერა-კითხვა არ მასტავლა ბებიაშ. ბებიე თაობდა: — ვინცხას წერილს მიწერს და გეილანძლებაო. კლაში არ შემიშუა. რო შევიქენი თერამეტი წლის, შუამავალი მევიდა და მეიყვანა კაცი. ვნახეთ ერთმანეთი. მოგვეწონა ერთიმორე. დეინიშნა ნიშნობის დღე. მევიდენ და მეიტანენ ნიშანი. იქეიფენ. მერე წამევიდენ. დანიშნენ ქორწილის დღეი.

ღეიწყენ ქორწილიზა ბზადება. ტანისამოსი მომიტანა საქმარომ. დავპატივეთ მოყვრები. დავკალით ძროხა, ინდოურები, გოქები, ქათმები. დააცხვენ ხაჭაბურები. გააკეთენ საცივი, გააკეთენ ღომი. გაშალენ სუფრა. მანამდღი წვედით ეკლესიაზე. ჭარბი დაგვეწერა ღვდელმა. მევედით და ქორწილი იყო. იქორწილენ და წამევედით მაყრებით.

აქანეც ქორწილი იყო. ბევრი მაყრები მომყვა. დედამთილი მომეგება კარზე, რო შამევედი; ტკბილოულობა (კამფეტი) ჩამიდვა ბირში, წალმა და-

მაბრუნა: — ბედნიერი იყოს შენი მოსვლაო. მერე დეიწყო მოლოცვები. მოქონდენ საჩუქრები და შილოცავდენ. დავჯექით. ვირჩიენ თამადა (||ტოლიბა-ში). თამადამ გამოთქა სადღინძელუები. პირველათ ჩვენ გვადღინძელა ნეფე-დედოფალი. მერე აღღინძელა წოულუები, მაყრები.

თელი ღამე გაათენენ. დილას სტოლი გეიტანენ გარეთ ეზოში. იქინე სუენ კიდომ. მერე წევიდენ სახში. დარჩა მეზობლები და შინაურები. ავინმა კიდომ იქეიფენ.

მორე დღიდან დევიწყე ოჯახში საქმის კეთება. დედამთილ-მამამთილს ხელ-პირს ვაბანიებდი, წყალს უსხამდი. ბოსტანს ვაკეთებდი.

ბოსტანში ითესებოდა პრასა, მაკიდონი, ნიახური, ქინძი, ცერეცო (||სკლიავი), კამა, ბადრიჯანი, პამიდორი, პირპილე (||წიწაკე), ქონდარი, წითელი ფხალი, კეჟერე, კინტრი, ნესვი, ხაბურძაკი (||საზამთრო), კვანი, წარე კვანი.

წარე კვანი ვაკეთებდა კოპეთ. ქურიდგან წყალის ასოსასხამათ ვაკეთეთ ორკოპეს. ქურიდგან ღვინის ამოსაღებათ აკეთებენ ხრიკას (||კოპეს). ქურს რეცხენ ორჩხუშით. ორჩხუშით კეთებდა ბალის ტყავით ან ქუჩეჩეთ. ქური რო გვირეცხება, ამუამშრალეფთ ოსპილოთ. ოსპილო არის ჯოხზე დახოული ქინქი.

სოფ. ჩომეთი (საქამიასერი)

ლ ე ქ ს ი კ თ ნ ი

(თანდართული ტექსტებისა)

ლექსიკონის აგებულების შესახებ

ლექსიკონში შეტანილ სიტყვებში დაცულია გურულისათვის დამახასიათებელი მორფოფონემატური სტრუქტურა.

ა ფუძემოვნიანი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში ქვემო-გურულში აქვთ -ი (ანწლიკაი), ხოლო ზემოგურულში — ე (ანწლიკე), შესულია ორივე კილოკაეის თავისებურებების დაცვით (ანწლიკა/ე-ი).

ისეთი სახელები, როგორცაა ბოთლი, თაფლი, ისლი, ქუსლი, ცეცხლი, ძაღლი, ბალი, თევზი, ჩაი და სხვები, რომლებიც ბრუნვათა მიხედვით განიცდიან სტრუქტურულ ცვლილებებს (და სწორედ ამიტომ პოვეს მათ ადგილი ამ ლექსიკონში), მოცემულია ტექსტებში დადასტურებული ფორმებით (ბოთში, თაფზე, ისს, ქუსს, ცეხთან, ძაღს, ბაზში, თევს, ჩაზე და ა. შ.).

ზმნები ლექსიკონში შეტანილია მასდარის (საწყისის) ფორმით, თუ ამ შემთხვევაში არ იჩქმალება გურულის ფონეტიკური მოვლენები.

ზმნები, რომელთა მასდარშიც არა ჩანს ამ დიალექტის ნიშანდობლივი ფონეტიკური ცვლილებები, ლექსიკონში ფიქსირებულია მესამე პირის ფორმით: აკტება (შდრ. კლება, მოკლება), ამოქრავს (შდრ. ამოკვრა), გამოქიღია (შდრ. გამოკიდება), ქითხავს (შდრ. კითხვა, შეკითხვა), მოფარავს (შდრ. მოპარვა), გუჟარს (შდრ. გავლა), დააყრია (შდრ. დაყრევინება), იქთა (შდრ. ქმნა), მისა (შდრ. მიცემა), მოსიდა (შდრ. მოცილება), შეწითთა (შდრ. შეწითლება), მი!ზობა (შდრ. მიყოლა) და მისთ

აბდალა/ე-ი 240,13 სულელი.

აბდარ-ი 291,14 ავდარი.

აგაშ-ი 271,30 ადგილის სახელია ჩოხტაურის რაიონში.

აგუნა-ი 196,8 ღვინის ღვთაება. ახალი წლის საღამოს იმართებოდა აგუნას გადაძახება სიმღერით: „აგუნა, აგუნა, გადმევიარეო, ბახვი, ასკანა გამევიარეო. სხვის ყანაში ფურცელიო, ჩვენს ყანაში ყურძენიო; სხვის ქალღვს ვირისთავიო, ჩვენს ქალღვს — ჩერიე და კვირისთავიო“ (ა.ლ.)

ადობია/ე-ი 314,17 საბავშვო თამაშთა ერთგვარი.

აგაკცია/ე-ი 276,12 აკაცია.

აგანთყოფ-ი 148,19 ავადმყოფი.

აზღივლება 246,16 ატირება ბავშვებისა.

აკგანა 271,27 ადგილის სახელია ჩოხტაურის რაიონში.

აკტებ-ა 297,25 აკლდება.

ალაბ-ი 193,13 ალლი (ქველ).

ალიზ-ი მიწა 186,20 ნაცრისფერი წებოვანი თიხა.

ამბოლება 298,27 გახურება (ცხენის ფეხისა). ქართული ნალი ფეხს უხურავს, ა მ ბ ო ლ ე ფ ს.

ამინუჩი 242,12 ამწუთში.

ამოქნა 304,34 გაბღღენა, გაშვლება.

ამოქრავ-ს 197,20 ამოჭკრავს.

ამოსტორებული 205,21 ამოსწორებული.

ამოლიღვა 288,19 ამოჩიქნა.

ამოვლილა ე დ ი თ მიწას.

ამოყობ-ა 229,8 ამოჰყება.

ამოჩენა 151,9 აღმოჩენა.

ამუარებ-ს 295,19 ამოაველებს. ქონში ა მ უ ა რ ე ბ დ ი თ დაგრეხილ ბამბას.

ამფერ-ი 149,32 ასეთი.

ამხან 258,15 ამხანად, ამ დროს.

ანგურ-ი 221,4 აგური.

ანევსვა 310,24 თოვზე აგება ნემსით.

ა ე ნ ე ვ ს ა ე დ ი თ ბაწარზე.

ანტროგ-ს 231,14 ნ. ნტროვა.

ანძისფეხ-ი 218,13 მსხვილი და გაძძლე ხე, საყრდენი, რომელზედაც დგას ოდა სახლის სახურავი (ა.ლ.).

ანწალულ-ი 264,29 აკრძალული.

ანწლიკა/ე-ი 154,3 ანწლი (ა.ლ.).

არაბა: არაბა ურემი-ი 215,6 თანამედროვე ურემი (რუს. арба).

არდგილ-ი 147,16 ადგილი.

არკამ-ი 156,8 ნ. რ ა კ ა პ ი. ჩალდაყი იყო და ა რ კ ა პ ი არ ქონებოდა, წირეხით იყო მიმზღული უღელზე.

არკაც-ი 238,7 არავინ.

არსა 296,30 არსად.

ასვრა 174,27 არევა. ფოცხით უ უ ს - ვ რ ი თ და მერე გავასტორეფთ ასინათლებ-ს 295,17 ანათებს, სინათლეს ჰფენს.

ასულულ-ი 170,28 შეკრილი, ატყეჩილი.

ატკვაჩულ-ი 279,16 ამობერილი კა-

ნი.
აფერ-ი 175,26 არაფერი.
აფერ კაც-ს 242,7 არავის. არ მუუხ-
 მარია ა ფ ე რ კ ა ც ს.
აფრა 294,20 ფიცრული სახლის ამო-
 ღარული დიდი ფიცარი. კარები
 იკიდებოდა ა ფ რ ე ბ ზ ე. დიდ
 ლოჯეს უძახით ა ფ რ ე ფ ს.
 ა ფ რ ა დიდა, ბოყვი მოკლია
 (მთქმელი). შდრ. ქეგლ. ა ფ რ ა².
აფუტება 221,5 აბოლება. უნდა
 უ უ ფ უ ტ ო.
აფხანაკ-ი 274,6 ამხანაგი.
აქ 255,26 აქვს.
აქანა/ე-ი 202,11 აქ.
აქნა 226,2 აქრა, დაქრა (ფრინველისა).
ალურეშება 222,24 მსხვილად და-
 ფქვა.
აშოლლანობა 254,21 ვაჟეაცობა.
აჩარიქვა 195,13 ასო-ასო აქრა (სა-
 კლავისა).
აცაურა-ი 237,22 პატარა მდინარის
 სახელია ლანჩხუთის რაიონში.
აცინტვა 208,18 უკიდურეს ნაპირზე
 დაყენება. ბადეს ა ვ ც ი ნ ტ ა ვ -
 დ ი თ.
აცუმ-ს 279,21 აცმევს.
აქია/ე-ი 165,2 ადგილის (ტყის) სახე-
 ლია ოზურგეთის რაიონში.
აქუმ-ს 177,15 აქმევს.
ახიკვა 303,24 აკრეფა, მოგროვება.
ახინკილება 179,1 ამჩატება. კვერ-
 ცხი ა ხ ი ნ კ ი ლ დ ე ბ ა.
ბაბა/ე-ი 172,18 მამა.

ბაბიდა/ე-ი 157,13 მამიდა.
ბაბიდაიშვილ-ი 243,20 მამიდაშვი-
 ლი.
ბადიშ-ი 157,10 შვილიშვილი.
ბალნიან-ი 268,7 ადგილის სახელია
 ჩოხატაურის რაიონში.
ბანლო 182,7 იგივეა, რაც ბ ო ნ -
 დ ო (ნ.). გავაკეთეთ ბ ა ნ ლ უ -
 ე ფ ს.
ბანკა 232,21 მინის ქილა (რუს. банка).
ბარდანა/ე-ი 268,3 ადგილის სახე-
 ლია ჩოხატაურის რაიონში
ბარქაშა/ე-ი 29,6 პატარა გობი
 (ი. მეგრ., 177).
ბარჯგ-ი 147,2 ბოძი (ი. მეგრ., 109),
 ბარჯი.
ბასკა 219,13 დახერხილი „ლარტყა“
 (რუს. баска; доска).
ბალანა/ე-ი 146,26 ბავშვი.
ბაშფორთ-ი 247,20 პასპორტი.
ბახში 149,32 ბალში.
ბახჩა 174,10 ბაღჩა, ბოსტანი.
ბეგვით გაშობა 216,15 გამოფიტული
 ადგილის დროებით შიტოვება, სა-
 ბალახოდ გაშვება. ვასვენებდით,
 ბ ე გ ვ ა თ გ უ უ შ ო ბ დ ი თ და
 უძახოდით გაშობილას.
ბეზ-ი 151,2 კაჟიანი თოფის ლულაში
 წამალზე დასატენი ჩვარი
 (ი. ქყონ.).
ბელუაიშ-ი 285,17 ტყავის სარტყე-
 ლი, რომლის პირველი ნახევარი
 ორმაგი და განიერია, მეორე კი —

- ცალმაგი და ვიწრო. კარგი ბელყა-
 იშის ფართო ნაწილი ოქრომკედი-
 თაა მოქარგული (ენინ., I, თ. კიკე.,
 257, ს.ქლ.). თურქ. belkays
 (ა. ლ.).
- ბერისკონახ-ი** 269,29 ადგილის სა-
 ხელია ჩოხატაურის რაიონში.
- ბერსელა/ე-ი** 274,34 ბალახია ის-
 ლის მსგავსი (გ. შარაშ.).
- ბერსნალ-ი** 274,34 მთის სახელია
 ჩოხატაურის რაიონში.
- ბერძნისკარავ-ი** 203,12 ადგილის
 სახელია ლანჩხუთის რაიონში.
- ბზადება** 317,26 მზადება.
- ბზათ** 296,8 მზად.
- ბზე-ი** 151,10 მზე.
- ბზეკალ-კოლადა/ე-ი** 314,16 ხის
 პატარა მშვილდ-ისარი, ბავშვების
 სათამაშო (ქეგლ).
- ბზერა** 179,16 ცქერა, ხედვა. ი ბ -
 ზ ი რ ე ბ ა — იცქირება.
- ბილ-ი** 156,3 რბილი.
- ბობოლ-ი** 189,12 კია.
- ბოგა** 167,4 ზღავე.
- ბოგილა/ე-ი** 165,3 ადგილის სახელია
 ოზურგეთის რაიონში.
- ბოთში** 189,20 ბოთლში.
- ბოკონ-ი** 148,8 ფიცრული სახლის
 სასაძირკვლე ღირებების საყრდენი
 ხე. ბოკნეფს ჩავერიდით მიწაში
 (218,3).
- ბოლ-ი** 183,13 ხის ტოტი, შტო.
- ბოლებიან-ი** 292,6 ტოტებიანი.
- ბონდო** 174,25 ხმელი ბალახბულახი,
 საგანგებოდ მოგროვილი დასაწვა-
 ვად (გ. შარაშ.).
- ბოყე-ი** 164,10 კედლის ფიცრების ჩა-
 სასმელი ჩარჩო.
- ბოჩიკ-ი** 241,11 გადასახადის ამკრე-
 ფი (რუს. снорщик).
- ბოცო** 207,19 ეკალ-ბარდით დაფა-
 რული ადგილი. ბ ო ც ვ ე ბ ი ი ყ ო .
- ბოძალა/ე-ი** 272,28 ორკაბა ხე.
- ბოწკ-ი** 185,28 კუბხალი.
- ბოჭკა** 281,5 კასრი (რუს. ნочка).
- ბოჭყა** 277,27 ერთად აზრდილი
 ორი ან რამდენიმე ტოტი (ხისა),
 ბორჯღლი. ბ ო ჭ ა ყ ა შ ი აკეთებ-
 და ბუდეს.
- ბუავე** 227,12 მუავე.
- ბუავისღელე** 278,29 ღელის სახელია
 ჩოხატაურის რაიონში. ერთმანეთი-
 საგან ყოფს ორ პატარა სოფელს —
 კლაგონსა და მამულარს.
- ბუოლ-ი** 188,24 თუთა, თუთის ფო-
 თოლი.
- ბუოლა/ე-ი** 272,5 იგივეა, რაც
 ბ ე ო ლ ი .
- ბუოლნარ-ი** 274,33 მთის სახელია
 ჩოხატაურის რაიონში.
- ბრავალ-ი** 311,10 მრავალი.
- ბრეულ-ი** 148,29 ბევრი.
- ბრუის სხმა-ი** 149,23 თავბრუდახვე-
 ვა.
- ბრძინილობა** 316,29 ცრურწმენით,
 რაიმე საქმის ან სიტყვის თქმის აკ-
 რძალვა, თაკილობა, ტაბუ (ა. ლ.).

ბუკ-ი 301,19 გეგა, სკა (ფუტკრის ბინა).

ბუენარა/ე-ი 271,26 ადგილის სახელია ჩონატაურის რაიონში.

ბულთ-ი 196,25 ბურთი.

ბურდლა 297,22 ბუმბული.

ბურკა 220,17 კურკა.

ბურტყილა/ე-ი 272,9 მცენარეა, ფუჩფუჩა (ა. მაყ.).

ბურჩხ-ი 154,4 ბურჩხა (ბალახი).

ბურძგალა/ე-ი 276,28 ეკლიანი კანი.

ბუტკა 207,2 ჭიხური (რუს. будка).

ბულავაშლ-ი 277,2 ვაშლის ჭიშია ერთგვარი.

ბუძუ¹ 212,21 ფიცრული სახლის აფრაზე ანუ ბოყვზე შეტოვებული ამობურცული ნაწილი (ან მიქედელი ნაფორტი), რომელშიც იყრება ურდული

ბუძუ² 214,17 ურმის ჩალდაყის გვერდზე შეტოვებული ამობურთული ნაწილი (ან მიქედელი ნაფორტი), რომელიც ბორბალს არ უშვებს ჩალდაყთან.

ბუხუტა 276,27 მომსხო.

ბუჭუნდურ-ი 268,3 ადგილის სახელია ჩონატაურის რაიონში.

ბლინკა/ე-ი 183,4 დაბეჩავებული, დაგლანებული, დასუსტებული

გაბლოტვა 215,4 გაფხაჟნა ძლიერ.

გაგალება 301,11 განელება, გარბილება, სიმაგრის დაკარგვა. თუ გამიგალდა (არაყი), უნდა გავაკეთო.

გადაბორხლება 175,7 გადაშლა,

გადახლართვა.

გადაზელილ-ი 232,12 სულგუნი.

გადაკაკალება 189,7 გამეჩხრება.

გადალურსვა 198,32 გადანაბვა.

გადაუდენა 306,8 გადასმა. გ ა დ ა - ვ ა ე დ ე ნ დ ი ჩაფარაზე.

გადარება 260,1 გასვლა, წასვლა. გ ა დ ი ა რ ა კიდევაც ფილარათ.

გადასკიპარქულება 198,30 უხეიროდ, უშნოდ, უხერხულად წაქცევა ან დაჭრომა.

გადასტობა 177,4 გადასწვდება.

გადადუნდულება 247,26 დუდლუნით, ბუტბუტით სვლა.

გადახვევა, გადახოვა 238,11 გადადება. დედაჩემს ეშინოდა, არ გ ა დ ი ე ხ ვ ი ო ს ბაღნფსო.

გადირეფ-ს 284,9 გადაივლებს.

გადმობრავლება 299,28 გადმოპრავლება, გადმონერგვა ბევრისა. გ ა დ მ ე ვ ე ბ რ ა ვ ლ ე დ ი თ მეზობლის ვაზეფს.

გადმორება 146,18 გადმოსვლა.

გადმოხობა-ა 146,19 გადმოჰყვება. გ ა დ მ ო ხ ვ ა ქალი.

გადრეკილ-ი 268,7 ადგილის სახელია ჩონატაურის რაიონში.

გაიარ-ს 153,23 გაივლის. კაცი ვერ გ ე ი ა რ დ ა.

გაიმერულება 181,2 მოთოხნილი მიწის დაფოცხვა, გასუფთავება. სალომე მიწა ჭერ უნდა მეითოხნოს, მერე ფოცხით უნდა გ ე ი მ ე - რ უ ლ ო ს: ფოცხით უნდა ჩატეთ

ვეილოთ და მოვებანტოთ უნდა მონათონნი ბალახი და იი, რაცაა ძირები.

გაკუჭება 242,2 გაჯავრება.

გაკუჭებულ-ი 158,3 გაჯავრებული გალა 300,16 ბაცი, სუსტი, ნელი, რბილი. ჩხავერი გალა წითელი.

გამართვა 296,28 დაწვრთნა, დაგეშვა. ერ კვირეში გეიმართება მიმინო.

გამართულ-ი 296,8 დაგეშილი, დაწვრთნილი.

გამაულობა 256,16 განმავლობა.

გამბრავლება 292,1 გამბრავლება.

გამობობღვა 306,16 ცანზე დარჩენილი ბობლების (ჭიების) გამოკრეფა, გამოშორება.

გამობურკვა 228,15 კურკების მოშორება, მოცილება.

გამოკანკალებულ-ი 301,5 გამოსუფთავებული, კარგად გამოკრეფილი.

გამოკეკვა 176,17 გამოჩეკვა.

გამოკეკილი-ი 179,18 გამოჩეკილი.

გამოკეტებული-ი 152,1 გამოჩრილი.

გამოკობიტება 173,14 მორის ოთხკუთხედად გათლა.

გამომანანება 190,14 მანანების (ნ.) გამოკრეფა, გამოჩრევა, გამოცალკეება.

გამომწნა 175,19 ცივი და ცხელი წყლით აყიროსათვის სიმწარის მოშორება (შდრ. ქიზ. და ქართლ.

გამოსნა).

გამომწვევარ-ი 293,15 გასაცეხვად გამზადებული, გამხმარი ღომი.

გამოქილია 313,8 გამოქილებია.

გამოწვება 293,10 გახმება, გასაცეხვად გამზადდება. ღომი გამომწვევებოდა.

გამოჭეიბურტვა 221,14 მოზელა, გადაზელ-გადმოზელა. გამომწვევიბურტავთ მიწას.

გამოხეკა 306,16 გამოკრეფა, გამოჩრევა, მოგროვება. გამომოხეკპარკედს.

გამოხეკვა 305,29 იგივეა, რაც გამომოხეკა.

გამოხიკვა 230,14 იგივეა, რაც გამომოხეკა.

გამოხინკვა 189,15 ნ. გამომოხიკვა.

გამოხობა 177,17 გამოხუყება.

გაფსება 233,27 გაფსება.

გამტვენ-ი 218,14 გამწვდენი.

განჭჭარება 259,25 გაჯავრება.

გაბიბინება 187,7 სითხით ჭურჭლის გაფსება პირამდე.

გარაყებული-ი 161,2 რაყად (ნ.) ქცეული.

გარაყებული-ი ხეებ-ი 161,2 თავისუფლად გაზრდილი ახალგაზრდა ხეები.

გარგან-ი 214,3 ურდული, შდრ. არგანი.

გარდამიდან 200,4 გარედან.

გასაბარგავ-ი 216,24 გასამარგლი.

გასანახავ-ი 195,19 გემოს გასასინჯად

აღებული ლუკმა ახლადგამზადებული საკმლისა (გ. შარაშ.).
გასართვა 189,10 მოწესრიგება. იტყვიან აბრეშუმის ქიის გამეჩხერებისათვის (გ. შარაშ.).
გახერთება 192,6 იგივეა, რაც გასართვა.
გახიროსნვა 233,4 გასრესა, მოლესვა. ნაღულს გავსიროსნავთ.
გატიალება 277,15 განათება, გათენება (ა. ლლ.).
გაფირალება 259,6 გაყაჩაღება.
გაფორება 314,24 ნ. ფორა.
გაფურცვლა 175,29 შეფოთვლა.
გაქესვრა 164,5 ქესრით (ნ.) გათლა.
გაქიღებოლ-ა 254,7 გაჭკიღებოლა.
გაქნა 178,4 გაბუტვა.
გაქრავ-ს 197,21 გაჭკრავს.
გაქურჩნა 290,8 სიმინდის ტაროს გარჩევა, ფუჩჩის მოცილება. ჩალაზეც გავქურჩნილით
გაშობილა/ე-ი 216,16 დასასვენებლად დატოვებული მიწა.
გაშუშება 170,24 ნელ ცეცხლზე გავლება.
გაჩოჩება 209,24 ნელ-ნელა გაწევა, გადაადგილება.
გაძვრა 178,20 გაქნა, გათქვეფა.
გაძირულ-ი 203,17 ტყის სახელია ლანჩხუთის რაიონში.
გაძრულ-ი 178,22 გაქნილი, გათქვეფილი.
გაწიწვა 193,16 გაწევა, გაქიმვა.
გაწყაბულ-ი 163,14 გამწყრივებული.

გაწყლომა 242,27 გაწყრომა. გუუწყლება.
გაწყობა ღომისა 290,22 ღომის თავთავის ნელ ცეცხლზე მომზადება გასაცეხვად.
გაჟუაჟვა 224,22 გაჟყლეტა, გასრესა.
განაზირებულ-ი 174,30 ნ. ხაზირი
განვეწა 308,21 ნ. დახვეწა.
განიღვა 176,9 ნათესების ხელით გასუფთავება სარეველა მცენარეებისაგან.
განუშტარება 164,4 გაშალაშინება.
განუჟვა 299,10 გაკრეკვა.
გაჯინება 147,14 გაჭიუტება.
გღება 214,1 მიხურვა, მიკეტვა. იგღება — იხურება. კარები იღებოდა და იგღებოდა.
გელ-ი 203,2 მგელი.
გელოურა/ე-ი 276,33 მსხლის ჭიშია ერთგვარი
გერგილ-ი 155,10 ზარმაცი.
გერგილობა 155,8 ზარმაცობა.
გვალიგორ-ი 271,28 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
გვალ-ი პატრიჟანი-ი 174,17 პამიდორი.
გვარჯალაძისნასახლე-ი 203,12 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში
გვზით-ი 161,16 მზითვეი.
გვიმბრა/ე-ი 230,12 გვიმრა.
გვიმბრალა/ე-ი 203,15 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში.

გვინძღ-ი 161,2 გადახლართული
ეკალბარდი, ჭაგი.
გზავრ-ი 159,11 გზავარი.
გოდელ-ი 171,25 ხეზე ყურძნის სა-
კრეფი მოგრძო კალათი (მრგვა-
ლი), ვიწროძირიანი.
გირგოლეთ-ი 202,4 გრიგოლეთი
ადგილის სახელია ლანჩხუთის რა-
იონში.
გლეჯილა/ე-ი 270,27 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
გლიშუმ 253,16 ირგვლივ, გარშემო.
გობეჭოურ-ი 271,28 ადგილის სახე-
ლია, ჩოხატარის რაიონში.
გოგონალ-ი 203,16 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.
გომისფთა 268,8 ადგილის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.
გონჭუხეთა/ე-ი 268,4 ადგილის სა-
ხელია ჩოხატაურის რაიონში.
გორგალა/ე-ი 178,19 სუნელ-სანელე-
ბელი.
გორისგვერდ-ი 206,14 ადგილის სა-
ხელია ლანჩხუთის რაიონში.
გორიცა/ე-ი 171,21 პატარა გოდორი.
გორგოსიალ-ი 250,20 გორაობა შე-
კიდების დროს.
გოროხ-ი 290,2 გორახი, მიწის გა-
მხმარი ბელტი.
გრილ-ი 241,29 ჩრდილი, გრილო, ჩე-
რო.
გულულა/ე-ი 223,7 წისქვილის ქვის
ნახვრეტი (ს. ჟღ.).
გულაბა/ე-ი 277,1 გულაბი.

გულთეთრა/ე-ი 277,9 ციყვი.
გუმბრა/ე-ი 191,5 ნ. გ ვ ი მ ბ რ ა ე - ი .
გუმბრალა/ე-ი 138,17 ადგილის სა-
ხელია ჩოხატაურის რაიონში.
გუნდა-ლოხოსტაკ-ი 193,3 გუნდა-
ლახოსტაკი, გუნდა-ლახუსტაკი —
შავი საღებავი (ქეგლ).
გურგუს-ი 199,30 უწყესრიგოდ შე-
ჩგუფება და ხმაური.
გურგუსილობა 199,30 ნ. გურგუსი.
გურგუსი-ი 250,20 უხეიროდ შეჭვუ-
ფებული.
გურვანეთ-ი 203,13 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.
გურჯ-ი 246,7 ქართველი.
გუჟარ-ს 177,9 გაუვლის.
გუშხამ 263,26 გუშინლამ; რამდენიმე
დღის წინ.
გძელიგორ-ი 268,6 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
გძელ-ი **მატრიქანი-ი** 174,17 ბადრი-
ჯანი.
დააყრია 255,18 დააყრევინა.
დაბზადებულ-ი 310,10 დამზადებუ-
ლი.
დაბოგვილ-ი 268,9 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
დაბღრეჯა 198,22 დაღრეჯა. დ ე ე -
ბ ღ რ ი ჯ ა პირისახე.
დაგოზვა 300,12 ქვევრის თავზე აყა-
ლო მიწის დატკეპნა, — ქვევრის
დაგლესა (ქეგლ).
დაგორგლილ-ი 221,18 დაგორგლე-
ბული.

დაგუბაშება 208,7 შეგუფება, თავ-
შეყრა.
დადიანოლლისნაკლავ-ი 268,10 ად-
გილის სახელია ჩონატაურის რაი-
ონში.
დავინწროება 221,24 დავინწროება.
დაზანგულ-ი 225,10 გატუქუიანებუ-
ლი, დასვრილი.
დათარჯულ-ი 314,5 მონიშნული.
დათვისფხალა/ე-ი 276,19 თამელი.
დათვისფანჩარა/ე-ი 276,31 შვიტა,
მცენარეა (ა. შაყ.).
დათუა-ი 168,29 ხის ჭლიანი საკეტი,
რომელიც მიმაგრებულია შიგნი-
დან კარებზე.
დათუა-ის გასაღებ-ი 168,31 ენიანი
ჯონი, რომლითაც კარები იღება
და იკეტება გარედან.
დათქლეშა 243,16 მაგრად დარტყმა,
დახეთქა. დ უ უ თ ქ ლ ი შ ე ს...
თაეები.
დათქმოვა: დუთთქმოვიენ 267,2
დაურქმევიათ.
დაკეკა 192,29 დაწეწვა.
დაკეკვა 192,29 იგივეა, რაც დ ა -
კ ე კ ა.
დაკეკილ-ი 299,13 დაწეწილი.
დაკვერვა 233,13 დამრგვალება და
გაბრტყელება, კვერის (ნაცარში
გამომცხვარი პატარა მჭადის ან
პურის),სახის მიცემა.
დაკობულება 233,28 კობულით (ნ.)
დაქყლეთა.
დაკოჩება 290,26 სიმძიმისაგან ცა-

ლი მხარის გადაწონა, გადაძლევა.
საცხეველე დ ე ი კ ო ჩ ე ბ ო დ ა.
დაკოჭება 84,5 კოჭის ძელების და-
ყენება.
დაკოხვა 267,28 დასეტყვა. დ უ უ -
კ ო ხ ა ვ ს — დაუსეტყვავს.
დალაპარიკება 281,13 მოლაპარაკე-
ბა.
დამაგინება 182,30 გადაწიდნა.
დამალქაფება 256,4 ჩამობმა, მიბმა.
ცხენი დ ა ა მ ა ლ ქ ა ფ ა ქ ი შ კ ა რ -
თან.
დამაშვა 174,13 დახნული ან დაბა-
რული მიწის გაფხვიერება კავით
ან თონით.
დამაშულ-ი მიწა 174,24 გაფხვიერე-
ბული მიწა.
დამოწმება 260,24 დაბარება. მამამ
დ უ უ მ ო წ მ ა შვილეფს.
დამოწმებულ-ი 261,21 დაბარებუ-
ლი.
დამჭერულ-ი 162,26 ჭერგაკეთებუ-
ლი.
დანებ-ი 261,21 დები.
დანოწლაგება 253,13 დანაძლევება.
დანწყტოვა 285,13 დამწყვედევა.
დ ო უ ნ წ ყ ტ ო ვ ი ე ნ — დაუმ-
წყვედევიათ.
დანწყტოულ-ი 297,15 დამწყვედეუ-
ლი.
დაბანტვა 223,26 დაფანტვა.
დაპატიჭება 317,27 ნ. დ ა ფ ა ი -
ჭ ე ბ ა.
დაპეტკა 310,18 დატკებნა, დაბეკნა.

დაპირადება 289,3 პირველი მოხვნა.

დაპწნა¹ 276,25 ცივი წყლის მეშვეობით სიმწარის მოშორება დროის გარკვეულ მონაკვეთში. „ხანკოლე... წარია, დაპწნიენ წყალჩი და სამ დღეს მერე ჭამენ“ (მთქმელი).

დაპწნა² 210,15 დაწნვა. ერთი და - პ წ ნ ა თმაი — ერთი ნაწნავი თმა.

დაპწნილ-ი 147,23 დაწნული. და - პ წ ნ ი ლ ი (იყო) შკერის წწნელით.

დარეკა 236,10 დაბერტყვა.

დარკილვა 166,22 დაჩრჩილვა (ხისა).

დაროფვა 243,18 დახეთქა, ხმაურით ცემა მაგრად. სარებით დ უ შ რ ო ფ ე ს თავი.

დარლოულ-ი 278,10 დარღვეული.

დასაგდავ-ი 168,28 დასაკეტი.

დასოლება 228,19 დასველება.

დატიება 312,28 დატოვება.

დატიკტიკება 303,10 წიწილების მოსახმობად კრუხის ან ყვერულის მიერ გამოცემული ხმა. დ უ უ - ტ ი კ ტ ი კ ე ფ ს ქუქულეფს.

დატუკვა 300,9 ტუკით დაქყლეტა, დაწნება.

დაურჯაკ-ი 151,3 ტყვიის ჩამოსასხმელი ფორმა (ა. ლლ.).

დაფაიჭება 236,1 დაპატიყება.

დაფენილ-ი 271,23 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.

დაფსება 302,28 დავსება, დაღუპვა, განადგურება, დაბრმავება.

დაფუნჩხვა 179,4 დანამცეცება.

დაფუხვა 297,16 დაქარვა, დაზიანება.

დაფქოვა 289,19 დაფქვა.

დაქთამვა 247,21 დაქრთამვა.

დაქილიშება 218,13 ნაგებობისათვის ქილიშების გაკეთება.

დაქფოვა 222,28 ნ. დ ა ფ ქ ო ვ ა .

დადარულა/ე-ი 268,10 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში

დადილოულ-ი 168,29 დაქდეული.

დაღუნღულება 280,6 დარბილება, ფაფუკად, ნაზად გახდომა.

დაშვანვა 277,14 ფიფქი თოვლის დამძიმება წყლით (გ.შარაშ.)

დაშპობა 178,9 დამძობა (ტყავისა). ბარკალზე ტყავი რომ დ ა შ პ ე - ბ ა, მოხარჩული იქნება.

დაჩელტვა 310,16 ჩელტის გადავლება, — დაფარცხვა.

დაჩილვა 280,6 დაქუცმაცება, დანაწილება წვრილ ერთეულებად.

დაჩიჩვა 215,25 დაჩრჩილვა.

დაქარფალება 261,11 უგონოდ დაყრა, დაცვენა. იგინი დ ა ქ ა რ - ფ ა ლ დ ა ლვინით.

დაქვანგვა 296,21 ბრჭყალებით, ფრჩხილებით დაკაწრა.

დაქოკვა 294,9 შენობის კაეებზე ქოკების დამაგრება.

დაქეინტვა 236,16 დაქყლეტა. ყურძენს დ ა ქ ე ი ნ ტ ა ვ დ ი .

დახევა 174,3 დახერხვა.

დახეულ-ი მასალა 159,23 დახერხილი მასალა.

დახვეწა 192,21 აბრეშუმის პარკისათვის ბუსუსების მოცილება.
დახვთენა 285,6 დახვედრა. დ ა - ხ ვ თ ე ნ ი ა .
დახცივა 219,3 ხიცვების (ნ.) დაწყო-
ბა და დამაგრება სახურავზე.
დახობა 176,32 დაჰყვება.
დახონჭყება 217,9 სიმინდის ტაროს
ოდნაე შეხმობა.
დაჯარგვლა 295,7 ჯარგვალას აშენე-
ბა.
დაჯინებულ-ი 300,22 დაჯინებულნი.
დაჯორგვა 234,6 ჯორგით დატკეპნა,
დაწურვა.
დაგვემ-ი 298,9 გრდემლი.
დედობურ-ი 195,15 დევზელი (ბ.წერ.).
დემა 310,30 რამდენიმე ფოთოლი
თამბაქო, ერთმანეთზე დალაგებუ-
ლი და შეკრული (გ. შარაშ.).
დენა 225,3 დევს.
დვირო 169,11 დირე.
დიდარ-ი 246,22 მდიდარი.
დიდგან-ი 146,1 დიდები.
დიეცენ უნდა 148,1 დაეცვათ უნდა
დინარე 222,19 მდინარე.
დინაშხო 287,31 ფხვიერი მიწა (მზი-
სა და წვიმის მეშვეობით იშლება,
ფხვიერდება). „დინაშხო ფერადო-
ბით სხვადასხვაია. კაი ნოყიერი
რომელიცაა, იი შავია. კას მიწასან
ურევია შით ც ა რ ე დ ი ხ ა შ -
ხ ო ც . ც ა რ ე დ ი ხ ა შ ხ ო ნ ა -
კლებ მოსავალს იძლევა“ (მთქმე-
ლი). შდრ. ქეგლ.

დინაშხო 271,2 ადგილის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.
დობირა-ი 209,5 სოფლის ახლოს
მდებარე ვაკე ადგილის სახელია.
შდრ. ქეგლ., ი. მეგრ. (გვ. 99).
დობირო 268,3 საყანე ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში. შდრ.
ქეგლ., ი. მეგრ. (გვ. 99), ს. ყლ.
დოგვ-ი 174,17 მდოგვი.
დოლა სახლ-ი 168,34 ისეთი სახლი,
რომელსაც არა აქვს მიდგმული
ნაგებობა.
დრუნც-ი 273,32 ტლანქი.
დუმფალ-ი 306,22 ორქიანი პარკი.
დ უ მ ფ ა ლ შ ი ო რ ი ბ ო ბ ო ლ ი ა
და ი მი ზ ა ა დ ი დ რ ვ ა ნ ი .
დუმფალა/ე-ი 190,7 ნაკლები ხარის-
ხის პარკი, რომლისაგანაც შედარე-
ბით მცირე აბრეშუმი ამოიხვევა.
დუნჩი-ი 207,5 ტუჩი.
დუშად-ი 164,24 სახლის ბოძებს შო-
რის გადებული ხე, რომელზედაც
დადგმულია ფანჯრის ხეები.
დღინქელება 149,9; 201,1 დღეგრძე-
ლება.
ებდღნება 304,5 ეტაკება, ეცემა,
მივარდება, შეეჭიდება.
ეთაღრება 274,2 ესაზღვრება (საყა-
ნე ადგილს).
ეკალე 275,1 მთის სახელია ჩოხატა-
ურის რაიონში.
ელ-ი 272,7 იელი.
ელანქე 277,18 ერთ ლანდზე, ერთ

წუთში.
ელარჯ-ი 233,15 სიმინდის ფქვილისა და უმარილო ჭყინტი ყველისაგან გაკეთებული ღომი.
ელიაძისნაყანევ-ი 268,6 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ენგურ-ი 222,6 ნ. ანგური.
ერადგილზე 150,7 ერთ ადგილზე.
ერდონ-ი 171,5 ერთი (ერთნაირი) რაოდენობა.
ერთქამეთ-ი 196,14 ერთმანეთი.
ერიგაყულა 242,5 ერთი წყება. ერთი ნაწილი, ერთი რიგი.
ერიკაკალ-ი 243,6 ერთიც (არც ერთი). უსადილოთ არ გუუშვია ე რ ი კ ა კ ა ლ ი.
ერიცახე 297,29 ოღნავ, მცირე, ძალიან პატარა, — ერთსახე.
ერსალიკა/ე-ი 170,17 ერთ ადგილზე, ერთ ალაგას.
ესთევლე 177,18 ისევ.
ესკერ-ი 160,13 ჭარისკაცი (არაბ. თურქ. ასკერ).
ეყინულავება 150,16 ეჩხუბება, უსიამოვნებას აყენებს.
ეშვან-ი 271,30 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ეჩუა-ი 196,10 ეჩო.
გაიშვილ-ი 317,20 ვაჟიშვილი.
გაკებაშოულ-ი 268,3 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
გაკეოცხანგურ-ი 271,30 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
განა 283,11 აბაზანა (რუს. ванна).

გარცხლ-ი 195,10 ვარცლი.
ვენახიან-ი 275,1 მთის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ვერასფრამდი 270,32 ვერასგზით.
ვერულ-ი 147,31 ველური.
ვერკაც-ი 168,25 ვერავინ.
ვეფერ-ი 235,7 ვერაფერი. ვერ გეიარდა ვ ე ფ ე რ ი (ლაშისლეღე).
ვინცხა 153,4 ვილაცა.
ზარა 195,20 ზარი.
ზატორ-ი 225,6 საკეტი (რუს. затвор).
ზახიტოურ-ი 271,26 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ზგავს 265,12 ჰგავს.
ზედვაკე 268,4 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ზერელე 267,19 ცოტა ზემოთ.
ზვან-ი 203,14 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში.
ზვარე 271,27 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ზინთ-ი 311,5 ფისი. ნედმა (ნ.) თუთუნმა იცის ზ ი ნ თ ი.
ზობა 188,31 გზობა, -ჭერ, ზელ, გზის.
ზოი 155,8 ზოგი.
ზორ-ი 180,20 ძნელი, სიძნელე.
ზოტიმერია/ე-ი 268,6 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ზრუგ-ი 170,21 ზურგი.
ზუზ-ი 163,25 შვერი.
ზურაულ-ი 160,12 კლდოვანი ფენის სახელწოდება, — ფიქალი(?) ცი-

ნის ერკედარო ფენაზე კტეა; კაცი უბაწროთ ვერ აღიოდა. ზ უ რ ა - უ ლ ი ს ფენა ქვია.

თა-ი მთა.

თავარანგელოზობა 148,23 მთავარანგელოზობა.

თავნიორა/ე-ი 276,20 ცხენისკბილა.

თავპანტა 275,30 სოფელია ჩოხატაურის რაიონში.

თავრეჭულა/ე-ი 276,33 მსხლის ჭიშია ერთგვარი.

თაფზე 216,2 თაფლზე.

თალარა/ე-ი 202,25 გაშლილი ნაყანები.

თბილდელე 272,22 საყანე ადგილის სახელია ზემო სურებში.

თებზ-ი 150,9 თეზი.

თედლორულ-ი 274,33 მთის სახელია ჩოხატაურის რაიონში.

თელ-ი 288,14 მთელი.

თელვან-ი 268,5 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.

თენჭერა/ე-ი 293,24 თუჯის ქვაბი.

თერეზო 211,22 თარაზო.

თეფს 205,6 თეფს.

თვარა 148,1 თუ არა.

თვერ 197,25 თუ ვერ.

თვერ-ი 303,21 ბიბილო.

თვითან 203,3 თვითონ.

თიბა 303,2 თივა (ს. ჟლ.).

თითვან 171,29 ნ. თ ე ვ თ ა ნ .

თითის გორებაზე 220,6 თითის დადებაზე.

თიკ-ი 162,21 რიკი; ხეზე შეტოვებულ მოკლე ტოტი.

თისპირა-ი 160,8 მთისპირი (სოფელია ოზურგეთის რაიონში).

თლა 147,27 მთლად.

თოლ-ი 277,12 თოვლი.

თორნე 221,4 თონე.

თონეჩუა/ე-ი 211,17 თონის მსგავსი ეჩო (გ. შარაშ.).

თხემლა/ე-ი 148,4 მურყანი (შდრ. თხემლა/ე-ი).

თხემლარ-ი 203-15 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში.

თხიფსალა/ე-ი 276,7 ხე, რომელსაც გულში აქვს ღრუ.

თხლამ-ი 279,16 ბალღამი, ჩირქი (ვ. ბერ.).

თხმელნარ-ი 271,24 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.

თაპონია 276,25 სოია.

თარმუკა 271,4 ბაზრობა (რუს. ярмарка).

თაშიკ-ი 270,8 ყუთი (რუს. ящик).

თზარბელა/ე-ი 277,5 იზაბელა (ვაზის ჭიში).

თი 189,19 იგი; ის.

თკეკემა 225,2 ნ. მოკეკემა

თკეშტ-ი 272,31 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.

თმლოლ-ი 243,3 იმდენი.

თმლონეთ-ი 234,9 იგივეა, რაც ი მ ღ ო ლ ი .

თმიზა 147,19 იმიტომ; იმისთვის.

ომინუჩი 222,11 იმწუთას, მაშინვე.
ომტონ-ი 207,13 ნ. ი მ დ ო ლ ი.
ომფერ-ი 281,4 ისეთი, იმგვარი.
ინგრენა/ე-ი 276,31 გრეხილი მცენარე (გ. შარაშ.).
ინოყება-ა 180,7 ნესტიანდება; ღორწო ედება. ყანიები ი ნ ო ყ ე ბ ო - დ ა სისობლით.
ისტე 147,22 ისე.
ისტოვლე 174,31 ისევ
ისტოლდე 172,25 იგივეა, რაც ის - თ ო ვ ლ ე.
ისრ-ი 147,22 ისლი.
ისს 295,3 ისლს.
იქთა 283,4 იქმდა, იზამდა.
იქობამდი 159,28 იქამდე.
კაბუსტო 174,21 კომბოსტო (რუს. капуста).
კავ-ი 162,22 შენობის სახურავის ხე, რომელზედაც ეკვრება (მაგრდება) ლარტყები.
კაზნალ-ი 299,3 ნ. კ ა ს ნ ა ლ ი.
კაკალ-ი 151,10; 176,10; 230,18 მარცვალი; ცალი; თესლი.
კალანდა 162,13 ახალი წელი.
კამა 230,23 ახალგამოსული ქიის გადასაყვანი ცახი. შელოდდება კ ა მ ა ზ ე. კ ა მ ი დ ა ნ გადავსვამთ კერძოთ.
კამინია/ე-ი 231,11 ქამენია, ქამანია (ა. მაყ.).
კამარა/ე-ი 215,2 ზეწარი (ლარტყა), რომელიც ჩამოცმულია ურმის ქალებზე (სარებზე).

კამინია/ე-ი 307,16 იგივეა, რაც კ ა მ ი ნ ი ა.
კამპეტ-ი 195,18 კანფეტი.
კანდრან-ი 206,27 კონტრაქტი, ხელშეკრულება (ლათ. contractus რუსულის გზით).
კანდო 293,3 ბულულა, პატარა ზვინი, ჩენჩოს პატარა გროვა.
კანო 292,24 ფერდობ ადგილზე მიწის გასამაგრებელი საშუალება (ხეები ან ღობე), დაჩოჩებული მიწა რომ არ დაცურდეს ქვევით.
კანოლ-ი 242,3 კანონი.
კანუა-ი 230,22 მარლა.
კაპეტ-ი 180,18 ყამირი.
კაპიტანარ-ი 274,17 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
კაპუეტ-ი 297,26 ძველი მიმინო.
კაპჭანა/ე-ი 169,19 პატარა ქვაბი, კარდალი.
კარ 148,22 კი არ.
კარაბა-ი 212,16 ხე, რომელზედაც იდება კარის ყური.
კარაბინ-ი 168,17 კარის ყურის შესაყრელი.
კარაჭინ-ი 192,27 მატყლის ძაფისაგან მოქსოვილი წინდა..
კარდალა/ე-ი 172,22 კარდალი.
კაროპკა 188,21 კოლოფი (რუს. коринка).
კარსაგდაგ-ი 214,16 ურდული.
კარჩხალ-ი 269,9 კლდე, ტიტველი მთა.

კას 175,8 კარგს.
კასნალ-ი 193,18 ყაისნალი.
კასრულ-ი 305,8 ქვაბი (რუს. кастр-
пыль).
კატამუნა/ე-ი 276,15 ხედ იზრდება,
ვარგა შეშად.
კატარ-ი 154,6 სიმინდისა და ბალა-
ხის ყვავილი (წვერი).
კატაყვერა/ე-ი 276,26 ონტკოფა (ა.
მაყ.).
კატისციხე 273,24 ჩოხატაურის რა-
იონის სოფელ სამებაში არსებული
დიდი ქვაბი, რომელშიც ხიზნობის
დროს ხალხის შედიოდა.
კაცისთავა/ე-ი 276,33 საშემოდგო-
მო მსხვილი მსხალი (ა. ლ.).
კედარო 160,12 მხარე.
კეკალ-ი 151,10 ნ. კ ა კ ა ლ ი .
კელამიდა/ე-ი 309,5 პატარა კეცი
(ჩვეულებრივ — თიხისა).
კენაწილ-ი 154,22 წიდა.
კეხისკან-ი 189,25 მეორე კანი.
კვან-ი 318,12 გოგრა.
კვეთ-ი 232,14 დვრიტა.
კვენდლ-ი 214,9 დაგრეხილი წნელი,
წირეხი (ნ.).
კვერ 146,9 კი ვერ.
კვერცხის ცილ-ი 179,3 კვერცხის
გული.
კვიჭიბნარ-ი 278,9 ბარდნარი. აი
გორი დაფარული იყო კვიჭიბნა-
რით, ეკალით, ჩირქვებით.
კვიჭიჭა/ე-ი 275,32 ტყის წვრილი

მსხალი, პანტა (ი.მეგრ. 196).
კილობანა/ე-ი 268,6 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
კილომ 238,15 კიდეც.
კიკაჩა/ე-ი 211,3 ყურძნის ჯიშია ერ-
თგვარი, ახლა გადაშენებულია (ა.
ლ.; ქართ. დიალექტ. 1961, გვ.
658; შ. ნიყარ.).
კიკიკი-ი 199,1 იგივეა, რაც კ ი ნ -
კ ი ბ ა ი .
კინა 298,4 ცული.
კინკ-ი 279,21 კონკი, ძონძი.
კინკიბა/ე-ი 279,17 ლავიწი.
კინტრ-ი 318,12 კიტრი.
კინწალ-ი 309,15 უწვრილესი რტო
(მცენარისა) (ქეგლ).
კირლოულა/ე-ი 268,4 ადგილის სა-
ხელია ჩოხატაურის რაიონში.
კიჭნარა/ე-ი 203,15 ადგილის
სახელია ლანჩხუთის რაიონში.
კლარტა/ე-ი 154,4 კლერტა, გლერ-
ტა.
კლასობია/ე-ი 314,16 საბავშვო თა-
მაშია ერთგვარი.
კლიავ-ი 174,15 ცერეცო.
კო-ი 202,26 რკო.
კობზ-ი 270,13 კოვზი.
კობულ-ი 196,10 ყურძნის საწნეხი
(ხმარობენ საარაყვე ვაშლის საყე-
ვა-დაც), შამპანური ღვინის ბოთ-
ლის ფორმისაა, გამოთლილია ხი-
საგან).
კოდ-ი 223,12 გულგამოთლილი ხის
მორი, შვეულად დამდგარი, რო-

მელშიც კოდის წისქვილისათვის წყალს აგუბებენ (გ. შარაშ.).
კოდმე 150,25 ამაღლებული ნაპირი.
კოკორა/ე-ი 191,3 პატარა კვერი (მჭადისა, პურისა).
კოკოტია/ე-ი 273,12 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
კოკოც-ი 271,26 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
კონან-ი 222,10 ბინა (შდრ. თურქ. *конаг*).
კონწორონ-ი 227,22 კვაწარახი.
კოპე 184,12 ქვევრიდან ღვინის ამოსაღები, აყიროს გრძელტარიანი ქურქელი.
კოპიტ-ი 154,1 იფანი.
კოპურ-ი 272,22 საყანე ადგილის სახელია ზემო სურებში.
კორტ-ი 272,12 კორდი.
კორხვლებ-ი 304,26 ინდაურის თავზე დაყრილი მუქეჭები, კოჭიყები.
კოტა-ი¹ 164,8 რიკი. ძღლეფს გუშაქეთებენ კოტას.
კოტა-ი² 217,5 სიმინდის ტარო.
კოტაურ-ი 274,33 მთის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
კოტონ-ი 271,25 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
კოშია/ე-ი 174,20 რბილკანიანი პატარა გოგრა (ს. ჟლ.).
კოჭობა/ე-ი 221,25 პატარა ქოთანნი (ი. მეგრ., 181).
კოჭუურ-ი 298,3 კარ-ფანჯრის ჩამოსაკიდი რკინა.

კოხ-ი 267,27 სეტყვა.
კოხნარა/ე-ი 287,24 მოყვითალო ხორაში (ნ.) მიწა (მთქმელი).
კრაოტ-ი 218,3 ტახტი (რუს. *кравать*).
კრიბუჭ-ი 156,14 კიბრუჭი.
კტე-ი 153,8 კლდე.
კურკანტელა/ე-ი 161,2 ეკალას ნაყოფი.
კურკუტ-ი 226,20 ღომში გუნდად შეკრული ფქვილი, — მურკლი.
კურუშკა 282,30 ტოლჩა (რუს. *кружка*).
კუსოკ-ი 226,3 ნაჭერი (რუს. *кусок*).
კუშტულ-ი 173,6 ვიწრო ბოლო.
კუჭკათ 276,13 გზუფად, გროვად (რუს. *кучка*).
ლაგინა/ე-ი 172,22 პატარა დოქი (ს. ჟლ.).
ლანდურ-ი 310,28 სახლის ქვედა დირე (ვ. ბერ.).
ლაფათქა 229,2 ბარი, ნიჩაბი (რუს. *лопата*).
ლაფერა/ე-ი 224,1 ფქვილისა და ღომის ამოსაღები დიდი ბრტყელი კოვზი, — ჩოგანი.
ლაფნარ-ი 203,17 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში.
ლაღა 220,24 პატარა სწორი ჯონი, რომელიც იხმარება საწყაოს გადასასმელად, — სილაჯალი (ნ.).
ლაღაგადანმულ-ი 217,22 სილაჯალგადანმული.

ლაშე 268,12 მლაშე.
ლაშე 203,13 ადგილის სახელია ლან-
ჩხუთის რაიონში.
ლაშისგორი-ი 268,13 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
ლაჩაქ-ი¹ 152,10 ლეჩაქი.
ლაჩაქ-ი² 192,13 იგივეა, რაც როგა-
ბაი (ნ.).
ლანჭუკორიან-ი ფაცხა 162,17 მიწა-
ზე დადებულ ოთხ ნაჭერ ხეში ჩა-
სობილი სარების მქონე ფაცხა;
შდრ. ლაჭუკორ-ი (ქველ).
ლახტობია/ე-ი 314,16 ლახტობა.
ლეკენჩხალ-ი 272,4 ნეკერჩხალი.
ლედვიან-ი 203,17 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.
ლედვნარ-ი 274,33 მთის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.
ლიგინა/ე-ი 219,28 ურდული.
ლივერ-ი 255,15 რევოლვერი.
ლივნივ-ი 212,8 ნ. კავი.
ლინგა/ე-ი 169,19 თუჯის პატარა სა-
წყლე.
ლიცვ-ი 204,30 კუნელი.
ლიცვნარ-ი 203,14 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.
ლოგინ-ი 154,11 ხის ძველებური სა-
წოლი.
ლოპერა/ე-ი 227,28 ქაფი.
ლორ-ლორათ 279,15 ზოლ-ზოლად,
ზოლებად. დანარტყამი აითა
ლორ - ლორათ.
ლოზოსტაკ-ი 193,3 ნ. გუნდა -
ლოზოსტაკი.

ლუკუმხა/ე-ი 156,3; 276,11 ხეკრე-
ლი (ა. მაყ.; ქველ).
მაგიორ-ი 238,20 მაგიერი.
მაგიორში 239,17 სამაგიეროდ.
მაინძელ-ი 314,11 მასპინძელი.
მაკიდო 174,15 ოხრახუში.
მაკიდონ-ი 318,10 იგივეა, რაც მ ა -
კ ი დ ო.
მაკივარ-ი 155,22 დამკივლებელი.
მალამდი 205,13 მანამდე, ძველად,
წინათ.
მამაწმინდისღელისპირ-ი 268,4
ადგილის სახელია ჩოხატაურის
რაიონში.
მანანა 189,14 ზრდაში ჩამორჩენილი
და ცახზე დაგვიანებით ასული აბ-
რეშუმის ქია (გ. შარაშ.).
მანგალ-ი 298,5 ნამგალი.
მარა 147,14 მაგრაბ.
მარგატელ-ი 299,10 მაკრატელი.
მარკვალ-ი 173,20 სამკვალა, მანკვა-
ლი.
მარხვილ-ი 154,7 მახვილი, ბასრი.
მაქამდი 190,12 მანამდე, ადრე, წინათ.
მაქანა/ე-ი 274,17 მანდ.
მაქობამდი 224,1 მანამდე.
მალნარ-ი 268,2 ადგილის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.
მაციცაის ფხალ-ი 174,20 ნ. მ ი -
დ ა მ ო დ ა ს ფ ხ ა ლ ი.
მაქახელა/ე-ი 207,9 კაქიანი თოფი,
„ძველებური გრძელლულიანი თო-
ფი (აკეთებდნენ სოფელ მაქახელ-
ში, ქვემო აქარაში, ჭორახის ან-

ლოს)“ (ქართ. დიალექტ., გვ. 658).
მაჯისწყარო 283,22 წყაროს სახელია მთაში სურების ზემოთ (ჩოხატაურის რ.).
მებუტკე 207,2 მეჯიხურე.
მეთაღრე 158,23 ყანის მოსაზღვრე, ყანის მეზობელი.
მეშარია/ე- 242,17 მგზავრი.
მეშიში- 173,5 იგივეა, რაც ხ ი - მ ე ნ ჯ ი (ნ.).
მიდამოდას ფხალ- 174,19 ღოღო.
მივე 207,6 მივეცი.
მიმბმა 221,23 მიმბა.
მინდ- 224,3 დაფქვის საფასური მარცვლის სახით (ქართ. დიალექტ., 1961, გვ. 620).
მინკლოვა 277,18 მიკვლევა.
მიროი პოსოდნიკ- 275,20 მომრიგებელი შუამავალი (რუს. миротвои посредник).
მისა- 223,20; 255,18 მისცა.
მიწანელა/ე- 193,2 საღებავი მიწა ერთგვარი.
მიწენწყება 163,11 ოდნავ მიკარება, მიღება.
მიწის ცერცვა- 174,18 ცერცვია ერთგვარი.
მიხობა- 149,10 მიჰყვება.
მიხონდენ 147,7 მიჰქონდათ.
მოხნეულ- 289,4 მოპნეული.
მოღგუნვა 178,5 გაპუტული ფრინველის მღუღარეში ამოვლება.
მოდულა/ე- 180,17 ნაყანები მიწა,

გამოფიტული.
მოკეკვა 224,26 წისკვილის ქვების გადაღესილი ხორკლების აღდგენა წალკათით (გ. შარაშ.).
მოკუნცხულ- 264,6 მოკუნტული
მოკუქუნებულ- 315,20 ზურგზე მოკიდებული, ზურგზე შემოგდებით აყვანილი (ნ. გ. შარაშ., ზ უ - კ უ ტ უ რ ი).
მოლორტყილ- 269,21 დაქაობებული, ხავსიანი.
მომამა 229,2 ნ. დამამა.
მომთხილება 304,20 მოფრთხილება
მომოდულება 216,22 გამოფიტვა (მიწისა).
მონწყროულ- 268,30 მომწყვდეული.
მოპანტვა 175,25 მოფანტვა.
მოფრობა 232,26 ნელი დუღილით ნადუღის მომზადება (გ. შარაშ.).
მორება 176,30 მოვლა. მ უ ლ ა რ ს ქუქულეფს.
მოროდ- 288,23 გათოხვა.
მორჩხილ- 203,18 პატარა მდინარის სახელია ლანჩხუთის რაიონში.
მორწყალ- 272,2 პატარა მდინარის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
მოსარტყვლა 218,12 ნაგებობისათვის სარტყელის გაკეთება.
მოსვრა 232,15 არევეა, მორევა. მ უ - უ ს ვ რ ი თ ხელით.
მოსისა- 253,28 მოსწია.
მოსილდა- 242,25 მოსცილდა.

მოსინვა 228,3 სპილენძის ჭურჭლის მწვანე საწამლავით დაფარვა (გ. შარაშ.).

მოსრება 146,17 მოსწრება.

მოსრობა 159,10 ნ. მ. ო. ს. რ. ე. ბ. ა.

მოსტორება 228,18 მოსწორება.

მოტოლვა 192,30 ორფად ახვევა.

მოტრუცვა 305,4 მოტრუსვა, დაბრაწვა გარედან (შიგნით — უმი). ინდოური ჩქარ-ჩქარა უნდა ვატრილოთ რომ არ მეიტრუცოს.

მოფარავ-ს 241,28 მოჰპარავს.

მოქნევა 296,32 გაქნება, ამოძრავება.

მოქნა: ფჩხილის მოქნა 185,18 ფჩხილის მოქრა.

მოჩირქვა 288,22 ჩირგვების მოშორება.

მოჩხოროზ-ი 196,19 ახალფრთაშესხმული წიწილა, შეფრენა რომ შეეძლება (ი. ჭყონ.).

მოჩხოტილ-ი 191,6 ხელით გაცლილი ფოთლები.

მოძახვა 192,32 დართული ძაფის კიდევ (უფრო მსხვილად) დართვა (ა. ლ.).

მოძახულ-ი 299,8 მსხვილად დართული ძაფი.

მოწეკვა 175,16 მოწევეტა.

მოწიწვა 285,20 მოწევა, მოზიდვა, მოქაჩვა.

მოწონიება 185,15 დაწვდენა, ჩამოწევა ბოლის. (ნ.) მ. ე. ვ. ი. წ. ო. ნ. ი. ე. ფ. თ. კაკვიტ. ციცამ ბჟოლის ბო-

ლი მ. ე. ი. წ. ო. ნ. ი. ა და ყაჭიზა ფურცელი მოჩხოტა — ქალიშვილმა თუთის ტოტი ჩამოსწია და აბრეშუმის ქიისათვის ფოთლები ჩამოშვლიბა (ჩამოაცალა ხელის მოსმით ერთნაირად).

მოწყვეთ 210,10 მოწყვეტით, უცებ.

მოჭაკულ-ი 220,5 მოკაკული, მოლუნული.

მოჭვა 176,26 კრუხი.

მოხაზირება 247,12 მომზადება.

მოხამლვა 296,19 გაწვრთნა. მიმინო უნდა მოეხამლოთ.

მოხარჩვა 178,23 მოხარშვა.

მოხარჩულ-ი 178,9 მოხარშული.

მოხვა-ა 240,16 მოჰყვა.

მოხინკვა 227,24 მოგროვება, აკრეფა.

მოხინწვა 226,9 ღერდილისათვის ჩენჩოს მორთმევა.

მოხინწულ-ი 226,10 ჩენჩომორთმეული, გასუთავებული ღერდილი.

მოხობა 205,20 მოჰყვება.

მოხრანგვა 206,5 მიყრა-მოყრა.

მოხრანგულ-ი 206,7 ტყის სახელია ლანჩხუთის რაიონში.

მოხურულა/ე-ი 169,2 სახლის გვერდზე მოდგმული ნაგებობა. გვერდით მოხურულაი სახლი.

მოხურხულოფ-ს 281,3 მოჩუხჩუხობს.

მოხუქვა 251,23 მოკრეკვა.

მურ-ი 188,31 ახალგამოსული აბრეშუმის ქია (ქეგლ).

მურგ-ი 192,31 მრგვალად დახვეული
ძაფი ან თოკი (ს. ჟღ.).
მულღუფა 236,22 „მოჭარბებული
შავი“ (მთქმელი).
მუშაკინთ-ი 164,3 სახაზავი. „მუშა-
კინთი სახაზავია“ (მთქმელი).
მუცლის სალოცავ-ი 194,6 მრგვალი
ღვეზელი, რომელსაც აქვს მთელი
კვერცი და ცოტა ყველი.
მუჭკა 181,8 სათესლედ შერჩეული
ლომის თაველების კონა.
მუჭუთა/ე-ი 268,7 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
მუნხარებ-ი 271,24 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
მუნხურ-ი 206,25 სოფლის კუთხე,
უბანი (ი. მეგრ., გვ. 97).
ნაბერდ-ი 271,28 ადგილის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.
ნაბობალა/ე-ი 308,32 ცახზე გაუს-
ვლელად დარჩენილი ჭია.
ნაბურავ-ი 167,24 სახურავი.
ნაგომარ-ი 271,28 ადგილის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.
ნაგულა/ე-ი 289,15 სიმინდის ტა-
როს მარცვალგაცილი გული
(ს. ჟღ., ა. ლლ.), ნაქუჩი.
ნად-ი 216,28 მამითადი.
ნადურ-ი 216,28 სიმღერაა, რომელ-
საც მამითადი მღერის.
ნადუქნარ-ი 268,9 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
ნაკორტალა/ე-ი 289,15 ნაკორტალა,
ნაქუჩი; იგივეა, რაც ნაგულაი (ნ.).

ნაკონარ-ი 248,18 პატარა მთის სა-
ხელია ლანჩხუთის რაიონში.
ნალია/ე-ი 182,2 სასიმიანდე.
ნამუხალეგ-ი 274,34 მთის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.
ნაპერტყულა/ე-ი 190,11 აბრეშუმის
პარკის გარშემო დახვეული ბუმ-
ბული (გ. შარაშ.).
ნარა/ე-ი 276,27 მინდვრის მხალია
(პ. გაჩ.), ეკლიანია.
ნასამებგარ-ი 273,20 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
ნასვენებ-ი 271,24 ადგილის სახელი
ჩოხატაურის რაიონში.
ნასხემა/ე-ი 192,19 ხის ჩამონაჭერი
ტოტი.
ნატეხ-ი 203,13; 274,34 ადგილის სა-
ხელია ლანჩხუთის რაიონში; მთის
სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ნატმოურა/ე-ი 271,3 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
ნაფაცვარ-ი 271,27 ადგილის
სახელია ჩოხატაურის რაიონში.
ნაფოშტარ-ი 270,7 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
ნაქალაქეგ-ი 268,9 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
ნაქომარა/ე-ი 203,13 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.
ნადელობ-ი 203,16 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.
ნალობარა/ე-ი 295,17 ნალობარი,
ლობედ ნამყოფი წვრილი შეშა.
ნაყა 150,9 წენგო.

ნაცარა/ე-ი 276,26 იგივეა, რაც
ქო რ ა ფ ა ი (ნ.).

ნაცარე ვაშლ-ი 277,3 ნ. შ ა ვ ი
ვ ა შ ლ ი.

ნაცრისძალ-ი 190,20 ნაცარტუტა.

ნაძვებოძალა/ე-ი 272,27 ადგილის
სახელია ჩოხატაურის რაიონში.

ნაძირა/ე-ი 189,7 აბრეშუმის ჭიის
ჩელტზე დაგროვილი ნაგავი (გ. შა-
რაშ.).

ნაწიკვ-ნაწიკვ-ი 199,27 ნაკუწ-ნაკუ-
წი.

ნაწიფა/ე-ი 203,12 ადგილის სახელია
ლანჩხუთის რაიონში.

ნაჭა 193,3 ნაჭი, წენგო.

ნაჭამა/ე-ი 153,25 ნაჭამი (საქმლის
ნარჩენი).

ნაჭარ-ი 198,4 ნაჭერი.

ნაჭეჭყურა/ე-ი 191,19 იგივეა, რაც
ნ ა ჭ ყ ა რ ტ უ ლ ა ე - ი (ნ.).

ნაჭიანებ-ი 271,28 ადგილის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.

ნაჭყარტულა/ე-ი 190,21 აბრეშუმის
ჭიის ცული პარკის ამოხვევის შემ-
დეგ დარჩენილი უვარგისი ნაწილი.

ნახარჩა/ე-ი 305,8 ნახარში.

ნახმერდლ-ი 189,30 იგივეა, რაც ნა-
ძირაი (ნ.). — ჭუჭყი, ნაგავი.

ნახორ-ი 293,21 ღომის გაცეხვის შემ-
დეგ დარჩენილი ქერცლები (ს.
ჯღ.); ნაცეხვის ანაბერტყი (საბა).

ნაჯოგჭარ-ი 275,1 მთის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.

ნელმა 311,5 ნელმა.

ნეკ-ი 214,21 ძველებური ურმის
(ფიცრის ურმის) ის ნაწილი, რომე-
ლიც ჩამოცმულია ხმალზე (ნ.).

ნელისპირ-ი 198,17 ნელა, ნელ-ნე-
ლა, დაწყნარებით, მშვიდად. ნ ე -
ლ ი ს პ ი რ ი თოვს.

ნენა/ე-ი 159,11 დედა.

ნეგა/ე-ი 172,32 თუჯის თუნგი (ს. ჯღ.)

ნეგვზნარ-ი 203,12 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.

ნეგოზა/ე-ი 203,16 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.

ნეკარტ-ი 297,22 ნისკარტი.

ნელურ-ი 288,29 თოხისა და წალდის
წვერი.

ნეშანი 172,6 სიგრძის საზომი პატა-
რა ერთეული, — ციდა.

ნეჩორდა 314,29 არაფერი (რუს. ни
черта).

ნოლა 167,5 „ახალგაზრდა პატარა
ხე“ (მთქმელი).

ნოყო 180,7 დამდგარი, ლორწომო-
დებული წყალი (ს. ჯღ.).

ნტროვა 231,14 მტვრევა. ა ნ -
ტ რ ო ვ ს.

ობისკ-ი 255,22 ჩხრეკა (რუს.
обисск).

ობლისეულ-ი 275,2 მთის სახელია
ჩოხატაურის რაიონში.

ოგვადო 190,19 ძაფის ამოსახვევი
ორტოტა გოხი.

ოზანდარა/ე-ი 169,23 საქმლისა და
ჭურჭლის შესანახი კარადა სამზა-

რეულოში (ს. ჟღ.). ნ. ს. ჟღ.,
 უზანდარავე-ი. თურქ. musan-
 dira (ა. ლლ.).

ოკა 203,17 ძალიან პატარა მოწ-
 ნული ჭურჭელია — ოყა.

ოკვარე 203,17 პატარა მდინარის სა-
 ხელია ლანჩხუთის ჩრდილოეთით
 (ი. მეგრ., 88).

ონტყოლ-ი 268,9 ადგილის სახელია
 ჩოხატაურის რაიონში.

ორანა/ე-ი 211,3 ვაზის ჭიშია ერ-
 თგვარი (კ. გვარ., გურული ლექსი-
 კონი. — ე. „მოგზაური“, №10,
 1901, გვ. 949).

ორბოძალ-ი 298,20 იგივეა, რაც
 ო რ ბ ო ტ ი კ ა/ე-ი.

ორე 234,16 წყლის ჩასასხამი, შე-
 კრული ფიცრებისაგან, ხმარობენ
 არყის გამონღის დროს (ს. ჟღ.);
 დიდი ვარცლი (გ. შარაშ.).

ორიბე 214,1 ორივე.

ორკობე 173,7 ქვევრიდან წყლის
 ამოსაღებად გაყვებულ ორტა-
 რიანი აყირო.

ორმეთ-ი 239,14 სოფლის სახელია
 ლანჩხუთის რაიონში.

ორონა 182,19 ვაზის ერთგვარი ჭიში,
 გვხვდება გურიასა და აჭარაში
 (ქეგლ). იხ. ო რ ა ნ ა.

ორბოტოკა/ე-ი 273,15 ორტოტა,
 ორკაბა, ორკაბიანი.

ორშუშა/ე-ი 184,13 საწნახლიდან
 ღვინის ამოსაღები აყიროს მოკლე-

ტარიანი ჭურჭელი.

ორჩხუშ-ი 186,24 გრძელ ჯობზე ქვევ-
 რის სარეცხად დაკრული ფუჩიჩი.

ორტილო 208,10 სასირე ბადის ბა-
 წარი (გ. შარაშ.).

ოსპილო 318,17 ქვევრის საშრობი
 (ს. ჟღ.), — ჯობზე გაკრული ჩვარი.

ოფოურა/ე-ი 277,4 გურული ვაზის
 ჭიში (ქეგლ., გ. შარაშ.).

ოქროცერცე-ი 174,18 ცერცვის ნა-
 ირსახეობა.

ოჩე 271,2 ადგილის სახელია ჩოხატა-
 ურის რაიონში.

ოჩორჩხონა/ე-ი 206,16 ადგილი, სა-
 დაც წყალი ჩამოდის მაღლიდან ჩხრი-
 ალით (მუხუთში, ლანჩხუთის რ.).

ოსობიჭა/ე-ი 298,20 დასაქედი ხა-
 რის გაკრული ფეხების ჩამოსადები
 ხელსაწყო.

ოჯანჯალა/ე-ი 194,9 ნ. ო ჯ ი ნ ჯ ა -
 ლ ა/ე-ი.

ოჯინჯალა/ე-ი 175,17 შუაეცხლის ზე-
 მით მოწყობილობა (ქეგლ); საე-
 ცხლე ჯაჭვის დასაკიდი და სხვ.

პაიწვან-ი 150,13 პატარანი, პატარ-
 პატარა.

პამპალ-ი 150,11 ფარფატი.

პანტა/ე-ი 148,6 ტყის წვრილი ვაშ-
 ლი, მაჟალო; ტყის წვრილი მსხა-
 ლი. პ ა ნ ტ ა ვაშლი; პ ა ნ ტ ა
 სხალი.

პანტა ლობიე 175,33 ნ. ღ ე ჯ ა
 ლ ო ბ ი ე.

პარპალ-ი 207,24 აივანი (ე. ნინ., I,

თ. კიკვი.); თურქ. *parmak* (ა. ლლ.)
პარმან-ი 207,23 ნ. პ ა რ მ ა ლ ი.
პატრიჟან-ი 174,17 ბადრიჯანი.
პაწა/ე-ი 151,13 ცოტა, პატარა.
პაწაწა-პაწათ 170,24 პატარ-პატა-
 რად, ცოტ-ცოტად.
პაწია/ე-ი 315,3 პატარა.
პენწკალ-ი 299,4 ჩხირი (ქოლგი-
 სა).
პეპერა/ე-ი 311,24 პაპის (ბაბუის)
 მამა.
პერსია 281,9 სპარსეთი (რუს. Пер-
 сия).
პეტრჯან-ი 280,6; 306,1 პატარ-პა-
 ტარა.
პირადათ დახვნა 290,14 პირველად
 დახვნა.
პირის აცვა 189,8 აბრეშუმის ქიისა-
 თვის ჩელტის კიდებზე ხმელი ქვე-
 რის ან ქამანიის დაწყობა. პ ი რ ს
 უ უ ც ა ვ თ ხმელი კამანიეთ ან
 ცხმელაის ქვეროით.
პირის ახოვა 306,14 იგივეა, რაც
 პ ი რ ს ა ც ვ ა. პ ი რ ს უ უ -
 ხ ო ვ თ.
პირსაცავ-ი 231,10 აბრეშუმის ქიი-
 სათვის ჩელტის კიდებზე დაწყო-
 ბილი ქამენია, რცხილა და მისთა-
 ნები.
პირსახვიერა/ე-ი 306,19 იგივეა,
 რაც პ ი რ ს ა ც ვ ე (ნ.).
პიჯგარ-ი 198,5 პირჯვარი.
პლატონისვაკე 268,5 ადგილის სა-

ხელია ჩოხატაურის რაიონში.
პლატუკ-ი 255,13 ცხვირსახოცი
 (რუს. платок).
პოდრაჩიკ-ი 209,6 მოიჯარე, მენარ-
 დე (რუს. подрядчик).
პოეზდ-ი 209,9 მატარებელი (რუს.
 поезд).
პოლ-ი 215,2 იატაკი (რუს. пол).
პოპშნიკ-ი 153,20 დამხმარე, თანა-
 შემწე (რუს. помощник).
პოწკ-ი 308,8 ძალიან პატარა შტო,
 ტოტი მცენარისა.
პოქიკესეულ-ი 275,2 მთის სახელია
 ჩოხატაურის რაიონში.
პროპკა 283,2 საცობი (რუს. про-
 бка).
პტყელ-ი 224,28 ბრტყელი.
პუმპულა/ე-ი 211,6 ვაზის ჭიშია ერ-
 თგვარი.
პწკალა/ე-ი 160,13; 164,26 კიბე
 (წყვილი საყრდენის მქონე შეერ-
 თებული საფეხურებით), მისად-
 გმელი ან უძრავი (შენობის ზედა
 სართულზე ასასვლელი).
ჟამ-ი 154,20 შავი ქირი.
ჟდანა 296,22 ზის. ხელზე გ ვ ი ე -
 დ ა ნ ა — ხელზე გვიზის.
ჟეშტი 159,17 თუნუქი (რუს. жест).
ჟგერო¹ 296,9 ქვერი.
ჟგერო² 160,29 ბუჩქნარი.
ჟოჟა 175,3 წყალში გაქნილი ახალი
 ფუნა.
რაგვ-ი 224,19 თავის მოსაკლავი

(გასაქყლეტი) მახე (პატარა ფიც-
რებისაგან გაკეთებული).
რაგარც 148,27 როგორც.
რაგარცხა 254,9 როგორცა.
რაკამ-ი 173,24 ჩალდაყის წინა ნაწი-
ლი, რომელშიც იყრება უღელი.
რამკა 311,2 ჩარჩო (რუს. рамка)
რამოდელიმე 263,8 რამდენიმე.
რამტონ-ი 207,13 რამდენი.
რაფერც 150,21 როგორც.
რალაფერ 307,1 როგორცა.
რაყა 161,3 ახალგაზრდა ხეების ტყე
(ი.ჟყონ., ს.უღ.); მურყნის ტყერი
(ი. მეგრ., 105).
რაცხა 174,32 რაცდა.
რეგვენ-ი 211,1 ახალგაზრდა.
რეგნობა 161,8 ახალგაზრდობა. მე
რ ე გ ნ ო ბ ა ს ვისტავლე წულის
კერვა.
რელისკა 174,23 თვის ბოლოკი
(რუს. реди́ска).
რეთ-ი 230,25 რამდენი. უნდა აქამო,
რ ე თ ს ა ც ქამს.
რეიკა 223,23 ლარტყა (რუს. ре́йка).
რეიცა 206,24 რელსი.
რიად-ი 174,32 მწყრივი, რიგი (რუს.
ряд).
რიკა-ი 197,21 რიკი.
რიკვატა/ე-ი 170,5 პატარა მოკლე
ჯონი.
რიტირიტი-ი 263,11 ფრიალი. მისი
ხალიჩა მივა რ ი ტ ი რ ი ტ ი თ
ხაერში.

რკილ-ი 166,21 დაჩრჩილული ხის
მტვერი (ქეგლ).
როგაბა/ე-ი 192,12 აბრეშუმის ჭია,
რომელსაც არ შეუძლია ცახზე ას-
ვლა.
როგო¹ 300,11 ქვევრის სახურავი
მრგვალი ფიცარი (ს. უღ.).
როგო² 311,14 კუნძი. დოუდგა სკამათ
სანთლის რ ო გ უ ე ბ ი.
როდინა 195,14 ნ. ო რ ე.
როიცხა 207,1 როდისდაც, როდე-
საც, როცა.
როჩო 269,34 პატარა ლელე, უშნოდ
ჩალრმავებული.
როცხა 150,23 როცადა.
როხ-ი 150,28 ხის მრგვალი გაუთლე-
ლი (უხეში) მასალა.
როხ-ი 273,30 ადგილის სახელია
ჩოხატაურის რაიონის სოფელ სა-
მებაში.
რუშავ-ი 203,16 ადგილის სახელია
ლანჩხუთის რაიონში.
რძია-რძია/ე-ი 276,22 რძიანა
(ქეგლ).
რჯღა-ი 298,12 რქა (შდრ. ლიტ.
გ რ ჯ ღ ა).
სა 147,28 სად.
საბარგელ-ი 290,5 სამარგლავი, სა-
მარგელი.
საბარცხალ-ი 193,31 სავარცხელი.
საბეზავ-ი 151,4 კაყიან თოფში
ჩვრის ჩასატენი რკინა.
საბუქარა/ე-ი 271,27 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.

საგდულა/ე-ი 168,22 კარების შიგნი-
დან საკეტი ურდული, კეტი.
საგძალ-ი 277,17 საგზალი.
სადულარ-ი 187,8 ქვევრში ღვინის
ასადულებლად დატოვებული ცა-
რიელი ადგილი.
სადღინძელო 318,3 სადღეგრძელ
სათხარა/ე-ი 220,12 სათხრელი.
საივანობო 276,34 ივანობის (ივნი-
სის) თვის მსხალი.
საკაკლე 154,6 სამარცვლე, სათესლე.
საკალმახია/ე-ი 268,11 ადგილის სა-
ხელია ჩოხატაურის რაიონში.
საკარაჭინე 193,1 კარაჭინისათვის
(ნ.) განკუთვნილი მასალა.
საკარულა/ე-ი 219,21 ძელი, რომე-
ლიც მიქედლია კართან (ერთი —
ზევით, მეორე — ქვევით).
საკეცია/ე-ი 271,29 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
საკვირკობო 276,34 კვირკობის (ივ-
ლისის) თვის მსხალი (ა. ლლ.)
საკიდარ-ი 165,6 მოსაკიდებელი (ხე-
ლისა).
სალაკა/ე-ი 217,11 ნ.ს ა ლ ი კ ა/ე-ი.
სალიკა/ე-ი 169,17 ალაგას, ადგი-
ლას.
სამაჭრე 211,3 ყურძნის ჭიშია ერთ-
გვარი.
სამეოთხედო 271,30 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
სამოსელა/ე-ი 243,14 ადგილის სახე-
ლია ლანჩხუთის რაიონში.
სამუშიერ-ი 217,1 სამუშაო.

სამძველაგ-ი: სამძველაგო წყალ-
173,4 გარეცხილი ქვევრის გამო-
საელები მცირე რაოდენობის წყა-
ლი.
სამწახელ-ი 300,9 საწნახელი.
სანაწყაურო 288,14 საწყაო.
სანდალ-ი 146,1 ნავი (ნ. საბა, ქველ)
სანესვია/ე-ი 271,27 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
სანიხლია/ე-ი 268,7 ადგილის სახე-
ლია ჩოხატაურის რაიონში.
სანჩხვე 232,8 საჭიშე, მოსაშენებე-
ლი.
სანწვალებელ-ი 193,32 საწვალებე-
ლი.
საბეტკნ-ი 310,11 საბეკნი, საბეკნე-
ლა, სატკებნელა.
სარაბაღ-ი 164,13 სახლის სახურავის
დაბლა შემოვლებული ფიცრები,
რომლებზედაც დაყრდნობილია
სახურავის კავები და წყლის მიღე-
ბი (გ. შარაშ., ნ. სერაბახი).
სარაგვე 203,12 ადგილის სახელია
ლანჩხუთის რაიონში.
სარაკუნა/ე-ი 223,6 წისქვილის ის
ნაწილი, რომელიც არეგულირებს
მარცვლის ცვენას წისქვილის ქვის
ნახვრეტში.
სარტყელ-ი 212,6 ბოყეებზე ჩამო-
ცმული ხე.
სარწუვალა/ე-ი 203,11 ადგილის სა-
ხელია ლანჩხუთის რაიონში.
სარჯელ-ი 315,20 სასჯელი.
სასაგდულე 168,23 კარების შიგნი-

- დან საკეტი ურდულის (კეტის) გასაყრელი ადგილი კედელზე და კარებზეც, — საურდულე.
- სახელო** 276,34 საზაფხულო მსხალი (მ. ალაე.).
- სასირე ბადე** 165,30 საჩიტე ბადე (ი. მეგრ., 182).
- სასტაულ-ი** 273,15 სასწაული.
- სასტორ-ი** 280,13 სასწორი.
- სასულე** 184,19 ქვევრიდან ჰაერის ამოსასვლელი ნახვრეტი.
- საუმლია/ე-ი** 268,8 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
- საფუტარ-ი** 162,25 საკვამლე.
- საფუნარ-ი** 296,20 ორთითი, საჩვენებელ თითზე გაკეთებული მეშის საფარველი მიმინოს დასასმელად (ა. რობაქ., მიმინოთი ნადირობა გურიაში. — „მიმომხილველი“, 1949, გვ. 164).
- საფშუტუნია/ე-ი** 271,4 ჩასაბერი, სასტენი.
- საქამდი** 177,16 სანამდე.
- საქედავ-ი** 162,23 ფიცრები, რომლებითაც ფარავენ სახურავსა და კედელს შუა დარჩენილ ღია ადგილებს (გ. შარაშ.).
- საქნიერ-ი** 296,31 გაქნევასთან დაკავშირებული მოქმედება. გვიმართა (ნ.) მიმინო, ს ა ქ ნ ი ე რ ი ს ტ ა ვ - ლ ა. გვექნევთ მიმინოს და წავა.
- საქორია/ე-ი** 271,3 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
- საქვილე** 223,27 საფქვილე, რომელშიც ფქვილი ცვივა დაფქვის პროცესში.
- საქვოვ-ი** 222,26 საფქვავეი.
- სალობისკარ-ი** 203,15 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში.
- სალორჭალა** 271,25 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
- საყანულ-ი** 158,11 საყანე მიწის გამოყენების საფასური. ათ ფუთზე ერ ფუთს ვაძლევედით ს ა ყ ა ნ უ ლ ს .
- საყვავისტყე** 275,12 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
- საყვითლია/ე-ი** 276,34 მსხლის ჭიშია ერთგვარი.
- საყვიარა/ე-ი** 272,17 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
- საყორნია/ე-ი** 268,8 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
- საცეგ-ი** 165,12 წყარო.
- საცნაურ-ი** 223,19 ხელსაწყო, რომლითაც წისქვილს ააწყობენ ხორბლის წვრილად ან მსხვილად დასაფქვავად (გ. შარაშ.).
- საცხა** 155,18 სადღაც.
- საწუმ-ი** 285,30 ადგილის სახელია სურების მთაში.
- საწყლე ხაპ-ი** 174,20 ნ. წ ა რ ე ხ ა პ ი .
- საჭარ-ი** 220,21 საჭრელი.
- საჭვირთე** 183,31 სატვირთე.
- სახარია/ე-ი** 205,23 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში.
- სახაჭუნა/ე-ი** 277,2 ვაშლის ჭიშია

ერთგვარი.
სახანჯვია/ე-ი 268,7 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
სახიტავი-ი 168,10 ნაგებობის სახურავის დასამძიმებელი მასალა (ზევები ან სხვ.); იცავს ქარისაგან.
სახოხვია/ე-ი 203,15 ადგილის სახელია ლანჩხუთის რაიონში.
სახჩი 195,8 სახლში.
საჯიქიო 195,14 ღორის ზურგის ხერხემლის წინა ნაწილი (ე. ნინ., II, თ. კიკე.).
საჯნაიან-ი 253,17 საენიანი.
საჯოუხო 289,7 საბალახო ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
სერ-ი 275,16 ადგილის სახელია ჩოხატაურის რაიონში.
სვამ-ს თუთუნს 280,8 ეწევა თამბაქოს.
სველ-ი 232,26 შრავი.
სილამდი 242,10 სანამდე.
სილაჯად-ი 217,21 სწორი ჯონი, რომელიც იხმარება სავსე ქილაზე (მარცვლეულისა და ფქვილის საწყაოზე) გადასასმელად.
სიმიინდა/ე-ი 280,23სიმიინდი.
სიპტყე 214,20 სიპტყე.
სირგვალე 214,24 სიმრგვალე.
სისკე 150,30 სისქე.
სიქამდი 177,15 ნ. ს ა ქ ა მ დ ი.
სიქობამდი 187,5 ნ. ს ი დ ა მ დ ი.
სკა-ი 301,23 ფუტკარი.
სკამლოგინა/ე-ი 151,24 ხის ძველ-ბური ტანტი, რომელიც გამოიყე-

ნებოდა საჯდომდაც და საწოლა-
 ლაც.
სლაქვა 263,28 ლოკვა.
სმეტაისონ-ი ლივერ-ი 255,15 მომაკვდინებელი რევოლვერი (რუს. смертоносный револьвер).
სმილ-ა 312,15 ეწეოდა. თუთუნს ს მ ი დ ა ჩიბუხით.
სობელ-ი 182,14 სველი.
სოი 148,4 ჯიში, ნაირი, გვარი (თურქ. soy). ამ ტყეფში ყვალა ს ო ი ს ხეიყო.
